Giorgi Khantadze, Giorgi Tsaava

Banking Operations

The manual is discussed and recommended to be printed by academic council of Tbilisi Study University (prot. №5, 13.07.2012)

Tbilisi
2012

გიორგი ხანთაძე, გიორგი ცაავა

საბანკო ოპერაციები

სახელმძღვანელო განხილულია და დასაბეჭდად
რეკომენდებულია შპს „თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს
(ოქმი №5, 13.07.2012) მიერ

თბილისი
2012

UDC (უაკ) 336.1(075.8)
ხ–22

ხანთაძე გ., ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო) – თბილისი, გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო", 2012, 400 გვ.

ნაშრომში პრაქტიკულად ბანკის საოპერაციო საქმიანობის თითქმის ყველა ძირითადი საკითხია სამოყვალიბებული, როგორებიცაა: ნაღდ ფულთან, სალაროსთან, ფასიან ქაღალდებთან, კრედიტთან, ვალუტასთან, უნაღდო ანგარიშსწორებასთან, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ბანკის პასიურ და აქტიურ გარიგებებთან, საბანკო რისკების მართვასთან, საგადახდო სისტემაში ელექტრონულ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციები. ეს საკითხები ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ გამოცემული ბრძანებების, დებულებების, ინსტრუქციებისა და სხვა საჯარო დოკუმენტების გათვალისწინებით.

წიგნი საკმაოდ საინტერესოდ არის სტრუქტურირებული და იგი სასწავლო-პრაქტიკული სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში. გამოცემა მომზადებულია უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და გამიზნულია ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, მეცნიერ-მკვლევარების, აქციონერების, მეწარმეებისა და საბანკო ოპერაციების სიღრმისეული და მრავალმხრივი გაცნობით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრისათვის.

მეცნიერ-რედაქტორები: სრ. პროფ. დავით ჯანგულაშვილი
სრ. პროფ. სოლომონ პავლიაშვილი

რეცენზენტები: სრ. პროფ. შოთა ქისტაური
სრ. პროფ. ზურაბ ჩხაიძე
ასოც. პროფ. ხათუნა ბარბაქაძე

In the work there is set up nearly all basic issues about bank operation activity, like: operations connected with cash, cashbox, securities, credit, currency, bank transfer of funds, passive and active agreements of bank in national and foreign currency, management of bank risks and electronic work in paying system. These issues are presented in the work in consideration of orders, provisions, instructions and other public documents issued by The National Bank of Georgia and commercial banks.

Book is structured in quite interest way and it may be used as educational-practical manual for carrying out bank operations. Publication is prepared in accordance with standards of higher university education and is intended for introduction of various banking operations to holders of bachelor and master's degrees, doctoral candidate, scientist-researchers, shareholders, entrepreneurs and wide circle of interested readers.

SCIENTIFIC EDITORS: Full Prof. David Jangulashvili
Full Prof. Solomon Pavliashvili

REVIEWER: Full Prof. Shota Qistauri
Full Prof. Zurab Chkhaidze
Ass. Prof. Khatuna Barbakadze

გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო", 2012
ISBN 978-9941-9262-4-2

სარჩევი

შესავალი 11

თავი I. საბანკო სისტემის ზოგადი დახასიათება 13

1.1. საბანკო ოპერაციების ნიშნები და პირველი საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში 13

1.2. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 16

1.3. ბანკები, მათი ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები 19

თავი II. საძართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციები და ბირაოს მართვა 28

2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების არსი, აუქციონის წესი და რეფინანსირების სესხების ოპერაციები 28

2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრისა და სავალუტო აუქციონის ოპერაციები 36

2.3. მონეტარული ოპერაციების გირაოს მართვა, ფასიანი ქაღალდები, სასესხო აქტივები, აკრძალული ქმედებები და ბანკის ვალდებულებები 41

თავი III. საძრედიტო ორგანიზაციების პასიური და აქტიური ოპერაციები 47

3.1. საკრედიტო ორგანიზაციების საკუთარი სახსრები, მათი ფორმირება 47

3.2. სადეპოზიტო ოპერაციები და დაზღვევა 54

3.3. სახსრების მოზიდვის არასადეპოზიტო წყაროები 65

3.4. ბანკის აქტივების სტრუქტურა და ხარისხი 67

თავი IV. საბადახდო ბრუნვის ორგანიზაცია და ბანკთაშორისი საძორესპონდენტო ურთიერთობები 71

4.1. საგადახდო ბრუნვის საფუძვლები 71

4.2. საკრედიტო ორგანიზაციებში უნაღდო ანგარიშსწორების დახასიათება 74

4.3. ანგარიშის გახსნა და საჭირო დოკუმენტები 76

4.4. ანგარიშების გადაფორმება და დახურვა 88

თავი V. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და მათი წარმოება 91

5.1. საგადახდო საბუთების სახეები, მათი გაფორმება და გამოყენება 91

5.2. ანგარიშსწორება საგადახდო და საინკასო დავალებებით 100

5.4. ანგარიშსწორება აკრედიტივებითა და საგადახდო ბარათებით 109

5.4. ანგარიშსწორება ჩეკებით 121

5.5. საინკასო დავალება სახსრების უდავო ჩამოწერაზე და დოკუმენტური ინკასო 123

5.6. „კლიენტი-ბანკის“ სისტემითა და რეესტრის

გამოცემებით ანგარიშსწორების წესები 126
5.7. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ 129
5.8. შიდაბანკო და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების წესები 133
თავი VI. კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციები 141
6.1. კომერციულ ბანკში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემის პროცედურები 141
6.2. კომერციული ბანკის სალაროს კვანძის მოწყობა, ტექნიკური გამაგრება და საინკასაციო სამსახური 143
6.3. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემა 144
6.4. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის წესი 146
6.5. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულის ნაშთების შეტანა–გატანა 148
6.6. ეროვნული ბანკიდან მკაცრი აღრიცხვის ბლანკებისა და ოქროს ნაღების გატანა 152
6.7. ოპერაციების აღრიცხვა, საბუთების დამუშავება და ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შენახვა 155
თავი VII. საკრედიტო ოპერაციები 158
7.1. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა 158
7.2. კრედიტების ძირითადი ტიპები 164
7.3. საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობები, საკრედიტო ხელშეკრულება 173
7.4. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება 189
თავი VIII. ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო პროექტების შეფასების სრულყოფის საკითხები 195
8.1. კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი 195
8.2. ბანკის მსესხებელი იურიდიული პირის კრედიტუნარიანობისა და საბანკო საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია 204
8.3. ბანკის მსესხებელი ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მეთოდი 227
თავი IX. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალებები 234
9.1. ზოგადი დებულებები 234
9.2. გირავნობა 235
9.3. თავდებობა და გარანტია 242
თავი X. ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე 251
10.1. ფასიანი ქაღალდების სახეები 251
10.2. პროფესიული საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 254
10.3. ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი მოძრაობის ორგანიზაცია 258
10.4. კომერციული ბანკის ოპერაციები თამასუქებზე 262
თავი XI. ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა და ოპერაციები 267
11.1. ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება 267
11.2. ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო თვისებები 273
11.3. საკრედიტო ორგანიზაციის საბროკერო ოპერაციები 276

თავი XII. სავალუტო ოპერაციები 279
12.1. სავალუტო ოპერაციათა სახეობები 279
12.2. ვალუტით ვაჭრობის ოპერაციები 284
თავი XIII. ბანკის ლიზინგური, ფაქტორინგული და სატრასტო ოპერაციები 292
13.1. ლიზინგური ოპერაციები 292
13.2. ფაქტორინგული ოპერაციები 308
13.3. სატრასტო ოპერაციები 313
13.4. საქველმოქმედო ტრასტ-ფონდები 323
13.5. სხვა მომსახურება 324
თავი XIV. კომერციულ ბანკებში რისკების მართვა 326
14.1. რისკების მართვასთან დაკავშირებით ბანკის მენეჯმენტის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა 326
14.2. რისკების მართვა ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისათვის 344
14.3. საკრედიტო რისკის ცნება, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის პასუხისმგებლობა საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის 346
14.4. საკრედიტო რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა 349
თავი XV. საბაზრო, საპროცენტო, ლიკვიდობის, სამართლებრივი, რეპუტაციის, სტრატეგიული და შესაბამისობის რისკები 355
15.1. საბაზრო და საპროცენტო რისკის ცნება 355
15.2. ლიკვიდობის რისკები 360
15.3. საოპერაციო რისკები 366
15.4. სამართლებრივი და რეპუტაციის რისკი 373
15.5. სტრატეგიული და შესაბამისობის რისკები 378
თავი XVI. საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობა 382
16.1. სისტემაში მონაწილე სუბიექტები, სტანდარტიზაცია, სისტემის წვდომა 382
16.2. შეთანხმება სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის ელექტრონული მომსახურების შესახებ 384
16.3. სისტემის მონაწილის ვალდებულებები 386
16.4. ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა და ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი 387
ტერმინთა განმარტება 390
ლიტერატურის სია 398
ავტორების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები 400

Content

Introduction **11**

Chapter I. General characterization of banking system **13**

1.1 Banking operation marks and the first credit organizations in Georgia 13

1.2 The first central bank in Georgia 16

1.3 Banks, their functions and basic principles of their activities 19

Chapter II. Monetary operations of The National Bank of Georgia and mortgage governing **28**

2.1 The essence of monetary operations of The National Bank of Georgia, auction regulation and loan refinancing operations 28

2.2 Certificates of deposit of The National Bank of Georgia, operations of open market and currency auction 36

2.3 Mortgage governing of monetary operations, securities, loan assets, prohibited activities and banking liabilities 41

Chapter III. Passive and active operations of credit organizations **47**

3.1 Own funds of credit organizations, their formation 47

3.2 Deposit operations and insurance 54

3.3 Non-deposit sources to attract funds 65

3.4 Structure and quality of bank assets 67

Chapter IV. Paying circulation organization and interbank corresponding relations **71**

4.1 Foundations of paying circulation 71

4.2 Characterization of cashless payment in credit organizations 74

4.3 Opening of the account and necessary documents 76

4.4 Reforming and closing of the accounts 88

Chapter V. Forms of cashless payment and their conduct **91**

5.1 Forms of paying documents, their forming and usage 91

5.2 Payment with paying and collection orders 100

5.3 Payment with letter of credit and paying cards 109

5.4 Payment by checks 121

5.5 Collection order on doubtless writing off and documentary collection 123

5.6 Payment regulations by usage of register and "client-bank" system 126
5.7 Cash settlement by physical person 129
5.8 Innerbank and interbank payment regulations 133

Chapter VI. Operations connected with cash and other values in commercial banks 141

6.1 Receiving-delivery procedures cash and other values in commercial banks 141
6.2 Arrangement of cash office of commercial bank, technical support and encashment service 143
6.3 Receiving-delivery of cash and other values 144
6.4 Forming and packaging regulation of coins and bank-notes 146
6.5 Bringing and taking out of cash marks to The National Bank of Georgia by commercial bank 148
6.6 Taking out of gold bullions and strict registration forms from The National Bank of Georgia 152
6.7 Operation registration, processing of documents and keeping of cash and other values 155

Chapter VII. Credit operations 158

7.1 Bank's credit policy 158
7.2 Basic types of credits 164
7.3 Credit legal relationship, credit agreement 173
7.4 Quality evaluation of credit portfolio of commercial bank 189

Chapter VIII. Issues of perfection of investing project assessment and creditability of bank borrower 195

8.1 Analyzing of client's creditability 195
8.2 Methodology of banking credit risk and creditability assessment of legal entity of bank borrower 204
8.3 Scoring method of creditability assessment of physical person of bank borrower 227

Chapter IX. Means of ensuring credit recovery 234

9.1 General provisions 234
9.2 Mortgage 235
9.3 Guarantee and warranty 242

Chapter X. Operations on securities 251

10.1 Types of securities 251
10.2 Professional activity on the market of securities 254
10.3 Organization of primary and secondary circulation of securities 258
10.4 Commercial bank operations on bills of credit 262

Chapter XI. Bank investment policy and operations **267**
11.1 Bank investment policy. Forming of portfolio of securities 267
11.2 Investment features of securities 273
11.3 Brokerage operations of credit organization 276
Chapter XII. Currency operations **279**
12.1 Types of currency operations 279
12.2 Operations for currency trading 284
Chapter XIII. Leasing, factoring and starting operations of bank **292**
13.1 Leasing operations 292
13.2 Factoring operation 308
13.3 Trust operations 313
13.4 Charitable trust-funds 323
13.5 Other service 324
Chapter XIV. Risk management in commercial banks **326**
14.1 Authority and responsibility of bank management connected with risk management 326
14.2 Risk management for new products and activity 344
14.3 The essence of credit risk, responsibility of supervisory board and directorate for carrying out credit risk strategy and policy 346
14.4 Setting up credit risk, assessment, monitoring and management information system 49
Chapter XV. Market, percentage, liquidation, legal, reputation, strategy and corresponding risks **355**
15.1 The essence of market and percentage risk 355
15.2 Liquidation risks 360
15.3 Operational risks 366
15.4 Legal and reputation risk 373
15.5 Strategy and corresponding risks 378
Chapter XVI. Electronic work in paying system **382**
16.1 Characters participating in system, standardization, access to the system 382
16.2 Agreement about electronic service between system operator and participant 384
16.3 Liabilities of system participant 386
16.4 Legal force of electronic document and certificate of digital signature 387
Explanation of terms **390**
List of literature **398**
Short biographic data of authors **400**

შესავალი

თანამედროვე საკრედიტო ორგანიზაციების საბანკო ოპერაციები შეიძლება დაყოფილ იქნეს ფულად, საკრედიტო და საფონდო ოპერაციებად.

ფულად ოპერაციებს მიეკუთვნება უცხოური ვალუტების შიდა და გარე გაცვლა, აგრეთვე, ინკასირება, ან ინკასოსთან დაკავშირებული ოპერაციები. ამ უკანასკნელის ქვეშ გაიგება ვადიანი, საპროცენტო დივიდენდები თამასუქების და ჩეკების საანგარიშსწორებო გადახდის მიღების მიზნით. პირველად საბანკო ოპერაციებს მიუკუთვნება საანგარიშსწორებო ოპერაციები.

თანამედროვე ბანკებში საკრედიტო ოპერაციებს მთავარი ადგილი უჭირავს. ისინი ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: აქტიურებად და პასიურებად. აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება ისინი, რომელთა მიხედვით ბანკი ფულად სახსრებს გაასესხებს, აქედან გამომდინარე, იგი ამ შემთხვევაში კრედიტორის როლში გამოდის. პასიური ოპერაციების მიხედვით, ბანკი, პირიქით, ღებულობს ფულს და მევალეს წარმოადგენს. საკრედიტო ოპერაციების ორივე კატეგორიის განხორციელებით ბანკი საკრედიტო შუამავლის როლში გამოდის.

აქტიურ ოპერაციებს შორის პირველი ადგილი დისკონტურ (სააღრიცხვო) ოპერაციას უკავია. ასევე აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება ლომბარდული ოპერაციაც, რომლის დროს სესხების გაცემა ხდება ფასიანი ქაღალდების და მრავალფეროვანი საქონლის უზრუნველყოფის ქვეშ.

სხვადასხვა ბანკში კრედიტის მიწოდების ფორმები ერთნაირი არ არის. მაგრამ, ეფექტურად მომუშავე ბანკები როგორც უზრუნველყოფილი კრედიტების, ასევე საბლანკო (არაუზრუნველყოფილები) კრედიტების მიწოდებას ახორციელებენ.

პასიური ოპერაციებიდან დეპოზიტური ოპერაცია უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს. მეანაბრე ამ შემთხვევაში ბანკის კრედიტორად იქცევა. ბანკები ანაბრების მიხედვით პროცენტებს იხდიან. ფიზიკურ პირებს, მეანაბრეებს სახსრები შეუძლიათ ბანკიდან მოთხოვნი-

სთანავე საკომისიოს დამატებით მიიღონ. პასიურ ოპერაციებს მიეკუთვნება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებებიც, ანუ კლიენტის ხარჯზე ფასიანი ქაღალდების შეძენა და გაყიდვა.

კომერციული ბანკების ძირითადი ქვედანაყოფებია (განყოფილებებია): საცალო საბანკო და ექსპრეს-საბანკო მომსახურების, აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის, კორპორატიული საბანკო მომსახურების, სახაზინო, საკრედიტო, სალარო, ფასიანი ქაღალდების, კორესპონდენციის, ბუღალტერია, ანგარიშსწორების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ა.შ.

კომერციული ბანკების ძირითადი საქმიანობა მოიცავს: ფულადი ოპერაციების განხორციელებას, აქტიური საკრედიტო და პასიური საკრედიტო ოპერაციებს, ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან, დეპოზიტების განთავსებისა და რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისათვის ანგარიშების მომსახურების ოპერაციებს და ა.შ.

კომერციული ბანკის ეფექტიანი საქმიანობა უკავშირდება საბანკო რეგულირებას, რომელშიც გულისხმობენ ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების სტაბილურ, უსაფრთხო ფუნქციონირებას. კომერციული ბანკების საქმიანობამ არ უნდა მიიყვანოს ისინი გაკოტრებამდე, კლიენტების დაკარგვამდე, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მთელ ეკონომიკაზე. საბანკო საქმიანობის რეგულირებას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- კაპიტალის ადეკვატურობა (შეფარდება საკუთარ სახსრებსა და ვალურ აქტივებს შორის);
- აქტივების ხარისხი რისკის, ლიკვიდობის და ა.შ. თვალსაზრისით;
- მენეჯმენტის ხარისხი (მმართველთა კვალიფიკაცია);
- ლიკვიდურობა, ანუ ბანკის უნარი, სწრაფად და უმტკივნეულოდ შეასრულოს თავისი ვალდებულებები (ლიკვიდური და სხვა აქტივების შეფარდება);
- რენტაბელობა.

თავი I. საბანკო სისტემის ზოგადი დახასიათება

1.1. საბანკო ოპერაციების ნიშნები და პირველი საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, მათი ორგანიზაციული სტურქტურების, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულების, მათ შორის ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც მსოფლიოს ყველა ძველ ცივილიზებულ ქვეყანას, საქართველოს წინამორბედ ქვეყნებსაც – იბერიასა და კოლხეთს სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულება ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტის სახით გააჩნდა, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემებისათვის ემბრიონის ფუნქციას ასრულებდნენ. მათი წინამორბედები საქართველოში ჩნდებიან ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში ჩვ. წ.აღ-მდე VI საუკუნეში. შემდგომ საუკუნეებში ეს პროცესი გრძელდებოდა და ჩქარდებოდა. VIII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდნენ და ფართო საკრედიტო ურთიერთობებს აწარმოებდნენ სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ოსტატი ვაჭრებოდა. ისინი გასცემდნენ კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირაობის ქვეშ ან მის გარეშე.

„ოქროს ხანის“ საქართველოს (XII საუკუნე) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულადი სისტემა იყო. კერძოდ, ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გააჩნდა – ესეც უპრეცედენტო მოვლენა იყო შუა საუკუნეებში, რადგან სხვა ქვეყნებში თვით სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, ლითონის ღირებულება ჰქონდა.[1]

დავით აღმაშენებელს, ჩვეულებისამებრ, ძალზე ორიგინალური გადაწყვეტილება აქვს მიღებული: „ამიერიდან საქართველოს

1 უფრო დეტალურად იხ.: ცაავა გ. – საბანკო საქმე: ლექციების კურსი. – თბილისი, გამომცემლობა „აფხაზ. მეცნ. აკადემია“, 2005. – გვ. 31-43.

მიწა-წყალზე რვალის „თეთრი“ ვერცხლად მიიღებოდესო“ (რვალი, სულხან-საბას განმარტებით, არის სპილენძისა და თუთიის შენადნობი ლითონი, რომლისგანაც იჭედებოდა ფული). თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დაეით აღმაშენებელმა საევალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოახდინა და მკაცრი საევალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიდაინის მჭონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ საევალუტო რეფორმამ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ხელი რომ შეუწყო – ეს ისტორიული ფაქტია.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განვითარების ბრწყინვალე ხანაში, რომელიც XI-XIII სს. დაახლოებით 200 წელიწადს გრძელდებოდა, საქართველო ჩაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობაში. შუა საუკუნეების საქართველოში კრედიტისა და საკრედიტო დაწესებულებების არსებობის შესახებ ძვირფასი ცნობა შემოგვინახა კახა თორელის (მეჯურჭლეთუხუცესი) მიერ 1259 წელს რკონის ეკლესიისადმი გაცემულმა სიგელმა. აღნიშნული სიგელიდან ჩანს, რომ იმდროინდელ საქართველოში არსებულა „საკრედიტო, გამსესხებელი – დამგირავებელი ამხანაგობა“ – „ორცალი“ (ორცალი თურქული სიტყვაა, რაც ამხანაგობას, ამხანაგურ შეთანხმებას ნიშნავს), რომელიც აწარმოებდა უძრავ-მოძრავი ქონების ქვეშ კრედიტის გაცემას, განსაკუთრებით ვაჭრებზე. ამის შემდეგ საქართველოში, რომელიც განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, საკრედიტო დაწესებულებებზე რაიმე სახის მასალები არც ერთ ისტორიულ წყაროში არ მოიპოვება.

XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში უკვე სასარაფო დაწესებულებები არსებობდა (განსაკუთრებით, ქართლ-კახეთში მეფე ერეკლე II-ის დროს), რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ახორციელებდნენ და ჭრიდნენ ფულს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ანექსია) საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები გაუქმდა და მათ ადგილზე იწყება რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულების ჩამოყალიბება. საქართველოში პირველი ასეთი საკრედიტო დაწესებულება დაარსდა 1810 წელს, თბილისში, „საქართველოს საზოგადოებრივი მსრუნველობის საგანგიოს“ სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისის აღნიშნული „საგანგიო“ („პრიკაზი“) 1849 წელს ამიერკავკასიის „პრიკაზად“ გადაკეთდა.

თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირება დაუწყია რუსეთის სახელმწიფო ბანკის (რუსეთში იგი 1860 წელს შეიქმნა) თბილისის სამმართველოს. 1871 წლიდან თბილისის კომერციულ ბანკებს დაუწყიათ საქმიანობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმში და ერევანში. ამავე წლიდან საქართველოში შეიქმნა „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“ ანუ „სასოფლო ბანკი“ დუშეთის მაზრაში დაფუძნებით. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 15 – თბილისში.

საქართველოში საკრედიტო საქმიანობის აღმავლობა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება სახელმწიფო ბანკის თბილისის სამმართველოდ გადაკეთდა, რომელსაც განყოფილებები მთელ ამიერკავკასიაში გააჩნდა (ბაქოში, ერევანში, სოხუმში, ელადიკავკაზში, ბათუმში, ნოვოროსიისკში, პიატიგორსკში, არმავირში) და იგი ამიერკავკასიაში საკრედიტო საქმიანობის მთავარ მომწესრიგებელ ორგანოდ ითვლებოდა.

1872 წელს თბილისში გაიხსნა სააქციო კომერციული ბანკი ფილიალით ბათუმში. 1875 წლის 28 ივნისს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, თბილისში თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი დაფუძნდა, ხოლო ქუთაისში – 1876 წელს, ნიკო ღოღობერიძის თაოსნობით.

1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა „ცენტრობანკი“ ფილიალებით: ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისსა და ზესტაფონში. საქართველოში საფინანსო საქმიანობას რუსეთის ბანკების კანტორებიც ახორციელებდნენ: ვოლგა-კამსკის კომერციული ბანკი, სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო ბანკი, სახალხო ბანკი, საერთაშორისო ნდობის საზოგადოების სტატუსით ა. პრიდანოვის ბანკი.

1921 წლის 3 მაისს დაფუძნდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ცენტრალური ბანკის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, რომელიც 1924 წლიდან სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ბანკად გარდაიქმნა. 1922-1925 წ.წ. ქვეყანაში ცალკეული მეურნეობის მომსახურების ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა, როგორებიცაა: „მრეწებანკი“, „ელექტროკრედიტი“, „ცეკავშირის ბანკი“, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“, „კოოპერაციული ბანკი“, „საკრედიტო საზოგადოებები“ და სხვა.

საქართველოში 1922 წლიდან დარგობრივი და ტერიტორიული სპეციალიზებული ბანკები შეიქმნა: „სამრეწველო ბანკი“, რომელიც 1924 წელს „საეჭრო-სამრეწველო“ ბანკად გარდაიქმნა. სს „ელექტროკრედიტი“, რომელიც 1924 წლიდან „ელექტრობანკად“ იქნა

რეორგანიზებული. ასევე შეიქმნა „კომუნალური ბანკი“ და „სამომხმარებლო კოოპერაციული ბანკი“, რაც მთლიანობაში საკრედიტო სისტემის გარდაქმნის მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება. 1928 წლიდან „მრეწველობანკი“ და „ელექტრობანკი“ გაერთიანდა და მათ ბაზაზე „მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკი“ შეიქმნა, ხოლო მოკლევადიანი დაკრედიტების ფუნქციები სახელმწიფო ბანკს გადაეცა.

1922 წელს თბილისში ფუნქციონირებდა „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“, ხოლო 1923 წლიდან „საქართველოს კომუნალურმა ბანკმა“ დაიწყო ფუნქციონირება. 1923 წელს თბილისში დაარსდა „საქართველოს კომერციული ბანკი“ განყოფილებებით ახალციხეში, აფხაზეთში, ქუთაისსა და ფოთში. 1923 წლის ოქტომბერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის ოლქის „შემნახველმა სალარომ“.

1987 წლიდან ქვეყანაში საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკის სამმართველოები და განყოფილებები ოვითანასღაურებაზე იქნა გადაყვანილი ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით. ეროვნულ ცენტრალურ ბანკს საზედამხედველო ფუნქციები დაეკისრა და მის ბაზაზე შეიქმნა სპეციალიზებული დარგობრივი ბანკები: „აგრომრეწვბანკი“, „ბინსოცბანკი“. 1961 წლიდან ფუნქციონირებადი „მშენბანკი“ გარდაიქმნა „მრეწვმშენბანკად“, ხოლო „შემნახველი სალაროები“ – „შემნახველ ბანკებად“, რომლებიც მთლიანობაში სახელმწიფო დაქვემდებარების სტრუქტურას ინარჩუნებდნენ.

1992 წლიდან საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად, ყველა მოქმედი სახელმწიფო დაქვემდებარების სპეციალიზებული ბანკი გაუქმდა და 1994 წლისათვის საქართველოში უკვე 300-მდე კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში სააქციო საზოგადოების იურიდიული სტატუსის მქონე 19 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომელთაგან სამი უცხოური ბანკის ფილიალია.

12. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში

პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცენტრალური ბანკის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო

ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან და, ფაქტობრივად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ყურულმა რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და მისი წესდების შესახებ. გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მისი დამტკიცება 1919 წლის ბოლომდე ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი (მოღვაწეობდა 1919 წლის 21 მარტიდან) აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შეეძლოთის სახელმწიფო ბანკის მოწყობის პრინციპებზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო. ბანკის დაარსებისათვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მისი მთლიანი მოგებაც მასვე ეკუთვნოდა.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, სტრუქტურული წყობა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის თანახმად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა

და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

ფუნქციონირების მცირე პერიოდის მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა საქართველოსათვის მრავალი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ხელს უშლიდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა. ამის გამო, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით, გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზები. სწორედ ეს ესკიზები დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი – „მარჩილი“ შეირჩა. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენებულია ქართველი დიდგვაროვნებისაგან მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები.

1920 წლის იანვარში, მთავრობის დავალებით, მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა. საქართველოს ეროვნული ვალუტა – მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნივთიერ წყაროდ შემორჩენილია მხოლოდ 25 მარჩილის ნომინალის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამ, რასაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრიული საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

1921 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

1995 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომელიც შემდგომში შეტანილი ცვლილებებით დღემდე მოქმედებს.

13. ბანკები, მათი ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ცნობილია, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედუნარიანობას განსაზღვრავს. საბანკო ურთიერთობები წარმოუდგენელია ფულად –საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე, იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიურ „სამყაროს“ წარმოადგენს, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების წინაშე პრიორიტეტული გახდა ისეთი ამოცანები, როგორიცაა: ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა; ფინანსური რესურსების მოზიდვის წყაროების შერჩევა; ფინანსური რესურსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება; ფინანსური რესურსების გამოყენების ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრა და დასაბუთება; ფინანსური მართვის ეფექტიანობის შეფასება.

საბანკო სისტემა საბაზრო ინფრასტრუქტურის ყველაზე აუცილებელ და საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს სფეროს წარ-

მოადგენს, რომელიც უშუალოდ ჩამოქმედებს ეკონომიკის ნებისმიერ დარგზე. ბანკი საბაზრო სტრუქტურის ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია და მისი არსი მის ძირითად ფუნქციებში ვლინდება.

თანამედროვე ბანკი თავისი არსით არის უნივერსალური ორგანიზაცია, რომელიც, უპირატესად, კლიენტებისათვის ფასიანი ფინანსური მომსახურების გაწევის მიზნით, ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს ოპერაციებს და მომსახურებას.

ბანკები გადაანაწილებენ რესურსებს ეკონომიკაში, მიიზიდავენ თავისუფალ ფულად სახსრებს საკუთარ ანგარიშებზე და მათ დროებით სარგებლობაში გასცემენ. აღნიშნული საკრედიტო მექანიზმის მეშვეობით ისინი ქმნიან უნაღდო ფულს, რომელიც აუცილებელია ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისას. ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკებს ნაღდი ფულის გამოშვების უფლებაც გააჩნიათ, რასაც ძირითადად ქვეყნის შედა დონის-ცენტრალური, ეროვნულ და სახელმწიფო სტრუქტურებად წოდებული ინსტიტუტები ახორციელებენ.

ბანკების ფუნდამენტური ფუნქცია გამოიხატება კლიენტებისათვის ფინანსური მომსახურების გაწევაში, სადაც ანგარიშსწორებების განხორციელება უმნიშვნელოვანესია. ანგარიშსწორება ხორციელდება სალაროს და საჟალუტო გაცვლითი ოპერაციებით, აგრეთვე, უნაღდო ანგარიშსწორების სახით. სწორედ აღნიშნული ფუნქციის წყალობით მათ ხშირად „ეკონომიკაში სისხლის მიმოქცევის სისტემას“-აც კი უწოდებენ, სადაც სისხლის როლს ფული ასრულებს.

საბანკო დაწესებულებების საქმიანობა მრავალფეროვანია. თანამედროვე საზოგადოებაში ისინი ოპერაციების სხვადასხვა სახეობას ახორციელებენ. ისინი არა მარტო ფულადი ბრუნვისა და საკრედიტო ურთიერთობების ორგანიზატორები არიან, არამედ სახალხო მეურნეობასაც აფინანსებენ, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ახორციელებენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საშუამავლო გარიგებებსა და ქონების მართვასაც ასრულებენ. საკრედიტო დაწესებულებები ახორციელებენ კონსულტირებებს, მონაწილეობენ საკანონმდებლო და საზოგადოებრივი პროგრამების მომსახურებაში, აწარმოებენ სტატისტიკას, გააჩნიათ საკუთარი დამხმარე მეურნეობები.

იმის გასარკვევად, თუ რაში მდგომარეობს ბანკის არსი, მნიშვნელოვანია რიგ მეთოდოლოგიურ მოთხოვნაზე იქნას ყურადღება გამახვილებული:

1. ბანკის არსი ძნელადგასაგები იქნება, თუ კი ამა თუ იმ ბანკის მიერ მხოლოდ შესრულებადი ოპერაციები იქნება განხილული. აქ მი'სანშეწონილია კონკრეტული ბანკების რეალური საქმიანობის ყველა მრავალფეროვნება იქნას გათვალის'წინებული როგორც მაკროდონე'ზე, ასევე მთლიანობაში ეკონომიკასთან მიმართებაში.

2. ბანკის არსი ერთიანია, მისი ტიპისაგან დამოუკიდებლად, ანუ იქნება ის: კომერციული თუ საემისიო, სპეციალი'ზირებული თუ უნივერსალური, კერძო თუ სახელმწიფოებრივი, საერთაშორისო, რეგიონათშორისი თუ ადგილობრივი.

3. ბანკის არსი მისი თავისებურებების სპეციფიკური ნი'შანთვისებების გაშლას საჭიროებს, რითაც ბანკები სხვა ეკონომიკური ინსტიტუტებიდან განსხვავდებიან.

4. ბანკის არსი მისი სტრუქტურის გაშლას საჭიროებს და აღნიშნული სტრუქტურა ბანკის მართვის აპარატის სტრუქტურაში არ უნდა აგვერიოს.

საბანკო საქმიანობას განასაზღვრული თავისებურებები გააჩნია, როგორებიცაა:

1. ბანკი მუშაობს გაცვლის სფეროში და არა წარმოების სფეროში.
2. ბანკი, გარკვეული თვალსა'ზრისით, არის სავაჭრო ინსტიტუტი.
3. ბანკი არის კომერციული საწარმო
4. ბანკის საქმიანობა სამეწარმეო ხასიათს ატარებს
5. ბანკი არის არა მარტო კომერციული საწარმო, არამედ საზოგადოებრივი ინსტიტუტიც.

გაცვლის სფეროში მუშაობით, ბანკი მოქმედებს როგორც მწარმოებელი ინსტიტუტი, რომელიც ფულადი ბრუნვის რეგულირებას ნაღდ და უნაღდო ფორმებით ახორციელებს.

საბანკო საქმიანობის არსის გაგებაში მნიშვნელოვანია ბანკის ფუნქციების შესახებ წარმოდგენა. თანამედროვე თეორიის თანახმად ასეთი ფუნქცია სამია:

1) სახსრების აკუმულაციის ფუნქცია;
2) რესურსების ტრანსფორმაციის ფუნქცია;
3) ფულადი ბრუნვის რეგულირების ფუნქცია.

ბანკის საქმიანობის შედეგს მხოლოდ ბანკისათვის დამახასიათებელი საბანკო პროდუქტი წარმოადგენს. არც ერთი სხვა ეკონომიკური სუბიექტი ნაღდ და უნაღდო ფორმაში საგადასახადო სახსრების ემიტირებას არ ახორციელებს. აღნიშნული საქმიანობა მხოლოდ ბანკის პრეროგატივაა.

თითოეულ პროდუქტს შეესაბამება მომსახურება, რომელიც თავისთავად ქმედების ერთობლიობას, საბანკო პროდუქტის შექმნის პროცესს წარმოადგენს. ბანკის მომსახურებას წარმოადგენს დაკრედიტება, საანგარიშსწორებო პროცესის ორგანიზაცია, დეპოზიტური მომსახურეობები და სხვა. მომსახურება ითვალისწინებს ოპერაციების განხორციელებას.

ოპერცია არის საქმიანობის კონკრეტული სახეობა პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებით. ოპერაციები ხორციელდება ფინანსური, ბუღალტრული და ტექნიკური ხერხების და წესების მეშვეობით, რომლებიც ერთობლიობაში საბანკო მომსახურეობების გარკვეულ ტექნოლოგიას ქმნიან.

საბანკო საქმიანობა, როგორც პროცესი, შეიძლება გაიზომოს, როგორც იტვირთან, დროში და სივრცეში, იგი შეიძლება დანახარჯების მხრივდანაც იქნას წარმოდგენილი. ყოველივე აღნიშნული საფუძველს იძლევა ბანკის ოპერაციები გარკვეული კრიტერიუმებისგან დამოკიდებულებაში იქნას განხილული (იხ. ცხრილი 1.1)

ცხრილი 1.1

საბანკო ოპერაციების სახეობების კლასიფიკაცია

საბანკო ოპერაციების კლასიფიკაციის კრიტერიუმები:	საბანკო ოპერაციების სახეები:
ბუნების მიხედვით	საბანკო და არასაბანკო
შეღავათიანობის მიხედვით	ეკონომიკურები, იურიდიულები, ტექნიკურები, ბანკის შიდა უსაფრთხოების უზრუნველმყოფები
სამართლებრივი ორგანიზაციის მიხედვით	საბაზოები და დამხმარეები, ლიცენზირებულები და არალიცენზირებულები, ნებადართულები და აკრძალულები
კლიენტებთან მიმართების მიხედვით	პირდაპირები და საშუამავლოები
საქმიანობის დაგეგმვის მიხედვით	სტრატეგიულები და ტექნიკურები
განხორციელების ეტაპების მიხედვით	პირველრიგისობები და შემდგომები
მნიშვნელობის (პრიორიტეტულობის) ხარისხის მიხედვით	ძირითადები (მთავრები) და შემდგომები
სირთულის ხარისხის მიხედვით	მარტივები და რთულები
შესრულებადი სამუშაოს ხასიათის მიხედვით	ანალიტიკურები, მარკეტინგულები, მმართველობითები, საკონტროლოები, საბანკო ინფრასტრუქტურის ფორმირების მიხედვით, საანგარიშოები, ბუღალტრულები და სხვა

შესრულების პერიოდულობის მიხედვით	ერთდროულები (ერთჯერადები) და მრავალჯერადები (განმეორებადები)
შემოსავლიანობის მიხედვით	შემოსავლიანები და ხარჯიანები
თვითღირებულების მიხედვით	მაღალდანახარჯებიანები და დაბალდანახარჯებიანები
რისკთან დაკავშირებულობის მიხედვით	მცირერისკებიანები და მაღალრისკებიანები
მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით	ინდივიდუალურები და კოლექტიურები
ეროვნული ბაზრისადმი მიმართების მიხედვით	შიდა და საერთაშორისოები
გამოყენებადი ვალუტის მიხედვით	ეროვნულ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში, მულტივალუტიანები
ხატარების რეგლამენტის მიხედვით	ეროვნული ბანკის ინსტრუქციების მიხედვით, კომერციულ ბანკში დადგენილი რეგლამენტის მიხედვით
წესებისა და ხერხების მიხედვით	ფინანსურები, ბუღალტრულები, სტატისტიკურები
ბანკის ბალანსისადმი მიმართების მიხედვით	აქტიურები, პასიურები, გარესაბალანსოები

საბანკო რესურსების სხვა წყაროებს წარმოადგენს სახსრები, რომლებსაც ბანკი დამოუკიდებლად თავისი ინიციატივით იზიდავს საკუთარი ლიკვიდობის უსრუნველყოფის მიზნით. ეს შეიძლება იყოს:

- ბანკთაშორისი კრედიტები;
- ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გაიყიდა უკუგამოსყიდვის შეთანხმებებით (REPO გარიგებები);
- სესხები ევროდოლარების ბაზარზე.

ამგვარი მოზიდული სახსრები განეკუთვნება მართვად პასივებს. სწორედ მართვადი პასივები ბანკებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ ოპერირება საკმაოდ დიდი სახსრებით, შეინარჩუნონ ოპტიმალური ნაშთი საკორესპონდენტო ანგარიშზე.

აქტიურ ოპერაციებს განეკუთვნება ის ოპერაციები, რომელთა განხორციელებისას ბანკები იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ რესურსებს, განათავსებენ რა მათ თავიანთი სახელით შემოსავლის მიღების მიზნით.

კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების ძირითად სახეებს წარმოადგენს:

- კრედიტების გაცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე სხვადასხვა პირობით და სხვადასხვა ვადით;

- ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე თავისი სახელით და თავის ხარჯზე;
- საინვესტიციო ოპერაციები;
- REPO გარიგებები;
- საკალუტო დილინგური ოპერაციები;
- კომერციული ბანკების არატრადიციული ოპერაციები.

საკრედიტო ოპერაციები – ეს არის კრედიტორის ოპერაციები თავისუფალი რესურსების განთავსებაზე სხვადასხვა სესხში. ეს უკანასკნელი კლიენტებს მიეცემა ფასიანობის, ვადიანობისა და დაბრუნებადობის პირობებით. თავისი რესურსების განთავსება ბანკებს შეუძლიათ აგრეთვე ბანკთაშორის ბაზარზე, სხვა ბანკებისათვის კრედიტების გაცემით ან მათთან სადეპოზიტო ანგარიშების გახსნით.

ბანკებს შეუძლიათ სხვა ემიტენტების ან სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) შეძენა მათზე შემოსავლის მიღების მიზნით. საკრედიტო ორგანიზაციებს აგრეთვე შეუძლიათ მოახდინონ სააღრიცხვო ოპერაციები თამასუქებზე – თამასუქების შეძენა მათი დაფარვის ვადის დადგომამდე.

პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს ბანკის სახსრების უშუალო დაბანდებას წარმოებაში, რეალური აქტივების შეძენაში. პორტფელური ინვესტიციები ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გრძელვადიანი ფულადი სახსრების გაცემის ფორმით.

ბანკები ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების შეძენას და მათ შემდგომ გაყიდვას (REPO გარიგებები) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დადგენილ ფასად.

უცხოური ვალუტით ვაჭრობის ოპერაციები განეკუთვნება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საშუამავლო საქმიანობას. ამ მიმართულებით ბანკის ამოცანაა მისცეს კლიენტებს საშუალება მოახდინონ მათი აქტივების ერთი ვალუტიდან მეორეში კონვერტირება.

კომერციული ბანკების არატრადიციულ ოპერაციებს განეკუთვნება ოპერაციები, რომელთა შესრულება შეუძლიათ სხვა ორგანიზაციებსაც:

- საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება;
- რწმუნებითი (სატრასტო) ოპერაციები;
- ლიზინგური ოპერაციები;
- ფაქტორინგული ოპერაციები;

- გარანტიებისა და თავდებობების გაცემა;
- საინკასაციო მომსახურება და სხვ.

აქტიური ოპერაციები ხორციელდება კომერციული ბანკების მიერ მოგების მიღების მიზნით ერთდროულად ბანკის ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნებისას და რისკების ოპტიმალური განაწილებისას ცალკეული სახის ოპერაციაზე. ამ მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობა ბანკებს აიძულებს, თავიანთი აქტივების ნაწილი განათავსონ დაბანდებებში, რომელთაც არ მოაქვთ შემოსავალი.

კომერციული ბანკის ფუნქციონირება ემყარება განსაზღვრული მიზნების მიღწევას, რომელთაგანაც მთავარია რენტაბელობა. ამრიგად, კომერციული ბანკის საქმიანობის წამყვან მოტივს წარმოადგენს, შეძლებისდაგვარად, დიდი მოგების მიღწევა, თუმცა ბანკისათვის სულერთი არ არის, თუ რა გზითაა იგი მიღებული.

მოთხოვნილება ბანკის საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფასა და განვითარებაზე მოითხოვს ისეთი აქტივების არსებობას, როგორიცაა საბანკო შენობები და აღჭურვილობა, ინვესტიციები ფილიალებში და ა.შ. დასახული ამოცანების მიხედვით ბანკის აქტიური ოპერაციები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ოპერაციები, რომლებიც მიმართულია ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებაზე განსაზღვრულ დონეზე;

მათ განეკუთვნება:

- ფულადი სახსრები ბანკის სალაროში;
- სახსრების ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე;
- დეპოზიტები სხვა კომერციულ ბანკებში.

2. ოპერაციები, რომლებიც მიმართულია საბანკო მოგების მიღებაზე; მათ განეკუთვნება:

- ფისკურ და იურიდიულ პირთა დაკრედიტება;
- ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში;
- დაბანდებები საინვესტიციო პროექტებში;
- უცხოური ვალუტით ვაჭრობის ოპერაციები.

აქტიური ოპერაციების განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო რისკებსა და მათ განაწილებას. ამასთან დაკავშირებით დაუშვებელია ჭარბი კონცენტრაცია აქტიური ოპერაციების რომელიმე ერთ სახეზე.

კომერციული ბანკის საქმიანობა უნდა აიგოს შემდეგ მოთხოვნათა შესრულებაზე:

- უფრო იაფად შეიძინოს კაპიტალი (გადაიხადოს შეძლებისდაგვარად უფრო დაბალი საპროცენტო განაკეთი);
- უფრო ძვირად გაყიდოს კაპიტალი და მომსახურება, მიიღოს უფრო მაღალი საპროცენტო განაკეთი;
- დანაკარგების რისკი შეამციროს საიმედო პარტნიორთა შერჩევისა და გარანტიების მიღების, აგრეთვე, ოპერაციათა მრავალფეროვნებისა და სასესხო კაპიტალის სხვადასხვა ბაზრის ათვისების გზით.

კომერციული ბანკის ეფექტიანი საქმიანობა უკავშირდება საბანკო რეგულირებას, რომელშიც გულისხმობენ ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს კომერციული ბანკების სტაბილურ, უსაფრთხო ფუნქციონირებას. კომერციული ბანკების საქმიანობამ არ უნდა მიიყვანოს ისინი გაკოტრებამდე, კლიენტების დაკარგვამდე, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მთელ ეკონომიკაზე. საბანკო საქმიანობის რეგულირებას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- კაპიტალის ადეკვატურობა (შეფარდება საკუთარ სახსრებსა და ჯამურ აქტივებს შორის);
- აქტივების ხარისხი რისკის, ლიკვიდობის და ა.შ. თვალსაზრისით;
- მენეჯმენტის ხარისხი (მმართველთა კვალიფიკაცია);
- ლიკვიდურობა, ანუ ბანკის უნარი, სწრაფად და უმტკივნეულოდ შეასრულოს თავისი ვალდებულებები (ლიკვიდური და სხვა აქტივების შეფარდება);
- რენტაბელობა.

კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტებია:

kk1 **(პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი)** – ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა;

kk2 **(საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი)** – ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა;

sk1 **(ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5 პროცენტს;

sk2 **(ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;

sk3 **(ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტს;

sk4 **(ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;

sk5 **(მსხვილი სესხების კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;

sk6 **(საბლანკო სესხების კოეფიციენტი)** – ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25 პროცენტს;

lk **(საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი)** – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 20 პროცენტისა;

ik1 **(წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი)** – იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს;

ik2 **(ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი)** – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70 პროცენტს;

pl1 **(საბალანსო ანგარიშების საერთო ღია სავალუტო პოზიცია)** – ბანკის საბალანსო ანგარიშების საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს;

pl2 **(კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი)** – ბანკის კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს.

თავი II. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციები და გირაოს მართვა

2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების არსი, აუქციონის წესი და რეფინანსირების სესხების ოპერაციები

ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციები მოიცავს საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიას, ღია ბაზრის ოპერაციებს, სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციებს, სავალუტო აუქციონის ოპერაციებს. ეროვნული ბანკი ახორციელებს მონეტარულ ოპერაციებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ეროვნული ბანკი ადგენს მონეტარული ოპერაციების პარამეტრებს, მათ შორის: ოპერაციების მოცულობას, მინიმალურ და/ან მაქსიმალურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საპროცენტო განაკვეთებს და/ან ვალუტის კურსს, ინსტრუმენტების ვადიანობას, საერთო მოცულობას ან ინდივიდუალურ ლიმიტებს (საჭიროების შემთხვევაში), სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან. მონეტარულ ოპერაციებს ეროვნული ბანკი ახორციელებს ეროვნული ვალუტით და საქართველოში მოქმედ რეზიდენტ კომერციულ ბანკებთან და არარეზიდენტი ბანკების ფილიალებთან (შემდგომში ბანკები), რომელთაც შესაბამისი ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში.

მონეტარული ოპერაციები, რომელიც ითვალისწინებს ბანკებისათვის სესხის გაცემას, ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი უზრუნველყოფით. მონეტარული ოპერაციების უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი აქტივების სახეობებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს სასესხო დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში,

ეროვნული ბანკი იწყებს სესხის უსრუნველყოფაში მყოფი აქტივების გასხვისებას მის მიერ დადგენილი წესით.

მონეტარული ოპერაციების ჩატარების შესახებ ეროვნული ბანკი შეტყობინებას აგზავნის ბანკებთან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება ბანკებს ეცნობებათ არა უგვიანეს ერთი საბანკო დღით ადრე, თუკი ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბანკების მიერ მონეტარული ოპერაციების განხორციელების შესაბამისი განაცხადების წარდგენა ეროვნულ ბანკში ხდება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის ან „სვიფტის“ ავტორიზებული შეტყობინების მეშვეობით. განაცხადის წარდგენის საშუალების შესახებ ეროვნული ბანკი წინასწარ აცნობებს ბანკებს. იმ შემთხვევაში, თუკი ეროვნული ბანკი უარს განუცხადებს ბანკს სესხის გაცემაზე, ამის შესახებ ბანკს ეცნობება იმავე საშუალებით, რითაც მოხდა განაცხადის წარდგენა სესხის აღებაზე. თუ მონეტარული ოპერაცია ითვალისწინებს აუქციონის ჩატარებას, შედეგები აუქციონის მონაწილეებს ეგზავნებათ აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ ამ დებულებით სხვა არ არის გათვალისწინებული. შედეგები იგზავნება იმავე საშუალების გამოყენებით, რითაც მოხდა განაცხადების მიღება. ზოგადი ინფორმაცია აუქციონის შედეგების თაობაზე ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე აუქციონის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს აუქციონის ჩატარების დღის 18:00 საათისა.

განაცხადის გაგზავნით ბანკი ადასტურებს მონეტარული ოპერაციის განხორციელების გადაწყვეტილებას და ამ დებულებით დადგენილი წესების შესრულების ვალდებულებას. ეროვნული ბანკი არ განიხილავს/მიიღებს ისეთ განაცხადს, რომელიც დადგენილ დროზე გვიან არის წარდგენილი, ან არ შეიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას, ან მონაცემებს, რომელიც შეუსაბამოა გამოცხადებულ პარამეტრებთან. ბანკს უფლება აქვს აუქციონის დაწყებამდე გამოგზავნილი ძველი განაცხადი გააუქმოს და/ან გაითხოვოს, ხოლო მის ნაცვლად წარადგინოს ახალი განაცხადი. დაუშვებელია აუქციონის დაწყების შემდეგ განაცხადის შეცვლა ან უკან გათხოვა.

მონეტარული ოპერაციების წარმოებას ახორციელებს ეროვნულ ბანკში შექმნილი საბაზრო ოპერაციების ჯგუფი. ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში საბაზრო ოპერაციების ჯგუფს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მონეტარული ოპერა-

ციების განხორციელების დროის შეცვლის შესახებ, კერძოდ, აუქციონზე განაცხადების მიღების, აუქციონის ჩატარების და შედეგების დაგვიანების დროის შეცვლის შესახებ. თუ ტექნიკური პრობლემები საფრთხეს უქმნის გამოცხადებული აუქციონის გამართულად ჩატარებას, ეროვნულ ბანკს შეუძლია მოახდინოს გამოცხადებული აუქციონის გაუქმება. ეროვნულ ბანკს შეუძლია მის ვებ-გვერდზე განთავსებული აუქციონის გაუქმების შესახებ ინფორმაციის გარეშე გააუქმოს დანიშნული აუქციონი განაცხადების წარდგენის დაწყებამდე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკებს იმავე საშუალებით, რითაც მოხდა აუქციონის გამოცხადება. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ოპერაციები ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, ამ დებულებისა და აღნიშნული სისტემების წესების შესაბამისად.

თუ ბანკის ანგარიშსწორებისა და საკორესპონდენტო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა ბანკის მიერ ეროვნული ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მონეტარული ოპერაციების აუქციონის წესი - ეროვნული ბანკი მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება იყენებდეს აუქციონის მეთოდს. აუქციონები ტარდება მრავალი ფასის მეთოდით. აუქციონის მეთოდით მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას, ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ დებულებით დადგენილი წესის დაცვით.

აუქციონზე ვაჭრობა შესაძლებელია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტებით:

- ფასიანი ქაღალდები;
- რეფინანსირების სესხი;
- უცხოური ვალუტა სპოტი.

გაყიდვის აუქციონებს განეკუთვნება:

- რეფინანსირების სესხის აუქციონი;
- სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიის აუქციონი;
- ფასიანი ქაღალდების გაყიდვის აუქციონი;
- უცხოური ვალუტის გაყიდვის აუქციონი.

ყიდვის აუქციონებს განეკუთვნება:

- ფასიანი ქაღალდების ყიდვის აუქციონი;

- უცხოური ვალუტის ყიდვის აუქციონი.

აუქციონზე გამარჯვებული განაცხადების გამოვლენა ხდება შემდეგი წესის დაცვით:

◆ გაყიდვის აუქციონზე დაშვებული განაცხადები დალაგდება:
– ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით;
– რეფინანსირების სესხის შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით;
– სავალუტო აუქციონის შემთხვევაში – უცხოური ვალუტის ფასის კლების მიხედვით.
◆ ყიდვის აუქციონზე დაშვებული განაცხადები დალაგდება:
– ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით;
– სავალუტო აუქციონის შემთხვევაში – უცხოური ვალუტის ფასის ზრდის მიხედვით.

პირველ რიგში დაკმაყოფილდება სიის დასაწყისში მყოფი განაცხადი, ხოლო შემდეგ – ყოველი მომდევნო განაცხადი და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დალაგებული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება აუქციონის თანხას ან განაცხადში მითითებული ფასი ან საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბრდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზღვრულ (მინიმალურ ან მაქსიმალურ) ფასს ან საპროცენტო განაკვეთს.

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის ან ფასის მქონე რამდენიმე განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ გაუნაწილებელი ფინანსური ინსტრუმენტების ოდენობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით.

აუქციონები ტარდება ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის შეტყობინებაში მითითებული პირობების შესაბამისად. აუქციონის შედეგების შესაბამისად ანგარიშსწორება ხორციელდება აუქციონის შეტყობინებაში მითითებულ დღეს.

რეფინანსირების სესხის ოპერაციები წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისათვის ფულადი რესურსის მიწოდებას საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვისა და ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით. ბანკებზე რეფინანსირების სესხს ეროვნული ბანკი გასცემს:

– აუქციონის წესით;
– აუქციონის გარეშე, წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:

◆ რეფინანსირების სესხის აუქციონის ჩატარების თარიღსა და დროს;
◆ აუქციონზე გამოტანილი რეფინანსირების სესხის საერთო მოცულობას;
◆ რეფინანსირების სესხის მინიმალურ წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
◆ რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
◆ რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
◆ რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას. რეფინანსირების სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:

– რეფინანსირების სესხის მოცულობა;
– რეფინანსირების სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი.

აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშსწორების ღღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისა, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული, რომელსაც წინასწარ ადგენს ეროვნული ბანკი და რომელიც წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის სპრედის ჯამს. თუ ეროვნული ბანკის მიერ ზედიზედ ნებისმიერი სამი კალენდარული თვის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ორ პროცენტულ პუნქტზე მეტად გაიზარდა, ამ ფაქტის დადგომიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში აუქციონის გარეშე აღებული და ჯერ დაუფარავი რეფინანსირების სესხის განახლებისათვის საპროცენტო განაკვეთი რჩება უცვლელი. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის ვადიანობა და, შესაბამისად, სესხის აღებისა და დაფარვის თარიღები იდენტურია აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღების. აუქციონის გარეშე

რეფინანსირების სესხის აღების შესახებ შეტყობინების არ დაგზავნის შემთხვევაში, ავტომატურად მოქმედებს აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ ეროვნული ბანკის ბოლო შეტყობინებით განსაზღვრული პირობები.

აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:

- რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
- რეფინანსირების სესხის წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
- რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
- რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას.

აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის განაცხადის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშწორების დღეს არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

რეფინანსირების სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქცეპტოდ, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე. რეფინანსირების სესხის დაფარვის დღეს, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობის გამო სესხის არდაფარვის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი სესხისათვის დადგენილი პროცენტი.

ბანკს ახალი სესხის აღება შეუძლია ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის დასაფარად, იმავე უზრუნველყოფის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ახალი სესხის თანხის ჩარიცხვისთანავე ამ თანხით დაიფარება უკვე არსებული სესხი.

დღის შიდა სესხს ეროვნული ბანკი გასცემს ბანკებზე საბანკო სისტემაში ლიკვიდობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

ბანკს შეუძლია ისარგებლოს დღის შიდა სესხით, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მუშეობით, ამ სისტემებში არსებული დღის შიდა ლიკვიდობის საშუალების გამოყენებით, შესაბამისი საოპერაციო საათების განმავლობაში, ამავე სისტემების

წესების შესაბამისად. დღის შიდა სესხის გამოყენების საჭიროებას განსაზღვრავს ბანკი, ეროვნული ბანკისაგან წინასწარი დასტურის გარეშე. დღის შიდა სესხით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი არ წესდება.

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საოპერაციო საათების განმავლობაში არ მოხდა ბანკის მიერ გამოყენებული დღის შიდა სესხის დაფარვა, იგი ავტომატურად გარდაიქმნება ამ დებულებით გათვალისწინებულ ერთდღიან სესხად.

ერთდღიანი სესხი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვრის რეგულირებას.

ერთდღიანი სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:

- ერთდღიანი სესხის საპროცენტო განაკვეთს;
- ერთდღიანი სესხის თანაფარდობას ერთდღიანი სესხის უზრუნველყოფასთან.
- ერთდღიანი სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას.

ბანკის მიერ სედის სესხად ხუთჯერ ან მეტჯერ ერთდღიანი სესხის გამოყენების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს უარი უთხრას ბანკს ერთდღიანი სესხის გაცემაზე.

ეროვნული ბანკი ერთდღიან სესხს გასცემს შემდეგ შემთხვევებში:

- ბანკის სასესხო განაცხადის საფუძველზე;
- ავტომატურად ბანკის სასესხო განაცხადის გარეშე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორებისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყო დღის შიდა სესხის დაფარვა. ერთდღიანი სესხის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისას დაუფარავი დღის შიდა სესხის ოდენობით. ერთდღიანი სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:
  ერთდღიანი სესხის აღების თარიღი და ერთდღიანი სესხის მოცულობა;

ერთდღიანი სესხის განაცხადის დროულად და სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, იმავე დღეს, არა უგვიანეს შესაბამისი

საოპერაციო საათების დასრულებამდე, ეროვნული ბანკი ერთდღიანი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკს უარი უთხრას ერთდღიანი სესხის გაცემაზე მიზეზის მითითების გარეშე, რის შესახებაც ბანკს აცნობებს იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოხდა განაცხადის წარდგენა. ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქცეპტოდ, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, არა უგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე. ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულების მომენტისათვის დაუფარაობის შემთხვევაში, ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისრება სესხის სრული თანხის 0.5 პროცენტის გადახდა, რომლის დაფარვის ოპერაციას ახორციელებს ეროვნული ბანკი, უაქცეპტოდ, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან. ერთდღიან სესხზე პროცენტი ბანკს დაერიცხება სესხის აღებისა და დაფარვის დღეებს შორის კალენდარული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

ერთდღიანი დეპოზიტი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ქვედა ზღვრის რეგულირებას. ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ ეროვნული ბანკი ბანკებს აცნობებს მათთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ინფორმაციის საშუალებებით ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე. ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსება ბანკს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ყოველ საბანკო დღეს, შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე. ეროვნულ ბანკში განსათავსებელი ერთდღიანი დეპოზიტის თანხის ოდენობას განსაზღვრავს ბანკი.

ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსებისათვის, შესაბამისი გადარიცხვის დავალებით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ბანკმა თანხა უნდა გადარიცხოს ეროვნულ ბანკში თავის ერთდღიანი დეპოზიტის ანგარიშზე. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მომდევნო საბანკო

დღეს, ანგარიშსწორებისათვის შესაბამისი საოპერაციო საათების დაწყებისთანავე. ერთდღიანი დეპოზიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს ეროვნული ბანკი ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ერთდღიან დეპოზიტზე პროცენტი ბანკს დაერიცხება დეპოზიტის განთავსებისა და დაბრუნების დღეებს შორის კალენდარული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრისა და სავალუტო აუქციონის ოპერაციები

ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი არის მოკლევადიანი სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ეროვნული ბანკი უშვებს საბანკო სისტემიდან ფულადი მასის ამოღებისათვის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება და რეგისტრაცია ხდება არამატერიალიზებული ფორმით.

სადეპოზიტო სერთიფიკატების გამოშვებასთან, რეგისტრაციასთან, გასხვისებასთან და დაგირავებასთან დაკავშირებული ოპერაციები აღირიცხება საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად. სადეპოზიტო სერტიფიკატების თითოეულ ემისიას ეროვნული ბანკი ანიჭებს ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერს და არეგისტრირებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში. სადეპოზიტო სერტიფიკატებისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი იქმნება შემდეგი 12 სიმბოლოსაგან:

- პირველი და მეორე სიმბოლო არის ქვეყანის საერთაშორისო კოდი GE;
- მესამე სიმბოლო არის ემიტენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის აღმნიშვნელი B;
- მეოთხე სიმბოლო არის ფასიანი ქაღალდის ტიპის აღმნიშვნელი, ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის, როგორც დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში D;

- მეხუთე და მეექვსე სიმბოლო არის სადეპოზიტო სერტიფიკატის დაფარვის წლის აღმნიშვნელი – დაფარვის წლის ბოლო ორი რიცხვი;
- მეშვიდე სიმბოლო არის სადეპოზიტო სერტიფიკატის დაფარვის თვის აღმნიშვნელი – 1-დან 9-ის ჩათვლით არის თვეები იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, A არის ოქტომბერი, B არის ნოემბერი, C არის დეკემბერი;
- მერვე და მეცხრე სიმბოლო არის სადეპოზიტო სერტიფიკატის დაფარვის დღის აღმნიშვნელი კალენდარული დღის რიცხვი;
- მეათე და მეთერთმეტე სიმბოლო არის სადეპოზიტო სერტიფიკატის ემისიის რიგითობის აღმნიშვნელი;
- მეთორმეტე სიმბოლო არის საკონტროლო ციფრი (გასაღები), რომელიც გამოითვლება წინა თერთმეტი მონაცემის გათვალისწინებით სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-6166 სტანდარტის შესაბამისად.

ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება არის 1000 ლარი.

სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება არა უმეტეს ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით. ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების გასხვისება ან დაგირავება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ან სხვა ბანკებთან. პირველად ბაზარზე სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით. პირველად ბაზარზე სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს აუქციონის ჩატარების შესახებ აცნობებს არა უგვიანეს ერთი საბანკო დღით ადრე.

სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო;
- ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ნომერი.
- ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
- ანგარიშსწორების დღე;
- ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადა;
- განაცხადის წარდგენის დრო და საშუალება.

სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე ბანკების განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 30 წუთით

ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.

ბანკის განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას და საპროცენტო განაკვეთს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების შესყიდვაზე ბანკის მიერ წარდგენილ განაცხადში სადეპოზიტო სერტიფიკატების რაოდენობა არ უნდა იყოს 100 ცალზე ნაკლები. ანგარიშსწორების დღეს, არა უგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ხდება აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, ბანკის ყველა განაცხადი უქმდება.

სადეპოზიტო სერტიფიკატების განთავსება ითვლება დასრულებულად ანგარიშსწორების დღეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისთანავე, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განხორციელდა აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების ეროვნული ბანკის ანგარიშწორების ანგარიშზე ჩარიცხვა და შესაბამისი მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატების რეგისტრაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში. სადეპოზიტო სერტიფიკატების დაფარვის დღეს, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხების ჩარიცხვა ხდება ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებზე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით. დაფარვის დღის არასაბანკო დღეზე დამთხვევის შემთხვევაში, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

ღია ბაზრის ოპერაციებით ეროვნული ბანკი ყიდის და ყიდულობს ფასიან ქაღალდებს ფულადი მასის რეგულირებისათვის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე. ღია ბაზრის ოპერაციების შედეგად ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშსწორება ხორციელდება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა

და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, ამაღე სისტემების წესების შესაბამისად. ეროვნული ბანკი ფასიან ქაღალდებს ყიდის და ყიდულობს მეორად ბაზარზე აუქციონის მეშვეობით.

აუქციონზე ბანკების განაცხადების წარდგენა იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 30 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.

ანგარიშსწორების დღეს, არა უგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ხდება აუქციონის შედეგების შესაბამისი ანგარიშსწორება.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ზემოხსენებული პირობის შესასრულებლად შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, ის განაცხადები, რომლის მიხედვითაც ვერ მოხდება ანგარიშსწორება, უქმდება.

დაფარვის დღის არასაბანკო დღეზე დამთხვევის შემთხვევაში, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

სავალუტო აუქციონის ოპერაციები. სავალუტო აუქციონი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე.

სავალუტო აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის აუქციონის ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 საათით ადრე.

სავალუტო აუქციონის შეტყობინება მოიცავს:

- სავალუტო აუქციონის ჩატარების თარიღს და დროს;
- აუქციონის ვალუტას;
- აუქციონის სახეს (ყიდვა/გაყიდვა);
- შესასყიდი ან გასაყიდი ვალუტის ოდენობას;
- საჭიროების შემთხვევაში მინიმალურ და/ან მაქსიმალურ კურსებს;
- ანგარიშსწორების თარიღს;
- განაცხადების მიღების დროს და საშუალებას.

ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო აუქციონზე შესასყიდი ან გასაყიდი ვალუტის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს არა უგვიანეს აუქციონის ჩატარების დღეს, განაცხადების მიღების დაწყებამდე.

სავალუტო აუქციონში გამარჯვებულ ბანკებთან ანგარიშსწორება ხდება T+1 წესით, აუქციონის შემდეგ იმ პირველ დღეს, როცა საქართველოში და აუქციონში გამოყენებული უცხოური ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში არის საბანკო დღე.

ბანკის მიერ სავალუტო აუქციონზე წარდგენილი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

- მოთხოვნილი ან მიწოდებული უცხოური ვალუტის მოცულობა.
- მოთხოვნის/მიწოდების ფასი (იმ ფორმატით, რა ფორმატითაც არის გამოსახული ოფიციალური გაცვლითი კურსი ამ ვალუტის მიმართ).

სავალუტო აუქციონზე თითო ბანკიდან დასაშვებია ერთი განაცხადის წარდგენა.

უცხოური ვალუტის გაყიდვის აუქციონის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს, დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, ეროვნული ბანკი, ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ახდენს თანხის ჩამოჭრას და ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე შესაბამისი ვალუტის ჩარიცხვას.

უცხოური ვალუტის შესყიდვის აუქციონის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს, დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, ეროვნული ბანკი, ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ახდენს უცხოური ვალუტის ჩამოჭრას და ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას.

თუ ბანკის შესაბამის ანგარიშზე ეროვნულ ბანკში, სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღეს, RTGS სისტემის მეორე შუადღემდე არ აღმოჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს. თუ სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღის ვალუტირების თარიღით, ანგარიშსწორების ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში საბანკო დღის ბოლომდე არ მოხდება სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე, ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო სავალუტო აუქციონზე დაკმაყოფილებული თანხის 2 პროცენტი. თუ ბანკის შესაბამის ან-

გარიშზე ეროვნულ ბანკში, საველუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღის მომდევნო საბანკო დღეს, RTGS სისტემის მეორე შეზღუდვამდე არ აღმოაჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, საველუტო აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადი ჩაითვლება ბათილად.

პირგასამტეხლოს თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, ხოლო თუ თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის აშშ დოლარის და/ან სხვა უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშიდან. პირგასამტეხლოს თანხის გაანგარიშებისას და გადახდისას გამოიყენება იმ დღეს მოქმედი ოფიციალური კურსები.

2.3. მონეტარული ოპერაციების გირაოს მართვა, ფასიანი ქაღალდები, სასესხო აქტივები, აკრძალული ქმედებები და ბანკის ვალდებულებები

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკის მიერ ბანკებზე გაცემული სესხები უზრუნველყოფილ უნდა იყოს აქტივებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოსაყენებელი საერთაშორისო საბანკო გარანტიებისა და სასესხო აქტივების რეესტრს აწარმოებს ეროვნული ბანკი, რისთვისაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში თითოეული უზრუნველყოფის ხელშეკრულებისა და თითოეული საერთაშორისო საბანკო გარანტიების მიხედვით ქმნის არამიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის ანალოგიურ ტექნიკურ საშუალებას, რომლის ღირებულება შეესაბამება უზრუნველყოფის ხელშეკრულებისა და საერთაშორისო საბანკო გარანტიის თანხას ლარებში. არამიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის ანალოგიური ტექნიკური საშუალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციებისათვის. სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს კომერციული ბანკის მიერ ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების დაუფარაობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ახორციელებს სესხის უზრუნველყოფაში არსებული აქტივის რეალიზაციას ან საკუთრებაში მიღებას და რეალიზაციას ეროვნუ-

ლი ბანკის მიერ დადგენილი წესით. სესხის უზრუნველყოფაში არსებული აქტივის რეალიზაციის თანხიდან ეროვნული ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ, დარჩენილი ნამეტი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უბრუნდება კომერციულ ბანკს. თუ დასაკუთრებული აქტივის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა არ იქნა საკმარისი ეროვნული ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების სრულად დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდები. ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველყოფად გამოყენების მიზნით, ფასიანი ქაღალდები უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. ბანკის მიერ ეროვნული ბანკისათვის სესხის დაუფარაობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციას ეროვნული ბანკი ახორციელებს აუქციონის მეშვეობით, ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ფასიანი ქაღალდების აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ ბანკებს.

თუ ეროვნული ბანკის მიერ დასაკუთრებულია სხვადასხვა ფასიანი ქაღალდი, აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ცალ-ცალკე ლოტებად სხვადასხვა სახისა და ვადის ფასიანი ქაღალდის მიხედვით. ფასიანი ქაღალდების აუქციონის შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის ფასიანი ქაღალდების საკუთრებაში მიღების ან რეალიზაცის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დღეს.

ფასიანი ქაღალდების აუქციონის შეტყობინება მოიცავს:

- ფასიანი ქაღალდის სახესა და რეგისტრაციის ნომერს;
- ფასიანი ქაღალდის რაოდენობას და ნომინალურ ღირებულებას;
- ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე დარჩენილი დღეების რაოდენობას;
- აუქციონის ჩატარებისა და განაცხადების წარდგენის თარიღსა და დროს;
- აუქციონის ჩატარების საშუალებას;
- ანგარიშსწორების ვადებს;
- ეროვნული ბანკის შეხედულებისამებრ, მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. აუქციონში თითოეული ბანკის მიერ წარსადგენი განაცხადების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ბანკი აუქციონის განაცხადში უთითებს შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას და საპროცენტო განაკვეთს.

იმ შემთხვევაში თუ აუქციონზე არ იქნა წარდგენილი განაცხადები არა უგვიანეს შემდეგი საბანკო დღისა, ეროვნული ბანკი აცხადებს ახალ აუქციონს.

თუ ბანკი ვერ უზრუნველყოფს აუქციონზე დადებული გარიგების მიხედვით ანგარიშსწორებას დადგენილ ვადებში, მისი ყველა განაცხადი უქმდება და:

- კმაყოფილდება დასრულებულ აუქციონზე წარდგენილი ის განაცხადები, რომელშიც საპროცენტო განაკვეთები უფრო დაბალია სხვა განაცხადებთან შედარებით;
- ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო აუქციონზე დადებული გარიგების 5%-ის ოდენობით.

აუქციონის მეშვეობით გაყიდული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული თანხები მიმართული იქნება ბანკის სასესხო დავალიანების შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად.

საერთაშორისო საბანკო გარანტია - ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველყოფად გამოყენების მიზნით, გარანტია უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიები უზრუნველყოფად გამოყენების მიზნებისათვის აღირიცხება ლარებში და მათი ღირებულების გადაფასება ხდება ყოველკვირეულად, ოთხშაბათობით (ან წინა სამუშაო დღეს, თუ ოთხშაბათი არის დასვენების დღე), გადაფასების დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკის მიერ წარდგენილი გარანტიის შედარებას დადგენილ კრიტერიუმებთან და შესაბამისობის შემთხვევაში აკეთებს ჩანაწერს შესაბამის რეესტრში. უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიის შემთხვევაში, რეესტრში ჩანაწერის გაკეთებისას ეროვნული ბანკი იყენებს იმ დღეს მოქმედ ოფიციალურ გაცვლით კურსს. ბანკის მიერ სესხის დაუბრუნებლობისას, სასესხო დავალიანების დაფარვის მიზნით, ეროვნული ბანკი გარანტთან წარადგენს მოთხოვნას გარანტიით გათვალისწინებული ფორმით, გარანტიის სრულად ან ნაწილობრივ ამოქმედების შესახებ. უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიის ამოქმედების შემთხვევაში, გარანტისგან გარანტიის თანხის მოთხოვნა ხდება დაუბრუნებელი სესხის გაცემის დღეს გარანტიის გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსით.

სასესხო აქტივები – არა უგვიანეს ყოველი კალენდარული თვის 10 რიცხვის მომდევნო სამშაბათისა (ან წინა საბანკო დღეს, იმ შემ-

თხვევაში, თუ აღნიშნული სამშაბათი იქნება არასაბანკო დღე), ბანკი, რომელსაც სურვილი აქვს საკუთარი სასესხო აქტივები გამოიყენოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ ბანკს დოკუმენტური და ელექტრონული სახით წარუდგენს შესაბამისი სესხების მონაცემებს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმატით.

ეროვნული ბანკი ახორციელებს სესხებზე წარდგენილი მონაცემების შემოწმებას დადგენილ კრიტერიუმებთან მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიითა და სიხშირით. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად ბანკის სასესხო აქტივის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაითვალისწინოს:

- ბანკის მიერ გაცემული სესხების ხარისხის ადეკვატურობა;
- ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ხარისხისა და პრაქტიკის ადეკვატურობა;
- ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობა.

ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გარდა, ბანკის სასესხო აქტივების ხარისხის ადეკვატურობის შეფასებისას, განხილვისა და ანალიზის ძირითად საგანს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები:

- ბიზნეს სესხების შემთხვევაში:
  - აქტივების კაპიტალთან მიმართების – ლევერაჯის კოეფიციენტი;
  - სესხის მომსახურების კოეფიციენტი;
  - სესხის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
  - ლიკვიდობის კოეფიციენტი;
  - მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი;
  - ებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი;
  - მომგებიანობის კოეფიციენტები;
- საცალო სესხების შემთხვევაში, შემოსავლის ანიუტეტთან ფარდობის კოეფიციენტი.

ბანკი პასუხისმგებელია მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოსაყენებელი სასესხო აქტივების შესახებ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი ინფორმაციის ნამდვილობაზე.

ეროვნული ბანკი ბანკთან ერთად საჯარო რეესტრში არეგისტრირებს სასესხო აქტივების უზრუნველყოფის ხელშეკრულებას და მისგან გამომდინარე უფლება-ვალდებულებებს. ბანკის სასესხო აქტივების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესაბამისი პროცე-

დურების დასრულების შემდეგ, ეროვნული ბანკი განახორციელებს მათ შესახებ ინფორმაციის შეტანას ეროვნული ბანკის შესაბამის რეესტრში. სასესხო აქტივების რეესტრში არ შეიტანება სასესხო აქტივების ძირითად თანხაზე მისაღები პროცენტების თანხა. თუ უსრუნველყოფის პორტფელის განახლების დღეს ბანკი არ წარადგენს განაცხადს უსრუნველყოფის ხელშეკრულების განახლებაზე, ეროვნული ბანკი ბანკს შეუჩერებს სასესხო აქტივების უსრუნველყოფის პორტფელში გამოყენების უფლებას, ახალი ხელშეკრულების ხელმოწერამდე. იმ შემთხვევაში, თუ უსრუნველყოფის ხელშეკრულების განახლების დღის დადგომამდე, ბანკის რომელიმე სასესხო აქტივი აღარ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და/ან მოხდა სესხის მთლიანად დაფარვა, და/ან მოსალოდნელია ისეთი ცვლილებები, რომელიც გამოიწვევს ბანკის უსრუნველყოფის პორტფელის სასესხო აქტივების თანხობრივი მოცულობის 10% და/ან მეტი პროცენტით ცვლილებას, ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნულ ბანკს.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სასესხო აქტივების რეესტრში ნებისმიერ დროს შეიტანოს კორექტირება ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის და/ან ეროვნული ბანკის ხელთ არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაციის საფუძველზე. ბანკი უფლებამოსილია, ჩაანაცვლოს დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამო და/ან დაფარული სესხი მის მიერ წარდგენილი სხვა სესხით, რომელიც აკმაყოფილებს იმ დროისათვის მოქმედ კრიტერიუმებს.

უსრუნველყოფის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება იმავე პროცედურით, რაც გათვალისწინებულია უსრუნველყოფის ხელშეკრულების თავდაპირველი რეგისტრაციისას. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უსრუნველყოფის პორტფელის შემცირება განპირობებულია სასესხო აქტივის დაფარვით, უსრუნველყოფის პორტფელის შემცირება ეროვნული ბანკის მიერ მოხდება პორტფელში შემავალი აქტივების ეროვნული ბანკის სესხების უსრუნველსაყოფად ფაქტიური გამოყენების გათვალისწინებით. უსრუნველყოფის ხელშეკრულებით უსრუნველყოფის პორტფელში მოთავსებული სასესხო აქტივების გამოყენების შესაძლებლობა ძალაში შედის უსრუნველყოფის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღის მომდევნო საბანკო დღიდან.

აკრძალული ქმედებები და ბანკების ვალდებულებები ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც

იყი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე. აგრეთვე, ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.

ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, რეფინანსირების სესხებისა და სავალუტო აუქციონებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ბანკებს ეკრძალებათ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმდნენ კონკრეტული აუქციონისთვის საკუთარი განაცხადების თაობაზე;
- აუქციონის დამთავრებამდე ერთმანეთს აცნობონ ინფორმაცია საკუთარი განაცხადების შესახებ;
- კონკურენტი ბანკების ინსაიდერული ინფორმაციის ან მათგან მიღებული სხვა ინფორმაციის გამოყენებით განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომლებიც აუქციონზე მათ ჩააყენებს დაუმსახურებელ უპირატეს მდგომარეობაში სხვა მონაწილეებთან და/ან მესამე პირებთან შედარებით;
- აუქციონზე გააკეთონ განაცხადები ერთმანეთის ნაცვლად და/ან ერთმანეთის სასარგებლოდ;

ბანკებს ეკრძალებათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ჩაერთონ მეორად ბაზარზე ისეთ სავაჭრო გარიგებებში, რომლებიც მიმართულია კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტზე ფასებისა და საპროცენტო განაკვეთების მანიპულირებისაკენ. ეროვნული ბანკის მიერ სემოხსენებული ქმედებების აღმოჩენის ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე, თავის შეხედულებისამებრ, ბანკი გარკვეული დროით აღარ დაუშვას ეროვნული ბანკის აუქციონებზე.

თავი III. საკრედიტო ორგანიზაციების პასიური და აქტიური ოპერაციები

3.1. საკრედიტო ორგანიზაციების საკუთარი სახსრები, მათი ფორმირება

ბანკის პასიური ოპერაციები არის ოპერციების (ხერხების, წესების, მეთოდების) ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით ბანკის რესურსების ფორმირება ხორციელდება. ასეთი ოპერაციების შედეგად პასიურ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გაღიდება მიმდინარეობს.

პასივების ფორმირება ნებისმიერი კომერციული ბანკის საბაზო ამოცანაა. პასიური ოპერაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სწორედ მათი მეშვეობით ბანკები აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად რესურსების შექმნას ახორციელებენ.

კომერციული ბანკების პასიური ოპერაციების ოთხ ფორმას განასხვავებენ:

1) შენატანები ბანკის საწესდებო ფონდში (აქციების ან პაების გაყიდვა მათი პირველი მფლობელების მიერ);
2) მოგების მიღება ბანკის მიერ, აგრეთვე, ბანკის მიერ მისი საქმიანობის მსვლელობისას შექმნილი ფონდების ფორმირება და გადიდება;
3) დეპოზიტური ოპერაციები (ბანკის კლიენტებისგან რესურსების მიღება);
4) არადეპოზიტური ოპერაციები (ცენტრალური ბანკიდან და ფულად ბაზარზე რესურსების მიღება).

სხვადასხვა ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურა ერთგვაროვანი არ არის. ის მოიცავს:

1) საწესდებო კაპიტალს;
2) სარეზერვო ფონდის სპეციალური დანიშნულების ფონდებს და ბანკის სხვა ფონდებს;
3) გაუნაწილებელ მოგებას.

ბანკების მიერ პასიური ოპერაციების ჩატარების შედეგად წარ-

მოიქმნება საბანკო რესურსები. მათ განეკუთვნება ბანკების საკუთარი, მოზიდული და ნასესხები სახსრები. პასიური ოპერაციების ნატარების შედეგად წარმოქმნილი საბანკო რესურსები აისახება ბალანსის პასივში და გამოიყენება შემოსავლის მიღების მიზნით აქტიური ოპრაციების ნასატარებლად.

ბანკის *საკუთარი სახსრების* ქვეშ იგულისხმება საკუთარი კაპიტალი, მიმდინარე და გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება და სხვადასხვა ფონდი, რომლებიც შექმნილია ბანკის მიერ მისი ფინანსური მდგრადობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ბანკის საკუთარი სახსრების ძირითადი დანიშნულებაა საკუთარი მეანაბრეების წინაშე ბანკის ვალდებულებათა უზრუნველყოფა.

საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის, მათ შორის ბანკის შექმნისა და წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

ბანკის საკუთარი კაპიტალი ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას:

- დაცვითს;
- ოპერატიულს;
- მარეგულირებელს.

დაცვითი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ბანკის გაკოტრების შემთხვევაში საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ლიკვიდობის გარანტს და მეანაბრეთა ინტერესების დაცვის წყაროს. საკუთარი კაპიტალი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და ზარალის დასაფარად. ამრიგად, დაცვითი ფუნქცია ნიშნავს:

- კომპენსაციების გადახდის შესაძლებლობას ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- საკრედიტო, საპროცენტო და სავალუტო რისკების დასაფარად შექმნილი რეზერვების ხარჯზე ბანკის გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას;
- ბანკის საქმიანობის გაგრძელებას ზარალის წარმოქმნის საფრთხის მიუხედავად.

საკუთარი კაპიტალის *ოპერატიული ფუნქცია* გულისხმობს ბანკის საქმიანობის ფინანსური საფუძვლის უზრუნველყოფას. ის ითვლება მეორეხარისხოვნად, ვინაიდან მოზიდული სახსრები წარმოადგენს აქტიური ოპერაციების ძირითად რესურსებს, ხოლო საკუთარი კაპი-

ტალი აუცილებელია საბანკო ლიცენზიის მისაღებად და საბანკო ოპერაციების დასაწყებად.

ბანკის საკუთარი კაპიტალის *მარეგულირებელი ფუნქცია* დაკავშირებულია საზოგადოების დაინტერესებასთან საბანკო სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებაში. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრალური ბანკი ესწრაფვის უზრუნველყოს საბანკო სისტემის მდგრადობა, როგორც უმთავრესი პირობა მთლიანად ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამისათვის ცენტრალური ბანკი ყველა ბანკს სავალდებულო ნორმატივებს უწესებს. ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატივების უმეტესობის გაანგარიშება საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლის ბაზაზე ხდება.

საწესდებო კაპიტალის ფორმირება ხდება სხვადასხვაგვარად, საკრედიტო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით (საქართველოში კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით).

თუ ბანკი შექმნილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მაშინ მას აქვს საწესდებო კაპიტალი შედგენილი მისი მონაწილეთა წილებისაგან, რომელთა ოდენობაც განისაზღვრება სადამფუძნებლო დოკუმენტებით. ამასთან, საკრედიტო ორგანიზაციის მონაწილეები პასუხს აგებენ მის ვალდებულებებზე თავისი წილის ფარგლებში. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მონაწილის წილის ოდენობა განისაზღვრება პროცენტულად ან წილადის სახით.

სააქციო საზოგადოების სახით შექმნილი ბანკის საწესდებო კაპიტალი, ყალიბდება აქციების ემისიის მეშვეობით.

აქცია არის სახელობითი ემისიური ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს (აქციონერს) აძლევს უფლებას:

- მიიღოს სააქციო საზოგადოების მოგების ნაწილი დივიდენდების სახით;
- მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში;
- ქონების ნაწილზე, რომელიც რჩება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ.

არსებობს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები.

ჩვეულებრივი აქცია აძლევს მის მფლობელს – ბანკის აქციონერს:

- აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლებით მისი კომპეტენციის ყველა საკითხში;
- დივიდენდების მიღების უფლებას ბანკის წმინდა მოგების შესაბამ-

ისად, რომელიც რჩება პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გაცემის შემდეგ.

პრივილეგირებული აქცია არ აძლევს მის მფლობელს – ბანკის აქციონერს ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. ასეთი აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან/და საemისიო პროსპექტით. ბანკის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს პრივილეგირებული აქციების კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში მათი მფლობელი აქციონერების მოთხოვნით. პრივილეგირებული აქციების კონვერტაცია ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, აქციების გარდა, არ დაიშვება.

ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში პრივილეგირებული აქციის თანხა (წილის შესაბამისად) გასტუმრებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი აქციის თანხის გადახდამდე.

არსებობს პრივილეგირებული აქციების რამდენიმე სახე:

1. უვადო პრივილეგირებული აქცია ისეთი აქციაა, რომელსაც არა აქვს კონკრეტული ვადა და რომლის მფლობელს არა აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ასეთი აქციის რაიმე ფორმით უკან გამოსყიდვა;
2. არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქცია ისეთი უვადო პრივილეგირებული აქციაა, რომელზეც არ ხდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება.

აქციების emისიის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;
2. აქციების გამოშვების (დამატებითი გამოშვების) შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებას;
3. აქციების გამოშვების (დამატებითი გამოშვების) სახელმწიფო რეგისტრაციას;
4. აქციათა განთავსებას;
5. აქციების გამოშვების (დამატებითი გამოშვების) შედეგების შესახებ ანგარიშის სახელმწიფო რეგისტრაციას.

აქციების emისიის პროცესში სახსრების აკუმულირება საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება emიტენტი ბანკის მიერ დაგროვებითი ანგარიშის გახსნის გზით.

კაპიტალის საკმარისი დონის შენარჩუნება არის საბანკო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთი პირობა. თუმცა საკმაოდ რთულია საკუთარი კაპიტალის იმ ოპტიმალური მოცულობის ზუსტი განსაზღვრა, რაც უნდა გააჩნდეს ბანკს ან მთლიანად საბანკო სისტემას. ბან-

კის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

ბანკის ადეკვატურობის კოეფიციენტებს განეკუთვნება პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი.

დებულებით – „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ", ბანკის კაპიტალი ბანკისათვის არის საბანკო საქმიანობის განხორციელებისა და მისი სტაბილური ზრდის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალება, ბანკის ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის დაფარვის ძირითადი წყარო.

ბანკის კაპიტალის მიზანია:

- უზრუნველყოფილ იქნეს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა, საბანკო საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, რათა ბანკის ფინანსური დანაკარგების, ზარალისა და გაკოტრების შედეგებით გამოწვეული პროცესები არ გავრცელდეს სხვა ბანკებზე, არ მიიღოს სისტემური ხასიათი და მინიმუმადე იქნეს დაყვანილი სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს საბანკო საქმიანობის განხორციელება, გაიზარდოს საბანკო ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე სამომავლოდ. ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას.

ბანკის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების ძირითადი კომპონენტია კაპიტალის ადეკვატურობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განმსაზღვრელი სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები, ეს არის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი.

პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან,

რომლის მიხედვით ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა.

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა.

საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ხარალის განეიტრალების და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის.

ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალისაგან და უდრის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამს, გამოკლებული საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა.

საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება მასში შემავალი კომპონენტები მთლიანი ღირებულებით, გარდა პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების, რომლებიც აიღება წმინდა ღირებულებით.

ბანკის პირველადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო და უდრის პირველადი კაპიტალის შემადგენელი კომპონენტების თანხობრივ ჯამს, გამოკლებული პირველადი კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების თანხობრივი ჯამი.

პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
- არააკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
- აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
- სარეზერვო ფონდი, რომლებიც შექმნილი უნდა იყოს წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, ბანკის განკარგულებაშია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოშობილი ხარალის დასაფარავად;
- წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

პირველადი კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა;
- არამატერიალური აქტივები.

ბანკის მეორადი კაპიტალი წარმოადგენს საზედამხედველო კაპი-

ტალის დამატებით წყაროს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- მიმდინარე წლის მოგება (სარალი);
- მიზნობრივი ფონდები;
- საერთო რეზერვები, არა უმეტეს საკრედიტო და საბანკო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ის ოდენობისა;
- პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით, გარდა პირველად კაპიტალში ასახული არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციებისა;
- ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი, იმ პირობით, თუ იგი სრულად აკმაყოფილებს სუბორდინირებული ვალის შინაარსს და თუ ასეთი ვალის ბანკის აქციებში კონვერსიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებით;
- სუბორდინირებული ვალი, მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვალის 20 პროცენტით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უსრუნველყოფისა და გამოყენების შეზღუდვების გარეშე და რომელიმე მხარის მიერ ასეთი სუბორდინირებული ვალის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და თუ ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებაში.

საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში;
- არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში.

პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს.

თუ ამ დებულების პირობების გათვალისწინების შემდეგ სუბორდინირებული ვალის (ვალების) თანხობრივი მოცულობა შეადგენს პირველადი კაპიტალის 50 პროცენტზე მეტს, სუბორდინირებული ვალის (ვალების) თანხობრივი მოცულობიდან მეორადი კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50 პროცენტის შესაბამისი თანხისა.

თუ მეორადი კაპიტალი შეადგენს პირველადი კაპიტალის 100 პროცენტზე მეტს, მეორადი კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 100 პროცენტის შესაბამისი თანხისა.

3.2. სადეპოზიტო ოპერაციები და დაზღვევა

საკრედიტო ორგანიზაციის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მისი რესურსების ძირითადი ნაწილი ყალიბდება არა საკუთარი, არამედ მოზიდული (ნასესხები) სახსრების ხარჯზე. მოზიდული სახსრები ფარავს ბანკის ფულად სახსრებზე მთელი მოთხოვნილების 90%-მდე. კომერციულ ბანკს საშუალება აქვს მოიზიდოს საწარმოების, ორგანიზაციების, მოსახლეობისა და სხვა ბანკების სახსრები დეპოზიტების (ანაბრების) ფორმით.

დეპოზიტი (ანაბარი) არის ფულადი სახსრები (ნაღდი ან უნაღდო ფორმით, ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში), რომლებიც გადაცემულია ბანკში მათი მესაკუთრის მიერ შესანახად განსაზღვრული პირობებით. სიტყვა „დეპოზიტი“ წარმოქმნილია ლათინური ენიდან და ნიშნავს „შესანახად გადაცემულ ნივთს“.

ბანკებისათვის ანაბრები აქტიური საკრედიტო ოპერაციების ძირითად რესურსს წარმოადგენს. ურთიერთობას მხარეებს შორის აწესრიგებს სადეპოზიტო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც ერთი მხარე (ბანკი), რომელმაც მიიღო მეორე მხარისაგან (მეანაბრისაგან) ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ფულადი თანხა (ანაბარი), ვალდებულებას იღებს, დააბრუნოს ანაბრის თანხა და გადაიხადოს მასზე პროცენტები ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

დეპოზიტები შეიძლება კლასიფიცირდებოდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, თუმცა ძირითადია:

- მეანაბრის კატეგორია;
- სახსრების მიღების ფორმა.

მეანაბრის კატეგორიის მიხედვით დეპოზიტებს ყოფენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დეპოზიტებად.

დეპოზიტის გაცემის ვადისა და წესის მიხედვით როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირთა დეპოზიტები იყოფა ვადიან და მოთხოვნამდე დეპოზიტებად.

მოთხოვნამდე დეპოზიტი წარმოადგენს სახსრებს, რომლებიც

მფლობელმა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მოითხოვოს ნებისმიერ მომენტში. ისინი განთავსდება ბანკებში კლიენტებისათვის გახსნილ სხვადასხვა ანგარიშზე და განკუთვნილია მიმდინარე ანგარიშსწორების განსახორციელებლად. ანაბრების გაცემა შესაძლებელია როგორც ნაღდი ფულადი სახსრებით, ისე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მოთხოვნამდე დეპოზიტებს გააჩნია შემდეგი ნიშნები:

- მათი გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს ნებისმიერი (მაგალითად, ანგარიშსწორებისათვის);
- მათი გადახდა ხდება პირველივე მოთხოვნისთანავე;
- მათზე ნაშთები შეიძლება შეიცვალოს ყოველდღიურად;
- მათზე პროცენტები უფრო დაბალია, ვიდრე სხვა დეპოზიტებზე.

მოთხოვნამდე დეპოზიტები თავის საფუძველში არასტაბილურია, რაც ხელუდავს კომერციული ბანკების მიერ მათი გამოყენების სფეროს. ამ მიზეზის გამო მოთხოვნამდე დეპოზიტებს ერიცხება დაბალი პროცენტი ანდა საერთოდ არ ერიცხება.

მიუხედავად ამისა, მოთხოვნამდე დეპოზიტებს აქვს არცთუ მცირე მნიშვნელობა კლიენტებისათვის, ვინაიდან ისინი გამოიყენება:

- უნაღდო ანგარიშსწორებისათვის;
- ფულადი სახსრების დაცულობის უზრუნველსაყოფად (ნაღდი ფულადი სახსრების შენახვა ყოველთვის დაკავშირებულია დაკარგვის მეტ რისკთან);
- შემოსავლის მისაღებად (თუმცა, ჩვეულებრივ, არცთუ მაღალი შემოსავლის).

საკრედიტო ორგანიზაციებისათვის მოთხოვნამდე დეპოზიტებს ასევე აქვს დიდი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტებმა შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოითხოვონ ანაბრების დაბრუნება, ისინი მაინც ქმნიან არსებით საფუძველს საკრედიტო ოპერაციებისათვის – ნაკლებ საეარაუდოა, რომ მოთხოვნამდე ყველა ანაბრის გადინება მოხდეს ერთდროულად.

კლიენტების მიმდინარე ანგარიშებზე შენახული სახსრების რეგულარული მოძრაობის მიუხედავად, რჩება სახსრების გარკვეული გამოუყენებელი ნაშთები. კლიენტების ანგარიშებზე ნაშთების არსებობა დაკავშირებულია იმასთან, რომ სახსრები ირიცხება პასიურ ანგარიშებზე კომერციულ ბანკებში დროის გარკვეული შუალედის განმავლობაში, რომლის წინასწარ დადგენაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნებისმიერი სიტუაციაში ნაშთების შემცირება ანგარიშების ერთ ნაწილზე კომპენსირდება ნაშთების მატებით სხვა ანგარიშებზე. ამრიგად, ცვლილებები ცალკეულ მოთხოვნამდე ანაბრებზე შეიძლება გათანაბრდეს ცვლილებებით ერთად აღებულ ყველა ანაბარზე. ვინაიდან საკრედიტო ორგანიზაციებს უწევთ იმის გათვალისწინება, რომ მოთხოვნამდე ანაბრებზე ნაშთების მნიშვნელოვანი შემცირების ალბათობა ყოველთვის არსებობს, მათ შეუძლიათ მოთხოვნამდე ანაბრებში მოზიდული სახსრების გამოყენება მხოლოდ მათი განთავსებით მოკლევადიან და საშუალოვადიან საკრედიტო ოპერაციებში. ეს შეესაბამება „ბანკის ოქროს წესს“, რომლის თანახმადაც მოკლევადიანი ფულის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მოკლევადიანი სესხებისათვის, ხოლო გრძელვადიანი ფულისა – გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებისათვის.

გაზრდილი კონკურენციის პირობებში კომერციული ბანკები ცდილობენ კლიენტების მოზიდვასა და მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდის სტიმულირებას ანგარიშების მფლობელებისათვის დამატებითი მომსახურების გაწევისა და მისი ხარისხის აწევის გზით.

ვადიანი დეპოზიტები – ესაა ფულადი სახსრები, რომლებიც ჩაირიცხება სადეპოზიტო ანგარიშებზე განსაზღვრული ვადით, პროცენტების გადახდის წესით. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და ვადაზე. საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული, ანუ არ იცვლებოდეს საბანკო ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ვადის განმავლობაში ან ცვლადი. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს ანაბარზე შეუმცირებადი ნაშთის სავალდებულო ოდენობა. ეს ნიშნავს, რომ ანაბრის პირობებით დასაშვებია ხარჯვითი ოპერაციების განხორციელება, მაგრამ ნაშთი ოპერაციის ჩატარების შემდეგ არ უნდა იყოს დათქმულ თანხაზე ნაკლები.

ის გარემოება, რომ ვადიანი ანაბრის მფლობელს შეუძლია მისი განკარგვა მხოლოდ დროის დათქმული პერიოდის ამოწურვის შემდეგ, არ გამორიცხავს თავისი ფულადი სახსრების ვადამდელი მიღების შესაძლებლობას. თუმცა ამ შემთხვევაში დეპოზიტს არიცხავენ შეთანხმებულზე უფრო დაბალ საპროცენტო განაკვეთს, რაც, აგრეთვე, განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ბანკი დაინტერესებულია ვადიანი ანაბრების მოზიდვაში, რადგანაც ისინი შედარებით სტაბილურია და ბანკს ეძლევა მეანაბრეთა სახსრების ხანგრძლივი დროის განმავლობაში განკარგვის საშუალება.

მით უმეტეს, რომ დროის ეს პერიოდი ბანკისათვის ცნობილია უშუალოდ ვადიანი ანგარიშის გახსნისას.

ბანკებს შორის ძლიერი კონკურენციის პირობებში, ყველა ბანკი ცდილობს შესთავაზოს კლიენტურას ვადიანი ანაბრების ნაირსახეობები და შეუქმნას მათ მაქსიმალური კომფორტი ანგარიშების მომსახურებისას. ასეთ პირობებში წარმოიშვა ვადიანი დეპოზიტების სხვადასხვა ფორმა. მაგალითად, დაგროვებადი დეპოზიტი (თანხების შეტანა შეუზღუდავია, ხოლო გატანა დაშვებულია ვადის გასვლის შემდეგ), მომგებიანი დეპოზიტები (მონაწილეობას იღებს გათამაშებაში და შესაძლებლობას აძლევს დეპოზიტორს, პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის გარდა, მოიგოს ფულადი ან ნივთობრივი ჯილდო) და სხვა.

ვადიანი ანაბრის ნაირსახეობას წარმოადგენს სერტიფიკატი. *სერტიფიკატი* არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ბანკში შეტანილი ანაბრის ოდენობასა და მეანაბრის (სერტიფიკატის მფლობელის) უფლებას, დაწესებული ვადის ამოწურვის შემდეგ მიიღოს ანაბრის თანხა და სერტიფიკატით განპირობებული პროცენტები სერტიფიკატის გამცემ ბანკში ან მის ნებისმიერ ფილიალში.

სერტიფიკატი ვერ იქნება საანგარიშსწორებო ან საგადახდო საშუალება გაყიდული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის.

სერტიფიკატების გამოშვება ხდება განსაზღვრული პროცენტით, კონკრეტული ვადით. სერტიფიკატის გადასახდელად ვადამდელი წარდგენის შემთხვევაში საკრედიტო ორგანიზაცია იხდის ანაბრის თანხასა და მოთხოვნამდე ანაბრებზე გადასახდელ პროცენტებს, თუ სერტიფიკატის პირობებით დადგენილი არ არის პროცენტების სხვა ოდენობა. საკრედიტო ორგანიზაციას არ შეუძლია ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს ან გაზარდოს) სერტიფიკატის გაცემისას განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

ვადის დადგომისას სერტიფიკატის მფლობელმა მის გასანაღდებლად უნდა წარმოადგინოს სერტიფიკატი. სერტიფიკატზე პროცენტების გადახდა ხორციელდება საკრედიტო ორგანიზაციის მიერ მისი განაღდების დროს.

სერტიფიკატები კლასიფიცირებულია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- მეანაბრის კატეგორია;
- გამოშვების წესი;
- გაფორმების წესი.

მეანაბრის კატეგორიის მიხედვით განასხვავებენ სადეპოზიტო და შემნახველ სერტიფიკატებს.

სადეპოზიტო სერტიფიკატები გაიცემა მხოლოდ იურიდიულ პირებზე. ხოლო შემნახველი სერტიფიკატები მხოლოდ ფიზიკურ პირებზე.

გამოშვების წესის მიხედვით სერტიფიკატები შეიძლება იყოს გამოშვებული ერთჯერადი წესით ან გამოშვებული სერიების სახით.

გაფორმების წესის მიხედვით განასხვავებენ სახელობით სერტიფიკატებს ან სერტიფიკატებს წარმომდგენზე.

სერტიფიკატის ბლანკზე უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტები:

- დასახელება „შემნახველი (ან სადეპოზიტო) სერტიფიკატი“;
- სერტიფიკატის სერია და ნომერი;
- დეპოზიტის შეტანის თარიღი;
- სერტიფიკატით გაფორმებული დეპოზიტის თანხა (სიტყვიერად და ციფრებით);
- საკრედიტო ორგანიზაციის უპირობო ვალდებულება, დააბრუნოს დეპოზიტზე შეტანილი თანხა და გადაიხადოს კუთვნილი პროცენტები;
- სერტიფიკატზე თანხის მოთხოვნის თარიღი;
- დეპოზიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი;
- კუთვნილი პროცენტების ოდენობა (სიტყვიერად და ციფრებით);
- საპროცენტო განაკვეთი გადასახდელად სერტიფიკატის ვადამდელი წარმოდგენის შემთხვევაში;
- საკრედიტო ორგანიზაციის სახელწოდება, ადგილმდებარეობა და საკორესპონდენტო ანგარიში;
- სახელობითი სერტიფიკატისათვის: იურიდიული პირი – მეანაბრის სახელწოდება და ადგილმდებარეობა, ფიზიკური პირი – მეანაბრის გვარი, სახელი, მამის სახელი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები;
- საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ამგვარი ვალდებულებების ხელმოწერაზე უფლებამოსილი ორი პირის ხელმოწერა, დამტკიცებული საკრედიტო ორგანიზაციის ბეჭდით.

სახელობით შემნახველ (სადეპოზიტო) სერტიფიკატს უნდა ჰქონდეს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) გასაფორმებელი ადგილი. მასში აგრეთვე შეიძლება გათვალისწინებული იყოს დამატებითი ფურცლები – სახელობითი სერტიფიკატის დანართები, რომლებზედაც ფორმდება ცესიები.

მაშასადამე, დეპოზიტები წარმოადგენს კომერციული ბანკების რესურსების უმნიშვნელოვანეს წყაროს. მათი სტრუქტურა ბანკში მოძრაობია და ფულადი ბაზრის კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. თუმცა საბანკო რესურსების ფორმირების ამ წყაროს აქვს ზოგიერთი ნაკლოვანებაც. კერძოდ, ანაბრებში სახსრების მოზიდვისას, ბანკს მნიშვნელოვანი მატერიალური და ფულადი ხარჯების გაწევა უწევს. გარდა ამისა, ანაბრებში (დეპოზიტებში) სახსრების მობილიზება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კლიენტებზე (მეანაბრეებზე) და არა უშუალოდ ბანკზე. მიუხედავად ამისა, კონკურენტული ბრძოლა ბანკებს შორის საკრედიტო რესურსების ბაზარზე აიძულებს მათ, მიიღონ ზომები იმ მომსახურების განვითარებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს დეპოზიტების მოზიდვას.

თავისუფალი ფულადი სახსრების მოსაზიდად ბანკის მიერ ჩატარებული პოლიტიკა რეგლამენტირებულია ბანკის სადეპოზიტო პოლიტიკით, რომელსაც თითოეული ბანკი შეიმუშავებს დამოუკიდებლად. ბანკის სადეპოზიტო პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია ბანკების მიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მობილიზაციაზე, ანაბრების (დეპოზიტების) სახით მათი შემდგომი ურთიერთმომგებიანი გამოყენებისათვის.

ოპერაციები ფიზიკურ პირთა დეპოზიტებზე: დეპოზიტორები თავისუფალნი არიან ბანკის არჩევისას მათი კუთვნილი ფულადი სახსრების განსათავსებლად და შეუძლიათ ჰქონდეთ დეპოზიტები ერთ ან რამდენიმე ბანკში.

დეპოზიტების აღსარიცხავად კლიენტს ეხსნება სადეპოზიტო ანგარიში, სადაც განთავსდება გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადის მქონე სახსრები. ამ უკანასკნელზე ბანკი იძენს საკუთრების უფლებას სადეპოზიტო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვადით.

დეპოზიტის სახეობას, წლიურ საპროცენტო განაკვეთს და სხვა პირობებს განსაზღვრავს ბანკი.

ბანკები იღებენ დეპოზიტებს პირველივე მოთხოვნით, გაცემის პირობით (მოთხოვნამდე) ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვისას დაბრუნების პირობით (ვადიანი ანაბრები).

დეპოზიტორს უფლება აქვს, ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფში ჰქონდეს ნებისმიერი რაოდენობის დეპოზიტი.

ნებისმიერი სახის დეპოზიტის გადახდა ბანკის მიერ ხორციელდება დეპოზიტორის პირველივე მოთხოვნით ხელშეკრულების თანახმად.

ბანკის დეპოზიტორი შეიძლება იყოს როგორც რეზიდენტი, ისე

არარეზიდენტი პირი. დეპოზიტები მიიღება მხოლოდ განსაზღვრული პირის სახელზე. ანაბარზე ერთი ანგარიშის გახსნა ორი ან მეტი პირის სახელზე არ დაიშვება.

ანაბრები მიიღება შესატანი თანხის მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად. პირველადი და დამატებითი შენატანების, აგრეთვე, დეპოზიტის ნაშთის მინიმალური ოდენობა შეიძლება დადგინდეს დეპოზიტის სახეობის მიხედვით.

ბანკი დეპოზიტზე იხდის შემოსავალს პროცენტების სახით, რომელთა ოდენობაც დამოკიდებულია დეპოზიტის სახეობაზე და დგინდება ბანკის მიერ.

ყველა სახის ანაბრებზე შეიძლება გაფორმდეს მინდობილობა და შედგეს საანდერძო განკარგულება.

ოპერაციები ანგარიშების გახსნაზე, თანხების გაცემაზე (მათ შორის, ანგარიშების გახსნით) და თანხების შეტანაზე მესამე პირთა სასარგებლოდ ფორმდება კლიენტების მიერ თავიანთი პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენისას.

დეპოზიტის გასახსნელად კლიენტმა, ფიზიკურმა პირმა, ბანკში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

დოკუმენტი, რომელიც ადგენს ურთიერთობებს დეპოზიტორსა და ბანკს შორის, აგრეთვე, განსაზღვრავს დეპოზიტის ძირითად პირობებს, წარმოადგენს *საბანკო დეპოზიტის ხელშეკრულებას.*

დეპოზიტორი (შემტანი, წარმომადგენელი) ავსებს საბანკო სადეპოზიტო ხელშეკრულების საჭალდებულო რეკვიზიტებს და ხელს აწერს მას. თუ ანგარიშს ხსნის შემტანი ან დეპოზიტორის წარმომადგენელი, ხელშეკრულების შევსებისას იგი მიუთითებს იმ პირის გვარს, სახელსა და მამის სახელს, რომლის სახელზეც იხსნება დეპოზიტი.

ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთ-ერთი გადაეცემა დეპოზიტორს (შემტანს, წარმომადგენელს), ხოლო მეორე ინახება ბანკში.

განსაზღვრული ვადით შეტანილი დეპოზიტის ხელშეკრულებაში აღინიშნება შენახვის ძირითადი ვადის დასრულების თარიღი და დეპოზიტის დაბრუნების თარიღი.

დეპოზიტორის მიერ ხელშეკრულების დაკარგვა არართმევს მას დეპოზიტის განკარგვის უფლებას.

დეპოზიტზე ნაღდი ფულით ყოველი შემოსავლის ან გასავლის ოპერაციაზე დგება, შესაბამისად, სალაროს შემოსავლის ორდერი ან სალაროს გასავლის ორდერი.

ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფში შენახულ დეპოზიტს განკარგავს დეპოზიტორი ან მისი წარმომადგენელი.

არასრულწლოვან მეანაბრეთა კანონიერი წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ მათი მშობლები, დედობილ-მამობილი, მეურვეები (მეურვეობის ქვეშ მყოფ მცირეწლოვანთა მიერ 16 წლის ასაკის მიღწევამდე), მზრუნველები (მზრუნველობის ქვეშ მყოფთა მიერ 18 წლის ასაკის მიღწევამდე).

ანაბრებს, რომლებიც ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შეიტანეს სხვა პირებმა იმ არასრულწლოვან პირთა სახელზე, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, განკარგავს:

- არასრულწლოვანის მიერ 16 წლის ასაკის მიღწევამდე – მისი ნებისმიერი მშობელი, დედობილ-მამობილი, მეურვე – მათ მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი ნებართვის წარმოდგენისას. ასეთი ნებართვა შეიძლება ითვალისწინებდეს ანაბრიდან წინასწარ განსაზღვრული ოდენობის თანხების გაცემას ან მშობლებისათვის (დედობილ-მამობილისათვის) ან მეურვისათვის ანაბრის განკარგვის უფლების მინიჭებას დროის რაიმე პერიოდის მანძილზე.
- არასრულწლოვანის მიერ 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ – თავად არასრულწლოვანი, მაგრამ ნებისმიერი მისი მშობლის (დედობილ-მამობილის) ანდა მზრუნველის წერილობითი ნებართვით.

მეანაბრეებს შეუძლიათ თავიანთი ანაბრების განკარგვა მინდობილობების გაცემის გზით. მინდობილობა შეიძლება იყოს გაფორმებული ბანკში ან დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

ანაბრის გაცემა მინდობილობით წყდება მეანაბრის გარდაცვალებასთან ერთად, ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფში მეანაბრის გარდაცვალების მოწმობის (ან მისი ასლის) წარმოდგენის შემდეგ, რომლის მონაცემებიც (ნომერი და სერია, როდის და ვის მიერაა გაცემული) აღინიშნება პირადი ანგარიშის ბარათში.

ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი პასუხს არ აგებს ანაბრის გაცემაზე მინდობილობით მეანაბრის გარდაცვალების შემდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის ცნობილი არ იყო მეანაბრის გარდაცვალების შესახებ.

მინდობილობის მოქმედება წყდება, აგრეთვე, სასამართლოს მიერ მეანაბრის არაქმედუნარიანად, შეზღუდულად ქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შედეგად, ბანკის სტრუქტურულ ქვედანაყოფში ამის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

მეანაბრეს უფლება აქვს თავისი დეპოზიტი უანდერძოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც კანონით მემკვიდრეთა წრიდან, ისე ამ წრის ფარგლებს გარეთ მეოფთაგან, აგრეთვე, საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ან სახელმწიფოს.

დეპოზიტორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი დეპოზიტი გადაეცემა ანდერძში მოხსენიებულ პირს. ანდერძის არ არსებობის შემთხვევაში დეპოზიტი გადადის დეპოზიტორის კანონით მემკვიდრეს. დეპოზიტი გაიცემა სამკვიდრო მოწმობის წარდგენის შემდეგ.

საანდერძო განკარგულება დეპოზიტორს არართმევს სიცოცხლეში დეპოზიტის განკარგვის უფლებას, მას რჩება საანდერძო განკარგულების შეცვლის ან გაუქმების უფლება.

არასრულწლოვან მეანაბრეებს არ შეუძლიათ თავიანთი ანაბრების ანდერძით გადაცემა.

თუ დეპოზიტორს სურს, რომ დეპოზიტი მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცეს რამდენიმე პირს ან ორგანიზაციას, მაშინ იგი განკარგულებაში მიუთითებს თითოეული მემკვიდრის წილს პროცენტებში ან წილადის სახით. წილების მითითება განსაზღვრული თანხების სახით არ დაიშვება, რადგანაც დეპოზიტის ოდენობა დეპოზიტორის სიკვდილის მომენტისათვის შეიძლება შეიცვალოს.

დეპოზიტი, რომელიც ანდერძით გადაეიდა რამდენიმე პირთან თითოეულის წილის მითითების გარეშე, გადაეცემა საანდერძო განკარგულებაში აღნიშნულ ყველა პირს თანაბარ წილებად.

დეპოზიტორს უფლება აქვს საანდერძო განკარგულებაში მიუთითოს სხვა პირი, რომელსაც უნდა გაიცეს დეპოზიტი იმ შემთხვევისათვის, თუ ის პირი, რომლის სასარგებლოდაც ნაანდერძევია დეპოზიტი, გარდაიცვალება თავად დეპოზიტორზე ადრე ან შეიტანს განცხადებას მისთვის ანდერძით დატოვებული დეპოზიტის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ანდერძი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.

ცნობები ფიზიკურ პირთა დეპოზიტებზე გაიცემა ბანკის მიერ:

- თავად დეპოზიტარზე ან მის წარმომადგენელზე (მინდობილობის ან იმ საბუთის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლობას კანონის მიხედვით);
- სასამართლოებზე – მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე;
- წინასწარი გამოძიების ორგანოებზე მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე და მხოლოდ პროკურორის თანხმობის არსებობისას;
- ორგანიზაციაზე, რომელიც ახორციელებს ანაბრების სავალ-

დებულო დაზღვევის ფუნქციებს, კანონით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.

ცნობები გარდაცვლილ მეანაბრეთა ანაბრებზე გაიცემა ბანკის მიერ:

- იმ პირებზე, რომელთა სასარგებლოდაც ნაანდერძევია ანაბარი;
- ნოტარიუსებზე – მათ წარმოებაში არსებულ სამემკვიდრო საქმეებზე გარდაცვლილ მეანაბრეთა ანაბრების შესახებ;
- უცხოურ საკონსულო დაწესებულებებზე – მათ წარმოებაში არსებულ სამემკვიდრო საქმეებზე გარდაცვლილ უცხოელ მოქალაქეთა ანაბრების შესახებ.

იმ პირებზე, რომლებსაც ეანდერძათ ანაბარი, ცნობები გაიცემა მხოლოდ მათ მიერ მეანაბრის გარდაცვალების მოწმობისა და თავიანთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას.

დეპოზიტების დაზღვევა: ანაბრების დაზღვევა ნიშნავს, რომ ბანკის გაკოტრების შემთხვევაში კერძო პირი, რომელმაც სახსრები დააბანდა ამ ბანკში, მიიღებს ანაბარს სრულად ან ნაწილობრივ (ანაბრის ოდენობიდან გამომდინარე) მაქსიმალურად მოკლე ვადაში. გადახდის წყაროს წარმოადგენს სპეციალური ფონდები, რომლებიც იქმნება ბანკებისა და (ან) სახელმწიფოს ხარჯზე.

ანაბრების დაზღვევის სისტემას საფუძვლად უდევს ბანკის გადახდისუუნარობისას ანაბრის გარანტირებული (სრული ან ნაწილობრივი) კომპენსაციის პრინციპი. განსხვავება სრული და ნაწილობრივი კომპენსაციის სისტემებს შორის იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში გარანტირებულია მთელი ანაბარი, ხოლო მეორეში – მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილი წინასწარ განსაზღვრული შკალით, რომელსაც აქვს ზედა ზღვარი.

აშშ-ში მოქმედებს დეპოზიტთა დაზღვევის ფედერალური კორპორაცია, დიდ ბრიტანეთში – დეპოზიტების სადაზღვევო ფონდი, ბულგარეთში – საბანკო ანაბრების გარანტიების ფონდი, ფინეთში – დეპოზიტების გარანტირების ფონდი და სხვა.

სავალდებულო სისტემის საპირისპიროდ, რიგ ქვეყნებში (მაკედონია, შრი-ლანკა, ტაივანი) გამოყენებული ანაბრების დაზღვევის ნებაყოფლობითი სისტემა თავის თავში ატარებს ფინანსური არამდგრადობის დიდ რისკებს.

ანაბრების დაზღვევის სისტემას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სახსრები, რაც საკმარისი იქნება ბანკის კლიენტებისათვის გადახდების განსახორციელებლად.

საზღვარგარეთის პრაქტიკიდან შეიძლება გამოვყოთ ორი მიდგომა მათი ფორმირებისადმი:

პირველი მდგომარეობს სახსრების შეგროვებაში „ფაქტის მიხედვით". ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ბანკის გაკოტრების დადგომისას სისტემის სხვა მონაწილეები გაიღებენ სახსრებს, რაც აუცილებელია გაკოტრებული ბანკის მეანაბრეებთან ანგარიშსწორებისათვის. რეზერვების აკუმულირების ამგვარი ვარიანტი გამოიყენება ანაბრების დაზღვევის კერძო სისტემების მიერ, რომლებსაც მართავენ მათი წევრები (მაგალითად, ასეთი ვარიანტი გამოიყენებოდა საფრანგეთში). ისეთი ვარიანტის მთავარი ნაკლია ანგარიშსწორებათა ჩასატარებლად სახსრების საკმარისობის მყარი გარანტიების არარსებობა.

მეორე ვარიანტი გულისხმობს სპეციალიზებული ფონდის შექმნას, რომელიც იმყოფება ანაბრების დაზღვევის სისტემის მმართველი ორგანიზაციის განკარგულებაში ბანკების მიერ რეგულარული საჯალდებულო შენატანების გადახდის ხარჯზე.

სისტემის დაფინანსება მისი მონაწილეებისაგან სადაზღვევო ფონდში რეგულარული მოსაკრებლების ხარჯზე იწვევს ლიკვიდური რესურსების აკუმულირებას სადაზღვევო ანაზღაურების თანხების სწრაფი გადახდისათვის, სისტემის ხარჯების დაფარვაში ყველა მისი წევრის მონაწილეობის უზრუნველყოფას. სისტემის მონაწილეებზე დროში უნდა გადანაწილდეს დატვირთვა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეული დეპოზიტების კომპენსაციასთან გაკოტრებული ბანკების დახურვის მომენტში. რეგულარული მოსაკრებლების ხარჯზე სისტემის დაფინანსების ასეთი მიდგომა აღიარებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დეპოზიტების დაზღვევის დარგის სპეციალისტების მიერ როგორც საუკეთესო ვარიანტი.

მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ანაბრების დაზღვევის სისტემის ფინანსური საფუძვლის სახით შექმნილია ანაბრების სავალდებულო დაზღვევის ფონდი.

დეპოზიტთა დაზღვევის სისტემების აგებულების თავისებურებები დიდადაა დამოკიდებული ეროვნული საბანკო სისტემის სტრუქტურაზე, საბანკო ზედამხედველობის ორგანიზაციაზე და საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ხარისხზე.

3.3. სახსრების მოზიდვის არასადეპოზიტო წყაროები

სადეპოზიტო ანგარიშების წარმოებასთან ერთად საკრედიტო ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ფულადი სახსრების მოზიდვის სხვა მეთოდებს, უმთავრესად, ფულად ბაზარზე სესხების მიღების ფორმით. ეს უკანასკნელი არის ნასესხები რესურსები, რომელსაც საკრედიტო ორგანიზაცია მოიზიდავს საკუთარი ინიციატივით, ხოლო ასეთი ოპერაციების ძირითადი მიზანია საკრედიტო ორგანიზაციის ლიკვიდური პოზიციის გაუმჯობესება. სახსრების მოზიდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას განეკუთვნება:

- სესხების მიღება ბანკთაშორის ბაზარზე
- თამასუქების დისკონტი და სესხების მიღება ცენტრალურ ბანკში;
- ფასიანი ქაღალდების გაყიდვა უკუგამოსყიდვის შეთანხმებებით;
- ობლიგაციების გამოშვება.

ბანკთაშორის ბაზარზე იყიდება დეპოზიტები, რომლებიც ინახება საკორესპონდენტო ანგარიშზე და სარეზერვო ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში. ბანკთაშორისი ოპერაციები ანვენებს ბანკებს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობების განვითარების ხარისხს. მრავალი ბანკი, რომელსაც სარეზერვო ანგარიშზე აქვს ჭარბი სახსრები (საჭიროებულო მინიმუმთან შედარებით), გასცემს მათ სესხის სახით (ხშირად ერთი საქმიანი დღითაც).

ცენტრალიზებული და ბანკთაშორისი კრედიტები იმითაა ხელსაყრელი, რომ ეს თანხები მსესხებელი ბანკის განკარგულებაში შემოდის, პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ და არ მოითხოვს სარეზერვო უზრუნველყოფას, ვინაიდან არ წარმოადგენს ანაბრებს.

ბანკთაშორისი კრედიტების ბაზრის მნიშვნელობა დიდია. იგი გადაანაწილებს რა ზოგიერთი ბანკისათვის ჭარბ რესურსებს, ხრდის მთლიანად საბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

სესხის მიღება ცენტრალურ ბანკში არის კომერციული ბანკების ტრადიციული პასიური ოპერაცია. კომერციული ბანკები იღებენ კრედიტებს ცენტრალური ბანკისაგან თამასუქების ხელახალი დისკონტის და ხელახალი დაგირავების ფორმით, რეფინანსირების წესით, აგრეთვე, ლომბარდული კრედიტის ფორმით, ანუ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირაოთი.

როგორც წესი, ეს სესხები მოკლევადიანია და მათი დანიშნულებაა კომერციულ ბანკებში სეზონური ფაქტორებითა და საგანგებო

გარემოებებით გამოწვეული რესურსების უკმარისობის შეცვლა. თამასუქებისა და ტრატების დისკონტი მდგომარეობს მათი საფასურის ვადამდელ გადახდაში გარკვეული საკომისიო მოსაკრებლის ფასად.

REPO გარიგებები წარმოიშვა როგორც კომერციული ბანკების რესურსების შეცვლის ახალი წყაროები. ასეთი შეთანხმება აქტივების გაყიდვაზე უკუგამოსყიდვის პირობით დადგენილ ვადაში და წინასწარ შეთანხმებულ ფასად შეიძლება დაიდოს ბანკსა და ფირმას შორის, თუ ფირმას სურს დიდი ოდენობით ნაღდი ფულის დაბანდება ძალიან მოკლე ვადით. ბანკი ფირმას გადასცემს ფასიან ქაღალდებს მათი გამოსყიდვის ვალდებულებით განსაზღვრულ ვადაში უფრო მაღალ ფასად. სხვაობა ამ ფასებს შორის წარმოადგენს ბანკის ფაქტობრივ გადახდას ფირმისაგან მიღებული კრედიტისათვის. REPO გარიგებების უპირატესობაა დაბალი რისკი, რადგანაც ისინი, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

სახსრების მოსაზიდად ბანკებმა შეიძლება გამოუშვან საკუთარი *ობლიგაციები*. ობლიგაციები ადასტურებს მათი მფლობელის უფლებას, ემიტენტისაგან მიიღოს მასში გათვალისწინებული ვადაში მისი ნომინალური ღირებულება ან ქონებრივი ეკვივალენტი. ობლიგაციები განეკუთვნება ემისიურ ფასიან ქაღალდებს და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. ბანკების მიერ გამოშვებული ობლიგაციები შეიძლება იყოს:

- სახელობითი ან წარმდგენზე;
- უზრუნველყოფილი ან უზრუნველყოფის გარეშე;
- პროცენტული ან დისკონტური;
- კონვერტირებადი სხვა ფასიან ქაღალდებში ან არაკონვერტირებადი;
- ერთჯერადი განაღდებით ან განაღდებით სერიების მიხედვით.

სახელობითი ობლიგაციების გამოშვებისას ბანკი ვალდებულია აწარმოოს მფლობელთა რეესტრი.

ობლიგაციებზე შემოსავლის გადახდას ახორციელებენ სხვადასხვა ხერხით. მაგალითად, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ობლიგაციებზე მისი გადახდა რეგულარულად ხდება თითოეული ობლიგაციის კომპლექტში შემავალი კუპონების შესაბამისად. დისკონტური ობლიგაციების შეძენა ხდება ბანკში ნომინალზე (დისკონტით) უფრო დაბალ ფასად, ხოლო განაღდება – ნომინალური ღირებულების მიხედვით. სხვაობა განაღდების ფასსა და შეძენის ფასს შორის შეადგენს შემოსავალს ობლიგაციაზე.

ბანკის მიერ აქციებისა და ობლიგაციების ერთდროული გამოშვება არ დაიშვება, თუმცა შეიძლება აღგილი ჰქონდეს ობლიგაციების ემისიას მათი შემდგომი კონვერტაციით აქციებში. ობლიგაციათა განთავსება ხორციელდება ბანკსა და მყიდველს შორის ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ბანკს შეუძლია ობლიგაციების გაყიდვა შუამავლების (ბროკერების) მეშვეობით, რომლებთანაც იგი დებს ხელშეკრულებას.

ბანკს უფლება აქვს, გაითვალისწინოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდების შესაძლებლობა მათი მფლობელების სურვილის მიხედვით. ამასთან, გადაწყვეტილებაში ობლიგაციების გამოშვების შესახებ განსაზღვრული უნდა იყოს განაღდების ღირებულება და ვადა, რომლის დადგომის მომენტამდე ისინი არ შეიძლება წარდგენილი იყოს ვადამდელი განაღდებისათვის.

3.4. ბანკის აქტივების სტრუქტურა და ხარისხი

ქვეყანაში ხშირად აქტივების ქვეშ გაიგება მეურნე სუბიექტის ქონებრივი უფლებების ერთობლიობა, ხოლო ბანკის აქტივების ქვეშ – საკუთარი და მოზიდული სახსრები, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციის მიერ სასესხო და სხვა აქტიურ ოპერაციებში აქვთ განთავსებული.

საკრედიტო ორგანიზაციების *აქტიური ოპერაციები* – არის ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსება შემოსავლის მიღების მიზნით. ასეთი ოპერაციები აქტიურ საბალანსო ანგარიშზე აღირიცხება. ისინი საკრედიტო დაწესებულების ოპერაციების არსებით და განსაზღვრულ ნაწილს შეადგენენ. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აქტიურ საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნება:

1) საკრედიტო, სალაროს, საფალუტო, ძვირფას ლითონებთან და ძვირფას ქვებთან ოპერაციები;
2) საბანკო გარანტიებისა და თავდებების გაცემა მესამე პირის სახელით, რომლებიც მათი ფულადი ფორმით გამოყენებას ითვალისწინებს;
3) ვალდებულებების შესრულების მესამე პირისგან ფულად ფორმაში მოთხოვნილების უფლების შეძენა;
4) ფულადი სახსრებისა და სხვა ქონების ნდობით მართვა, ლიზინგური, ფაქტორინგული, ფორფეიტინგული ოპერაციები, ბანკების მიერ ფასიან ქაღალდებში დაბანდებები;
5) სხვა ოპერაციები.

საკრედიტო ორგანიზაციებში აქტიური ოპერაციების ეკონომიკური შინაარსი მათ კლასიფიკაციაში ვლინდება. აქტივების კლასიფიკაციების საფუძველში შეიძლება ჩადებულ იქნეს შემდეგი ნიშან-თვისებები:

- ოპერაციის სახეობა;
- რისკიანობის ხარისხი;
- სახსრების განთავსების ხასიათი;
- შემოსავლიანობის დონე;
- ლიკვიდურობის დონე;
- ვალუტა;
- ვადა;
- განხორციელების რეგულარულობა;
- ანგარიშების მიხედვით ფულადი სახსრების მოძრაობა.

სასესხო ოპერაციები არის სახსრების მსესხებელზე გაცემასთან მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები ვადიანობის, დაბრუნებადობის და ფასიანობის საფუძველზე.

საანგარიშსწორებო ოპერაციები არის კლიენტების ანგარიშებიდან კონტრაგენტების წინაშე მათი ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული ოპერაციები;

სალაროს ოპერაციები არის ნაღდი ფულის გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები

საინვესტიციო ოპერაციები არის საკრედიტო ორგანიზაციის მიერ საკუთარი სახსრების არასაბანკო სტრუქტურების ფასიან ქაღალდებში და ვადებში დაბანდებასთან დაკავშირებული ოპერაციები ერთობლივი კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით.

საფონდო ოპერაციები არის ორგანიზებულ (საბირჟო) და არაორგანიზებულ ბაზრებზე ფასიან ქაღალდებთან (საინვესტიციოების გარდა) ოპერაციები.

საკომისიო ოპერაციებს უწოდებენ ოპერაციებს, რომელთაც საკრედიტო ორგანიზაციები კლიენტების დავალებით, სახელითა და ხარჯებით ახორციელებენ და რომელთაც შემოსავალი საკომისიოზე ჯილდოს სახით მოაქვთ, როგორებიცაა: დებიტორული დავალიანების ინკასირებასთან დაკავშირებული ოპერაციები, გადასაყვანი საგაჭრო – საკომისიო (ვალუტის, ძვირფასი ქვებისა და ლითონების შეძენა და სხვები) ოპერაციები.

საგარანტიო ოპერაციები არის საკრედიტო ორგანიზაციის მიერ

გარანტიის ან დავალების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები გარანტიაში მითითებული პირობის დადგომისას კლიენტის ვალის მესამე პირზე გადახდასთან მიმართებაში, რომელთაც საკომისიო შემოსავალი მოაქვთ.

რისკიანობის ხარისხთან დამოკიდებულებაში ყველა *აქტიური* ოპერაცია დაიყოფა შემდეგი სახით:

- სტანდარტულები (რისკის ხარისხი –0%);
- არასტანდარტულები (რისკის ხარისხი –1 დან 20%-მდე);
- პრობლემურები (რისკის ხარისხი –21 დან 50 %-მდე);
- საეჭვოები (რისკის ხარისხი –51-დან 99%-მდე);
- უიმედოები (რისკის ხარისხი –100%).

სახსრების განთავსების თავისებურებასთან დამოკიდებულებაში შეიძლება გამოიყოს:

- პირველადები – სახსრების პირდაპირი განთავსება, მაგალითად ბანკთაშორისი კრედიტის გაცემა;
- მეორადები – ბანკების მიერ სპეციალურ ფონდებში გადარიცხვასთან დაკავშირებულები, მაგალითად, სავალდებულო რეზერვების ფონდში, სადაზღვევო ფონდებში და სხვ;

საინვესტიციოები – ბანკის სახსრებთან ძირითად ფონდებში, ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელში დაბანდება, სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა, აქტიური ოპერაციები.

შემოსავლიანობის დონის მიხედვით ოპერაციები შეიძლება დაიყოს:

- *შემოსავლების მომტანებად* – მაღალშემოსავლიანები, დაბალშემოსავლიანები, სტაბილური ან არასტაბილური შემოსავლის მომტანები;
- *შემოსავლების* არმომტანებად – უპროცენტო სესხები, თამასუქები, ფულადი სახსრების გაცემა, საავალდებლო რეზერვებში ანარიცხები და სხვა.

ლიკვიდურობის დონის მიხედვით აქტიური ოპერაციები დაიყოფა ოპერაციებად, რომლებიც ხასიათდებიან:

- *მყისიერი ლიკვიდურობით* (სალაროს ოპერაციები);
- *მიმდინარე ლიკვიდურობით* (სასესხო და საანგარიშსწორებო ოპერაციები, ვალიდობა);
- *გრძელვადიანი ლიკვიდურობით;*

- *არალიკვიდური ოპერაციებით.*

ვალუტის სახეობის მიხედვით ოპერაციები დაიყოფა ოპერაციებად ლარებში და უცხოურ ვალუტებში.

ვადების მიხედვით აქტიურ ოპერაციებში გამოიყოფა:

- *მოკლევადიანები* (1 დღით, 7 დღით, 30 დღით, 3,6, 9 და 12 თვით);
- *გრძელვადიანები* (ერთ წელზე ზევით, 3 წლამდე, 3 წელზე ზევით);
- *უვადო აქტიურ ოპერაციებად (მოთხოვნებამდე)*

განხორციელების რეგულირების მიხედვით აქტიური ოპერაციები შეიძლება დაიყოს რეგულირებადად (მუდმივები და გარკვეული პერიოდულობით განხორციელებულები) და არარეგულირებადად (შემთხვევითები, ეპიზოდურები).

ანგარიშების მიხედვით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დამოკიდებულებაში აქტიური ოპერაციები დაიყოფა:

- ანგარიშების მიხედვით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებულებად (საბალანსოები);
- ანგარიშების მიხედვით ფულადი სახსრების მოძრაობასთან არადაკავშირებულებად (გარე საბალანსოები).

თავი IV. საბაჟო ბრუნვის ორგანიზაცია და ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები

4.1. საგადახდო ბრუნვის საფუძვლები

საგადახდო სისტემების ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრებია – საიმედოობა, გადახდის განხორციელების ხარისხი და სისწრაფე.

გადახდების განხორციელების საიმედოობა არის საგადახდო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი. მსოფლიოში გადახდის პრაქტიკულად ყველა სისტემა, როგორც ეროვნული, ისე კერძო, იყენებს ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ საშუალებათა ფართო სპექტრს. ამ სისტემების საიმედოობის ხარისხის განსაზღვრისათვის მეტად მნიშვნელოვანია ცნება – „საბოლოო ანგარიშსწორება“, რომელიც ნიშნავს ანგარიშსწორებათა უპირობო და გამოუთხოვად შესრულებას.

ანგარიშსწორებათა განხორციელების ხარისხი გულისხმობს, პირველ რიგში, თანამედროვე საგადახდო ინსტრუმენტების ფართო სპექტრის გამოყენებასა და თანმდევი მომსახურების გაწევას. ამ უკანასკნელს წარმოადგენს საინფორმაციო, საშუამავლო და სხვა სახის მომსახურება. ანგარიშსწორებათა სისწრაფე ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან პარამეტრს, რომელიც ზრდის საგადახდო სისტემის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას. დღეისათვის არსებობს სისტემები, რომელთაც შეუძლიათ რამდენიმე წუთში სახსრების გადაგზავნა ათასობით კილომეტრის იქით, ასევე, სისტემები, რომლებიც ახორციელებენ ამგვარ გადაგზავნას რამდენიმე დღის განმავლობაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს საგადახდო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობაც. მაგალითად, სუსტად განვითარებულ რეგიონში გადახდათა განხორციელების სისტემა რეალური დროის – ე.წ. „online“ რეჟიმში (ფუნქციონირებს თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე), იქნება ეკონომიკურად წამგებიანი, ხოლო მისი გამოყენება – არამიზანშეწონილი.

საგადახდო სისტემის აგება არის უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ რთული პროცესი. ცალკეული ბანკის დონეზე ანგარიშსწორებათა სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

- საკორესპონდენტო ანგარიშებზე ანგარიშსწორების და თანმდევი მომსახურების განვითარება;
- საკუთარი ფილიალების ქსელისა და ფილიალთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის განვითარება;
- საკუთარი საანგარიშსწორებო სისტემების განვითარება;
- სახლვარგარეთის საანგარიშსწორებო სისტემების აქტიური გამოყენება.

ამ ელემენტების კლასიფიკაცია და ძირითადი შინაარსი მოყვანილია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1

№	ელემენტების კლასიფიკაციის ნიშანი	ელემენტების შინაარსი
1	საანგარიშსწორებო ურთიერთობათა სუბიექტები (მონაწილეები)	• **არასაფინანსო სექტორი:** საწარმოები, ორგანიზაციები, ფირმები, საბიუჯეტო, სახოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები – *მეურნეობათაშორისი ანგარიშსწორებები;* • **პირადი სექტორი** – მოსახლეობა; • **საფინანსო სექტორი:** – ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები – *ბანკთაშორისი ანგარიშსწორება.*
2	ანგარიშსწორებათა ობიექტი (გადახდის დანიშნულება)	• საქონელი და მომსახურება – გადახდები სასაქონლო ოპერაციებზე; • შენატანები ბიუჯეტში, არასაბიუჯეტო ფონდებში; • გადახდები სესხებზე, თამასუქებზე და სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტებზე; • გადახდები არასასაქონლო ოპერაციებზე.
3	ანგარიშსწორების ხატარების ადგილი	• შიდა სახელმწიფოებრიული: ○ ერთ ქალაქში – ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში; ○ ქალაქგარეთ – მის ფარგლებს გარეთ; • სახელმწიფოთაშორისი (საერთაშორისო) – სხვა სახელმწიფოთა კონტრაგენტებთან.

4	გადახდის ღრო (გათვალისწინებულია ხელშეკრულებებში)	• ვადიანი გადახდა: ○ საბანკო ოპერაციის (გარიგების) დაწყებამდე – საბანკო გადახდა; ○ დაუყოვნებლივ – ოპერაციის ჩატარების შემდეგ; ○ გარკვეულ ვადაში საბანკო ოპერაციის (გარიგების) დასრულების შემდეგ კომერციული კრედიტის პირობებით; • ვადამდელი გადახდა – დაწესებული ვადის ამოწურვამდე; • გეგმიური გადახდები (ღია ანგარიშზე) – პერიოდული გადახდები საქონლის მიღების (მომსახურების გაწევის ფაქტობაზე);
5	გადახდის წესი – სასესხო ვალდებულების დაფარვის წესი	• მთლიანი (ბრუტო) წესი – სასესხების ჩამოწერა ანგარიშიდან (გადარიცხვა) საანგარიშსწორებო დოკუმენტში მითითებული სრული ოდენობით; • ურთიერთმოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა (კლირინგი) და ანგარიშიდან სალდოს თანხის ჩამოწერა.
6	საგადახდო ინსტრუმენტები	• საკრედიტო გადარიცხვათა ინსტრუმენტები: ○ საგადახდო დავალებები საკრედიტო გადარიცხვებზე; ○ საგადახდო მოთხოვნები; • სადებეტო გადარიცხვათა ინსტრუმენტები: ○ თამასუქები; ○ ჩეკები ○ საინკასო დავალებები სადებეტო ჩამოწერების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად (უსაფუძვლო და უაქცეპტო ჩამოწერები); • შუალედური ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენების დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საკრედიტო, ისე სადებეტო გადარიცხვები: ○ აკრედიტივები; ○ პლასტიკური ბარათები; ○ სადებეტო; ○ საკრედიტო; ○ არასაბანკო.

4.2. საკრედიტო ორგანიზაციებში უნაღდო ანგარიშსწორების დახასიათება

ქვეშა გარიგება, რაც დაკავშირებულია ნებისმიერ სფეროში საქმიანობის განხორციელებასთან (წარმოება, სამუშაოთა შესრულება, მომსახურების გაწევა), სრულდება ფულადი ანგარიშსწორებით, რომელმაც შეიძლება მიიღოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების განხორციელებისას ერთ-ერთი მხარე ყოველთვის გამოდის გადამხდელის როლში, მეორე კი – გადახდის მიმღების როლში. ამასთან, გადამხდელი და მიმღები შეიძლება იმყოფებოდნენ ერთი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა თუ რეგიონში, ან სულაც სხვადასხვა ქვეყანაში და კონტინენტზე. ყოველივე ეს მოითხოვს უნაღდო ფულადი ბრუნვის განვითარებული სისტემის ორგანიზებას, რაც იძლევა კონტრაგენტებს შორის ანგარიშსწორების შეუფერხებლად (მოქმედი წესების დაცვით) ჩატარების საშუალებას.

უნაღდო ანგარიშსწორებების ორგანიზაცია ემყარება გარკვეულ ფუძემდებლურ პრინციპებს:

საბაზრო პირობებში უნაღდო ანგარიშსწორების პირველი პრინციპი მდგომარეობს მის განხორციელებაში საბანკო ანგარიშების მეშვეობით. ეს ანგარიშები ეხსნება კლიენტებს სახსრების შესანახად და გადასარიცხად. ეს პრინციპი ხასიათდება იმით, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქვეშა ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკების დაწესებულებების მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნაღდო ანგარიშსწორების ეს პრინციპი ეხება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

უნაღდო ანგარიშსწორების მეორე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ გადახდები ანგარიშებიდან უნდა განხორციელდეს ბანკების მიერ ანგარიშების მფლობელთა განკარგულებით მათ მიერ დაწესებული გადახდების რიგითობის წესით და ანგარიშზე არსებული სახსრების ნაშთის ფარგლებში. ეს პრინციპი განამტკიცებს ბაზრის სუბიექტთა უფლებას, თავად განსაზღვრონ მათი ანგარიშებიდან გადახდების რიგითობა. არ დაიშვება ანგარიშის მფლობელის უფლების შეზღუდვა თავად განკარგოს მის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მესამე პრინციპია ბაზრის სუბიექტთა მიერ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების არჩევის თავისუფლების და მათი ხელშეკრულე-

ბებში განმტკიცების პრინციპი. ბანკები არ ერევიან სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ფულადი სახსრების ჩამოწერა ანგარიშიდან ხორციელდება დადგენილი ფორმის საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე, ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ფარგლებში, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებში. ბანკს გადახდებში მხოლოდ შუამავლის როლი ეკისრება.

ზემოჩამოთვლილის გარდა, გასათვალისწინებელია უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ისეთი პრინციპები, როგორიცაა გადახდის ვადიანობა და უსრულყოფა.

გადახდის ვადიანობის პრინციპი ნიშნავს ანგარიშსწორებათა განხორციელებას გამომდინარე ვადებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია სამეურნეო, საკრედიტო, სადაზღვევო ხელშეკრულებებში, შრომით შეთანხმებებში, იჯარის ხელშეკრულებებში და ა.შ. ფულადი სახსრების მიმღები დაინტერესებულია თავის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვაში არა ნებისმიერ, არამედ წინასწარ დათქმულ და დაფიქსირებულ ვადებში.

გადახდის ვადიანობის პრინციპს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. სუბიექტებს, გააჩნიათ რა ინფორმაცია გადახდის განხორციელების დროის შესახებ, შეუძლიათ უფრო რაციონალურად ააგონ თავიანთი ფულადი ბრუნვა, უფრო ზუსტად განსაზღვრონ მოთხოვნილება ნასესხებ სახსრებზე და, მაშასადამე, შეუძლიათ თავიანთი ბალანსის ლიკვიდურობის მართვა.

გადახდის უსრულყოფის პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული გადახდის ვადიანობის პრინციპთან. გადახდის უსრულყოფა გულისხმობს გადახდის ვადიანობის დასაცავად გადამხდელის ან მისი გარანტის ხელში ლიკვიდური სახსრების არსებობას, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ფულადი სახსრების მიმღების წინაშე ვალდებულებათა დასაფარად. გადახდის უსრულყოფის პრინციპი ქმნის გადახდის გარანტიას, განამტკიცებს საგადახდო დისციპლინას.

ანგარიშსწორების ყველა პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული. ერთ-ერთი მათგანის დარღვევა იწვევს სხვების დარღვევასაც.

საგადახდო ბრუნვის განსახორციელებლად აუცილებელია გვქონდეს ანგარიშები, რომლებზედაც მოთავსებულია თანხები

ან რომლებსაც ბანკის კლიენტებს ეძლევათ კრედიტები. ამასთან, მათი ანგარიშები შეიძლება გახსნილი იყოს როგორც ერთ, ისე სხვადასხვა ბანკში. თავის მხრივ, ბანკებს, რომლებშიც განთავსებულია კლიენტთა ანგარიშები, შეუძლიათ ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ ერთმანეთში პირდაპირი ურთიერთობები ანგარიშსწორებისათვის. ეს და სხვა მრავალი გარემოება გავლენას ახდენს უნაღდო ანგარიშსწორების ჩატარების წესისა და ფორმის არჩევაზე.

ოპერაციები უნაღდო ანგარიშსწორების დროს აისახება ანგარიშებზე, რომლებსაც ბანკები ხსნიან თავიანთ კლიენტებს შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

4.3. ანგარიშის გახსნა და საჭირო დოკუმენტები

ბანკში პირს შეიძლება გაეხნას შემდეგი სახის ანგარიშები:

- მიმდინარე ანგარიში;
- სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში;
- საკორესპონდენტო ანგარიში;
- საკასო მომსახურების ანგარიში;
- ნომინალური მფლობელობის ანგარიში.

რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს შეუძლიათ გახსნან მიმდინარე ანგარიშები (გარდა კომერციული ბანკებისა), ნომინალური მფლობელობის ანგარიშები და სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშები.[2]

პირისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში ამავე პირს ეხსნება მიმდინარე ანგარიში ლარში, თუკი მას არ აქვს ანგარიში ეროვნულ ვალუტაში იმავე ბანკში.

მიმდინარე ან სადეპოზიტო ანგარიში შეიძლება გაეხსნას და მას შეიძლება განკარგავდეს ერთზე მეტი პირი (ერთობლივი ანგარიში). ანგარიშის განკარგვის პირობები განისაზღვრება ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით.

რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკებისა) ფილიალებს, განყოფილებებს და სხვა განცალკევებულ ქვედანაყოფებს ანგარიში გაეხსნებათ სათავო საწარმოს (ორგანიზაციის) შუამდგომლობით, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციას – სახაზინო

2 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქცია“.

სამსახურის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის საფუძველზე. ამასთანავე, სათავო საწარმოები (ორგანიზაციები), სახაზინო სამსახური ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ შუამდგომლობა ან გააუქმონ ადრე გაცემული თანხმობა ანგარიშის გახსნის შესახებ.

საკასო მომსახურების ანგარიში ეხსნებათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს და მათ ფილიალებს და განყოფილებებს (სერვისცენტრებს).

სათავო ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშები გაეხსნებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში და სხვა (სათავო) კომერციულ ბანკში.

კომერციულ ბანკს, მის ფილიალს, განყოფილებას (სერვისცენტრს) საკასო მომსახურებისათვის ეროვნულ ბანკში ან/და კომერციულ ბანკში ან/და მის ფილიალში გაეხსნება ერთი საკასო მომსახურების ანგარიში თითოეულ ვალუტაში. კომერციული ბანკის, მისი ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) საკასო მომსახურების ანგარიშზე შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციები, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციები, ასევე, ამ ანგარიშზე არსებული თანხების გადარიცხვა სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.

პირს უფლება აქვს აირჩიოს ერთი ან რამდენიმე ბანკი მომსახურებისათვის.

ანგარიშის გახსნა და მომსახურება ხორციელდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის პირობებსაც განსაზღვრავენ მხარეები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკს უფლება აქვს არ დაუშვას ვადიანი დეპოზიტების გატანა/გადარიცხვა ვადის ამოწურვამდე, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

თუ ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კლიენტის მიერ თანხის ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა, ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს საპროცენტო სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებულ პირობებს.

ვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, შეტანა, გადარიცხვა და გატანა, გარდა სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევისა,

შესაძლებელია მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშის ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის მეშვეობით.

არასრულწლოვნის სახელზე გახსნილი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ნებადართულია თანხის შემომტანი პირის ანგარიშის მეშვეობით, ხოლო ანაბრის გატანა/გადარიცხვა – ანაბრის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ანგარიშის მეშვეობით.

მოთხოვნამდე დეპოზიტის გატანისას, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარი შეტყობინება თანხის გატანის შესახებ, თუ ეს გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით.

დასაშვებია ფიზიკური პირისათვის ანგარიშის გახსნა სატელეფონო, ინტერნეტბანკის ან სხვა საშუალებით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ პირს უკვე გახსნილი აქვს ანგარიში ამავე ბანკში. ანგარიშის გასახსნელად, ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სატელეფონო, ინტერნეტბანკის ან სხვა საშუალებით ანგარიშის გახსნის შესაძლებლობას.

ზემოხსენებულ შემთხვევებში, ანგარიშის გახსნისას ბანკმა უნდა მოახდინოს კლიენტის გადამოწმება (ვერიფიკაცია). ბანკმა უნდა უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი დოკუმენტების არსებობა და ხელშეკრულების გაფორმება ამ პუნქტის შესაბამისად ანგარიშის გახსნიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დასაშვებია ბანკის მიერ ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი დოკუმენტაციის მოპოვება ელექტრონული ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისი დოკუმენტების არსებობამდე, აღნიშნულ ანგარიშზე შესაძლებელია მხოლოდ ჩარიცხვის ოპერაციების განხორციელება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ ხელშეკრულების პირობებზე კლიენტის მიერ თანხმობის ელექტრონული ფორმით გამოხატვის შემთხვევაში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ხელშეკრულების და მასში შეტანილი ცვლილებების შენახვა თავდაპირველი შინაარსისა და ფორმის დაცვით.

ბანკს შეუძლია პირს (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა), რომელსაც ამავე ბანკში უკვე გახსნილი აქვს ანგარიში, გაუხსნას ახალი ანგარიში მხოლოდ განაცხადისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი-

დან ამონაწერის საფუძველზე, ხოლო არამეწარმე ფიზიკურ პირს – მხოლოდ განაცხადის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანგარიშის გახსნისას ბანკმა უნდა მოახდინოს კლიენტის გადამოწმება (ვერიფიკაცია).

ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება ჩაირიცხოს ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს კლიენტის დავალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კლიენტთან ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკი ვალდებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშის მფლობელისაგან მოიპოვოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.

ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ანგარიშის მფლობელის დავალებით ბანკი ახორციელებს ოპერაციებს კანონმდებლობის და კლიენტთან დადებული ხელშეკრულების/სანოტარო აქტის ფარგლებში.

ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე აკრძალულია უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალებით ოპერაციების განხორციელება.

ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გაეხსნას იმ არარეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე ეწევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის საქმიანობას. ნომინალური მფლობელობის ანგარიში ეხსნება მხოლოდ იმ არარეზიდენტ იურიდიულ პირს, რომლის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ითვალისწინებს FATF-ის რეკომენდაციების შესრულებას და ამ იურიდიული პირის მიმართ ხორციელდება ზედამხედველობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

ანგარიშის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტები – რეზიდენტ იურიდიულ პირს (გარდა კომერციული ბანკისა) ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრიდან;

- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.

რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკისა) ფილიალს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- ◆ სათავო დაწესებულების უფლებამოსილი პირის განაცხადი ანგარიშის გახსნის თაობაზე;
- ◆ სათავო დაწესებულების ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ◆ ფილიალის ხელმძღვანელის და/ან ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;

მეწარმე ფიზიკურ პირს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ;
- საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.

არამეწარმე ფიზიკურ პირს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ანგარიშის გახსნის თაობაზე (რომლიც ადასტურებს, რომ იგი არ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და არ გამოიყენებს ამ ანგარიშს სამეწარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე, ყველა შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშის მფლობელს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.

ნომინალური მფლობელობის ანგარიში რეზიდენტ პირს გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრიდან (ნოტარიუსის შემთხვევაში საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);

- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
- ლიცენზია ან სხვა ტიპის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც პირს უფლებას აძლევს კლიენტთან ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე, ნომინალურ მფლობელობაში ჰქონდეს, ან/და კლიენტის სახელით ფლობდეს და განკარგავდეს კლიენტის ფულად სახსრებს.

იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

◆ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა:

– განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
– ამხანაგობის წესდება ან ხელშეკრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
– ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
– საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შემთხვევაში). თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას ანგარიშის გახსნის შემდგომ დაუდგა გადასახადის გადახდის ვალდებულება, ბანკს დამატებით წარედგინება საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე ყველა შედეგზე პასუხისმგებელია ანგარიშის მფლობელი;

◆ ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), რომელსაც ეხსნება ანგარიში, მათ შორის, დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობიდან გამომდინარე:

– განაცხადი ანგარიშის გახსნაზე (რომლითაც ერთობლივი ანგარიშის გახსნაზე უფლებამოსილი პირი ადასტურებს, რომ ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) არ მისდევს სამეწარმეო საქმიანობას ან/და ამ ანგარიშს არ გამოიყენებს სამეწარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე

ქველა შეღებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშის მფლობელს);
– ამხანაგობის ხელშეკრულება ან სანოტარო წესით დამოწმებული წესდება;
– ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
– გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

◆ არარეგისტრირებული კავშირი:
– განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
– საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
– ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;

◆ საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მაჟორიტარი კანდიდატი:
– განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
– საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის მოწმობა;
– საარჩევნო სუბიექტის წესდება (გარდა დამოუკიდებელი კანდიდატისა);
– ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
– საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტიას ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

◆ განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
◆ პარტიის სარეგისტრაციო მოწმობა (ამონაწერი მარეგისტრირებელი ორგანოდან პარტიის რეგისტრაციის შესახებ);
◆ ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
◆ საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბიუჯეტო ორგანიზაციას და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა;
- დაწესებულების უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში. ხელმოწერის უფლება ენიჭება პირს, რომელსაც ზემდგომი (უმაღლესი) ორგანოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს უფლება განკარგოს თანხები, ასევე ამ პირის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს;
- საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში – სახაზინო სამსახურის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობა ანგარიშის გახსნის და/ან თანხის განკარგვის შესახებ.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- საპატრიარქოს ან შესაბამისი ეპარქიის ნებართვა ანგარიშის გახსნის შესახებ;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.

არარეზიდენტი იურიდიული პირი ან მისი ფილიალი (გარდა ბანკისა) ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:

- განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ;
- ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, ან სხვა დოკუმენტს, რომელიც არარეზიდენტის სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს არარეზიდენტი პირის იურიდიულ სტატუსს;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს.

ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად არარეზიდენტი იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა/მუდმივი დაწესებულება), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა ბანკისა), ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდ-

განის ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ნომინალური მფლობელობის ანგარიში არარეზიდენტ იურიდიულ პირს გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- განაცხადი ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
- ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან, ან სხვა დოკუმენტი, რომელიც არარეზიდენტის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს პირის იურიდიულ სტატუსს;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
- ლიცენზია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და რომელიც პირს უფლებას აძლევს კლიენტთან ხელშეკრულების საფუძველზე, ნომინალურ მფლობელობაში ჰქონდეს, ან/და კლიენტის სახელით ფლობდეს და განკარგავდეს კლიენტის ფულად სახსრებს.

დიპლომატიური და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ფილიალები, წარმომადგენლობები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობას არ განახორციელებენ, ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენენ:

- განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ;
- დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც ის შეიქმნა (დაფუძნდა) ან განახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერების ნიმუშს;
- საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

რეზიდენტი ბანკი საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:

- განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ბანკის უფლებამოსილი პირი;
- ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის

(პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშებს;

- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ასლს.

საკასო მომსახურების ანგარიშის გასახსნელად ბანკს, მის ფილიალს, განყოფილებას (სერვისცენტრს) ეროვნულ ბანკში ან/და სხვა ბანკში (მის ფილიალში/ფილიალებში და/ან სერვისცენტრში/სერვისცენტრებში) შეიძლება გაეხსნას თითო ანგარიში საკასო მომსახურებისათვის. ანგარიშის გასახსნელად ბანკი წარადგენს:

- განაცხადს საკასო მომსახურების ანგარიშის გახსნის თაობაზე;
- კომერციული ბანკის, მისი ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს;
- სათავო დაწესებულების შესახებ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე გახსნილი არ აქვს საკორესპონდენტო ანგარიში აღნიშნულ ბანკში).

საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:

- განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ფილიალის უფლებამოსილი პირი;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს;
- ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ასლს.

არარეზიდენტი ბანკი (გარდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალისა) საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:

- განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ბანკის უფლებამოსილი პირი;
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუშს (ნიმუშებს);
- დოკუმენტაციას (ან შეესაბამება კითხვარს), რომელიც ასახავს ბანკში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორის-

მის დაფინანსებასთან ბრძოლის პოლიტიკას. კითხვარის ფორმას შეიმუშავებს ბანკი, რომელშიც იხსნება ანგარიში;

- სხვა დოკუმენტაციას ბანკის (რომელშიც იხსნება საკორესპონდენტო ანგარიში) შიდანორმატივების (ინსტრუქციების) შესაბამისად.

საკორესპონდენტო ანგარიში ეხსნებათ მხოლოდ ბანკებს. ბანკის (ბანკების) ფილიალებს უკრძალებათ ერთმანეთში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა. დაუშვებელია ერთსა და იმავე ბანკში ერთსა და იმავე ვალუტაში ერთზე მეტი საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა.

არარეზიდენტი ბანკის (გარდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალისა) ანგარიში გაიხსნება იმ ბანკის დირექტორატის (ან უფლებამოსილი დირექტორის) თანხმობის შემდეგ, სადაც იხსნება ანგარიში.

ბანკს შეუძლია თავად განსაზღვროს მასთან საკორესპონდენტო ანგარიშის მქონე ბანკისათვის სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის გახსნისათვის საჭირო საბუთები, ხოლო საკორესპონდენტო ანგარიშის არმქონე ბანკს სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში გაეხნება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

რეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე რეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში, უფლება აქვს ამავე ბანკში გახსნას სადეპოზიტო ანგარიში SWIFT-ის ავტორიზებული შეტყობინების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ანგარიშის გასახსნელად დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა საჭირო არ არის.

კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ გაუხსნან ანგარიშები მისი გახსნისათვის საჭირო საბუთების შესაბამისი წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლების ფოსტის მეშვეობით წარდგენის საფუძველზე. შემდეგ პირებს:

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულ და მოქმედ ბანკებში ანგარიშის მქონე და, შესაბამისად, ამ ბანკების მიერ იდენტიფიცირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;
- ფიზიკურ პირებს, რომლებსაც უკვე გახსნილი აქვთ ანგარიშები საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში.

ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტები (გარდა კანონქვემდებარე აქტებისა) ბანკს წარედგინება ორიგინალის ან შესაბამისი წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლის სახით. ან-

გარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში და ანგარიშის გასახსნელად ბანკისთვის წარდგენილი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი მოწმდება ნოტარიუსის ან ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელის მიერ, ხოლო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ამოწმებს ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი. ბანკს უფლება აქვს პირის თანხმობის საფუძველზე ბანკსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს პირის პირადობის დადასტურებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

ბანკმა უნდა გაატაროს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული და შიდა ნორმატივით (ინსტრუქციით) გათვალისწინებული გადამოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურები.

განაცხადში (ანგარიშის გახსნაზე) უნდა მიეთითოს პირის საქმიანობა.

ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილმა პირმა ბანკში უნდა წარადგინოს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211 მუხლის მე-3 პუნქტის და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.

საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანაგარიშის გახსნაზე.

საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის ფილიალის განყოფილების (სერვის ცენტრის) საკასო მომსახურების ანგარიშის გახსნაზე.

ბანკს უფლება აქვს, ანგარიშის გახსნის მსურველი პირის მიერ მისთვის წარსადგენი დოკუმენტები მოიპოვოს თავად, მათ შორის, ელექტრონული ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოება: დასაშვებია უცხოური

ვალუტით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, გარდა:

- საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული გადახდებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდებისა.

უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას გადარიცხვის დოკუმენტებში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება.

თუკი უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 30000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი ვალდებულია გადამხდელი მეწარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ბანკი ვალდებულია შეინახოს ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები. ასლების შენახვა შესაძლებელია ელექტრონული ასლის ფორმით.

ზემოხსენებული გათვალისწინებული გამონაკლისები და ვალდებულებები არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ გადახდებზე. ასევე, სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ სხვა კომერციული ბანკის დავალებით განხორციელებულ გადახდებზე.

4.4. ანგარიშების გადაფორმება და დახურვა

სამეწარმეო იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელის და/ან გვარის შეცვლისას ბანკში ანგარიშის მფლობელი წარადგენს განაცხადს ცვლილების შესახებ და შესაბამისი ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტს (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), რის საფუძველზეც ხდება ანგარიშის გადაფორმება.

ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, არსებული საკორესპონდენტო ანგარიში (ანგარიშები) იხურება და ხდება ახალი სალიკვიდაციო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში. სალიკვიდაციო ანგარიშის გახსნისას ეროვნულ ბანკს წარედგინება შესაბამისი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული ლიკვიდატორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.

ბანკში პირის ანგარიში დაიხურება:

- ანგარიშის მფლობელის განცხადებით;
- ლიკვიდატორის განცხადებით (გარდა ეროვნულ ბანკში გახსნილი სალიკვიდაციო ანგარიშებისა) და/ან პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემთხვევაში;
- ეროვნულ ბანკში გახსნილი კომერციული ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშის შემთხვევაში – ლიკვიდაციის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად;
- ფილიალის შემთხვევაში – მისი სათავეო საწარმოს (ორგანიზაციის) განცხადებით, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში – ანგარიშის გახსნაზე თანხმობის გამცემი ორგანოს განცხადებით;
- ფიზიკური პირის მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში;
- დადგენილი წესით პირის (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირის) გაკოტრებულად ცნობის შემთხვევაში;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- ანგარიშის მომსახურებისათვის და/ან დახურვისათვის ბანკში განსაზღვრული საკომისიოს ოდენობის ნაშთის და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ოპერაციების არარსებობისას, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს;
- მოქმედი კანონმდებლობისა და საბანკო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის მფლობელის გარდაცვალებისას, მემკვიდრის განცხადებით, სამკვიდრო მოწმობის, მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ხელმოწერის ნიმუშის წარდგენის საფუძველზე, მემკვიდრის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია არ დახუროს ვადიანი სადეპოზიტო ანგარიში სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში ხდება სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის გადაფორმება მემკვიდრის სახელზე.

ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გადაფორმდეს

სხვა პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკრძალულია ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, თუ პირის საბანკო ანგარიშების მიმართ გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და მათი წარმოება

5.1. საგადახდო საბუთების სახეები, მათი გაფორმება და გამოყენება

უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოიყენება:

- საგადახდო დავალება;
- საინკასო დავალება;
- დოკუმენტალური აკრედიტივი;
- დოკუმენტალური ინკასო;
- საბანკო პლასტიკური ბარათი;
- საანგარიშსწორებო ჩეკი.

საგადახდო საბუთები, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორიცაა:

- საგადახდო საბუთის დასახელება;
- საგადახდო საბუთის ნომერი (№—) – საგადახდო საბუთის ნომერი მიეთითება ციფრებით;
- საგადახდო საბუთის შედგენის (გამოწერის) თარიღი (20— წლის „—“ ————) მიეთითება საგადახდო საბუთის შედგენის თარიღი. დღე – ციფრებით, თვე – სიტყვით, წელი – ციფრებით. ელექტრონული საბუთის შედგენისას თარიღის ჩაწერა შეიძლება შემდეგი სახითაც – (დდ.თთ.წწ);
- გადამხდელის დასახელება:

– სახსრების გადამხდელი იურიდიული პირის სრული დასახელება (სასურველია სამართლებრივი ფორმის ჩათელით) და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

– ფიზიკური პირის სახელი და გვარი, შესაძლებელია ასევე მიეთითოს ფიზიკური პირის პირადი ნომერი;

– უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სახელი და გვარი, შესაძლებელია ასევე მიეთითოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის

ნომერი და ქვეყნის დასახელება;

- გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი – მიეთითება საბიუჯეტო ვალდებულებების დაფარვისას როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის შემთხვევაში.
- ანგარიში (დებეტი) – გადამხდელის ანგარიში ბანკში. ფიზიკური პირის შემთხვევაში დასაშვებია სხვა ანგარიშის (მაგ., სატრანზიტო და სხვ.) მითითება;
- გადამხდელის ბანკი – მიეთითება გადამხდელი ბანკის დასახელება;
- ბანკის კოდი – ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში გადამხდელს;

– გადასახადის გადამხდელის დასახელება – ამ ველში შესაძლებელია მიეთითოს შემდეგი შემთხვევებიდან ერთ-ერთი:

– სახსრების გადამხდელი იურიდიული პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, თუ გადამხდელი ახდენს თავის საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას;

– იმ პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, ვის მაგივრადაც ბიუჯეტში ხდება გადახდა;

- მიმღების დასახელება – მიეთითება სახსრების მიმღები იურიდიული პირის სრული დასახელება (სასურველია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩათვლით) ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი. მიმღების (იურიდიული პირის) დასახელების შემოკლება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს დასახელების შინაარსობლივ ცვლილებას და არ გაართულებს ბანკისა და კლიენტის მუშაობას;
- ანგარიში (კრედიტი) – სახსრების მიმღების ანგარიში ბანკში ან ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი (ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის გადარიცხვების შემთხვევაში);
- მიმღების ბანკი – მიეთითება სახსრების მიმღების ბანკის დასახელება;
- ბანკის კოდი – ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში თანხის მიმღებს;
- გადახდის დანიშნულება (ტექსტობრივად) – მიეთითება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ გადახდასთან (საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების დასახელება, სასაქონლო საბუთების, ხელშეკრულებების ნომრები, თარიღები, წინასწარი გადახდები, საქართველოს

საგადასახადო კოდექსის 59-ე მუხლის 41 ნაწილით გათვალისწინებული სხვის მაგივრად საბიუჯეტო გადახდების ფაქტი და სხვ.);

- დამატებითი ინფორმაცია – არეგისტრირებული დამატებითი ტექსტური ინფორმაციისათვის.
- თანხა – მიეთითება გადასახდელი თანხა ციფრებით;
- თანხა სიტყვით – სიტყვიერად (ტექსტობრივად) მიეთითება გადასახდელი თანხა. ამასთან, სავალდებულოა მიეთითოს სიტყვა „ლარი“, ხოლო „თეთრების“ მნიშვნელობა მიეთითება ციფრებით. თუ თანხა გამოსახულია მხოლოდ ლარებით, მაშინ თეთრების მითითება სავალდებულო არ არის. თანხის სიტყვიერად შეესება ხდება სტრიქონის დასაწყისიდან;
- კლიენტის ხელმოწერა – ქაღალდის საგადახდო საბუთს ხელს უნდა აწერდეს პირი ან პირები, რომლებსაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის მათი უფლება დასტურდება მომსახურე ბანკში წარდგენილი ხელმოწერის ნიმუშის ბარათით. ქაღალდის საგადახდო საბუთებზე მექანიკური საშუალებებით ხელმოწერა დაუშვებელია, გარდა ამ წესებით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა. ელექტრონულ საგადახდო საბუთს ხელს აწერს პირი ან პირები, რომელიც საგადახდო სისტემაში რეგისტრირებულია ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის მფლობელად (სისტემის ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესით);
- ბ.ა. – გადამხდელის ბეჭდის ადგილი. გადამხდელი ბანკში წარდგენილ საგადახდო საბუთს ბეჭედს იმ შემთხვევაში დაარტყამს, თუ მას მომსახურე ბანკისათვის ხელმოწერის ნიმუშის ბარათით წარდგენილი აქვს მისი ბეჭდის ტვიფრის ანაბეჭდი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბანკები გადამხდელებისაგან ბეჭდით დამოწმებულ საგადახდო საბუთებს არ მიიღებენ;
- ბანკის აღნიშვნები – ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი;
- ბანკში შემოსვლის თარიღი – გადამხდელის მიერ საგადახდო საბუთის ბანკში წარდგენის თარიღი. ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი შემდეგი ფორმატით (დდ.თთ.წწ);
- ხელმოწერა – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის ხელმოწერა;
- შტამპის ადგილი – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის მიერ

საბუთის გაფორმების სისწორის შემოწმების და შესასრულებლად მიღების ან საბუთის გამოუთხოვადობის დამადასტურებელი შტამპი. ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი საბუთის გაფორმების სისწორის შემოწმების და შესასრულებლად მიღების ფაქტს ადასტურებს შტამპით „მიღებულია“, ხოლო თუ საბუთი გამოუთხოვადია – შტამპით „განაღდებულია.[3]

საგადახდო საბუთში გადამხდელის დასახელების მითითებისას გადამხდელის (იურიდიული პირის) დასახელების შემოკლება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს დასახელების შინაარსობრივ ცვლილებას და არ გაართულებს ბანკისა და კლიენტის მუშაობას.

საგადახდო საბუთში აგრეთვე სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება.

რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ბანკისათვის მართვის მოწმობის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული პირადი ნომრის შემცველი ოფიციალური დოკუმენტის წარდგენისას ბანკი ვალდებულია, ფიზიკური პირის მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული თანხმობის საფუძველზე კლიენტის იდენტიფიკაცია განახორციელოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული პერსონალური მონაცემების საფუძველზე.

ბანკები ანგარიშებზე უნაღდო ოპერაციებს აწარმოებენ ელექტრონული ან ქაღალდის საგადახდო საბუთების საფუძველზე. კლიენტსა და მის მომსახურე ბანკს შორის შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია საგადახდო საბუთის ფაქსით მიღება. საგადახდო საბუთის ფაქსით მიღების შემთხვევაში არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებებს განსაზღვრავს ბანკი.

ქაღალდის საგადახდო საბუთებით ანგარიშსწორებისას ბანკი შესასრულებლად იღებს ხელმოწერის უფლების მქონე პირების (ან ერთი პირის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებულ საგადახდო საბუთებს. საბუთზე ხელმოწერები (ხელმოწერა) უნდა შეესაბამებოდეს ხელმოწერის ნიმუშის ბარათში მოცემულ ხელმოწერებს (ხელმოწერას).

საგადახდო საბუთს ავსებს კლიენტი (გადამხდელი) ან ბანკი. საგადახდო საბუთის შინაარსისა და რეკვიზიტების სისწორისათვის

3 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 იუნისის №166 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები“.

პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. კლიენტის თხოვნით შევსებულ საგადახდო საბუთს კლიენტი ხელს მოაწერს შესაბამის ველში და ამით ადასტურებს, რომ საანგარიშსწორებო საბუთის ადეკვატურობისათვის კლიენტმა თვითონ აიღო პასუხისმგებლობა.

საოპერაციო დღეში საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება დღის განმავლობაში, ბანკის მიერ კლიენტებთან მუშაობის დადგენილ საათებში.

საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტებისგან მიღებული საგადახდო საბუთების შესრულება ეროვნულ ვალუტაში ხდება იმავე სამუშაო დღეს დაუყოვნებლივ, თუ გადამხდელი და მიმღები პირი ერთი ბანკის კლიენტია.

საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტისგან მიღებული საგადახდო დავალების შესრულება, რომლის თანხა არის ან აღემატება 10000 ლარს, უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურ რეჟიმში. კლიენტის მოთხოვნით საგადახდო დავალების შესრულება ასევე უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურ რეჟიმში, მიუხედავად საგადახდო დავალების თანხის ოდენობისა.

საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტისგან მიღებული საგადახდო დავალების შესრულება, რომლის თანხა არ აღემატება 10000 ლარს, შესაძლოა განხორციელდეს პაკეტურ რეჟიმში.

საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ, სამუშაო დღის ბოლომდე შემოსული საგადახდო საბუთები შესრულდება არა უგვიანეს მომდევნო საოპერაციო დღეს.

ზემოხსენებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კომერციულ ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმებით გათვალისწინებულია საგადახდო დავალების შესრულების სხვა ვადები და იგი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

კომერციული ბანკი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საგადახდო დავალების ინდივიდუალურ რეჟიმში შესრულების შესაძლებლობისა და პირობების შესახებ.

ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში, საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება მათში აღნიშნული თანხის ოდენობის მიუხედავად. საინკასო დავალების და ბიუჯეტში გადასახდელების შემთხვევაში საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის მიუხედავად.

უნაღდო ანგარიშსწორების ამ წესების მოთხოვნების დარღვევით

გაფორმებულ საგადახდო დავალებებს ბანკი შესასრულებლად არ მიიღებს. ამასთან, არასწორად გაფორმებული საგადახდო საბუთის არმიღება, ბანკის მხრიდან წერილობით მოტივირებას არ საჭიროებს.

ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი, შესასრულებლად მიღებულ საგადახდო საბუთების გაფორმების სისწორის შემოწმების შემდეგ, „ბანკის აღნიშვნების“ ველში მიუთითებს საგადახდო საბუთის ბანკში შემოსვლის თარიღს, დაუსვამს შტამპს, ხელმოწერას და საბუთის ასლს გადასცემს კლიენტს.

კლიენტს უფლება აქვს გააუქმოს ბანკისათვის მიცემული დავალება, სანამ რეალურად არ მომხდარა მისი საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა. საგადახდო საბუთი ითვლება რეალურად გადარიცხულად (შესრულებულად), როდესაც:

- კლიენტის მომსახურე საბანკო დაწესებულება ამ საბუთის კლიენტისათვის დასაბრუნებელ ეგზემპლარზე ასვამს შტამპს – „განაღდებულია“.
- კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში ელექტრონულად წარდგენილი საბუთის საფუძველზე თანხა ჩამოწერილია კლიენტის ანგარიშიდან.

გადამხდელს უფლება აქვს გაითხოვოს მის მიერ ბანკში წარდგენილი:

- არასაბიუჯეტო ანგარიშებზე გადარიცხვის ამსახველი საგადახდო დავალებები მათ შესრულებამდე;
- ბიუჯეტის ან მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენილი საგადახდო დავალება, რომელიც გაუნაღდებელია ან ნაწილობრივ განაღდებულია (გადამხდელის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის, ან სხვა მიზეზების გამო) და აღრიცხულია „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების“ კარტოთეკაში.

სახსრების მიმღებს (სახსრების ამომღებს) უფლება აქვს გაითხოვოს ბანკის მიერ ინკასოზე მიღებული დავალება, რომელიც გაუნაღდებელია ან ნაწილობრივ განაღდებულია (გადამხდელის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის ან სხვა მიზეზის გამო) და აღრიცხულია „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების“ კარტოთეკაში.

შეუსრულებელი საგადახდო საბუთების კარტოთეკიდან გათხოვა შეიძლება მთლიანი თანხით (ნაწილობრივი გამოთხოვა დაუშვებელია), ხოლო ნაწილობრივ შესრულებულის – შეუსრულებელი ნაშთის ფარგლებში.

საგადახდო საბუთების გათხოვა ხდება თავისუფალი ფორმით შედგენილი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს საგადახდო საბუთის წარმდგენი სათანადო კომპეტენციის მქონე პირი და წარედგინება გადამხდელის მომსახურე ბანკს. განცხადების დედანი მოთავსდება ბანკის დღიურ საბუთებში, ხოლო ბანკის კანცელარიის შტამპით დამოწმებული ასლი უბრუნდება კლიენტს, საბუთის გამოთხოვაზე მიმართვის მიღების დასტურად.

გამოთხოვილ საგადახდო დავალებებს ბანკი უბრუნებს გადამხდელებს, ხოლო საინკასო საბუთებს – მის წარმომდგენებს.

საგადახდო საბუთების დაბრუნებისას ბანკი გადახაზავს აღნიშვნებს შესრულებაზე მათი მიღების შესახებ. საგადახდო საბუთის დედნის მეორე მხარეზე კეთდება აღნიშვნა დაბრუნების შესახებ („დაბრუნებულია განაღდების გარეშე „—“ ———— თარიღის № — წერილის საფუძველზე“), დაისმება დაბრუნების თარიღი, ბანკის შტამპი, პასუხისმგებელი შემსრულებლის და მაკონტროლებელი მუშაკის ხელმოწერები. ასე გაფორმებული საგადახდო დავალების ასლი უბრუნდება გადამხდელს, ხოლო დედანი რჩება ბანკში და საბუთის გათხოვაზე განცხადებასთან ერთად მოთავსდება დღიურ საბუთებში.

კლიენტის ანგარიშის დახურვის შემთხვევაში საგადახდო დავალებები უბრუნდება გადამხდელს, საინკასო დავალებები – სახსრების მიმღებებს (სახსრების ამომღებებს) ანგარიშის დახურვის თარიღის აღნიშვნით.

ანგარიშსწორების დასრულების თვალსაზრისით, მიმღების წინაშე მიმღები ბანკის ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის დასრულების მომენტიდან.

მიმღების ანგარიშის ნომერი თუ არ წარმოადგენს IBAN-ს, მაშინ მიმღები ბანკის მიერ მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს კორესპონდენტი ბანკისგან (ან „კლიენტი-ბანკის“ შემთხვევაში, როდესაც მიმღები ამავე ბანკის კლიენტია), მიღებულ ელექტრონულ (ან ქაღალდის) საგადახდო საბუთში მითითებული მიმღების ანგარიშის ნომრის და მიმღების დასახელების მიხედვით. ამ რეკვიზიტებიდან მხოლოდ ერთ-ერთის შესაბამისობის შემთხვევაში მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში სახსრების მფლობელის დადგენამდე, ბანკს უფლება აქვს შეაჩეროს მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა.

თუ მიმღების ანგარიში წარმოდგენილია IBAN-ის ფორმატში,

თანხის მიმღების იდენტიფიცირება, ბანკმა უნდა განახორციელოს მხოლოდ IBAN-ის მიხედვით. მიმღები ბანკი ვალდებულია მიმღების ანგარიშზე დაუყოვნებლივ ჩარიცხოს მიღებული თანხები, თუ მიმღების ანგარიში წარმოდგენილია IBAN-ის ფორმატში.

მიმღების რეკვიზიტების სისწორის შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა მიმღების ანგარიშზე უნდა მოხდეს იმავე დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის შეფერხებებით გამოწვეულ სახსრების დაგვიანებით ჩარიცხვებს.

იმ შემთხვევაში, თუ მიმღების ანგარიშის ნომერი არ არის IBAN და საგადახდო საბუთში მითითებული მიმღების ანგარიშის ნომერი და მიმღების დასახელება არ შეესაბამება მიმღების ბანკში გახსნილ კლიენტის ანგარიშს და მის დასახელებას, ბანკის მიერ მიღებული სახსრები დროებით ჩაირიცხება „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე". ანგარიშის IBAN-ის ფორმატში წარმოდგენის შემთხვევაში, თუ ბანკი არ განახორციელებს ტრანზაქციას იმ საფუძვლით, რომ მიმღების IBAN არასწორია, მიღებული სახსრები ასევე ჩაირიცხება „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე". მიმღები ბანკი, არა უგვიანეს სახსრების მიღების მომდევნო სამუშაო დღისა, ვალდებულია მიიღოს ზომები სახსრების მფლობელის დასადგენად. ბანკი ვალდებულია ფულადი სახსრები, რომელთა მფლობელის დადგენა აღმოჩნდება შეუძლებელი, 3 სამუშაო დღის განმავლობაში (გარდა საერთაშორისო ანგარიშსწორების შემთხვევისა) დაუბრუნოს გადამხდელ ბანკს (დაბრუნების მიზეზის ჩვენებით).

რეალური მფლობელის დასადგენად, სახსრების მიმღების მომსახურე ბანკი ვალდებულია მიმღების მონაცემები (ანგარიშის ნომერი და დასახელება) დაუზუსტოს გადამხდელის ბანკთან.

გადამხდელის ბანკიდან დაზუსტებული მონაცემების მიღების შემთხვევაში, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს მიღებული საგადახდო საბუთის და დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ამასთან, ამ ოპერაციის ელექტრონულად შესრულებისას, გადახდის დანიშნულებაში მიეთითება როგორც საგადახდო საბუთის ნომერი და თარიღი, ისე იმ დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომლითაც მოხდა მონაცემების დაზუსტება.

ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმღების მომსახურე ბანკს.

უქაღალდო ტექნოლოგიის შემთხვევაში, როდესაც დაცულია

„ელექტრონული არქივების ორგანიზაციის“ პირობები, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა ხდება ბანკის მიერ მიღებული ელექტრონული საგადახდო დავალებების მეშვეობით, კომპიუტერული გატარებებით (ქაღალდის საბუთების გამოყენების გარეშე). ამ შემთხვევაში ელექტრონული საგადახდო საბუთის ბეჭდვა ქაღალდზე, დღიურ საბუთებში განთავსების მიზნით, სავალდებულო არ არის.

თუ ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ასევე რეგულირდება უქაღალდო ტექნოლოგიით, ასეთ შემთხვევაში დღიური ელექტრონული საგადახდო საბუთები და ანგარიშიდან ამონაწერი მიმღებს (კლიენტს) გადაეცემა ელექტრონულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ვადებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტსა და ბანკს შორის უნაღდო ანგარიშსწორებისას ბანკს წარმოეშობა კლიენტის ანგარიშიდან მისი განკარგულების (საგადახდო საბუთის) გარეშე სახსრების ჩამოწერის ვალდებულება (მაგ., კლიენტის მიერ მისი ანგარიშიდან სახსრების უპირობოდ ჩამოწერის შესახებ უფლების ხელშეკრულებით ან წინასწარი განაცხადის საფუძველზე დელეგირება, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სახსრების იძულებით ჩამოწერის ვალდებულება, ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო საბუთების ნაწილობრივი განაღდება, თანხების უკან, მიზნობრივი დანიშნულებით დაბრუნება და სხვ.), ბანკი ასეთი სახის ოპერაციებს ახორციელებს მის (ბანკის) მიერ შედგენილი საგადახდო დავალების საშუალებით, შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

- „გადამხდელის“ ველში მიეთითება სახსრების გადამხდელი პირის სრული რეკვიზიტები;
- „საიდენტიფიკაციო ნომერი“ – მიეთითება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- „ანგარიშის ნომრის“ ველში მიეთითება გადამხდელის საბანკო ანგარიში;
- „დანიშნულების“ ველში მიეთითება კლიენტის ანგარიშიდან მისი განკარგულების გარეშე სახსრების უდავო წესით ჩამოწერის საფუძველი;
- საგადახდო დავალებას ხელს აწერს საბანკო დაწესებულების ის პასუხისმგებელი პირი (პირები), რომელსაც მინიჭებული აქვს საგადახდო საბუთების ხელმოწერის უფლება.

52. ანგარიშსწორება საგადახდო და საინკასო დავალებებით

საგადახდო დავალების ელექტრონული წარდგენა:

- ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენა (ან მისი გამოსახულების გადაცემა) ხდება საგადახდო საბუთების ელექტრონულად გაცვლის შესახებ ელექტრონული სისტემების, პროგრამულ-კრიპტოგრაფიული დაცვების და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების გამოყენების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენისას, ბანკს ქაღალდის საგადახდო დავალება არ წარუდგინება;
- ელექტრონული საგადახდო საბუთი ელექტრონული შეტყობინებების სახით გასაცვლელად უნდა შეესაბამებოდეს:

– საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს – ბანკთაშორისი ანგარიშსწორების შემთხვევაში;

– კომერციული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს – სათავო ბანკსა და მის ფილიალებს შორის, აგრეთვე, ბანკსა და კლიენტებს შორის (კლიენტი-ბანკით, ინტერნეტით, მობილური ტელეფონებით ან სხვ.) ანგარიშსწორების შემთხვევაში;

- ბანკთაშორის ანგარიშსწორების სისტემისათვის გადასაცემი ელექტრონული საგადახდო საბუთი უნდა შეიცავდეს ყველა რეკვიზიტს, გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომელთა გადატანაც ელექტრონულ ფორმატში შეუძლებელია (ბეჭედი, შტამპი, ხელმოწერა), ამასთან, იგი უნდა შეიცავდეს დამატებით რეკვიზიტებს – საბუთის უნიკალურ კოდს (რეფერენსს), ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას. ბანკის საოპერაციო დღის სისტემაში ელექტრონულ საგადახდო საბუთს, შესაძლოა ჰქონდეს სხვა დამატებითი რეკვიზიტებიც (მაგ., შიდა ოპერაციების განმკარგულებლების და შემსრულებლების კოდები, სპეციალური სისტემური ნიშნები, მიმდინარე სტატუსი და სხვ.). ინფორმაციის კომპიუტერულ ტექნიკაში შეტანის დროს ელექტრონულ საგადახდო დავალებაში ძირითადი ველების შეტანა ხდება უშუალოდ ქაღალდის საგადახდო დავალებიდან, ხოლო დამატებითი ველების წარმოშობა (ან გამოძახება) ხდება სისტემური საშუალებებით (პროგრამულ-ტექნიკური საშუალებები).

- საგადახდო დავალების ელექტრონული სახით წარდგენისას, საჭიროა დაცულ იქნეს მხარეთა შორის შეთანხმებული, არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები. არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები ითვლება შეთანხმებულად:
  - როდესაც კლიენტმა ხელშეკრულებით აღიარა ბანკის მიერ შეთავაზებული არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები;
  - თუ კლიენტმა არ მიიღო ბანკის წინადადებები და ბანკს შესთავაზა დაცვის სხვა წინადადებები, რომლებიც ბანკისათვის აღმოჩნდა მისაღები. ასეთ შემთხვევაში არასანქცირებული გადახდების დაცვის მოქმედებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს;
- კლიენტის მომსახურე ბანკის მიერ კორესპონდენტ ბანკში გადაცემული სანქცირებული ელექტრონული საგადახდო დავალება ჩაითვლება შეცდომით გადაცემულად:
  - როდესაც საგადახდო დავალების რეკვიზიტები არ შეესაბამება გადამხდელის საგადახდო დავალების რეკვიზიტებს;
  - როდესაც საგადახდო დავალება გადაცემულია განმეორებით;
- იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში გადაცემული საგადახდო დავალება შეცდომითაა გადაცემული, კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ. კლიენტმა შეტყობინებაში უნდა ასახოს საგადახდო დავალების რეკვიზიტები და მის მიერ გამოვლენილი არასწორი რეკვიზიტები;
- თუ ბანკს არ წარედგინა ასეთი შეტყობინება, არასწორი რეკვიზიტებით გადაცემული საგადახდო დავალება ჩაითვლება შესასრულებლად მიღებულად და ბანკი პასუხს არ აგებს მისი შესრულების შედეგად დამდგარ ფაქტზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ შეცდომით გადაცემული საგადახდო დავალების გამო მომსახურე ბანკმა განიცადა ზარალი, კლიენტი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალისათვის.

საგადახდო დავალების ქაღალდით წარდგენის თავისებურებები:

- საგადახდო დავალება (მათ შორის, საინკასო დავალება) ბანკში წარსადგენად ძალაშია მათი გამოწერიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში (გამოწერის დღის ჩაუთვლელად);

- საგადახდო დავალებები შესასრულებლად მიიღება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში (გარდა ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენილი საგადახდო დავალებებისა, რომლებიც მიიღება კლიენტის ანგარიშზე თანხების არსებობის მიუხედავად და აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში). საგადახდო დავალების კარტოთეკაში მოთავსების შემთხვევაში, საგადახდო დავალების ქვედა ველის ზედა მარჯვენა კუთხეში კეთდება შენიშვნა კარტოთეკაში მოთავსების შესახებ, თარიღის ჩვენებით.
- ქაღალდის საგადახდო დავალების გაფორმება (დოკუმენტალური ოპერაციების გარდა) ხდება 5.1. და 5.2. ნახაზზე მოცემული ფორმით.

ნახაზი 5.1

საგადახდო დავალება № ____

თარიღი ___/_____/ 20 ___

გადამხდელი: _____

_____

გადამხდელის ანგარიში _____

გადამხდელის ბანკი _____ ბანკის კოდი _____

ინფორმაცია პირზე, რომლის სასარგებლოდაც სრულდება გადახდა

დასახელება _____

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი _____

მიმღები _____

_____

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი _____

მიმღების ბანკი / ხაზინა _____ ბანკის კოდი _____

გადახდის დანიშნულება _____

დამატებითი ინფორმაცია _____

_____

_____

ხელმოწერები

ბეჭდის ადგილი

თანხა

_____

თანხა სიტყვებით

_____

_____

_____

_____

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი

___/_____/20___

ბანკში შესვლის თარიღი

___/_____/20___

ხელმოწერა

_____

შტამპის ადგილი

საგადახდო საბუთების ბლანკების დამზადება ხდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. დასაშვებია შევსებული საგადახდო საბუთების დეტნის გამრავლება ბანკისათვის ან ანგარიშსწორებაში მონაწილე მხარეებისათვის საჭირო რაოდენობით, იმ პირობით, თუ ასლის გადაღება წარიმართება ხარვეზების გარეშე.

საგადახდო საბუთების ბლანკების ზომებიდან გადახვევები დასაშვებია ველების შენარჩუნების პირობით.

საგადახდო საბუთების შევსება ხდება ქართულ ენაზე. დასაშვებია საგადახდო დავალების ინგლისურ ენაზე შევსება.

საგადახდო საბუთების ბლანკების მეორე მხარე არ გამოიყენება.

ქაღალდის საგადახდო საბუთებში შეუსაბამობა თანხის ციფრობრივ და სიტყვიერ მაჩვენებლებს შორის, აგრეთვე, შეცდომები, შესწორებები, ჩამატებები, ამოშლები, მაკორექტირებელი სითხეების გამოყენება და სხვა, დაუშვებელია.

ნახაზი 5.2

საინკასო დავალება (განკარგულება) № ____

თარიღი ___/_____/20___

გადამხდელის დასახელება _____

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი _____

გადამხდელის ბანკი _____ ბანკის კოდი _____

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

ანგარიში (დებეტი)

მიმღების დასახელება _____

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) _____

მიმღების ბანკი / ხაზინა _____ ბანკის კოდი _____

გადასახადის დანიშნულება _____

დამატებითი ინფორმაცია _____

ხელმოწერები:

ბეჭდის ადგილი

თანხა

თანხა სიტყვებით

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი

___/_____/20___

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

დაუშვებელია საგადახდო საბუთების შევსებისას რეკვიზიტების ტექსტური და ციფრული მნიშვნელობების გატანა მათთვის განკუთვნილი ველების საზღვრებს გარეთ. რეკვიზიტების მნიშვნელობები უნდა იკითხებოდეს თავისუფლად. ხელმოწერა (ხელმოწერები) და შტამპი (ან ბეჭედი) საანგარიშსწორებო საბუთებში უნდა განთავსდეს მათთვის განკუთვნილ ველებში. საგადახდო საბუთებზე შტამპის (ან ბეჭდის) დასმის შემთხვევაში ტვიფრი უნდა იყოს მკაფიო.

საგადასახადო დავალების შევსებისას გასათვალისწინებელი თავისებურებები:

- თუ გადამხდელი ახდენს თავისი სახელით ბიუჯეტში გადახდას ან თავისი სახელით რიცხავს თანხას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, საგადახდო დავალების რეკვიზიტი – „გადამხდელი“ შეივსება არსებული წესით, ამასთან, იგივე დასახელება, სავალდებულო წესით, იდენტურად გამეორდება საგადახდო დავალების ველში – „დასახელება“, ხოლო გრაფაში – „საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი“ მიეთითება საგადასახადო ორგანოების მიერ ამ გადამხდელისათვის ან ფიზიკური პირისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი;
- თუ გადამხდელი ახდენს სხვისი სახელით ბიუჯეტში გადახდას, ან სხვისი სახელით რიცხავს თანხას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში გრაფაში – „გადამხდელი“ მიეთითება იმ პირის დასახელება, რომელიც ახდენს სახსრების გადახდას, ხოლო „დასახელებაში“ მიეთითება იმ პირის სრული დასახელება (ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი), ვის მაგივრადაც ხდება გადახდა. ამავე დროს, გრაფაში – „საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი“ მიეთითება იმ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა.
- კლიენტის მიერ ამ წესების დაცვით შედგენილი ქაღალდის საგადახდო დავალება ბანკს წარედგინება ერთ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს დედანს. საგადახდო დავალების კლიენტისადმი დასაბრუნებელი მეორე ეგზემპლარი (ან ნებისმიერი სხვა რაოდენობა, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და აისახება ოპერაციების წარმოების შესახებ ბანკის მიერ გაცხადებულ პირობებში – შიდასაბანკო წესებში) არის მისი ასლი (გადაღებული ასლგადამღები ტექნიკით, სკანერით და ა.შ – თუ ასლის გადაღება შესრულებულია ხარვეზების გარეშე). საგადახდო დავალების დედანი რჩება ბანკში და წარმოადგენს ოპერაციის შესრულების საფუძველს, ხოლო ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერით და შტამპით დამოწმებული ასლი, სავალდებულო წესით, უბრუნდება კლიენტს;
- კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილ საგადახდო დავალების ნაწილობრივი შესრულების პირობის მითითება დაუშვებელია.

- ბიუჯეტში გადასახდელებზე წარდგენილ საგადახდო დავალებებზე ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით – ფაქსიმილიით.

ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით: უდავო წესებით თანხების გადახდევინებას (ჩამოწერას) ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ბიუროები, კერძო აღმასრულებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პირისათვის გადასახდელთა დაკისრების უფლებამოსილება.

კერძო აღმასრულებელი გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების უდავო წესით ჩამოწერას ახდენს უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების დედნის ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლებისა და სახსრების ჩამოწერის შესახებ მის მიერ შეესებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე. საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ბიუროები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების უდავო წესით ჩამოწერას ახდენენ მათ მიერ შევსებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე. ბიუჯეტის გადასახდელების ამოღების მიზნით წარმოდგენილ საინკასო დავალებებზე (განკარგულებებზე) ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით – ფაქსიმილიით.

ბანკში წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი გაფორმებული უნდა იყოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უდავო წესით სახსრების ჩამოწერის შესახებ საინკასო დავალების შესაბამის ველში უნდა მიეთითოს იმ ნორმატიული აქტის სახელწოდება და მუხლი (პუნქტი), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სახსრების უდავო წესით ჩამოწერა. ამ ველში შეტანილი ინფორმაციის ნამდვილობისათვის ბანკი პასუხს არ აგებს.

საინკასო დავალებაში მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და ჩამოსაწერი თანხის ოდენობა, ხოლო საბანკო ანგარიშის მითითება, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს თანხების

ჩამოწერა, საჭიროებისას, არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საინკასო დავალებაში მითითებულია საბანკო ანგარიში, საბანკო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არ არის ვალდებული შეამოწმოს მითითებული ანგარიშის სისწორე და თანხის ჩამოწერას ახორციელებს მხოლოდ საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბანკო დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში საბანკო დაწესებულება ვალდებულია საგადასახადო და საბაჟო ორგანოს საინკასო დავალება ან დადებული ყადაღა აუტომატურად გააუქმოს ბანკში არსებულ გადამხდელის (კლიენტის) ყველა ანგარიშზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საინკასო დავალებით წარდგენილი თანხა უდავო წესით ჩამოიწერება ერთხელ. თანხის ჩამოწერა შესაძლებელია როგორც ერთი რომელიმე ანგარიშიდან, ასევე გადმხდელის სხვა საბანკო ანგარიშებიდან ჯამურად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საინკასო დავალება, პირველ რიგში, შესრულდება იმ ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), რა ვალუტითაც არის წარდგენილი უდავო წესით გადასახდელი თანხა. წარდგენილი ვალუტით ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული ფულადი სახსრების არასაკმარისობის დროს, სხვა ვალუტაში არსებული ანგარიშის (ანგარიშების) არსებობის შემთხვევაში, ბანკი საინკასო დავალების შესრულებას ახორციელებს ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხის კონვერტაციით.

სხვა ვალუტით გახსნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისას, კონვერტაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ბანკსა და კლიენტს შორის ანგარიშსწორების საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

უდავო წესით სახსრების ჩამოსაწერად კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო ფურცელი და საინკასო დავალება ან საქართველოს ეროვნული ბანკის, სააღსრულებო ბიუროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საინკასო დავალება, შე-

საბამისი უფლებამოსილი პირების მიერ ან საფოსტო გზავნილით, წარედგინება უშუალოდ იმ საბანკო დაწესებულებას ან მის ქვედანაყოფს, რომელშიც წარმოებს გადამხდელის ანგარიში. სათავო ბანკში მონაცემთა ბაზების ცენტრალიზებული დამუშავების სისტემის არსებობის შემთხვევაში საინკასო დავალება შეიძლება წარედგინოს სათავო ბანკს.

საინკასო დავალების წარმდგენი პირის (პირების) სამსახურებრივი უფლებამოსილების დადგენას საბანკო დაწესებულება ახდენს პირის სამსახურებრივი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები გაცემული უნდა იყოს საინკასო დავალების წარმომდგენი ორგანოს მიერ. კერძო აღმასრულებლის სამსახურებრივი უფლებამოსილების დადგენა ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული კერძო აღმასრულებლების რეესტრიდან ამონაწერით. საინკასო დავალების წარმომდგენი პირის იდენტიფიკაცია შეიძლება განახორციელონ საბანკო დაწესებულებების კანცელარიის, საოპერაციო ან იურიდიული დეპარტამენტის (განყოფილების) თანამშრომლებმა. წარმომდგენის ვინაობის დადგენის გარეშე საბანკო დაწესებულება არ მიიღებს შესასრულებლად საინკასო დავალებას.

საინკასო დავალებას ბანკი მიიღებს შესასრულებლად მოვალის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) სახსრების არსებობის მიუხედავად. თუ გადამხდელს ანგარიშზე (ანგარიშებზე) (მათ შორის, სავალუტო ანგარიშებზე) არ გააჩნია ფულადი სახსრები საინკასო დავალების შესასრულებლად, დავალება აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებული საბუთების კარტოთეკაში და განაღდება მოხდება სახსრების შემოსვლის კვალობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ.

საინკასო დავალების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ბანკი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უდავო წესით თანხების გადახდევინების საფუძვლიანობისა და სამართლიანობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახსრების ამომღებს და ამდენად ბანკი არ არის ვალდებული განიხილოს გადამხდელის პრეტენზიები სახსრების უდავო წესით ჩამოწერის თაობაზე.

ამ მუხლის მოთხოვნების არასრულყოფილად დაცვის შემთხვევაში საბანკო დაწესებულება უდავო წესით თანხის ჩამოსაწერად

წარდგენილ საინკასო დავალებას დაუბრუნებს წარმომდგენს, ამ დავალების შესრულებაზე მოტივირებული უარის თქმის შესაბამისი თანმხლები წერილით.

უდავო წესით სახსრების ჩამოწერის უფლებამოსილების მქონე ორგანოების საინკასო დავალებებს ერთმანეთის მიმართ აქვს გარკვეული უპირატესობა, კერძოდ:

- საქართველოს ეროვნული ბანკის, სააღსრულებო ბიუროების, კერძო აღმასრულებლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილ საინკასო დავალებათა შორის უპირატესობით სარგებლობს საქართველოს ეროვნული ბანკის საინკასო დავალება და მისი შესრულება უნდა განხორციელდეს პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, სხვა საინკასო დავალებებთან შედარებით რა ვადაში იყო წარდგენილი იგი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სააღსრულებო ბიუროების და კერძო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი საინკასო დავალებების შესრულება უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი საინკასო დავალებების შესრულების შემდეგ საბანკო დაწესებულებებში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით.

საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებისას იზღუდება პირის უფლება, განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან რიცხული ფულადი სახსრები ყადაღის მოცულობის ფარგლებში. საგადასახადო ორგანოს მიერ ანგარიშზე ყადაღის დადების შემთხვევაში, ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია დაყადაღებული ანგარიშიდან განახორციელოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, როგორც ყადაღისაგან თავისუფალი სახსრების ფარგლებში, ასევე ასეთი თანხების უკმარისობის შემთხვევაში დაყადაღებული თანხების ფარგლებშიც. სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების შემთხვევაში აღნიშნული ანგარიშიდან გადახდები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყადაღისაგან თავისუფალი თანხების ფარგლებში.

საინკასო დავალებაში მითითებული თანხის ჩამოწერა შესაძლებელია კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა საინკასო დავალებაში თანხების ჩამო-

საწერად რომელიმე კონკრეტული საბანკო ანგარიშის ნომერი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

იმ შემთხვევაში თუ, საინკასო დავალების წარმდგენ პირს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საბანკო დაწესებულებებთან გააფორმოს ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, დასაშვებია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები განხორციელდეს ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

საბანკო დაწესებულებაში ადრე წარდგენილ საინკასო დავალებაში თანხის ან/და ანგარიშსწორების ანგარიშის კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, საბანკო დაწესებულებას წარედგინება ახალი საინკასო დავალება, რომლის „დამატებითი ინფორმაციის" ველში აუცილებელია იმ საინკასო დავალების მითითება, რომელშიც ხორციელდება კორექტირება. კორექტირებულ ახალ საინკასო დავალებაზე ვრცელდება კორექტირებამდე წარდგენილი საინკასო დავალების რიგითობა.

5.4. ანგარიშსწორება აკრედიტივებითა და საგადახდო ბარათებით

აკრედიტივი არის პირობითი ფულადი ვალდებულება, რომელსაც მიიღებს ბანკი (ბანკი-ემიტენტი) გადამხდელის დავალებით, განახორციელოს გადახდა სახსრების მიმღების სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ აკრედიტივის პირობების შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ან მიანიჭოს სხვა ბანკს (აღმასრულებელ ბანკს) ასეთი გადახდების განხორციელების უფლებამოსილება.

ბანკებს შეუძლიათ გახსნან შემდეგ სახის აკრედიტივები:

- დაფარული (დეპონირებული) და არადაფარული (გარანტირებული);
- გამოთხოვითი და გამოუთხოვადი;
- დადასტურებული და დაუდასტურებელი.

დაფარული აკრედიტივისას ბანკი-ემიტენტი გადარიცხავს აკრედიტივის თანხას აღმასრულებელი ბანკის განკარგულებაში აკრედიტივის მოქმედების მთელი ვადით. *არადაფარული* აკრედიტივისას ბანკი-ემიტენტი ანიჭებს აღმასრულებელ ბანკს უფლებას, ჩამოწეროს აკრედიტივის თანხა საკორესპონდენტო ანგარიშიდან.

გამოუთხოვადი აკრედიტივისას ბანკ-ემიტენტს უფლება აქვს, გადამხდელის წერილობითი განკარგულების საფუძველზე, სახსრების მიმღებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეცვალოს ან გააუქმოს აკრედიტივი. გამოუთხოვადი აკრედიტივი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ სახსრების მიმღების თანხმობით. თუ არ არსებობს მითითება იმისა, რომ აკრედიტივი გამოთხოვადია, იგი ითვლება გამოუთხოვადად.

გამოუთხოვადი აკრედიტივი ბანკი-ემიტენტის თხოვნით შეიძლება დადასტურებულ იქნეს აღმასრულებელი ბანკის მიერ. ეს ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ბანკი თავის თავზე იღებს თანაბარ პასუხისმგებლობას აკრედიტივით ანგარიშსწორების ჩატარებაზე ბანკ-ემიტენტთან ერთად.

აკრედიტივი განკუთვნილია სახსრების ერთ მიმღებთან ანგარიშსწორებისათვის.

აკრედიტივით ანგარიშსწორების წესი დგინდება ძირითადი ხელშეკრულებით, რომელშიც აღინიშნება:

- ბანკების დასახელება;
- სახსრების მიმღების დასახელება;
- აკრედიტივის სახე და თანხა;
- სახსრების მიმღების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა;
- აკრედიტივის მოქმედების ვადა;
- განაღდების პირობა (აქცეპტით ან უაქცეპტოდ);
- პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

გადახდა აკრედიტივით წარმოებს უნაღდო წესით, სახსრების მიმღების ანგარიშზე აკრედიტივის თანხის გადარიცხვის გზით. დასაშვებია აკრედიტივზე ნაწილობრივი გადახდები.

გადამხდელსა და მიმღებს შორის საერთაშორისო დოკუმენტალური ოპერაციების უნიფიცირებული წესების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტალური აკრედიტივის და დოკუმენტალური ინკასოს ტექსტში მითითებულია, რომ ისინი ექვემდებარება დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების უნიფიცირებულ წესებს.

დოკუმენტალური ოპერაციები ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული დოკუმენტალური აკრედიტივის უნიფიცირებული წესებისა და ჩვეულებების და დოკუმენტალური ინკასოს უნიფიცირებული წესების თანახმად.

იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტალური ოპერაციები ექვემდებარება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს, ბანკს უფლება აქვს

ისარგებლოს დოკუმენტალური ოპერაციების შემოწმების, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული დებულებებით.

ბანკს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტივის გახსნის თაობაზე, თუ კონკრეტული აკრედიტივის გახსნა ბანკისათვის დაკავშირებულია რამე რისკთან.

აკრედიტივით ანგარიშსწორებისას დაშვებული შეცდომებისათვის ბანკები პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოქმნილ პრეტენზიებს აკრედიტივის დაყალების მიმცემი (გადამხდელი) და სახსრების მიმღები განიხილავენ ბანკის მონაწილეობის გარეშე.

საგადახდო ბარათი – ბანკის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტი (მათ შორის, საბანკო პლასტიკური ბარათი), რომლის საშუალებით ხდება საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდა, ნაღდი ფულის მიღება, ვალუტის გადაცვლა, ფულადი გზავნილის განხორციელება და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ოპერაციების შესრულება;

პერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც ასახულია მფლობელის სახელი (შესაძლოა, მხოლოდ ინიციალი) და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩაწერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

არაპერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც არ არის ასახული ბარათის მფლობელის სახელი ან/და გვარი. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ჩაწერილი მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

სადებეტო ბარათი – ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე, ისარგებლოს ოვერდრაფტით;

საკრედიტო ბარათი – ბარათი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში;

წინასწარი გადახდის ბარათი – ბარათი, რომელიც არ საჭიროებს ბარათის მფლობელის ან ბარათის შემძენის სახელზე საბარათე ანგარიშის გახსნას. აღნიშნული ბარათით ოპერაციები სრულდება მხოლოდ წინასწარ ჩარიცხული თანხის ფარგლებში (საკრედიტო ლიმიტი არ დაიშვება);

ვირტუალური ბარათი – მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტის მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით;

კომერციული ბარათი – სადებეტო ან საკრედიტო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები;

მეწარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად;

ბარათის მფლობელი – ბარათით მოსარგებლე იდენტიფიცირებული პირი;

ბარათის შემძენი – ფიზიკური პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს პირადი სარგებლობისთვის ან სხვა ფიზიკურ პირზე სარგებლობაში გადასაცემად;

იურიდიული პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს (ბარათებს) ფიზიკურ პირზე (ფიზიკურ პირებზე) სარგებლობაში გადასაცემად.

ემიტენტი – ბანკი, რომელიც ახდენს ბარათების გამოშვებას;

საბარათე ანგარიში – ემიტენტ ბანკში გახსნილი ბარათის მფლობელის მიმდინარე ანგარიში, რომელზეც აისახება სადებეტო ბარათებით შესრულებული ოპერაციები;

ხარჯვის ლიმიტი – ემიტენტის მიერ დადგენილი, ბარათის მეშვეობით განსაზღვრულ ვადაში ფულადი სახსრების განკარგვის ზღვრული სიდიდე;

ავტორიზაცია – ემიტენტის და/ან საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ბარათით ან მისი რეკვიზიტებით ოპერაციის განხორციელებაზე;

პინ-კოდი – ბარათის თანმხლები პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორს;

ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლო-

ბელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა;

პოს-ტერმინალი – ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბანკში ან საცალო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად;

ანგარიშ-ფაქტურა – ბანკომატის ან პოს-ტერმინალის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდას, ბარათის საშუალებით ნაღდი ფულის მიღებას ან სხვა ოპერაციის განხორციელებას;

იმპრინტერი – ბარათის ემბოსირებული რეკვიზიტების სპეციალურ ქვითარზე გადამტანი მექანიკური მოწყობილობა;

ემბოსირება – ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების (როგორიცაა ბარათის ნომრის, მოქმედების ვადის, მფლობელის სახელისა და გვარის ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების) რელიეფური ფორმით ბარათზე დაბეჭდვა;

პროცესინგი – საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), შენახვას, დამუშავებას და დამუშავებული ინფორმაციის გადაცემას ანგარიშსწორების განსახორციელებლად;

ექვაირინგი – პირის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს:

– საცალო (მომსახურების) ობიექტებთან ან სხვა პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პოს–ტერმინალის საშუალებით ბარათით გადახდის, ასევე, ბარათის რეკვიზიტებით ინტერნეტ-გადახდის შესრულებას და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას საცალო/მომსახურების ობიექტებთან;

– ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად ნაღდი ფულის გაცემას;

ექვაირერი – ექვაირინგის განმახორციელებელი პირი;

სტოპ–სია – იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

უმსხვილესი საერთაშორისო საგადახდო სისტემებია:

- Visa International;
- MasterCard International;
- American Express International.

ჩვეულებრივი ბარათები (Visa Classic, MasterCard Mass) განკუთვნილია რიგითი კლიენტისათვის.

ოქროს ბარათებით (Visa Gold, MasterCard Gold) სარგებლობენ ყველაზე უფრო შეძლებული კლიენტები.

კორპორაციული ბარათები გაიცემა ფირმების, ორგანიზაციების წარმომადგენლებზე (Visa Business, MasterCard Business) სამიელინებო, წარმომადგენლობითი და სამეურნეო ხარჯების დასაფარად.

ინფორმაცია ბარათზე (პირადი მონაცემები, ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა) შეიძლება დატანებული იყოს ემბოსირებით ან დაიბეჭდოს სტამბური წესით.

პირადი ბარათები მსახდება იმ საბანკო ანგარიშებისათვის, რომლებიც ეკუთვნის ბარათების მფლობელებს.

საკრედიტო ორგანიზაციას უფლება აქვს, ერთდროულად განახორციელოს საბანკო ბარათების ემისია, საგადახდო ბარათების ექვაირინგი, აგრეთვე, საგადახდო ბარათების გავრცელება.

ემიტენტი ვალდებულია გააფორმოს ბარათის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ბარათის მფლობელთან, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ბარათის დასახელება და ტიპი;
- ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, ყველა შესაძლო საკომისიო და საპროცენტო განაკვეთი;
- ბარათის სტოპ-სიაში შეყვანის, გაუქმების და ამოღების წესები;
- მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- ბარათით წარმოებული ოპერაციების და სხვა უსუსტობების გასაჩივრების ვადები;
- დავის გადაწყვეტის პროცედურა და ვადები;
- საჯარიმო სანქციების ამოქმედების წესი;
- შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაციისა და/ან ანგარიშიდან ამონაწერის მიწოდების პირობები.

ბარათის მფლობელს/ბარათის შემძენს ბარათის (ვირტუალური ბარათის შემთხვევაში ბარათის რეკვიზიტებს), პინკოდს (ასეთის არსებობისას) და მოხმარების წესს გადასცემს ემიტენტი.

ემიტენტი ვალდებულია სადებეტო/საკრედიტო ბარათების (ვირტუალური ბარათის შეთხვევაში – ბარათის რეკვიზიტების) გადაცე-

მამდე მოახდინოს ბარათის მფლობელის იდენტიფიცირება. აღნიშნული ბარათების გააქტიურებამდე (მისი საშუალებით ოპერაციების განხორციელების დაშვებამდე) საჭიროებულია ბარათის მფლობელის სახელზე მიმდინარე ანგარიშის გახსნა;

არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის შემთხვევაში ბარათის შემძენთან შესაძლებელია არ გაფორმდეს ხელშეკრულება და მას გადაეცეს მხოლოდ ბარათით სარგებლობის პირობები და წესები. აღნიშნული ტიპის ბარათი მისი შემძენის მიერ შესაძლოა გადაცემულ იქნას სხვა ფიზიკური პირისათვის სარგებლობაში.

ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბარათის გაცემაზე ან განახლებაზე მისთვის მითითების გარეშე.

ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დასაცავად გამოყენებული უნდა იყოს სულ მცირე ქვემოთ მოცემული მექანიზმებიდან ერთ-ერთი:

- საბარათე ქაღალდზე ხელმოწერის შედარება ბარათზე დატანილ ხელმოწერასთან;
- პინ-კოდი;
- ელექტრონული (Internet) გადახდის დროს ბარათის უკანა მხარეს არსებული „ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი“ (CVC2 ან CVV2), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არარეზიდენტი პირი მომსახურების/საქონლის მიწოდებისას არ ითხოვს ასეთ ინფორმაციას.

დამატებითი იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია მფლობელის სურათის დაბეჭდვა ბარათზე.

სტოპ–სიაში მოხვედრილი ბარათის გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სასურველია მომსახურე ობიექტმა ბარათით მოსარგებლე პირს ჩამოართვას ბარათი ან აღნიშნული ბარათი დაკავებულ უნდა იქნას ბანკომატის მიერ.

საჭირო/მომსახურების ობიექტი უფლებამოსილია ცხელი ხაზის საშუალებით გადაამოწმოს არაპერსონიფიცირებული ბარათის (გარდა არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის) გამოყენებისას ბარათის მფლობელი მისი პირადი ნომრითა და ბარათის ნომრით.

ბარათებზე (გარდა ვირტუალური ბარათებისა) მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ◆ ბარათის მოქმედების ვადა;
- ◆ საბარათე საგადახდო სისტემის და ემიტენტის დასახელება ან/და მათი ლოგოტიპები;

- ბარათის ნომერი;
- ბარათის მფლობელის ხელმოწერის ადგილი;
- კმიტენტის ცხელი ხაზის ნომერი;
- კმიტენტის მისამართი.

თუ წინასწარი გადახდის ბარათის გამოყენება ხდება მხოლოდ ერთ ობიექტში (ან ერთ იურიდიულ პირთან) გადახდის განხორციელების მიზნით, მაშინ ასეთ ბარათზე მაქსიმალური დასაშვები ნაშთი (ნებისმიერ მომენტში ოპერაციების განსახორციელებლად გამოსაყენებელი მაქსიმალური ჯამური თანხა) განისაზღვრება 3000 (სამი ათასი) ლარამდე;

თუ წინასწარი გადახდის ბარათის გამოყენება შესაძლებელია რამდენიმე პირთან ან რამდენიმე ობიექტში გადახდის განსახორციელებლად, მაშინ ასეთ ბარათზე მაქსიმალური ნაშთი (ნებისმიერ მომენტში ოპერაციების განსახორციელებლად გამოსაყენებელი მაქსიმალური ჯამური თანხა) არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

ოპერაციები ბარათების საშუალებით: ბარათზე ფულადი სახსრები შეიძლება შეტანილ იქნას როგორც ნაღდი, ისე უნაღდო სახით.

სახსრების განკარგვა ერთსა და იმავე საბარათე ანგარიშიდან შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ბარათით (დამატებითი ბარათით).

ბარათის მფლობელთან შეთანხმებით საკრედიტო ან სადებეტო ბარათის საშუალებით ოპერაციების შესასრულებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბარათის მფლობელის სხვა მიმდინარე ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშებზე არსებული თანხა. ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენების თანმიმდევრობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი.

ბარათის გადაცემის შემდეგ ბანკი:

- ვალდებულია ბარათზე ჩარიცხული ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი გახადოს ბარათის მფლობელისთვის/ბარათის შემძენისათვის;
- ბარათის მფლობელის/არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის წარმომდგენის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს წარმოებული ოპერაციების შესახებ და ნაშთის შესახებ ინფორმაციის დროულად გადაცემა;
- უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ოპერაციები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ბანკს ეკრძალება არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათით დაუშვას შემდეგი სახის ოპერაციები:

- ნაღდი ფულის გაცემა;
- ინტერნეტში გადახდების განხორციელება;
- თანხის ჩარიცხვა (თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ);
- თანხის გადარიცხვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული საქონლის/მომსახურების ბარათით შეძენის ოპერაციასთან საჭრო/მომსახურების ობიექტში;
- დაბრუნებული ბარათის ხელახალი გამოყენება სხვა ან იმავე ბარათის მფლობელისთვის/არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის წარმომდგენისთვის;
- ბარათის გამოყენება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ბანკს უფლება აქვს გამოსცეს არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათები, რომლებზეც არ იქნება მოთხოვნილი აუტორიზაცია ხელმოწერის და/ან პინ–კოდის მეშვეობით, დაუშვას ნაღდი თანხის გაცემა, თუ აღნიშნული ბარათის გამოყენება ხდება მხოლოდ ერთ ობიექტში (ან ერთ იურიდიულ პირთან).

ბანკს უფლება აქვს დაუშვას არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის საშუალებით ნაღდი ფულის გაცემა, მისი ინტერნეტში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოყენება, თანხის ჩარიცხვა (თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ), თუ ბარათის მფლობელი (ამ შემთხვევაში პირი, რომელიც მიიღებს ბარათს ბარათის შემძენისაგან ან თავად ბარათის შემძენი, თუ თვითონ აპირებს ამ ბარათის გამოყენებას) მოახდენს ბანკში ბარათის მფლობელად იდენტიფიცირებას და ბარათის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

ბარათით ჩატარებული ოპერაციის ფაქტობრივი თარიღი შეიძლება განსხვავდებოდეს საბარათე ანგარიშებზე მისი ასახვის თარიღისაგან. ეს განსხვავება რეგულირდება საბარათე სისტემის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

ბარათის მფლობელის მიერ პერსონიფიცირებული ან არაპერსონიფიცირებული საკრედიტო ბარათით განხორციელებული ოპერაციების შედეგად ბანკის მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვა უნდა განხორციელდეს ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშის საშუალებით.

ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია ბარათის მფლობელად ემიტენტ ბანკში იდენტიფიცირებული პირი.

კომერციული ბარათით წარმოებული ოპერაციებისათვის პასუხისგებლობა ეკისრება ამ ბარათის მფლობელ იურიდიულ პირს.

ბანკი ვალდებულია დაიცვას ბარათის მფლობელის პერსონალური მონაცემების და საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათე სისტემაში მონაწილეობასთან.

ბარათის მფლობელის იდენტიფიცირების პროცედურები, ასევე, ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ბანკი ვალდებულია აღრიცხოს და შეინახოს ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი ვადით მის მიერ გაცემული ყველა სახეობის ბარათების მფლობელებისა და მათი საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი უნდა იყოს ბარათების მფლობელების საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე, შესაბამის ბარათზე არსებული ნაშთების ან კონკრეტული ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

პოს-ტერმინალში ბარათით განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ნაღდი ფულის გამცემი მომსახურე ცენტრის ან სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელებას და მისამართს (სასურველია ტელეფონის ნომრის მითითება);
- ოპერაციის შესრულების თარიღს და დროს;
- ტერმინალის იდენტიფიკატორს (ID);
- შესრულებული ოპერაციის თანხას და ვალუტას;
- ავტორიზაციის კოდს;
- ბარათის რეკვიზიტებს (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს, პერსონიფიცირებული ბარათის მფლობელის სახელი და გვარი);
- ბარათის მფლობელის ხელმოწერას (ბარათის მფლობელის ხელმოწერა არ არის სავალდებულო, თუ გადახდის ოპერაცია სრულდება პინ-კოდის საშუალებით).

ოპერაციის განხორციელების შედეგად ბანკომატის მიერ გაცემული საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორიცაა:

- ბანკომატის მფლობელი ბანკის დასახელება;
- ოპერაციის შესრულების თარიღი და დრო;
- ბანკომატის იდენტიფიკატორი (ID) და მისამართი;
- შესრულებული ოპერაციის თანხა, ვალუტა;
- ავტორიზაციის კოდი;
- ბარათის რეკვიზიტები (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს, პერსონიფიცირებული ბარათის მფლობელის გვარი).

ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციის შედეგად გაცემული ელექტრონული ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელება და მისამართი;
- ოპერაციის განხორციელების თარიღი;
- ობიექტის on-line საიტის მისამართი;
- ტრანზაქციის თანხა და ვალუტა;
- ავტორიზაციის კოდი;
- ბარათის რეკვიზიტები (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს);

იმპრინტერის საშუალებით ბარათით განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ბარათის რეკვიზიტები (არასრული ნომერი, მოქმედების ვადა, მფლობელის სახელი და გვარი);
- ოპერაციის ჩატარების თარიღი;
- სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელება და იდენტიფიკატორი;
- შესრულებული ოპერაციის თანხა და ვალუტა;
- ავტორიზაციის კოდი;
- ბარათის მფლობელისა და მოლარის ხელმოწერა.

ბარათით შესრულებული ოპერაციების შესახებ საბანკო ამონაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშის ნომერს და/ან ბარათის ნომერს;
- ვალუტას;
- საწყის ნაშთს;
- ოპერაციის დანიშნულებას;
- შესრულებული ოპერაციის (სადებეტო/საკრედიტო) თანხას;
- ოპერაციის შესრულების თარიღს, დროს, ადგილს (სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ან ბანკომატის მისამართის და ტელეფონის ნომრის მითითებით, თუ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ექვაირერისგან);
- საბოლოო ნაშთს;
- სხვა დამატებით ინფორმაციას.

ბარათის დაკარგვის შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია უსრულველყოს ბარათის მფლობელი 24–საათიანი ცხელი ხაზის მომსახურებით. ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი მითითებული უნდა იყოს ბანკსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ან/და ბარათის მოხმარების წესში. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ემიტენტის ვებ-გვერდზე, ასევე, ბანკომატების ადგილმდებარეობის მიხედვით. ცხელ ხაზთან დაკავშირება შესაძლებელი უნდა იყოს არსებული სატელეკომუნიკაციო კავშირებით, მათ შორის, მობილური ოპერატორის მეშვეობით.

ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცხელი ხაზის საშუალებით ემიტენტს აღნიშნულის თაობაზე, ხოლო ემიტენტი ვალდებულია დაბლოკოს აღნიშნული ბარათი.

ბარათის დასაბლოკად, ემიტენტმა ბარათის მფლობელთან წინასწარ შეთანხმებული მეთოდით უნდა მოახდინოს ბარათის მფლობელის იდენტიფიცირება და, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დაბლოკოს ბარათი. არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათი დაიბლოკება იმ შემთხვევაში, თუ ბარათით მოსარგებლე პირი უკვე წინასწარ არის ბანკში ბარათის მფლობელად იდენტიფიცირებული.

ბანკი უფლებამოსილია დროებით დაბლოკოს (შეაჩეროს) ბარათი იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს აქვს იმის დასაბუთებული ეჭვი, რომ ბარათზე ხორციელდება არასანქცირებული ოპერაციები.

იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დაკარგვის თაობაზე მფლობელმა

განუცხადა ემიტენტს (დადგენილი წესების შესაბამისად) და ამის შემდეგ მოხდა საბარათე ანგარიშზე არასანქცირებული წვდომა, ბარათის მფლობელისათვის მიყენებული მთლიანი ზარალის ანაზღაურება ეკისრება ემიტენტს.

ემიტენტი პასუხს არ აგებს არასანქცირებულ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ ბარათის დაკარგვის გაცხადებამდე, თუ შესაბამისი საბარათე სისტემის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.4. ანგარიშსწორება ჩეკებით

უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთ ფორმას ჩეკი წარმოადგენს. ჩეკი ფასიანი ქაღალდია, რომელიც შესრულებულია დადგენილი ფორმის ბლანკზე და შეიცავს ანგარიშის მფლობელის (ჩეკის გამცემის) დავალების ბანკისადმი (გადამხდელისადმი), განახორციელოს გადახდა მისი წარდგენის შემდეგ.

ჩეკი ატარებს აბსტრაქტულ და უპირობო ხასიათს. ის შეიძლება იყოს ორდერული (საზღვარგარეთ ყველაზე გავრცელებული ფორმაა), წარდგენითი და სახელობითი. წარდგენითი ჩეკი მოძრავი ფასიანი ქაღალდია და ბრუნავს მარტივი გადაცემის გზით. ის შეიძლება ბრუნავდეს ინდოსირების (სხვა პირისათვის ჩეკზე ფულის მიღების უფლების დათმობა) მეშვეობით. ჩეკი შეიცავს რიგ სავალდებულო რეკვიზიტებს და რომელიმე მათგანის არარსებობა ჩეკს ძალას უკარგავს.

ჩეკებით ანგარიშსწორებისას საფინანსო სისტემაში განაღდების პროცედურის დაწყების ინიციატივა ეკუთვნის კრედიტორს. ამ ინსტრუმენტის უპირატესობა საგადახდო დავალებასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ მყიდველი, დარწმუნდება რა პროდუქციის შესაბამისობაში ხელშეკრულებასთან, საქონლის გადატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღებისას ახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებლის მიმართ და ჩეკის მეშვეობით.

ვალის დაფარვა ჩეკით ნიშნავს გამცემის დავალიანების გადაქცევას საბანკო სისტემის ვალად. საგადახდო დავალებებით ანგარიშსწორებისას საქონლის მიღების მომენტთან გადახდის მაქსიმალური მიახლოების ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს. თანაც ჩეკით შესაძლებელია გადახდის განხორციელება კრედიტორისათვის ინ-

დოსაშენტის მეშვეობით. მაშასადამე, ჩეკის მიმოქცევის წყალობით შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა თანისებური ჩათვლა (კლირინგი). ურთიერთგაქვითული ვალების ოდენობა ისრდება ჩეკის ბრუნვის შესაბამისად.

ამასთან ერთად, როგორც საგადახდო დავალებებით, ისე ჩეკებით ანგარიშსწორებისას შესაძლებელია სახსრების უქონლობის შემთხვევები. ამიტომაც დასავლეთში, განსაკუთრებით იქ, სადაც ძირითადი საგადახდო საშუალება ჩეკია (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია), დიდი ყურადღება ეთმობა ჩეკების უსრუნველყოფის კონტროლს. ამგვარი კონტროლის მნიშვნელობა განპირობებულია ჩეკით ანგარიშსწორების ფართოდ გავრცელებული სისტემით, რომლის დროსაც ჩეკის მფლობელი (მიმწოდებელი) წარადგენს ჩეკს მის მომსახურე ბანკში და მაშინვე მიიღებს კუთვნილ სახსრებს. შემდეგ ბანკთაშორისი კლირინგის მეშვეობით ხდება ჩეკის განაღდება გადამხდელი ბანკის მიერ.

ჩეკის უზრუნველყოფას (დაფარვას) შეიძლება წარმოადგენდეს ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე დადებული ფული, ქონების გადაცემა ან კრედიტის გახსნა. ამასთან, ჩეკის უზრუნველყოფა უნდა არსებობდეს მისი გაცემის მომენტისათვის და მასზე გადახდის ვადის ამოწურვამდე. ჩეკის მფლობელთა მოთხოვნები ამგვარი დაფარვის შესახებ სრულდება ტრასატების მიერ, რომლებიც ადასტურებენ ჩეკებს გადამხდელ ბანკში (დადასტურებული ჩეკები) ან იღებენ მისგან გარანტიებს (გარანტირებული ჩეკები) ანგარიშზე განსაზღვრული თანხის წინასწარი შეტანის პირობით. იტალიაში გავრცელებულია ე.წ. „მბრუნავი ჩეკი", რომელსაც გამოწერენ სპეციალურად განსაზღვრული ბანკები მხოლოდ სახსრების დეპონირების შემდეგ.

ჩეკების გამოყენება ანგარიშსწორებაში გულისხმობს სარეკო წიგნაკის არსებობას. ის გაიცემა ჩეკების რეკვიზიტების შევსების შემდეგ მომსახურე ბანკის მიერ კლიენტის განცხადების საფუძველზე დადგენილი ფორმით. იმავდროულად, კლიენტი მიიღებს შევსებულ საიდენტიფიკაციო ბარათს, რომელიც გამოიყენება ჩეკის გამცემის იდენტიფიკაციისათვის მისი გაცემული ყოველი ჩეკის მიხედვით. ბარათში მითითებულია ლიმიტის ოდენობა, რომელზეც შეიძლება ჩეკის გამოწერა.

ჩეკი მკაცრი აღრიცხვის ბლანკს წარმოადგენს.

5.5. საინკასო დავალება სახსრების უდავო ჩამოწერაზე და დოკუმენტური ინკასო

საინკასო დავალება, რომელიც შედგენილია სპეციალური ფორმის ბლანკზე, გამოიყენება გადამხდელთა ანგარიშებიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახსრების უდავო ჩამოწერის მიზნით.

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა სახსრების უდავო, არსებითად იძულებითი ჩამოწერის საფუძვლების დაყოფა ორ ჯგუფად: 1) სპეციალური განკარგულებით; 2) აღმასრულებელი და მათთან გათანაბრებული დოკუმენტებიდან გამომდინარე.

სახსრების ჩამოწერა გადამხდელთა ანგარიშებიდან უდავო წესით დასაშვებია მხოლოდ სპეციალური განკარგულებით კანონმდებლობის შესაბამისად შემდეგი სახის გადახდებზე:

- დავალიანებები გადასახადებზე და ბიუჯეტის სხვა სავალდებულო გადახდებზე, აგრეთვე, საჯარიმო თანხები და სხვა სანქციები;
- საბაჟო მოსაკრებლები, საბაჟო ორგანოების მიერ დაკისრებული საურავები და ჯარიმები;
- დავალიანებები გადახდების, ჯარიმებისა და სხვა სანქციების შენატანებზე სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებში: საპენსიო ფონდში, სოციალური დაზღვევის ფონდში, მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო ფონდში, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდებში და სხვა.

მთელ რიგ ქვეყნებში გადამხდელთა სახსრების ჩამოწერა ხორციელდება, აგრეთვე, სააღსრულებო დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც გაცემულია სასამართლოების, ნოტარიუსების, საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ, სააღსრულებო დოკუმენტებთან ასევე გათანაბრებულია განკარგულებები მოვალის მიერ პრეტენზიებზე აღიარებული თანხის უდავო წესით ჩამოწერის შესახებ.

საბანკო დაწესებულებებში წარმოდგენილი საინკასო დავალებები ემყარება საარბიტრაჟო სასამართლოს ბრძანებებს, სასამართლოს განჩინებებს და შესაბამის სააღსრულებო დოკუმენტებს. ეს უკანასკნელი უნდა შეიცავდეს ინკასოს წარმდგენის და გადამხდელის სრულ და ზუსტ დასახელებებს, ამოსაღები თანხის ოდენობას და გადამხდელის იმ ანგარიშს, საიდანაც უნდა მოხდეს თანხის ჩამოწერა.

დოკუმენტური ინკასო არის საბანკო ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ბანკი (შემდგომში ბანკი-ემიტენტი) საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე, კლიენტის დავალებითა და მის ხარჯზე ახორციელებს მოქმედებებს გადამხდელისაგან გადახდის მიღებაზე. ინკასოს ოპერაციებს, ქვეყნების უმეტესობის სამართლის თანახმად, საფუძვლად უდევს დავალების ხელშეკრულება. ინკასოს უნიფიცირებული წესების შესაბამისად [შემუშავებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ქ. პარიზი) მიერ 1995 წლის რედაქციით (პუბლიკაცია 522) და ძალაში შევიდა 1996 წელს]. აღნიშნული ოპერაცია ხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე. ამ დროს ბანკი იღებს კომისიას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ოპერაციის სახეზე.

დოკუმენტური (კომერციული) ინკასო არის ოპერაცია, რომლის შეღებადაც ბანკმა უნდა წარუდგინოს მესამე პირს თავისი კლიენტისაგან მიღებული დოკუმენტები და გასცეს ისინი ამ პირზე მხოლოდ ნაღდი ფულის გადახდის (მსოფლიო პრაქტიკაში ნაღდი ფულის გადახდად ითვლება ფულადი გადარიცხვა 30 დღის განმავლობაში დოკუმენტების წარდგენის თარიღიდან) ან აქცეპტის სანაცვლოდ.

ბანკი-ემიტენტი, ინკასოზე საბუთების მიღებისას, ვალდებულია გადაგზავნოს ისინი გადამხდელის მომსახურე ბანკში, გადაახდევინოს მას სახსრები და გადარიცხოს მიმწოდებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე. ამასთან, საგადახდო მოთხოვნა-დავალებებს მიმწოდებლის მიერ დართული აქვს ტვირთების გასაგზავნი დოკუმენტები და ანგარიშები, რომლებიც გადაეცემა გადამხდელს აქცეპტის სანაცვლოდ. რაც შეეხება საგადახდო მოთხოვნას, იგი შეიცავს ყველა სავალდებულო რეკვიზიტს, რომლებიც იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა საქონელია გაგზავნილი. გაგზავნის დრო და ა.შ. გადამხდელის ბანკი გამოგზავნილი დოკუმენტების მიღების შემდეგ ატყობინებს ამის შესახებ გადამხდელს და იღებს ამ დოკუმენტებს გასანაღდებლად მხოლოდ მისგან წინასწარი აქცეპტის მიღების შემდეგ. ვადა აქცეპტანტისათვის არის სამი დღე, მყიდველის ბანკში საგადახდო მოთხოვნა-დავალების (საგადახდო მოთხოვნის) შემოსვლის დღის ჩაუთვლელად. ხელშეკრულებებში ჩვეულებრივ მიუთითებენ გადახდის ვადებს აქცეპტისათვის დოკუმენტების გადაგზავნის, აქცეპტის ვადისა და სახსრების ჩარიცხვის ვადის გათვალისწინებით. ხშირად საგადახდო მოთხოვნები ბანკის გვერდის ავლით ეგზავნება უშუალოდ გადამხდელს სააქცეპტოდ.

ასეთი ხერხით წინასწარ ირკვევა აქცეპტისა და საქონლის საფასურის გადახდის შესაძლებლობა.

აქცეპტის მოლოდინის ვადის განმავლობაში დოკუმენტები მოთავსებულია კარტოთეკაში. დადგენილ ვადაში საგადახდო მოთხოვნების აქცეპტზე უარის მიუღებლობისას ისინი ითვლება აქცეპტორულად („სუმი აქცეპტი“) და ექვემდებარება განაღდებას.

საგადახდო მოთხოვნა-დავალების გამოყენებისას მისი დაფარვის თანხმობა ფორმდება გადამხდელის მიერ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერებითა და ბეჭდით.

გადამხდელის მიერ სახსრების არქონის შემთხვევაში აქცეპტირებული საანგარიშსწორებო დოკუმენტები თავსდება სპეციალურ კარტოთეკაში. ამას ატყობინებენ მიმწოდებელს, ეს უკანასკნელი გადახდის ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის მყიდველს გადაახდევინებს საურავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

გადამხდელს უფლება აქვს, უარი თქვას განხილული საგადახდო დოკუმენტის აქცეპტზე სრულად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებაში აღნიშნული მოტივებით, ხელშეკრულების პუნქტის და უარის მოტივის აუცილებელი მითითებით. უარი ფორმდება აქცეპტზე უარის თქმის შესახებ განცხადების სპეციალურ ბლანკზე.

აქცეპტზე სრული უარი ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ საქონელი: არ არის შეკვეთილი; არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს; უხარისხოა; არასტანდარტულია; ტრანსპორტირების დროს გადამისამართებულია სხვა მყიდველზე და ა.შ. აქცეპტზე ნაწილობრივი უარი ნიშნავს თანხმობას ანგარიშის თანხის ნაწილის დაფარვაზე, თუ ადგილი აქვს: ფასების აწევას სახელშეკრულებო ფასებთან შედარებით; შეკვეთილთან ერთად არაშეკვეთილი საქონლის გამოგზავნას; არითმეტიკულ შეცდომებს და ა.შ. აქცეპტზე უარის თქმის შესახებ ბანკისათვის შეტყობინების შემდეგ საგადახდო დოკუმენტები აქცეპტზე უარის თქმის შეტყობინებით უბრუნდება უშუალოდ მიმწოდებელს.

ანგარიშსწორების აღნიშნული ფორმა გულისხმობს კონტრაგენტების ნდობით ურთიერთობებს და მყიდველისათვის აქვს გარკვეული უპირატესობები. ასე მაგალითად, მას არ სჭირდება წინასწარ ამოიღოს სახსრები თავისი ბრუნვიდან. მიმწოდებელი კი, პირიქით, თავის თავზე იღებს მყიდველთა მიერ ანგარიშების საშღაურის არადროული გადახდის (ფინანსური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით) ან სულაც სახსრების მიუღებლობის რისკს აქცეპტზე

დაუსაბუთებელი უარის გამო. მიმწოდებელი, აგრეთვე, ზარალდება სახსრების ბრუნვის შენელების გამო, რაც განპირობებულია დროში დაშორებით საქონლის გამოგზავნასა და მის ანაზღაურებას შორის.

5.6. „კლიენტი-ბანკის" სისტემითა და რეესტრის გამოყენებით ანგარიშსწორების წესები

„კლიენტი-ბანკის" სისტემის ორგანიზატორი და მფლობელია ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და უფლება აქვს კლიენტთან შეთანხმებით მოახდინოს სისტემის შეცვლა ან მისი განახლება.

„კლიენტი-ბანკის" სისტემას ბანკი და კლიენტი იყენებენ საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად და კლიენტის მიერ უშუალოდ მისი ოფისიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან ბანკში არსებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.[4]

გარდა საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესებისა, „კლიენტი-ბანკის" სისტემის მეშვეობით ბანკსა და კლიენტს შორის ელექტრონული ანგარიშსწორება რეგულირდება დებულებებით: „საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ" და „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების შესახებ", მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

„კლიენტი-ბანკის" სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორების შესახებ ხელშეკრულებაში უნდა აისახოს ელექტრონული მომსახურების სახეები და მომსახურების დრო, ოპერაციათა წარმოების წესი, სახსრების გადარიცხვის დასრულების საკითხი, საკომუნიკაციო საშუალებებით ელექტრონული ინფორმაციის მიღება/გადაცემის, ინფორმაციის მომზადების, შექმნის, შემოწმების, დამუშავების, არქივირების, უსაფრთხოების (ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერები, მონაცემთა მთლიანობის კონტროლი, შიფრირება/დეშიფრირება, არასანქცირებული წვდომისაგან დაცვა და სხვ.) საკითხები, მხარეთა ვალდებულებები, დაყის გადაწყვეტის, ტექნიკური და სხვა საკითხები.

„კლიენტი-ბანკის" სისტემით ოპერაციების წარმოება დასაშვებია დროის რეალურ, პაკეტურ ან ისეთ რეჟიმში, რომელიც მისაღებია ორივე მხარისათვის.

4 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის №38/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საგადახდო ბარათების შესახებ".

ბანკი კლიენტისგან მიღებულ ელექტრონულ საგადახდო დავალებების შესრულებას ახდენს სისტემაში მათი შემოსვლის რიგითობით. ბანკის მიერ კლიენტისაგან ელექტრონული საგადახდო დავალებების მიღების და შესრულების ფაქტები დასტურდება „კლიენტი-ბანკის“ სისტემის მიერ ფორმირებული შესაბამისი ელექტრონული დასტურებით ან ელექტრონულ საგადახდო დავალებებისადმი შესაბამისი სტატუსების მინიჭებით.

„კლიენტი-ბანკის“ სისტემის მეშვეობით კლიენტს უფლება აქვს ელექტრონული სახით ფორმირებული განაცხადის საფუძველზე გააუქმოს (გაითხოვოს) მის მიერ ბანკში გადაცემული ელექტრონული საბუთი, თუ ეს საბუთი ჯერ არ შეუსრულებია ბანკს.

ბანკი ვალდებულია „კლიენტი-ბანკის“ სისტემით მიღებული და სათანადო წესით (ხელშეკრულების შესაბამისად) გაფორმებული ელექტრონული საბუთების საფუძველზე აწარმოოს კლიენტის ანგარიშზე შესაბამისი საანგარიშსწორებო ოპერაციები.

ბანკს უფლება არა აქვს „კლიენტი-ბანკის“ სისტემით მიღებულ ელექტრონულ საბუთებში შეიტანოს რამე შესწორება (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კლიენტი და ბანკი ვალდებული არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ბანკს უფლება აქვს კლიენტის ანგარიშიდან ჩამოწეროს მომსახურების ხარჯები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

„კლიენტი-ბანკის“ სისტემით მუშაობისას კლიენტი ვალდებულია:

- შეიტანოს ბანკში გადასაცემი საბუთები კომპიუტერში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმატებით;
- შეამოწმოს საბუთების შეტანის სისწორე;
- მოახდინოს ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის საშუალებით ელექტრონული საბუთების ხელმოწერა და შიფრირება;
- დაუკავშირდეს ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით ბანკს და გადასცეს მომზადებული ელექტრონული საბუთები;
- მიიღოს ბანკიდან ელექტრონული დასტური (ან შესაბამისი სტატუსი) ბანკის მიერ ელექტრონული საბუთების შესასრულებლად მიღების თაობაზე;
- დაუკავშირდეს ბანკს გადაცემული ელექტრონული საბუთების დამუშავების (შესრულების) შესახებ ელექტრონული დასტურის (ან შესაბამისი სტატუსის) მისაღებად;

- მოათავსოს სათანადო წესით გაფორმებული ქაღალდის საბუთები საბუთების არქივში.

„კლიენტი-ბანკის“ სისტემით მუშაობისას ბანკი ვალდებულია:

- მიიღოს დამცავი საშუალებებით უსრულყოფილი ელექტრონული საგადახდო საბუთებისა და საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ტექსტური ინფორმაცია;
- შეამოწმოს მიღებული ელექტრონული საბუთები (ინფორმაციის დაცვის დადგენილი წესების დარღვევით შედგენილი ელექტრონული საბუთების შესასრულებლად მიღება დაუშვებელია);
- გააუქმოს არასწორად შედგენილი საბუთები და ამის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კლიენტს მისეზის ჩვენებით;
- მოახდინოს ელექტრონული საბუთების მიღების დასტურად შესაბამისი შეტყობინების (ან სტატუსის) ფორმირება;
- დაამუშაოს (შეასრულოს) მიღებული ელექტრონული საბუთები;
- მოახდინოს ელექტრონული საბუთების დამუშავების დასტურად შესაბამისი შეტყობინების (ან სტატუსის) ფორმირება;
- გადასცეს დამუშავებული ელექტრონული საგადახდო საბუთები კლიენტს;
- ანგარიშზე (ანგარიშებზე) ბრუნვების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) ამონაწერის (ამონაწერების) გადაცემა;
- სისტემაში გამოყენებული ცნობარების განახლების შემთხვევაში გადასცეს კლიენტს ახალი ვერსიები;
- გადასცეს საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტური ინფორმაცია, მათ შორის, მომსახურების პირობების შეცვლის შესახებ (რომელიც მხარეთა შეთანხმებით შემდეგში აისახება ხელშეკრულებაში);
- მიაწოდოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული არ არის ამ წესებით.

ორგანიზაცია-დაწესებულებები მთელი რიგი ოპერაციების საწარმოებლად (მუშაკთა ხელფასები, პენსიები, კომუნალური გადახდები და სხვ.) უფლებამოსილი არიან ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორება აწარმოონ რეესტრების გამოყენებით.

ორგანიზაცია-დაწესებულება ბანკს წარუდგენს საგადახდო დავალებას, რომელსაც უნდა დაერთოს დეტალური სტრიქონების რეესტრი (ანგარიშების ჩამონათვალი, თანხების სიდიდე, სახელი, გვარი და სხვ.), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი

პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საგადახდო დავალებაში დაფიქსირებული უნდა იყოს რეესტრის მთლიანი თანხა, გადარიცხვის შინაარსი და ის პერიოდი, რომელსაც ეხება აღნიშნული გადარიცხვა. საგადახდო დავალების მიმღების ველი უნდა იყოს ცარიელი, მიმღები პირები განისაზღვრება წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით.

ბანკის პასუხისმგებელი პირი ამოწმებს საგადახდო დავალების შევსების სისწორეს, ადგენს, შეესაბამება თუ არა რეესტრში დაფიქსირებულ პირთა რეკვიზიტები ბანკში არსებულ მონაცემებს, შეესაბამება თუ არა რეესტრის მთლიანი თანხა, რეესტრის დეტალური სტრიქონებით წარმოდგენილი თანხების ჯამს.

თუ ორგანიზაციის ან წარმოება-დაწესებულების თანამშრომლის შესახებ ბანკში არსებული მონაცემები არ ემთხვევა რეესტრის მონაცემებს, მაშინ ჩარიცხვა ამ რეესტრის მიხედვით არ განხორციელდება.

5.7. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ

„ფიზიკური პირი“ გულისხმობს პირს, რომლის მიერ წარმოებული უნაღდო ანგარიშსწორება არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

საბანკო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები:

- საბანკო ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას ფიზიკურ პირს უფლება აქვს ისარგებლოს უნაღდო ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმით, ამ წესების თავისებურებების გათვალისწინებით;
- ბანკის მიერ ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში ხდება ანგარიშის მფლობელის განკარგულების (საგადახდო დავალების) საფუძველზე ან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი განკარგულების გარეშე;
- ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს ოპერაცია აწარმოოს ფიზიკური პირისათვის გაცემული კრედიტის ხარჯზე;
- ფიზიკური პირი უფლებამოსილია თავისი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხვები აწარმოოს სხვა პირის საბანკო ანგარიშზე ან გან-

ახორციელოს ბიუჯეტის, ან სხვა გადახდა. ფიზიკური პირი ასევე უფლებამოსილია თავისი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხვები აწარმოოს სხვა ფიზიკური პირის მაგიერად. ფიზიკური პირის მიერ თავისი საბანკო ანგარიშიდან ნებისმიერი პირის მაგიერად გადარიცხვების განხორციელება დასაშვებია, თუ გადარიცხვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან/და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

- ფიზიკური პირის საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ნაწილობრივ ანაზღაურება დაუშვებელია;
- ფიზიკურ პირს უფლება აქვს მის ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვის უფლება მინდობილობის საფუძველზე მიანიჭოს სხვა ფიზიკურ პირს (ნდობით აღჭურვილ პირს). მინდობილობის გამცემ ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მინდობილობის მოქმედება ვადა საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით;
- ერთჯერადი ან პერიოდული გადარიცხვების (მაგ., კომუნალური და სხვ.) საწარმოებლად, ფიზიკურ პირს უფლება აქვს საგადახდო საბუთების შევსების უფლება ხელშეკრულების ან განცხადების საფუძველზე მიანიჭოს საბანკო დაწესებულებას. განცხადებას ფიზიკური პირი ბანკში წარადგენს თავისუფალი ტექსტით შედგენილი და ხელმოწერილი სახით, რითაც ბანკს ავალებს გარკვეული დროის განმავლობაში განახორციელოს პერიოდული გადარიცხვები საბანკო ანგარიშებზე;
- ფიზიკური პირის განცხადებაში მოხსენიებული უნდა იყოს სახსრების გადასარიცხად საჭირო რეკვიზიტები;
- ფიზიკური პირისაგან მიღებული განცხადება ფორმდება საბანკო დაწესებულების პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და შტამპით, განცხადების მიღების თარიღის მითითებით. ასე გაფორმებული განცხადების პირველი პირი ინახება ბანკში, ხოლო ასლი უბრუნდება ფიზიკურ პირს;
- ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებზე რეკომენდებულია აისახოს:

– გადამხდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება;
– გადამხდელის საბანკო ანგარიშის ნომერი;
– გადამხდელის „საიდენტიფიკაციო ნომერი“ – მიეთითება კანონ-

მდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- სახსრების მიმღების დასახელება და ანგარიშის ნომერი – თუ მიმღები პირი იურიდიული პირია, ან მიმღების სახელი და გვარი და მიმდინარე ანგარიშის (ანაბრის ან საბარათე ანგარიშის) ნომერი – თუ მიმღები პირი ფიზიკური პირია;
- მიმღები ბანკის დასახელება და კოდი;
- გადასახდელი თანხა ან მისი მისი ოდენობის განსაზღვრის პირობები;
- გადახდის თარიღი და გადახდების პერიოდულობა;
- გადახდის დანიშნულება;
- განცხადების მოქმედების ვადა;
- განცხადების შედგენის თარიღი;
- განცხადების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი რეკვიზიტები (მაგ., ტელეფონის ნომრები, კლიენტის სურვილის მიხედვით სხვა ისეთი პირობები, რომლითაც ბანკს უფლება ეძლევა მოახდინოს გადასარიცხი თანხის კორექტირება ან მიმღების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი სხვა რეკვიზიტები);

◆ ხელშეკრულების ან ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე გადახდებს ბანკი ახორციელებს საგადახდო დავალების საშუალებით, შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

- „გადამხდელის“ ველში მიეთითება ფიზიკური პირის სახელი და გვარი. შესაძლებელია ასევე მიეთითოს ფიზიკური პირის პირადი ნომერი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სახელი და გვარი, შესაძლებელია ასევე მიეთითოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება;
- „საიდენტიფიკაციო ნომერი“ – მიეთითება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- „ანგარიშის ნომრის“ ველში მიეთითება ფიზიკური პირის საბანკო ანგარიში;
- „დანიშნულების“ ველში მიეთითება საგადახდო დავალების ფიზიკური პირის განაცხადის (ან ხელშეკრულების) საფუძველზე შედგენის ფაქტი, განცხადების თარიღისა და გადახდის დანიშნულების ჩვენებით;
- საგადახდო დავალებაზე ხელმოწერას ახდენს საბანკო დაწესებულების ის პასუხისმგებელი პირი (პირები), რომელსაც მინიჭებული აქვს საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის უფლება;

◆ იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვა ხდება სხვა ფიზიკური პირის სასარგებლოდ:

– „მიმღების“ ველში იწერება მიმღები ფიზიკური პირის სახელი და გვარი;
– მიმღების „ანგარიშის ნომრის“ ველში – მიმღები ფიზიკური პირის საბანკო ანგარიში;

◆ ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მისი ანგარიშიდან გადახდებზე ბანკისათვის მინიჭებული უფლება საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით;
◆ ფიზიკური პირის საგადახდო დავალების შევსება შეიძლება როგორც ქაღალდის სახით, ისე ელექტრონული სახით;
◆ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ახდენს სახსრების გადარიცხვას რამდენიმე ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რომლებიც ამავე ბანკის კლიენტები არიან, დასაშვებია ანგარიშსწორება რეესტრის გამოყენებით.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზემოხსენებული ჩამონათვალის გარდა, აგრეთვე, სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება.

ფიზიკური პირის მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვა დასაშვებია, თუ გადასარიცხი თანხის ოდენობა არ აღემატება 1500 ლარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადარიცხვა დაკავშირებულია:

• საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების საფასურის გადახდასთან;
• კომუნალური გადასახადების გადახდასთან;
• ცენტრალური ან/და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდებთან;
• საჯარო სამართლის იურიდიული პირების სასარგებლოდ გადახდებთან.

ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების გადარიცხვები ბანკში ანგარიშის გახსნის გარეშე ხორციელდება შემდეგნაირად:

◆ ფიზიკური პირისგან მიღებული ფულადი სახსრების ხარჯზე, სხვა პირების, ასევე, ბიუჯეტის სასარგებლოდ. დასაშვებია ფიზიკური პირის მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე გადარიცხვების განხორციელება სხვა ფიზიკური პირის მაგივრად. ნებისმიერი პირის მაგ-

ივრად ფიზიკური პირის მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე გადარიცხვები დასაშვებია, თუ გადარიცხვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან/და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

- ფიზიკური პირების მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვების განხორციელების წესებს და პირობებს ბანკი ადგენს დამოუკიდებლად, ამ წესებში მოცემული პირობების გათვალისწინებით;
- ანგარიშის გახსნის გარეშე ოპერაციების შესასრულებლად ბანკი ვალდებულია მოახდინოს ფიზიკური პირის სრულყოფილი იდენტიფიცირება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ფიზიკური პირის მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვების განსახორციელებლად საგადახდო დავალებას ავსებს ფიზიკური პირი ან ბანკი. ორივე შემთხვევაში საბუთზე ხელს აწერს ფიზიკური პირი;
- გადამხდელ და მიმღებ ბანკებში ანგარიშის გახსნის გარეშე გადარიცხვების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშები ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისი კლასიდან (დებიტორ-კრედიტორები).

5.8. შიდასაბანკო და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების წესები

საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონულ-ტექნოლოგიური სისტემების და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვის შედეგად უსრულყოფილია საბანკო სფეროს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წარმოება უაღალდო ტექნოლოგიით.

ბანკის შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პირველადი საანგარიშსწორებო-სააღრიცხვო საბუთები, რომელთა ბაზაზეც ხდება ელექტრონული საგადახდო საბუთების შედგენა, ბანკის საბუთბრუნვის (დავთარწარმოების) განსაკუთრებული სახეა, რომელთა ფორმა დადგენილია მკაცრად განსაზღვრული სახით. მათი რეკვიზიტები, დავთარწარმოების სხვა საბუთებისაგან განსხვავებით, არაერთგვაროვანია, შეიცავს როგორც ტექსტურ ინფორმაციას (დასახელებებს,

დანიშნულებებს და სხვ.), ისე ციფრულ მონაცემებს (კოდებს, ანგარიშის ნომერებს, თანხას, თარიღს) და, ამდენად, არ შეიძლება წარდგენილ იქნეს სხვადასხვა რედაქციით.

ელექტრონული საგადახდო საბუთების შექმნა ეფუძნება საბუთის ერთჯერადი შეტანის პრინციპს. დადგენილი წესით ერთხელ შექმნილი ელექტრონული საგადახდო საბუთი, რომელიც მზად არის შესასრულებლად, სხვადასხვა ეტაპზე დასამუშავებლად არ შეიძლება განმეორებით იქნეს შედგენილი (ხელით შეტანა კომპიუტერულ ტექნიკაში).

მონაცემთა ერთიანი ბაზების და დაცვის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, რომელიმე სამუშაო ადგილზე (ადგილებზე) ერთჯერადი შეტანის პრინციპით შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთზე წვდომა, მისი შემდგომი დამუშავების (შესრულების) მიზნით, დასაშვებია სხვა სამუშაო ადგილებიდან, ამასთან, სამუშაო ადგილებს შორის ელექტრონული საბუთის ქაღალდის ასლის შექმნა და მათი გადაადგილება არ არის საჭირო.

საბუთის ერთჯერადი შეტანის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც საჭირო აღარ არის მიღებული პირველადი ელექტრონული საბუთის მონაცემების განმეორებით შეტანა, უქაღალდო ტექნოლოგიით ურთიერთობები დასაშვებია როგორც ბანკის შიდა სტრუქტურებს შორის (ბანკის საოპერაციო დღის სისტემა და სხვ.), ისე ბანკის გარეთ საბუთბრუნვის შემთხვევებისათვის (ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, „კლიენტი-ბანკი“, ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან და სხვ.).

რადგან პირველადი ელექტრონული საბუთის დამუშავების ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს ერთი ელექტრონული საბუთის მიერ დამუშავების სხვადასხვა ეტაპის თანამიმდევრულ გაელას, ამდენად სხვადასხვა საბუთისა და უწყისის თანამიმდევრული მიღება ხდება მხოლოდ პირველადი ელექტრონული საბუთის საფუძველზე.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, ბანკს უფლება აქვს მოახდინოს შესრულებული ელექტრონული საგადახდო საბუთების ფორმირება გარკვეული უწყისების ან ფორმების სახით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შიდა წესებით განსაზღვრული მიზნებისათვის (მოახდინოს სააღრიცხვო ჩანაწერების შედარება, მემორიალური და სხვა შიდასაანგარიშსწორებო საბუთების ფორმირება, ბუღალტრული აღრიცხვის სხვა მიზნებისათვის გამოყენება).

უქაღალდო ტექნოლოგიის პირობებში სავალდებულოა ელექტრონული არქივების წარმოება.

ელექტრონულ არქივებში არსებული დღიური ელექტრონული საბუთების და სხვა უწყისების, ქაღალდის ასლების ამობეჭდვა ქაღალდის არქივების შექმნის (ბანკის დღიურ საბუთებში ჩასაკრავად) ან სხვა მიზნით საჭიროებულიო არ არის.

ელექტრონული საბუთების ქაღალდის ასლების დამზადების აუცილებლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორების მონაწილე მხარეები ხელმძღვანელობენ მათი გაფორმების არსებული წესების შესაბამისად (სტანდარტული სახით ბეჭდვა, ხელმოწერები, შტამპი და სხვ.).

საგადახდო სისტემები – საქართველოს საბანკო სფეროს საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ დამოუკიდებელ სეგმენტს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ საგადახდო სისტემებს;
- კერძო საგადახდო სისტემებს.

ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საგადახდო სისტემებია ბანკთაშორის და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს (მათ შორის, უცხოურ კომპანიებს) შორის ორგანიზებული ანგარიშსწორების სისტემები.

კერძო (კომერციული) საგადახდო სისტემებია კომერციული ბანკების შიდასაბანკო საგადახდო სისტემები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო საქმიანობაზე სპეციალიზებული საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების, ბანკთაშორისი საეალუტო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, პლასტიკური ბარათებით საცალო გადახდების და სხვა კომპანიების საგადახდო სისტემები.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორების უშუალო მონაწილეა ის, ვისაც მინიჭებული აქვს საბანკო კოდი (ან პირობითი საბანკო კოდი), ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს შესაბამისი ანგარიში, რეგისტრირებულია ანგარიშსწორების სისტემაში და სისტემისადმი პირდაპირი წვდომა აქვს.

ანგარიშსწორების არაპირდაპირი მონაწილეები არიან ისინი, რომელთა დავალებების შესრულებაც შეიძლება მათი სახელით, სისტემის სხვა უშუალო მონაწილეთა მეშვეობით (სათანადო უფლებების მინიჭების პირობებში).

ყოველ მონაწილეს სისტემაში შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული საგადახდო

სისტემის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით და შესაბამისი ხელშეკრულებებით.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია – საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ყველა კომერციული ბანკი საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ სავალდებულო წესით ხსნის ერთ საკორესპონდენტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში (ან მის ფილიალში ადგილმდებარეობის შესაბამისად). მრავალფილიალიანი კომერციული ბანკი, მისი ფილიალის საკორესპონდენტო ანგარიშს ხსნის მხოლოდ სათავო ბანკში. ბანკის ფილიალის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში (მის ფილიალში) დაუშვებელია. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი საკორესპონდენტო ანგარიშს ხსნის საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მის მომსახურებაში მყოფ ბანკს შორის ფორმდება ხელშეკრულებები „საკორესპონდენტო ანგარიშის მომსახურების“ და „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების მომსახურების შესახებ“.

მხარეებს შორის შეთანხმებული ვადით იდება ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს საანგარიშსწორებო მომსახურების, ოპერაციების განხორციელების, საბუთების გაცვლის, მომსახურების ანაზღაურების წესებს, უფლებებს და ვალდებულებებს, აგრეთვე, კანონმდებლობით და ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ სხვა პირობებს.

ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა შეიძლება როგორც მონაწილის, ისე ეროვნული ბანკის ინიციატივით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ეროვნულ ბანკს საანგარიშსწორებო საბუთები წარედგინება მხოლოდ ელექტრონული სახით, კავშირების არხების მეშვეობით (ტექნიკური ხარვეზების შემთხვევებში დასაშვებია მაგნიტური ან, გამონაკლის შემთხვევაში, ქაღალდის მატარებლებით).

ეროვნული ბანკი საანგარიშსწორებო საბუთების მიღებას ახორციელებს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე საბუთების მიღების მომენტში არსებული სახსრების ოდენობის მიუხედავად, შემხვედრი ჩარიცხვების გათვალისწინებით.

ელექტრონულ საგადახდო საბუთს, რომელიც შედგენილია დამცავი საშუალებების გამოყენებით და რომელშიც ასახულია პირვე-

ლადი საგადახდო საბუთის ყველა რეკვიზიტი, ქალალდის საგადახდო საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს და არ საჭიროებს ქალალდის საბუთების დართვას. ელექტრონული საგადახდო საბუთები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს საგადახდო სისტემების მარეგლამენტირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, შესრულებას არ ექვემდებარება.

ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების (ჩამოწერა, ჩარიცხვა) დასაბუთება ხდება „ამონაწერით საკორესპონდენტო ანგარიშიდან“ და თანდართული საანგარიშსწორებო საბუთებით, რომლებიც ბანკს გადაეცემა ასევე ელექტრონული სახით, ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში, ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენებით.

ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ოპერაცია ითვლება:

- გამოუთხოვადად – ეროვნულ ბანკში გადამხდელი ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის მომენტიდან;
- დასრულებულად – ეროვნულ ბანკში მიმღების ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის მომენტიდან.

ბანკებს უფლება აქვთ ბანკთაშორისი ანგარიშსწორება აწარმოონ ერთმანეთთან გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებით.

ბანკებს შორის ანგარიშსწორება დასაშვებია იმ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების (საანგარიშსწორებო, საპროცესინგო, საკლირინგო დაწესებულება და სხვ.) მეშვეობით, რომლებსაც აქვთ მონაცემთა გაცვლის ქსელების საშუალებით წვდომა საბანკო სფეროს საგადახდო სისტემებთან და შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ მონაწილეთა შორის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ურთიერთქმედება დადგენილი წესების შესაბამისად.

სათავო ბანკები თავის ფილიალებთან ანგარიშსწორებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, სათავო ბანკის შიდასაბანკო წესების შესაბამისად ორგანიზებული საგადახდო სისტემების მეშვეობით.

ბანკში შიდასაბანკო წესები ფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით, რომელსაც ამტკიცებს ბანკის ხელმძღვანელი ორგანო.

კომერციულ ბანკებს, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უცხო ქვეყნის ბანკების ფილიალებს, უფლება აქვთ ანგარიშსწორება აწარმოონ ერთმანეთთან გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით (ანუ დაამყარონ საკორესპონდენტო ურთიერთობა).

საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მათი მეშვეობით საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება ხორციელდება მათ შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

სახსრების ჩამოწერის ან ჩარიცხვის დასრულების დასტურს წარმოადგენს ამონაწერი საკორესპონდენტო ანგარიშიდან, რომელსაც შემსრულებელი ბანკი გადასცემს ოპერაციის დამწყებ ბანკს.

მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების წესი, უფლება-მოვალეობები, ოპერაციების ბალანსში ასახვის თარიღი, სადავო საკითხების რეგულირების და ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ნაშთების გადაცემის წესი და სხვა პირობები აისახება ხელშეკრულებაში.

საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვა ხდება ხელშეკრულების გაუქმებისას.

საქართველოს ტერიტორიაზე საანგარიშსწორებო-საპროცესინგო ან საკლირინგო ოპერაციების განხორციელება დასაშვებია არასაბანკო დაწესებულებების (საანგარიშსწორებო-საპროცესინგო კომპანიები, ცენტრები, პალატები, ბირჟები, დეპოზიტარიები და სხვ.) მეშვეობით, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ აწარმოონ საანგარიშსწორებო ოპერაციები.

საანგარიშსწორებო-საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულებებს შორის, ან იმ ბანკებს შორის, რომლებიც არ გვევლინებიან ამ სისტემის მონაწილედ, ფულადი სახსრების გადარიცხვები ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საგადახდო (საანგარიშსწორებო) სისტემის მეშვეობით.

საანგარიშსწორებო-საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულებების მეშაობის პრინციპები უნდა ეთანადებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

საანგარიშსწორებო-საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულების შესაძლო ოპერაციები მოიცავს:

- ანგარიშსწორების მონაწილე პირთა ანგარიშების გახსნას და გაძღოლას;
- ფიზიკური და იურიდიული პირების ან კორესპონდენტი ბანკების დავალებებით ანგარიშსწორების განხორციელებას (მათ შორის ურთიერთვალდებულებათა ჩათვლის „ნეტ“ -კლირინგის პრინციპით);
- საანგარიშსწორებო-საგადახდო საბუთების მომსახურებას;

- სხვა ოპერაციებს, რომლებიც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით და არ შეიცავს კლიენტთა ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების საკრედიტო რისკებს.

უძრავ ქონებაზე ტექნოლოგიის პირობებში როგორც კლიენტის, ისე ბანკის მიერ ელექტრონულ არქივებში საგალდებულო შენახვას ექვემდებარება სისტემის მიერ დასამუშავებლად მიღებული/გადაცემული ელექტრონული საგადახდო საბუთები საწყისი სახით (ხელმოწერილი, დაშიფრული), თვით ამ სისტემის პროგრამული საშუალებები და გამოყენებული ელექტრონული გასაღებები.

შენახვა საგალდებულოა სისტემის მონაწილე ორივე მხარისათვის.

პირველადი ელექტრონული საგადახდო საბუთების დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე წარმოშობილი შესანახი უწყისების ნუსხა კი განისაზღვრება კონკრეტული საგადახდო სისტემის ტექნოლოგიიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო სისტემას აქვს განვლილი პერიოდის პირველადი საგადახდო საბუთების საფუძველზე სხვა, მომდევნო ეტაპების უწყისების ავტომატური მიღების საშუალება, ბანკს უფლება აქვს შეინახოს მხოლოდ იმ ეტაპის ინფორმაცია, საიდანაც შესაძლებელი ხდება მომდევნო ეტაპების უწყისების მიღება.

ელექტრონულ არქივებში ინფორმაციის შენახვისას უსრულველყოფილი უნდა იყოს:

- ელექტრონული არქივების და მონაცემების დაცვა არასანქცირებული წვდომისაგან;
- ცვლილებების შეტანის შეუძლებლობა, დაცვა განზრახ ან დაუდევრობით გამოწვეული დამახინჯებისაგან, გაყალბებისა და არასანქცირებული განადგურებისაგან;
- შენახვის მთელი ვადის განმავლობაში მათი ნამდვილობის და უცვლელობის დადგენის შესაძლებლობა, მათი ხელმისაწვდომობა, გამოყენება ან ასლების შექმნა;
- წინააღმდეგობის გარეშე წვდომის შესაძლებლობა;
- მისი არქივიდან ამოღების და სათანადო დონეზე წარდგენის შესაძლებლობა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტის სახით.

ელექტრონული ინფორმაციის შენახვა ხორციელდება ელექტრონულ ან ოპტიკურ მატარებლებზე.

ინფორმაცია უნდა ინახებოდეს 2 ეგზემპლარად, ერთმანეთისაგან

დაშორებულ ფართობებში.

ელექტრონული ინფორმაციის შენახვის ვადები განისაზღვრება ქალალდის საგადახდო საბუთების შენახვის, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ანალოგიურად.

ელექტრონული არქივების განადგურება ხდება შესაბამისი ქალალდის საბუთების განადგურებისას, მათი შენახვის ვადის გასვლის კვალობაზე და ფორმდება შესაბამისი ოქმებით, დადგენილი წესით.

თავი VI. კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციები

6.1. კომერციულ ბანკში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემის პროცედურები

კომერციული ბანკები ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ეროვნულ ბანკთან, სხვა კომერციულ ბანკებსა და კლიენტურასთან ახორციელებენ ხელშეკრულების საფუძველზე.

კომერციულ ბანკში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემის სამუშაო რეჟიმს კონკრეტული ერთეულისათვის განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

კომერციული ბანკის ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, უნდა აკმაყოფილებდნენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დაცვისა და უსაფრთხოების პირობებს, რომელიც განისაზღვრება კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებით. კომერციული ბანკის მიერ ფასეულობის დაზღვევის შემთხვევაში კი აღნიშნული პირობები განისაზღვრება, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურთან, ისე სადაზღვევო ორგანიზაციასთან შეთანხმებით. კომერციული ბანკების დაცვა უნდა განახორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

კომერციულ ბანკს შეუძლია განახორციელოს საკუთარი და ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტურის ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციები საკუთარი ან სხვა საინკასაციო სამსახურების საშუალებით.

ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან მომუშავე პირების მა-

ტერიალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომერციული ბანკის ხელმძღვანელობასა და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ნაღდი ფულადი ოპერაციების განხორციელებისას კომერციული ბანკები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და დირექტივებით.

კომერციულ ბანკებში ლარის ბანკნოტების და მონეტების დამუშავება–დახარისხებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საექსპერტოდ მიღებული ეროვნული ვალუტის ბანკნოტების და მონეტების ვარგისიანობისა და ნამღვილობის დადგენას, ხოლო უცხოურ ვალუტაზე – მხოლოდ ნამღვილობის დადგენას.

კომერციული ბანკი ვალდებულია ყოველგვარი შეფერხებისა და საზღაურის გარეშე უზრუნველყოს ლარის ბანკნოტების და მონეტების გამოცვლა ან გადაცვლა სხვა ნომინალის ლარის ბანკნოტებზე ან მონეტებზე (გარდა ყალბი ან გადასახდელად უვარგისი ლარის ბანკნოტების და მონეტებისა).

კომერციული ბანკები ვალდებული არიან ანგარიშსწორება განახორციელონ ერთი თვთრის სიზუსტით.

კომერციული ბანკები ვალდებული არიან ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციები აღრიცხონ კონტროლის მექანიზმის შემცველი პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც დაცული უნდა იყოს ზუსტი აღრიცხვიანობის, ოპერატიულობის, თანმიმდევრულობისა და ყოველდღიურობის პრინციპი ისე, რომ შესაძლებელი იყოს ოპერაციის იდენტიფიცირება მის ყოველ ეტაპზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება წედომა ეროვნულ ბანკში არსებულ კომერციული ბანკების ანგარიშებზე, კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ფულის ნიშნების შეტანის ან ეროვნული ბანკიდან გატანის პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით (განკარგულება).

რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ კომერციული ბანკისათვის მართვის მოწმობის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული პირადი ნომრის შემცველი ოფიციალური დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია, ფიზიკური პირის კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული თანხმობის

საფუძველზე იდენტიფიკაცია განახორციელოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული პერსონალური მონაცემების საფუძველზე.[5]

6.2. კომერციული ბანკის სალაროს კვანძის მოწყობა, ტექნიკური გამაგრება და საინკასაციო სამსახური

კომერციული ბანკის სალაროს კვანძი მოიცავს ფასეულობათა საცავს, სალაროებს, გადათვლისა და ინკასატორთაგან ფულის მიღება-გაცემის ოთახებს. ცალკეული ერთეულისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და სამუშაოს შინაარსიდან გამომდინარე, სალაროს კვანძში ფასეულობათა საცავის, გადათვლისა და ინკასატორთაგან ფულის მიღება-გაცემის სათავსის მოწყობის აუცილებლობას განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

სალაროს კვანძი უნდა განთავსდეს კომერციული ბანკის სხვა სათავსებისაგან იზოლირებულად ისე, რომ გამოირიცხოს მასში იმ პირების შესვლის შესაძლებლობა, რომლებიც სალაროს ქვედანაყოფის თანამშრომლებად არ ითვლებიან. ფასეულობათა საცავის გარსი არ უნდა ესაზღვრებოდეს გარე სივრცეს ან სხვა შენობას და მისი სიმტკიცე უნდა შეესაბამებოდეს არანაკლებ მე-5 კლასს. საცავის გარსი უნდა აღიჭურვოს დაცვის დამატებითი სიგნალიზაციის საშუალებებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ესაზღვრება გარე სივრცეს ან სხვა შენობას.

სალაროს მუშაკის სამუშაო ფართობი კლიენტისაგან გამოიყოფა ტყვიაგაუმტარი მინის სარკმლისა და ფულის გადასაცემი მოწყობილობის (ხონჩა ან ბუნკერი) შემცველი ტიხრით (ისე, რომ შესაძლებელი იყოს კლიენტის მიერ ფულის გადათვლის ვიზუალური კონტროლი), რომლის სიმტკიცის კლასი უნდა იყოს არანაკლები ტყვიაგაუმტარი შუშისა. სალაროს მუშაკების სამუშაო ფართობი ერთმანეთისგან გამოიყოფა ტიხრით.

სალაროს კვანძში შესასვლელი კარი და ტყვიაგაუმტარი მინა უნდა შეესაბამებოდეს სიმტკიცის არანაკლებ მე-3 კლასს. ფასეულობათა საცავის კარები უნდა იყოს ჯავშნიანი და თავისი სიმტკიცის კლასით უნდა შეესაბამებოდეს საცავის გარსის სიმტკიცის კლასს.

5 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 29 იანვარის №7/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი".

ჯავშნიანი კარები იკეტება არანაკლებ ორი საკეტით. ჯავშნიანი კარების გარდა საცავის კარის ჭრილში ყენდება ცხაურის კარი, რომელიც იღება შიგნით და იკეტება ორივე მხრიდან.

სალაროს კვანძის მოწყობისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ევროსტანდარტებით დადგენილი ნორმები.

ცალკეული ერთეულის სპეციფიკიდან და დაცულობიდან გამომდინარე, სალაროსა და კლიენტს შორის არასრული იზოლაციისა და მათი ერთ დარბაზში განთავსების მისანშეწონილობას, ასეთ პირობებში ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე შესაბამისი დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

საინკასაციო მომსახურების განსახორციელებლად საინკასაციო სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნებით, მაშუქი და ხმოვანი სასიგნალო საშუალებებით, რადიოკავშირით, ინკასატორთა უსაფრთხოებისა და გადასატანი ფასეულობების დაცვის საშუალებებით აღჭურვილი დაჯავშნული ავტოტრანსპორტით.

ინკასაციის თანამშრომლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური აღჭურვილობითა და იარაღით, მათი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით (ჯავშანჟილეტები და სხვ.).

საინკასაციო სამსახურის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ ჯანმრთელნი, უნდა ჰქონდეთ გაელილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში შემოწმება და სპეციალური მომსადების კურსები, ასევე, ნებართვა იარაღის ტარებასა და შენახვაზე.

63. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემა

სალაროში ნაღდი ფულის და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემისას გამოყენებული დოკუმენტები (შემოსავალ-გასავლის საბუთები და სხვა) უნდა იძლეოდეს მომსახურე ბანკის, კოდის, ანგარიშის ნომრების, მიღებული და გაცემული თანხის (ციფრებით და სიტყვებით) ან სხვა ფასეულობის (აღწერილობით), ოპერაციის დანიშნულების და თარიღის დადგენის საშუალებას, ხოლო კლიენტის იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მომსახურე ბანკის დასახელებას, გაყიდული ან შეძენილი ვალუტის დასახელებას, ოდენობას (სიტყვებით და ციფრებით), თარიღს, ხოლო კლიენტის იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად..

ნაღდი ფულის მიღების, გაცემის, ვალუტის გადაცვლის და სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტი დგება მინიმუმ ერთ ეგზემპლარად. მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა დამოწმებული ეგზემპლარი..

ბანკს შეუძლია ნაღდი ფულის გაცემის ოპერაციები განახორციელოს მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მეშვეობით, რომელთა დამზადების, შენახვის, გამოყენების და ექსპერტიზა-უტილიზაციის წესები რეგულირდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

იურიდიულ პირებს შეუძლიათ ნაღდი ფული შეიტანონ მხოლოდ საკუთრ საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშზე.

დაუშვებელია კლიენტის მიერ სალაროში ფულის შემოტანის გარეშე თანხის მის ანგარიშზე ასახვა თანხის იმავდროულად გატანის მიზნით.

ბანკს შეუძლია ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები განახორციელოს ბანკომატისა და ფულის მიღება-გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც უნდა იძლეოდეს ამონაბეჭდს როგორც კლიენტისათვის გაცემული თანხის ოდენობის, ისე არსებული და ჩატვირთული ნაღდი ფულის ოდენობის შესახებ.

კლიენტის მიერ შემოტანილი ნაღდი ფულის გადათვლისას მეტნაკლებობის გამოვლენის შემთხვევაში სხდმეტობა უბრუნდება კლიენტს ან ჩაირიცხება მის ანგარიშზე, ხოლო გამოვლენილი დანაკლისის თანხა არ ექვემდებარება ანგარიშზე ასახვას.

კლიენტის მიერ შემოტანილ ფულში ან ინკასირებულ ნაღდფულიან ჩანთებში საეჭვო ფულის (რომელთა ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისიანობის დადგენა ვერ ხერხდება ადგილზე) გამოვლენის შემთხვევაში, დგება ცნობა სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი – ეძლევა კლიენტს, მეორე – რჩება სალაროს,

მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 10 დღის განმავლობაში ატყობინებს კომერციულ ბანკს. ექსპერტიზის შედეგად ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ყალბი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება, გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება შემომტანს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ადგილზე ხდება ფულის ნიშნის გადასახდელად უვარგისად ცნობა, ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება:

- თუ კლიენტი ითხოვს გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის დაბრუნებას, კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა ორ ეგზემპლარად და ხელმოწერით დასტურდება ორივე მხარის მიერ. ცნობის ერთი პირი ფულის ნიშანთან ერთად გადაეცემა კლიენტს, ხოლო მეორე პირი რჩება კომერციულ ბანკს;
- თუ ვერ ხერხდება მფლობელისათვის ფულის ნიშნის დაბრუნება (ან თუ მფლობელი უარს აცხადებს მის მიღებაზე) კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა და ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს.

კლიენტს უფლება აქვს კომერციული ბანკის სალაროდან მიღებული ნაღდი ფული გადაითვალოს ფურცლობით და ცალობით პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით. მიღებული ფულის გადათვლისას დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში თანხა ანაზღაურდება, ხოლო ზედმეტობა ჩაირიცხება ბანკის შესაბამის ანგარიშზე. თუ კლიენტი არ გადაითვლის ფულს კომერციული ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით, კომერციული ბანკი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მისი პრეტენზია დანაკლისის ანაზღაურების თაობაზე.

6.4. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის წესი

ბანკნოტებისა და მონეტების დახარისხება ხდება ნომინალების და ვარგისიანობის კატეგორიების მიხედვით ცალ-ცალკე.

ფულის ნიშნების შეფუთვა ხდება პოლიეთილენის პაკეტებში და მათ ფორმირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მფორმირებელ მოლარეს (ბრიგადული სისტემის შემთხვევაში – მფორმირებელ ბრიგადას).

ბანკნოტების ფორმირება ხდება ნეკნებად და კონებად. ერთი ნეკნი შეიცავს ერთი და იმავე ნომინალის ას ფურცელს, ხოლო ერთი კონა ათ ნეკნს. მონეტების დახარისხება ხდება ღირებულებათა მიხედვით, ერთ პაკეტში მოთავსებული ეროვნული ვალუტის მონეტების მაქსიმალური თანხა ნომინალების მიხედვით უნდა იყოს: 1 თეთრი – 20 ლარი, 2 თეთრი – 30 ლარი, 5 თეთრი – 50 ლარი, 10 თეთრი – 100 ლარი, 20 თეთრი – 160 ლარი, 50 თეთრი – 500 ლარი, 1 ლარი – 500 ლარი, 2 ლარი – 1000 ლარი.

ერთი და იმავე ნომინალის ბანკნოტების სრული ნეკნები, რომელთაგან სრული კონების ფორმირება არ ხერხდება, შეიძლება შეიფუთოს არასრულ კონებად, რომლის ზედსადებზე დამატებით აღინიშნება წარწერა – „არასრული“.

სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტების სრული და არასრული ნეკნები შეიძლება გაფორმდეს ნაკრებ კონებად, რომლის თითოეული ნეკნი არ უნდა შეიცავდეს ასზე მეტ ფურცელს. ნაკრები კონების ზედსადებებზე დამატებით აღინიშნება წარწერა – „ნაკრები“.

მონეტების ფორმირება შესაძლებელია არასრულ და ნაკრებ პაკეტებად, რაზედაც შესაბამისად მიეთითება წარწერა -„არასრული“ ან „ნაკრები“.

ბანკნოტების კონებისა და მონეტების პოლიეთილენის პაკეტის ზედსადებზე უნდა მიეთითოს ვალუტის დასახელება, ნომინალი, ბანკნოტების/მონეტების რაოდენობა, მთლიანი თანხა (ნაკრების შემთხვევაში დამატებით მიეთითება თანხა ნომინალების მიხედვით), შეფუთვის თარიღი, მფორმირებელი პირის სახელი, გვარი (რიგითი ან ბრიგადის ნომერი), ხელმოწერა, ბანკის დასახელება და კოდი.

ბანკნოტებისა და მონეტების პოლიეთილენის პაკეტით შეფუთვა ხდება პაკეტის შედუღებით, რომლის ნაკერსეც ისმება კლიშეს ანაბეჭდი შემდეგი რეკვიზიტებით: ბანკის დასახელება და კოდი.

კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო ბეჭდები, შტამპები და დასალუქი საშუალებები.

ნაღდი ფულის ფორმირებისათვის საჭირო შტამპებზე უნდა აღინიშნებოდეს კომერციული ბანკის დასახელება, კოდი, ასევე შესაძლებელია მოლარის გვარის და სახელის ან რიგითი ნომრის (ბრიგადის ნომრის) მითითება.

დასალუქ საშუალებებზე უნდა იკითხებოდეს რიგითი ნომერი, ბანკის კოდი ან დასახელება.

ფულადი საბუთების გასაფორმებელ ბეჭდებზე უნდა აღინიშნე-

ბოდეს ბანკის დასახელება, კოდი, ასევე შესაძლებელია სალაროს ტიპის და რიგითი ნომრის აღნიშვნა.

ინკასატორთათვის გამოსაყენებელ შტამპებზე უნდა იკითხებოდეს ბანკის დასახელება, კოდი, ინკასატორის გვარი და სახელი ან რიგითი ნომერი.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ დაამზადონ შტამპები წარწერით: „მოძველებული", „ნაკრები", „არასრული" „საკონტროლო გადათვლა" და სხვა.

6.5. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულის ნიშნების შეტანა–გატანა

კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებულ ზედსადებებზე და კლიშეზე დასატან რეკვიზიტებს. ამ რეკვიზიტების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში კომერციული ბანკი აცნობებს ეროვნულ ბანკს.

ეროვნულ ბანკში მიიღება მხოლოდ ანგარიშის მქონე კომერციული ბანკის მიერ ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ფორმირებული ნაღდი ფულის ნიშნები.

კომერციული ბანკებისაგან ნაღდი ფულის ნიშნები (ეროვნული და უცხოური ვალუტა) მიიღება ორ ეგზემპლარად შეკვრებული განაცხადის საფუძველზე.

განაცხადის წარმოდგენის შემდეგ ეროვნული ბანკის ოპერატორი ახდენს ფულის ნიშნების შემოტანაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებას პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით, ამოწმებს წარმოდგენილი განაცხადის შევსების სისწორეს, ავსებს შემოსავლის ორდერს, ბეჭდავს ორ ეგზემპლარად, ხელს აწერს მას და განაცხადთან ერთად გადასცემს შემომტან პირს სალაროში წარსადგენად.

იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არასწორადაა შევსებული, ეროვნული ბანკის ოპერატორი მასზე აკეთებს აღნიშვნას გაუქმების შესახებ, ადასტურებს ხელმოწერით, უარს აცხადებს ოპერაციის განხორციელებაზე და გადასცემს წარმომდგენს განაცხადის ორივე ეგზემპლარს. წარმომდგენი ხელმოწერით ადასტურებს განაცხადის არასწორად შევსების ფაქტს და განაცხადის ერთ ეგზემპლარს ხელმოწერის შემდეგ უბრუნებს ეროვნული ბანკის ოპერატორს.

განაცხადისა და შემოსავლის ორდერის მიღების შემდეგ ეროვნული ბანკის მოლარე ახდენს ფულის ნიშნების შემოტანაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებას პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით, ამოწმებს განაცხადისა და შემოსავლის ორდერის შევსების და დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერების სისწორეს და მათი სისწორის შემთხვევაში შემომტანისაგან იღებს ფულის ნიშნებს გადასათვლელად.

ეროვნული ბანკის მოლარე, შემოტანილი ფულის ნიშნების შეფუთვის სიმრთელის, მათზე არსებული რეკვიზიტების სისწორის შემოწმების შემდეგ, ფულის ნიშნებს გადაითვლის კონებისა და ნეკნების მიხედვით, ფულის ნიშნების მიღებას ადასტურებს შემოსავლის ორდერსა და განაცხადზე ხელმოწერით და ბეჭდით, რის შემდეგაც აღნიშნულ დოკუმენტებს ხელმოსაწერად გადასცემს ფულის ნიშნების შემოტანაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც ხელმოწერით დადასტურებული განაცხადისა და შემოსავლის ორდერის თითო ეგზემპლარს უბრუნებს ეროვნული ბანკის მოლარეს.

კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში შეტანილი ნაღდი ფულის ნიშნები კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე აისახება ოპერაციის შესრულების დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მოლარის მიერ გამოვლენილ იქნა დოკუმენტებსა და ფაქტობრივად შემოტანილ თანხებს შორის შეუსაბამობა ან სხვა ნაკლოვანება, ეროვნული ბანკის მოლარე უარს აცხადებს ოპერაციის განხორციელებაზე, განაცხადზე აკეთებს აღნიშვნას ნაკლოვანების შესახებ, ადასტურებს ხელმოწერით, ბეჭდით და ფულის ნიშნებთან ერთად გადასცემს წარმომდგენს. წარმომდგენი ხელმოწერით ადასტურებს შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანების არსებობის ფაქტს და განაცხადის ერთ ეგზემპლარს ხელმოწერის შემდეგ უბრუნებს ეროვნული ბანკის მოლარეს.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორისა და მოლარის ფუნქცია დაკისრებული აქვს ერთ პირს, ამ პირის მიერ კომერციული ბანკებიდან ნაღდი ფულის მიღება ხორციელდება ამავე მუხლით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.

ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკიდან მიღებული ფულის ნიშნები ექვემდებარება გადათვლას, დახარისხებას, ფორმირებასა და შეფუთვას.

კომერციული ბანკის მიერ შემოტანილი ფულის ნიშნების გადათვლისას 'სედმეტობა/დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკში დგება ცნობა სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეგზა-

ვნება კომერციულ ბანკს, ხოლო ორი – რჩება ეროვნულ ბანკს. ხელმეტობა ჩაირიცხება მის საკორესპონდენტო ანგარიშზე. ხოლო დანაკლისის შესაბამისი თანხა ეროვნული ბანკის მიერ უპირობოდ ჩამოიწერება.

საჭირო ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დგება ცნობა ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი – ეგზავნება კომერციულ ბანკს, ხოლო სამი ეგზემპლარი ფულის ნიშანთან ერთად შემდგომი რეაგირებისათვის რჩება ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკი 10 დღის განმავლობაში ატყობინებს კომერციულ ბანკს ექსპერტიზის შედეგებს. ექსპერტიზის შედეგად ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის შესაბამისი თანხა ჩაირიცხება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე, ხოლო ყალბი და/ან გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი ჩამოიწერება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან. ყალბი ფული ექვემდებარება მიმოქცევიდან უპირობო ამოღებას, ხოლო გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება შემომტანს.

ეროვნული ან უცხოური ვალუტის გატანის მიზნით, კომერციული ბანკი საგადახდო დავალების მეშვეობით, საკორესპონდენტო ანგარიშიდან თანხას ჩარიცხავს ეროვნულ ბანკში გახსნილ მის საკასო მომსახურების ანგარიშზე, უცხოური ვალუტის გატანის შემთხვევაში საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილი მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოება – SWIFT შეტყობინების საფუძველზე.

საგადახდო დავალებაში/SWIFT შეტყობინებაში დადგენილი წესით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა, დამატებით უნდა მიეთითოს პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით გატანაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა.

ფულის ნიშნების გატანისას ეროვნული ბანკის ოპერატორი, კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განცხადების შემდეგ, ამოწმებს საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის არსებობას და ოდენობას.

ეროვნული ბანკის ოპერატორი, თანხის არსებობის შემთხვევაში, ახდენს ფულის ნიშნების მიმღები უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებას საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით, ბეჭდავს ჩარიცხვის დამადასტურებელ საგადახდო დავალებას ერთ ეგზემპლარად, აწესებს გასავლის ორდერს და ბეჭდავს ორ ეგზემპლარად, ხელს აწერს მათ და საგადახდო დავალებას-

თან ერთად გადასცემს ფულის ნიშნების მიმღებს ეროვნული ბანკის უფლებამოსილ პირთან წარსადგენად.

ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი დოკუმენტების მიღების შემდეგ ახდენს ფულის ნიშნების მიმღები პირის იდენტიფიცირებას საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით, საგადახდო დავალების და გასავლის ორდერის ურთიერთშედარებას, დოკუმენტებისა და მათში არსებული ხელმოწერის სისწორის შემოწმებას.

დოკუმენტების სისწორის დადგენის შემდეგ, ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ხელს აწერს საგადახდო დავალებას, გასავლის ორდერს და გადასცემს ფულის ნიშნების მიმღებ პირს სალაროში წარსადგენად.

დოკუმენტების მიღების შემდეგ, ეროვნული ბანკის მოლარე ახდენს ფულის ნიშნების მიმღები პირის იდენტიფიცირებას, ადგენს დოკუმენტების და ხელმოწერების სისწორეს, მათი სისწორის შემოხვევაში ხელს აწერს გასავლის ორდერის ორივე ეგზემპლარს და ფულის ნიშნებთან ერთად გადასცემს თანხის მიმღებ პირს.

მიმღები პირი ფულის ნიშნებს გადაითვლის კონების, ნეკნების და მათში არსებული რეკვიზიტების მიხედვით, მონეტებს კი – პაკეტების და მასში არსებული რეკვიზიტების მიხედვით, შეუფუთავ კონებს, ნეკნებსა და ცალკეულ ბანკნოტს - ფურცლობრივად, ხოლო მონეტებს – ცალობით, რის შემდეგაც ხელს აწერს ორდერს და ერთ ეგზემპლარს უბრუნებს ეროვნული ბანკის მოლარეს.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორისა და მოლარის ფუნქცია დაკისრებული აქვს ერთ პირს, ამ პირის მიერ კომერციულ ბანკებზე ნაღდი ფულის გაცემა ხორციელდება ამავე მუხლით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.

ფულის ნიშნების მიმღებ პირს უფლება აქვს კონებად შეფუთული ბანკნოტები გადათვალოს ფურცლობრივად, ხოლო ტომრებში მოთავსებული მონეტები – ცალობით, სალაროს პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

ნაღდი ფულის ნიშნების ფურცლობრივად და ცალობით გადათვლისას შეფუთვის საშუალებები და ზედსადებები ინახება გადათვლის დამთავრებამდე. დანაკლისის, ვედომეტობის ან სხვა შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში იმავდროულად დგება სათანადო აქტი, რომლის საფუძველზეც დანაკლისის თანხა დაუყოვნებლივ აუნაზღაურდება ფულის ნიშნების მიმღებს, ხოლო ვედომეტობა ჩაირიცხება ეროვნული ბანკის შემოსავალში. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული

ბანკის წარმომადგენლის მიერ ეროვნულ ბანკში არ მოხდება ფულის ნიშნების გადათვლა, პრეტენზიები დანაკლისის ანაზღაურების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა რაიმე სახის შეუსაბამობა კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილ საგადახდო დავალებაში ან ფულის ნიშნების მიღებაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებში:

- ეროვნული ბანკი უარს აცხადებს თანხის გაცემაზე;
- შეუსაბამობის გამომვლენი პირი საგადახდო დავალების მეორე მხარეს აკეთებს შესაბამის აღნიშვნას და ადასტურებს ხელმოწერით. იმავდროულად, თანხის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე დაბრუნების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ იქმნება საგადახდო დავალება, სადაც მიეთითება ფულის ნიშნების გაუცემლობის მიზეზი და საფუძველი.

კომერციული ბანკი ვალდებულია მოახდინოს ნაღდი ფულის ნიშნების გატანა საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღესვე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ახდენს თანხის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე დაბრუნებას მომდევნო სამუშაო დღეს.

6.6. ეროვნული ბანკიდან მკაცრი აღრიცხვის ბლანკებისა და ოქროს ზოდების გატანა

ეროვნული ბანკიდან მკაცრი აღრიცხვის ბლანკები გაიცემა კომერციული ბანკის მიერ ამ მიზნით ეროვნული ბანკის შესაბამის ანგარიშზე თანხის (ბლანკების ღირებულების) ჩარიცხვის დამადასტურებელი საგადახდო დავალების საფუძველზე. საგადახდო დავალებაში დადგენილი წესით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა, დამატებით უნდა მიეთითოს პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა, მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახეობა და რაოდენობა.

ეროვნული ბანკის ოპერატორი, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ზეპირი განაცხადის საფუძველზე, ახდენს პირის იდენტიფიცირებას საგადახდო დავალებაში მითითე-

ბული რეკვიზიტების მიხედვით, ამოწმებს ჩარიცხული თანხის და ბლანკების რაოდენობის შესაბამისობას, ბეჭდავს ჩარიცხვის დამადასტურებელ საგადახდო დავალებას ერთ ეგზემპლარად, ადასტურებს ხელმოწერით და გადასცემს ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ეროვნული ბანკის მოლარესთან წარსადგენად.

ეროვნული ბანკის მოლარე, საგადახდო დავალების მიღების შემდეგ, ახდენს ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებას, ამოწმებს ეროვნული ბანკის ოპერატორის ხელმოწერის სისწორეს, ანგარიშზე ჩარიცხული თანხის და ბლანკების რაოდენობის შესაბამისობას და ავსებს გასაელის გარებალანსურ ორდერს.

ეროვნული ბანკის მოლარე გარებალანსური ორდერის შევსების შემდეგ ბეჭდავს მას ორ ეგზემპლარად, ხელს აწერს და გადასცემს მკაცრი აღრიცხვის ბლანკებთან ერთად მათ მიღებაზე უფლებამოსილ პირს ხელმოსაწერად.

მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ბლანკების გადათვლის, მათი ნომრების გარებალანსურ ორდერში მითითებულ ნომრებთან შედარების შემდეგ, ხელმოწერით ადასტურებს გარებალანსურ ორდერს, რომლის ერთ ეგზემპლარს უბრუნებს მოლარეს.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორისა და მოლარის ფუნქცია დაკისრებული აქვს ერთ პირს, ამ პირის მიერ კომერციულ ბანკებზე მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გაცემა ხორციელდება ამავე მუხლით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.

საგადახდო დავალებასა და მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მიღებაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს შორის ან/და ჩარიცხული თანხის და ბლანკების რაოდენობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში:

- ეროვნული ბანკი უარს აცხადებს მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გაცემაზე;
- შეუსაბამობის გამომწვევი პირი საგადახდო დავალების მეორე მხარეს აკეთებს შესაბამის აღნიშვნას და ადასტურებს ხელმოწერით. იმავდროულად, თანხის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე დაბრუნების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ იქმნება საგადახდო დავალება, სადაც მითითება მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გაუცემლობის მიზეზი და საფუძველი.

ეროვნული ბანკის მიერ CSD სისტემაში ოქროს სერტიფიკატის განაღდების დადასტურებისთანავე კომერციული ბანკი SWIFT სისტემის

მეშვეობით აუტორიზებული შეტყობინებით აცნობებს ეროვნულ ბანკს შესაბამისი ზოდის მიღებაზე მის მიერ უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საბუთის გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა) CSD სისტემაში „ნაწილობრივი დაფარვის" შეტყობინების შესაბამისი უნიკალური ნომრის მითითებით.

SWIFT შეტყობინების გაგზავნის მომდევნო საბანკო დღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში კომერციული ბანკი მიიღებს შესაბამის ზოდს (ზოდებს) ეროვნული ბანკის სალაროდან შეტყობინებაში მითითებული პირის მეშვეობით.

ზოდების გატანისას ეროვნული ბანკის მოლარე-ოპერატორი შესაბამისი ზოდის მიღებაზე კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ზეპირი განაცხადის შემდეგ ახდენს მის იდენტიფიცირებას პირადობის დამადასტურებელი საბუთისა და SWIFT შეტყობინებით მიწოდებული მონაცემების მიხედვით, ავსებს სათანადო გასაელის ორდერს, ბეჭდავს მას ორ ეგზემპლარად, ხელს აწერს და შესაბამის ზოდებთან ერთად ხელმოსაწერად გადასცემს კომერციული ბანკის წარმომადგენელს.

კომერციული ბანკის წარმომადგენელი ზოდის შემოწმებას ახდენს ვიზუალურად, შეფუთვასა და ზოდზე არსებული რეკვიზიტების მიხედვით (შეფუთვის დაუზიანებლად), მიღებას ადასტურებს გასაელის ორდერის ორივე ეგზემპლარზე ხელმოწერით და გასაელის ორდერის ერთ ეგზემპლარს უბრუნებს მოლარე-ოპერატორს.

კომერციული ბანკის წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს ზოდის თანმხლებ სერტიფიკატზე მითითებულ რეკვიზიტებთან მათი სინჯისა და წონის შესაბამისობის ლაბორატორიული შემოწმება, თუ ასეთი უფლებამოსილება კომერციული ბანკის მიერ მინიჭებული აქვს SWIFT შეტყობინებით. ამ შემთხვევაში შემოწმება ხორციელდება კომერციული ბანკის წარმომადგენლის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (შემოწმებისას ხდება შეფუთვის გახსნა/დაზიანება).

ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის წარმომადგენლისათვის ზოდის გადაცემისას რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შეუსაბამო ზოდი დაუყოვნებლივ შეიცვლება შესაბამისი მახასიათებლების მქონე ზოდით.

იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის წარმომადგენლის მიერ ეროვნულ ბანკში არ მოხდა სოდის შემოწმება ადგილზე, პრეტენზიები რაიმე შეუსაბამობის ანასღაურების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა რაიმე სახის შეუსაბამობა SWIFT შეტყობინებაში ან/და სოდის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებში, ეროვნული ბანკი უარს აცხადებს მოთხოვნილი სოდის გაცემაზე.

6.7. ოპერაციების აღრიცხვა, საბუთების დამუშავება და ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შენახვა

ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების დამთავრების შემდეგ, ნაღდი ფული და სხვა ფასეულობა შემოსავალ-გასავლის საბუთებთან, ცნობებთან, აქტებთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად ბარდება შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

პასუხისმგებელი პირები, წარმოდგენილი დოკუმენტების საბუღალტრო მონაცემებთან შედარების და ფაქტობრივად არსებული ნაშთის შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადგენენ ცნობას შემოსული და გასული დოკუმენტებისა და თანხების, ასევე, სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ნაშთების შესახებ ვალუტების მიხედვით.

ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ყოველდღიური ნაშთების აღრიცხვა კომერციული ბანკების მიერ წარმოებს კუპიურული წყობის უწყისში.

პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი ცნობები და კუპიურული წყობის უწყისი ინახება სალაროს დღიურ საბუთებთან ერთად.

სალაროში არსებულ ფულის (ფასეულობის) ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობას. სხვაობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევამდე, სალაროში გამოვლენილი ზედმეტობის ან დანაკლისის დადასტურების შემდეგ, დგება შესაბამისი აქტი, რის საფუძველზეც ზედმეტობა ჩაირიცხება ბანკის კრედიტორებში, ხოლო დანაკლისი თანხა – ბანკის დებიტორებში, ან დაეწერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული ფაქტი.

სალაროს ღირებული საბუთები დანართებთან ერთად (აქტები, ცნობები, უწყისი და სხვა) იკინძება საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების, შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტების მიხედვით.

კომერციული ბანკის ფული და სხვა ფასეულობა ინახება ფასეულობის საცავში, რომლის გასაღებები ინახება შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან.

ფასეულობის საცავებს უნდა ჰქონდეთ გასაღებების დუბლიკატები, რომლებიც სათანადო ნუსხის თანხლებით იდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დალუქულ პაკეტში.

გასაღებთა დუბლიკატების პაკეტი, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილ წერილთან ერთად, ფასეულობათა საცავში შესანახად ბარდება კომერციული ბანკის ერთ-ერთ უახლოეს ფილიალს ან ხელშეკრულების საფუძველზე სხვა კომერციულ ბანკს, რის შესახებაც პაკეტის ჩამბარებელს ეძლევა ხელმოწერილი და ბეჭდდასმული შემოსავლის ბალანსგარეშე ორდერის ერთი ეგზემპლარი. გასაღებთა დუბლიკატების შესანახად ჩაბარების დამადასტურებელი საბუთები ინახება კომერციული ბანკის ერთერთ პასუხისმგებელ პირთან სეიფში.

გასაღებთა დუბლიკატებიანი პაკეტის ჩამბარებლისათვის გაცემა დასაშვებია მხოლოდ კომერციული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების წერილობითი და კომერციული ბანკის ბეჭდით დამოწმებული მოთხოვნით. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სათადარიგო გასაღებების პაკეტის გამოტანის შემთხვევაში გამოიწერება ბალანსგარეშე გასავლის ორდერი და გამოტანის მიზეზების აღნიშვნით დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

ფული და სხვა ფასეულობა საცავში ინახება ლითონის კარადებში, სეიფებში, ურიკებში და თაროებზე.

დაუშვებელია საცავში არაფორმირებული ფულის შენახვა, გარდა ბანკომატებისა და ფულის მიღება–გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ფულისა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს კასეტებში.

საეჭვო ფულის ნიშნები ინახება ცნობებთან ერთად და აღირიცხება ჟურნალში ან კომპიუტერში.

სხვა ფასეულობა (გარდა მკაცრი აღრიცხვის ბლანკებისა) ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ინახება თანმხლებ აღწერილობასთან ერთად.

დაუშვებელია რადიაქტიული, ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების შემცველი ფასეულობების შენახვა.

ცალკეულ შემთხვევაში, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის, ასევე სალაროს დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია სალაროს კვანძში შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ან ინკასატორების პასუხისმგებლობის ქვეშ.

სალაროს ღღიური საბუთები ინახება 6 წლის განმავლობაში სათანადოდ დაცულ ადგილზე, შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

კომერციული ბანკი ვალდებულია სისტემატურად განახორციელოს ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ნატურის, მათი შენახვის მდგომარეობისა და სალაროს ოპერაციების წარმოების მოულოდნელი შემოწმება.

შემოწმება უნდა ჩატარდეს ყველა ფასეულობის აღწერით და ისეთი თანამიმდევრობით, რომ გამოირიცხოს ფულისა და ფასეულობების დანაკლისის ან დატაცების ფაქტის მიჩქმალვა.

შემოწმებამ არ უნდა დაარღვიოს კომერციული ბანკის კლიენტთა მომსახურების პროცესი.

ჩატარებული შემოწმების შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს რევიზიის პროცესში მონაწილე ყველა პირი.

ჩატარებული რევიზიის აქტში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები: რევიზიის ღღისათვის ფაქტიურად რიცხული თანხები და სხვა ფასეულობა, მათი საბუღალტრო მონაცემებთან შესაბამისობა, რევიზიისას აღმოჩენილი ფულის ზედმეტობები და დანაკლისები (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე, ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დარღვევები და რისკების შეფასება.

კომერციული ბანკის მიერ სალაროს შემოწმება ასევე ხორციელდება ნაღდი ფულისა და ფასეულობის გადაბარების დროს. ამ შემთხვევაში, სხვა მონაცემების გარდა აქტში აღინიშნება საცავის გასაღებების, დასალუქი საშუალებებისა და ბეჭდების გადაცემა.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დანაკლისი, მის სრულ დაფარვამდე, დაიწერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული ფაქტი. სალაროში გამოვლენილი ზედმეტობა ჩაირიცხება შესაბამის ანგარიშზე.

შემოწმების შედეგებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

კომერციული ბანკის შემოწმებების მასალები ექვემდებარება შენახვას არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

თავი VII. საკრედიტო ოპერაციები

7.1. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა

საკრედიტო ოპერაციები წარმოადგენს ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომელიც ქმნის მის შემოსავლებს. ბანკების კრედიტები გამოიყენება საბრუნავი სახსრების შევსების ძირითად წყაროდ. ისინი თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ბანკებისა და ორგანიზაციების განვითარებაში და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობას განსაზღვრავენ.

სიტყვა „კრედიტი“ წარმოდგება ლათინურიდან „credere“, რაც ნიშნავს „რწმენას“, „ნდობას“.

საკრედიტო ურთიერთობები ესაა ფინანსური ურთიერთობები კრედიტორსა და მსესხებელს შორის, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალის წრებრუნვასთან მოგების მიღების მიზნით.

კრედიტორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავის დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს მსესხებელს განსაზღვრული ვადით აძლევს.

მსესხებელი არის საკრედიტო ურთიერთობათა მეორე მხარე, რომელიც იღებს ფულად სახსრებს სარგებლობაში და ვალდებულია დააბრუნოს ისინი განსაზღვრულ ვადაში.

საბანკო კრედიტი არის ოპერაცია, რომლის დროსაც ბანკი ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია (კრედიტორი) აძლევს მსესხებელს ფულად სახსრებს განსაზღვრული ვადით. ამ დროს დაცული უნდა იყოს საბანკო დაკრედიტების ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ჩვეულებრივ ყოფენ ორ ჯგუფად:

- *პირველი ჯგუფი* ასახავს უშუალოდ კრედიტის არსსა და ფუნქციებს (ვადიანობა, დაბრუნებადობა და ფასიანობა);
- *მეორე ჯგუფი* წარმოადგენს ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს, რომელიც ახასიათებს ყველა ეკონომიკურ კატეგორიას (მიზანმიმართულობა, დიფერენცირებულობა).

ვადიანობის პრინციპი ნიშნავს, რომ კრედიტი ექვემდებარება და-

ბრუნებას დადგენილ ვადაში, რომლის დარღვევაც იწვევს განსაზღვრული სანქციების გამოყენებას.

საბანკო კრედიტის *დაბრუნებადობის* პრინციპი ნიშნავს, რომ კრედიტის სახით მიღებული ფულადი სახსრები მსესხებლისათვის წარმოადგენს ფინანსური რესურსების მხოლოდ დროებით წყაროს და უნდა დაუბრუნდეს ბანკს.

საბანკო დაკრედიტების ფასიანობის პრინციპის განხორციელება ემყარება საკრედიტო ორგანიზაციების მიერ კრედიტის გაცემისას გაწეული მომსახურების ანაზღაურების ფასიან ხასიათს. საბანკო კრედიტის მიცემისათვის ხდება განსაზღვრული საფასურის გადახდევინება პროცენტის სახით. საპროცენტო განაკვეთის ოდენობა მითითებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში.

საბანკო კრედიტი გაიცემა განსაზღვრული მიზნებისათვის. მისი გამოყენება არამიზნობრივი დანიშნულებით არღვევს მიზანმიმართულობის პრინციპს და იწვევს შესაბამისი სანქციების გამოყენებას.

დაკრედიტების დიფერენცირებულობა ნიშნავს კრედიტის გაცემისას კლიენტის კრედიტუნარიანობის გათვალისწინების აუცილებლობასა და კრედიტების გაცემას მხოლოდ მსესხებელზე, რომელთა ფინანსური მდგომარეობაც ეჭვს იწვევს.

ჩამოთვლილ პრინციპებს შეიძლება დაემატოს უზრუნველყოფის პრინციპი. უზრუნველყოფა შეიძლება გამოვიდეს გირაოს, თავდებობის, საბანკო გარანტიის ან დაზღვევის სახით, ამაეე დროს – კანონმდებლობით.

გათვალისწინებულია კრედიტის გაცემის შესაძლებლობა შესაბამისი უზრუნველყოფის გარეშე (საბლანკო კრედიტი).

კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (ცხრ. 7.1).

კრედიტების კლასიფიკაცია

ნიშანი	კრედიტების სახე
მსესხებელთა ჯგუფები	• კრედიტები მეურნეობებს • კრედიტები მოსახლეობას • კრედიტები ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს • კრედიტები სხვა ბანკებს
ღანიშნულება	• სამრეწველო • სავაჭრო • სასოფლო-სამეურნეო • საბიუჯეტო • ბანკთაშორისი • სამომხმარებლო
ფუნქციონირების სფერო	• კრედიტი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის • კრედიტი საბრუნავი ფონდების ფორმირებისათვის
გამოყენების სფერო	• წარმოების სფეროში მიმართული კრედიტები • მომოქცევის სფეროს მომსახურე კრედიტები
გამოყენების ვადები	ვადიანი: • მოკლევადიანი (1 წლამდე) • საშუალოვადიანი (1-დან 3 წლამდე) • გრძელვადიანი (3 წელზე მეტი)
უზრუნველყოფა	• არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) • უზრუნველყოფილი: გირაოთი; გარანტირებული; დაზღვეული.
მოცულობა	• მცირე (ბანკის საკუთარი სახსრების 1%-მდე) • საშუალო (ბანკის საკუთარი სახსრების 1-დან 5%-მდე) • მსხვილი (ბანკის საკუთარი სახსრების 5%-ზე მეტი)
გაცემის ხერხები	• საკომპენსაციო (კრედიტის თანხა მიემართება მსესხებლის ანგარიშზე ან გაიცემა ნაღდი ფულით) • საკრედიტო ხაზის გახსნა (ხელშეკრულების დადება მსესხებლის უფლებაზე, მიიღოს ფულადი სახსრები განსაზღვრული დროის განმავლობაში) • საგადასახადო (კრედიტის თანხის მიერთება უშუალოდ საანგარიშსწორებო-ფულადი დოკუმენტების გასანაღდებლად) • საბანკო ანგარიშის დაკრედიტება მასზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში (ოვერდრაფტი)
დაფარვის ხერხი	• ერთჯერადად დასაფარი კრედიტები (განსაზღერული თარიღისათვის) • განვადებით დასაფარი კრედიტები (თანაბარი ან განსხვავებული წილებით)

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა არის ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის სფეროში. კომერციული ბანკები შეიმუშავებენ საკრედიტო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, განსაზღვრავენ მის მთავარ მიზანს, პრიორიტეტებს საკრედიტო ბაზარზე და დაკრედიტების ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული პოზიციები ფიქსირდება დებულებაში ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ყოველი ბანკის შიდა სამუშაო დოკუმენტს. საფინანსო ბაზარზე კონკურენციის პირობები ბანკებს კარნახობენ საბანკო მომსახურების წრის გაფართოებას. ამ მიმართულებით მოძრაობა შეიძლება მხოლოდ შესაძლო რისკების შეფასების გათვალისწინებით და მათი შემცირების გზების განსაზღვრით, ბანკისათვის ოპტიმალური დაკრედიტების პროცესისა და საკრედიტო პორტფელის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ზომების შემუშავებით, აგრეთვე, სწორი საპროცენტო პოლიტიკის წარმართვით.

საკრედიტო რისკი არის ის პოტენციური დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა კლიენტი-მსესხებლის მიერ ბანკებისათვის დავალიანების თანხების დაუბრუნებლობის ან არადროული დაბრუნების შემთხვევაში. რისკის პროგნოზირება (მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების დროს) მოიცავს კლიენტის იურიდიული უფლებამოსილების, მისი ფინანსური მდგომარეობის, საკრედიტო ისტორიისა და მის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხის შემოწმებას.


საკრედიტო პოლიტიკის მიზნებია:

- ზოგადი, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების ეფექტიანი განთავსებისათვის კრედიტების გაცემას. ბანკის მოგების სტაბილური მატების უზრუნველყოფას, საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსავლების ზრდასა და მათზე ხარჯების შემცირებას;
- კერძო, რომელიც გამოიხატება კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესებაში, სტრუქტურული მანევრებლების შეცვლაში, ბანკის რეპუტაციის განმტკიცებაში.

ბანკის პრიორიტეტები საკრედიტო ბაზარზე განსაზღვრავს იმ დარგების არჩევანს, რომლებიც წარმოადგენს ბანკის ინტერესთა სფეროს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე, ოპტიმალურ სტრუქტურას კრედიტების თითოეულ კატეგორიაზე (ვადებსა და სახეებზე), მსხვილი კრედიტების დაგეგმილ დონეს, ახალი სახის კრედიტების მიზანშეწონილობასა და დანერგვას.

მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. ისინი გარკვეული ჯგუფების მიხედვით მოცემულია ქვემოთ (ნახ. 7.1).

ნახ. 7.1 ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე



დაკრედიტების პროცესის ორგანიზება მოიცავს საკრედიტო ქვედანაყოფის, მისი თანამშრომლების შესახებ დებულების, საკრედიტო გარიგების ჩატარების წესის, დაკრედიტების პირობების ცვლილებებისა და ვადაგასული დავალიანების გადახდევინების პროცედურის შემუშავებას.

საკრედიტო პორტფელის ლიკვიდობის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოიცავს კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფის უპირატეს ფორმებს, კლიენტის კრედიტუნარიანობისა და საკრედიტო პორტფელის შეფასების წესს, კრიზისულ პერიოდებში საკრედიტო პორტფელის რესტრუქტურიზაციის შესაძლო ვარიანტებს, ზარალის დაფარეის წესს.

საპროცენტო განაკვეთები დგინდება ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთის, ბანკთაშორის კრედიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთის, კრედიტზე მოთხოვნის, ქვეყანაში ფულადი მიმოქცევის სტაბილურობის, კრედიტის სახის უზრუნველყოფის ხარისხის, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და მოსიდული საკრედიტო რესურსების ღირებულების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე

მნიშვნელოვან ამოცანას დაკრედიტების სფეროში საქმიანობის მაღალი ფინანსური შედეგების მისაღწევად. იგი ხორციელდება შემდეგი ხერხებით:

- სესხების პორტფელისა და ბანკის ინვესტიციების დივერსიფიკაცია;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზი;
- გასაცემი კრედიტების ღირებულების შეფასება;
- კრედიტების დაზღვევა;
- საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვა.

დივერსიფიკაციის პოლიტიკის არსი მდგომარეობს დიდი რაოდენობით კრედიტების გაცემაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კლიენტებზე. გარდა ამისა, ამ დროს ხორციელდება კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების განაწილება ვადების მიხედვით (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი დაბანდებების წილის რეგულირება კონიუნქტურული სავარაუდო ცვლილებების მიხედვით), დანიშნულების მიხედვით (სეზონური, სამშენებლო და ა.შ.), უზრუნველყოფის სახის მიხედვით, კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის დაწესების ხერხის მიხედვით (ფიქსირებული ან ცვალებადი), დარგების მიხედვით და ა.შ.

კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზი აღიარებულია დაკრედიტების რისკის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად. შედეგი მეტად საგრძნობია, თუკი დაკმაყოფილებულია ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მოთხოვნები პერსონალის კვალიფიკაციისადმი, რამდენადაც უშუალოდ ამაზეა დამოკიდებული კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზის სიზუსტე და ეფექტიანობა.

გაცემული კრედიტების ღირებულების შეფასება და მათი შემდგომი ანალიზი გამოიხატება კრედიტების კლასიფიკაციით რისკების ჯგუფების მიხედვით და საეჭვო ვალებზე შესაბამისი რეზერვის შექმნით.

კრედიტის დაზღვევა გულისხმობს მისი დაუბრუნებლობის რისკის სრულ გადაცემას ორგანიზაციისათვის, რომელიც ეწევა დაზღვევას. ამჟამად არსებობს კრედიტების დაზღვევის სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩვეულებრივ ეკისრება მსესხებელს.

კრედიტის საკმარისი უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ ბანკისათვის გარანტირებულია გაცემული კრედიტისა და მასზე პროცენტების დაბრუნება. უზრუნველყოფის ოდენობა უნდა ფარავდეს არა მხოლოდ გაცემული კრედიტის ოდენობას, არამედ მასზე პროცენტების თანხას, აგრეთვე, ვადაგასული დავალიანების გადახდევინების ხარჯებს.

7.2. კრედიტების ძირითადი ტიპები

ერთჯერადი სესხები მიეცემა მსესხებლებს გარკვეული მიზნებისათვის ფულად სახსრებზე წარმოქმნილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში კლიენტმა ყოველი მიმართვის დროს უნდა წარმოადგინოს ბანკში ყველა საჭირო საბუთი და კრედიტის მიცემის საკითხი განიხილება ცალკე ყოველი მიმართვისას. ასეთი სესხები გაიცემა ერთჯერადად საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებით, რომელშიც მიუთითებენ დაუვალიანების დაფარვის ხერხს: ერთჯერადად ან ნაწილ-ნაწილ. ერთჯერადი სესხის თანხის დაუფარაობის ან არადროულად დაფარვის შემთხვევაში ის მიეკუთვნება ვადაგასული სესხების კატეგორიას და ბანკს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს წარმოდგენილ უსრულყოფას.

კრედიტის სარგებლობისათვის პროცენტების გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად. საპროცენტო განაკვეთის ოდენობა შეიძლება იყოს ფიქსირებული ან იცვლებოდეს მსესხებლის ანგარიშზე საკრედიტო ბრუნვის მიხედვით. საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, კრედიტისა და პროცენტების დაფარვის წესი ფიქსირდება საკრედიტო ხელშეკრულებაში.

მსესხებლისათვის საკრედიტო ხაზის გახსნის შემთხვევაში ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, მისცეს მას კრედიტები იმ ოდენობით, რაც არ აღემატება გარკვეულ შეთანხმებულ ლიმიტს. ეს ლიმიტი შეიძლება გადაისინჯოს კლიენტის შუამდგომლობით. საკრედიტო ხაზი იხსნება იმ შემთხვევაში, როცა ბანკსა და კლიენტს შორის არსებობს ნდობითი ურთიერთობები. საკრედიტო ხაზი შეიძლება იყოს განახლებადი ან არაგანახლებადი.

მსესხებელის დაკრედიტება ხორციელდება შემდეგ საფუძველზე:

- ხელშეკრულებით არაგანახლებადი საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ მსესხებლის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვით დადგენილი გრაფიკის მიხედვით;
- ხელშეკრულებით განახლებადი საკრედიტო ხაზის გახსნის მიხედვით;
- გენერალური შეთანხმებით ჩარჩო საკრედიტო ხაზის გახსნის თაობაზე, რომლის საფუძველზეც იღება ცალკეული საკრედიტო ხელშეკრულება ან ხელშეკრულებები არაგანახლებადი საკრედიტო ხაზის გახსნაზე.

კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტების გარდა მსესხებელი

იხდის საკრედიტო ხაზის ლიმიტის საფასურს და რესურსების გამოყენების საფასურს.

ოვერდრაფტი არის მოკლევადიანი კრედიტის ფორმა, რომლის დროსაც ბანკი ახორციელებს მსესხებლის საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშის დაკრედიტებას მოკლევადიან ფულად სახსრებზე მოთხოვნილების წარმოშობის შემთხვევაში. ოვერდრაფტის გაცემის აუცილებელი პირობაა მსესხებლის ყოფნა ბანკ-კრედიტორის საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურებაზე. ოვერდრაფტის ფორმით დაკრედიტების შესაძლებლობა საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებაში უნდა იყოს დაფიქსირებული.

ოვერდრაფტი დაკრედიტების ყველაზე მოქნილი მექანიზმია და არაუზრუნველყოფილი კრედიტის პრაქტიკულად ერთადერთი სახეობაა, რადგანაც მისი დაფარვა ხდება ავტომატურად კლიენტ-მსესხებლის ანგარიშზე შემოსული სახსრების ხარჯზე.

საგარანტიო კრედიტი ეს არის კრედიტი, რომელიც გაიცემა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ თავდებობის ან გარანტიის გაცემის გზით. ამ დროს საკრედიტო ორგანიზაცია წარადგენს არა ლიკვიდურ სახსრებს, არამედ საკუთარ კრედიტუნარიანობას. საბანკო თავდებობა არის ბანკის კლიენტის ვალდებულებების უზრუნველყოფა მისი კრედიტორის წინაშე. საბანკო თავდებობა დამოკიდებულია იმ მოთხოვნების სიდიდესა და ვადებზე, რომლითაც ის გაიცემა, მაშინ როდესაც საბანკო გარანტია არის აბსტრაქტული, ანუ არ არის დამოკიდებული უშუალოდ მოთხოვნის წარმოქმნაზე ან არსებობაზე

საკრედიტო ორგანიზაციისათვის საბანკო თავდებობები და გარანტიები არის მხოლოდ საეარაუდო ვალდებულებები, ნამდვილი ვალდებულებები კი მისთვის შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუ მევალე არ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

საგარანტიო კრედიტის გამოყოფისათვის კლიენტი უხდის ბანკს საკომისიო გასამრჯელოს.

ჩარჩო საკრედიტო ხაზს ბანკი მსესხებელს უხსნის იმ შემთხვევაში, როცა საინვესტიციო პროექტის რეალიზაცია ითვალისწინებს ხარჯების განხორციელების რამდენიმე ეტაპს ან მოწყობილობის მრავალჯერად მიწოდებას. კონტრაქტების ჩარჩოებში ცალკეული მიწოდების საფასურის გადახდისათვის, აგრეთვე, პროექტის სხვადასხვა ეტაპების დაფინანსებისათვის, იდება ცალკე საკრედიტო ხელშეკრულება არაგანახლებადი საკრედიტო ხაზის შესახებ, ჩარჩო

საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში.

საინვესტიციო პროექტის პარამეტრების მიხედვით ხელშეკრულებებში მიუთითებენ ძირითადი ვალის დაფარვის გრაფიკს, სახსრების არსებობის პერიოდს (ამ დროის განმავლობაში მსესხებელს შეუძლია ისარგებლოს საკრედიტო ხაზის ღია ლიმიტით), მსესხებლის მიერ რესურსების რესურსირებისათვის გადასახდელ თანხას სახსრების არსებობის გრაფიკის დაუცველობის შემთხვევაში.

სინდიცირებული კრედიტი - ეს არის კრედიტი, რომელიც მიეცემა ორი ან მეტი კრედიტორის (ბანკების) მიერ ერთ ან რამდენიმე მსესხებელს. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც კრედიტის მოცულობა ან საკრედიტო რისკი ძალიან მაღალია ერთი ბანკისთვის.

სინდიცირების დროს ერთ-ერთი მონაწილე ბანკი გამოდის ბანკხელმძღვანელის როლში. საწყის ეტაპზე სწორედ ეს ბანკი ასრულებს მაკოორდინირებელ და მმართველ ფუნქციებს და ახორციელებს ყველა შესაბამის მოქმედებას: აწარმოებს მოლაპარაკებებს კლიენტებთან, შეისწავლის მოთხოვნას, აანალიზებს რისკს და მობილიზაციას უკეთებს საჭირო სახსრებს. როგორც წესი, ასეთი ბანკის როლში საერთოდ გამოდის გამოცდილი, მყარი, მსხვილი ბანკი, რომელსაც საბანკო სისტემაში მაღალი რეიტინგი გააჩნია.

სინდიცირებული კრედიტის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით:

- სინდიცირებული ხელშეკრულება;
- საკრედიტო ხელშეკრულება;
- საგირაონო ხელშეკრულება;
- თავდებობის ხელშეკრულება.

სინდიცირებული ხელშეკრულება იდება მონაწილე ბანკებს შორის. მასში ფიქსირდება ბანკების გაერთიანების მიზნები, მონაწილეების შემადგენლობა და მათი მონაწილეობის მასშტაბი, ხელმძღვანელობის წესი, მონაწილეების უფლებები და ვალდებულებები, გარიგების დასრულების პირობა და სხვა.

საკრედიტო ხელშეკრულება განსაზღვრავს მსესხებელსა და ბანკებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. სინდიცირებული კრედიტი არ არის კრედიტის განსაკუთრებული სახეობა. პირობები (ვადა, თანხა, საპროცენტო განაკვეთი, სახსრების გადაცემის წესი, კრედიტზე დავალიანების დაფარვის წესი), რომლებითაც სინდიცირებული კრედიტი არის გაცემული, განისაზღვრება საერთო მოთხოვნე-

ბიდან გამომდინარე (მსესხებელის საიმედოობა, დასაფინანსებელი პროექტის მისანშეწონილობა და პერსპექტიულობა). საკრედიტო ხელშეკრულებაში აგრეთვე მიუთითებენ კრედიტის მისანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სხვა.

კრედიტის უსრულესაყოფად მსესხებელმა გირაო ან მესამე პირთა თაოდებობა შეიძლება წარმოადგინოს.

კრედიტის დაფარვის ვადის დადგომისას მსესხებელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში უბრუნებს კრედიტორებს მიღებულ სახსრებს, პროცენტებს კრედიტით სარგებლობისათვის და, აგრეთვე, უნაზღაურებს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც წარმოქმნილია საკრედიტო ოპერაციის ორგანიზაცია-განხორციელების პროცესში.

მონაწილე ბანკები იღებენ თანხებს კრედიტის, პროცენტების და საკომისიო გასამრჯელოს დასაფარავად ოპერაციაში მათი მონაწილეობის პროპორციულად. სინდიცირების ხელმძღვანელი ბანკი დამატებით იღებს სპეციალურ გასამრჯელოს ოპერაციის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისათვის.

სამომხმარებლო კრედიტი - ეს არის კრედიტი, რომელიც გაიცემა მოსახლეობაზე სხვადასხვა საქონლის, მომსახურების, უძრავი ქონების ობიექტების შესაძენად.

კომერციული ბანკები სამომხმარებლო დაკრედიტებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. როგორც წესი, ისინი სხვადასხვა მეწარმისაგან საკრედიტო კონტრაქტების ყიდვით ირიბ დაკრედიტებას ახორციელებენ. ამ ტიპის დაკრედიტების განვითარებას ხელს უწყობს გრძელვადიანი მოხმარების საქონლის გაყიდვების მეთოდები და მასზე მოთხოვნის ხასიათი. ამ შემთხვევაში, მყიდველების დიდი ნაწილი ჯერ იძენს საქონელს და შემდეგ საფინანსო ვალდებულებებს აფორმებს. ყოველივე ეს მოვაჭრეებისთვისაც ხელსაყრელია. ისინი, ბრუნვის გაზრდის მიზნით, კლიენტს სთავაზობენ საქონელს კრედიტში. ხოლო დებიტორული დავალიანების დასაფარად შეხლუდული ფინანსური რესურსების შემთხვევაში სესხებისათვის მიმართავენ კომერციულ ბანკებს.

ირიბი დაკრედიტება იძლევა კრედიტების მოცულობის გაზრდის საშუალებას იმ საოპერაციო ხარჯების საგრძნობი ზრდის გარეშე, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირ დაკრედიტების დროს საკრედიტო პროცესში ბანკის კვალიფიციური მუშაკების ჩართვის აუცილებლობის გამო. გარდა ამისა, ზოგიერთი მოვაჭრისაგან შესყიდული ვალდებულებები შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მეტად უსრუნ-

ველოფილი. ვიღრე პირდაპირი სესხები, რადგანაც მოვაჭრე ჩვეულებრივ ახდენს ვალდებულებების ინდოსირებას. თუმცა არსებობს გარკვეული დამატებითი რისკები, რადგანაც ბანკი არ ატარებს კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასებას.

სამომხმარებლო დაკრედიტების საშუალებით სრულდება სოციალური პროგრამებიც (ახალგაზრდა ოჯახების დაკრედიტება, საგანმანათლებლო კრედიტი და ა.შ.).

სამომხმარებლო კრედიტი ასტიმულირებს მოსახლეობის მონაწილეობას საცხოვრებელი ფონდის შექმნაში, საკუთარი საცხოვრებლის, საოჯახო ნივთებისა და ბევრი სხვა საქონლის შეძენაში. ის საშუალებას იძლევა ხალი შეუწყოს მცირეშემოსავლიან ოჯახებს ძვირადღირებული საქონლის შეძენაში და სხვა. ამასთანავე, სამომხმარებლო კრედიტი სჭირდება, როგორც წესი, მაღალშემოსავლიან მოსახლეობასაც, რომელიც ახორციელებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ან მონაწილეობს კოოპერატიულ საბინაო მშენებლობაში.

სამომხმარებლო კრედიტები კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნებით:

- ვადების მიხედვით;
- მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;
- დავალიანების დაფარვის ხერხების მიხედვით.

ვადების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტები იყოფა:

- მოკლევადიანებად (სამ წლამდე ვადით);
- საშუალოვადიანებად (სამიდან ხუთ წლამდე ვადით);
- გრძელვადიანებად (ხუთ წელზე მეტი ვადით).

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შემდეგ სამომხმარებლო კრედიტებს:

- საოჯახო საქონლის, ტექნიკის, სხვა საჭირო საქონლის შესაძენად;
- უძრავი ქონების ობიექტების საყიდლად, ასაშენებლად ან რეკონსტრუქციისათვის;
- საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

დავალიანების დაფარვის ხერხის მიხედვით სამომხმარებლო კრედიტი შეიძლება დაბრუნებულ იქნეს:

- გარკვეული პერიოდის შემდეგ ერთდროული დაფარვით;
- კრედიტის მთელი დროის განმავლობაში თანაბარ წილებად დაფარვით.

სამომხმარებლო კრედიტის გაცემის პროცესში მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შე-

ფასება. პრაქტიკაში დამუშავებულია და გამოიყენება მსესხებლის ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა სისტემა, რომელიც იძლევა საკრედიტო თანხის დაბრუნების ალბათობის მაღალი დონით შეფასების საშუალებას. კერძო პირის კრედიტუნარიანობის შესწავლის ეს სისტემები პრინციპულად არ განსხვავდება და მიმართულია შემდეგი ინფორმაციის მიღებაზე:

- პროფესია და შემოსაველები;
- მუშაობის სტაჟი, მათ შორის – უწყვეტი;
- მოცემულ ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა;
- ოჯახური მდგომარეობა;
- ქონებრივი მდგომარეობა (საბანკო ანგარიშები, ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალებები, საკრედიტო ბარათები);
- მესამე პირთა მიმართ ვალდებულებების არსებობა;
- საკრედიტო ისტორიის ხარისხი.

ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს კლიენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები სამუშაო ადგილიდან ან საგადასახადო ორგანოებიდან შემოსაველების შესახებ, მისი განცხადება, აგრეთვე, ბანკში არსებული მონაცემები მის მიერ მიღებულ კრედიტებზე.

სამომხმარებლო კრედიტის გაცემის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი არის სესხის უსრუნველყოფის საკითხი. ამ შემთხვევაში, უსრუნველყოფის სახით მიიღება ფიზიკური ან იურიდიული პირების თავდებობა, ლიკვიდური ქონების გირავნობა. უსრუნველყოფის ფორმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

საკრედიტო მუშაკის მიერ მოცემული დოკუმენტების გულმოდგინედ შესწავლის და მსესხებლის დაკრედიტების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მსესხებელსა და ბანკს შორის იდება საკრედიტო ხელშეკრულება. მასში მითითებულია: ხელშეკრულების მხარეები, დაკრედიტების მიზანი, კრედიტის თანხა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, კრედიტის გამოყოფის პირობები, კრედიტზე პროცენტების და დაჯარიმების დაფარვის წესი, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, მისი შეცვლის პირობები და საფუძველი, მსესხებლის ვალდებულებები კრედიტის დაბრუნების უსრუნველსაყოფად, სანქციები მხარეების მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის წესი.

ბანკს უფლება აქვს კრედიტის არამიზნობრივი გამოყენებისათვის ან არაღრმოულიდ დაფარვისათვის მსესხებელს გადაახდევინოს ჯარიმა დადგენილი ტარიფების მიხედვით. მსესხებლის მიერ მორიგი გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პროცენტების ჩათვლით, ბანკი უფლებამოსილია სასამართლოს წესით გადაახდევინოს მას და მის თაოდებებს მთლიანი დავალიანება სესხზე, მათ შორის, მათი ქონების გაყიდვით.

გასაცემი კრედიტის მაქსიმალური თანხა უშუალოდ დამოკიდებულია მსესხებლის შემოსავალზე, აგრეთვე, მოცემული სახის კრედიტის ვადასა და საპროცენტო განაკვეთზე. კრედიტის მაქსიმალური თანხის გაანგარიშების დროს ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ კლიენტის შემოსავლები საშუალებას უნდა იძლეოდეს, ძირითადი ვალი და პროცენტები დაიფაროს საკრედიტო ხელშეკრულებაში დადგენილი მთელი ვადის განმავლობაში.

მსესხებლისადმი დიფერენცირებული მიდგომის მაგალითი შეიძლება იყოს კორპორაციული კრედიტი, როდესაც იმ ფირმების თანამშრომლებს, რომლებიც არიან ამ ბანკის კლიენტები, გამოეყოფათ კრედიტები შეღავათიანი პირობებით. ეს შეღავათები შეიძლება ეხებოდეს გადახდისუნარიანობის შეფასებას, დავალიანების დაფარვის წესს და ა.შ.

საკრედიტო ბარათების დანერგვის შემდეგ გაჩნდა კრედიტის გამოყოფის შედარებით ახალი ხერხი საბანკო ბარათის ანგარიშზე ოვერდრაფტის ფორმით. საბანკო ბარათის მფლობელისთვის ოვერდრაფტის ოდენობა განისაზღვრება მისი გადახდისუნარიანობისა და საკრედიტო ისტორიის გათვალისწინებით. საბანკო ბარათების გამოყენების უდავო მოხერხებულობამ კრედიტის გამოყოფის ეს ხერხი მიმზიდველი გახადა მათი მფლობელებისათვის, რადგანაც ეს ხერხი ბევრად უფრო მოქნილია ჩვეულებრივი საბანკო სესხის გაცემასთან შედარებით.

ბანკთაშორისი დაკრედიტება - ეს არის ბანკების მიერ სახელშეკრულებო საწყისებზე თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა და განთავსება ანაბრების (დეპოზიტების) ან კრედიტების სახით.

ბანკთაშორის დაკრედიტების სისტემას აქვს ორი დონე: პირველი ასახავს სახსრების მოძრაობას ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, მეორე - სხვადასხვა კომერციულ ბანკს შორის.

თანამედროვე პირობებში ფულადი სახსრების ოპერატიულად მოზიდვისათვის კომერციული ბანკები იყენებენ სხვა საკრედიტო ორ-

განი'საციების მიერ მობილი'სებულ ფულად სახსრებს, რომლებიც თავს იყრის ბანკთაშორის ბაზარ'ზე.

ბანკთაშორისი კრედიტის მოზიდვა ხორციელდება ბანკების მიერ დამოუკიდებლად პირდაპირი მოლაპარაკების გ'ზით, ან ფინანსური შუამავლების მეშვეობით. ბანკთაშორისი კრედიტის თაობაზე ბანკებს შორის უშუალოდ მოლაპარაკების დროს, მათი ურთიერთობები ფორმდება სპეციალური ხელშეკრულებებით, რომლებიც იღება განსაღერული ვადით. კომერციული ბანკების მიერ რესურსების მოზიდვა ხორციელდება აგრეთვე ცენტრალური ბანკიდან კრედიტის სახით საკონკურსო საფუძველ'ზე. ცენტრალური ბანკის კრედიტები გამოეყოფათ კომერციულ ბანკებს დაფინანსებისათვის საკონკურსო საფუძველ'ზე.

საორგანიზაციო ნი'შნის მიხედვით ბანკთაშორისი კრედიტები კლასიფიცირდება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით.

ვადის მიხედვით ბანკთაშორისი კრედიტები მოზიდება და განთავსდება შემდეგი ვადებით: 1 დღით, 2-7 დღით, 8-30 დღით, 31-90 დღით, 91-180 დღით, 181 დღე - 1 წლით, 1-3 წლით, 3 წელ'ზე მეტი ხნით.

კრედიტის ფასიანობის კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ საბაზრო, საბა'სრო'ზე მაღალი და შეღავათიანი საპროცენტო განაკეთების სესხები. საბაზრო საპროცენტო განაკეთი ეს არის განაკეთი, რომელიც სესხის გამოყოფის მომენტ'ში ყალიბდება ბაზარ'ზე მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობიდან გამომდინარე. საბაზრო'ზე მაღალი საპროცენტო განაკეთით ბანკთაშორისი სესხი გაიცემა ისეთ კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობაც მოცემულ მომენტში დიდ რისკთან არის დაკავშირებული. შეღავათიანი საპროცენტო განაკეთი არის საბა'სრო განაკეთ'ზე დაბალი და ძალიან ი'შვიათად გამოიყენება.

კრედიტის უზრუნველყოფის მიხედვით გამოიყოფა უზრუნველყოფილი, ნაწილობრივ უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი ბანკთაშორისი კრედიტები. ბანკთაშორისი კრედიტის დროს, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფის სახით გამოიყენება მსესხებლის მთელი ქონება, თუმცა ბანკთაშორისი კრედიტები როგორც წესი არაუზრუნველყოფილია.

ბანკთაშორისი კრედიტები კლასიფიცირდება, აგრეთვე, გარიგების ვალუტის (ეროვნული ვალუტა, უცხოური ვალუტა) მიხედვით, სასესხო დავალიანების ლიმიტის არსებობის ან არარსებობის მიხედვით, კრედიტის ოდენობის მიხედვით.

ბანკთაშორისი კრედიტები შეიძლება კლასიფიცირდეს იმ რისკების

მიხედვით, რომლებსაც თავისთავზე იღებს კრედიტორი. ყოველ კონკრეტულ გარიგებაზე ბანკი-კრედიტორის მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება საკრედიტო რისკი და ეს უკანასკნელი მოქმედებს გამოყოფილი კრედიტის თანხაზე, ვადასა და საპროცენტო განაკვეთზე.

ფართოდ გავრცელებულია ბანკთაშორისი კრედიტების ისეთი სახეობები, როგორებიცაა საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების დაჭარბება და ოვერდრაფტი. სახსრების დაჭარბება გულისხმობს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშის გამოყენებას სახსრების დასაბლოკად გარკვეული დროით. საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნაზე ხელშეკრულების დადებისას ხშირად ითვალისწინებენ საკორესპონდენტო ანგარიშზე ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას ოვერდრაფტის რეჟიმში. ოვერდრაფტის თანხა დამოკიდებულია საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხების ბრუნვის მოცულობაზე და სხვა.

ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს კრედიტის გარკვეულ სახეობებს გამოუყოფს.

სალომბარდო კრედიტი, ფართო გაგებით, არის სესხი ცენტრალურ ბანკში დეპონირებული ფასიანი ქაღალდების გირაოთი. სხვაგვარად ეს არის მოკლევადიანი კრედიტი, გამოყოფილი ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო ორგანიზაციებისათვის ფასიანი ქაღალდების გირაოთი ლიკვიდურ სახსრებზე ბანკების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საბანკო სისტემის ლიკვიდურობის დაცვისა და რეგულირების მიზნით.

ყოველი გარიგება ბანკთაშორისი კრედიტის მისაღებად საკრედიტო ხელშეკრულებით ფორმდება. ხელშეკრულება გარიგების დადების შესახებ უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პოზიციებს: კრედიტის ვალუტას, კრედიტის თანხას, საპროცენტო განაკვეთს, კრედიტის გაცემის და დაბრუნების თარიღს, კრედიტის მიხედვით პროცენტების გადახდის თარიღს კრედიტის გამოყოფის ვადის დღეებში, გადასახდელი პროცენტების თანხას, გარიგების ჩატარების განსაკუთრებულ პირობებს, კრედიტის უზრუნველყოფას, მხარეების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესრულების დროს, მხარეების რეკვიზიტებს.

იპოთეკური კრედიტი ეს არის სესხი, რომელიც გაიცემა იმ უძრავი ქონების გირაოთი, რომელიც რჩება მსესხებლის განკარგულებაში. იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელი არ ფარავს კრედიტს, უძრავი ქონება იყიდება და კრედიტორისადმი დაკალიანება იფარება რეალიზაციიდან მიღებული სახსრებიდან.

იპოთეკური კრედიტის ძირითადი მახასიათებლებია:

- *მოქმედების ვადა* - ეს არის გრძელვადიანი კრედიტი (ვადა არანაკლებ 4 წლისა; ჩვეულებრივ, 15 წელზე მეტი) უძრავი ქონების დასაფინანსებლად;
- *დაფინანსების მიზანი* უძრავი ქონების შექმნა, გაფართოება-რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია;
- *უზრუნველყოფა* - დასაფინანსებელი ობიექტის გირავნობა.

იპოთეკური დაკრედიტება არის საბანკო საქმიანობის პერსპექტიული მიმართულება, ხოლო გრძელვადიანი იპოთეკური საბინაო დაკრედიტების მთავარი მიზანია ეფექტურად მომუშავე სისტემის შექმნა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი ღირებულების საცხოვრებელით უზრუნველსაყოფად.

მსესხებელი ფიზიკური პირია, რომელსაც გამოუყოფა იპოთეკური კრედიტი.

კრედიტორი ბანკი კომერციული ბანკი, რომელიც გამოუყოფს უძრავი ქონების მყიდველს იპოთეკურ კრედიტს.

იპოთეკური კრედიტის მნიშვნელოვანი მომენტია მისი უზრუნველყოფისათვის შეთავაზებული უძრავი ქონების შეფასება. არასწორმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ზარალი, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას საკრედიტო გარიგების არასასურველი მსვლელობისას, როდესაც კრედიტორი იძულებული იქნება გაყიდოს უძრავი ქონება და რეალიზაციით შემოსული სახსრებიდან დაფაროს დავალიანება კრედიტზე. უძრავი ქონების შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება მოწმობს, რომ ყველაზე ახლოს ობიექტურ შეფასებასთან არის ობიექტის ფასი, რომელიც განისაზღვრება საბაზრო შეფასების საფუძველზე.

7.3. საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობები, საკრედიტო ხელშეკრულება

მსოფლიო საბანკო პრაქტიკამ, რომელიც დამყარებულია მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებაზე საკრედიტო ბაზრის ცვალებადი კონიუნქტურისა და საკრედიტო ორგანიზაციათა კონკურენტული მეტოქეობის პირობებში, გამოიმუშავა გარკვეული წესები. ისინი მიმართულია ოპტიმალური საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისაკენ და იძლევა სასესხო ოპერაციებზე რისკის მნიშვნელოვანწილად შემცირების საშუალებას.


ნებისმიერ ბანკში დაკრედიტების პროცესი იყოფა რამდენიმე ეტაპად, რომელთაგანაც თითოეულს შეაქვს თავისი წვლილი კრედიტის ხარისხობრივ მახასიათებლებში და განსაზღვრავს ბანკისათვის მისი საიმედოობისა და მომგებიანობის ხარისხს.

დაკრედიტების პროცესის ეტაპებია:

1) კრედიტზე განაცხადის განხილვა და მოლაპარაკების ჩატარება პოტენციურ მსესხებელთან;
2) პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და იმ რისკის შეფასება, რაც დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან;
3) საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება და კრედიტის გაცემა;
4) საკრედიტო მონიტორინგი;
5) კრედიტის დაფარვა.

საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის სქემა მოყვანილია ნახ. 72-ზე.

ნახ. 72 საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის სქემა.



1 - კლიენტი ბანკში წარადგენს განაცხადს კრედიტზე და დოკუმენტთა პაკეტს; 2 - საკრედიტო განყოფილება კლიენტს უწევს კონსულტაციას; 3 - საკრედიტო განყოფილება ანალიზებს კლიენტის ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობას, ჩართავს უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ განყოფილებას, შეადგენს დასკვნას სტანდარტული პირობებით კრედიტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ ან დოკუმენტებს გადასცემს საკრედიტო კომიტეტს; 4 - საკრედიტო კომიტეტი განიხილავს კლიენტის დაკრედიტების საკითხს ლიმიტს ზეპირი (ვადების ან თანხის მიხედვით), ბანკის მმართველობა იღებს გადაწყვეტილებას არასტანდარტული პირობებით კრედიტებზე; 5ა დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე საოპერაციო განყოფილებას ეძლევა განკარგულება კრედიტის გაცემაზე; 5ბ სესხზე უარის შემთხვევაში დოკუმენტები უბრუნდება კლიენტს, ატყობინებს უარის მიზეზს; 6 - თანხა ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშზე; 7 -

საკრედიტო მონიტორინგი: & კრედიტის დაფარვა: §8 - კრედიტის არადროული დაფარვისას ბანკის პრეტენზიის დაკმაყოფილება განკარგულება შესაბამისი თანხების გამოტანაზე ვალდებულების აღრიცხვისა და ვალდებულების დაფარვიანებების ანგარიშებზე. აგრეთვე. საკრედიტო რისკის ჯგუფის შეცვლა§ 9 - განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ დოკუმენტები დროულად არდაფარულ კრედიტებზე გადაცემა იურიდიულ განყოფილების ვალის იძულებითი წესით გადახდევინებისათვის.

დაკრედიტების პირველ ეტაპზე კლიენტის განაცხადის საფუძველზე შეისწავლება მისი საქმიანობის სფერო, ამ სფეროს მდგომარეობა მიმდინარე მომენტისათვის და პერსპექტივაში ძირითადი მიმწოდებლები, მყიდველები, მსესხებელი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი; ამ ეტაპზე განისაზღვრება კრედიტის მიზანი და მისი შესაბამისობა ბანკის მიმდინარე საკრედიტო პოლიტიკისადმი, კრედიტის სახე, ვადა, ძირითადი ვალის დაბრუნებისა და პროცენტების გადახდის წყაროები.

დაკრედიტების პირველ ეტაპზე განაცხადი შედის საკრედიტო მუშაკთან, რომელიც მისი განხილვის შემდეგ ატარებს წინასწარ საუბარს მომავალ მსესხებელთან ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელთან ან მის წარმომადგენელთან. ამ საუბარს აქვს დიდი მნიშვნელობა სესხის საკითხის გადაწრისათვის. იგი საკრედიტო ინსპექტორს აძლევს საშუალებას, არა მხოლოდ გაარკვიოს საკრედიტო განაცხადის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი, არამედ შეადგინოს მსესხებლის ფსიქოლოგიური პორტრეტი, გაარკვიოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობის პროფესიული მომზადება, მათი შეფასებების რეალურობა ორგანიზაციის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

კრედიტზე განაცხადის მიღებისას ბანკმა არა მხოლოდ უნდა შეისწავლოს საკრედიტო გარიგების სხვადასხვა ასპექტი, არამედ შეფასება მისცეს მსესხებლის - ფირმის ხელმძღვანელის პერსონალურ თვისებებს. კლიენტის პიროვნების შეფასებისას ბანკი აქცენტს აკეთებს შემდეგ მომენტებზე: წესიერება და პატიოსნება, პროფესიული უნარ-ჩვევები, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, მემკვიდრის არსებობა (ავადმყოფობისა და გარდაცვალების შემთხვევაში), მატერიალური უზრუნველყოფა. ბანკმა არ უნდა მისცეს კრედიტი ორგანიზაციას, რომლის ხელმძღვანელობაც ნდობას არ იმსახურებს. თუ კლიენტს ადრე აულია სესხი ამ ბანკში ან აქვს სადეპოზიტო ანგარიში, ეს მნიშვნელოვნად ზრდის მის შანსებს, კრედიტის მიღებაზე. ორგანიზაციის

ხელმძღვანელი იდეალში უნდა იყოს საშუალო ასაკის, ჰქონდეს კარგი პროფესიული მომზადება და საკმარისი გამოცდილება კომერციული საქმიანობის მის მიერ წარმოდგენილ სფეროში. ბანკი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იკვლევდეს იმას, აქვს თუ არა ფირმას ვალდებულებები სხვა საკრედიტო ორგანიზაციების წინაშე. მაგალითად, თუ ფირმის განკარგულებაში არსებული შენობები უკვე დაგირავებულია, ეს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ფირმის გადახდისუნარიანობას.

ძალიან მნიშვნელოვანია მსესხებლის რეპუტაციისა და საკრედიტო ისტორიის შესწავლა. კლიენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის, გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის კოეფიციენტების გამოყენების საფუძველზე ხორციელდება კლიენტის მიერ კრედიტის დროულად დაბრუნების უნარის შეფასება. ხდება კრედიტის დაფარვის მეორადი წყაროების (უსრუნველყოფის) ანალიზი და შეფასება და სხვა.

მეორე ეტაპზე საკრედიტო ინსპექტორმა უნდა ჩაატაროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ღრმა, საგულდაგულო გამოკვლევა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მისი კრედიტუნარიანობის შეფასების კუთხით. ამ მუშაობის ჩასატარებლად და კრედიტის გაცემის შესაძლებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოეთხოვება გარკვეული დოკუმენტები (ცხრ. 7.2).

ცხრილი 7.2

დაკრედიტებისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი

დოკუმენტის სახე	დოკუმენტის დასახელება	
	იურიდიულ პირთათვის	ფიზიკურ პირთათვის
უფლებადამდგენი დოკუმენტები	• სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლები. • დოკუმენტი სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული). • ბარათი ხელმოწერებისა და ბეჭდის ნიმუშებით (ნოტარიულად დამოწმებული). • იურიდიული პირის სახელით ხელშეკრულების დამდები პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. • აქციონერთა რეესტრი (სააქციო საზოგადოებებისათვის).	• პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

ფინანსური დოკუმენტები	• წლიური ანგარიშგება (ყოველი კვარტალური თარიღისათვის). • აუდიტორული დასკვნა. • ცნობები სხვა ბანკებში მიღებული კრედიტების შესახებ. • დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გაშიფრება. • ცნობები საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არსებობის (არარსებობის) და კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშების შესახებ. • ინფორმაცია სხვა ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშების მდგომარეობის შესახებ. • სხვა აუცილებელი დოკუმენტები.	• ცნობა შემოსავლების შესახებ
დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებს დასაკრედიტებელ ღონისძიებას	• ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (ბიზნეს-გეგმა). • დასაკრედიტებელ ღონისძიებასთან დაკავშირებული გარიგებების ჩატარების ნებართვა. • იმ კონტრაქტების ასლები, რომლებისთვისაც მოითხოვნილია კრედიტი.	• ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ან სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევის ხელშეკრულება.
მსესხებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები კრედიტის დაბრუნების უსრუნველყოფის ხერხის შესარჩევად	• გირაოს შესაძლო საგნების აღწერა (ძირითადი სახსრების გაშიფრა). • გირაოს საგნებზე საკუთრების უფლების, მათი რეალური საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები. • საგირავნო ქონების დაზღვევის ხელშეკრულება. • თაოდების ან გარანტის უფლებაუნარიანობის დამადასტურებელი და ფინანსური მდგომარეობის დამახასიათებელი დოკუმენტები.	• დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს გირავნობის საგნებზე საკუთრების უფლებას, მათ რეალურ საბაზრო ღირებულებას. • საგირავნო ქონების დაზღვევის ხელშეკრულება. • თაოდების ან გარანტის უფლებაუნარიანობის დამადასტურებელი და ფინანსური მდგომარეობის დამახასიათებელი დოკუმენტები.

მეორე ეტაპი არის დაკრედიტების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით შეფასდეს მსესხებლის უნარი, დროულად და სრული მოცულობით დაფაროს სასესხო დავალიანება. ამ ეტაპზე შეფასდება იმ რისკის ხარისხი, რომელსაც შეიძლება ბანკმა აიღოს თავის თავზე კრედიტის გაცემის დროს. ამავე ეტაპზე მუშაობაში ერთვებიან ბანკის ისეთი სამსახურები, როგორებიცაა: უშიშროების სამსახური, იურიდიული განყოფილება, ეკონომიკური განყოფილება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების განყოფილება, სავალუტო განყოფილება და სხვა.

იურიდიული განყოფილება ატარებს კლიენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას, ახორციელებს გირაოსობის საგანზე საკუთრების უფლების შემოწმებას, მსესხებლის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შემოწმებას. ამავე დროს, განიხილავს საგარანტიო წერილის, თავდებობის ხელშეკრულებისა და დასტურის ხელშეკრულების პირობებს.

უშიშროების სამსახური ამოწმებს მსესხებლის - ფიზიკური პირის პირადობას, იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის არსებობას. იძლევა დასკვნას მსესხებლის საიმედოობის შესახებ.

კრედიტორთა და მსესხებელთა დაცულობის გაზრდისა და საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით შექმნილია საკრედიტო ისტორიათა ბიურო, რომლის ფუნქციაა იმ ინფორმაციის ფორმირება, დამუშავება, შენახვა და გახსნა, რაც ახასიათებს მსესხებელთა მიერ კრედიტის ხელშეკრულებებზე თავიანთი ვალდებულებების შესრულების დროულობას.

ბანკის მიერ ჩატარებული მთელი მუშაობის შედეგს საკრედიტო პროცესის პირველ და მეორე ეტაპზე წარმოადგენს ბანკის საკრედიტო განყოფილების სპეციალისტის დასკვნა კრედიტის გაცემის თაობაზე. იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უშუალოდ მსესხებლის სრულ დახასიათებას;
- მისი ბიზნესისა და ფინანსური მდგომარეობის, შემოსავალ-გასავლების გეგმისა და საგადახდო კალენდრის შეფასებას დაკრედიტების პერიოდისათვის;
- დაკრედიტების ობიექტის, კრედიტის უზრუნველყოფის ხერხებისა და მისი დაფარვის ძირითადი წყაროების დახასიათებას;
- ძირითადი ვალისა და პროცენტების დაბრუნების ვადების რეალურობის შეფასებას, აგრეთვე, მოცემულ კრედიტზე ბანკის საკრედიტო რისკის შეფასებას.

საბოლოო გადაწყვეტილება კრედიტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილების შესაბამისად გამოაქვს საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელს, ბანკის საკრედიტო კომიტეტს.

ბანკის მიერ კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შემუშავდება საკრედიტო ხელშეკრულების პირობები. ამით განისაზღვრება ბანკის პოზიცია ძირითადი პარამეტრების მიმართ: კრედიტის ფორმა, თანხა, დაფარვის ვადები და წესი, საპროცენტო განაკვეთი, უზრუნველყოფა და სხვა.

კრედიტის ფორმა აირჩევა მსესხებლის კატეგორიისა და დაკრედიტების ობიექტის თავისებურებების მიხედვით. მაგალითად, გრძელვადიანი პროექტის დაკრედიტების და მსესხებლისადმი ნდობითი დამოკიდებულების შემთხვევაში ბანკს შეუძლია გახსნას საკრედიტო ხაზი.

კრედიტის თანხა, ჩვეულებრივ, ინდივიდუალურია, ვინაიდან განისაზღვრება კრედიტორისა და მსესხებლის ფინანსური მოთხოვნილებებით, შესაძლებლობებით და ძალიან მნიშვნელოვანია მისი სწორად შეფასება. კრედიტის თანხის არასწორად განსაზღვრამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები დაკრედიტების პროცესში. ასე მაგალითად, თუ კრედიტის თანხა გაზრდილია გადახდისუნარიანობასთან შედარებით, მომავალში მსესხებელს შეიძლება წარმოექმნას პრობლემები დავალიანების დაფარვის კუთხით. კრედიტის თანხის შემცირებამ კი შეიძლება გამოიწვიოს პროექტის რეალიზებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამიტომ ბანკმა კლიენტის გაანგარიშებების მიღების შემდეგ თავად უნდა განსაზღვროს კრედიტის აუცილებელი თანხის ოდენობა და შეიტანოს საჭირო დაზუსტებები.

ბანკმა უნდა განსაზღვროს კრედიტის დაფარვის საბოლოო ვადა და გაითვალისწინოს სახსრების დაბრუნების ვადების გახანგრძლივების (პროლონგაციის) პირობები მათი არადროული შემოსვლის შემთხვევაში. რაც უფრო ხანგრძლივია სესხის ვადა, მით უფრო მაღალია რისკი და ალბათობა იმისა, რომ თავს იჩენს გაუთვალისწინებელი სიძნელეები და კლიენტი ვერ მოახერხებს ვალის დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთი კრედიტზე განისაზღვრება ორივე მხარის მიერ შეთანხმების მიხედვით და დამოკიდებულია საკრედიტო

რესურსების ღირებულებაზე, სესხის ხასიათსა და მასთან დაკავშირებული რისკის ხარისხზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხერხდება კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასება საკმაო სისუსტით, საბანკო დაკრედიტების განაკვეთები მჭიდროდ არის დაკავშირებული სესხზე უზრუნველყოფის არსებობასთან და საიმედოობასთან.

კრედიტის დაფარვის წესი განისაზღვრება ბანკის მიერ კლიენტთა შეთანხმებით, მოგების ოდენობისა და მიღების რეგულარულობის მიხედვით. ბანკის მიერ სესხის დაფარვის გრაფიკის სწორი განსაზღვრა ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საკრედიტო გარიგების მსვლელობაზე. თუ ბანკი დააწესებს სესხის დაფარვის მეტად შემჭიდროვებულ ვადებს, მსესხებელი შეიძლება დარჩეს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის გარეშე, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება მსესხებლის შემოსავლებზე.

სესხის უზრუნველყოფის არჩევისას ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი მოსაზრებებით: უზრუნველყოფის საკითხი უნდა გადაწყდეს მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილება საკრედიტო გარიგების შესახებ. უზრუნველყოფა ბანკმა შეიძლება მიიღოს საბალანსო ღირებულების მიხედვით ან იმ საექსპორტო კომპანიის შეფასების საფუძველზე, რომელსაც აქვს ლიცენზია შეფასებითი საქმიანობის განხორციელებაზე. გირაოდ გადაცემული ქონების შეფასებითი ღირებულება კორექტირდება შესწორებითი კოეფიციენტების გამოყენებით. იგი უნდა სრულად ფარავდეს კრედიტის თანხასა და იმ პროცენტებს, რაც ერიცხება ამ კრედიტით სარგებლობისათვის მსესხებელს ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში. მაგალითად, თუ მოთხოვნილია 100 მლნ ლარის ოდენობის კრედიტი 2 წლის ვადით წლიურ 20%-ად და გირაოს წარმოადგენს უძრავი ქონება, მაშინ მისი შეფასებითი ღირებულება 0,7-ის ტოლია და შესწორებითი კოეფიციენტის გათვალისწინებით შეადგენს (100+40) მლნ ლარი 0,7 = 200 მლნ ლარს.

კრედიტის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკი კლიენტს უბრუნებს მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს და ატყობინებს მას უარის მიზეზს.

მესამე ეტაპზე ბანკის საკრედიტო განყოფილება აფორმებს საკრედიტო ხელშეკრულებასა და უზრუნველყოფის ხელშეკრულებას. იმავდროულად, ბანკის იურიდიული განყოფილება ატარებს ხელშეკრულებების სამართლებრივ ექსპერტიზას და ახდენს მათ ვიზირებას.

საკრედიტო ხელშეკრულება არის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ საკრედიტო გარიგების მონაწილეები და რომელიც შეიცავს კრედიტის გაცემის ყველა პირობის დაწვრილებით აღწერილობას. სტანდარტული საკრედიტო ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ თავებს:

- ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი;
- კრედიტის გაცემის პირობები;
- ანგარიშსწორებისა და გადახდების პირობები;
- მსესხებლის უფლება-მოვალეობანი;
- ბანკის უფლება-მოვალეობანი;
- მხარეთა პასუხისმგებლობა;
- დავების მოგვარების წესი;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- მხარეთა იურიდიული მისამართები.

საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით კლიენტი ვალდებულია:

- დროულად დააბრუნოს მიღებული კრედიტი და პროცენტები კრედიტით სარგებლობისათვის;
- თავი არ აარიდოს საბანკო კონტროლს;
- არ გააუარესოს თავისი სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობა;
- დაიცვას მიღებული კრედიტის მიზნობრივი დანიშნულება;
- წარმოადგინოს უზრუნველყოფა საკრედიტო ხელშეკრულებაზე და მოახდინოს მისი შენარჩუნება (გარანტიით) დაკრედიტების მთელი ვადის განმავლობაში, ანუ კრედიტის ფაქტობრივი დაბრუნების დღის ჩათვლით.

უზრუნველყოფის ხერხიდან გამომდინარე შეიძლება გაფორმდეს:

- გირავნობის ხელშეკრულება;
- თაედებობის ხელშეკრულება;
- საბანკო გარანტია;
- სხვა შეთანხმება საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ.

კრედიტის გაცემა ხორციელდება ბანკის საოპერაციო განყოფილების უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი განკარგულების საფუძველზე.

განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს:

- მსესხებლის დასახელება და მისი საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი, რომელზედაც ჩაირიცხება კრედიტი;
- საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი და თარიღი;
- კრედიტის გაცემის პირობები;

- კრედიტის თანხა (დაკრედიტების ლიმიტი);
- პროცენტების გადახდის ვადა და საპროცენტო განაკვეთის ოდენობა;
- კრედიტის დაბრუნების ვადები;
- უზრუნველყოფის სახე და თანხა;
- საკრედიტო რისკის ჯგუფი.

საოპერაციო განყოფილება კრედიტის გაცემის დროს ხსნის მისი აღრიცხვის ანგარიშს, საიდანაც გადარიცხავს სახსრებს მსესხებლის საბანკო ანგარიშზე. იმავდროულად, ბალანსგარეშე ანგარიშებზე შემოსავლებში ჩაიწერება გაცემული კრედიტების უზრუნველყოფა, ვალდებულებები კრედიტების გაცემაზე „ოვერდრაფტის“ სახით ან ღია საკრედიტო ხაზით. გარდა ამისა, დადგენილ ვადაში ყალიბდება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

ყველა დოკუმენტი თავს იყრის მსესხებლის საკრედიტო საქმეში, რომელზეც მიუთითებენ მსესხებლის სახელწოდებას, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერს, მისი დადების თარიღს, შიფრს, ბანკში სასესხო ანგარიშის ნომერს.

მეოთხე ეტაპზე ბანკი ახორციელებს კონტროლს:

- ჯერ ერთი, თითოეული საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (კრედიტის თანხის დროულად დაფარვისა და მასზე პროცენტების გადახდის უზრუნველსაყოფად);
- მეორე, მთლიანად საკრედიტო პორტფელზე (საკრედიტო რისკის შემცირების უზრუნველსაყოფად და მთლიანად საკრედიტო ოპერაციებიდან მოგების წილის გასაზრდელად).

ყოველივე ეს დაკრედიტების პროცესის აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან მისი საბოლოო მიზანია კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების დროული დაფარვის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე ბანკი აკონტროლებს კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტების შემოსვლის რეგულარობას, ატარებს გეგმიურ და გეგმისგარე შემოწმებებს ადგილებზე, შემოწმების აქტის შედგენით. ასეთი შემოწმებების დროს ზუსტდება სესხის ხარჯვის შესაბამისობა მის მიზნობრივ დანიშნულებასთან, რაც გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებით. გარდა ამისა, ბანკი ამოწმებს ზედნადებებს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, შეისწავლის ამონაწერებს მსესხებლის საბანკო ანგარიშებიდან, ბალანსს ბოლო საანგარიშო თარიღისათვის და მსესხებელს აცნობს აქტს ან სხვა საბუთს ჩატარებული შემოწმების შესახებ.

კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებისა და სესხის დაუბრუნებლობის რისკის წარმოშობის შემთხვევაში საკრედიტო მუშაკი ვალდებულია აცნობოს შესაბამისი ხომების მისაღებად თავის ხელმძღვანელობას. პრობლემური სესხის წარმოქმნა, როგორც წესი, არ არის მოულოდნელი ფაქტი. გამოცდილ ფინანსისტს შეუძლია საშიშროების ნიშნების გამოვლენა იმაზე გაცილებით ადრე, რაც ცხადი გახდება, რომ კლიენტი სესხს ვერ დაფარავს. მიმდინარე საფინანსო ანგარიშგების გულმოდგინე ანალიზი წინა ანგარიშებთან შეჯერებით გამოააშკარავებს ისეთ შემაშფოთებელ სიგნალებს, როგორებიცაა: დებიტორული დავალიანების მკვეთრი მატება, ლიკვიდობის კოეფიციენტების შემცირება, გაყიდვათა მოცულობის ვარდნა, ზარალი საოპერაციო საქმიანობისაგან და ა.შ.

თუ ბანკმა გამოავლინა არასაიმედო სესხი, მან დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს. საუკეთესო გამოსავალია შექმნილი სიტუაციის განხილვა უშუალოდ მსესხებელთან და კრიზისული სიტუაციის დაძლევის პროგრამის ერთობლივი შემუშავება. ამ უკანასკნელის განხორციელება უკეთესია, ვიდრე მსესხებლის გამოცხადება გაკოტრებულად. მსესხებლის სასამართლო დევნას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგი, თუკი იგი დაამტკიცებს, რომ ბანკის ქმედებებმა მას მიაყენა ზარალი და მიიყვანა გაკოტრებამდე.

თუ მოხერხდება კლიენტის დარწმუნება, რომ შესაძლებელია მდგომარეობის გამოსწორება, ბანკმა შეიძლება შესთავაზოს აქტივების გაყიდვა, პერსონალის შემცირება, ზედნადები ხარჯების შემცირება, მარკეტინგული სტრატეგიის შეცვლა, კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცვლა და ა.შ.

მეხუთე ეტაპზე ხორციელდება კრედიტის დაფარვა. იურიდიული პირები კრედიტს ფარავენ მათი საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის გზით საგადახდო დავალებების, აგრეთვე, კრედიტორი ბანკის საგადახდო მოთხოვნების საფუძველზე, თუკი ეს გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულების პირობებით. კრედიტის დაფარვა ფიზიკურ პირთა მიერ ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვით მათი საბანკო ანგარიშებიდან ამ პირთა წერილობითი განკარგულებების საფუძველზე.

ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში ბანკის საოპერაციო განყოფილებას გადაეცემა განკარგულება შესაბამისი თანხების გადატანაზე ვადაგადაცილებული დავალიანების აღრიცხვის ანგარიშებზე, აგრეთვე, საკრედიტო რისკის ჯგუფის

შეცვლა'ხე. გარკვეული ვადის ამოწურვის შემდეგ საკრედიტო და საგირაუნო დოკუმენტაცია ვადაგასულ კრედიტებ'ხე გადაეცემა იურიდიულ განყოფილებას ვალის იძულებით გადახდევინებისათვის.

მიღებული კრედიტის დაბრუნების ვადის დარღვევისათვის კლიენტი ვალდებულია, ბანკს გადაუხადოს გაზრდილი პროცენტები, რაც, აგრეთვე, უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში.

სესხისა და შესაბამისი პროცენტების სრული დაფარვის შემდეგ საკრედიტო საქმე იხურება.

ყველა საკრედიტო ორგანიზაციამ უნდა შექმნას შესაბამისი რეზერვები სესხებ'ხე შესაძლო დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

რეზერვების ოდენობა დამოკიდებულია სესხის ხარისხის კატეგორია'ხე. საკრედიტო რისკის ფაქტორებიდან გამომდინარე, სესხები შეიძლება მიეკუთვნოს ხარისხის ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთს (ცხრ. 7.3).

ცხრილი 7.3

საკრედიტო რისკი სესხის ხარისხის კატეგორიის მიხედვით

სესხის ხარისხის კატეგორია	სესხის ხარისხის კატეგორიის დასახელება	საკრედიტო რისკი %
1 (უმაღლესი)	სტანდარტული	0
2	საყურადღებო	10
3	არასტანდარტული	30
4	საეჭვო	50
5 (უდაბლესი)	უიმედო	100

1. სტანდარტული სესხები

- სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად", თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია. ეს კლასიფიკაცია მისაღებია, როდესაც მსესხებელი ფინანსურად ძლიერია და აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენებისაგან, ასრულებს მომგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ნაღდი ფული, რათა დროულად დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება, მათ შორის აღნიშნული აქტივიც.

- „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის მიღებული გირაო ან იპოთეკა გამოყენებული იქნება როგორც უსაფრთხოების დამატებითი კომპონენტი, თუმცა მაინც საჭიროა მისი სწორად რეგისტრაცია და დოკუმენტურად დადასტურება.
- ბიზნესისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში, სემოთ მოყვანილ ფინანსურ მახასიათებლებთან ერთად მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ბიზნეს-გეგმა რეალურია და პრაქტიკულად განხორციელებადი, და რომ მისი ძირითადი პროდუქცია და მარკეტინგული სტრატეგია სტაბილურია და კონკურენტუნარიანი.
- „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხი წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა კომერციულ ბანკს მაინც მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით.

2. საყურადღებო სესხები

- სესხი კლასიფიცირდება „საყურადღებოდ“, თუ:

– იგი ადეკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, შემდეგში გამოჩნდა განსაზღვრული ნაკლოვანებები და ტენდენციები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოსწორდება, შესაძლოა გაწნდეს ეჭვი მსესხებლის მიმართ, გააგრძელოს სესხის დროული დაფარვა. ასეთი სესხი ქმნის გაუმართლებელ საკრედიტო რისკს, მაგრამ არა ისეთს, რომ მიენიჭოს კლასიფიკაცია „არასტანდარტული“, იმიტომ, რომ საკრედიტო რისკი მოცემულ მომენტში მცირეა. ასეთი ნაკლოვანებების მაგალითებია ისეთი სიტუაციები, როდესაც საკრედიტო დოკუმენტაცია (ან მათი ნაწილი) დაკარგულია, არასრული ან მოძველებულია; როდესაც ბანკს არ ძალუძს აქტივების შესაბამისად მართვა ან მსესხებელთან სათანადო ურთიერთობა, ან როდესაც მთლიანად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაო ან იპოთეკა დოკუმენტურად არ არის სწორად გაფორმებული, გადაცემული ან რეგისტრირებული, ანდა როდესაც არსებობს ინფორმაცია გირაოს ან იპოთეკის საეჭვო მდგომარეობასთან ან მის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებით;

– ბანკის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად მსესხებელმა ვერ მოახერხა ფინანსური ანგარიშგებების მიწოდება, მათ შორის სა-

ბალანსის უწყისის ან მოგება-ზარალის უწყისის, ან სამუშაო ან ბიზნეს-გეგმის, რაზეც არსებობდა შეთანხმება;

- მოსალოდნელია ისეთი მოვლენები მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შესაძლოა, რომ მსესხებლის მომავალი მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ანდა აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად გაუარესებული;
- გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული და ამ ორიდან რომელიმე სიტუაციას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის დაქვეითებული უნარი;
- სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;
- ნებისმიერი შეთანხმებული გადახდა ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

◆ ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდღეებად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%-ის ოდენობით.

3. არასტანდარტული სესხები

◆ სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად“, თუ:

- იგი არაადეკვატურად არის დაცული მსესხებლის კაპიტალითა და გადახდის უნარით, ანდა გირაოს ან იპოთეკის ღირებულებით. „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებულ სესხს გააჩნია ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდის მთლიან გადახდას;
- სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის, კაპიტალი და მოგება, არ არის საკმარისი ვალის გადასახდელად. ამიტომაც ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები, როგორიცაა გირაოს ან იპოთეკის გაყიდვა, მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალ(ებ)ის რესტრუქტურიზაცია.

ამასთან, არსებობს სხვა ისეთი მნიშვნელოვნად უარყოფითი პირობები, როგორიცაა: ღირებულების მქონე და რეალიზებადი გირაოს ან იპოთეკის არარსებობა, მსესხებლის აუხსნელი და ხანგრძლივი არყოფნა, ან საკუთარი ბიზნესისადმი უყურადღებობა.

- საბლანკო ან ნაწილობრივ უსრულფასოვან სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 30 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი;
- მთლიანად უსრულფასოვან სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 60 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „არასტანდარტული“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
- ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%-ის ოდენობით.

4. საეჭვო სესხები

- სესხი კლასიფიცირდება „საეჭვოდ“, თუ მას აქვს „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორიცაა გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, რომლიდანაც გამომდინარეც მოსალოდნელია ნაწილობრივი გადახდა უახლოეს პერიოდში და ამიტომ „უიმედო“ კლასიფიკაციის მინიჭება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის, სანამ ფაქტები უფრო არ გაირკვევა. „გარკვეული და მნიშვნელოვანი“ მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა ან გირაოს (იპოთეკის) დასაკუთრებისა და გაყიდვის პროცედურების დაწყება და განხორციელება უახლოეს მომავალში, ასევე დამატებითი გირაოს ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უსრულფასოვანი გახდება.
- საბლანკო ან ნაწილობრივ უსრულფასოვან სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
- მთლიანად უსრულფასოვან სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკა-

ცია. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

- ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%-ის ოდენობით.

5. უიმედო სესხები

- სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ“, თუ:

– მსესხებლის გადახდისუუნარობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს;

– გირაოს ან იპოთეკის მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 150 დღით;

– 150-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალოდნელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს.

- დანაკარგები სესხებიდან ბალანსზე აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დადგინდა, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. მათი საბუღალტრო აღრიცხვა უნდა შეწყდეს და ისინი უნდა ჩამოიწეროს ამავე პერიოდის ბალანსიდან.

- ბანკებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხების კანონიერად ამოღებისაკენ სათანადო ზომების გამოყენებით, ყველა არსებული გირაოს ან იპოთეკის დასაკუთრებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული (კანონმდებლობით გათვალისწინებული) პროცედურების დაცვის ჩათვლით.

- ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით.[6]

სესხის ხარისხის კატეგორიის განსაზღვრისათვის საკრედიტო ორგანიზაციამ, საჭირო ინფორმაციისა და შემუშავებული მეთოდიკების გამოყენებით, უნდა გააანალიზოს და შეაფასოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა (რამდენად სტაბილურია და მდგრა-

6 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 29 დეკემბრის №350 ბრძანებით დამტკიცებული “კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი”

დია მისი საქმიანობა, ხომ არ არის ნეგატიური ტენდენციები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სიძნელეები).

შესაძლებელია ბანკის მიერ კრედიტის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიაში. საკრედიტო გარიგების არახელსაყრელი მსვლელობის შემთხვევაში ჩაერთვება სადაზღვევო კომპანია. სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა, კრედიტის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების დაზღვევა და ა.შ.

7.4. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელი თავისთავად მიწოდებული კრედიტების მიხედვით ბანკის მოთხოვნილებებს წარმოადგენს.

ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობაში შედის:

- კრედიტები ორგანიზაციებზე და საწარმოებზე (იურიდიულ პირებზე);
- კრედიტები კერძო (ფიზიკურ) პირებზე;
- ბანკთაშორისო კრედიტები.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება ფინანსური კოეფიციენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფინანსური კოეფიციენტების შეფასებაზე აიგება, რომელიც ბანკის საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის მახასიათებელია. ისინი შეიძლება მაჩვენებლების ოთხ ჯგუფად დაიყოს:

- საკრედიტო დაბანდებების შემოსავლიანობის მაჩვენებლები;
- საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის მაჩვენებლები;
- შესაძლო დანაკარგების გადაფარვაზე რეზერვების საკმარისობის მაჩვენებელი;
- ბანკის ერთობლივი საკრედიტო რისკის ინტეგრირებული მაჩვენებლები.

ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების პროცედურის თვალსაჩინოებისა და გამარტივებისათვის, ბანკის საკრედიტო საქმიანობაში ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებისათვის გამოყენებადი პირობითი აღნიშვნებისა და მაჩვენებლების დასახელებისაათ-

ეის შემდეგი ცხრილური მასალა გამოვიყენოთ (ცხრ. 7.4).

საკრედიტო დაბანდებების შემოსავლიანობის ჯგუფის მაჩვენებლები K1-K4 კოეფიციენტები წარმოდგენილია 7.5-ე ცხრილში.

საკრედიტო დაბანდებების შეფასებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ მეორე ჯგუფის მაჩვენებლები, რომლებიც კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის მახასიათებლებია. აღნიშნული მაჩვენებლები K5-K10 კოეფიციენტებით არის წარმოდგენილი (ცხრ. 7.6).

მაჩვენებლების მესამე ჯგუფიც, შესაბამისი ზომიერებით, ასევე, ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის მახასიათებელია, მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი როგორც ცალკე ჯგუფი განიხილება, იმიტომ რომ ბანკის სპეციფიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული და იგი გაცემული კრედიტებიდან შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნას ითვალისწინებს. მაჩვენებლებს, რომლებიც ბანკის ზარალის გადასაფარავად რეზერვების საკმარისობის მახასიათებლებია დაუბრუნებად კრედიტებთან დაკავშირებით, მიეკუთვნება მაჩვენებლები, რომლებიც K11-K15 კოეფიციენტების სახით არის წარმოდგენილი (ცხრ. 7.7).

ცხრილი 7.4

ბანკის საკრედიტო საქმიანობის მაჩვენებლების პირობითი აღნიშვნები

პირობითი აღნიშვნები	მაჩვენებლები
$C_{საერთ.}$	საკრედიტო დაბანდებები (სულ)
$C_{გ.პ.}$	საკრედიტო დაბანდებები გასული პერიოდის განმავლობაში
$C_{მ.პ.}$	საკრედიტო დაბანდებები მიმდინარე პერიოდის განმავლობაში
$C_{მ.ვ.}$	მოკლევადიანი საკრედიტო დაბანდებები
$C_{გ.ვ.}$	გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებები
$C_{სტ.}$	სტანდარტული კრედიტები (დროულად და სრულად დაფარულები)
$C_{არ.სტ.}$	არასტანდარტული (ეადაგადაცილებული) კრედიტები
$C_{(-)}$	საკრედიტო დაბანდებები, რომელთაც შემოსავალი არ მოაქვთ
$C_{(+)}$	საკრედიტო დაბანდებები, რომელთაც შემოსავალი მოაქვთ
pS	პროცენტული შემოსავლები, რომლებიც საკრედიტო დაბანდებებიდან მიიღება

$P_{x.}$	პროცენტული ხარჯები, რომლებიც დაკრედიტების რესურსებზე გადაიხდება
$P_{რ.}$	საანგარიშო რეზერვი კრედიტების ზარალის გადასაფარავად
$P_{ფ.შ}$	ფაქტიურად შექმნილი რეზერვი კრედიტების ზარალის გადასაფარავად
$P_{(-)}$	რეზერვიდან ჩამოსაწერილი თანხა
K	ბანკის კაპიტალი
A	ბანკის აქტივები
D	ბანკის დეპოზიტები
x1, x2...xn	საკრედიტო დაბანდება, რომელიც რისკის შესაბამის ჯგუფს (პირველი, მე-2 და ა.შ.) მიეკუთვნება
k1, k2,...kn	რისკების ჯგუფების მიხედვით რეზერვებში ანარიცხების კოეფიციენტები

ცხრილი 7.5

ბანკის საკრედიტო დაბანდებების შემოსავლიანობის კოეფიციენტები

კოეფიციენტი	დახასიათება	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით	ოპტიმუმი %-ში
K1	საკრედიტო პორტფელის მომგებიანობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა	(პროცენტული შემოსავლები – პროცენტული ხარჯები)/საკრედიტო დაბანდებები	$(pS - p_{x.}) / C_{საკრედიტო} \times 100\%$	0,6–1,4
K2	ბანკის კაპიტალში პროცენტული მარაგის წილის გამომხატველია	(პროცენტული შემოსავლები – პროცენტული ხარჯები) / ბანკის კაპიტალი	$(pS-px.)/K \times 100\%$	10–20
K3	საკრედიტო დაბანდების შემოსავლიანობაზე მიუთითებს	(პროცენტული შემოსავლები – პროცენტული ხარჯები)/ საკრედიტო დაბანდებები (შემოსავლის მომტანები)	$(pS-px.)/ C_{(-)} \times 100\%$	2–3,5
K4	საკრედიტო დაბანდების რეალური შემოსავლიანობის მახასიათებელია	პროცენტული შემოსავლები (მიღებული)/ საკრედიტო დაბანდებები (შემოსავლის მომტანები)	$(pS-px.)/C_{(+)} \times 100\%$	საშუალო მნიშვნელობა სისტ. მიხედვით

ცხრილი 7.6

ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის კოეფიციენტები

კოეფიციენტი	დახასიათება	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით	ოპტიმუმი %-ში
K5	ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის მახასიათებელია გადახდის პრილეონირებული და ლიკვიდურობის ვადიანი „არამოძრავი ნაწილ" საკრედიტო დაბანდებების პოზიციიდან გამომდინარე	საკრედიტო დაბანდებები (შემოსავლების არ მომტანები)/ბანკის აქტივები	$C_{(-)}/A \times 100\%$	0,5-3
K6	საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის მახასიათებელია	საკრედიტო დაბანდებები (შემოსავლების არ მომტანები)/საკრედიტო დაბანდებები (სულ)	$C_{(-)}/C_{saer-To} \times 100\%$	3-7
K7	საკრედიტო პორტფელის მართვის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას იძლევა არსებული საკრედიტო რესურსებიდან გამომდინარე	საკრედიტო დაბანდებები (სულ)/ დეპოზიტები	$C_{საერთო}/D \times 100\%$	საშუალო მნიშვნელობა სისტ. მიხედვით
K8	ბანკის საკრედიტო პოლიტიკის აგრესიულობის, მისი საკრედიტო პორტფელის არასაკმარისობის ან გადატვირთულობის ხარისხის მახასიათებელია	საკრედიტო დაბანდებები (სულ)/ აქტივები	$C_{საერთო}/A \times 100\%$	40-60
K9	მოკლევადიანი საკრედიტო დაბანდებების მათ საერთო მოცულობაში წილის მახასიათებელია	მოკლევადიანი საკრედიტო დაბანდებები/საკრედიტო დაბანდებები (სულ)	$C_{მ.ვ.}/C_{saer-To} \times 100\%$	60-70
K10	საკრედიტო დაბანდებების სწრაფის ტემპების მახასიათებელია განსაზღვრული პერიოდისათვის	საკრედიტო დაბანდებები (მიმდინარე პერიოდის)/საკრედიტო დაბანდებები (გასული პერიოდის)	$C_{მ.კ}/C_{g.p.} \times 100\%$	საშუალო მნიშვნელობა სისტემაში

ცხრილი 7.7

ბანკის ზარალის გადასაფარი რეზერვების საკმარისი კოეფიციენტები დაუბრუნებადი კრედიტების მიხედვით

კოეფიციენტი	დახასიათება	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგაციის მიხედვით	ოპტიმუმი %-ში
K11	ბანკის საკრედიტო რისკისაგან დაცულობის ხარისხს ასახავს, საკრედიტო პოლიტიკისა და კრედიტების პორტფელის მართვის ხარისხს მოწმობს. რამდენად ნაკლებია მისი მნიშვნელობა, იმდენად უკეთესია ბანკის საკრედიტო პორტფელის მდგომარეობა. რამდენად მეტია შექმნილი რეზერვი, იმდენად მეტია ბანკის საკრედიტო რისკისაგან დაცულობის ხარისხი	რეზერვი კრედიტების გადასაფარავად (ფაქტიურად შექმნილი)/ საკრედიტო დაბანდებები (შემოსავლის არ მომტანები)	$P_{ფ.შ}/C_{(-)}$ x 100%	კრიტერიალური დონე არ გააჩნია, დინამიკაში განიხილება
K12	გაცემული კრედიტებიდან შესაძლო დანაკარგების გადასაფარავი სპეციალური რეზერვის შექმნის სისრულის მახასიათებელია	რეზერვი კრედიტების გადასაფარავად (ფაქტ. შექმნა)/ რეზერვების კრედიტების გადასაფარავად (საანგარიშო)	$P_{ფ.შ}/C_{საანგ.}$ x 100%	100
K13	კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკის რეზერვების საკმარისობის ხარისხის მახასიათებელია.	რეზერვები კრედიტების გადასაფარავად (ფაქტიურად შექმნილი)/საკრედიტო დაბანდებები (სულ)	$P_{ფ.შ}/C_{საერთო}$ x 00%	0.9-5
K14	ბანკისათვის ფაქტიურად დაკარგული, ანუ დაფარვის უიმედო კრედიტების წილის მახასიათებელია	რეზერვებიდან ჩამოწერილი თანხა/ საკრედიტო დაბანდებები (სულ)	$M/C_{საერთო}$ x 100%	0.25-1,5
K15	არასტანდარტული (საეჭვო და უიმედო) კრედიტების (დაფარვის თვალსაზრისით) საერთო მოცულობიდან ჩამოწერის წილის მახასიათებელია. ჩამოწერაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება ბანკს ეკისრება	რეზერვებიდან ჩამოწერილი თანხა/ არასტანდარტული კრედიტები	$M/C_{არ. სტ.}$ x 100%	კრიტერიუმის დონე არ გააჩნია

მაჩვენებლების მეოთხე ჯგუფს – როული **ბანკის ერთობლივი საკრედიტო რისკის ინტეგრირებული მაჩვენებლები** მიეკუთვნება. იგი ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების გამოყენებას ითვალისწინებს და საკრედიტო დაბანდების შემოსავლიანობის, საკრედიტო პორტფელის მართვისა და გაცემული კრედიტების შესაძლო დანაკარგების გადასაფარავი რესურსების შექმნის საკმარისობის ხარისხის მახასიათებელია. აღნიშნულ მაჩვენებლებს ინტეგრირებულებს უწოდებენ, იმიტომ რომ მათი გაანგარიშებისას სხვადასხვა ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტების აგრეგატები გამოიყენება.

ბანკის **საკრედიტო დაბანდების შემოსავლიანობის** დონეს. კრედიტების მიხედვით დანაკარგების კოეფიციენტის გათვალისწინებით, KI შემოსავლიანობის კოეფიციენტი გამოხატავს. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში თავისი ეკონომიკური შინაარსით ანალოგიური მაჩვენებელი გამოიყენება, რომელიც **სუფთა პროცენტული მარჟის (NIM)** მაჩვენებლის სახით არის ცნობილი და იგი შემდეგი სახის ფორმულით გაიანგარიშება:

$$\text{სუფთა პროცენტული მარჟა (NIM)} = \frac{\text{(პროცენტული შემოსავლები – პროცენტული ხარჯები + სხვა დანარჩენი შემოსავლებისა და ხარჯების სალდო – რეზერვები) / შემოსავლიანი აქტივების საშუალო თანხასთან.}}{}$$

$K_{\text{შემოსავლიანობის}}$ – კოეფიციენტი გაიანგარიშება, როგორც სუფთა პროცენტულ შემოსავალსა და კრედიტებზე დანაკარგებს შორის სხვაობის თანაფარდობა საკრედიტო დაბანდებების თანხასთან.

თავი VIII. ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო პროექტების შეფასების სრულყოფის საკითხები

8.1. კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი

ცნობილია, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაწყება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური გაურკვეველობის ამ ფენომენს სათანადო შეცნობა, შესწავლა და გამოყენება სჭირდება. რისკის უგულებელყოფით არც ერთ, მით უფრო, ახალ სამეწარმეო პროექტს თავიდანვე შესრულება არ უწერია. იმისათვის, რომ მეწარმე მომავალში მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში არ აღმოჩნდეს, მან წარმოების „უსარალობის წერტილის“ გაანგარიშების, საბაზრო ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, სიმყარის (სტაბილურობის) შექმნის თავისებურებანი უნდა იცოდეს. საქონელზე საბაზრო ფასების უსაზღვროდ ზრდა მეწარმეებს არ შეუძლიათ, ვინაიდან, ამ საკითხს, ძირითადად, საბაზრო მექანიზმი არეგულირებს. მეწარმეებს მხოლოდ დანახარჯების შემცირება და ამ გზით უზარალოდ მუშაობის ზღვარის „ქვევით ჩამოწევის“ შესაძლებლობა გააჩნიათ. რომელი საწარმოც ამას წარმატებულად ახორციელებს, მას სტაბილური მუშაობის დიდი მარაგიც ექნება.

წარმოების „უსარალობის წერტილი“ ცვალებადი და მუდმივი დანახარჯებისა და მოგების შეფარდების ამსახველია. საწარმო მანამ იქნება ზარალიანი, სანამ გაყიდვების (და წარმოების) მოცულობა ისეთ მნიშვნელოვან წერტილს არ მიაღწევს, როგორიცაა „უსარალობის წერტილი“. გაყიდვების მეტი მოცულობისას საწარმო მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს გადაფარავს, რის შემდეგ მოგების მიღება დაიწყება.

საწარმოს დანახარჯები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

– მუდმივი დანახარჯები, რომელიც წარმოების დონეზე არ არის დამოკიდებული: ზოგიერთი დანახარჯი პერსონალზე, გადასახა-

დი ელექტროენერგიაზე, შენობის იჯარაზე და ა.შ.;

– ცვალებადი დანახარჯები, რომელიც წარმოების პროცესთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია: დანახარჯები ნედლეულზე, ხარჯები ძირითადი მუშა პერსონალის ხელფასზე და ა.შ.

„უზარალობის წერტილი" წარმოების ისეთ მოცულობას შეესაბამება, რომლის დროს საწარმო მოგებას არ ღებულობს, მაგრამ ამაყე დროს იგი ზარალსაც არ განიცდის. ამდენად, „უზარალობის წერტილი" საქმიანობის ისეთ დონეს შეესაბამება, როდესაც რეალიზაციის მოცულობა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია.

გრაფიკის შედგენის წინაპირობად დაეუშვათ, რომ:

ა) დანახარჯების გრაფიკი პირობითად სწორი ხაზის სახით იქნება წარმოდგენილი,

ბ) გაყიდვების მოცულობაც ასევე სწორი ხაზით არის აღნიშნული, ანუ ისეთი სიტუაცია გვაქვს გათვალისწინებული, როდესაც რეალიზაციის მცირე მოცულობით ზრდა ფასების შემცირების გარეშეც შეიძლება იქნას მიღწეული.


„უზარალობის წერტილის", ანუ რენტაბელობის ზღვარის გრაფიკულად მოძიება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება (იხ. სქემა 8.1.): აბსცისას ღერძზე – წარმოებისა და გაყიდვების მოცულობა FC (ერთეულებში), ხოლო ორდინატას ღერძზე – დანახარჯები და შემოსავლები AC (ლარებში) აღირიცხება.

სწორი ხაზი FC, რომელიც აბსცისას ღერძის პარალელურია, მუდმივ დანახარჯებს ასახავს და იგი წარმოების ნებისმიერი მოცულობისათვის უცვლელია.

სწორი ხაზი AC გაყიდვების მოცულობას გამოხატავს, ხოლო სწორი ხაზი TC- დანახარჯების საერთო ჯამს (მუდმივი დანახარჯები + ცვალებადი დანახარჯები) ასახავს.

წერტილი S, რომელიც TC და AC სწორი ხაზების გადაკვეთაზე მდებარეობს „უზარალობის წერტილს" შეესაბამება.

სქემა 8.1. „უზარალობის წერტილის“ გრაფიკი



თუ წარმოების მოცულობა Q_s სიდიდეზე მეტია, საწარმო მოგებას მიიღებს; თუ წარმოების მოცულობა Q_s სიდიდეზე ნაკლებია, საწარმო ზარალს მიიღებს, რომელიც AC და TC სწორი ხაზების ორდინატას შესაბამისი მნიშვნელობების სხვაობის ტოლი იქნება.

წარმოების მოცულობის Q_s-ის ტოლი მნიშვნელობისათვის, საწარმოს არც მოგება და არც ზარალი ექნება და Q_s სიდიდე „უზარალობის წერტილს“ შეესაბამება.

ადვილად შესამჩნევია, რომ AC ხაზის დახრის კუთხე (აბსცისას ღერძთან მიმართებაში) უფრო დიდია TC ხაზის დახრასთან შედარებით, რაც სავსებით რეალურია, რადგანაც თითოეული გაყიდული პროდუქციის ფასი მისი წარმოების საერთო დანახარჯებთან მიმართებაში უფრო მეტი უნდა იყოს, ვინაიდან გაყიდვების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანახარჯების საერთო მოცულობა.[7]

„უზარალობის წერტილის“ ანუ რენტაბელობის სლერის ანალიზი – ერთ-ერთი ძირითადი კონცეფციათაგანია, რომელიც მიკროეკონომიკაში, აღრიცხვისა და ფინანსების სასწავლო პროგრამით შეისწავლება და მისი გამოყენება ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზისათვისაც უპრიანია, ვინაიდან საწარმო ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე გეგმავს წარმოების მოცულობის გადიდებას; შეისწავლის წარმოებაში ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას.

7 Жозет Перар. Управление финансами с упражнениями. – Москва. Финансы и статистика. 1999. – с. 103-108

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, გაყიდვების მოცულობის ზრდის შესაბამისად, ფასების შემცირების ტენდენციებიც შეიმჩნევა და გაყიდვების მოცულობის მრუდის სწორხაზოვნობა ყოველთვის სამართლიანი ვერ იქნება.

თვალსაჩინოების მიზნით შემდეგი სახის პრაქტიკული მაგალითი განვიხილოთ:

დავუშვათ რომ საწარმოს მუდმივი დანახარჯები 500 ათ. ლარის ტოლია, ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე 125 ლარს შეადგენს, ხოლო ერთი ნაკეთობის გასაყიდი ფასი 150 ლარის (პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯების 20%-ის ნაზარდი) სიდიდით დავუშვათ და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე საწარმოს „უზარალობის წერტილის", ანუ რენტაბელობის ზღვარის მნიშვნელობის გაანგარიშება განვახორციელოთ.

გაანგარიშებისათვის შემდეგი ორი ხერხი განვიხილოთ: გრაფიკული და ალგებრული.

1. გაანგარიშების გრაფიკული ხერხი:

სქემა 8.1-ზე გამოსახულია: მუდმივი დანახარჯების სწორი ხაზი FC, რომელსაც 500 ათ. ლარი შეესაბამება და საერთო დანახარჯების სწორი ხაზი TC, რომელიც ცვალებადი და მუდმივი დანახარჯების საერთო ჯამს წარმოადგენს.

ცხრილი 8.1-ის მონაცემებიდან გამომდინარე, „უზარალობის წერტილი" პროდუქციის 20 ათ. ერთეულის წარმოების მოცულობას (არც მოგება, არც ზარალი) შეესაბამება.

ცხრილი 8.1
(ათ. ლარებში)

წარმოების მოცულობა (ათეროეულებში)	ცვალებადი დანახარჯები	მუდმივი დანახარჯები	საერთო დანახარჯები	გაყიდვების მოცულობა	მოგება (ზარალი)
Q	VC	FC	(4)=(3)+(2)	AC	(6)=(5)-(4)
1	2	3	4	5	6
10	1250	500	1750	1500	(250)
20	2500	500	3000	3000	0
30	3750	500	4250	4500	250
40	5000	500	5500	6000	500
50	6250	500	6750	7500	750

2. ალგებრული გაანგარიშების ხერხი:

ა) წარმოების მოცულობა „უსარალობის წერტილში". ტრადიციული ანალიზის ძირითად ფორმულას, რომელიც სუფთა მოგებას შეესაბამება, შემდეგი სახე აქვს:

სუფთა მოგება = $[Q(P-VC)-FC](1-k_c)$,

სადაც: Q – არის გაყიდული ნაკეთობების რაოდენობა;

P – არის გასაყიდი ფასი პროდუქციის ერთეულის;

FC – არის მუდმივი დანახარჯები;

VC – არის ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

k_c – არის კორპორაციული გადასახადის განაკვეთი.

იმასთან დაკავშირებით, რომ „უსარალობის წერტილში" სუფთა მოგება ნულის ტოლია, ვინაიდან წარმოებული და გაყიდული პროდუქციის მოცულობა წარმოების დანახარჯებს (მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს) სრულად გადაფარავს, მოგების არ არსებობის გამო მას გადასახადების გადახდა არ მოუწევს და „უსარალობის წერტილში" $(1-k_c)$-ს მნიშვნელობა 1-ის ტოლი გახდება და ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Q_s (P - VC) - FC=0 ,$$

საიდანაც

$$Q_s = \frac{FC}{P-VC}$$

ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ წარმოების მოცულობა, რომელიც „უსარალობის წერტილს" შეესაბამება, ტოლია: მუდმივი დანახარჯები შეყარდებული პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებადი დანახარჯების სხვაობასთან.

ფორმულაში რიცხობრივი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ, რომ „უსარალობის წერტილს" შეესაბამება:

Q=500:(150-125)=20,0 ათ. ერთეული.

ბ) გაყიდვების მოცულობა „უსარალობის წერტილში". ფინანსების სფეროში მომუშავე მენეჯერებისათვის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია გაყიდვებიდან შემოსავალი, ვიდრე წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობა. „უსარალობის წერტილში" რეალიზაციის მოცულობა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია, რომელიც შემდეგი ტოლობით გამოისახება:

$$AC_S=FC+(VC \times Q_S) . Q$$

---

8 Ченг Ф. Ли, Джозеф И. Финнерти. Финансы корпорации: теория, методи и практика. Университетский учебник. - Москва: "ИНФРА. М", 2000. с. 29.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაყიდვების მოცულობიდან ცვალებადი დანახარჯები მუდმივ წილს შეადგენს, ფორმულა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$AC_s = FC + \frac{VCxQ_s}{AC_s} xAC_s$$

სადაც $\frac{VCxQ_s}{AC_s}$ –ის მნიშვნელობა, პროდუქციის ერთეულზე გაყიდვის ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის მუდმივი თანაფარდობის შენარჩუნებისას, მუდმივი სიდიდე იქნება (მაგალითად: 1,1 თანაფარდობისათვის 0.9090; 1,2 თანაფარდობისათვის 0.8333; 1,3 თანაფარდობისათვის 0.7692 და ა.შ.).

ფორმულა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$AC_s(1 - \frac{VCxQ_s}{AC_s}) = FC,$$

საიდანაც:

$$CA_s = \frac{FC}{1 - \frac{VCxQ_s}{AC_s}} = \frac{FC}{1 - \frac{VCxQ_s}{PxQ_s}} = \frac{FC}{1 - \frac{VC}{P}}$$

ანუ,

$$CA_s = \frac{FC}{1 - \frac{VC}{P}}$$

ამ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ტოლია: მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯები შეფარდებული გასაყიდ ფასთან.

აღნიშნულ ფორმულაში რიცხობრივი მნიშვნელობების ჩასმით „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობის სიდიდეს მივიღებთ, რომელიც ტოლი იქნება:

$$CA_s \frac{500000}{1 - 125/150} = 3000000 \text{ ლარი.}$$

ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის (წარმოების „უსარალობის წერტილის“) დადგენის მიზნით პრაქტიკული მაგალითები განვიხილოთ სხვადასხვა ვარიანტისათვის, რაც, ჩვენი აზრით, დასმული პრობლემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა (იხ. ცხრილი 8.2).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

- პირველ რიგში, გაანგარიშებულ უნდა იქნას წარმოების მუდმივი FC და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯები VC;
- რეალური საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, დადგინდეს წანამატის პროცენტული სიდიდე ერთეული პროდუქციის გასაყიდი რეალური ფასის სიდიდესა და ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში (P/VC პროცენტებში);
- „უსარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ერთეულებში) გაიანგარიშება: მუდმივი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯის სხვაობაზე Q_S=FC/P-VC;
- „უსარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ლარებში) გაიანგარიშება: მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯის შეფარდება პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასთან AC_S=FC/(1 - VC/P) ;
- „უსარალობის წერტილში“ რეალიზაციის საერთო მოცულობა AC_S-ის (ლარებში) „დ“ პუნქტში მოყვანილი გასაანგარიშებელი ფორმულის გარდა, გამარტივებული ხერხითაც შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გაანგარიშებული: მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯი შეფარდებული პროდუქციის ერთეულზე გასაყიდ ფასთან, სადაც შესაბამისი ვარიანტებისათვის მნიშვნელის ანუ გამყოფის მნიშვნელობა მუდმივი სიდიდე იქნება და მისი მნიშვნელობა K_2 კოეფიციენტით აღინიშნება (ვარიანტი „ა“=0,0910; ვარიანტი „ბ“=0,1667; ვარიანტი „გ“=0,2308; ვარიანტი „დ“=0,2857; ვარიანტი „ე“=0,3333 და ა.შ.), ანუ $AC_S = FC/K_2$;

ცხრილი 8.2

ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის (წარმოების „უზარალობის წერტილის“ დადგენის) პრაქტიკული მაგალითის ცხრილობრივი მონაცემები სხვადასხვა ვარიანტისათვის

№	მაჩვენებლები	ვარიანტი „ა“			ვარიანტი „ბ“			ვარიანტი „გ“			ვარიანტი „დ“			ვარიანტი „ე“		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	საწარმოს დანახარჯებია: ა) მუდმივი დანახარჯები (FC) (ათ. ლარებში)	500	400	300	500	400	300	500	400	300	500	400	300	500	400	300
2	ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე (VC) (ლარებში)	125			125			125			125			125		
3	პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში მეტობით დაგეგმილი	10 %-ით			20 %-ით			30 %-ით			40 %-ით			50 %-ით		
4	მაშინ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი (P) ტოლი იქნება (ლარებში)	137,5			150,0			162,5			175,0			187,5		
5	„უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ათ. ლარებში) Q_0=FC/(P-VC)	40	32	24	20	16	12	13,3	10,7	8,8	10	8	6	8	6,4	4,8
6	„უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა (ათ. ლარებში) AC$_0$=FC/(1-VC/P)	5495	4396	3297	3000	2400	1800	2191	1733	1300	1750	1400	1050	1500	1200	9000
7	საიდანაც (1-VC/P) ტოლია	(1-0,9090)=0,0910			(1-0,8333)=0,1667			(1-0,7692)=0,2308			(1-0,7143)=0,2857			(1-0,6667)=0,3333		
8	„უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა (ათ. ლარებში) ასევე გაიანგარიშება პოზიცია (4) გამრავლებული პოზიცია (5)	5500	4400	3300	3300	2400	1800	2167	1733	1300	1750	1400	1050	1500	1200	900
9	„უზარალობის წერტილში“ ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა გაიანგარიშება: პოზიცია (2) გამრავლებული პოზიცია (5) (ათ. ლარებში)	5000	4000	3000	2500	2000	1500	1667	1333	1000	1250	1000	7500	1000	800	600
10	„უზარალობის წერტილში“ ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა მუდმივ დანახარჯების შემდეგი ჯერადობის ტოლია (K_0)	10-ჯერადი (100-ის 10%)			5-ჯერადი (100-ის 20%)			3,3-ჯერადი (100-ის 30%)			2,5-ჯერადი (100-ის 40%)			2,0-ჯერადი (100-ის 50%)		
11	„უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის საერთო მოცულობა ტოლია მუდმივი დანახარჯები გაყოფილი შესაბამის მუდმივ კოეფიციენტზე (K_0)	0,0910-ზე			0,1667-ზე			0,2308-ზე			0,2857-ზე			0,3333-ზე		

შენიშვნა ცხრილი 8.2-ის მონაცემებთან მიმართებაში: 1. წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული მეტობით (10%, 20%, 30%, 40%, 50% და ა.შ.) დაგეგმარებისას, „უზარალობის წერტილში“ ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა მუდმივი დანახარჯების ჯერადია (შესაბამისად, 10-5-3.3-2.5-2-ჯერადი) და ეს ჯერადობა პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასების პროცენტული წანამატიდან გამომდინარეობს.

2. პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული მეტობის შენარჩუნებისას.

- *„უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ათ. ერთეულებში) გაინგარიშება მუდმივი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის სხვაობაზე: $Q_S = FC/(P.VC)$.*
- *„უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა (ათ. ლარებში) გაიანგარიშება მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს და პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯები შეფარდებული პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასთან: $AC_S = FC/(1 - VC/P)$.*
- *„უზარალობის წერტილში“ პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯს შორის ნაზარდის მუდმივი პროპორციის შენარჩუნებისას. აღნიშნულ წერტილში რეალიზაციის საერთო მოცულობის გაანგარიშების ფორმულაში გამყოფის (მნიშვნელის) გამოსახულება (1 VC/P) შესაბამისი ვარიანტებისათვის მუდმივი სიდიდეა.*
- „უზარალობის წერტილში“ პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და პროდუქციის ერთეულის ცვალებად დანახარჯს შორის ნაზარდის მუდმივი პროპორციის შენარჩუნებისას, აღნიშნულ წერტილში ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა (ლარებში) გამარტივებული ხერხით გაიანგარიშება: მუდმივი დანახარჯები გამრავლებული ჩვენ მიერ შემოთავაზებული ჯერადობის კოეფიციენტზე ($VC \times Q_S = FC \times K_1$), რომელიც პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის (P) ცვალებად დანახარჯებთან (VC) მიმართებაში დაგეგმილი პროცენტული ნაზარდის მნიშვნელობის სიდიდის წილის ტოლია, კერძოდ:

– პროდუქციის ერთეულზე გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯთან მიმართებაში 10%-ით გაზრდისას ჯერადობის კოეფიციენტი K = 10-ის ტოლია, 20 %-ით გაზრდისას – 5-ის, 30 %-ით გაზრდისას – 3,3-ის, 40 %-ით გაზრდისას – 2,5-ის, 50 %-ით გაზრდისას – 2-ის და ა.შ., ანუ (VC x Qs) = FC x K ;

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული პრობლემატიკა, კერძოდ, ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების სრულყოფის საკითხები საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მექანიზმების დახვეწისა და მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის იქნება გამოსადეგი, რადგან წარმოდგენილი მეთოდოლოგია, პრაქტიკულად, აღვილად გასაგებ ფორმებშია გადმოცემული და იგი ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის დადგენის, მსესხებლის ბიზნეს-გეგმაზე გამარტივებული ხერხით რეალური დასკვნის გაკეთების ფინანსურ ინსტრუმენტად შეიძლება იქნას გამოყენებული.

8.2. ბანკის მსესხებელი იურიდიული პირის კრედიტუნარიანობისა და საბანკო საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია

ბანკისა და მსესხებლის თითოეულ საკრედიტო გარიგებას თან განსაზღვრული წილის რისკი ახლავს, რომელიც გასესხებული ღირებულების დაუბრუნებლობის ალბათობასთან, პროცენტების არგადასახადთან, კრედიტის დაფარვის ვადების გადაცილებასთან და საკრედიტო ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევასთან არის დაკავშირებული. ასეთი სახის რისკების არსებობა, მათი მრავალრიცხოვან ფაქტორებზე დამოკიდებულება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მსესხებლის საქმიანობის სფეროში გეხვდება, ბანკის მხრიდან ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის არჩევის აუცილებლობას ითვალისწინებს, რომლის მეშვეობით მსესხებლის მხრიდან თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს. მსესხებლის მიერ კრედიტის დაფარვის შესაძლებლობების მახასიათებელი ერთობლივი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების არჩევის პრობლემა, ეკონომიკურ ლიტერატურაში კრედიტუნარიანობის განსაზღვრის პრობლემის სახით შევიდა.

კრედიტუნარიანობა მსესხებლის ისეთ რეალურად ჩამოყალი-

ბებულ სამართლებრივ და სამეურნეო-ფინანსურ მდგომარეობას გამოხატავს, რომლის შეფასებიდან გამომდინარე, ბანკი კლიენტთან საკრედიტო ურთიერთობების დაწყების, გაგრძელებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს. აღნიშნული ეკონომიკური კატეგორიის შინაარსის გარკვევაში მსესხებლის მიერ სესხების მიღების წინაპირობისა და საფუძვლის, ასევე, მათი დადგენილ ვადებში სრული მოცულობით დაფარვის შესაძლებლობების შესწავლა გვეხმარება.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ბანკის მიერ კლიენტზე კრედიტის მიწოდების შესაძლებლობისა და მისი შეწონილობის, აგრეთვე, ძირითადი ვალისა და პროცენტების თანხების დაბრუნების შესაძლებლობის თვალსაზრისით, კომპლექსურ შეფასებაში მდგომარეობს.

ბანკის მიერ მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა – რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების კომპლექსური პროცესია, რომლის მიზანია კრედიტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციული ბაზის შექმნა.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:


- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლა;
- მსესხებლის არაეფექტიანი საქმიანობის შედეგად საკრედიტო რესურსების დანაკარგების გაფრთხილება;
- საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებების სტიმულირება;
- პერსპექტივაში კრედიტუნარიანობის ცვლილების ტენდენციების განსაზღვრა;
- სხვადასხვა მსესხებლის მაჩვენებლებთან შედარების გზით კლიენტის კრედიტუნარიანობის შედეგიანი მაჩვენებლების განსაზღვრა.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი ბუღალტრული ბალანსების მონაცემების, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების, სხვა ბანკებიდან მიღებული დამატებითი ინფორმაციების, საკრედიტო ბიუროებისა და სხვა ანალიტიკური სააგენტოების ანგარიშგებების მონაცემების საფუძველზე ხორციელდება.

საწარმოს კრედიტუნარიანობის კომპლექსური შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი სახის პარამეტრები: უფლებამოსილება, საკრედიტო ისტორია (რეპუტაცია), ფინანსური მდგომარეობა,

სესხების დაბრუნების უზრუნველყოფისა და გარანტიის არსებობა, საწარმოს საქმიანობის მართვის ხარისხი, საგარეო ეკონომიკური პირობები (იხ. სქემა 8.2).

სქემა 8.2. საწარმოს კრედიტუნარიანობის კომპლექსური შეფასების სქემა



მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ აღწერილობის მისაღებად და შესაბამისი კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმოს აგრეგირებული ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების შედგენა არის საჭირო (იხ. ცხ. 8.3 და 8.4).

ცხრილი 8.3.

საწარმოს აგრეგირებული ბალანსი

აგრეგატი	ბალანსის მუხლები	აგრეგატი	ბალანსის მუხლები
	აქტივები		პასივები
A1	მიმდინარე (საბრუნავი აქტივები) სულ	П1	ვალდებულებები (დაგალიანება) სულ
A2 A3 A4 A5 A6	მათ შორის: • ფულადი სახსრები, • ანგარიშსწორება და დანარჩენი მიმდინარე აქტივები, სულ მათგან: • ანგარიშსწორება დებიტორებთან (12 თვის განმავლობაში), • სასაქონლო-მატერიალური მარაგები, • დანარჩენი მიმდინარე აქტივები.	П2 П3 П4	მათ შორის: • გრძელვადიანი დაგალიანება, • მოკლევადიანი დაგალიანება, • დანარჩენი ვალდებულებები.
		П5	საკუთარი კაპიტალი
A7	ძირითადი კაპიტალი (ბრუნვის გარეშე აქტივები)	П6 П7 П8 П9 П10	მათ შორის: • საწესდებო კაპიტალი, • საერთო კაპიტალი, • დანარჩენი ფონდები, • გაუნაწილებელი მოგება გასული წლების, • გაუნაწილებელი მოგება საანგარიშო პერიოდში.
A8	იმობილიზებული აქტივები		
	ბალანსი (A1 + A7 + A8)		ბალანსი (П1 +П5)

ცხრილი 8.4

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების აგრეგირებული მაჩვენებლები

აგრეგატი	მაჩვენებელი
1	ამონაგები რეალიზაციიდან
2	დანახარჯები (თვითღირებულება) რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე
3	მოგებიდან განთავსებული სახსრები
4	მოგება (ზარალი) საანგარიშო პერიოდისათვის

საწარმოს ლიკვიდურობის ქვეშ გაიგება არსებული მოკლევადიანი ვალდებულებების აღსრულების შესაძლებლობა. საწარმო ითვლება

ლიკვიდურად, თუ მას მიმდინარე აქტივების ხარჯზე შეუძლია თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის კოეფიციენტები მიუთითებენ, შეუძლია თუ არა მსესხებელს, პრინციპში, თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების, ასევე, დაბრუნების ქვემდებარე, ორგანიზაციის დავალიანების რა ნაწილი შეიძლება ვადაში იქნეს დაფარული (იხ. ცხრ. 8.5).

ცხრილი 8.5

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტი	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით	ოპტიმები
K1 – გადაფარვის, ანუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე (საბრუნავი) აქტივები/მოკლევადიანი დავალიანება	A1 / П3	≥2; < 3
K2 – შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	(მიმდინარე აქტივები – სმმ) /მოკლევადიანი დავალიანება	(A1 – A5) / П3	≥ 1
K3 – აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი სახსრები/ მოკლევადიანი დავალიანება	A2 / П3	≥ 0,2; < 0,3

გადაფარვის, ანუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, საერთო სახით წარმოადგენს ყველა მიმდინარე აქტივების თანაფარდობას მოკლევადიან დავალიანებასთან. აღნიშნული მაჩვენებლის ოპტიმალური მნიშვნელობა 2-დან 3-მდე ნარჩოებში იმყოფება. საწარმოს ლიკვიდურობის უფრო საფუძვლიანად შეფასების მიზნით საჭიროა მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების ლიკვიდურობის სხვადასხვა ხარისხი იქნეს გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ სორციელდება ლიკვიდურობის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება.

შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საბრუნავი აქტივების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების გამოკლებით) შეფარდება მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებასთან. აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე ვალდებულებების წილის მახასიათებელია, რომელიც შეიძლება დაფარულ იქნეს ნაღდი ფულის და გაყიდვირთული პროდუქციის, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოებიდან მოსალოდნელი შემოსავლების ხარჯზე. აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური კოეფი-

ციენტი 1-ის ტოლი, ან მეტი უნდა იყოს.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრების შეფარდება მოკლევადიან დავალიანებასთან. იგი ასახავს საწარმოს მიმდინარე ვალდებულების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის – ფულადი სახსრების ხარჯზე შეიძლება დაიფაროს. თეორიულად გამართლებულად არის მიჩნეული აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-დან 0,3-მდე დონეზე იქნეს შენარჩუნებული.

ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები მთლიანობაში კლიენტის საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის მახასიათებელია. მსესხებლის კაპიტალის საერთო მოცულობაში ნასესხები კაპიტალის წილი რამდენად მეტია, იმდენად დაბალია საწარმოს ფინანსური მდგრადობა.

ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების გაანგარიშების ალგორითმი ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოტანილი (იხ. ცხრ. 8.6).

ცხრილი 8.6

ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

კოეფიციენტი	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით	ოპტიმები
K4 – საკუთარი საბრუნაო სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	(საკუთარი კაპიტალი – ბრუნვისგარეშე აქტივები) /საბრუნაო აქტივები	(П5 - П7 - - П 8)/А1	≥ 0.1
K5 – აქტონომიურობის (ფინანსური დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი	საკუთარი კაპიტალი /პასივები	П5/(П1 + П5)	≥ 0,5
K6 – დაფინანსების კოეფიციენტი	საკუთარი კაპიტალი/ საერთო კრედიტორული დავალიანება	П5/(П2 + П3 + П4)	≥ 1
K7 – სახსრების მანევრირების კოეფიციენტი	(საბრუნაო აქტივები – მოკლევადიანი დავალიანება) /საბრუნაო აქტივების ჯამი	(А1 - П3)/А1	≥ 2
K8 – სახსრების მობილურობის კოეფიციენტი	საბრუნაო აქტივები/ ბრუნვისგარეშე აქტივები	А1/(А7 + А8)	≥ 0,5

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების არსებობის მახასიათებელია. იგი გაიანგარიშება საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ბრუნვისგარეშე აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებით მისი საბრუნავი აქტივების ფაქტიურ ღირებულებასთან. მოცემული მაჩვენებლის ნორმატიული მნიშვნელობა 0,1 და მეტის ტოლია.

ავტონომიურობის (ფინანსური დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი წარმოადგენს საწარმოს საკუთარი კაპიტალის შეფარდებას პასივების (ბალანსის ვალუტის) საერთო ჯამთან. აღნიშნული კოეფიციენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმოს კრედიტორებისათვის და ინვესტორებისათვის, რადგანაც იგი მესაკუთრეების მიერ საწარმოს ქონების საერთო ღირებულებაში ჩადებული სახსრების წილის მახასიათებელია. აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

დაფინანსების კოეფიციენტი, ანუ საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა საერთო კრედიტორულ დავალიანებასთან, მიუთითებს, თუ კრედიტორული დავალიანება რამდენად არის უზრუნველყოფილი საკუთარი კაპიტალით. სიტუაცია, რომლის დროსაც დაფინანსების კოეფიციენტის მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია, იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს ქონების უმეტესი ნაწილი ნასესხები სახსრების ხარჯზეა ფორმირებული. ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 1-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი თავისი ეკონომიკური შინაარსით საწარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია. იგი გაიანგარიშება, როგორც საბრუნავი (მიმდინარე) აქტივებისა და მოკლევადიანი დავალიანების სხვაობის თანაფარდობა საბრუნავი აქტივების ჯამთან. სახსრების მანევრირების კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-ის ტოლი, ან მეტი უნდა იყოს.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი საბრუნავი და ბრუნვისგარეშე აქტივების თანაფარდობით გაიანგარიშება. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა თუ 0,5-ის ტოლია, ან მეტია, იგი მიუთითებს, რომ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არი, და, აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საშიშროება არ არსებობს.

თუ კი *საწარმოს ფინანსური მდგომარეობა* ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების მიხედვით არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, მაშინ მისანშეწონილია გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტის (K1.1) 6 თვის პერიოდისათვის გაანგარიშება განხორციელდეს. ამასთან, ძირითადად მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მნიშვნელობა გამოიყენება საანგარიშო პერიოდის საწყისი და ბოლო თარიღისათვის, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$K1.1 = \frac{K1_{ფბ} + 6\,(K1_{ფბ} - K1_{ფს})/T}{K1_{ნორ}},$$

სადაც: $K1_{ფბ}$ – არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის;

$K1_{ფს}$ – არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა საწყისი საანგარიშო პერიოდისათვის;

$K1_{ნორ.}$ – არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ნორმატიული (ოპტიმალური) მნიშვნელობა ($K1_{ნორ.} = 2$);

6 არის გადახდისუნარიანობის აღდგენის პერიოდი, თვეებში;

T არის საანგარიშგებო პერიოდი, თვეებში (T = 3, 6, 9, 12).

თუ აღნიშნული კოეფიციენტის (K1.1) მნიშვნელობა 1-ზე მეტია, იგი საწარმოს მიერ თავისი *გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობაზე* მიუთითებს.

თუ საწარმოს ბალანსის სტრუქტურა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, ხოლო ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (K1, K4) ნორმატიულ მნიშვნელობებთან შესაბამისობაშია, მაშინ მისანშეწონილად არის მიჩნეული გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტი (K1.2) იქნეს გაანგარიშებული:

$$K1.2 = \frac{K1_{ფბ} + 3(K1_{ფბ} - K1_{ფს})/T}{K1_{ნორ}},$$

სადაც 3 – არის საწარმოს მიერ გადახდისუნარიანობის დაკარგვის პერიოდი, თვეებში.

თუ გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტის (K1.2) მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია, იგი იმაზე მიუთითებს, რომ საწარმო უახ-

ლოეს პერიოდში შეიძლება *გადახდისუნარიანობის დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდეს.*

საქმიანი აქტიურობის (ბრუნვადობის) კოეფიციენტი საწარმოს აქტივების ცალკეული მუხლის, ასევე, მისი ერთობლივი აქტივების ეფექტურად გამოყენების განსაზღვრაში გვეხმარება.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი ავსებს ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების შეფასების მეთოდიკას. ასევე, იგი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უფრო დასაბუთებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა. მაგალითად, საწარმოს ლიკვიდურობის გაზრდა შეიძლება მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების ხარჯზეც განხორციელდეს. თუ ამასთან პროდუქციის რეალიზებიდან ამონაგების შემცირება მოხდა, ამით უარესდება ბრუნვადობა, რაც, საბოლოო ჯამში, საწარმოს მუშაობაში ნეგატიურ ტენდენციებზე მიუთითებს.

ფინანსური ანალიზის პრაქტიკაში საწარმოს *საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლების სახით* გამოიყენება შემდეგი სახის კოეფიციენტები: სახსრების საერთო ბრუნვადობის, მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების, ძირითადი კაპიტალისა და დებიტორული დავალიანების კოეფიციენტები (იხ. ცხრ. 8.7).

ცხრილი 8.7

საქმიანი აქტიურობის (ბრუნვადობის) კოეფიციენტები

კოეფიცეინტი	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით
K9 – სახსრების საერთო ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგები რეალიზაციიდან/აქტივები	1 / (A1 + A7 + A8)
K10 – მობილური აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგები რეალიზაციიდან/საბრუნავი აქტივები	1 / A1
K11 – არამობილური აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგები რეალიზაციიდან/ ბრუნვის გარეშე აქტივები	1 / (A7 + A8)
K12 – დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგები რეალიზაციიდან/ დებიტორული დავალიანება	1/A4

მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები საწარმოს აქტივებისა და საკუთარი სახსრების გამოყენების ჯამურ ეფექტურობას, ასევე ქონებაში და პროდუქციის წარმოებაში დაბანდებების რენტაბელობასაც ახასიათებს, ანუ კონკრეტულ ფინანსურ შედეგს გამოხატავს (იხ. ცხ. 8.8).

ცხრილი 8.8

მომგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები

კოეფიციენტი	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით
K13 – გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი	მოგება / ამონაგები რეალიზაციიდან	4 / O1
K14 – აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი	მოგება / აქტივები	1 / (A1 + A7 + A8)
K15 – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი	მოგება / საკუთარი კაპიტალი	1/П5

გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტები მიუთითებს, რეალიზებული პროდუქციის თითოეული ლარიდან რა სიდიდის მოგებას ღებულობს საწარმო.

აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი საწარმოს მიერ მის აქტივებში ჩადებული თითოეული ლარიდან მიღებული მოგების სიდიდის მახასიათებელია.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი საწარმოს მიერ საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე მიღებული მოგების სიდიდის მახასიათებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *კრედიტის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის* საკლასიფიკაციო მოდელები გამოიყენება, რომელიც *ფირმა-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა*. ასეთი სახის გაუარესების რისკი შეიძლება შესაბამისი მაჩვენებლების საფუძველზე იქნეს გაანგარიშებული, რომელთა პარამეტრების საფუძველს ბუღალტრული ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებისა და გამასწორებელი კოეფიციენტების

მონაცემები წარმოადგენენ. *საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო სახით პროგნოზული შეფასება შეიძლება შემდეგი ფორმულით განხორციელდეს:*

სფმ (Z) = (K1 x P1) + (K2 x P2) +... +(Kn x Pn) ,

სადაც: სფმ (Z) არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება, რომლის მიხედვით გაკოტრების რისკი განისაზღვრება;

P1, P2 და ა.შ. არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგებების მონაცემების საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები;

K1, K2 და ა.შ. არის კოეფიციენტები, რომლებიც თითოეულ 1, 2 და ა.შ. მაჩვენებლებს წინასწარ მიენიჭება.

კორპორაციების გაკოტრების რისკის გამოთვლასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო ცნობილ მოდელად ითვლება ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფინანსების სფეროს პროფესორის ე. ალტმანის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც ყველა სახის კლიენტებს ორ ნაწილად ჰყოფს: წარმატებულად მომუშაე კომპანიები და გაკოტრებული კომპანიები. *ალტმანის მოდელის* მიხედვით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის (Z) გაანგარიშების ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

სფმ (Z) = (1,2 x P1) + (1,4 x P2) + (3,3 x P3) + (0,6 x P4) + (1,0 x P5) .

ალტმანის მეთოდის მიხედვით გაკოტრების კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის მონაცემები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული (იხ. ცხ. 8.9).

ცხრილი 8.9

ალტმანის მოდელი საწარმოს გაკოტრების რისკის გამოვლენასთან დაკავშირებით

	მაჩვენებლები	კოეფიციენტები
P1	სუფთა საბრუნავი ფონდები/საერთო აქტივები	+1,2
P2	რეზერვები/საერთო აქტივები	+1,4
P3	ერთობლივი მოგება/საერთო აქტივები	+3,3
P4	საკუთარი კაპიტალი/საერთო დავალიანება	+0,6
P5	ბრუნვები/საერთო აქტივები	+0,9
Z_{norm}	მულმივი ნორმატივი	2,675
Z	გაკოტრების ალბათობის ინტეგრალური (საანგარიშო) მაჩვენებელი	<2,675 ≥2,675

გაკოტრების ალბათობის (Z) მნიშვნელობაზე დამოკიდებულებით ხორციელდება (იხ. ცხრ. 8.10).

ცხრილი 8.10

საწარმოს გაკოტრების ალბათობის (Z) შეფარდების სკალა

Z-ის მნიშვნელობა	გაკოტრების ალბათობა
1,8 და ნაკლები მნიშვნელობა	ძალიან მაღალი
1,81-დან 2,7-მდე მნიშვნელობა	მაღალი
2,71-დან 2,9-მდე მნიშვნელობა	შესაძლო
3,0-დან და მეტი მნიშვნელობა	ძალიან დაბალი

პროფესორმა ე. ალტმანმა გაკოტრების ალბათობის სტატისტიკის შესწავლის საფუძველზე შემდეგი კანონზომიერება დაადგინა: თუ Z<2,675-ზე ფირმა გაკოტრების პოტენციალურ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ; თუ Z>2,675-ზე, მაშინ ფირმა წარმატებით მომუშავეთა ჯგუფს განეკუთვნება. ამასთან, აღნიშნული რაოდენობრივი მოდელი მისანშეწონილია მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის დამატებითი ინსტრუმენტის სახით იქნეს გამოყენებული, რადგანაც Z შეფასების კოეფიციენტები მოლოდინის ელემენტს მოიცავენ და ასეთი შეფასების მოდელი უფრო მსესხებლის შესაძლო გაკოტრების წინასწარი გაფრთხილების ნიშანს წარმოადგენს.

საწარმოს ფინანსური შეფასების სხვადასხვა მოდელი არსებობს, რომელთა შორის ამერიკელი მეცნიერის უ. ბივერის მიერ შემუშავებულ მოდელზე შევაჩერებთ ყურადღებას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე ხანგრძლივი სტატისტიკური დაკვირვებების საფუძველზე მეცნიერმა მაჩვენებლების ისეთი სისტემა შეიმუშავა, რომელიც საწარმოს ფინანსური კეთილდღეობის განსაზღვრისა და გარკვეული პერიოდის შემდეგ გაკოტრების დადგომის ალბათობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა (იხ. ცხრ. 8.11).

ცხრილი 8.11

საწარმოს გაკოტრების დიაგნოსტიკის მაჩვენებლების სისტემა უ. ბივერის მიხედვით

№ რიგზე	მაჩვენებელი	საანგარიშო ფორმულა	მაჩვენებლების მნიშვნელობა		
			წარმოებული საწარმოსათვის	გაკოტრებამდე 5 წლით ადრე	გაკოტრებამდე 1 წლით ადრე
1.	ბივერის კოეფიციენტი	(სუფთა მოგება + ამორტიზაცია)/(გრძელვადიანი ვალდებულებები + მოკლევადიანი ვალდებულებები)	0,4-0,45	0,17	-0,15

2.	აქტივების რენტაბელობა	სუფთა მოგება/აქტივები x100%	6-8	4	-22
3.	ფინანსური ლევერიჯი	(გრძელვადიანი ვალდებულებები+ მოკლევადიანი ვალდებულებები)/აქტივები	0,37	0,5	0,8
4.	აქტივების გადაფარვის კოეფიციენტი	(საკუთარი კაპიტალი-ბრუნვისგარეშე აქტივები)/აქტივები	0,4	0,3	0,06
5.	გადაფარვის კოეფიციენტი	საბრუნავი აქტივები/ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,2	2	1

საპროგნოზო მოდელების მაღალი მნიშვნელობის მიუხედავად, რომლებიც მთლიანობაში საწარმოთა ფინანსური პერსპექტივების კრედიტუნარიანობაზე და შეფასებაზეა ორიენტირებული, მათი პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით რიგი განსაზღვრული პრობლემებიც არსებობს. ამიტომ, უფრო ზუსტი შეფასების მიღწევის მიზნით, ბანკების უმეტესობა სხვადასხვა კოეფიციენტისა და მანიშნებლის კომბინირებას ახორციელებს.

საწარმოთა საკრედიტო რისკის შეფასების ეკონომიკურ-სტატისტიკურ პროგნოზულ მეთოდებს განსაზღვრული შედეგის მოტანა შეუძლია. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რისკის შეფასება არის ამა თუ იმ ფორმულით გაანგარიშების არა უბრალოდ სუფთა მექანიკური აქტი, არამედ საკმაოდ რთული პროცესი, რომელშიც მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს როგორც ანალიზის ტექნიკური ინსტრუმენტები, ისე საწარმოს კრედიტუნარიანობის ხარისხობრივი მახასიათებლებიც. სწორედ აღნიშნული საკითხის ხელშემწყობად საწარმოს საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის მეთოდიკები ითვლება, რომლებიც თავისთავად მსესხებლის კრედიტუნარიანობის ჯამური მანიშნებლისა და კომერციული ბანკის ინდივიდუალური საკრედიტო რისკის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საწარმოთა საკრედიტო რეიტინგი შემდეგი მიზნების მიღწევას ითვალისწინებს:

- ერთნაირსახეობრივი და სტრუქტურირებული კრიტერიების გამოყენების შედეგად კრედიტუნარიანობის შესახებ გადაწყვეტილების ხარისხის ამაღლება,
- ინდივიდუალური საკრედიტო რისკის ხარისხის განსაზღვრა,
- კონტროლის ინსტრუმენტის სახით საკრედიტო რეიტინგის გამოყენება,
- ბანკის მიერ მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ახალი

კლიენტების მოზიდვის შესაძლებლობების გამოვლენა,


- თითოეული ცალკეული შემთხვევისათვის რისკების უფრო ზუსტი შეფასების საფუძველზე კრედიტის ფასის რეგულირებისათვის საკრედიტო რეიტინგის გამოყენება.

საწარმოს დაკრედიტების რისკის რეიტინგული შეფასების მეთოდიკა ხარისხობრივი შეფასების რაოდენობრივ პარამეტრებში გადაყვანის შესაძლებლობას იძლევა, რაც რისკის დონის კომპლექსური მაჩვენებლის შემდგომი გაანგარიშებით მიიღწევა.

დაკრედიტების სფეროში ეროვნული და უცხოური ბანკების, კერძოდ, „ბერლინის ბანკის", გერმანული „ფოლკსბანკისა" და სხვების დაგროვილი გამოცდილების, ასევე „ბანკფახკლასსესა" და „ბანკმაღაზიის" სპეციალისებული გამოცემების მასალების გამოყენებით, უცხოელმა ექსპერტებმა, საკრედიტო რეიტინგის შედგენის საფუძველზე მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის განზოგადებული მეთოდიკა შეადგინეს, რაც საკმაოდ საინტერესოდ გვესახება და მის არსზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

საწარმოს დაკრედიტების რისკის შეფასება, ჩვეულებრივად, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ხორციელდება: საკრედიტო ისტორია (რეპუტაცია), ფინანსები, მენეჯმენტი, უზრუნველყოფა, ბაზარი/დარგი (იხ. სქემა 8.3).

სქემა 8.3. საწარმოს დაკრედიტების რისკის, საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის საფუძველზე შეფასების სქემა



ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის ექსპერტების მიერ შეფასების თითოეული მიმართულების მიხედვით წონითი კოეფიციენტები განისაზღვრება (იხ. ცხ. 8.12).

ცხრილი 8.12

საკრედიტო რისკის შეფასების კომპონენტები და მათი წონითი კოეფიციენტები

საკრედიტო რისკის შეფასების კომპონენტები	წილი
საკრედიტო ისტორია (რეპუტაცია)	0.10
ფინანსები	0.30
უზრუნველყოფა	0.25
მენეჯმენტი	0.15
ბაზარი/დარგი	0.20

მაჩვენებლის თითოეული ჯგუფისათვის მინიჭებული ქულების რაოდენობა 0-დან 100-მდე დიაპაზონში იმყოფება. რამდენად დაბალია ქულა, იმდენად უკეთესია მსესხებლის მდგომარეობა, ანუ იმდენად ნაკლებია საკრედიტო რისკი. ამასთან ერთად, 0-მეტად უარყოფითი შეფასებაა. თუ მაჩვენებლების რომელიმე ჯგუფისათვის მინიჭებულია ნულოვანი მნიშვნელობა, ან მათემატიკური მოქმედებების შედეგად ანალიზის რომელიმე მიმართულებას ნულოვანი შეფასება აქვს მიღებული, ასეთი მსესხებლის კრედიტუნარიანობა არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული.

მსესხებლის საკრედიტო ისტორიის ანალიზი, როგორც წესი, სამი ბოლო წლის, ან საწარმოს დაარსების მომენტიდან ხორციელდება. კრედიტებთან დაკავშირებით ვადაგადაცილებული დავალიანების არარსებობის შემთხვევაში მსესხებლის მიერ გასულ წლებში მიღებული საბანკო სესხების საერთო თანხა განისაზღვრება და, შესაბამისად, ქულების განსაზღვრული რაოდენობა მიენიჭება (იხ. ცხრილი 8.13.).

ცხრილი 8.13

მსესხებლის საკრედიტო ისტორიის (რეპუტაციის) შეფასება

მიღებული და დაფარული სესხები/ მოთხოვნილი კრედიტი	ქულა
3 წელზე მეტი	10
2-დან 3 წლამდე	30
1.5-დან 2 წლამდე	50
0.5-დან - 1.5 წლამდე	70
0.5 წელზე ნაკლები	90
საკრედიტო ისტორია არ გააჩნია (პირველი კრედიტი)	100

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკს მსესხებლის შესახებ არაკეთილსინდისიერების, დაუფარავი კრედიტების, შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ გააჩნია ინფორმაცია, მსესხებლის საკრედიტო ისტორია *ნულოვანი ბალით* განისაზღვრება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება ფინანსური კოეფიციენტების ნორმატიულ და საშუალო-დარგობრივ მნიშვნელობებთან შესაბამისობის ან არაშესაბამისობისობის პოზიციიდან ხოციელდება (ცხ. 8.14).

ცხრილი 8.14

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება

ფინანსური მაჩვენებლების ჯგუფის სახელწოდება	ნორმატიულთან ან საშუალო-დარგობრივ მნიშვნელობებთან შესაბამისობა	ქულა	წონითი კოეფიციენტი
ლიკვიდურობის მაჩვენებლები	❖ შეესაბამება ❖ არ შეესაბამება	10 30 50 70 90 100	0,3
ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები	❖ შეესაბამება ❖ არ შეესაბამება	10 30 50 70 90 100	0,25
საქმიანი აქტიურობის (ბრუნვადობის) მაჩვენებლები	❖ შეესაბამება ❖ არ შეესაბამება	10 30 50 70 90 100	0,15
რენტაბელობის მაჩვენებლები	❖ შეესაბამება ❖ არ შეესაბამება	10 30 50 70 90 100	0,20
საშუალოკვარტალური ბრუნვები მიმდინარე ანგარიშის მიხედვით/განსახილველი კრედიტის თანხა	3 წელზე მეტი	10	0,10
	1,5-დან – 3 წლამდე	30	
	1-დან – 1,5 წლამდე	50	
	0,5-დან – 1,0 წლამდე	70	
	0,3 – 0,5 წლამდე	90	
	0,3 წელზე ნაკლები	100	

კრედიტის მიწოდების საჭალდებულო პირობებს მსესხებლის მიერ თავისი საკრედიტო ვალდებულებების დროულად და სრულად აღსრულების უზრუნველყოფის არსებობა წარმოადგენს. ამასთან, უზრუნველყოფის ანალიზი ხორციელდება საკმარისობის საგანზე, ლიკვიდურობის ხარისხისა და ბანკის მიერ გირაოს საგანზე კონტროლის დონის მიხედვით. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით კრედიტთან მიმართებაში ვალდებულებების შესრულების რამდენიმე ფორმა შეიძლება იქნეს ერთდროულად გამოყენებული, რომელთა მნიშვნელობები ცხრილშია მოტანილი (იხ. ცხრ. 8.15).

ცხრილი 8.15

კრედიტის უზრუნველყოფის შეფასება

უზრუნველყოფის სახეობა	ქულა
საჭალტო ან ლარიანი დეპოზიტი	10
უძრავი ქონება	25
მთავრობის გარანტიები	20
ტექნიკა და საოფისე აქტივი	35
სამრეწველო მოწყობილობა	50
საჭაჭრო მოწყობილობა	30
სამრეწველო საქონელი	65
აქტიორანსპორტი	35
სასურსათო საქონელი	–
ფასიანი ქაღალდები	20
იურიდიული პირის თავდებობა	90
ფიზიკური პირის თავდებობა	100

„უზრუნველყოფის“ მიმართულების შეფასების მიზნით უზრუნველყოფის საკმარისობისა და ხარისხის საშუალო არითმეტიკული შეფასება გამოიყვანება. დაკრედიტების პრაქტიკაში ზოგჯერ საბლანკო კრედიტების, ანუ უზრუნველყოფის გარეშე კრედიტების მიწოდების შემთხვევებიც გვხვდება. ამასთან, თუ საკრედიტო ხელშეკრულების პირობები ასეთი სახის დაკრედიტებას არ ითვალისწინებს, მაშინ უზრუნველყოფის საკმარისობას საკვანძო როლი ეკისრება. როგორც წესი, უზრუნველყოფის შეფასებითი ღირებულება 30-50%-ით მეტი უნდა იყოს ძირითადი ვალისა და კრედიტზე დარიცხული პროცენტების ჯამურ მოცულობასთან მიმართებაში. ამიტომ უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში ან მისი მნიშვნელოვნად არასაკმარისობისას ანალიზის აღნიშნული მიმართულებით შეიძლება ნულოვანი შეფასება იქნეს გამოყენებული.

მენეჯმენტის ხარისხის შეფასება საკუთრების ფორმის, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, საწარმოს ხელმძღვანელის ტიპის შესახებ მონაცემების საფუძველზე შეიძლება გახორციელდეს, როგორც ეს ცხრილშია მოცემული (იხ. ცხრ. 8.16).

ცხრილი 8.16

საწარმოს მენეჯმენტის ხარისხის შეფასება

მაჩვენებლების ჯგუფის სახელწოდება	შინაარსი	ქულა	წონითი კოეფიციენტი
საკუთრების ფორმა	სახელმწიფო საწარმო	20	0,2
	საწარმო საკუთრების შერეული ფორმით	25	
	კერძო საწარმოები	50	
	რეორგანიზებული საწარმო (კოლექტიური) საკუთრება	75	
მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა	კლასიკური საწარმო	10	0,3
	სათავეო საწარმო	25	
	შვილობილი საწარმო	25	
	მცირე საწარმო	75	
	კერძო მეწარმე	100	
ხელმძღვანელის ტიპი	საკვანძო ფიგურა	70	0,5
	კლასიკური ხელმძღვანელი	15	
	აღმასრულებელი დირექტორი	50	
	ტექნიკური დირექტორი	75	
	წარმომადგენლობითი პირი	100	

საკუთრების მიხედვით ჩვეულებრივად გამოიყოფა:

- სახელმწიფო საწარმო;
- საწარმო საკუთრების შერეული ფორმით;
- კერძო საწარმო;
- რეორგანიზებული სახელმწიფო საწარმო (საკუთრების კოლექტიური ფორმა).

სახელმწიფო საწარმოს მიეკუთვნება - სამრეწველო, სავაჭრო საწარმოები და მომსახურების სფეროს საწარმოები, რომლებიც ცენტრალურ-რესპუბლიკურ, სამხარეო, რაიონულ, მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენენ. სახელმწიფოს წილი მოცემულ საწარმოებში 100%-ს შეადგენს.

საწარმოები საკუთრების შერეული ფორმით შეიძლება შექმნილ იქნეს სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობს კერძო, უცხოური, ან სამამულო კაპიტალი. ამასთან, სახელმწიფო შეიძლება 51% და მეტი მოცულობის აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობდეს, ან თავისი კაპიტალით საწარმოს საქმიანობაში უბრალოდ მონაწილეობდეს.

კერძო საწარმო 100%-ით კერძო კაპიტალის ხარჯზეა შექმნილი.

რეორგანიზებული კერძო საწარმო არის ისეთი საწარმო, რომელიც ყოფილი სახელმწიფო საწარმოს აქციონირების გზით არის შექმნილი. ჩვეულებრივად, ახლად შექმნილი საწარმოს აქციებზე ხელმოწერა შრომითი კოლექტივის წევრებს შორის ერცელდება.

ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით საწარმოები შემდეგ სახეებად შეიძლება დაიყოს:

- კლასიკური საწარმო;
- ჰოლდინგის, კონსორციუმის, ფინანსური ჯგუფისა და სხვა სახეობის სათაო საწარმო;
- შვილობილი საწარმო;
- მცირე საწარმო;
- კერძო მესაკუთრე.

კლასიკური საწარმო არის საწარმო, რომელიც ფლობს საკუთარ სახსრებს, მუშაობს დამოუკიდებლად და არც ერთ ჰოლდინგში, ჯგუფში და ა.შ. არ შედის.

ჰოლდინგის სათაო საწარმო არის მართვადი ჰოლდინგური საწარმო კომპანია, რომელიც განსაკუთრებულ სტატუსს ფლობს და სამი და მეტი ორგანიზაციის ჯგუფში წამყვან როლს ასრულებს.

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელიც როგორც ჰოლდინგის სტრუქტურული ქვედანაყოფის, ან საწარმოთა ჯგუფის სახით არის წარმოქმნილი. მისი საქმიანობა სათაო ოფისის მიმართ ანგარიშვალდებულია და მთლიანობაში ჰოლდინგის სტრატეგიული მიზნების მიღწევას ექვემდებარება.

მცირე საწარმო განსხვავდება ანგარიშზე მცირე ბრუნვებით, მუშაკთა მცირე რიცხოვნებითა და ბაზარზე უმნიშვნელო წილით.

კერძო მესაკუთრე მცირე ბიზნესის სფეროში მუშაობს, როგორც წესი, იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე.

ხელმძღვანელის ტიპზე დამოკიდებულებით საწარმოები შეიძლება ორგანიზაციებად დაიყოს, რომლებშიც ხელმძღვანელი წარმოადგენს:

- საკვანძო ფიგურას;
- კლასიკურ ხელმძღვანელს;
- აღმასრულებელ დირექტორს;
- ტექნიკურ დირექტორს;
- წარმომადგენლობით პირს.

საკვანძო ფიგურა არის ხელმძღვანელი, დირექტორი, საწარმოს

ძირითადი მფლობელი და დამფუძნებელი, რომელიც თავს უყრის მომწოდებლებისა და მყიდველების პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან კონტაქტს. აღნიშნული ხელმძღვანელის, დირექტორის თანამდებობიდან წასვლა საწარმოს გაკოტრების ტოლფასია.

კლასიკური ხელმძღვანელი არის დირექტორი, რომელიც, მთლიანობაში, წესდების შესაბამისად მუშაობს, წყვეტს ფინანსური და საწარმოო საკითხების უმეტეს ნაწილს, გარდა სტრატეგიულისა, რომელიც აქციონერების კომპეტენციას განეკუთვნება.

აღმასრულებელი დირექტორი არის ხელმძღვანელი, რომელიც მიმდინარე ფინანსურ საკითხებ'ხეა პასუხისმგებელი. სტრატეგიულ საკითხებს საწარმოს მფლობელი წყვეტს.

ტექნიკური დირექტორი არის ხელმძღვანელი, რომელიც მხოლოდ საწარმოო საკითხების გადაწყვეტით არის უფლებამოსილი. ყველა ფინანსური საკითხის გადაწყვეტა საწარმოს მფლობელის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

წარმომადგენლობითი პირი არის დირექტორი, რომელიც მხოლოდ ნომინალურ ფიგურას წარმოადგენს. საწარმოს მთლიან მართვას ძირითადი მფლობელი ახორციელებს, რომელიც, ამასთან, უმთავრესად, „ჩრდილში" იმყოფება.

ბა'ზრის ან დარგის შეფასება, რომელშიც კრედიტის მიმღები საწარმო მუშაობს, მაჩვენებლების შემდეგი ჯგუფების მიხედვით ხორციელდება:

- ეკონომიკის დარგი;
- ბა'სარ'ზე წილი;
- კონკურენციის დონე.

ბაზარი/დარგის შეფასების მიმართულების მიხედვით ჯამური მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის მონაცემები ცხრილშია მოცემული (იხ. ცხრ. 8.17).

ცხრილი 8.17

საბაზრო კონიუნქტურის შეფასება
(ბაზარი/დარგის მიმართულება)

მაჩვენებლების ჯგუფის სახელწოდება	შინაარსი	ქულა	წონითი კოეფიციენტი
ეკონომიკის დარგი	ენერგეტიკა	25	0,3
	შავი მეტალურგია	10	
	ქიმიური მრეწველობა	75	
	მანქანათმშენებლობა	60	
	სატყეო, ხის დამამუშავებელი მრეწველობა	50	
	კვების მრეწველობა	50	
	ტრანსპორტი	100	
	მშენებლობა	100	
	სოფლის მეურნეობა	100	
	ვაჭრობა	50	
	დანარჩენი დარგები	75	
წილი ბაზარზე, %	1-ზე ნაკლები	100	0,3
	1-დან 3-მდე	85	
	3-დან 5-მდე	70	
	5-დან 24-მდე	50	
	25-დან 50-მდე	35	
	51-ზე მეტი	25	
	მონოპოლია	10	
კონკურენციის ღონე	დაბალი	25	0,4
	საშუალო	50	
	მაღალი	75	
	ძალიან მაღალი	100	

საწარმო-მსესხებელის საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის მექანიზმი მეტად უბრალოა. დაკრედიტების რისკის შეფასების თითოეული მიმართულების მიხედვით საშუალო ქულის გაანგარიშება ხორციელდება, რაც ამა თუ იმ მაჩვენებლის მიხედვით მიღებული ქულების შესაბამის წონით კოეფიციენტებზე გადამრაელებით მიიღება. აღნიშნულის ბოლო სტადიაზე კრედიტის მიმღების ჯამური რეიტინგი განისაზღვრება. საკრედიტო რისკის შეფასების თითოეული მიმართულების მიხედვით ქულების რაოდენობა მრავლდება მათ ერთობლიობაში თითოეული მიმართულების მნიშვნელობაზე (წონა). ჯამური მაჩვენებლის გაანგარიშების შედეგად საწარმო-კრედიტის მიმღებს რისკის კატეგორია მიენიჭება (იხ. ცხრ. 8.18).

ცხრილი 8.18

საწარმოს საკრედიტო რისკის დონის ჯამური შეფასება

ქულების საერთო რაოდენობა	რისკის კატეგორია	რისკის შეფასება
10–დან-20-მდე	1	მინიმალური
21-დან-40-მდე	2	დაბალი
41–დან-60-მდე	3	საშუალო
61-დან-80–მდე	4	მაღალი
81 და მეტი	5	ძალიან მაღალი
0 ქულა	X	მიუღებელი

მსესხებლის საკრედიტო რეიტინგზე დაყრდნობით. ბანკი თავისი საპროცენტო პოლიტიკის რეალიზაციისათვის დამატებით შესაძლებლობას ღებულობს. ასე მაგალითად, საწარმოებზე, რომლებიც რისკის პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან, კრედიტები მინიმალურად დასაშვები პროცენტული განაკვეთით შეიძლება გაიცეს, მაშინ როდესაც დაკრედიტების უფრო მაღალი რისკიანი საწარმოებისათვის კრედიტზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი უნდა დადგინდეს.

ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ცალკეული მაჩვენებლის ქულებიანი შეფასება და მაჩვენებლების ჯგუფების წონითი კოეფიციენტები ექსპერტების მიერ პერიოდულად უნდა გადაისინჯოს და კორექტირება განხორციელდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და ბანკის ინდივიდუალური საკრედიტო რისკის სწორი შეფასება შესაძლებელი.

საწარმოს საკრედიტო რეიტინგის შეფასების მეთოდიკა

საკრედიტო რეიტინგის ანგარიში			
კლიენტის N _____	საბუღალტრო აღრიცხვის კოდი _____	ბალანსი _____ მფლობელობით	წინა წლის რეიტინგი _____
ფირმა / კლიენტი _____		კრედიტი თანხით (ათ. ლარებში) _____	
საქმიანობის სფერო: _____		საკრედიტო ხაზი (ათ ლარებში) _____	

საიმედოობისა და სხვა კრიტერიუმების შეფასების ჯგუფები: შეფასება 1-6

1. მენეჯმენტი:	1	2	3	4	5	6
1.1. საწარმოს ხელმძღვანელის პროფესიონალიზმი		X				
1.2. ფუნქციური დელეგირებულობა და კონტროლის წარმოების ხარისხი			X			
ქულების ჯამი / კრიტერიუმის რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	5 / 2 = 2.5					


2. ბაზარი / დარგი:	1	2	3	4	5	6
2.1. ბაზრის / დარგის განვითარება		X				
2.2. კონკურენტის განვითარებისაგან დამოუკიდებლობა			X			
2.3. პროდუქციის მანვენებლებისა და მიწოდებების გეოგრაფია				X		
2.4. ექსპორტ-იმპორტული რისკები			X			
2.5. კონკურენციის ინტენსიურობა		X				
2.6. პროდუქცია და მისი ალტერნატივები		X				
2.7. საწარმოო ხიდლაურები			X			
ქულების ჯამი / კრიტერიუმის რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	19 / 7 = 2.7					

3. კლიენტთან ურთიერთობა:	1	2	3	4	5	6
3.1. ხანგრძლივობის არსებობა		X				
3.2. კლიენტის გაჩხრეკილობა ბანკთან მიმართებაში			X			
ქულების ჯამი / კრიტერიუმის რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	5 / 2 = 2.5					

4. ეკონომიკური პირობები:	1	2	3	4	5	6
4.1 წლიური ბალანსის შეფასება			X			
4.2. ქონების საერთო მდგომარეობა						
ქულების ჯამი / კრიტერიუმის რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	3 / 1 = 3					

5. საწარმოს განვითარების პერსპექტივა:	1	2	3	4	5	6
5.1. საწარმოს განვითარება			X			
5.2. საწარმოო დაგეგმვა			X			
5.3. კლიენტის შეზღუდულობისა და მომსახურების დაგეგმვა			X			
5.4. განსაკუთრებული საწარმოო რისკები						
ქულების ჯამი / კრიტერიუმის რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	13 / 4 = 3.3					

ქულების ჯამი / თითოეული ჯგუფის მიხედვით/ ჯგუფების რაოდენობა=საიმედოობის საშუალო კოეფიციენტი	14 / 5 = 2.8



8.3. ბანკის მსესხებელი ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მეთოდი

ბანკთაშორისი კონკურენციის ზრდის პირობებში მოსახლეობის დაკრედიტების სისტემის მუდმივი გაუმჯობესება, ბანკისათვის, მისი, როგორც უნივერსალური საკრედიტო დაწესებულების საზოგადოებრივი იმიჯის ფორმირების, ასევე, კერძო (ფიზიკურ) პირებთან საკრედიტო ოპერაციების გახორციელებისაგან დამატებითი წყაროს მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ეროვნული საბანკო ბიზნესის აღნიშნული სფერო, ბოლო წლებში მიუხედავად მისი ინტენსიური განვითარებისა, ზრდის სულ უფრო მნიშვნელოვან რესურსებს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, დასავლეთის ქვეყნების მაგალითი საკმაოდ საყურადღებოა, სადაც მოსახლეობაზე და საწარმოებზე გაცემული სესხების მოცულობის თანაფარდობა 50:50-ის სიდიდის მაჩვენებელს უახლოვდება, ეროვნულ საბანკო სისტემაში კი მისი თანაფარდობა, ჯერჯერობით, მიახლოებით 5:95-ის დონეზეა.

კომერციული ბანკების მხრიდან მოსახლეობასთან საკრედიტო ოპერაციების გახორციელებაში სუსტი დაინტერესება მათი მაღალი საოპერაციო ხარჯებითა და დანახარჯებთან შემოსავლიანობის დონის შეუსაბამობით არის განპირობებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის საბანკო ოპერაციებს საკრედიტო რისკისადმი მნიშვნელოვნად ნაკლები მიდრეკილება გააჩნია, ვიდრე იურიდიული პირების დაკრედიტების შემთხვევაში. შესაბამისად, ეროვნული საკრედიტო ბაზრის მოცემულ სეგმენტს მეტი ყურადღება და ინტენსიური განვითარება მართებს.

საბანკო პრაქტიკაში ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის განსაზღვრისათვის, როგორც წესი, ორი ურთიერთდაკავშირებული – ლოგიკური და სკორინგული (scoring – ქულებიანი – ბალური) მეთოდები გამოიყენება.

ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების *ლოგიკური მეთოდი* საექსპერტო შეფასებაზე და პროგნოზირებაზეა დაფუძნებული და იგი პოტენციური მსესხებლის (ფიზიკური პირის) პირადული ხარისხისა და ფინანსური მდგომარეობის შეწონილი ანალიზის განხორციელებას ითვალისწინებს. საექსპერტო შეფასება ერთეულების მაჩვენებლების სხვებთან მიმართებაში უპირატესობის ხარისხის მახასიათებელია. არსებული ინფორმაციების საფუძველზე ბანკის საკრედიტო მენეჯერი მსესხებლის „განზოგადოებულ სახეს“ დაად-

ვენის და მას „სტანდარტულ სახეებთან" ადარებს, რომელსაც აღრე განხორციელებული დაკრედიტების გამოცდილების საფუძველზე, რისკის განსაზღვრული ჯგუფი აქვს მინიჭებული.

კერძო პირების კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგულმა მეთოდმა განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაში საკმაოდ ფართო გამოყენება მიიღო. იგი საკრედიტო განაცხადის ანუ ანკეტის თითოეული პოზიციის მიხედვით ქულების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული. ბანკებში გამოყენებული შეფასების ქულებიანი (ბალური) სისტემა, მათემატიკური და ფაქტორული ანალიზის გამოყენებით, ემპირიულ მიდგომაზეა დაფუძნებული. აღნიშნული სისტემა „საიმედო" და „უიმედო" კრედიტების შესახებ ისტორიულ მონაცემებს ეყრდნობა და იგი მსესხებლის შეფასების მატერიალური დონის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, კლიენტების (ფიზიკური პირი) კრედიტუნარიანობის სკორინგული მეთოდით შეფასებისას ერთმანეთისაგან პირდაპირი და ირიბი მეთოდიკები უნდა განვასხვაოთ.

პირდაპირი მეთოდიკა პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად გვხვდება და მას კლიენტის მიერ დაგროვილი ქულების (ბალი) ჯამს ფაქტიურად კრედიტის იმ ჯამს უდარებენ, რაზედაც მსესხებელი დასაბუთებულ პრეტენზიას აცხადებს.

ირიბი მეთოდიკა საბანკო საქმიანობაში უფრო ფართოდ არის გავრცელებული. მისი ძირითადი შინაარსი სხვადასხვა შეფასებითი მანევრებლებისათვის განსაზღვრული წონითი (ქულების) მინიჭებაში მდგომარეობს, ხოლო დაგროვილი ქულების საერთო ჯამის საფუძველზე დადგენილი შეფასების შედეგი კი – კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის დადგენას ემსახურება.

სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებით მსესხებლის არჩევის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საკრედიტო სკორინგის ტექნიკა პირველად ამერიკელი ეკონომისტის დ. დიურანის მიერ XX ს. 40–იანი წლების დასაწყისში იყო შემოთავაზებული. დ. დიურანმა ფაქტორების ისეთი ჯგუფი გამოავლინა, რომლებმაც მას სამომხმარებლო კრედიტის ამღები მსესხებლის საიმედობისა და საკრედიტო რისკის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობა მისცა. „კარგი" და „ცუდი" კრედიტების მიხედვით მიღებული მონაცემების ბაზაზე დაკვირვების შედეგად ქულების დარიცხვისას მან კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობები გამოიყვანა:

- *წლოვანება*: 20 წელს ზევით თითოეულ წელზე 0,01 (მაქსიმუმი - 0,3);
- *სქესი*: ქალი- 0,4; მამაკაცი- 0;

- *ცხოვრების ვადა:* მოცემულ ადგილას ცხოვრების თითოეულ წელ'ზე 0,042 (მაქსიმუმი - 0,42);
- *პროფესია:* 0,55- დაბალი რისკის პროფესიისათვის, 0 მაღალი რისკის პროფესიისათვის, 0,16 - სხვა პროფესიებისათვის;
- *მუშაობა დარგში:* 0,21 სახოგადოებრივი სექტორის საწარმოებისათის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ბანკებისათვის, საბროკერო ფირმებისათვის.
- *დასაქმება:* მოცემულ საწარმო'ში მუშაობის თითოეულ წელზე 0,059 (მაქსიმუმი - 0,59);
- *ფინანსური მაჩვენებლები:* 0,45 - საბანკო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, 0,35 - უძრავი ქონების ფლობის შემთხვევაში, 0,19 - სიცოცხლის დაზღვევის პოლისის არსებობის შემთხვევაში.

აღნიშნული კოეფიციენტების გამოყენებით დ. დიურანმა კლიენტების "საიმედო" და „ცუდ" მსესხებლებზე მიკუთვნების კრიტერიუმები განსაზღვრა. კლიენტი, რომელიც 1,25 ქულას დააგროვებდა, იგი უმნიშვნელო ან ზომიერი რისკის ჯგუფზე შეიძლება მიკუთვნებულიყო, ხოლო 1,25-ზე ნაკლებქულიანი კლიენტი ბანკისათვის არასასურველ კლიენტად მიიჩნეოდა.

ბანკებმა ინდივიდუალური მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მი'ზნით შეიძლება შემდეგი სისტემა გამოიყენონ (იხ. ცხრ. 8.20).

ცხრილი 8.20

კლიენტის მახასიათებლები	ქულები	კლიენტის მახასიათებლები	ქულები
1. კლიენტის წლოვანება:		**6. პროფესია, მუშაობის ადგილი:**	
30 წელ'ზე ნაკლები	5	მმართველი	9
50 წელზე ნაკლები	8	კვალიფიცირებული მუშა	7
50 წელზე მეტი	6	არაკვალიფიცირებული მუშა	5
2. კმაყოფაზე ჰყავს:		სტუდენტი	4
არა	3	პენსიონერი	6
ერთი	3	უმუშევარი	2
3-ზე ნაკლები	2		
3-ზე მეტი	1		
3. საყოფაცხოვრებო პირობები:		**7. დასაქმების ხანგრძლივობა:**	
საკუთარი ბინა	10	1 წელ'ზე ნაკლები	3
არენდით აღებული ბინა	4	3 წელზე ნაკლები	4
სხვა (ცხოვრობს ამხანაგებთან, ოჯახთან)	5	6 წელ'ზე ნაკლები	7
		6 წელზე მეტი	9

4. ცხოვრების ხანგრძლივობა მითითებულ მისამართზე:		8. ბანკში ანგარიშის არსებობა:	
6 თვეზე ნაკლები	2	მიმდინარე და საშემნახველო	6
2 წელზე ნაკლები	4	მიმდინარე	3
5 წელზე ნაკლები	6	საშემნახველო	2
5 წელზე მეტი	8	არ აქვს	0
5. კლიენტის შემოსავალი (წელიწადში):		9. რეკომენდაციის არსებობა (მათ შორის საფინანსო ინსტიტუტების):	
10000 ლარამდე	2		
30 000 ლარამდე	5	ერთი	3
50 000 ლარამდე	7	ორზე მეტი	5
50 000 ლარზე მეტი	9	არ აქვს	1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქულების უდიდესი რაოდენობა, რომლის მოცემული საკრედიტო სკორინგის 9-ფაქტორიან მოდელში შეუძლია დააგროვოს კლიენტმა 67-ის, ხოლო უმცირესი რაოდენობა – 20-ის ტოლია. წინა წლების დაკრედიტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ბანკს შეუძლია კრედიტორის რეიტინგთან მიმართებაში ე.წ. ქვედა საღვრის დონე დაადგინოს, რომლის დროს კრედიტი არ გაიცემა (იხ. ცხ. 8.21).

ცხრილი 8.21

საკრედიტო სკორინგის მეთოდიკის საფუძველზე კრედიტების დიფერენციაციის სისტემა

ქულების რაოდენობა (კლიენტის საკრედიტო სკორინგი)	მისაღები გადაწყვეტილება კრედიტთან დაკავშირებით
40-ზე ნაკლები	კრედიტის გაცემაზე ეთქვას უარი
40–დან 45-მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 1000 ლარამდე
45-დან 50-მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 2000 ლარამდე
50–დან 55-მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 5000 ლარამდე
55-დან 60–მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 7000 ლარამდე
60-დან 65-მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 10 000 ლარამდე
65-დან 67-მდე	კრედიტი გაიცეს თანხით 20 000 ლარამდე

ინდივიდუალური მსესხებლის კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების სახით შეიძლება კლიენტის სხვა სახის პარამეტრები და მახასიათებლებიც იქნეს გამოყენებული, როგორიცაა: კლიენტთან გარიგების დაფინანსებაში მონაწილეობა, კრედიტის მიზანი, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება, წლიური შემოსავალი, საშუალო ნაშთი საბანკო ანგარიშებზე, საკრედიტო ბარათების ფლობა,

თეორი შემოსავლიდან სესხზე გადასახადის წილი პროცენტულად. ინდივიდუალური კლიენტის კრედიტუნარიანობის სკორინგულ შეფასებას შეიძლება შემდეგი სახეც ჰქონდეს (იხ. ცხ. 8.22).

ცხრილი 8.22

ინდივიდუალური კლიენტის კრედიტუნარიანობის სკორინგული შეფასება

მაჩვენებლები	მაჩვენებლების მნიშვნელობა, წონა (ქულებში)				
1. წლიური შემოსავალი (სულ), ათ. ლარებში.	<10	10-20	20-40	40-60	>60
ქულები	5	15	30	45	60
2. სესხის დასაფარავად ყოველთვიური გადასახადი %-ში თვიურ სუყთა შემოსავალთან მიმართებაში	>40	30-40	20-30	10-20	<10
ქულები	0	5	20	35	50
3. ბანკთან ურთიერთობა, ანგარიშის არსებობა	არ აქვს	მოთხოვნამდე	საშემნახველო	ორი ანგარიში	პასუხი არ აქვს
ქულები	0	30	30	50	0
4. საკრედიტო ბარათის ფლობა	არ აქვს	1-ზე მეტი	პასუხი არ აქვს	–	–
ქულები	0	30	0	–	–
5. საკრედიტო ისტორია	ბოლო 7 წლის განმავლობაში დარღვევები	მონაცემები არ არის	სესხის თავისდროული დაფარვა	–	–
ქულები		0	30	–	–
6. მსესხებლის წლოვანება, წელი	≤10 <50	>50	პასუხი არ არის	–	–
ქულები	5	25	0	–	–
7. საცხოვრებელი ადგილი	იჯარა	საკუთ. სახლი	სრული მფლ.	პასუხი არ არის	–
ქულები	15	40	50	15	–
8. მუდმივად ცხოვრება ერთ მისამართზე	< 1 წელზე	1-2 წელი	2-4 წელი	>4 წელზე	პასუხი არ არის
ქულები	0	15	35	50	0
9. ერთ საწარმოში მუდმივად მუშაობა	<1 წელზე / 1-2 წელი	2-4 წელი	>4 წელი	პენსიონერი	უმუშევარი
ქულები	5 / 20	50	70	70	5

მოსახლეობის დაკრედიტების გამოცდილება მოწმობს, რომ მაღალქულიანი პრეტენდენტები სამომხმარებლო კრედიტს უფრო ხშირად ღებულობენ: ადრე აღებული სესხის დროულად (აკურატული) დაფარვის, სტაბილური შემოსავლის (უპირველეს ყოვლისა, შრომის ანაზღაურება), ერთ ადგილზე სამუშაოს ხანგრძლივობისა და მოცემულ მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობის, საკუთარი საცხოვრებელი ბინის არსებობის საფუძველზე. დასაქმების სფეროს შეფასებისას უპირატესობა ისეთ სამსახურს ენიჭება, სადაც მუდმივი შემოსავლის უზრუნველყოფა უპირატესად არის გარანტირებული.

კერძო პირების კრედიტუნარიანობის სკორინგული შეფასების მეთოდის ძირითადი უპირატესობა გამოიხატება: კრედიტთან მიმართებაში საკმაოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფაში, სესხის დაუბრუნებლობის დონის შემცირებაში, აგრეთვე, საკრედიტო განაცხადების სწრაფ დამუშავებაში და აღნიშნულის საფუძველზე ბანკის განსაზღვრული ხარჯების შემცირებაში. შეფასების სკორინგული სისტემა მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრისას მნიშვნელოვნად ასუსტებს „სუბიექტივიზმის“ ფაქტორის ზემოქმედებას.

სკორინგული მეთოდი პოტენციალური კლიენტის მიერ შევსებული ანკეტის საფუძველზე, მისი თანდასწრებით ექსპრეს-ანალიზის გახორციელებისა და მსესხებლის მიერ ბანკისადმი მიმართვის მომენტიდან 15-20 წუთის განმავლობაში კლიენტის შესაძლო დაკრედიტების შესახებ პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამიტომ არის, რომ ბანკების უმეტესობა კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით უპირატესობას სწორედ სკორინგულ მეთოდს ანიჭებენ.

შეფასების აღნიშნული სკორინგული სისტემა სტატისტიკურად საკმაოდ გულმოდგინედ უნდა იქნეს შემოწმებული. იგი ბანკის საკრედიტო მენეჯერისაგან მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს და ინფორმაციისა და შეფასების მეთოდიკის მუდმივად განახლებას საჭიროებს. აღნიშნულ მაღალტექნოლოგიურ მეთოდს წარმოადგენს და იგი, ძირითადად, სოლიდურ ბანკებში პოვებს გამოყენებას, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობის კლიენტურას ემსახურებიან და სამომხმარებლო დაკრედიტების განვითარების პროგრამების რეალიზებას, პლასტიკური საკრედიტო ბარათების ემისიას და სხვა მნიშვნელოვან ოპერაციებს ახორციელებენ.

თანამედროვე პირობებში სამომხმარებლო კრედიტის ბაზრის განვითარების, მასზე საკუთარი სეგმენტის დაუფლების, ასევე,

საკრედიტო და საეჭვო ორგანიზაციებს შორის პარტნიორული კავშირების განმტკიცების მიზნით, ბანკების უმეტესობა სულ უფრო ახალი სახეობის საბანკო მომსახურების პოპულარიზაციის აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს.

განვიხილოთ მაგალითი – ბანკის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ მაღაზიაში იმყოფება, საქონლის (ნივთის) კრედიტში შეძენის მსურველი მოქალაქეებისაგან პირადად შეევსებულ ანკეტებს ღებულობს, რომელიც კლიენტის (ფიზიკური პირის) შესახებ საჭირო სრულ ინფორმაციას მოიცავს. სპეციალური მოწყობილობების მეშვეობით აღნიშნული მონაცემები ოპერატიულად ბანკის შესაბამის ქვედანაყოფში გადაიცემა, სადაც საკუთარი საარქივო მასალებისა და საკრედიტო ბიუროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე უმოკლეს პერიოდში (30 წუთამდე) კრედიტის გაცემის (ან უარის თქმის) შესახებ ოპერატიულად მიიღება გადაწყვეტილება.

დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაკრედიტების პარამეტრები (საპროცენტო განაკვეთის სიდიდე, თანხა, სესხის ვადა, საკუთარი საწყისი შენატანის სიდიდე) მსესხებლის მიერ დაგროვილი ქულების მიხედვით დგინდება და მსესხებლის მიერ შესაძენი საქონლის სოციალური დანიშნულების მიხედვით განისაზღვრება.

ამრიგად, *კლიენტის (ფიზიკური პირის) კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული (*scoring – *ქულებიანი – ბალური) მეთოდის გამოყენება ბანკისათვის სამომხმარებლო კრედიტზე მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების მნიშვნელოვან, სწრაფ და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს* და იგი თავისი საკლიენტო ბაზის გაფართოების, სამომხმარებლო კრედიტის გაცემის ხელშეწყობისა და, საბოლოო ჯამში, საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მხრიდან მათზე მოთხოვნის სტიმულირების საკმაოდ ეფექტურ ინსტრუმენტად გვესახება.

თავი IX. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალებები

9.1. ზოგადი დებულებები

უზრუნველყოფა არის კრედიტორის (ბანკის) წინაშე მსესხებლის საგარანტიო ვალდებულებების სახეობები და ფორმები კრედიტის შესაძლო დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

ინგლისურ-ამერიკული სკოლის ბანკირების აზრით, აუცილებელია კრედიტორმა იქონიოს ორი, უმჯობესია კი სამი „უსაფრთხოების ხოლი", რომელიც დაიცავს მას მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების შეუსრულებლობისაგან. „პირველი ხოლი" ეს არის ნაღდი ფულის ნაკადი, შემოსავალი (მთავარი წყარო მსესხებლის მიერ კრედიტის დაფარვისათვის). „მეორე ხოლი" არის ის აქტივები, რომელსაც მსესხებელი სთავაზობს კრედიტის დაფარვის უზრუნველყოფისათვის. „მესამე ხოლი" დაკავშირებულია გარანტიებთან, რომლებსაც იძლევიან იურიდიული (მრავალ ქვეყანაში კი ფიზიკური) პირები კრედიტის უზრუნველყოფისათვის.

მთელი რიგი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში გათვალისწინებულია, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულება შეიძლება განმტკიცდეს უზრუნველყოფის ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა: გირაო, პირგასამტეხლო, საბანკო გარანტია, თავდებობა, ბე და სხვა ხერხები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით.

ყოველი დასახელებული ხერხის მიზანია, აიძულოს მსესხებელი შეასრულოს თავისი საკრედიტო ვალდებულება, მაგრამ შესაძლებელია უზრუნველყოფის სხვადასხვა ხერხის კომბინაცია (გირაოს და საბანკო გარანტიის, ბეს და კრედიტის დაბრუნების დაზღვევის და ა.შ.), რაც არ ეწინააღმდეგება კანონს.

ყველა უზრუნველმყოფელი ვალდებულება დამატებითია ძირითადი ვალდებულებისადმი, განხილულ შემთხვევაში - საკრედიტო ვალდებულებისადმი. სხვა სიტყვებით, მთავარი ვალდებულება განსაზღვრავს დამატებითი ვალდებულების ბედს, ამიტომ:

– ძირითადი ვალდებულების (საკრედიტო ხელშეკრულების) მოქმედების შეწყვეტისას წყდება დამატებითი ვალდებულების (გირაოს, ბეს, თაოდებობის და ა.შ.) მოქმედება, გარდა საბანკო გარანტიისა, რომელიც არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებებზე;
– კრედიტორის თანხმობის და კრედიტის ნაწილის დაფარვის შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილი ვალდებულების თანხა (მოცულობა) პროპორციულად შემცირდეს.[9]

ამავე დროს, თუ შეთანხმება უზრუნველყოფილი ვალდებულების შესახებ ამა თუ იმ მიზნით კარგავს ძალას, ეს არ იწვევს ძირითადი ვალდებულების გაბათილებას (საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია კრედიტების დაფარვის უზრუნველყოფის ძირითადი ხერხების დახასიათება.

9.2. გირაო

გირაო არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ხერხი, რომელიც აიძულებს მსესხებელს, შეასრულოს თავისი მოვალეობები საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით - დაუბრუნოს კრედიტორს ვალი.

გირაოს ქვეშ სამოქალაქო სამართალში იგულისხმება კრედიტორის (მოგირავნის) უფლება სხვა კრედიტორების წინაშე, პრიორიტეტულად მიიღოს ანაზღაურება დაგირავებული ქონების ღირებულებიდან. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გირაო უზრუნველყოფს მოთხოვნას იმ მოცულობით, რომელიც მას აქვს დაკმაყოფილების მომენტში. ეს ნიშნავს, რომ გირაო უზრუნველყოფს სესხის დაუბრუნებელ ნაწილს, პროცენტებს, პირგასამტეხლოს და იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მიყენებულია შესრულებების ვადის გასვლით. გირაო, აგრეთვე, უზრუნველყოფს მოგირავნისთვის გირაოში ჩადებული ნივთის შესანახად აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას.

დამგირავებელი ეს არის პირი, რომელიც გადასცემს ქონებას გირაოში. ის შეიძლება იყოს როგორც თვითონ მოვალე, ისე მესამე პირიც, ქონების დამგირავებელი შეიძლება იყოს მისი მესაკუთრე, ან

9 ინგოროყვა ა., ფხაკაძე ს., ფხაკაძე ი. – საბანკო ოპერაციები. ლექციების კურსი, თბ. 2009, გვ. 190-209.

პირი, რომელსაც აქვს მასზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვის უფლება. პირს, რომელსაც ქონება ეკუთვნის სამეურნეო საქმიანობის წარმართვის უფლებით, არ შეუძლია დააგირაოს ის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

მოგირავნე ეს არის პირი, რომელიც იღებს ქონებას გირაოში. ის წარმოადგენს გირაოთი უზრუნველყოფილი მოვალეობის კრედიტორს. მოგირავნე უფლებამოსილია ისარგებლოს მისთვის გირაოში გადაცემული ნივთით, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. მოგირავნეზე ხელშეკრულებით შეიძლება იყოს დაკისრებული ვალდებულება გირაოში ჩადებული საგნიდან მიიღოს შემოსავალი ძირითადი მოვალეობის დაფარვის მიზნით ან დამგირავებლის ინტერესებისათვის.

გირაოს საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი უფლებები (მოთხოვნები). მაგრამ კანონით გათვალისწინებულია გარკვეული შეზღუდვები ამ სფეროში. ასე მაგალითად, არ შეიძლება გირაოს საგანი იყოს მიმოქცევიდან ამოღებული ქონება და პიროვნებასთან დაკავშირებული უფლებები (მოთხოვნები ალიმენტებზე, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, პენსიის ან ხელფასის მიღებაზე, რომელთა დათმობა სხვა პირისათვის კანონით აკრძალულია).

კანონმდებლობის შესაბამისად, კრედიტორი და მსესხებელი ხელს აწერენ ხელშეკრულებას გირაოს შესახებ, რომელიც უნდა იყოს დადებული წერილობითი ფორმით და ნოტარიულად იყოს დამოწმებული. ამ წესის დაუცველობა იწვევს გირაოს ხელშეკრულების გაბათილებას. გირაოს ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს გირაოს საგანი და მისი შეფასება, არსი, გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების ოდენობა და შესრულების ვადა, აგრეთვე, პირობა იმის შესახებ, თუ რომელ მხარესთან (დამგირავებელთან თუ მოგირავნესთან) არის დაგირავებული ქონება.

გირაოს საგანი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი (იპოთეკა) ქონება, ფასიანი ქაღალდები, სავალუტო ფასეულობები, მიმოქცევაში მყოფი საქონელი.

გირაოთი ხდება კრედიტორის-მოგირავნის ყველა მოთხოვნის უზრუნველყოფა, წარმოქმნილი მათი მოთხოვნის მომენტში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ამ მოთხოვნებს შორის გამოიყოფა:

- ძირითადი ვალის თანხა და პროცენტები;

- კრედიტორის ხარჯები მოჟალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, დანახარჯების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია ქონების საჯარო რეალიზაციასთან, აუქციონების, კონკურსების ჩატარებასთან, საკომისიო გასამრჯელოს გადახდასთან და ა.შ.;
- კრედიტორის ზარალი პროცენტების, პირგასამტეხლოების გადახდასთან დაკავშირებით;
- კრედიტორის ხარჯები, დაკავშირებული ქონების შენახვასთან.

ყველა ეს თანხა ეკუთვნის მოგირავნეს და ექვემდებარება ანაზღაურებას დაგირავებული ქონების ხარჯზე.

საერთო საკუთრებაში არსებული ქონება გირაოში გადაეცემა მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობით. მესაკუთრის მიერ საერთო წილობრივ საკუთრებაში თავისი წილის დაგირავება არ მოითხოვს დანარჩენ მესაკუთრეთა თანხმობას. გირავნობის საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოგირავნის თანხმობით.

მთლიანად საწარმოს ან სხვა ქონების დაგირავება უნდა დარეგისტრირდეს ასეთი რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოში, ამასთან, ხელშეკრულება გირავნობის შესახებ დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ორგანო, რომელიც ახორციელებს გირავნობის რეგისტრაციას, ვალდებულია გასცეს მოგირავნესა და დამგირავებელზე რეგისტრაციის მოწმობები, აგრეთვე, ამონაწერები რეესტრიდან მოგირავნის, დამგირავებლისა და სხვა დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით.

მოგირავნე ვალდებულია, დამგირავებლის მოთხოვნით გასცეს მასზე ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე ორგანო, რომელმაც განახორციელა გირავნობის რეგისტრაცია, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს რეესტრში შესაბამისი ჩანაწერი.

დაგირავებულ ქონებაზე უფლების გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ახალ დამგირავებელზე ძირითადი ვალის გადასვლასთან ერთად. დასაშვებია უკვე დაგირავებული ქონების შემდგომი დაგირავებები, თუმცა წინა მოგირავნის საგირავნო უფლება ძალას ინარჩუნებს.

შემდგომი მოგირავნის მოთხოვნები კმაყოფილდება გირავნობის საგნის ღირებულებიდან წინა მოგირავნის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.

დამგირავებელი ვალდებულია შეატყობინოს ყოველ შემდგომ მოგირავნეს მოცემული ქონების ყველა არსებული დაგირავების შეს-

ახებ. ავრეთვე, ამ დაგირავებებით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ხასიათისა და ოდენობის შესახებ. დამგირავებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი, რომელიც მიადგა ნებისმიერ მის მოგირავნეს ამ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო.

არსებობს ორი სახის გირავნობა:

- როდესაც დაგირავებული ქონება რჩება დამგირავებელთან;
- როდესაც დაგირავებული ქონება მფლობელობაში გადაეცემა მოგირავნეს.

დამგირავებელთან დაგირავებული ქონების დატოვებით გირავნობის საგანი შეიძლება იყოს საწარმოები, შენობა-ნაგებობები, ბინები, სატრანსპორტო საშუალებები. იმ ქონების დაგირავება, რომელსაც დამგირავებელი გადასაცემს დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში მესამე პირს, ითვლება გირავნობად მისი დატოვებით დამგირავებელთან.

გირავნობისას ქონების დატოვებით დამგირავებელთან მოგირავნეს უფლება აქვს:

- დოკუმენტებით და ფაქტობრივად შეამოწმოს გირავნობის საგნის არსებობა, ზომები, მდგომარეობა და შენახვის პირობები;
- მოსთხოვოს დამგირავებელს გირავნობის საგნის შენახვისათვის აუცილებელი ზომების მიღება;
- მოსთხოვოს ნებისმიერ პირს, შეწყვიტოს გირავნობის საგნის ხელყოფა, რაც იწვევს მის დაკარგვას ან დაზიანებას.

თუ გირავნობის საგანი დაკარგულია არა მოგირავნის ბრალეულობით და დამგირავებელმა იგი არ აღადგინა ან მოგირავნის თანხმობით არ შეცვალა თანაბარი ღირებულების სხვა ქონებით, მოგირავნეს უფლება აქვს, მოითხოვოს გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების ვადამდელი შესრულება.

დაგირავებისას ქონების დატოვებით დამგირავებელთან ამ უკანასკნელს უფლება აქვს:

- ფლობდეს და სარგებლობდეს გირავნობის საგნით მისი დანიშნულების შესაბამისად;
- განკარგავდეს გირავნობის საგანს (მისი გასხვისების გზით, ვალის გადაცვანით გირაოს შემძენზე);

დაგირავებისას ქონების დატოვებით დამგირავებელთან იგი ვალდებულია:

- საკუთარ ხარჯზე დააზღვიოს გირავნობის საგანი მისი სრული ღირებულებით;

- მიიღოს გირავნობის საგნის შესახებისათვის აუცილებელი ზომები, კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების ჩათვლით;
- შეატყობინოს მოგირავნეს გირავნობის საგნის ოჯარით გაცემის შესახებ.

დამგირავებლის მიერ აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს, მოითხოვოს სახსრების ამოღება გირავნობის საგან'ზე გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს ბრუნვასა და გადამუშავებაში მყოფი საქონელი. ამ შემთხვევაში დასაშვებია გირავნობის საგნის (სასაქონლო მარაგის, ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციისა და სხვა შემადგენლობისა და ნატურალური ფორმის) ცვლილება იმ პირობით, რომ მათი საერთო ღირებულება არ ხდება გირავნობის შესახებ ხელშეკრულებაში აღნიშნულ'ზე ნაკლები. ბრუნვასა და გადამუშავებაში მყოფი დაგირავებული საქონლის ღირებულების შემცირება დასაშვებია მათი გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებული ნაწილის თანაზომიერად. დამგირავებლის მიერ რეალიზებული საქონელი აღარ არის გირავნობის საგანი მათი რეალიზაციის მომენტიდან. ხოლო დამგირავებლის მიერ შეძენილი საქონელი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში გირავნობის შესახებ, იქცევა გირავნობის საგნად მათი შეძენის მომენტიდან.

ხელშეკრულება ბრუნვასა და გადამუშავებაში მყოფი საქონლის გირავნობის შესახებ უნდა განსაზღვრავდეს დაგირავებული საქონლის სახეს, გირავნობის საგნის საერთო ღირებულებას, ადგილს, სადაც იგი მდებარეობს, აგრეთვე, საქონლის იმ სახეებს, რითაც შეიძლება შეიცვალოს გირავნობის საგანი. დამგირავებელი ინარჩუნებს გირავნობის საგნის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას.

გირაოდ აღიარებულია გირავნობის ხელშეკრულება, რომლის პირობებითაც დაგირავებული ქონება (ნივთი) გადაეცემა ფლობაში მოგირავნეს.

მოგირავნისა და დამგირავებლის შეთანხმებით გირაოს საგანი შეიძლება დარჩეს დამგირავებელთან მოგირავნის საკუთრება და ლუქის ქვეშ (მყარი გირაო).

გირაოს დროს, მოგირავნე, თუკი სხვა რამ გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით, ვალდებულია:

- დააზღვიოს გირაოს საგანი მისი სრული ღირებულებით დამგირავებლის ხარჯითა და მის ინტერესებში;
- მიიღოს საჭირო ზომები გირაოს საგნის დაცულობისათვის;
- დაუყოვნებლივ აცნობოს დამგირავებელს გირაოს საგნის დაკარგვის ან დაზიანების საშიშროების წარმოქმნის შესახებ;
- რეგულარულად გაუგზავნოს დამგირავებელს ანგარიში გირაოს საგნით სარგებლობის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დააბრუნოს გირაოს საგანი დამგირავებლის ან მესამე პირის მიერ გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების შემდეგ.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოგირავნის მოვალეობა, მიიღოს გირაოს საგნიდან შემოსავალი დამგირავებლის ინტერესების გათვალისწინებით.

გირაოს ხელშეკრულების შესაბამისად, მოგირავნეს აქვს გირაოს საგნით სარგებლობის უფლება. შემოსავლები, რომლებიც მიიღო მოგირავნემ გირაოს საგნით სარგებლობის შედეგად და სხვა ქონებრივი მოგება მიემართება გირაოს საგნის შენახვის ხარჯების დასაფარავად და კრედიტებისა და მასზე პროცენტების გადასახდელად.

თუ წარმოიქმნება გირაოს საგნის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანების რეალური საფრთხე არა მოგირავნის ბრალეულობით, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი გამოცვლა, ხოლო დამგირავებლის მიერ უარის თქმისას ამ მოთხოვნის შესრულებაზე მოითხოვოს ანაზღაურება გირაოს საგანზე გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს დამგირავებლის კუთვნილი ფლობისა და სარგებლობის უფლებები, მათ შორის, მოიჯარის უფლებები და სხვა ქონებრივი უფლებები. მოქმედების განსაზღვრული ვადის მქონე უფლება შეიძლება იყოს გირავნობის საგანი მხოლოდ მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე. ხელშეკრულებაში უფლებათა დაგირავების შესახებ მითითებული უნდა იყოს პირი, რომელიც წარმოადგენს მოვალეს დამგირავებლის მიმართ, ამასთან, თუკი გირავნობის საგანს წარმოადგენს უფლებები, რომელთაც არა აქვს ფულადი შეფასება, გირავნობის საგნის ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. უფლებათა დაგირავებისას, თუკი სხვა რამ გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით, დამგირავებელი ვალდებულია:

- შეასრულოს მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია დაგირავებული უფლების ნამდვილობის უსრუნველსაყოფად;
- არ მოახდინოს დაგირავებული უფლების დათმობა;
- არ მოახდინოს მოქმედებები, რომლებიც იწვევს დაგირავებული უფლების შეწყვეტას ან მისი ღირებულების შემცირებას;
- მიიღოს საჭირო ზომები დაგირავებული უფლების დასაცავად, ხელყოფისაგან მესამე პირთა მხრიდან;
- მიაწოდოს მოგირავნეს ცნობები დაგირავებულ უფლებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, მესამე პირთა მეირ მისი დარღვევისა და მასზე მესამე პირთა უფლების განცხადების შესახებ.

უფლებათა დაგირავებისას, თუკი სხვა რამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მოგირავნე უფლებამოსილია:

- გირაოთი უსრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისაგან დამოუკიდებლად მოითხოვოს სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში დაგირავებული უფლების გადაცემა თავის თავზე;
- მესამე პირის სახით შემოვიდეს საქმეში, რომელშიც განიხილება სარჩელი დაგირავებული უფლების შესახებ;
- დამგირავებლის მიერ ზემოაღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად მიიღოს საჭირო ზომები დაგირავებული უფლების დასაცავად დარღვევებისაგან მესამე პირთა მხრიდან.
- მოგირავნე იძენს უფლებას, ზღვევინება მიმართოს გირავნობის საგანზე, თუკი გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტისათვის იგი არ იქნება შესრულებული.
- ანაზღაურების მოთხოვნა დაგირავებულ ქონებაზე ხორციელდება სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს ან სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუკი გირავნობის საგნის გაყიდვით მიღებული თანხა საკმარისი არ არის მოგირავნის მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილებისათვის, მას უფლება აქვს, მიიღოს დამატებითი თანხა მოვალის სხვა ქონებიდან. თუკი გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა აღემატება ამ გირაოთი უზრუნველყოფილ მოგირავნის მოთხოვნათა ოდენობას, სხვაობა უბრუნდება დამგირავებელს.

გირავნობის უფლება წყდება:

- გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შეწყვეტისას;
- დაგირავებული ქონების განადგურებისას;
- გირავნობის საგნის შემადგენელი უფლების მოქმედების ვადის ამოწურვისას;
- გირავნობის საგანზე უფლების გადასვლისას მოგირავნესთან;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დაზღვევა. როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა, გამოიხატება მსესხებლის მიერ თავისი პასუხისმგებლობის დაზღვევაში კრედიტის არ დაფარვის ან არაღროული დაფარვის შემთხვევისათვის, ანდა კრედიტორის მიერ თავისი საკრედიტო რისკის დაზღვევაში.

მსესხებლები ან კრედიტორები ფასიან საფუძველზე სადაზღვევო კომპანიას უდებენ დაზღვევის ხელშეკრულებას, სადაც მითითებულია პასუხისმგებლობის ლიმიტი, რომელსაც კისრულობს სადაზღვევო კომპანია.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ხელშეკრულების წესებისა და პირობების შესაბამისად ახორციელებს ანაზღაურების გადახდას კრედიტორის სასარგებლოდ.

93. თავდებობა და გარანტია

თავდებობის ხელშეკრულება იდება ბანკსა და კრედიტორს შორის წერილობითი ფორმით. თავდებობის ხელშეკრულებაში მიუთითებენ ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სხვა პირობებს, მხარეთა მისამართებსა და რეკვიზიტებს. ამ ხელშეკრულების შესაბამისად თავდები კისრულობს კრედიტორის წინაშე სოლიდარულ პასუხისმგებლობას მსესხებელთან ერთად. თავდებობა წყდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე მსესხებლის ყველა ვალდებულების დასრულებასთან ერთად.

გარანტია არის თავდებობის ხელშეკრულების სახე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იურიდიულ პირთა შორის ვალდებულების უზრუნველსაყოფად. კრედიტზე გარანტად შეიძლება გამოვიდნენ მსესხებლის მიმართ ზემდგომი ორგანიზაციები, სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე, ბანკები. გარანტია ფორმდება საგარანტიო წერილით, რომელშიც აღინიშნება გარანტის, მსესხებლის, მომსახურე ბანკების დასახელებები, აგრეთვე, გასაცემი კრედიტის ძირითადი მახასიათებლები და პირობები. გარანტია, ისევე როგორც თავდებობა, წყდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე მსესხებლის ყველა ვალდებულების შეწყვეტასთან ერთად.

საბანკო გარანტია (ისევე როგორც თაედებობა), როგორც საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის საშუალება, ძალიან მოსახერხებელია და ამიტომ ის ხშირად გამოიყენება კრედიტორების მიერ, რომლებიც ცდილობენ აიცილონ ფრინანსური დანაკარგები.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საბანკო გარანტიის სახით, ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით იძლევიან წერილობით ვალდებულებას, გადაუხადონ პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა ბენეფიციარის მიერ მის გადახდაზე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისას.

საზღვარგარეთ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება გასაცემი საბანკო გარანტიების სხვადასხვა სახეობა.

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად საბანკო გარანტიაში უნდა იყოს ასახული შემდეგი ცნობები:

- პრინციპალის, გარანტისა და ბენეფიციარის სახელწოდება;
- კონტრაქტი იმ ვალდებულების უზრუნველსაყოფად, რომელზეც გაიცემა გარანტია;
- მაქსიმალური გასაცემი თანხა;
- გადახდის ვალუტის დასახელება;
- გარანტიის მოქმედების ვადა ან მოვლენის მითითება, რომლის დადგომაც იწვევს მის ანულირებას;
- გადახდის მოთხოვნის განცხადების ხერხები;
- ვალდებულების თანხის შემცირების შესაძლებლობები.

გარანტიის ტექსტში უნდა იყოს მითითება მისი გამოუთხოვადობის შესახებ.

თუ გარანტიის შინაარსი შეესაბამება *უნიფიცირების წესებს*, მაშინ მისანშეწონილია ამ დოკუმენტზე მითითება.

საბანკო გარანტიას და თაედებობას, როგორც ძირითადი ვალდებულების (კრედიტის დაფარვის) შესრულების უზრუნველყოფის ხერხს, აქვს ბევრი საერთო მახასიათებელი. სასესხო ოპერაციებში, ბანკ-კრედიტორის და მსესხებლის გარდა, აგრეთვე, მონაწილეობს საბანკო გარანტი ან თაედები. მაგრამ საბანკო გარანტიას და თაედებობას შორის არის გარკვეული განსხვავებები:

1. საბანკო გარანტია (თაედებობისაგან განსხვავებით) არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ის იყო გაცემული, თუნდაც რომ გარან-

ტიაში იყოს მინიშნება ამ გარემოებაზე.

2. *მოვალეობის სუბიექტებით.* კანონის მიხედვით საბანკო გარანტებად შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებები და სადაზღვეო ორგანიზაციები, თავდების სახით კი - სხვადასხვა იურიდიული პირი და მოქალაქე.
3. *ურთიერთობების დამყარების ფორმით.* ბანკები-გარანტები დებენ ბანკებ-კრედიტორებთან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას ან მიმართავენ მათ საგარანტიო წერილით. თავდებობის ურთიერთობები ყალიბდება ბანკ-კრედიტორსა და თავდებს შორის თავდებობის ხელშეკრულების დადების შედეგად.

ფინანსისტები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ბანკმა, კომპანიამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს გარანტიის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას.

ბევრს (განსაკუთრებით, გამოუცდელ გარანტებს) ვერც კი წარმოუდგენიათ, რისი გადატანა მოუწევთ მათ, როცა აღმოჩნდება, რომ მსესხებელს არ შეუძლია დაფაროს აღებული კრედიტი.

გამოცდილი ფინანსისტები გვირჩევენ, გარანტიის გაცემისას არ უგულვებელყოთ ზოგიერთი წესი. ამისათვის უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენ:

1) გჯერათ იმ გარიგების საიმედოობის, რომლის გარანტირებაც თქვენ გიწევთ;
2) დეტალურად გაერკვიეთ მის არსში და გამოყოფილი კრედიტის დაფარვის საკითხებში;

კანონის შესაბამისად, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის (მსესხებლის) მიერ ბენეფიციარის (კრედიტორის) წინაშე მისი ძირითადი ვალდებულების სათანადო შესრულებას. საბანკო გარანტიის გაცემისათვის მსესხებელი უხდის გარანტს გასამრჯელოს.

კანონით გათვალისწინებულია საბანკო გარანტიით უზრუნველყოფის ფორმის შემდეგი თავისებურებანი: *უკან გამოუთხოვადობა, უფლებების გადაუცემლობა, ძალაში შესვლის მომენტი.*

უკან გამოუთხოვადი გარანტია - ეს არის გარანტია, რომელიც არ შეიძლება იყოს უკან გამოთხოვილი, გაუქმებული ან შეცვლილი ბანკ-გარანტის მიერ ბანკ-კრედიტორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ზოგიერთ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში მკაფიოდ წერია: „ეს საბანკო გარანტია გამოთხოვადია“. ეს ნიშნავს, რომ გარანტს ნებისმიერ მომენტში შეუძლია კრედიტორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე გააუქმოს გაცემული გარანტია. თუ

კრედიტორი (ბენეფიციარი) თანხმდება მოვალის მიერ გადახდის ისეთ უსრუნველყოფაზე, როგორიც გამოთხოვადი გარანტიაა, ის შეიძლება იმედგაცრუებული დარჩეს. ცხადია, რომ ფულს ასეთი გარანტიით კრედიტორი ვერასოდეს მიიღებს. ამიტომ კრედიტორები უნდა იყვნენ მეტად ყურადღებიანები და წინდახედულები საბანკო გარანტიების მიღების დროს.

საბანკო გარანტიაზე უფლებების გადაუცემლობა ნიშნავს, რომ ბენეფიციარისათვის (კრედიტორისათვის) საბანკო გარანტიით მიკუთვნებული მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება იყოს გადაცემული სხვა პირისათვის, თუ გარანტიით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ.

ბანკ-კრედიტორს, მსესხებელსა და გრანტს შორის ურთიერთობებში ძალიან მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრა. როგორც წესი, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პრაქტიკაში, საგარანტიო წერილში შეიძლება გათვალისწინებული იყოს მისი ძალაში შესვლის სხვა შემთხვევებიც (არა მარტო მისი გაცემის დღიდან), მათ შორის, საბანკო გარანტია შესაძლებელია ძალაში შევიდეს:

- მსესხებლის მიერ გარანტისათვის საკომისიო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს გარანტირებული თანხის განსაზღვრულ პროცენტს;
- მსესხებლის მიერ მიღებული კრედიტის მთელი თანხის მის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან;
- კრედიტის მხოლოდ იმ მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსით რეგლამენტირებულია წესები საბანკო გარანტიებისადმი მოთხოვნების წაყენების თაობაზე. კრედიტორის მოთხოვნა საბანკო გარანტიის შესრულების თაობაზე უნდა იყოს წარმოდგენილი:

- წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით;
- შეიცავდეს მითითებას, თუ რაში მდგომარეობს მსესხებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფად გაცემულია გარანტია;

- გარანტიაში განსაზღვრული ვადის დასრულებამდე, რომლითაც ის არის გაცემული.

ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას გარანტმა უნდა შეასრულოს გარკვეული მოვალეობები:

- დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ პრინციპალს (მსესხებელს) და გადასცეს მას მოთხოვნის ასლები ყველა თანდართულ დოკუმენტთან ერთად;
- განიხილოს ბენეფიციარის (კრედიტორის) მოთხოვნა (დანართ დოკუმენტებთან ერთად) გონივრულ ვადაში და დაადგინოს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და მასზე დართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს.

საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად, დოკუმენტები, პირველ რიგში, უნდა ადასტურებდეს პრინციპალის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობას. მაგრამ რიგი დოკუმენტების შეკრებაა, რისი განხორციელებაც ბენეფიციარისათვის რთული იქნება (განსაკუთრებით, თუ ის დროში შეზღუდულია), მნიშვნელოვნად ამცირებს მისთვის საბანკო გარანტიებით გადახდის მიღების შესაძლებლობას. ასეთი საბუთები შეიძლება იყოს:

- სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს პრინციპალის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობას;
- მსესხებლის უარს (ხელმძღვანელის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით), შეასრულოს გარანტიით უზრუნველყოფილი ფულადი ვალდებულება;
- სხვა დოკუმენტები, რომლებიც არასათანადო ფორმით არის წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს დართული კრედიტორის მოთხოვნებთან, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული გარანტიის მოქმედების ვადებთან.

კანონით გათვალისწინებულია ბენეფიციარის (კრედიტორის) წინაშე გარანტის მოვალეობების სლვარი, რომელიც შემოიფარგლება გარანტიით გაცემული თანხის გადახდით. მაგრამ გარანტის პასუხისმგებლობა გარანტიაზე ვალდებულების შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე შეიძლება არ შემოიფარგლოს თანხით, რომელზეც ის არის გაცემული, თუ გარანტიაში სხვა რამ არ

არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც გარკვეულ გარემოებებში გარანტს შეუძლია უარი უთხრას კრედიტორს საბანკო გარანტიით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

1) ეს მოთხოვნა ან მასზე დართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს;
2) წარმოდგენილია გარანტიისათვის გარანტიით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამ შემთხვევაში გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კრედიტორს უარი გარანტიის მიხედვით მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

კრედიტორსა და გარანტს შორის ყველა ურთიერთობა განისაზღვრება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში, რომელიც (როგორც ყველა ხელშეკრულება) უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ამ წესის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილად ცნობას. გარანტია ფორმდება ან ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერით, ან გარანტიის მიერ კრედიტორისადმი საგარანტიო წერილით მიმართვით.

საგარანტიო წერილი ეს არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებას ბანკ-კრედიტორსა და გარანტს შორის.

საბანკო გარანტიის ხელშეკრულებიდან ნათლად უნდა გამომდინარეობდეს, თუ რომელი ვალდებულების შესრულებაზე არის მიცემული გარანტია, ვისთვის არის მიცემული (კრედიტორის დასახელება) და ვისზე (მოვალის დასახელება). საარბიტრაჟო სასამართლოების პრაქტიკა გამოდის იქიდან, რომ თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში არ არის პირობები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ რომელი ვალდებულების შესრულებაზეა მიცემული გარანტია, მაშინ ეს ხელშეკრულება არ უნდა ჩაითვალოს დადებულად.

საერთო წესის სახით გარანტს კრედიტორის წინაშე აკისრია სუბსიდიარული (დამატებითი) პასუხისმგებლობა. გარანტის და ძირითადი მევალის სოლიდარული პასუხისმგებლობა ბანკ-კრედიტორის მიმართ შესაძლებელია კანონით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

კანონით გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემოება, როდესაც კრედიტორის ვალდებულებები ბანკ-გარანტის წინაშე წყდება. ეს ხდება:

1) როდესაც კრედიტორისათვის გადახდილია თანხა, რომელზეც გაცემულია გარანტია;
2) გარანტიის განსაზღვრული ვადის გასვლისას, რომელზეც ის იყო გაცემული;
3) კრედიტორის მიერ გარანტიაზე თავის უფლებებზე უარის თქმის შემთხვევაში;
4) კრედიტორის მიერ გარანტიით თავის უფლებებზე უარის თქმის შედეგად წერილობითი განცხადების გზით გარანტის მისი მოვალეობებისაგან განთავისუფლების შესახებ.

გარანტმა, რომლისათვის ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის თაობაზე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს.

გარანტი უფლებამოსილია მოსთხოვოს მსესხებელს რეგრესიის წესით საბანკო გარანტიით კრედიტორისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება, რაც განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომლის შესრულებისათვის იყო გაცემული გარანტია.

გარანტიები ფორმით შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

- *პირდაპირი* - ბანკი-გარანტი კლიენტის დაკვეთით აძლევს გარანტიას უშუალოდ ბენეფიციარის სასარგებლოდ;
- *გაშუალებული* - ბანკი, პასუხისმგებელი ანაზღაურებაზე (პირველადი ბანკი), კლიენტის დაკვეთით უკვეთავს უცხოურ ბანკ-კორესპონდენტს (მეორად ბანკს) გარანტიას ბენეფიციარის სასარგებლოდ;
- *დადასტურებული* მეორადი ბანკი პირველად ბანკთან დამატებით თავისთავზე იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის სასარგებლოდ ავალიერების გზით.

გარანტიები ყველაზე მეტად გამოიყენება საგარეო-სავაჭრო გარიგებების ჩატარების დროს. არსებობს საბანკო გარანტიების სხვადასხვა ფორმა. განვიხილოთ ყველაზე ხშირად გამოყენებული საბანკო გარანტიები.

ხელშეკრულების შესრულების გარანტია ბანკი-გარანტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას მყიდველისათვის საქონლის მიუწოდებლობის ან არასრული მიწოდების შემთხვევაში განახორციელოს ბენეფიციარისთვის გადახდა გარანტიაში მითითებული თანხის ფარგლებში. შემკვეთი შეიძლება იყოს გამყიდველი ან სხვა პირი. ბენეფიციარი, ხელშეკრულების შესაბამისად, შეიძლება იყოს მყიდველი ან შემკვეთი.

ავანსის დაბრუნების გარანტია არის უზრუნველყოფა მყიდველისათვის, რომელმაც შეიტანა ავანსი. ეს გარანტია მდგო-

მარეობს იმაში, რომ ბანკი-გარანტი ვალდებულებას იღებს, აუნაზღაუროს მყიდველს შეტანილი ავანსი იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს მიწოდებასთან დაკავშირებით და დროულად არ დაუბრუნებს ავანსს. დამკვეთი შეიძლება იყოს გამყიდველი ან სხვა პირი, ბენეფიციარი კი მყიდველი ან დამკვეთი.

შეთავაზების გარანტია (სატენდერო გარანტია) გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით. ვაჭრობის მონაწილეებისაგან ითხოვენ შეთავაზებასთან ერთად წარმოადგინონ ბანკის გარანტია. ეს გარანტია იძლევა იმ ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას, რომლებიც გაწეული აქვს ვაჭრობის ორგანიზატორს, თუ ფირმა, რომელმაც მოიგო ვაჭრობა, უარს ამბობს კონტრაქტზე ხელის მოწერაზე და ეს იწვევს განმეორებითი ვაჭრობის ჩატარების აუცილებლობას. დამკვეთად გამოდის ვაჭრობის მონაწილე ფირმა, ბენეფიციარად - ვაჭრობის ორგანიზატორი.

კონოსამენტის გარანტია გამოიყენება, როდესაც გადახდა ხორციელდება დოკუმენტური აკრედიტივის დახმარებით, ხოლო სატრანსპორტო დოკუმენტი არის კონოსამენტი. თუ საქონელი უკვე ჩამოვიდა დანიშნულების პორტში და კონოსამენტი, რომლის საფუძველზე შეიძლება ამ საქონლის მიღება, ჯერ არ არის მიღებული, იმპორტიორის ბანკს შეუძლია მისცეს სანაოსნო კომპანიის მფლობელს ან ექსპედიტორს კონოსამენტის გარანტია. მოცემული გარანტია არის ვალდებულება აიღოს თავისთავზე ყველა ხარჯი, რაც წარმოიქმნება საქონლის მიმღების არამართლზომიერების გამოვლენისას. ეს აძლევს იმპორტიორს საშუალებას, შეუფერხებლად მიიღოს საქონელი და ამით შეამციროს პორტში საქონლის შენახვასთან და მის დაზღვევასთან დაკავშირებული დანახარჯები. ასეთი გარანტიის შემკვეთად გამოდის ექსპორტიორი, ბენეფიციარად კი - იმპორტიორი.

გადახდის გარანტია დგება იმპორტიორის ბანკის მიერ ექსპორტიორის ბანკის სასარგებლოდ და უზრუნველყოფს საგაჭრო გარიგებაზე გადახდის შეთანხმებულ ჩატარებას.

კრედიტის დაბრუნების გარანტია შეიძლება იყოს გაცემული ბანკის მიერ კრედიტორისათვის კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

საბანკო გარანტია არ შეიძლება გამოთხოვილი იყოს გარანტის მიერ, მასზე მოთხოვნის უფლება არ შეიძლება იყოს გადაცემული

სხვა პირისათვის. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი გარანტისათვის მასში მითითებული ვადის დასრულებამდე და იმ თანხის ფარგლებში, რომელსაც ის არის გაცემული. გარანტის ვალდებულება გარანტიაზე ბენეფიციარის წინაშე წყდება, თუ განხორციელებულია ბენეფიციარისათვის გარანტიით თანხის გადახდა, ამოიწურა გარანტიის ვადა, ბენეფიციარმა უარი თქვა თავის უფლებებზე გარანტიის მიხედვით.

საბანკო გარანტიის გაცემისათვის დამკვეთი უხდის ბანკ-გარანტს საკომისიო გასამრჯელოს.

თავი X. ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე

10.1. ფასიანი ქაღალდების სახეები

საბანკო ოპერაციებში მონაწილე ძირითადი ფასიანი ქაღალდებია: აქციები, თამასუქები და ობლიგაციები. ფასიან ქაღალდებს შეიძლება მიეკუთვნოს, აგრეთვე, სადეპოზიტო და შემნახველი სერტიფიკატები და წარმოებული ფინანსური დოკუმენტები (ფიუჩერსები და ოფციონები).

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას ემიტენტი სააქციო საზოგადოების კაპიტალში და ანიჭებს საზოგადოების მართვაში მონაწილეობისა და მისი მოგების ნაწილის პერიოდულად მიღების უფლებას დივიდენდების სახით.

ყველა პირი, რომელსაც აქვს სააქციო საზოგადოების აქციები, ითვლება მის მფლობელად. მფლობელთა სიას აწარმოებენ სპეციალური ორგანიზაციები - რეგისტრატორები, რომლებიც ახორციელებენ აქციებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას და უძღვებიან აქციონერთა პირველად რეესტრს. ზოგიერთი აქცია გამოდის დოკუმენტური (სპეციალური ბლანკის) ფორმით, თუმცა უმეტესობა არსებობს არა ნაღდი სახით, არამედ ხელშეკრულებებისა და ჩანაწერების სახით დეპოს სპეციალურ ანგარიშებზე. აქციათა ორი ძირითადი ჯგუფია – ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები. ეს უკანასკნელები მფლობელებს არ ანიჭებენ ხმის უფლებას (არ იძლევიან ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის მიღების საშუალებას ხმის მიცემის მეშვეობით) და მათზე დაირიცხება ფიქსირებული დივიდენდები.

ობლიგაცია არის სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის შესაბამისადაც მისი ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას, დაფაროს ვალი და სარგებლობის საფასური განსაზღვრულ ვადაში ერთდროულად ან პერიოდულ საფუძველზე.

ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია გამოშვების წესის, ვადიანობის, გარიგებათა ხასიათის და ა.შ. მიხედვით მოცემულია ცხ. 10.1.

ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია

ნიშანი	ფასიანი ქაღალდების სახეობა
გამოშვების წესი	• ემისიური (გამოდის მსხვილ სერიებად და განთავსდება გამოშვებებად). • არაემისიური (გამოდის ცალობით ან მცირე სერიებად)
ფასიანი ქაღალდით დადასტურებული უფლებების მიკუთვნება	• სახელობითი (მფლობელის სახელი დაფიქსირებულია თავად ფასიან ქაღალდზე ან რეესტრში). • ორდერული (გამოიწერება პირველი შემძენის სახელზე ან „მისი ბრძანებით“, ხოლო უფლებები გადაიცემა ინდოსამენტის მეშვეობით). • წარმომდგენზე (საქმირო არ არის ფასიანი ქაღალდის მფლობელის იდენტიფიკაცია).
გარიგებათა ხასიათი	• წილობრივი (დასტურებს უფლებას ემიტენტის ქონების ნაწილზე და შემოსავლის მიღების უფლებას, მაგალითად, აქციები). • სასესხო (დასტურებს სესხის ურთიერთობას ინვესტორსა და ემიტენტს შორის, მაგალითად, ობლიგაციები, სერტიფიკატები, თამასუქები). • წარმოებული (დასტურებს მათი მფლობელის უფლებას პირველადი ფასიანი ქაღალდების შეძენაზე).
ფასიანი ქაღალდის მოქმედების ვადა	• მოკლევადიანი (მიმოქცევის ვადა ერთ წლამდე). • გრძელვადიანი (მიმოქცევის ვადა ერთ წელზე მეტი).
ფასიანი ქაღალდის განაღდების ვადა	• ვადიანი. • წარდგენის შემდეგ.
ემიტენტის სამართლებრივი სტატუსი	• სახელმწიფო (მუნიციპალური). • კორპორაციული.
გარიგებების ხასიათი და ფასიანი ქაღალდების გამოშვების მიზანი	• კომერციული (თამასუქები, ჩეკები, კონოსამენტები და სხვ.). • საფონდო (აქციები, ობლიგაციები)
მიმოქცევის თვისებურებები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე	• საბაზრო (თავისუფლად ბრუნავს მეორად ბაზარზე). • არასაბაზრო (არა აქვს მეორადი მიმოქცევა).
ვალუტის სახე და ემიტენტის სტატუსი	• შიდა. • საგარეო.
შემოსავლის არსებობა	• შემოსავლიანი. • არაშემოსავლიანი.
რისკის ღონე	• რისკიანი. • ურისკო.


ოფციონი არის წარმოებული ფასიანი ქაღალდი - ესაა ხელშეკრულებით გაფორმებული უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში ფიქსირებულ ფასად განსაზღვრული რაოდენობის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე. ოფციონის მყიდველი ამ უფლებისათვის უხდის მის გამყიდველს გასამრჯელოს (პრემიას). ვადის დადგომისას მყიდველს შეუძლია ისარგებლოს ან არ ისარგებლოს შეძენილი უფლებით. ჩვეულებრივ, საბირჟო პრაქტიკაში გვხვდება ორი სახის ოფციონი: ყიდვის ოფციონი (ოფციონ-ქოლი) და გაყიდვის ოფციონი (ოფციონ-პუტი).

სერთიფიკატი არის ბანკის წერილობითი მოწმობა კლიენტის მიერ დეპოზიტზე ფულადი სახსრების განთავსების შესახებ, რომელიც ადასტურებს მის უფლებას, მიიღოს დეპოზიტის თანხა და პროცენტები, რაც დაერიცხება მას დათქმული ვადის ამოწურვის შემდეგ. სერთიფიკატები არსებობს შემნახველი და სადეპოზიტო. შემნახველი სერთიფიკატების მფლობელები არიან ფიზიკური პირები, ხოლო სადეპოზიტოსი - იურიდიული პირები. შემოსავალი სერთიფიკატებზე გადაიხდება უშუალოდ სერთიფიკატის გადახდის დროს.

თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს წერილობით მარტივ და უპირობო ვალდებულებას, გადაიხადოს განსაზღვრული ფულადი თანხა. თამასუქი აძლევს მის მფლობელს უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს თამასუქში აღნიშნული ფულადი თანხის გადახდა. თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი ან გადასაყვანი.

მარტივ თამასუქს გამოწერს მოვალე (თამასუქის გამცემი) და გადასცემს კრედიტორს (თამასუქის მფლობელს). ასეთი თამასუქი წარმოადგენს მოვალის დაპირებას, გადაუხადოს კრედიტორს განსაზღვრული თანხა (ნა. 10.1).


ნახ. 10.1 მარტივი თამასუქის მიმოქცევის პროცესი:



1 – თამასუქის გამცემი (მყიდველი) გადასცემს თამასუქს თამასუქის მფლობელს (გამყიდველს); 2 თამასუქის მფლობელი (გამყიდველი) უგზავნის საქონელს (უსრულებს სამუშაოს, უწევს მომსახურებას) მყიდველს; 3 - გამყიდველი წარადგენს თამასუქს გასანაღდებლად; 4 მყიდველი ანაღდებს თამასუქს.

გადასაყვანი თამასუქი (ტრატა) გამოიწერება კრედიტორის (თამასუქის გამცემის) მიერ და წარმოადგენს მის წინადადებას მოვალისადმი (გადამხდელისადმი) განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ (ნახ. 10.2). გადამხდელის მიერ მიღებული გადასაყვანი თამასუქი უნდა იქნეს აქცეპტირებული ან გაპროტესტებული. *აქცეპტი* ნიშნავს თანხმობას აღნიშნული თანხის გადახდაზე, ხოლო თუ გადამხდელი თანახმა არ არის გადახდაზე, მაშინ შედგება *პროტესტი.*

ნახ. 10.2. გადასაყვანი თამასუქის მიმოქცევის პროცესი



1 ტრასანტი (თამასუქის გამცემი) უგზავნის ტრასატს (გადამხდელს, ე.ი. მოვალე პირს) საქონელს, აგრეთვე ტრატას; 2 - ტრასატი (გადამხდელი) აქცეპტირებულ თამასუქს უგზავნის რემიტენტს - ფულის მიმღებს გადასაყვანი თამასუქის მიხედვით; 3 - ტრასანტი უგზავნის აქცეპტირებულ თამასუქს რემიტენტს; 4 - რემიტენტი თამასუქს უგზავნის ტრასატს გასანაღდებლად; 5 - ტრასატი ანაღდებს თამასუქს და, იმავდროულად, დაფარავს თამასუქს, მის უკანა მხარეს გადახდის აღნიშვნის გაკეთებით.

10.2. პროფესიული საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

საბროკერო საქმიანობა არის საქმიანობა ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დასადებად საკუთარი ან კლიენტის სახელით და კლიენტის ხარჯზე ფასიან საფუძველზე. *ბროკერი* არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილე, რომელიც ახორციელებს საბროკერო საქმიანობას.

დილერული საქმიანობა არის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა დადება საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარ-

ჯით. *დილერი* არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილე, რომელიც ახორციელებს დილერულ საქმიანობას.

საფინანსო კონსულტანტი არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ლიცენზია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო და/ან დილერული საქმიანობის განხორციელებაზე და ემიტენტს უწევს მომსახურებას ფასიანი ქაღალდების პროსპექტის მომზადებაზე.

ფასიანი ქაღალდების მართვა. ეს არის იურიდიული პირის (მმართველის) მიერ საზღაურის სანაცვლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში რწმუნებითი მართვის განხორციელება მისთვის ფლობაში გადაცემული (მესამე პირის კუთვნილი) შემდეგი აქტივების:

- ფასიანი ქაღალდების;
- ფასიან ქაღალდებში საინვესტიციოდ განკუთვნილი ფულადი სახსრების;
- ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების, რომლებიც მიიღება ფასიანი ქაღალდების მართვის პროცესში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეს, რომელიც ახორციელებს ფასიანი ქაღალდების მართვას, უწოდებენ *მმართველს.*

ფასიანი ქაღალდების ოპერაციები ხორციელდება მმართველსა და მის კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მმართველის ქმედებებმა არ უნდა მიაყენოს ზარალი კლიენტის ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მმართველი, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია საკუთარი ხარჯით აანაზღაუროს ეს ზარალი.

დეპოზიტარული საქმიანობა არის საქმიანობა იმ მომსახურების გასაწევად, რაც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების სერთიფიკატების შენახვასთან ან ფასიან ქაღალდებზე უფლებათა აღრიცხვასა და ამ უფლებათა გადასვლასთან. ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეს, რომელიც ახორციელებს დეპოზიტარულ საქმიანობას, უწოდებენ *დეპოზიტარს.* ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ იურიდიული პირი. პირს, რომელიც სარგებლობს დეპოზიტარის მომსახურებით ფასიანი ქაღალდების შესანახად და ფასიან ქაღალდებზე უფლებათა აღრიცხვისათვის, ეწოდება *დეპონენტი.*

ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის წარმართვა არის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მონაცემების შეგროვება, ფიქსაცია, დამუშავება, შენახვა და გაცემა. ამ საქმიანობის განხორ-

ცოლების უფლება აქვთ მხოლოდ იურიდიულ პირებს, რომელთაც ეწოდებათ *რეესტრის რეგისტრატორები.*

რეგისტრატორებს უფლება არა აქვთ შეითავსონ სხვა სახის პროფესიული საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრი (რეესტრი) არის რეესტრის წარმართვის სისტემის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს დარეგისტრირებულ მფლობელთა სიას მათი კუთვნილი სახელობითი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის, ნომინალური ღირებულებისა და კატეგორიის მითითებით, რომელიც შედგენილია ნებისმიერი დადგენილი თარიღის მდგომარეობით და იძლევა ამ მფლობელთა, მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და კატეგორიის იდენტიფიცირების საშუალებას.

რეესტრის წარმართვის ხელშეკრულება დაიდება მხოლოდ ერთ იურიდიულ პირთან, მაშინ როდესაც რეგისტრატორს შეუძლია წარმართოს შეუზღუდავი რაოდენობის ემიტენტთა ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრები.

ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი არის პირი, რომელიც დარეგისტრირებულია რეესტრის წარმართვის სისტემაში, მათ შორის არის დეპოზიტარის დეპონენტი და არ წარმოადგენს ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელს.

ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელებად შეიძლება გამოვიდნენ და დარეგისტრირდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები:

- დეპოზიტარი - სადეპოზიტო ხელშეკრულების შესაბამისად;
- ბროკერი კლიენტის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.

რეესტრის წარმმართველი ვალდებულია მფლობელის ან მისი სახელით მოქმედი პირის, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მოთხოვნით წარმოადგინოს ამონაწერი რეესტრის წარმართვის სისტემიდან მისი პირადი ანგარიშის თაობაზე 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამონაწერს რეესტრის წარმართვის სისტემიდან წარმოადგენს დოკუმენტი, რომელიც გაიცემა რეესტრის წარმმართველის მიერ და მასში მითითებულია პირადი ანგარიშის მფლობელი, ყოველი გამოშვების ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მათი ვალდებულებით დატვირთვის ფაქტები, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ ქაღალდებს. ამონაწერები ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ რეესტრის წარმართვის სისტემი-

დან მფლობელებზე უფასოდ გაიცემა.

რეესტრის წარმმართველის უფლება-მოვალეობანი, რეესტრის წარმართვის საქმიანობის განხორციელების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით, რომელიც იდება რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის.

კომერციული ბანკი არის საფონდო ბაზრის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც დასახული მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრავს საქმიანობის ეფექტიანობას და ღებულობს გადაწყვეტილებას განახორციელოს თუ არა საემისიო, საინვესტიციო, საბროკერო საქმიანობა (იყიდოს, გაყიდოს და შეინახოს ფასიანი ქაღალდები ან ჩაატაროს მათზე სხვა ოპერაციები). ბანკის მიერ ფასიან ქაღალდებზე ჩატარებული ოპერაციების მიზანს წარმოადგენს:

- კაპიტალის ფორმირება და გაზრდა;
- ნასესხები სახსრების მოზიდვა აქტიურ ოპერაციებსა და ინვესტიციებში მონაწილეობისათვის;
- ფულადი შემოსავლების მიღება ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან;
- მოგების მიღება ინვესტიციებიდან საფონდო ინსტრუმენტებში;
- მონაწილეობა სააქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალში საკუთრების კონტროლისათვის;
- ფასიანი ქაღალდების გამოყენება გირაოს სახით.

კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკებისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ნებადართულია:

1. ფასიანი ქაღალდების გამოშვება, ყიდვა-გაყიდვა, შენახვა;
2. სახსრების ინვესტირება ფასიან ქაღალდებში;
3. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის განხორციელება საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით, მათ შორის, მათი კოტირების გზით;
4. ფასიანი ქაღალდების მართვა კლიენტის დავალებით (რწმუნებითი მართვა);
5. საშუამავლო (სააგენტო) ფუნქციების შესრულება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისას კლიენტის ხარჯზე და მისი დავალებით კომისიის ხელშეკრულების ან დავალების საფუძველზე, ანუ გამოსვლა საფინანსო ბროკერის როლში;
6. საინვესტიციო კონსულტაციების განხორციელება, ე.ი. საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის საკითხებზე;

7. ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზება, ე.ი. გამოსვლა საინვესტიციო კომპანიის სახით;
8. გარანტიების გაცემა ფასიანი ქაღალდების განთავსებაზე მესამე პირთა სასარგებლოდ;
9. სახსრების ინვესტირება არასაბანკო კომპანიათა აქციების პორტფელში (მათ შორის, მათზე კონტროლის უზრუნველსაყოფად შეძენილობილი საწარმოების მეშვეობით);
10. არასაბანკო საინვესტიციო ინსტიტუტების (საინვესტიციო ფონდების) და საფინანსო ბროკერთა და საინვესტიციო კონსულტანტთა კომპანიების დაფუძნება;
11. სპეციალიზებული კომპანიების დაფუძნება ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა-შესანახად, აგრეთვე, მათთან ოპერაციებზე ანგარიშსწორების ჩასატარებლად;
12. იმ ორგანიზაციების დაფუძნება, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუციონალურ ინვესტორებს (სადაზღვევო, ჰოლდინგური კომპანიები).

10.3. ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი მომოქცევის ორგანიზაცია

ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შემოსვლის დროისა და წესის მიხედვით განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზარს. ეს უკანასკნელები ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას.

პირველადი ბაზარი - ემიტენტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ განსაზღვრული საინვესტიციო პროგრამებისათვის აუცილებელი სახსრების აკუმულირება ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით.

ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის ფუნქციებს განეკუთვნება:

- ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზება;
- ფასიანი ქაღალდების განთავსება;
- ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა;
- მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შენარჩუნება.

თავდაპირველად ფასიანი ქაღალდები ხვდება პირველად ბაზარზე, სადაც ემიტენტები ახორციელებენ მათ გაყიდვას მფლობელებზე (ინვესტორებზე). ამ დროს ყიდვა-გაყიდვის განსახორციელებლად

შეიძლება ჩაერთონ შუამავლები. ამრიგად, პირველად ბაზარზე ემიტენტები ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით მოიზიდავენ ინვესტორთა სახსრებს. ყველა შემდგომი ოპერაცია ფასიან ქაღალდებზე ხორციელდება მეორად ბაზარზე.

პირველად ბაზარზე ინვესტორთა კაპიტალები ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით ხვდება ემიტენტის ხელში. მეორად ბაზარზე ეს ფასიანი ქაღალდები გადადის სხვა ინვესტორებთან, ხოლო სახსრები მათი გაყიდვიდან ხვდება ფასიანი ქაღალდების თავდაპირველ მფლობელებთან. ოპერაციები მეორად ბაზარზე ტარდება ემიტენტის მონაწილეობის გარეშე და იგი ვერ ახდენს უშუალო გავლენას მის მდგომარეობაზე.

მეორადი ბაზარი გამოიყენება გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის, ე.ი. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შესაძლებლობის უსრულესაყოფად.

ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადების ფორმის მიხედვით განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ (საბირჟო) და არაორგანიზებულ (ბირჟისგარე ანუ „ქუჩის") ბაზრებს.

ორგანიზებული ბაზარი (საფონდო ბირჟა) წარმოადგენს აქუციონის ტიპის ბაზარს. იგი ხასიათდება საჯარო ვაჭრობით, მყიდველისა და გამყიდველის ღია შეჯიბრებით, გაყიდვის შესახებ განაცხადთა და შემოთავაზებათა არსებობით, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი გარიგებათა დასადებად.

არაორგანიზებულ ბაზარზე არ აღგენენ გარიგებათა დადების წესებს, არ არის მოთხოვნები ფასიანი ქაღალდებისა და მონაწილეების მიმართ. ვაჭრობა მიმდინარეობს სტიქიურად გამყიდველსა და მყიდველს შორის. ინფორმაცია დადებული გარიგებების შესახებ არ ფიქსირდება.

არსებობს აგრეთვე *დილერული ბაზრები*, სადაც გამყიდველები საჯაროდ აცხადებენ შემოთავაზების ფასს. მყიდველები, რომლებიც ეთანხმებიან ამ ფასს აცხადებენ თავიანთი განზრახვის შესახებ შეიძინონ ფასიანი ქაღალდები როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. აქ არ არის პირდაპირი კონკურენცია მყიდველსა და გამყიდველს შორის. დილერული ბაზრები ფართოდ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების დროს.

საფონდო ბირჟა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მუდმივად მოქმედი ბაზრის შექმნა;
- ფასების განსაზღვრა;

- ინფორმაციის გავრცელება საქონლისა და საფინანსო ინსტრუმენტების, მათი ფასებისა და მიმოქცევის პირობების შესახებ;
- სავაჭრო და საფინანსო შუამავლების პროფესიონალიზმის შენარჩუნება;
- ვაჭრობის წესების გამომუშავება.

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მონაწილეები არიან მხოლოდ ბროკერები, დილერები და მმართველები. სხვა პირებს შეუძლიათ საფონდო ბირჟაზე ოპერაციების ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ იმ ბროკერთა შუამავლობით, რომლებიც არიან ვაჭრობის მონაწილეები.

საფონდო ბირჟა ვალდებულია უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის ჩატარება, ამ ვაჭრობის საჯაროობა თვისი წესების გაფრთხილების გზით ვაჭრობის ჩატარების დროისა და ადგილის, ბირჟაზე მიმოქცევისათვის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ნუსხისა და კოტირებების, აგრეთვე სავაჭრო სესიების შედეგების შესახებ.

საფონდო ბირჟა დამოუკიდებლად ადგენს ბირჟაზე მიმოქცევისათვის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ჩართვის, ლისტინგისა და დელისტინგის პროცედურას. ფასიანი ქაღალდების ლისტინგი არის საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდების ჩართვა კოტირებათა ნუსხაში; ფასიანი ქაღალდების დელისტინგი წარმოადგენს საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდების ამოღებას კოტირებათა ნუსხიდან.

გადაწყვეტილებას კოტირებათა ნუსხაში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ჩართვის შესახებ იღებს ბირჟის გამგეობა მაკოტირებელი კომიტეტის დასკვნის საფუძველზე.

საფონდო ბირჟა ვალდებულია დაამტკიცოს:

- საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაში მონაწილეობისათვის დაშვების წესები;
- საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის ჩატარების წესები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ გარიგებათა დადებისა და რეიგსტრაციის წესებს, ფასებით მანიპულირებისა და სამსახურებრივი ინფორმაციის გამოყენების თავიდან აცილებაზე მიმართულ ზომებს.

საფონდო ბირჟა ხსნის ინფორმაციას:

- პირველი და მეორე დონის კოტირებათა ნუსხებში ჩართული ფასიანი ქაღალდების პარამეტრების შესახებ;
- იმ ემიტენტების საქმიანობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რომელთა ფასიანი ქაღალდები ჩართულია

პირველი და მეორე დონის კონტრაბანდის ნუსხებში.

ინფორმაციის გახსნის ქვეშ იგულისხმება მისი მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის მიღების მიზნებისაგან დამოუკიდებლად, პროცედურის მიხედვით, რომელიც იძლევა მისი მოძიებისა და მიღების გარანტიას. საყოველთაოდ მისაწვდომ ინფორმაციად ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აღიარებულია ინფორმაცია, რომელიც არ მოითხოვს პრივილეგიებს მის მისაღებად.

ინფორმაცია ემიტენტთა საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ იხსნება და გაიცემა მაკონტროლებელი კომიტეტის მიერ მისი მიღებიდან არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა ან, მისი ნამდვილობის შემოწმების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების ან შესაბამისი დადასტურების მიღების შემდეგ.

ფასიანი ქაღალდების პროსპექტის რეგისტრაციის შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია განახორციელოს ინფორმაციის გახსნა შემდეგი ფორმით:

- ემისიური ფასიანი ქაღალდების ემიტენტის ყოველკვარტალური ანგარიში;
- შეტყობინება არსებით ფაქტებზე (მოვლენებზე, ქმედებებზე), რომლებიც შეეხება ემისიური ფასიანი ქაღალდების ემიტენტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;
- ცნობები ემიტენტის, მისი შვილობილი და დამოკიდებული კომპანიების რეორგანიზაციის შესახებ;
- ცნობები ფაქტების შესახებ, რომლებმაც გამოიწვია ემიტენტის აქტივების ღირებულების ერთჯერადი გაზრდა ან შემცირება 10%-ზე მეტით;
- ცნობები ფაქტების შესახებ, რომლებმაც გამოიწვია ემიტენტის სუფთა მოგების ან სუფთა ზარალის ერთჯერადი გაზრდა 10%-ზე მეტით;
- ცნობები ემიტენტის ერთჯერადი გარიგებების ფაქტების შესახებ, რომელთა ოდენობა ან რომლებზედაც ქონების ღირებულება შეადგენს ემიტენტის აქტივების 10%-ს და მეტს გარიგების თარიღის მდგომარეობით;
- ცნობები ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;

- ცნობები ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე დარიცხული დაგროვილი შემოსავლების შესახებ;
- ცნობები ემიტენტის რეესტრში ისეთი პირის გამოჩენის შესახებ, რომელიც ფლობს ამ ემიტენტის ნებისმიერი ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების 25%-ზე მეტს;
- ცნობები რეესტრის დახურვის თარიღების შესახებ, მფლობელების წინაშე ემიტენტის ვალდებულებათა შესრულების ვადების შესახებ, საერთო კრებების გადაწყვეტილებათა შესახებ;
- ცნობები ემიტენტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ემისიური ფასიანი ქაღალდების გამოშვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

10.4. კომერციული ბანკის ოპერაციები თამასუქებზე

საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ოპერაციები თამასუქებზე.

თამასუქი არის „კლასიკური“ ფასიანი ქაღალდი და სადებეტო გადახდების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

თამასუქი ითავსებს ორ ფუნქციას:

1) გადახდის საშუალების;

2) დაკრედიტების საშუალების.

ორივე ეს ფუნქცია განუყოფელია და ავსებს ერთიმეორეს.

თამასუქის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია ვრცლად არის განხილული უნაღდო ანგარიშსწორების თავში. მათ შორის, დეტალურად არის წარმოდგენილი თამასუქის ცნება, სახეობები, მისი მიმოქცევის პროცესი და სხვა.

განვიხილავთ კომერციული ბანკების მიერ თამასუქებზე განხორციელებულ ოპერაციებს. სახელდობრ:

- თამასუქის დისკონტი;
- სესხები თამასუქების გირაოთი;
- თამასუქების ინკასირება;
- თამასუქების დომიცილაცია.

თამასუქების დისკონტი. დისკონტის ოპერაციებს უკავია საკვანძო ადგილი თამასუქებზე ბანკის ოპერაციებს შორის. იერიდიულად თამასუქის დისკონტი წარმოადგენს ბანკისათვის თამასუქის გადაცემას (ინდოსამენტის მეშვეობით). წარმდგენი ხდება მოვალე დისკონ-

ტირებული თამასუქის მიხედვით, ხოლო ბანკი - კრედიტორი (თამასუქის მფლობელი).

თამასუქის დისკონტიტ ბანკის კლიენტი იძენს ლიკვიდურ სახსრებს. თუ ბანკი გასანაღდებლად იღებს მხოლოდ სასაქონლო გარიგებებზე დამყარებულ თამასუქებს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს მათ დროულად დაფარვასა და გარიგების საკრედიტო ხასიათში. მაშასადამე, აუცილებელია კლიენტის კრედიტუნარიანობისა და თამასუქების გაფორმების სისწორის შემოწმება. ბანკი ვალდებული არ არის, მისცეს ახსნა-განმარტება წარმდგენს თამასუქების სადისკონტოდ მიღებაზე უარის თქმის გამო.

დისკონტის ოპერაცია მდგომარეობს ბანკის მიერ ფულადი სასესხო ვალდებულებების ყიდვაში გადახდის ვალის დადგომამდე, რომლის დროსაც ხდება ბანკზე კრედიტორის უფლებების გადაცემა. თამასუქის დისკონტი ეწოდება ოპერაციას, რომელშიც, ბანკი წარმდგენისაგან თამასუქის მიღებისას, გასცემს წარმდგენზე ამ თამასუქის თანხას გადახდის ვადის დადგომამდე და იღებს პროცენტებს თამასუქის თანხიდან ამ ვადის დასრულებამდე დარჩენილ დროში.

თამასუქის დისკონტისას ბანკის კლიენტი იძენს ლიკვიდურ სახსრებს, აგრეთვე, თავიდან იცილებს ბანკისათვის დისკონტით მიღებული თანხების დაბრუნების აუცილებლობას, ვინაიდან ბანკი იღებს მათ უშუალოდ თამასუქის გამცემებისაგან და მხოლოდ ამ უკანასკნელთა არახელსაყრელი ფინანსური მდგომარეობისას მიმართავს თამასუქის წარმდგენს.

თამასუქების ყიდვა-გაყიდვა კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს, მიიღოს შემოსავალი ამ ოპერაციიდან. ბანკების ლიკვიდურობის თვალსაზრისით, ეს ოპერაციები საშუალებას იძლევა, პრაქტიკულად მაშინვე გაიყიდოს ნაყიდი თამასუქი სხვა ბანკზე, მაშინ როდესაც დაბანდებები დაბრუნებული იქნება მხოლოდ ვადის დადგომის შემდეგ. ამრიგად, თამასუქების აღრიცხვის ოპერაციას აქვს დიდი მნიშვნელობა ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის რეგულირებისათვის, მისი შემდგომი რეფინანსირებისათვის თამასუქების ხელახალი დისკონტის გზით.

კრედიტი თამასუქის მფლობელისათვის მისგან თამასუქის ყიდვის (დისკონტის) გზით გადახდის ვადის დადგომამდე არის სათამასუქო (სადისკონტო) კრედიტი. თამასუქის მფლობელი ბანკისაგან იღებს თამასუქში მითითებულ თანხას, სააღრიცხვო პროცენტის, საკომისიო გადასახდელისა და სხვა ხარჯების გამოკლებით. სააღ-

რიცხვო პროცენტი არის საფასური, რომელსაც იღებს ბანკი ფულის ავანსირებისათვის თამასუქის დისკონტის დროს. ეს არის სხვაობა თამასუქის ნომინალსა და ბანკისათვის მისი მიყიდვისას გადახდილ თანხას შორის. სააღრიცხვო განაკეთი თამასუქზე წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პროცენტის ღირებობის გასაანგარიშებლად.

მხარეებს შეუძლიათ გადახდის ვადის გაგრძელება, ანუ თამასუქის პროლონგაცია. განასხვავებენ თამასუქის პირდაპირ, მარტივ და ირიბ პროლონგაციას. პირდაპირი პროლონგაციისას თამასუქზე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით. მარტივი პროლონგაციისას ასეთი ჩანაწერი არ კეთდება. ირიბი პროლონგაციისას დგება ახალი თამასუქი, ხოლო ძველს ამოიღებენ მიმოქცეიდან. სადისკონტო კრედიტის დახურვა ხდება თამასუქის განაღდების შესახებ ბანკის შეტყობინების საფუძველზე.

თუ გადახდის, აქცეპტის ოფიციალურად დადასტურებული მოთხოვნის განხორციელების შემდეგ ისინი არ იქნა მიღებული, წარმოიშობა სათამასუქო პროტესტის უფლება – თამასუქზე სანოტარო წესით დამოწმებული უარი თავის ვალდებულებების შესრულებაზე. პროტესტის მიზანია ამ ფაქტის ოფიციალურად დადასტურება. ვადების გამოტოვება თამასუქს არ უკარგავს ძალას, მაგრამ თამასუქის მფლობელი კარგავს მოთხოვნის უფლებას თამასუქის ხელმომწერი ყველა პირის მიმართ, გარდა აქცეპტანტისა (ან მარტივი თამასუქის გამცემისა და მათი გარანტებისა).

თამასუქის საიმედოობა შეიძლება გაზრდილი იყოს ავალით თავდებობით თამასუქზე. მისი მომხდენი პირი - ავალისტი (როგორც წესი, ბანკი) კისრულობს პასუხისმგებლობას თამასუქზე ვალდებულების შესრულებაზე თამასუქის გამცემის მხრიდან. ავალი შეიძლება გაფორმებულ იყოს თამასუქსე ან ალონჟზე წარწერის სახით, აგრეთვე, ცალკე დოკუმენტის გაცემის გზით.

საკომისიო ოპერაციები თამასუქებზე. განხილულ აქტიურ ოპერაციებს ფასიან ქაღალდებზე ბანკი ასრულებს საკუთარი სახელით და, მაშასადამე, საკუთარი ხარჯით. თუმცა ბანკს შეუძლია მიიღოს შემოსავლის მნიშვნელოვანი თანხები ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადებისას სხვა პირთა დავალებით. მათ განეკუთვნება: ბანკების მიერ თამასუქების ინკასირება და თამასუქების დომიცილაცია.

თამასუქების ინკასირება გულისხმობს თამასუქის მფლობელთა დავალებების შესრულებას თამასუქებზე გადახდების დროულად მიღებაზე. თამასუქის ინკასირებისას ბანკი კისრულობს პასუხისმგებლობას გადამხდელისათვის თამასუქის დროულად წარდგენაზე და მასზე კუთვნილი გადახდის მიღებაზე.

ინკასოზე თამასუქის მიღებისას ბანკი ვალდებულია დროულად გადაუგზავნოს იგი ბანკს გადახდის ადგილის მიხედვით და ეს აცნობოს გადამხდელს ინკასოზე დოკუმენტის შემოსავლის შესახებ. გადახდის მიღებისას ბანკი რიცხავს მას კლიენტის ანგარიშზე და ატყობინებს მას მისი დავალების შესრულების შესახებ.

მოცემული თამასუქის განაღდებაზე გადამხდელის უარის შემთხვევაში ან მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში თამასუქის გაპროტესტებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ბანკი ახორციელებს კლიენტის ხარჯზე.

ბანკების მიერ თამასუქების ინკასირების ოპერაციებს აქვს რიგი ღირსებები:

1) კლიენტისათვის იგი თავისუფლდება გადასახდელად თამასუქების წარდგენის ვადებისათვის თვალის დევნების აუცილებლობისაგან, ხოლო გადახდის მიღების თავად პროცედურა მისთვის ხდება უფრო სწრაფი, იაფი და საიმედო;

2) ბანკისათვის - თამასუქების ინკასირების ოპერაციების განხორციელება არის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. გარდა ამისა, თამასუქები ბანკს საშუალებას აძლევს, თავის საკორესპონდენტო ანგარიშზე მოიზიდოს დამატებითი სახსრები, რომლებიც მას შეუძლია გამოიყენოს თავის საქმიანობაში.

გადახდები თამასუქებზე ჩვეულებრივ ხორციელდება ბანკის მეშვეობით, მის მიერ თამასუქების დომიცილაციის ოპერაციების შესრულებით. *დომიცილაცია* ნიშნავს თამასუქზე გადამხდელად რომელიმე მესამე პირის (დომიცილიატის) დანიშნავს. დომიცილიატი არ არის თამასუქზე პასუხისმგებელი პირი, იგი მხოლოდ დროულად იხდის თამასუქის საფასურს გადამხდელის ხარჯზე, რომელმაც მას განკარგულებაში გადასცა აუცილებელი სახსრები.

დომიცილირებული თამასუქების გარეგნული ნიშანია წარწერა „გადახდა ბანკში". დომიცილაციის მიზანია არ გამორჩეთ თამასუქზე გადახდის ვადები. ამ ოპერაციათა უპირატესობები ბანკებისათვის იმაშია, რომ ისინი ხრდიან მათ სადეპოზიტო ბაზას სპეციალურ დაგროვებით ანგარიშებზე სახსრების აკუმულაციის

ხარჯზე. ავრეთვე, ზრდიან ბანკების შემოსავლებს საკომისიოს გადახდევინების ხარჯზე. კლიენტებს ბანკები ათავისუფლებენ თამასუქების გასანაღდებლად წარდგენის ვადებზე კონტროლისაგან, არქარებენ და აიაფებენ გადახდის ბატარების პროცესს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაბანდებათა მეშვეობით ბანკები ატარებენ საინვესტიციო ან სპეკულაციურ საქმიანობას. პირველ შემთხვევაში ისინი ახორციელებენ გრძელვადიან დაბანდებებს, რომლებიც ეფუძნება ფასიანი ქაღალდების გამომშვები კომპანიების ანალიზისა და ბაზრის ტენდენციებზე საინვესტიციო ანალიტიკოსთა პროგნოზის შეღებებს. ამ შემთხვევაში ბანკების მიერ მიღებული შემოსავალი ქალიბდება ფასიან ქაღალდებზე დივიდენდებისა და მათი საბაზრო ღირებულების ზრდის ხარჯზე. სპეკულაციური ოპერაციები წარმოადგენს მოკლევადიან დაბანდებებს, რომლებიც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო კურსის ცვლილებების პროცესში მოგების ამოღების მიზნით. ასეთი დაბანდებები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე ან თვემდე და შეიძლება მოიტანოს როგორც მაღალი შემოსავალი, ისე ზარალიც.

აქედან გამომდინარე, დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, როგორც საინვესტიციო, ისე სპეკულაციური მიზნით, ხასიათდება რისკის მაღალი დონით. ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში მათზე საბანკო ოპერაციები გარკვეულად შეზღუდულია.

თავი XI. ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა და ოპერაციები

11.1. ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება

ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განსაზღვრული ვადით მიზანმიმართული სახსრების დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფეროში, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების (შემოსავლის) მიღების მიზნით.

საინვესტიციო ოპერაციებს გააჩნიათ ორი ძირითადი მახასიათებელი: სახსრების დაბანდება და შემოსავლის მიღება. საბანკო საინვესტიციო ოპერაციებს განეკუთვნება მხოლოდ სავაჭრო-საკომისიო ოპერაციები საფონდო ფასიან ქაღალდებზე.

ტერმინი „ინვესტიცია“ წარმოდგება ლათინურიდან „ინვესტირე“ - შემოსვლა.

ინვესტიციები კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: დაბანდების ობიექტების, ვადების, საკუთრების ფორმის და ა.შ. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ინვესტიციათა კლასიფიკაცია მოყვანილია ცხრ. 11.1-ში.

ცხრილი 11.1

ინვესტიციების კლასიფიკაცია

ნიშანი	ინვესტიციის სახეები
დაბანდების ობიექტი	• პირდაპირი (კაპიტალური) • პორტფელური (ფინანსური)
ინვესტირების ვადა	• მოკლევადიანი • გრძელვადიანი
საკუთრების ფორმა	• სახელმწიფო • კერძო • ერთობლიური • უცხოური
დაბანდების ობიექტის მდებარეობის ტერიტორია	• ქვეყნის შიგნით • საზღვარგარეთ
მონაწილეობის ხასიათი	• პირდაპირი დაბანდებები • დაბანდებები შუამავლების მეშვეობით

პირდაპირი ინვესტიციები (კაპიტალური დაბანდებები) - ეს არის დაბანდებები რეალურ აქტივებში (წარმოება), რომელთა მართვაში მონაწილეობს ინვესტორი, ანუ დაბანდებები ახალი საწარმოების შექმნაში, ავრეთვე, მოქმედი კომპანიების რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაში. ინვესტორი ორგანიზაცია თავისი სახსრების დაბანდებით ზრდის საკუთარ საწარმოო კაპიტალს - ძირითად საწარმოო ფონდებსა და მაიი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საბრუნავ სახსრებს.

პირდაპირ ინვესტიციებში გულისხმობენ ყველა ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციაზე კონტროლის დაწესებასთან (გაძლიერებასთან) მისი საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად, ან ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებასთან ბანკები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეიძლება გამოვიდნენ ინვესტორთა როლში, საკუთარ ხარჯზე ფასიანი ქაღალდების შეძენით. პირდაპირი ინვესტიციები უზრუნველყოფს ინვესტორთა ფაქტობრივ კონტროლს ინვესტირებულ საწარმოზე.

პორტფელური (ფინანსური) ინვესტიციები - ეს არის დაბანდებები სხვა ორგანიზაციათა აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, აქტივებში. პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისას ინვესტორი ზრდის თავის ფინანსურ კაპიტალს, იღებს რა შემოსავალს ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების სახით. ინვესტირება ფასიან ქაღალდებში ინვესტორებს აძლევს საშუალებას მოახდინონ ინვესტირების მაქსიმალური დივერსიფიკაცია, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება პორტფელის მრავალფეროვნებაში. მთელ მსოფლიოში ამ სახის ინვესტიციები ითვლება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომად. პორტფელური ინვესტიციების ნაწილი - დაბანდებები მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგის ორგანიზაციათა აქციებში - ზოგჯერ განიხილება როგორც პირდაპირი.

ყველა საინვესტიციო საბანკო საქმიანობის კლასიფიცირება შეიძლება ორი მიმართულებით:

- საკუთარი ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება უშუალოდ ბანკის სახსრების ხარჯზე;
- ოპერაციები კლიენტებისათვის (რწმუნებითი), რომლებიც ხორციელდება კლიენტთა სახსრების ხარჯზე და მათივე დავალებით.

საფონდო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო საქმიანობის მისანს განსაზღვრაეენ ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორიცაა მოგების მიღება და აქტივების განსაზღვრული ჯგუფის (ინვესტიცირების) ლიკვიდურობის უზრუნველყოფა.

ბანკების ინვესტიციები კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- აქციების შეძენა საკუთრების კონტროლისა და კაპიტალში მონაწილეობისათვის;
- დაბანდება ფასიან ქაღალდებში სახსრების მომგებიანი განთავსების, მათი დივერსიფიკაციის უსრულველყოფისა და მათი გაყიდვიდან როგორც რეგულარული (დივიდენდი, პროცენტი), ისე სპეკულაციური შემოსავლის მიღების მიზნით;
- მოკლევადიანი სპეკულაციები და საარბიტრაჟო გარიგებები;
- REPO-ს გარიგებები და დაბანდებები თამასუქებსა და სხვა სასესხო ვალდებულებებში, რომლებიც არსებითად წარმოადგენს დაკრედიტების ფორმებს.

კომერციულ ბანკებს შემუშავებული აქვთ საინვესტიციო პოლიტიკა, რის შესაბამისად ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის ფორმირება.

ფასიანი ქაღალდების პორტფელი არის განსხვავებული პარამეტრების მქონე ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის გარკვეული ნაკრები, რომელიც შედგენილია ინვესტირების პირობების გასაუმჯობესებლად. ასეთ ნაკრებში უნდა შედიოდეს სხვადასხვა ემიტენტის ფასიანი ქაღალდები დარგების სახეების მიხედვით. აქ შეიძლება შედიოდეს როგორც საიმედო (ნაკლებ მომგებიანი), ისე სარისკო (უფრო მომგებიანი) ფასიანი ქაღალდები.

პორტფელის სტრუქტურა არის პორტფელში ფასიანი ქაღალდების კონკრეტული სახეების თანაფარდობა.

განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების პორტფელებს:

- *დაბალანსებულებს*, რომლებიც სრულად შეესაბამება საკრედიტო ორგანიზაციის საინვესტიციო სტრატეგიას;
- *დაუბალანსებლებს*, რომლებიც არ შეესაბამება საკრედიტო ორგანიზაციის საინვესტიციო სტრატეგიას.

ფასიანი ქაღალდების პორტფელების ჩამოყალიბების მიზნებს განეკუთვნება:

- შემოსავლის მიღება;
- კაპიტალის შენარჩუნება;
- ფასიანი ქაღალდების კურსის ზრდის შესაბამისად კაპიტალის მატების უზრუნველყოფა.

პორტფელი შეიძლება ორიენტირებული იყოს მეტწილად საიმე-

დოობაზე ან შემოსავლიანობაზე. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ხასიათი შეიძლება იყოს:

- კონსერვატიული ანუ გაწონასწორებული;
- აგრესიული;
- უსისტემო.

კონსერვატიული პორტფელი ქალიბდება მკაფიოდ განსაზღვრული დადებითი მახასიათებლებისა და რისკის უმცირესი ხარისხის მქონე კარგად ცნობილი ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც იძლევა დაბანდებული სახსრების დაბრუნების გარანტიას, თუმცა მოაქვს მოკრძალებული შემოსავალი. ამ შემთხვევაში ინვესტირების მიზანია კაპიტალის შენარჩუნება.

აგრესიული პორტფელი ქალიბდება ქველაზე სარისკო, თუმცა ქველაზე შემოსავლიანი ფასიანი ქაღალდებისაგან. ასეთი ინვესტირების მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება.

უსისტემო პორტფელი ქალიბდება შემთხვევით, განსაზღვრული სისტემის გარეშე.

ფასიანი ქაღალდების პორტფელები შეიძლება იყოს ფიქსირებული და ცვალებადი. ფიქსირებული პორტფელები ინარჩუნებს თავის სტრუქტურას დადგენილი ვადის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც განისაზღვრება მასში შემავალი ფასიანი ქაღალდების განაღდების ვადებით. ცვალებად ანუ მართვად პორტფელებს აქვს ფასიანი ქაღალდების ცვალებადი სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაც მუდმივად განახლდება მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით.

არსებობს უცხოური ფასიანი ქაღალდების ან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების სპეციალიზებული პორტფელები. უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელები შემოფარგლულია რომელიმე უცხოური კონკრეტული ქვეყნით ან მთელი რეგიონებით (უპირატესად, განვითარებადი ქვეყნების), რაც იძლევა რისკის ალბათობის შემცირების საშუალებას ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ასეთი პორტფელები უცხოელ ინვესტორებს საშუალებას აძლევთ, შედარებით მცირე რისკის ფასად აითვისონ ახალი ბაზრები.

ფასიანი ქაღალდების პორტფელებს აქვს დარგობრივი და ტერიტორიული სპეციალიზაცია.

ვადების მიხედვით ფასიანი ქაღალდების პორტფელები შეიძლება ორიენტირებული იყოს თავის შემადგენლობაში მხოლოდ მოკლევადიანი ან საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ნართვაზე.

ფასიანი ქაღალდების პორტფელების უმეტესობა არის სპეციალიზებული, მოიცავს რა უპირატესად ერთი სახის ფასიან ქაღალდებს (აქციებს, სახელმწიფო ობლიგაციებს, არაემისიურ ფასიან ქაღალდებს და ა.შ.).

ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებისას მენეჯერი სუსტად ვერ განსაზღვრავს მისი შემოსავლიანობისა და რისკის მოსალოდნელ დინამიკას, ამიტომ თავის საინვესტიციო არჩევანს იგი აგებს მათ მოსალოდნელ მაჩვენებლებზე. ამ მაჩვენებელთა შეფასება ხორციელდება დროის წინა პერიოდების სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე შემდგომი კორექტირებით მომავალი კონიუნქტურის განვითარების მოლოდინების შესაბამისად.

საინვესტიციო პორტფელის მართვის პროცესი მიმართულია მისი ძირითადი საინვესტიციო ნიშნებისა და იმ თვისებების შენარჩუნებაზე, რომლებიც შეესაბამება მფლობელის ინტერესებს. პორტფელის მართვისას გამოყენებული მეთოდებისა და ტექნიკური შესაძლებლობების ერთობლიობას უწოდებენ მართვის სტილს (სტრატეგიას). განასხვავებენ პორტფელის მართვის აქტიურ და პასიურ სტილს.

მართვის აქტიური სტილი მდგომარეობს ინვესტირებული სახსრების შესაძლო შემოსავლების ოდენობის პროგნოზირებაში. აქტიური მართვის საბაზო მახასიათებლებია:

- პორტფელის ჩამოსაყალიბებლად მისაღები ფასიანი ქაღალდების არჩევანი;
- ფინანსური აქტივების ყიდვის ან გაყიდვის ვადების განსაზღვრა.

აქტიური მართვის დროს ნებისმიერი პორტფელი ითვლება დროებითად. როდესაც სხვაობა მოსალოდნელ შემოსავლებს შორის ქრება, მთელი პორტფელი ან მისი ნაწილი შეიცვლება ფასიანი ქაღალდების სხვა თანაფარდობით.

პორტფელის მართვის აქტიური სტილი გულისხმობს იმ ფასიან ქაღალდებზე მუდმივ დაკვირვებასა და სწრაფ შეძენას, რომლებიც შეესაბამება პორტფელის ფორმირების საინვესტიციო მიზნებს, იმ აქტივების მაქსიმალურად სწრაფ მოცილებას, რომლებიც აღარ აკმაყოფილებს დასახულ მოთხოვნებს. სწორედ აქტიური მართვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდის კურსების ცვლილების პროგნოზს.

არსებობს აქტიური მართვის ოთხი ძირითადი ფორმა, რომლებიც ემყარება ფასიანი ქაღალდების მუდმივ გაცვლას საფინანსო ბაზრის მეშვეობით:

1) სუფთა შემოსავლის შერნევა - ეს არის ყველაზე მარტივი ფორმა, რომელსაც, დროებითი საბაზრო არაეფექტიანობის გამო, ორი იდენტური ფასიანი ქაღალდი გაიცვლება ნომინალისაგან მცირედ განსხვავებულ ფასებში; შედეგად ხდება უფრო დაბალშემოსავლიანი ფასიანი ქაღალდის რეალიზება, სანაცვლოდ კი უფრო მაღალშემოსავლიანი ფასიანი ქაღალდის შეძენა;
2) ჩანაცვლება - ხერხი, რომლის დროსაც გაიცვლება ორი მსგავსი, მაგრამ არაიდენტური ფასიანი ქაღალდი;
3) სექტორ-სვოპი - ამ შემთხვევაში ხორციელდება ფასიანი ქაღალდების გადაადგილება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს შორის, მათი შეცვლა ფასიან ქაღალდებზე მოქმედების სხვა ვადებით, სხვა შემოსავლით და ა.შ.;
4) სააღრიცხვო განაკვეთის განჭვრეტაზე დამყარებული ოპერაციები; ამ ფორმის არსი მდგომარეობს სწრაფვაში, გაფართოვდეს პორტფელის მოქმედების ვადა, როდესაც განაკვეთები მცირდება, და შემცირდეს, როდესაც განაკვეთები იზრდება; რაც მეტია პორტფელის მოქმედების ვადა, მით უფრო ემორჩილება პორტფელის ფასი სააღრიცხვო განაკვეთების ცვლილებებს.

მართვის აქტიური სტილი ძალიან შრომატევადია და მოითხოვს მნიშვნელოვან შრომით და ფინანსურ დანახარჯებს, ვინაიდან დაკავშირებულია აქტიურ საინფორმაციო, ანალიტიკურ და საეჭვრო საქმიანობასთან საფინანსო ბაზარზე.

როგორც წესი, პორტფელის აქტიურ მართვას ახორციელებენ საფინანსო ბაზრის მსხვილი პროფესიონალი მონაწილეები: ბანკები, საინვესტიციო ფონდები და სხვები, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა (პორტფელის მმართველთა) შტატი.

მართვის პასიური სტილი. პორტფელის მართვის პასიური სტილის ძირითადი პრინციპი შემდეგშია: „ყიდვა და შენარჩუნება". პასიური მართვა ემყარება წარმოდგენას, რომ ბაზარი საკმაოდ ეფექტურია წარმატების მისაღწევად ფასიანი ქაღალდების შერნევაში და გულისხმობს კარგად დიფერენცირებული პორტფელის შექმნას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის განსაზღვრული მოსალოდნელი შემოსავლისა და რისკის მაჩვენებლებით; პორტფელის სტრუქტურის ცვლილებები იშვიათი და უმნიშვნელოა.

პორტფელის მართვის პასიური სტილის გამოყენება ემყარება შემდეგი პირობების შესრულებას:

- ბაზარი ეფექტურია; ეს ნიშნავს, რომ საფინანსო ინსტრუმენტების ფასები ასახავს არსებულ მდგომარეობას და ითვლება „სამართლიანად"; ვინაიდან არ არის არასაკმარისად ან ჭარბად შეფასებული ფასიანი ქაღალდები, აზრი არა აქვს ამ ქაღალდებით აქტიურ ვაჭრობას;
- ყველა ინვესტორს აქვს ერთნაირი მოლოდინი ფასიან ქაღალდებზე შემოსავლისა და რისკის თაობაზე, ამიტომ არ არის მათზე ყიდვა-გაყიდვის გარიგებების დადების საჭიროება.

პასიური პორტფელები ხასიათდება დაბალი ბრუნვით, ზედნადები ხარჯების მინიმალური დონითა და სპეციფიკური რისკის დაბალი დონით.

პორტფელების მმართველებს შეუძლიათ შეათავსონ აქტიური და პასიური სტრატეგიის მიდგომები, ე.ი. პორტფელის ნაწილი შეიძლება დარჩეს უცვლელი, ხოლო პორტფელის მეორე ნაწილის შემადგენელ ფასიან ქაღალდებს აქტიურად ჩაუტარდება ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

11.2. ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო თვისებები

ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო თვისებების შეფასებისას ითვალისწინებენ ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის თავისებურებებს, მათი უსაფრთხოების, საიმედოობის, შემოსავლიანობის დონესა და ლიკვიდურობის ხარისხს.

ფასიანი ქაღალდების ძირითადი საინვესტიციო თვისებებია: შემოსავლიანობა, მიმოქცევადობა, ლიკვიდურობა და რისკი.

შემოსავლიანობა არის ფასიანი ქაღალდების უნარი, მოგვცეს დადებითი ფინანსური შედეგი კაპიტალის ნამატის სახით. ეს არის ფარდობითი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს, თუ რა პროცენტი მოაქვს ერთ ლარ საინვესტიციო სახსრებს დროის განსაზღვრულ პერიოდში.

მიმოქცევადობა არის ფასიანი ქაღალდის უნარი, შექმნას მოთხოვნა და მიწოდება (შესყიდული იქნეს და გაიყიდოს) ბაზარზე, ზოგჯერ კი გამოვიდეს დამოუკიდებელი საგადახდო ინსტრუმენტის სახით, რომელიც აადვილებს სხვა საქონლის მიმოქცევას.

ლიკვიდურობა არის ფასიანი ქაღალდის თვისება, სწრაფად გაიყიდოს და იქცეს ფულად სახსრებად მფლობელისათვის მნიშ-

ვნელოვანი დანაკარგის გარეშე საბაზრო ღირებულების მცირე ცვლილების დროს.

რისკი არის ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებთან დაკავშირებული დანაკარგების შესაძლებლობა.

ინვესტორის პოზიციებიდან ამჟამად ფინანსური ინვესტიციებისათვის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს აქციები და ობლიგაციები. განვიხილოთ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შედარებითი დახასიათებები უსაფრთხოების, საიმედოობისა და შემოსავლიანობის თვალსაზრისით.

პრივილეგირებულ აქციებში ინვესტირების უსაფრთხოების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ აქციებში, რადგანაც მათ აქვთ უპირატესი უფლება დივიდენდების წინასწარ გამოცხადებული დონის მიღებაზე და ქონების განსაზღვრულ წილზე სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში.

დაბანდებათა საიმედოობის ხარისხის მიხედვით პრივილეგირებულ აქციებს უკავია შუალედური მდგომარეობა ჩვეულებრივ აქციებსა და კორპორაციულ ობლიგაციებს შორის, ვინაიდან, ობლიგაციებისაგან განსხვავებით, არა აქვთ დაფარვის მკაფიო ვადა, ხოლო ჩვეულებრივი აქციებისაგან განსხვავებით - საიმედო უზრუნველყოფა სააქციო საზოგადოების ქონებით.

შემოსავლიანობის თვალსაზრისით, ინვესტორისათვის უმჯობესია ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც უკეთესად მორგებულია საფონდო ბაზრის კონიუნქტურისა და ინფლაციური ეკონომიკის პირობების ცვლილებებზე. გარდა ამისა, ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შეუძლიათ მიიღონ უშუალო მონაწილეობა სააქციო საზოგადოების სადივიდენდო პოლიტიკის შემუშავებაში.

განვიხილოთ ობლიგაციათა შედარებითი დახასიათება ემიტენტთა სახეების, დაფარვის ვადებისა და შემოსავლის გადახდის ფორმის მიხედვით.

ემიტენტთა სახეების მიხედვით ნაკლებად სარისკოა დაბანდებები შიდა სახელმწიფო სესხის ობლიგაციებში. რისკის გარკვეული დონე ახასიათებს კორპორაციულ ობლიგაციებს, თუმცა ისინი მაინც ნაკლებ სარისკოა, ვიდრე პრივილეგირებული აქციები. ამის შესაბამისად დიფერენცირდება შემოსავლიანობის დონეც: ყველაზე დიდი შემოსავალი ჩვეულებრივ აქვს კორპორაციულ, ხოლო ყველაზე მცირე - სახელმწიფო ობლიგაციებს.

დაფარვის ვადების მიხედვით. ობლიგაციების დაფარვის ვადის

ზრდასთან ერთად იზრდება რისკის დონეც. ობლიგაციების შემოსავლიანობის დონე პირდაპირპროპორციულია რისკის დონისა.

შემოსავლის გადახდის ფორმის მიხედვით. ინვესტორის პოზიციებიდან, რომლის სტრატეგიული მიზანია კაპიტალის მატება ფულადი ფორმით, მიზანშეწონილია ინვესტირება პროცენტიან ობლიგაციებში, რომლებსაც უპროცენტოსთან შედარებით აქვს უფრო მაღალი მიმდინარე ლიკვიდურობა საფონდო ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო თვისებების შეფასებისას ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანგარიშების გარდა ატარებენ კვლევას ფინანსურ პრაქტიკაში მიღებული შემდეგი მეთოდებით:

- ფუნდამენტური ანალიზი;
- ტექნიკური ანალიზი.

ფუნდამენტური ანალიზი ეფუძნება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელთა კომპლექსის ეფექტიანობის, მისი დარგის განვითარების ტენდენციების, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხარისხის შეფასებას.

ანალიზის ბაზას წარმოადგენს ემიტენტი კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ბალანსები, ანგარიშები მოგება-ზარალის შესახებ და სხვა მასალები.

ტექნიკური ანალიზი ემყარება საბაზრო კონიუნქტურისა და კურსების დინამიკის შეფასებას. ტექნიკური ანალიზის კონცეფცია გულისხმობს, რომ ყველა ფუნდამენტური ფაქტორი ჯამდება და აისახება საფონდო ბაზარზე ფასების მოძრაობაში. შესწავლის ობიექტებს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების მოთხოვნისა და მიწოდების მაჩვენებლები, საკურსო ღირებულების დინამიკა, საფონდო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების კურსების მოძრაობის ზოგადი ტენდენციები.

კურსების დინამიკის შესწავლა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მომენტები, როდესაც მიზანშეწონილია ფასიანი ქაღალდის ყიდვის ან გაყიდვის ჩატარება, აგრეთვე, დაახლოებით შეფასდეს საკურსო ღირებულების ცვლილებების ტემპი.

აქციების კურსების დინამიკის შესაფასებლად ტექნიკური ანალიზის ფარგლებში გამოიყენება საფონდო ბაზრის ინდექსები - ეს არის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით აქციათა ფასების ცვლილების გაზომვის მეთოდები. ინდექსების გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია მრავალი კომპანიის აქციები, ამასთან, შედგება როგორც ჯამური, ისე დარგობრივი ინდექსები. მსოფლიო პრაქტიკა-

ში კარგადაა ცნობილი ძირითადი ინდექსები და დამუშავებულია საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებისას მათი გათვალისწინების მეთოდები. მათ განეკუთვნება: აშშ-ში ინდექსები DJIA (Dow-Jones Industrial Average) და S&P-500 (Standard and Poorks 500 Index), იაპონიაში ინდექსი Nikkei (Nikkei Dow-Jones Average), დიდ ბრიტანეთში ინდექსი FTSE 100 (Financial Times Actuaries All Share Index).

ინვესტორებისათვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ ხერხს განეითარებულ საფონდო ბაზრებზე წარმოადგენს აქციათა და ობლიგაციათა რეიტინგული შეფასება. რეიტინგი არის ექსპერტის აზრი (მოსაზრება) ბაზრის ობიექტური მაჩვენებლების შესახებ ამა თუ იმ საფონდო ინსტრუმენტის თვისებების მიმართ. ფასიანი ქაღალდის საინვესტიციო თვისებების ანალიზის საფუძველზე სარეიტინგო სააგენტოების სპეციალისტები ფასიან ქაღალდს ანიჭებენ შესაბამის კატეგორიას.

რეიტინგი არ ნიშნავს კონკრეტულ რეკომენდაციას ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვისათვის, ეს არის მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ინვესტორებმა კრიტერიუმების სახით ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების განხორციელებისას. იგი გამოდის როგორც საფონდო ინსტრუმენტების შემოსავლიანობისა და საიმედოობის ორიენტირი და იძლევა ფასიანი ქაღალდების როგორც ინვესტირების ობიექტების მიუკერძოებელი შედარების უზრუნველყოფის საშუალებას.

11.3. საკრედიტო ორგანიზაციის საბროკერო ოპერაციები

საბროკერო საქმიანობა ეს არის საქმიანობა ფასიან ქაღალდებზე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების განსახორციელებლად კლიენტის ხარჯზე საკუთარი ან კლიენტის სახელით.

საბროკერო საქმიანობის თვისებურებას წარმოადგენს მისი საშუამავლო ხასიათი.

ბროკერი როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილე, რომელიც ახორციელებს საბროკერო საქმიანობას, წარმოადგენს საბირჟო ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს. ბროკერის მუშაობის წარმატება დიდად დამოკიდებულია მის პროფესიულ და პირად თვისებებზე. ბირჟა და მარეგულირებელი ორგანოები

იმ პირებს, რომლებიც ეწევიან საბროკერო საქმიანობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, უქენებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ფინანსურს - საკუთარი კაპიტალის განსაზღვრული ოდენობა;
- პროფესიულს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება და საკვალიფიკაციო ატესტატის ქონა.

ბროკერსა და კლიენტს შორის დაიდება ხელშეკრულება. ამ დროს შეიძლება გამოყენებული იყოს დავალების ხელშეკრულება ან კომისიის ხელშეკრულება.

თუ დადებულია დავალების ხელშეკრულება, ეს ნიშნავს, რომ ბროკერი გამოდის კლიენტის სახელით და მის ხარჯზე, ანუ კლიენტი არის მხარე დადებულ გარიგებებში და მას ეკისრება პასუხისმგებლობა გარიგების შესრულებაზე.

ხოლო თუ დაიდება კომისიის ხელშეკრულება, გარიგების დადებისას ბროკერი გამოდის საკუთარი სახელით, მაგრამ მოქმედებს კლიენტის ინტერესებში და მის ხარჯზე. გარიგების მხარედ ამ შემთხვევაში გამოდის ბროკერი და მას ეკისრება პასუხისმგებლობა გარიგების პირობების შესრულებაზე.

კლიენტს უფლება აქვს დავალების ან კომისიის ხელშეკრულების შესრულებამდე ცალმხრივად შეწყვიტოს მისი მოქმედება. დავალების ან კომისიის ხელშეკრულების შესრულებად ითვლება კლიენტისათვის ბროკერის ოფიციალური შეტყობინების გადაცემა გარიგების დადების თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბროკერი მოქმედებს როგორც კომისიონერი, კომისიის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ბროკერის ვალდებულებას გახსნას საკრედიტო ორგანიზაციაში საბანკო ანგარიში (სპეციალური საბროკერო ანგარიში) და აწარმოოს მასზე ყველა იმ ფულადი სახსრების აღრიცხვა, რომლებიც განკუთვნილია ფასიან ქაღალდებში ინვესტირებისათვის ან მიღებულია ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად. ამასთან, ხელშეკრულებით საბროკერო მომსახურების შესახებ გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული სახსრების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების განაწილების წესი.

ბანკები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს იურიდიულ პირებს კომპლექსურ მომსახურებას კორპორაციული ობლიგაციური სესხების გამოშვების ორგანიზებასა და განთავსებაში (ანდერრაიტინგი). მომსახურების ნუსხა მოიცავს ბანკების სპეციალისტთა მონაწილეობას ობლიგაციური სესხის ორგანიზაციის ყველა ეტაპის ჩატარე-

ბაში, გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით დაწებული და მისი განაღდებით დამთავრებული.

ბანკის სპეციალისტები ემიტენტ კომპანიას ხელს უწყობენ სახელმწიფო რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადებაში, აგრეთვე, თავად რეგისტრაციის პროცედურის გავლაში. ბანკები თავის თავზე იღებენ ფასიანი ქაღალდების განთავსების ორგანიზებას ბირჟისგარე ბაზარზე გაჭრობის ორგანიზატორთა მეშვეობით, ახორციელებენ კლიენტის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების მეორად მიმოქცევას, უზრუნველყოფენ ბაზრის ლიკვიდურობას, ასრულებენ საგადახდო აგენტის, უფლებამოსილი დეპოზიტარის ფუნქციებს.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ კორპორაციული ობლიგაციების უმსხვილესი გამოშვებების ანდერრაიტერებს და დღემდე ლიდერობენ იმ გამოშვებათა მოცულობითა და რაოდენობით, რომელთა ორგანიზატორებიც ისინი გახდნენ. ნაწილობრივ, ეს აიხსნება იმით, რომ მხოლოდ კომერციულ ბანკებს აქვთ საკმარისი რესურსები მთლიანი ან ნაწილობრივი გამოშვების გამოსასყიდად, რათა შემდგომში განათავსონ იგი საცალო მყიდველებს შორის.

თავი XII. სავალუტო ოპერაციები

12.1. სავალუტო ოპერაციათა სახეობები

ბანკების მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების სახეობებია:

- **ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში,** კერძოდ, ფულადი სახსრების გადარიცხვა კლიენტის ანგარიშიდან და გადახდების ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშზე. ვალუტის გადარიცხვა ხორციელდება კლიენტების მიერ უცხოური მომწოდებლისაგან მისაღები საქონლის გადახდისათვის (საექსპორტო ოპერაცია). კლიენტების მიერ უცხოურ კონტრაგენტისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას (საიმპორტო ოპერაციების ჩატარებისას) ისინი თავიანთ ანგარიშზე იღებენ ამონაგებს სავალუტო გადახდის სახით.
- **უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა ეროვნულ ვალუტაზე.** ეს პროცესი ხორციელდება კლიენტების საერთაშორისო ოპერაციების ანგარიშსწორების უზრუნველყოფისათვის სავალუტო რესურსების უკმარისობის ან სიჭარბის დროს.
- **საკონვერსიო ოპერაციები.** ამ დროს მიმდინარეობს უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა სხვა უცხოურ ვალუტაზე ანგარიშსწორების (მიწოდებების) სხვადასხვა პირობით. ეს საჭირო ხდება, მაგალითად, ბანკის საკუთარი მიზნებისათვის ან კლიენტის ოპერაციების უზრუნველყოფისათვის (მაგალითად, კლიენტს აქვს თავის ანგარიშზე საკმარისი თანხა დოლარებში, მაგრამ ახალი კონტრაქტის თანახმად შეძენილი და ექსპორტირებული საქონლისათვის გადახდა უნდა განახორციელოს ევროებში). პრინციპში ოპერაციების დაყოფა ყიდვა/გაყიდვად და კონვერსიად პირობითია, რადგანაც ეროვნულ ვალუტაზე უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა თავისი არსით, ავრეთვე, არის საკონვერსიო ოპერაცია. საკონვერსიო ოპერაციებს აქვს ბევრი თავისებურება და სხვადასხვა ტიპი, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

- **ნაღდი ოპერაციები ვალუტაზე** (საკასო ოპერაციები, სავალუტო-გაცვლითი ოპერაციები). საკასო ოპერაციები საშუალებას იძლევა უსრულველყოთ სადეპოზიტო და მიმდინარე ანგარიშებზე ნაღდი ვალუტის შემოსელა, ვალუტის გატანა გარკვეული ხარჯებისათვის (მაგალითად, სამივლინებო ხარჯები). სავალუტო-გაცვლითი ოპერაციები განკუთვნილია სავალუტო გაცვლითი ოპერაციების საშუალებით მოსახლეობის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის უსრულველყოფისათვის, და, აგრეთვე, რიგი თანმხლები მომსახურების განხორციელებისათვის (ნაღდი ვალუტის დახურდავება და ექსპერტიზა).

სავალუტო ბაზარი არის საფინანსო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც იქმნება საბაზრო ურთიერთობების სუბიექტებს შორის უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისა და უცხოურ ვალუტაში საგადახდო დოკუმენტების გამოყენების დროს. სავალუტო ბაზარი არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც საგარეო ვაჭრობაში ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორება.

სავალუტო ბაზრის მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს მისი მონაწილეების მოთხოვნები უცხოურ ვალუტაზე საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის, ლიკვიდურობის მართვისათვის, სავალუტო რისკების დაზღვევისათვის და სხვა.

სავალუტო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან:

- კომერციული ბანკები, რომლებიც ახორციელებენ სავალუტო ოპერაციების ძირითად მოცულობას. როგორც წესი, სავალუტო ბაზრის ქველა დანარჩენი მონაწილე ხსნის ანგარიშებს ბანკებში და მათი საშუალებით ახორციელებს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში;
- ცენტრალური ბანკები. სავალუტო ბაზარზე ცენტრალური ბანკების გასელა განპირობებულია ისეთი ამოცანების გადაწყვეტით, როგორიცაა სავალუტო ინტერვენციების მეშვეობით ეროვნული ვალუტის კურსის მხარდაჭერა და, აგრეთვე, სავალუტო რეზერვების მართვა;
- კომპანიები. ეს ორგანიზაციები სავალუტო ბაზარზე ახორციელებენ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას, აყალიბებენ მოთხოვნას (იმპორტიორები) და ახორციელებენ მიწოდებას (ექსპორტიორები). ეს კომპანიები ახორციელებენ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში

უფლებამოსილი ბანკების საშუალებით;

- სავალუტო ბირჟები;
- სავალუტო საბროკერო ფირმები. ბევრი კომერციული ბანკი იღებს ინფორმაციას მიმდინარე სავალუტო კურსის შესახებ და პარტნიორებთან გარიგებებს დებს სპეციალიზებული საბროკერო ფირმების დახმარებით;
- კერძო პირები.

უცხოურ ვალუტად დღეს ითვლება:

- მიმოქცევაში მყოფი ფულადი ნიშნები ბანკნოტების, მონეტების სახით, რომლებიც არიან ნაღდი გადახდის კანონიერი საშუალება შესაბამისი უცხოური სახელმწიფოს (უცხოურ სახელმწიფოთა ჯგუფის) ტერიტორიაზე;
- სახსრები საბანკო ანგარიშებზე ან საბანკო ანაბრებზე უცხოური სახელმწიფოს ფულად ერთეულებში.

გამოყენების რეჟიმისა და სფეროს მიხედვით ვალუტები შეიძლება დავყოთ:

- *თავისუფალ-კონვერტირებად ვალუტებად*, რომლებსაც აქვს გაცვლის თავისუფალი რეჟიმი ნებისმიერ სხვა უცხოურ ვალუტაზე. ამ ვალუტის სრული მიმოქცევა შესაძლებელია უცხოელი მფლობელების მიერ მის მიმართ მაღალი ნდობის შემთხვევაში, რომელიც დამყარებულია ეროვნული ეკონომიკის (ანუ საერთაშორისო ბაზარზე მისი საქონლისა და მომსახურების) კონკურენტუნარიანობაზე;
- *შეზღუდულ-კონვერტირებად ვალუტებად*, რომელთა გაცვლა შეზღუდულია ვალუტის სახეობებით, იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის კონვერსიის მოცულობით, რეზიდენტებისათვის და არარეზიდენტებისათვის ოპერაციების სახეობებით და ა.შ.. ეროვნული ვალუტის გამოყენების ასეთი რეჟიმი აქვს მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას;
- *არაკონვერტირებად*, ანუ ჩაკეტილ ვალუტებად, რომლებიც არ იცვლება უცხოურ ვალუტაზე;
- *საერთაშორისო (კოლექტიურ) ვალუტებად*, რომლის ემიტენტები არიან საერთაშორისო ან რეგიონალური სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციები. ეს ვალუტები გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო პრაქტიკაში, როგორც ანგარიშსწორების ერთეულები და როგორც გადახდის ინსტრუმენტები.

სხვადასხვა სახელმწიფოს ვალუტის გაცვლის დროს კანონსომიერად დგება სავალუტო კურსის საკითხი.

სავალუტო კურსი - ეს არის ფასი, რომლითაც შეიძლება ერთი ქვეყნის ვალუტა გამოიხატოს სხვა ქვეყნის ვალუტაში.

ვალუტის კურსის დადგენას ეწოდება ვალუტის კოტირება.

არსებობს ვალუტის კოტირების ორი ძირითადი მეთოდი - პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირი კოტირების დროს ადგენენ უცხოური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას ნაციონალური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან. ქვეყნების უმეტესობა გამოიყენებს ვალუტის პირდაპირი კოტირების მეთოდს.

ირიბი კოტირების დროს ადგენენ ნაციონალური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას უცხოური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან. ირიბ კოტირებას გამოიყენებს ქვეყნების შეზღუდული რაოდენობა - დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

სავალუტო პოლიტიკაში შეიძლება არსებობდეს და გამოიყენებოდეს სავალუტო კურსის სხვადასხვა სახეობა.

ოფიციალური სავალუტო კურსი - ეს არის კურსი, რომელიც დგინდება ცენტრალური ბანკის მიერ.

საბანკო სავალუტო კურსები ხასიათდება დიდი მრავალსახეობით, მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებს ერთი თვისება - მათ აქვთ ორმაგი კოტირება, ანუ შესყიდვის კურსი და გაყიდვის კურსი. ყიდვისა და გაყიდვის კურსის სხვაობის არსებობის ხარჯზე ბანკები იღებენ შემოსავალს (მარჟას).

კროს-კურსი წარმოადგენს ორ უცხოურ ვალუტას შორის შეფარდებას, მიღებულს მათი მესამე ვალუტის მიმართ შეფარდებით. მაგალითად, თუ კურსი ევრო/ლარი უდრის 2,2000 და კურსი აშშ-ს დოლარი/ლარი უდრის 1,6600, მაშინ კროს-კურსი ევრო/აშშ დოლარი უდრის 1,3253-ს (2,2% :1,66).

ორმაგი კოტირების საბანკო კურსების გამოყენების შემთხვევაში საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ბანკი შეისყიდის ვალუტას, რომელიც აქვს კლიენტს. შესყიდვის კურსით და მიყიდის მას მისთვის საჭირო ვალუტას გაყიდვის კურსით. შესაბამისად, კროს-კურსსაც ექნება ორმაგი კოტირება, ანუ შესყიდვის კროს-კურსი და გაყიდვის კროს-კურსი.

კროს-კურსების გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ასე მაგალითად, იგი გამოიყენება ოფიციალური სავალუტო კურსის დასად-

გენად სპეკულაციური საარბიტრაჟო გარიგების ჩატარების (ვალუტის კონვერსიის უკეთესი ვარიანტის მოსაძებნად), კომერციული ბანკების ღია სავალუტო პოზიციების გაანგარიშების პროცესში.

სავალუტო პოზიცია არის უცხოური ვალუტით ფორმირებულ ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა.

საბალანსო სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო აქტივი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო ვალდებულება.

ბალანსგარეშე ანგარიშგების სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტის ყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტის გაყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი.

კრებსითი სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას თითოეული უცხოური ვალუტის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო აქტივისა და ამაგე უცხოური ვალუტის ყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო ვალდებულებისა და ამაგე უცხოური ვალუტის გაყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი.

სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:

სავალუტო პოზიცია არის დახურული, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლია;

სავალუტო პოზიცია არის ღია, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლი არ არის.

თითოეული უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის ღია სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე:

ღია სავალუტო პოზიცია არის გრძელი, როდესაც ერთი და იგივე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე;

ღია სავალუტო პოზიცია არის მოკლე, როდესაც ერთი და იგივე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე.

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი.[10]

12.2. ვალუტით ვაჭრობის ოპერაციები

ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები სავალუტო ბაზარზე თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სავალუტო ოპერაციების ჩატარების გზით. სავალუტო ბაზარი მუდმივად რთულდება და ვითარდება ახალი პირობების შესაბამისად და მასთან ერთად იხვეწება სავალუტო ოპერაციებიც. ჩნდება ახალი სახეობები, უმჯობესდება მათი ჩატარების ტექნიკა.

სავალუტო ოპერაციები ტარდება სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობების განსახორციელებლად და მოგების მისაღებად.

ბაზარი FOREX (Foreign Exchange Market) სტრუქტურულად იყოფა რამდენიმე სეგმენტად:

- ეროვნული სანღერების ფარგლებში ბანკთაშორისი ოპერაციების საბითუმო ბაზარი;
- ბანკ-კორესპონდენტების საერთაშორისო ბაზარი;
- საბირჟო სავალუტო ბაზარი;
- ნაღდი ვალუტის ბაზარი.

ბანკების უმრავლესობა უცხოური ვალუტით ვაჭრობას ახორციელებს ეროვნული სავალუტო ფულადი ბაზრის ფარგლებში და მხოლოდ რიგი უმსხვილესი ბანკები ახორციელებენ გარიგებებს საერთაშორისო ბაზარზე.

საერთაშორისო ბაზრებზე სავალუტო ოპერაციებს მიეკუთვნება კომერციულ ბანკ-არარეზიდენტებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან განხორციელებული კონვერსიული ოპერაციები. გარიგებათა მოკლე განსაზღვრება და მიზანი მოყვანილია ცხრ. 12.1-ში.

მთელ რიგ ქვეყნებში ვალუტით ბანკთაშორის ვაჭრობასთან ერთად არსებობს სპეციალური სავაჭრო მოედნები - სავალუტო ბირჟები. კომერციულ ბანკებს, საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობისას,

10 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 20 ივლისის №201 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი

შეუძლიათ გამოიყიდნენ ბროკერების სახით და შეასრულონ კლიენტების დაკვეთები ვალუტის შესყიდვა-გაყიდვაზე და დილერების სახით საკუთარ ხარჯზე განახორციელონ სავალუტო ოპერაციები.

სავალუტო ბაზრის ყველა მონაწილე აფიქსირებს შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს. მოგება ყალიბდება ამ კურსებს შორის მარჟის ხარჯზე.

სავალუტო ოპერაციები ვადების მიხედვით იყოფა უცხოურ ვალუტაზე საკასო (ნაღდ) და ვადიან (გარიგებები) ოპერაციებად. ვადიან ოპერაციებს უწოდებენ სავალუტო გარიგებებს, რომლებზეც ანგარიშსწორება ხორციელდება მათი დადებიდან ორი და მეტი სამუშაო დღის შემდეგ.

ცხრილი 12.1

სავალუტო გარიგებათა სახეები

გარიგების სახელწოდება	გარიგების მოკლე განსაზღვრება	გარიგებაზე ვალუტირების თარიღი	გარიგების მიზანი
სალაროს ოპერაციები			
„სპოტი" (at Spot)	შეთანხმება ვალუტის გაცვლაზე ადგილზე შეთანხმებულ ფასად	მეორე სამუშაო დღე გარიგების დადების შემდეგ	სავალუტო პოზიციების დარეგულირება საგარეო-სავაჭრო ანგარიშსწორებისათვის. კურსის ცვლილების გამო შესაძლო დანაკარგების შემცირება
„თუმოროუ" (tomorrow)	შეთანხმება ვალუტის გაცვლაზე ადგილზე შეთანხმებულ ფასად	მომდევნო სამუშაო დღე გარიგების დადების შემდეგ	სავალუტო პოზიციების დარეგულირება. სპეკულაციური საარბიტრაჟო მოგებების მიღება
„დეი-თუ-დეი" (day-to-day)	შეთანხმება ვალუტის გაცვლაზე ადგილზე შეთანხმებულ ფასად	გარიგების დადების დღე	სავალუტო პოზიციების დარეგულირება. სპეკულაციური საარბიტრაჟო მოგებების მიღება.
ვადიანი ოპერაციები			
„ფორვარდი" (forward)	შეთანხმება ვალუტის მიწოდების შესახებ განსაზღვრული თარიღისათვის მომავალში დათქმულ ფასად.	სტანდარტული ვადები (1,2,3,6,12 თვე)	სპეკულაციური მოგების მიღება. სავალუტო რისკების დაზღვევა.

„ფიუჩერსი"	საბირჟო კონტრაქტი მომავალში უცხოური ვალუტის ყიდვაზე ან გაყიდვაზე სტანდარტულ მოცულობებად შეთანხმებული კურსით.	განსაზღვრული თარიღები	სპეკულაციური მოგების მიღება. სავალუტო რისკების დაზღვევა.
„ოფციონი"	კონტრაქტები, რომლებიც მათ მფლობელებს უფლებას აძლევს, გაიყიდონ ან იყიდონ განსაზღვრული რაოდენობის ვალუტა შეთანხმებულ ფასად.	დაკმული პერიოდი - ამერიკული ოფციონი. დაკმული დღე - ევროპული ოფციონი.	სპეკულაციური მოგების მიღება. სავალუტო რისკების დაზღვევა.
„სვოპი" (swap)	უცხოური ვალუტის ერთდროული ყიდვა-გაყიდვა ერთნაირი ოდენობით, მიწოდების სხვადასხვა თარიღით.	სპოტი / ფორვარდი	სპეკულაციური მოგების მიღება. სავალუტო რისკების დაზღვევა.

საკასო გარიგებები გამოიყენება იმპორტზე კონტრაქტებით ანგარიშსწორებისათვის უცხოური ვალუტის დაუყოვნებლივ მიღების მიზნით, აგრეთვე, სავალუტო კურსების არასასურველი ცვლილების გამო შესაძლო დანაკარგების შემცირებისათვის.

„სპოტ" გარიგება - ეს არის შეთანხმება გაცვლის „ადგილზე" (at spot) შესასრულებლად, ვალუტის (შეთანხმებული ფასით) მიწოდებით გარიგების დადების შემდეგ სამუშაო დღეს. ვალუტის მიწოდების ვადას უწოდებენ ვალუტირების თარიღს. თუ „სპოტ" გარიგება დადებულია 17.04.09 (პარასკევი), მაშინ ვალუტირების თარიღია 20.04.09 (ორშაბათი).

გარიგებები „დეი-თუ-დეი" (day-to-day) და „თუმორროუ/ნექსთ" (tomorrow/next) პირობებით კომერციული ბანკების მიერ გამოიყენება მათი სავალუტო პოზიციების რეგულირებისათვის და, აგრეთვე, სპეკულაციური საარბიტრაჟო მოგების ამოსაღებად. ვალუტის მიწოდება ამ გარიგებებზე ხორციელდება:

- გარიგების დადების დღეს „day-to-day“ გარიგებისათვის;
- შემდეგ დღეს - „tomorrow/next“ გარიგებისათვის.

ნაღდ ოპერაციებს შორის გამოიყოფა „სპოტ“ სავალუტო ოპერაციები. ისინი შეადგენენ საერთო ბანკთაშორისი ბაზრის 55%-ს. „სპოტ“-ის კურსების საფუძველზე გაანგარიშდება კურსები ყველა დანარჩენ ოპერაციაზე.

ვადიანი (ფორვარდული) გარიგება (forward) - ეს არის შეთანხმება მომავალი თარიღისათვის დათქმულ ფასად ვალუტის მიწოდებაზე. როგორც წესი, ფორვარდული ოპერაციები იდება 1 წლამდე ვადით და მათ შეესაბამება სტანდარტული პერიოდები 1, 2, 3, 6 თვით და 1 წლით ვალუტირების პირდაპირი თარიღებით. თუ ფორვარდული კონტრაქტის შესრულება მიმდინარეობს 1 თვემდე (1 კვირა, 2 კვირა), მაშინ იგი ითვლება დადებულად მოკლე თარიღებით. ფორვარდული გარიგებები ფართოდ გამოიყენება სპეკულაციური მიზნებისათვის და, აგრეთვე, სავალუტო რისკების დასაზღვევად.

სხვადასხვა ტიპის გარიგების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო კურსების დადგენას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება დიფერენცირებული იყოს შემდეგნაირად:

- ნაღდი ვალუტის კურსი (მაგალითად, გამცვლელ პუნქტებში);
- კურსი „სპოტ“-ი (spot) უნაღდო ვალუტაზე ოპერაციების კურსი ვალუტის მიწოდებით გარიგების დადებიდან მეორე სამუშაო დღეს;
- კურსი „დღეს“ (day-to-day) უნაღდო ვალუტაზე ოპერაციების კურსი ვალუტის მიწოდებით გარიგების დადების დღესვე;
- კურსი „ხვალ“ (tomorrow/next) - უნაღდო ვალუტაზე ოპერაციების კურსი ვალუტის მიწოდებით გარიგების დადების შემდეგ დღეს;
- კურსი „ფორვარდი“ (forward rate) გარკვეული ვადით უცხოურ ვალუტაზე ოპერაციების კურსი. ის წარმოადგენს ფასს, რომლითაც მოცემული ვალუტა შეისყიდება ან გაიყიდება, მომავალში განსაზღვრული თარიღით მისი მიწოდების პირობით; ანუ ეს არის კურს „სპოტ“-ის პროგნოზი მომავალში კონკრეტულ თარიღზე.

თუ კურსი „ფორვარდი“ დგინდება უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე მიმდინარე კურსი („სპოტ“ კურსი), მაშინ ამბობენ, რომ ვალუტა კოტირდება პრემიით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ვალუტა კოტირდება დისკონტით.

სასწრაფო კურსს, რომელშიც გათვალისწინებულია პრემია ან დის-

კონტი. უწოდებენ „აუტრაიტის“ კურსს. თუ გვაქვს პრემიისა და დისკონტის მანიშნებლები, შეიძლება გამოვთვალოთ აუტრაიტის კურსი.

საჯალუტო „სვოპ“-ი (swap) – „ფორვარდის“ ტიპის გარიგების ძირითადი სახეობაა. ის მდგომარეობს იმაში, რომ ერთდროულად ხდება მიწოდების სხვადასხვა თარიღით ერთნაირი ჯამის უცხოური ვალუტის შესყიდვა და გაყიდვა. ეს გარიგება შეუხამებს ერთმანეთს შესყიდვას „სპოტ“ კურსით და იმავე ვალუტის გაყიდვას განსაზღვრული ვადით „ფორვარდული“ კურსით.

თუ უახლოესი კონვერსიული გარიგება არის ვალუტის შესყიდვა, ხოლო უფრო შორეული - ვალუტის გაყიდვა, მაშინ ამ „სვოპს“ უწოდებენ „რეპორტს“.

პირველი კოტირება ყოველთვის ხდება „სპოტ“ კურსით, მეორე კი - კურსით „ფორვარდი“, „სვოპ“ გარიგებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს სხვაობას შესყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის. ამ სხვაობას უწოდებენ „სვოპის“ განაკვეთს.

საჯალუტო ფიუჩერსი ეს არის საბირჟო კონტრაქტი შეთანხმებული კურსით მომავალში უცხოური ვალუტის შესყიდვაზე და გაყიდვაზე.

ამრიგად, ფიუჩერსები - ეს სხვა არაფერია, თუ არა სტანდარტიზებული „ფორვარდები“, რომლის მიმოქცევაც ხორციელდება ბირჟაზე. ფიუჩერსული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:

- სტანდარტული პარტიებით ვაჭრობა (მაგალითად, 5000 აშშ დოლარი);
- განსაზღვრულ თარიღებში კონტრაქტის შესრულება;
- ფიუჩერსის შეძენების შესაძლებლობა კონტრაქტით განსაზღვრული თარიღების დადგომამდე;
- სადაზღვევო ანარიცხების გადახდა;
- გადახდა მოგების და ზარალის იმავე დღეს, როდესაც ისინი წარმოიქმნება.

ფიუჩერსების ბაზარზე მოქმედებენ არა მარტო ბანკები, აგრეთვე, კომერციული ფირმებიც და კერძო პირებიც.

ფიუჩერსები, როგორც ნებისმიერი სხვა გარიგებები, გამოიყენება სპეკულაციური მოგების მისაღებად და საჯალუტო რისკების ჰეჯირებისათვის.

თუ ბანკმა იყიდა ფიუჩერსი (დაიკავა გრძელი საჯალუტო პოზიცია) და ფასმა აიწია, მაშინ ის იღებს მოგებას და პირიქით. ფიუჩერსის გაყიდვა (მოკლე პოზიცია) იძლევა მოგებას იმ შემთხვევაში,

თუ კოტირების ფასი მიიწევს ქვეყით.

საჳალუტო ოფციონი – ეს არის კონტრაქტი, რომელიც მის მფლობელს აძლევს უფლებას შეთანხმებულ ფასად იყიდოს ან გაყიდოს ვალუტის განსაზღვრული რაოდენობა. განასხვავებენ ამერიკულ ოფციონს, რომლის შესრულებაც ხორციელდება დათქმული პერიოდის განმავლობაში და ევროპულ ოფციონს, რომლის შესრულებაც ხორციელდება კონკრეტულ თარიღს. არსებობს ოფციონი „ქოლ" (call), რომელიც იძლევა ყიდვის უფლებას და ოფციონი „ფუთ" (put), რომელიც მის მფლობელს აძლევს გაყიდვის უფლებას. ოფციური კონტრაქტის დადება ითვალისწინებს გარიგების დადების მომენტში ოფციონის მყიდველის მიერ მისი გამყიდველისათვის „პრემიის" (ოფციონის ფასის) გადახდას. ოფციონი არის უფლება და არა ვალდებულება, ამიტომ კონტრაქტის ამოწურვის მომენტში ოფციონის მფლობელს კურსის შეცვლის მიხედვით შეუძლია:

- შეასრულოს გარიგება მისთვის კურსის ხელსაყრელად შეცვლის დროს;
- გაეყიდეს გარიგებიდან, თუ კურსის ცვლილება ისეთია, რომ კონტრაქტის შესრულებამ შეიძლება მიიყვანოს დანაკარგებამდე.

საჳალუტო არბიტრაჟი არის საჳალუტო გარიგებების განსაკუთრებული სახე, რომელთა მთავარი მიზანია კურსების სხვაობაზე „თამაშით" მოგების მიღება. არბიტრაჟის მთავარი პრინციპია ყიდვა იაფად და გაყიდვა ძვირად. იმ პერიოდებში, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოს ვალუტების კურსები არასტაბილურია, საერთაშორისო საჳალუტო ბაზრების სხვადასხვა ბირჟაზე არბიტრაჟის ჩატარებისათვის მეტი შესაძლებლობა ჩნდება.

განასხვავებენ საარბიტრაჟო გარიგებების შემდეგ ტიპებს:

- მარტივი არბიტრაჟი „თამაში" ორი ვალუტის კურსის სხვაობაზე;
- რთული არბიტრაჟი - „თამაში" ორზე მეტი ვალუტის კურსის სხვაობაზე;
- სივრცობრივი (გეოგრაფიული) არბიტრაჟი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა საჳალუტო ბაზარზე კურსების სხვაობაზე მოგების მიღება;
- დროითი არბიტრაჟი - სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე საჳალუტო ბაზარზე კურსების სხვაობაზე მოგების მიღება.

კომერციული ბანკები ვალდებული არიან:

- იქონიონ სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის წესები და ინსტრუქციები, რომლებიც უნდა მოიცავდეს უფლება-მოვალეობების გამიჯვნას სავალუტო ოპერაციების მწარმოებლებსა და საბუღალტრო აპარატს შორის;
- განახორციელონ ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი მათი დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის დასადგენად და ნებისმიერი გადაჭარბების გამოვლენის შემთხვევაში, მისი გადაჭრის მიზნით, წარადგინონ მოხსენება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- იქონიონ სავალუტო რისკის მართვის ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება როგორც გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებაზე მონიტორინგი, ისე, პერიოდულად, ბანკის ფინანსური მონაცემების სტრესტესტირება ბანკის მოგება-ზარალზე, კაპიტალსა და ლიკვიდობაზე სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენის დადგენის მიზნით;
- აწარმოონ სავალუტო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტებისა და მონაცემების სრულყოფილი აღრიცხვა;
- შეინახონ უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის დამადასტურებელი ყველა საბუთი, რომლებიც გამოიყენება სავალუტო ოპერაციებთან მუშაობის დროს;
- ყოველდღიურად აწარმოონ საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშება თითოეული უცხოური ვალუტის ჭრილში საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური ანგარიშგება;
- ყოველთვიურად, საზედამხედველო ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველთვიური ანგარიშგება და საანგარიშგებო თვის ბოლო დღის ყოველდღიური ანგარიშგება.

ბანკების სავალუტო ოპერაციები მიმართული არიან სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად:

ერთია, კლიენტის მომარაგება საჭირო სავალუტო რესურსებით იმ ოპერაციების განსახორციელებლად, რომლებიც უნდა იყოს შესრულებული ვალუტაში. ეს ხდება ვალუტის შესყიდვის, გაყიდვის, კონვერსიის საშუალებით, როგორც უნაღდო, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.

მეორე, კლიენტის საერთაშორისო ოპერაციების ხელშეწყობა,

უპირველეს ყოვლისა, საექსპორტო და საიმპორტო გარიგებების (ეგრეთწოდებული საგაჭრო დაფინანსება) შესასრულებლად საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

მესამე, საკუთარი სავალუტო ოპერაციების განხორციელება სპეკულაციური ან საოპერაციო შემოსავლის მისაღებად, თავისი რესურსების ოპტიმიზაციის გზით საერთაშორისო მოთხოვნების და ნორმატივების შესასრულებლად.

თავი XIII. ბანკის ლიზინგური, ფაქტორინგული და სატრასტო ოპერაციები

13.1. ლიზინგური ოპერაციები

ფართო გაგებით ლიზინგი წარმოადგენს ქონებრივ ურთიერთობათა კომპლექსს, რომელიც ყალიბდება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. ასეთი კომპლექსი, საკუთრივ ლიზინგის ხელშეკრულების გარდა, მოიცავს სხვა ხელშეკრულებებსაც, კერძოდ, ყიდვა-გაყიდვისა და სასესხო ხელშეკრულებას.

ლიზინგის დროს ურთიერთობები ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე განმსაზღვრელია. დამხმარე როლს ასრულებს ურთიერთობა ქონების ყიდვა-გაყიდვაზე. ეს უკანასკნელი არა მარტო წინ უძღვის ქონების სარგებლობაში გადაცემას, არამედ ასრულებს (ამთავრებს) ლიზინგის ურთიერთობათა მთელ კომპლექსს ლიზინგის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მომხმარებლის მიერ ქონების საკუთრებაში შეძენის შემთხვევაში.

ლიზინგი, ფართო გაგებით, არის ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში მისი შეძენის და შემდეგ გრძელვადიანი იჯარით გაცემის საფუძველზე.

ლიზინგი (ინგლ. Lease) ეს არის იჯარა, მაგრამ ეს არ არის ნებისმიერი იჯარა. ბიზნესში ლიზინგის ქვეშ იგულისხმება სამეწარმეო იჯარა - აღჭურვილობის, უძრავი ქონების, ძირითადი ფონდების იჯარა. ბინის დაქირავება არ არის ლიზინგი. ლიზინგი არის გრძელვადიანი იჯარა შემდგომში მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების ნარჩენი ღირებულებით გამოსყიდვის შესაძლებლობით. დაბოლოს, ლიზინგი არის ფინანსური ოპერაცია – თავისი არსით ეს არის მიზნობრივი კრედიტი, რომელსაც სპეციალიზებული სალიზინგო კომპანია იღებს ბანკში მოწყობილობის შესაძენად. შემდეგ სალიზინგო კომპანია იჯარით აძლევს ნაიდ მოწყობილობებს სხვა ორგანიზაციას და უზრუნველყოფს მისგან კრედიტის დაბრუნებას, აგრეთვე, პროცენტებისა და საკომისიო გასამრჯელოს გადახდას.

ამჟამად, ლიზინგი არის სამეწარმეო საქმიანობის სახეობა, რომელიც მიმართულია დროებით თავისუფალი ან მოხიდული ფინანსური სახსრების ინვესტირებაზე. ამ შემთხვევაში საფინანსო იჯარის (ლიზინგის) ხელშეკრულებით მეიჯარე (ლიზინგის გამცემი) იღებს ვალდებულებას კონკრეტული გამყიდველისაგან საკუთრებაში შეიძინოს ხელშეკრულებით განპირობებული ქონება და მისცეს ეს ქონება სამეწარმეო მიზნებისათვის დროებით სარგებლობაში მოიჯარეს (ლიზინგის მიმღებს) გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

კლასიკურ ლიზინგს ახასიათებს ურთიერთობათა სამმხრივი ხასიათი, რადგანაც სალიზინგო გარიგებაში მონაწილეობს სამი სუბიექტი.

ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს ის მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.). ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი და სხვა ქონება, თუ კანონმდებლობით აკრძალულია მათი თავისუფალი მიმოქცევა.

სალიზინგო ოპერაციის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, აგრეთვე რეზიდენტები და არარეზიდენტები.

სალიზინგო გარიგების პირველი მხარე, როგორც წესი, არის ქონების მესაკუთრე (ე.წ. ლიზინგის გამცემი), რომელიც გასცემს მას იჯარით სალიზინგო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პირველი მხარის სახით შეიძლება გამოვიდეს:

- ბანკის დაწესებულება ან მისი ფილიალი, რომლის წესდებაში გათვალისწინებულია მეწარმეობის ეს სახეობა;
- საფინანსო სალიზინგო კომპანია, რომელიც სპეციალურად იქმნება სალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად. მისი მთავარი და პრაქტიკულად ერთადერთი ფუნქციაა ქონების თანხის გადახდა, ანუ გარიგების დაფინანსება;
- სპეციალიზებული სალიზინგო კომპანია, რომელიც გარიგების ფინანსური უზრუნველყოფის გარდა დამატებით საკუთარ თავზე იღებს არაფინანსური ხასიათის მომსახურების მთელ კომპლექსს: ქონების შენახვას, შეკეთებას, გაცვეთილი ნაწილების გამოცვლას, კონსულტაციებს მის გამოყენებაზე და ა.შ;
- ნებისმიერი ფირმა ან საწარმო, რომლებისთვის ლიზინგი არის არამაპროფილებელი სფერო, მაგრამ არ არის აკრძალული წესდებით და რომლებსაც აქვთ ფინანსური სახსრები სალიზინგო ოპერაციების ჩასატარებლად.

სალიზინგო გარიგების მეორე მხარე არის ქონებით მოსარგებლე (ე.წ. ლიზინგის მიმღები), რომელიც შეიძლება იყოს საკუთრების ნებისმიერი ფორმის იურიდიული პირი: სახელმწიფო საწარმო, ორგანიზაცია, კოოპერატივი, სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა და ა.შ.


სალიზინგო გარიგების მესამე მხარეა მომავალი მესაკუთრე ლიზინგის გამცემისათვის (პირველი მხარისათვის) ქონების მიმწოდებელი (გამყიდველი), რომელიც აგრეთვე შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი: ქონების მწარმოებელი, კოოპერატივი, სამომმარაგებლო-საგამსაღებლო, სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.

კლასიკურ სალიზინგო გარიგებაში სუბიექტებს შორის ურთიერთობები ყალიბდება შემდეგი სქემით: მომავალი ლიზინგის მიმღები, რომელსაც სჭირდება ქონების გარკვეული სახეობები, დამოუკიდებლად ირჩევს მომწოდებელს, რომელსაც აქვს ეს ქონება. მის საკუთრებაში შესაძენად საკუთარი სახსრების უქონლობისა და სასესხო საშუალებების ხელმიუწვდომლობის გამო ის მომავალ ლიზინგის გამცემს, რომელსაც აქვს საჭირო სახსრები, მიმართავს თხოვნით გარიგებაში მონაწილეობის შესახებ. ამ უკანასკნელის მოქმედება (ლიზინგის გამცემის) გამოიხატება მის მიერ მიმწოდებლისაგან ქონების ყიდვაში და მომავალში ამ ქონების ლიზინგის მიმღებისათვის (ქონებით მოსარგებლე) დათქმული პირობებით გადაცემაში.

გარიგებაში მონაწილეთა რიცხვი შეიძლება გაფართოვდეს ან შემცირდეს კონკრეტული პირობების შესაბამისად. ჩამოთვლილი სამი მხარის გარდა, რიგ შემთხვევებში, გარიგებაში მონაწილეობენ საბროკერო სალიზინგო ფირმები, რომლებიც უშუალოდ არ ახორციელებენ ქონების მიწოდებას, არამედ ასრულებენ შუამავლის როლს მიმწოდებელს, ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის. საზღვარგარეთ მსხვილი მრავალმილიონიანი გარიგებების დროს მონაწილეთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ხუთ-ექვსამდე, რომელთა რიცხვშიც არიან საბროკერო ფირმები, სატრასტო კორპორაციები, დამფინანსებელი დაწესებულებები და სხვა.

გარიგების სუბიექტური მხარის მიხედვით გამოყოფენ პირდაპირ ლიზინგს, როდესაც ორმხრივი გარიგების დროს ქონების მესაკუთრე (მიმწოდებელი) დამოუკიდებლად გასცემს ობიექტს ლიზინგით და ირიბი ლიზინგიც, როდესაც ქონების გადაცემა ხდება შუამავლის საშუალებით. ბოლო შემთხვევაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს კლასიკურ სამმხრივ გარიგებას. იხ. ნახ. 13.1.


ნახ. 13.1 ირიბი ლიზინგის სქემა



1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება; 2 ლიზინგის ხელშეკრულება; 3 მოწყობილობის ღირებულების გადახდა; 4 მოწყობილობის მიწოდება; 5 - სალიზინგო გადახდები.

ლიზინგის სახეობათა კლასიფიკაციის ნიშნები წარმოდგენილია ნახ. 132-ზე

ნახ. 13.2



ქონების ტიპის დახასიათების მიხედვით გამოყოფენ მოძრავი და უძრავი ქონების ლიზინგს. ქონების ანაზღაურებადობის ხარისხის მიხედვით გარიგებები იყოფა ლიზინგად სრული ანაზღაურებით (ერთი ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ხდება ლიზინგის გამცემისათვის ქონების ღირებულების სრული გადახდა) და არასრული ანაზღაურებით (ანაზღაურდება მხოლოდ ქონების ღირებულების ნაწილი). კლასიფიკაციის ეს ნიშანი დაკავშირებულია სხვა ნიშანთან - ამორტიზაციის პირობებთან. მოცემული ნიშნის შესაბამისად გამოყოფენ გარიგებებს სრული ამორტიზაციით (ლიზინგის ობიექტის ღირებულების შესაბამისად სრული გადახდა) და არასრული ამორტიზაციით (ლიზინგის ობიექტის ღირებულების არასრული გადახდა). თუ გადასაცემი ქონების მომსახურების ყველა სახეობას

თაყის თავზე იღებს ლიზინგის მიმღები, ეს არის სუფთა ლიზინგის ნიშანი. და თუ ლიზინგის გამცემს ეკისრება სრული ან თუნდაც ნაწილობრივი მომსახურება, ეს არის სრული ლიზინგი მთლიანი მომსახურებით.

იმის მიხედვით, თუ სად ტარდება სალიზინგო ოპერაციები გამოყოფენ შიდა სალიზინგო ბაზარს (ცალკე აღებული ქვეყნის ბაზარს) და საგარეო ბაზარს.

თუ სალიზინგო გარიგება ატარებს სპეკულაციურ ხასიათს და იღება მხოლოდ მოგების მიღების მიზნით დაუსაბუთებელი საგადასახადო და საამორტიზაციო შეღავათების მიღების ხარჯზე, ეს არის ფაქტიური ლიზინგი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ნამდვილი.

სალიზინგო გადახდების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სამ ტიპს; ფულადი გადახდა, საკომპენსაციო ლიზინგი, მოცემულ მოწყობილობაზე წარმოებული საქონლით ან შემხვედრი მომსახურების ფორმით გადახდა. გარდა ამისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სალიზინგო გადასახადის ანაღაურების შერეული ფორმა.

საბაზრო ეკონომიკაში გაერცელებულია ლიზინგის შემდეგი სახეობები:

1. **ფინანსური ლიზინგი** ხასიათდება უპირველესად იმით, რომ ვადა, რომლითაც დროებით მოხმარებაში გადაიცემა მოწყობილობა, ხანგრძლივობით ემთხვევა მისი სრული ამორტიზაციის ვადას. ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ქონება საკუთრებაში ან განაახლოს ხელშეკრულება ახალ პირობებზე. პირველ შემთხვევაში ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ ლიზინგის მიმღების ოპციონს ყიდვაზე, ლიზინგის ვადის ბოლოს გასაყიდი ფასის განსაზღვრის პირობის ჩათვლით. ფინანსური ლიზინგის დროს სრული პასუხისმგებლობა დაზღვევაზე, ტექნიკურ მომსახურებასა და შეკეთებაზე ეკისრება ქონებით მოსარგებლეს.

ფინანსურ ლიზინგს, აგრეთვე, უწოდებენ ქონების ლიზინგს სრული ანაზღაურებით ან სრული გადახდით, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ლიზინგის გამცემი იბრუნებს ქონების სრულ ღირებულებას და იღებს მოგებას სალიზინგო ოპერაციიდან.


2. **ოპერატიული ლიზინგი** გამოირჩევა იმით, რომ მასზე იჯარის ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე ქონების გამოყენების ვადა. ოპერატიული ლიზინგის ობიექტი, როგორც წესი, არის დაძველების მაღალი ტემპის მქონე მოწყობილობა.

ოპერატიული ლიზინგის დროს ხდება ნაწილობრივი გადახდა, ანუ ლიზინგის გამცემი მოცემული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ინახლაურებს მოწყობილობის ღირებულების მხოლოდ ნაწილს. ის იძულებულია რამდენჯერმე გასცეს ის დროებით მოხმარებაში, როგორც წესი, სხვადასხვა მომხმარებელზე. საბოლოოდ, ლიზინგის გამცემი სრულად ინახლაურებს ყველა ხარჯს. ამ დროს ქონების გაფუჭების ან დაკარგვის რისკი ძირითადად ეკისრება ლიზინგის გამცემს. ეს უკანასკნელი ასევე ახორციელებს მის დაზღვევას და მომსახურეობას.

ოპერატიული ლიზინგის დროს იზრდება ლიზინგის გამცემის რისკი, სრულად აინახლაუროს ობიექტის ღირებულება, რადგანაც მასზე მეორადი (შემდეგი) ლიზინგის მოთხოვნის არქონის შემთხვევაში მას შეიძლება დარჩეს მაღალი ნარჩენი ღირებულება. ამიტომ სალიზინგო ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე ლიზინგის გამცემების ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება ქონების გადაცემა ისეთი ვადით, რომელიც ახლოსაა სრული ამორტიზაციის პერიოდთან, ნარჩენი ღირებულებით შემდეგში მისი გამოსყიდვით (ფინანსური ლიზინგი) ქონების მოსარგებლის (მიმღების) მიერ.

3. დაბრუნებითი ლიზინგი განიხილება როგორც ფინანსური ლიზინგის ნაირსახეობა. განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ამ შემთხვევაში ქონების მესაკუთრე გადასცემს საკუთრების უფლებას მომავალ ლიზინგის გამცემს (მიყიდის) და, იმავდროულად, შეძის მასთან სხვა ურთიერთობაში - ხდება უკვე სხვისი ქონების (ლიზინგის გამცემის) მომხმარებელი. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი და ლიზინგის მიმღები არის ერთი და იგივე იურიდიული პირი. ნახ. 13.3.

ნახ. 13.3. დაბრუნებითი ლიზინგის სქემა



1. ლიზინგის ხელშეკრულება; 2. ლიზინგის საგნის ღირებულების გადახდა; 3. სალიზინგო გადახდები.

სალიზინგო ბაზარზე შექმნილი კონიუნქტურის გაოვალისწინებით, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ლიზინგის ეს სახეობა ყველაზე მეტად დაინტერესებს პოტენციურ მომხმარებლებს. ის პასუხობს მათ ინტერესებს, რადგანაც აძლევს შესაძლებლობას მოქნილად და ოპ-

ერატიულად გადაწყვიტონ თავიანთი ფინანსური პრობლემები.

ასეთი ტიპის ლიზინგის უპირატესობა იმაშია, რომ ის მისაწვდომია რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოებისათვის. თუ საწარმოს სჭირდება ქონება, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო მოცემულ მომენტში განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, მისთვის ძალიან ხელსაყრელია „მიჰყიდოს“ ქონება სალიზინგო კომპანიას და, ამავე დროს, ფაქტიურად გააგრძელოს მისი მოხმარება. ეს არ გამორიცხავს შემდგომში, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ქონების გამოსყიდვასა და მიმწოდებელ-მომხმარებლის საკუთრების უფლების აღდგენას ქონების მიმართ.

4. ქვეყნის შიდა ბაზარზე შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დეფიციტი პერსპექტივას უხსნის ლიზინგის ისეთ სახეობას, როგორიცაა ლიზინგი ნარჩენი ღირებულებით. ის გამოიყენება ექსპლუატაციაში უკვე ნამყოფი საქონლის მიმართ, ამიტომ ლიზინგის ობიექტი შეფასდება არა საწყისი, არამედ ნარჩენი ღირებულებით, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს ლიზინგის ღირებულება.

სალიზინგო ურთიერთობები ნარჩენი ღირებულებით ხელსაყრელია როგორც მიმწოდებლის, ასევე მიმღებისათვის. საწარმო-მიმწოდებელი დამოუკიდებლად ან სალიზინგო კომპანიის შუამავლობით გასცემს სარგებლობაში უკვე გამოყენებულ, მაგრამ მოცემულ მომენტში გაჩერებულ ქონებას. ამით ის აინაზღაურებს სარალს იძულებითი გაცდენის გამო.

ლიზინგის ამ სახეობამ მომხმარებელი შეიძლება მიიზიდოს ქონების შედარებით დაბალი ღირებულებით, განსაკუთრებით, თუ ეს არის რთული ძვირადღირებული მოწყობილობა, რომლის ლიზინგით შეძენა ან ყიდვა მაღალ საწყის ფასად საწარმოს არ შეუძლია ფინანსური შესაძლებლობის გამო.

5. ურთიერთობები, რომლის დროსაც მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება მთლიანად ეკისრება ლიზინგის მიმღებს, განისაზღვრება როგორც სუფთა ლიზინგი. თავისი დასახელება მან მიიღო იმიტომ, რომ სალიზინგო გადახდებში ამ შემთხვევაში არ შედის ლიზინგის გამცემის ხარჯები ექსპლუატაციისათვის, ეს არის „სუფთა“, „ნეტო“ გადახდები.

სერვისული მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობის უქონლობა ჩვენთან სალიზინგო მეწარმეობის ერთ-ერთი სუსტი მხარეა საზღვარგარეთის პრაქტიკასთან შედარებით. ამიტომ საფინანსო

ლიზინგი ჯერჯერობით ატარებს სუფთა ლიზინგის ხასიათს.

6. თუ ლიზინგის გამცემს შეუძლია ლიზინგის მიმღებს შესთავაზოს მოწყობილობის ექსპლუატაციისათვის მომსახურების ნაკრები, მაშინ საქმე გვაქვს ეგრეთ წოდებულ „სველ“ ლიზინგთან. რთული ტექნიკური დახასიათების მქონე მოწყობილობის მოხმარებაში გადაცემის დროს მიმართავენ ლიზინგის ისეთ ფორმას, რომელიც შეიცავს დამატებით ვალდებულებებს. როგორც წესი, მას გამოიყენებენ ან თვითონ ასეთი მოწყობილობის მწარმოებლები, ან მსხვილი საბითუმო საბაჭრო ორგანიზაციები. თავისი ღირებულებით ეს არის ლიზინგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სახეობა. მომსახურეობის კომპლექსში ტექნიკურ მომსახურეობასთან, შეკეთებასთან, დაზღვევასთან ერთად შეიძლება შეიცდეს მოწყობილობის მუშაობისათვის საჭირო ნედლეულის მიწოდება, კვალიფიციური პერსონალის მომზადება, მარკეტინგი და მზა პროდუქციის რეკლამა.

7. საზღვარგარეთის პრაქტიკაში ლიზინგის ყველაზე რთულ სახეობად ითვლება **განცალკევებული ლიზინგი**, ანუ ლიზინგი, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ლიზინგის გამცემის მიერ. ის გამოიყენება განსაკუთრებით მსხვილი და ძვირადღირებული გარიგებების დროს, რომლებიც მოიცავს ბევრ მხარეს, ანუ მონაწილეს. მას ახასიათებს რთული მრავალარხიანი დაფინანსება.

განცალკევებული ლიზინგის ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ლიზინგის გამცემი, ლიზინგის ობიექტის შესყიდვისას, თავისი სახსრებიდან იხდის არა მთელ, არამედ საჭირო თანხის მხოლოდ ნაწილს, დანარჩენ ნაწილს სპეციალურად ამ მიზნისათვის ის იღებს სესხად ერთი ან რამდენიმე გამსესხებლისაგან. ეს სესხი გაიცემა გარკვეული პირობებით. სახელდობრ, მსესხებელს - ლიზინგის გამცემს არ ეკისრება გამსესხებლის წინაშე პასუხისმგებლობის მთელი სისრულე სესხის სრული და დროული დაბრუნებისათვის. სესხის დაფარვა ხდება შემოსული სალიზინგო გადახდების ხარჯზე, ამიტომ ლიზინგის გამცემი თავის ყველა უფლებას მის კუთვნილ გადახდებზე გადასცემს უშუალოდ გამსესხებლებს. ამრიგად, ამ გარიგებაში განსაკუთრებით დიდია დამფინანსებელი მხარის ბანკის როლი. მასვე აკისრია გარიგებაზე მთავარი რისკი.

8. **საერთაშორისო ლიზინგი** შეიძლება იყოს საექსპორტო და საიმპორტო. საექსპორტო ლიზინგის დროს უცხოური მხარე არის ლიზინგის მომხმარებელი, საიმპორტოს დროს ლიზინგის გამცემი. ლიზინგის ამ სახეობას მიეკუთვნება გარიგებებიც, რომლებსაც ატ-

არებენ ერთი ქვეყნის ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები, თუ რომელიმე ერთი მხარე ახორციელებს თავის საქმიანობას ან აქვს კაპიტალი სახელვარგარეთის ფირმასთან ერთად (მაგალითად, ერთობლივი საწარმო).

პირობითად შეიძლება გამოვყოთ სალიზინგო გარიგების სამი ეტაპი. პირველ (წინასწარ) ეტაპზე ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც წინ უძღვის რიგი იურიდიული ხელშეკრულებების დადებას. მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება განპირობებულია ლიზინგის დროს მრავალრიცხოვანი ურთიერთობების რთული ხასიათით, ყველა პირობის და, განსაკუთრებით, ყველა გარიგების დაწვრილებითი შესწავლის აუცილებლობით. სალიზინგო გარიგების პირველ ეტაპზე წყდება გარიგების დაფინანსების წყაროების საკითხი. მოცემულ ეტაპზე ფორმდება ლიზინგის მომავალი მიმღების განაცხადები, მზადდება დასკვნები კლიენტის კრედიტუნარიანობაზე და გამოითვლება სალიზინგო პროექტის ეფექტიანობა. ეს ყველაფერი აისახება მიმწოდებლისათვის გაგზავნილ შეკვეთაგანაწესში.

ლიზინგის მართვის ორგანიზებაში მთავარ როლს თამაშობს მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე ხორციელდება სალიზინგო გარიგების იურიდიული ეტაპი. ამ ეტაპზე ხორციელდება სალიზინგო გარიგების იურიდიული განმტკიცება - ფორმდება შემდეგი დოკუმენტები:

- ხელშეკრულება ლიზინგის ობიექტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ;
- აქტი ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ;
- სალიზინგო შეთანხმება;
- ხელშეკრულება ლიზინგში გადასაცემი ქონების ტექნიკური მომსახურების შესახებ;
- ხელშეკრულება ლიზინგის ობიექტის დაზღვევაზე.

სალიზინგო პროცესის მესამე ეტაპია საკუთრებრივ ლიზინგის ობიექტის გამოყენების პერიოდი. მას თან ახლავს სალიზინგო ოპერაციების ასახვა საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. მოცემულ ეტაპზე ხდება ლიზინგის გამცემისათვის სალიზინგო გადახდების გადაცემა და ლიზინგის ვადის დამთავრების შემდეგ ფორმდება ურთიერთობები ლიზინგის ობიექტის მომავალ გამოყენებაზე.

სქემაზე (ცხრ.13.1) ასახულია სალიზინგო პროცედურების საერთო თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა ამერიკული სალიზინგო კომპანიების მაგალითზე.

სალიზინგო პროცედურის სქემა

პროცედურების ხანგრძლივობა	პროცედურების შინაარსი
10 დღე	I. კომპანიის (სააგენტოს) მიერ ლიზინგზე განაცხადის მიღება. 1. ლიზინგის სამუშაო პარამეტრების დახასიათება 2. ლიზინგის ღირებულების განსაზღვრა 3. დაკალება რეკლამის მოსამზადებლად
20 დღე	II. ლიზინგის პირობების ანალიზი 1. სააგენტოს მიერ განმცხადებლებისაგან მოწაცემების მიღება 2. განმცხადებლის პოტენციალური შესაძლებლობების დადგენა 3. მისი აღგილმდებარეობის შემოწმება 4. განაცხადის საბოლოო გაყორმება 5. სალიზინგო პროცესის დამოუკიდებელი ექსპერტიზა.
30 დღე	III. მესაკუთრის წინასწარი მომზადება.
60 დღე	IV. წინასწარი გადაწყვეტილებების გამომუშავება. 1. მოლაპარაკებები კლიენტთან (განმცხადებელთან) 2. ლიზინგის ღირებულების შეფასება 3. საუკეთესო კლიენტის დადგენა 4. სააგენტოს მიერ შეთანხმების შემუშავება 5. ლიზინგის ღირებულების დამტკიცება 6. საბაჟო პირობების შესწავლა.
ორიდან რვა თვემდე	V. წინადადების მიღება 1. სამუშაოების ორგანიზაციის სქემა პირველადელი პირობების დაზუსტება და შეცვლა.
საერთო ხანგრძლივობა 180-დან 360 დღემდე	

ლიზინგის გამცემის შემოსავალი არის სხვაობა ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებიდან შემოსული სალიზინგო გადახდების საერთო ჯამისა და სალიზინგო ქონების ღირებულების ანაზღაურების საერთო თანხას შორის.

სალიზინგო გარიგებების შთამბეჭდავი ზრდა საზღვარგარეთ. მსგავსი ოპერაციების განხორციელებების დაწყება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აიხსნება იმით, რომ ბიზნესის ამ ფორმას აქვს რიგი უპირატესობები სხვებთან შედარებით, რომლებიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია ქონების მარტივ შეძენასთან.

სალი'ზინგო გარიგების უპირატესობები:

1. ლი'ზინგის მიმღებს (მოიჯარეს) ლი'ზინგის გამცემისგან ფაქტიურად ეძლევა გრძელვადიანი კრედიტი მოწ'ოდებული მოწ'ყობილობის ღირებულების 10%-ით, რომელიც არ ითხოვს გადახდის დაუყოვნებლივ დაწ'ყებას.
   ლი'ზინგის მიმღები (მოიჯარე) იღებს მოწ'ყობილობის ექსპლუატაციის შესაძლებლობას ინვესტირებაზე ან კაპიტალის დიდი ხნით გაყინვა'ზე მსხვილი თანხების დახარჯვის გარეშე.
2. როგორც წ'ესი, სალი'ზინგო ოპერაციები ხორციელდება ფიქსირებული განაკვეთით, რომელიც ლი'ზინგის მიმღებს (მოიჯარეს) იცავს ინფლაციური რყევებისაგან.
3. ლი'ზინგის მიმღები არ აკეთებს პირველად შენატანს (რაც ვალდებული იყო გაეკეთებინა მოწ'ყობილობის კრედიტით ყიდვის დროს), ან აკეთებს ძალიან მცირე შენატანს.
4. ლი'ზინგის მიმღები სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით დაჩ'არებულ ამორტი'საციასთან და იმასთან დაკავშირებით, რომ საიჯარო გადახდები ითვლება საექსპლუატაციო ხარჯებად და შედის პროდუქტის თვითღირებულებაში.
5. საწ'არმო ლი'ზინგით იღებს მისთვის საჭირო მოწ'ყობილობას, მაშინ როდესაც კრედიტი მის შესაძენად შეიძლება იყოს გამოყენებული არადანიშნულებისამებრ.
6. ლი'ზინგის გამცემი სალი'ზინგო შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში რჩება ლი'ზინგის მიმღებისათვის (მოიჯარესათვის) მიცემული მოწ'ყობილობის მესაკუთრედ. ეს ამაღლებს სალი'ზინგო ბი'ნესის პარტნიორების ეფექტურობას და საიმედოობას.
7. ლი'ზინგი საწ'არმოებს საშუალებას აძლევს სწრაფად და იაფად აითვისონ თანამედროვე ტექნიკა (ქარხანა-გამომშვები უშუალოდ ააწ'ყობს დანადგარებს და შემდეგ ლი'ზინგის მიმღებს გაუწ'ევს სერვისულ მომსახურეობას). ეს საწ'არმოს შესაძლებლობას უქმნის გამოუშვას კონკურენტუნარიანი პროდუქცია და უსრუნველყოს მისი გასაღება.
8. ლი'ზინგის მიმღებს იჯარის ვადის დასრულების შემდეგ შეუძლია შეიძინოს მოწ'ყობილობა საკუთრებაში ნარჩენი ღირებულებით, რიგ შემთხვევაში კი ის შეიძლება იყოს დატოვებული უფასოდ.
9. სალი'ზინგო შეთანხმების პარტნიორებისათვის მიმ'ზიდველია საფინანსო ვალდებულებების შესრულების პირობები. გადასახა-

დი იჯარით აღებულ მოწყობილობაზე, მათ შორის, იმპორტულზეც ხორციელდება მისი მონტაჟის ან ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ, ხოგჯერ კი – დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ. დაფინანსების სქემა, როგორც წესი, არის ინდივიდუალური, საკმაოდ მოქნილი, კონკრეტული საწარმოს შესაძლებლობების და ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით (განსხვავებით საბანკო კრედიტებისაგან, მათი ტრადიციულად მკაცრი პირობებით ვადებზე, გადახდების ოდენობებზე, ვადის გადაცილებასთან და დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული სანქციებით).

10. წერილი და საშუალო მეწარმეობისათვის უჭრო მარტივია სალიზინგო შეთანხმებაზე ხელის მოწერა, ვიდრე საკრედიტოზე. ზოგიერთი სალიზინგო კომპანია ლიზინგის მიმღებისაგან არც კი ითხოვს არანაირ დამატებით გარანტიებს, რადგანაც გარიგების უსრულყოფა არის თვითონ მოწყობილობა. თუ ლიზინგის მიმღები არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მაშინ სალიზინგო კომპანიას დაუყოვნებლივ მიაქვს თავისი მოწყობილობა.
11. საერთაშორისო სალიზინგო ოპერაციების დროს ლიზინგის მიმღები მოიჯარე სარგებლობს მეიჯარის ქვეყნის საგადასახადო შეღავათებით. ლაპარაკია დაჩქარებულ ამორტიზაციაზე, საინვესტიციო საგადასახადო შეღავათებზე და ა.შ.
12. საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ ითვალისწინებს სალიზინგო გარიგებების თანხას ლიზინგის მიმღები ქვეყნის საგარეო დავალიანების დათვლის დროს. საქმე იმაშია, რომ სალიზინგო გარიგების ობიექტი ყოველთვის იწერება ლიზინგის გამცემის - საზღვარგარეთული კომპანიის ბალანსზე.

სალიზინგო ბიზნესი მიმზიდველია არა მარტო მოიჯარეებისათვის, არამედ მისი სხვა მონაწილეებისათვის. გამყიდველი ასაღებს საქონელს და იღებს მის ღირებულებას. სალიზინგო კომპანია ხდება საქონლის მფლობელი და მისი იჯარით გაცემისას, იღებს მის შესაძენად დახარჯული ფულის ანაზღაურებას, აგრეთვე, პროცენტს გარიგების დაფინანსებისათვის. ბანკი კრედიტის დაფარვის სახით იღებს ძირითად თანხასა და პროცენტებს.


მაგრამ სალიზინგო ოპერაციებს ახლავს რიგი ნაკლოვანებები:

1) ხდება იჯარით აღებული მოწყობილობის ფიზიკური და მორალური მოძველება;
2) მოწყობილობის ლიზინგის ღირებულება (საგადასახადო შეღა-

ვალების გარეშე) მეტია, ვიდრე მისი ღირებულება კრედიტით შეძენის დროს.

სალიზინგო ოპერაციების განხორციელება გულისხმობს მათში ლიზინგის გამცემის (სალიზინგო კომპანიის), ლიზინგის გამცემის მიერ შეძენილი მოწყობილობის მომწოდებლის, ლიზინგის გამცემის დამკრედიტებელი ბანკისა და ლიზინგის მიმღების (მომხმარებლის) მონაწილეობას. ზოგჯერ ლიზინგის გამცემი ახლავეს ლიზინგში გადასაცემ ქონებას სპეციალიზებული სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით. ცალკეულ შემთხვევაში ლიზინგის გამცემი, კომპანია-მწარმოებელი და მოწყობილობის მომწოდებელი, ბანკი-კრედიტორი და სადაზღვევო კომპანია ერთიანდებიან ჰოლდინგში (ნახ. 13.4).

ნახ. 13.4 სალიზინგო ოპერაციების პრინციპული სქემა.



1) კომპანია, რომელსაც სურს მოწყობილობის იჯარით აღება, მომწოდებლისაგან (მწარმოებლისაგან) ირჩევს მას ხარისხის, ფასის, დამზადებისა და მიწოდების ვადების გათვალისწინებით.
2) შემდეგ ლიზინგის მიმღები (მომხმარებელი) დებს ლიზინგის გამცემთან (სალიზინგო კომპანიასთან) სალიზინგო ხელშეკრულებას.
3) სალიზინგო კომპანია ბანკისაგან ან რომელიმე სხვა საკრედიტო ორგანიზაციისაგან იღებს კრედიტს მოწყობილობის შესასყიდად. კრედიტორი კრედიტის დაფარვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს ლიზინგის გამცემს (სალიზინგო კომპანიას).
4) ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) მიმწოდებელს უხდის მოწყობილობის ღირებულებას და ხდება ამ მოწყობილობის მფლობელი.

5) ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) ახორციელებს ამ მოწყობილობის დაზღვევას სადაზღვევო კომპანიაში.
6) ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) აწარმოებს მიმწოდებელთან მოლაპარაკებას ამ მოწყობილობის ლიზინგის მიმღებისათვის (მომხმარებლისათვის) მიწოდების თაობაზე.
7) ლიზინგის მიმღები ახორციელებს სალიზინგო გადახდებს ლიზინგის გამცემისადმი მოწყობილობის მოხმარების მთელი პერიოდის განმავლობაში.
8) ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) კრედიტის ძირითად ღირებულებასა და მასზე პროცენტებს უყარაულებს ბანკს ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციას.

ლიზინგის გამცემს შეუძლია გამოიყენოს სალიზინგო ქონება გირაოს სახით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ლიზინგის ხელშეკრულებით.

სალიზინგო ქონების შემთხვევითი განადგურების, დაკარგვის, დაზიანების რისკი ეკისრება ლიზინგის გამცემს. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აღნიშნული რისკის გადასვლა ლიზინგის მიმღებთან მისთვის მოწყობილობის მიწოდების მომენტიდან.

სალიზინგო ქონების მიწოდების მომენტიდან ლიზინგის მიმღებზე გადადის გამყიდველისათვის პრეტენზიების წაყენების უფლება ხარისხის, კომპლექტურობის, ქონების მიწოდების ვადების და გამყიდველსა და ლიზინგის გამცემს შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების არასათანადო შესრულების სხვა შემთხვევების თაობაზე.

ლიზინგის ხელშეკრულებით შეიძლება იყოს გათვალისწინებული ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა სალიზინგო ქონების ხარისხის თაობაზე, თუ ქონების შერჩევა ხორციელდება ლიზინგის მიმღების დავალებით ლიზინგის გამცემის მიერ.

ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში ლიზინგის მიმღები უზრუნველყოფს სალიზინგო ქონების შენახვას და, აგრეთვე, ასრულებს ყველა საჭირო მოქმედებას, მიმართულს მისი მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებაზე, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ჩათვლით.

ლიზინგის მიმღები თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს სალიზინგო ქონების შენახვისათვის, მისი დაზღვევისათვის, ლიზინგის გამცემის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის დაზღვევის ჩათვლით, და, აგრეთვე, ყველა ხარჯს, რაც წარმოიქმნება ამ მოწყობილობის

ექსპლუატაციასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და შეკეთებასთან დაკავშირებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ლიზინგის ხელშეკრულებით.

სალიზინგო ქონების მოხმარების საფასურის გადახდა ლიზინგის მიმღების მიერ ხორციელდება სალიზინგო გადახდების სახით, რომელიც მხარეების შეთანხმებით დაფიქსირდება ლიზინგის ხელშეკრულებაში.

სალიზინგო გადახდების საერთო ჯამი შეიცავს:

- თანხას, რომელიც სრულად (ან მასთან ახლოს) აანაზღაურებს სალიზინგო ქონების ღირებულებას;
- თანხას, რომელსაც ლიზინგის მიმცემი იხდის საკრედიტო რესურსებისათვის, ლიზინგის ხელშეკრულებით ქონების შესაძენად;
- ლიზინგის გამცემისათვის საკომისიო გასამრჯელოს;
- თანხას, გადახდილს სალიზინგო ქონების დაზღვევისათვის, თუ ის იყო დაზღვეული ლიზინგის გამცემის მიერ;
- ლიზინგის გამცემის სხვა ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ლიზინგის ხელშეკრულებით.

კანონმდებლობის შესაბამისად სალიზინგო გადახდები შედის ლიზინგის მიმღების მიერ წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში.

საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულებაში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ლიზინგის მიმღების მიერ აქტის ან სხვა დოკუმენტის მიხედვით ქონების მიღების თარიღი. ამ თარიღიდან ლიზინგის მიმღები თავის თავზე იღებს ქონების განადგურების, დაკარგვის, დაზიანების, დატაცებისა და ვადაზე ადრე ცვეთის ყველა რისკს. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემის სასარგებლოდ თავისი ხარჯებით დააზღვიოს ქონება ყველა სახის დაზიანებისაგან და 15 დღის განმავლობაში გაუგზავნოს მას სადაზღვევო პოლისი ან მისი ასლი.

სალიზინგო ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგის მიმღები თავისი ხარჯით ახორციელებს ქონების ტექნიკურ მომსახურებასა და ტექნიკურ შეკეთებას. როგორც წესი, ქონების კაპიტალური შეკეთება ხორციელდება ლიზინგის გამცემის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მონაწილეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ხელშეკრულების გაუქმება დაღგენილი წესით.

საქართველოში სალიზინგო ბიზნესი არის საწყის ეტაპზე. მის უფრო სწრაფ განვითარებას ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის:

1. ლიზინგის გამცემთა საკუთარი საფინანსო საშუალებების დეფიციტი, რაც საჭიროა ძვირადღირებული მოწყობილობის ლიზინგის დროს;
2. სასესხო საშუალებების მიღების სიძნელეები ამ და სხვა მიზნებისათვის გადაუხდელობის კრიზისის პირობებში;
3. საჭირო გამოცდილების უქონლობა ფირმებში, რომლებიც დაკავებულნი არიან ან იწყებენ ლიზინგს.

ლიზინგურ შეთანხმებაში მითითებულია ლიზინგური გადახდის თანხა, ხერხი და ლიზინგური შენატანების პერიოდულობა.

ლიზინგურ შენატანებს, როგორც წესი, ძირითადად აქვს ფულადი ფორმა. ამ შემთხვევაში გადახდა ხორციელდება ფულადი სახსრების ხარჯზე. გადახდის ნატურალური ფორმის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება საკომპენსაციო საფუძველზე ან იჯარით აღებულ დანადგარებზე წარმოებული საქონლით, ან ლიზინგის გამცემისათვის შემხვედრი მომსახურების გაწევით. შესაძლებელია გადახდის შერეული ფორმა, როდესაც ფულად გადახდებთან ერთად დაშვებულია გადახდები საქონლითა და მომსახურებით.

ლიზინგური შენატანების დარიცხვისას უმეტეს შემთხვევაში იყენებენ გადახდებს ფიქსირებული საერთო თანხით. ლიზინგური სახღაური ამ შემთხვევაში მოიცავს საამორტიზაციო ანარიცხებს იჯარით აღებული დანადგარების ღირებულებიდან, სასესხო სახსრებით სარგებლობის საფასურს, ლიზინგის გამცემისათვის საკომისიო გასამრჯელოს თანხასა და მის მიერ გარიგებაზე გაწეული დამატებითი მომსახურების საფასურს.

მინიმალური ლიზინგური საფასური წარმოადგენს ყველა იმ ლიზინგური გადახდების ჯამს, რომლებიც უნდა მოახდინოს მოსარგებლემ ლიზინგის მთელ პერიოდში და იმ თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს, თუ აპირებს ქონების შეძენას საკუთრებაში ლიზინგის ვადის ამოწურვის შემდეგ. ფიქსირებული თანხის მქონე გადახდისაგან განსხვავებით, განუსაზღვრელი ლიზინგური გადახდის დარიცხვის მეთოდი ემყარება შეთანხმებით დადგენილ გარკვეულ პროცენტს. ურთიერთშეთანხმებით, ანგარიშსწორებისას საფუძვლად შეიძლება მიღებული იქნეს იჯარით აღებულ დანადგარებზე წარმოებული პროდუქციის რეალიზების მოცულობა, რეალიზაციით

მიღებული მოგების თანხა და სხვა პარამეტრები.

პრაქტიკაში სჭარბობს პერიოდული ლიზინგური შენატანები. ლიზინგურ შეთანხმებაში დანართის სახით მიღებული უნდა იყოს პერიოდული ლიზინგური შენატანების გადახდის გრაფიკი. ერთჯერადი გადახდა პერიოდულ შენატანებთან ერთად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებაში გათვალისწინებულია ავანსის გადახდა ლიზინგის გამცემისათვის.[11]

შეთანხმებაში გადახდის ხერხის დადგენისას მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობა და საგადახდო შესაძლებლობები. თანაბარ წილებად გადახდებთან ერთად შეიძლება გამოიყენებოდეს ანგარიშსწორება გადახდათა მსარდი ოდენობებით დანადგარების ათვისებისა და მათზე წარმოებული პროდუქციის გამოშვების ტემპების სრდის პირობებში. დაჩქარებული გადახდები გამოიყენება მდგრადი ფინანსური მდგომარეობის მქონე ლიზინგის მიმღებთა მიერ, როდესაც ლიზინგის საწყის პერიოდში ისინი ამჯობინებენ დაფარონ დანადგარების მფლობელისადმი თავიანთი დავალიანების მეტი ნაწილი.

13.2. ფაქტორინგული ოპერაციები

ფაქტორინგი არის საშუამავლო ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია ფაქტორ-კომპანიის მიერ თავისი კლიენტისაგან მისი კონტრაგენტისადმი ფულადი მოთხოვნების (ანგარიშ-ფაქტურების) გამოსყიდვასთან. ამ დროს 2-3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს იმის შემდეგ, რაც თანხა შემოვა გადამხდელისაგან. ამრიგად, ფაქტორ-კომპანიის კლიენტი, რომელმაც განახორციელა საქონლის მიწოდება (შეასრულა სამუშაო, გაწია მომსახურება), ერთი მხრივ, აძლევს მყიდველს გადახდის გადავადებას, მეორე მხრივ კი, მიმართავს რა ფაქტორ-კომპანიას, იღებს მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საფასურის მნიშვნელოვან ნაწილს დაუყოვნებლივ.

სიტყვა „ფაქტორინგი" (factoring) წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან „factor", რაც ნიშნავს კომისიონერს, აგენტს, შუამავალს. ფაქტორინგს ეწევიან სპეციალიზებული ფაქტორინგული ფირმები

11 ინგოროყვა ა., ყიფხაია ზ., ყიფხაია ი. – საბანკო ოპერაციები: ლექციების კურსი – თბ. 2009 – გვ. 256-298.

(ფაქტორ-კომპანიები), რომლებიც, ჩვეულებრივ, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბანკებთან. ფაქტორინგს ეწევიან, აგრეთვე, ბანკების სპეციალური განყოფილებები.

ფაქტორინგის მონაწილეები არიან:

- ფაქტორი (ფაქტორინგული კომპანია) - ფაქტორინგის ორგანიზატორი;
- ფაქტორინგული კომპანიის კლიენტი - მიმწოდებელი, რომელსაც აქვს საგადახდო მოთხოვნები მიწოდებული საქონლისათვის, შესრულებული სამუშაოებისათვის, გაწეული მომსახურებისათვის თავისი მოვალე-დებიტორების მიმართ;
- მოვალე (დებიტორი) მყიდველი, რომელსაც აკისრია ვალდებულება გადაუხადოს ფაქტორინგული კომპანიის კლიენტს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების საფასური.

ფაქტორინგმა ფართო გავრცელება ჰპოვა აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო 1960-იანი წლებიდან დაწყებული ევროპაში. ამჟამად ფაქტორინგი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებად სექტორს.

ბაზრის განვითარების საწყის ეტაპზე ფაქტორინგული კომპანიები გამოდიოდნენ „ბოლო ინსტანციის კრედიტორთა" სახით. როგორც წესი, ფაქტორინგი განიხილებოდა მხოლოდ როგორც მოკლევადიანი ფინანსური პრობლემების გადაჭრის ხერხი, რაც ხშირად დაკავშირებული იყო საბრუნავი კაპიტალის მწვავე დეფიციტთან. სწორედ ამიტომ ფაქტორინგს იყენებდნენ მხოლოდ კომპანიები, რომელთა ფინანსური მდგომარეობა შედარებით არამდგრადი იყო. დამოკიდებულება ფაქტორინგის მიმართ მკვეთრად შეიცვალა ბაზრის დინამიკურ განვითარებასთან ერთად. ამჟამად ძალიან მსხვილი კომპანიებიც კი იყენებენ ფაქტორინგის სქემას თავისი ზრდის დასაფინანსებლად, დებიტორულ დავალიანებაზე მუშაობის გასაადვილებლად და ფინანსური რისკების დასაზღვევად.

ფაქტორინგული კომპანიებისადმი დათმობილი დებიტორული დავალიანების ბრუნვის ზრდასთან ერთად ვითარდება კლიენტთა კომპლექსური მომსახურება. იზრდება იმ დარგების რიცხვიც, რომლებიც იყენებენ ფაქტორინგის მექანიზმს.

ბაზრის მოცულობათა ზრდას თან სდევდა საკანონმდებლო ბაზის განვითარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საერთაშორისო ფაქტორინგის ცნების განსაზღვრას, არის უნიდრუა-ს კონვენცია „საერთაშორისო ფაქტორინგის შესახებ" (UNIDROIT Convention on International Factoring).

ფაქტორინგულ მომსახურებას არ ექვემდებარებიან:

- საწარმოები, რომლებიც ეწევიან არასტანდარტული ან ვიწროსპეციალიზებული პროდუქციის გამოშვებას;
- ქვემოიჯარეებთან მომუშავე სამშენებლო და სხვა ფირმები;
- საწარმოები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ასაღებენ გაყიდვის შემდგომი მომსახურების პირობებით, პრაქტიკაში აქვთ კომპენსაციური (ბატერული) გარიგებები;
- საწარმოები, რომლებიც თავიანთ კლიენტებს უდებენ გრძელვადიან კონტრაქტებს და წარუდგენენ ანგარიშებს სამუშაოთა განსაზღვრული ეტაპების დასრულების შემდეგ.

ფაქტორინგული ოპერაციების ჩატარება რეკომენდებული არ არის:

- კერძო პირების, საწარმოების ფილიალების ან განყოფილებების სასესხო ვალდებულებებზე;
- საბიუჯეტო ორგანიზაციათა მოთხოვნების მიხედვით;
- იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც ბანკმა მოხსნა დაკრედიტებიდან ან გამოცხადებულნი არიან გადახდისუუნაროებად.


ფაქტორინგული ოპერაციის სქემა მოყვანილია ნახ. 13.6-ზე.

ფაქტორინგის ფარგლებში ფატორინგული კომპანიის კლიენტს შეუძლია მიიღოს დებიტორული დავალიანების დათმობის სანაცვლოდ საფინანსო მომსახურების კომპლექსი, რაც მოიცავს:

- მიწოდებათა დაფინანსებას;
- მიმწოდებლის დაცვას მყიდველის გადახდისუუნარობის რისკისაგან;
- დებიტორული დავალიანების მდგომარეობის აღრიცხვასა და კლიენტისათვის (მიმწოდებლისათვის) შესაბამისი ანგარიშების რეგულარულ წარდგენას;
- გადახდის დროულობის კონტროლსა და დებიტორებისადმი (მყიდველებისადმი) ფულადი მოთხოვნების წაყენებას.

გაწეული მომსახურების მოცულობიდან გამომდინარე, განასხვავებენ სრულ და არასრულ ფაქტორინგს. სრული ფაქტორინგის დროს ფაქტორი თავის კლიენტს უწევს მთელ ჩამოთვლილ მომსახურებას, ხოლო არასრულის დროს - მხოლოდ მის ნაწილს.

ნახ. 13.5. ფაქტორინგული ოპერაციის სქემა:



1 - მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება (მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება); 2- მყიდველის კრედიტუნარიანობის ანალიზი; 3 - ფაქტორინგული კომპანიის მიწოდებაზე ვალის მოთხოვნის უფლების დათმობა; 4 - თანხის გადახდა (მოთხოვნათა ღირებულება 90%-მდე); 5 - მყიდველის მიერ საქონლის საფასურის გადახდა; 6 - სახსრების ნაშთის გადახდა საკომისიოს გამოკლებით.

იმის მიხედვით, შეატყობინებს თუ არა მყიდველს, რომ მიმწოდებელმა დადო ხელშეკრულება ფაქტორინგულ კომპანიასთან, განასხვავებენ კონვენციურ (ღია) და კონფიდენციალურ (დახურულ) ფაქტორინგს. კონვენციური ფაქტორინგის დროს გადამხდელი, რომელსაც შეატყობინეს ფაქტორინგული გარიგების შესახებ, ახორციელებს გადახდებს ფაქტორის ანგარიშზე. კონფიდენციალური ფაქტორინგის შემთხვევაში გადამხდელი ახორციელებს გადახდებს მიმწოდებლისადმი, რომელიც გადარიცხავს ამ გადახდებს ფაქტორის ანგარიშზე.

საკრედიტო რისკის მიხედვით განასხვავებენ ფაქტორინგს რეგრესით, ნაწილობრივი რეგრესითა და რეგრესის გარეშე. რეგრესის არსებობა ნიშნავს, რომ ფაქტორს შეუძლია თავის კლიენტს წაუყენოს გადახდის მოთხოვნა, თუკი განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს გადახდას დებიტორისაგან (მყიდველისაგან).

ფაქტორინგული გარიგების მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით ფაქტორინგი შეიძლება იყოს შიდა ან საერთაშორისო. საერთაშორისო ფაქტორინგის დროს სამი მონაწილედან ერთ-ერთი იმყოფება სხვა ქვეყანაში, ე.ი. საუბარია ექსპორტ-იმპორტის საგაჭრო ოპერაციაზე. საერთაშორისო ფაქტორინგი შეიძლება იყოს ორფაქტორიანი, პირდაპირი საიმპორტო, პირდაპირი საექსპორტო.

ორფაქტორიანი ფაქტორინგის დროს გარიგებას ემსახურება ორი ფაქტორინგული კომპანია: ერთი - ექსპორტიორის ქვეყანაში, მეორე კი - იმპორტიორის ქვეყანაში.

პირდაპირი საიმპორტო ფაქტორინგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მაშინ, როდესაც საექსპორტო მიწოდებები გარკვეულ ქვეყანაში

ხორციელდება რეგულარულად. ამ შემთხვევაში ექსპორტიორისათვის უკეთესია ხელშეკრულების დადება პირდაპირ ფაქტორინგულ კომპანიასთან იმპორტიორის ქვეყანაში.

პირდაპირი საექსპორტო ფაქტორინგის დროს ექსპორტიორი დებს ხელშეკრულებას ფაქტორინგულ კომპანიასთან თავის ქვეყანაში.

მიმწოდებლისათვის ფაქტორინგს საბანკო კრედიტთან შედარებით აქვს რიგი უპირატესობები:

- გაყიდვათა მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა, ვინაიდან იგი ფაქტორისაგან დაუყოვნებლივ იღებს საბრუნავ სახსრებს;
- ეკონომია დამატებით ხარჯებზე: კომისია კრედიტის მიღებისას, იმ თანამშრომელთა ხელფასი, რომლებიც ახორციელებენ დოკუმენტების მომზადებას კრედიტის მისაღებად და ა.შ.
- დაცულობა დებიტორთა მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის გადაუხდელობის ან არადროული გადახდის რისკისაგან;
- მყიდველებისათვის გადავადების მიცემისა და ამით საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალება;
- საჭირო არ არის გადასვლა საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე;
- საჭირო არ არის უსრუნველყოფის მიცემა;
- დაფინანსების ოდენობა შეზღუდული არ არის და დამოკიდებულია გაყიდვათა მოცულობაზე;
- დაფინანსება ხორციელდება მაშინვე, ანგარიშ-ფაქტურების წარდგენის შემდეგ;
- დაფინანსება არ ითვალისწინებს შეზღუდვებს ვადებზე;
- გაიწევა დამატებითი მომსახურება, როგორიცაა: დებიტორული დავალიანების მართვა, კონსალტინგი და ა.შ.
- ფაქტორინგული მომსახურების ღირებულება შედგება დაფინანსების პროცენტებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ოდნავ მაღალია საბანკო კრედიტების პროცენტებზე.

სამართალურთიერთობები ფაქტორინგულ კომპანიასა და კლიენტს შორის რეგულირდება ფაქტორინგის ხელშეკრულებებით. ხელშეკრულებები უნდა შეიცავდეს ოპერაციების არსს, მათი ჩატარების წესს, საგადახდო დოკუმენტაციების მიღების პირობებს, რეგრესის არსებობას, საკომისიო გასამრჯელოს ოდენობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მხარეთა რეკვიზიტებს.

უცხოურ პრაქტიკაში სატრასტო ოპერაციაში იგულისხმება ბანკების ან საფინანსო ინსტიტუტების ოპერაციები ქონების მართვაზე და სხვა მომსახურების შესრულებაზე კლიენტის დავალებით და მისი ინტერესების შესაბამისად.

დაინტერესებულ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების (ან ანდერძის) საფუძველზე ნდობით აღჭურვილი პირი იძენს შესაბამის უფლებებს და ხდება ქონების განმკარგავი, საბანკო ანგარიშებზე დარჩენილი ნაშთების ჩათვლით. ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულებას იღებს, განკარგოს ქონება ბენეფიციარის სასარგებლოდ. ხელშეკრულების შინაარსი შეიძლება შეიცავდეს მოანდერძის განკარგულებას ქონებაზე მემკვიდრეების სასარგებლოდ, ფასეულობების მიღებს, კრედიტორის მოთხოვნების დარეგულირებას გადახდისუუნარო პირის მიმართ ან გაკოტრებული ფირმის სახსრებისა და საქმეების განკარგვას, არასრულწლოვანი პირის ქონების მართვას მეურვის მიერ.

რწმუნებითი ოპერაციების განხორციელების დროს ნდობით აღჭურვილი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი: სპეციალიზებული კომპანია (სადაზღვევო ფირმა, ტრასტკომპანია), კომერციული ბანკი. იმ შემთხვევებში, როდესაც ნდობით აღჭურვილი პირი არის კომერციული ბანკი, იგი დაკავშირებულია თავის კლიენტთა მინდობილობით, მოქმედებს თავისი მარწმუნებლის სახელით მისი ან მესამე პირის ინტერესებში.

სატრასტო ოპერაციები გამოიყენება კომერციული ბანკების მიერ შემდეგი მიზნებისათვის:

- როგორც დამატებითი შემოსავლის მიღების წყარო;
- მსხვილ კორპორაციებზე და მათ ფულად სახსრებზე კონტროლის მიღების საშუალება;
- მსხვილ კლიენტებთან კავშირების დამყარება;
- იმ შესაძლებლობების გადასალახად, რომლებიც დაწესებულია ზოგიერთი ქვეყნის კომერციული ბანკებისათვის საინვესტიციო საქმიანობის სფეროში. კერძოდ, აშშ-ში კომერციული ბანკები იყენებენ სატრასტო ოპერაციებს, როგორც ერთ-ერთ საშუალებას კომერციული ბანკებისათვის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვების გვერდის ასაველელად.

ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელებისას ბანკების

ტრასტ-განყოფილებები უპირატესობას ანიჭებენ სახსრების დაბანდებას უმსხვილესი კომპანიების ფასიან ქაღალდებში ან იმ ფირმების აქციებში, რომლებთანაც დიდი ხანია აქვთ საქმიანი კავშირები. ეს განპირობებულია ბანკების მისწრაფებით, შეამცირონ დანახარჯები მრავალი კომპანიისა და ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესწავლაზე, მიიღონ რიგი კომპანიების მართვაში მონაწილეობისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის შესაძლებლობა. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ იქონიონ გავლენა იმ ფირმების აქციების კურსზე, რომლებშიც ისინი აბანდებენ რწმუნებით მართვაში მიღებულ სახსრებს, ბაზარზე ამ ფირმების ფასიან ქაღალდებზე მყარი მოთხოვნის შენარჩუნების გზით.

სატრასტო ოპერაციების გამოყენება იძლევა საბანკო კაპიტალის არასაბანკო კაპიტალთან შერწყმის შესაძლებლობას. ამგვარი ოპერაციები (უპირატესად, ფასიან ქაღალდებზე) აძლევენ ბანკებს შესაძლებლობას, მიიღონ კონტროლი კორპორაციებზე (რწმუნებით მართვაში ფასიანი ქაღალდების მიღება ნიშნავს ამ ფასიან ქაღალდებზე ძირითადი უფლებების გადაცემას მათზე შემოსავლის მიღების უფლების გამოკლებით). როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების წილი, რომლებსაც განკარგავენ კომერციული ბანკები მათი კლიენტების მინდობილობით და რომლებიც ნაყიდია ტრასტ-განყოფილებისათვის რწმუნებით მართვაზე გადაცემული სახსრებით, აღემატება ბანკების მიერ თავისი ხარჯებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდების წილს.

ფორმალურად ტრასტ-ოპერაციების ხატარება შეიძლება მივაკუთნოთ საკომისიო გასამრჯელოსათვის განხორციელებულ საშუამავლო (სააგენტო) საქმიანობას. მაგრამ ეს ტრასტ-საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში იქცა ეკონომიკური მექანიზმის შემადგენელ ელემენტად.

ბანკების ტრასტ-განყოფილებების (აგრეთვე ტრასტ-კომპანიების) მომსახურებით სარგებლობენ კერძო პირები, ფირმები, საქველმოქმედო ფონდები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბანკები დაინტერესებულნი არიან ტრასტ-მომსახურების მიწოდებით სხვადასხვა კლიენტის რაც შეიძლება დიდი წრისათვის და, პირველ რიგში - მსხვილი კორპორაციებისათვის. ამ შემთხვევაში ბანკი ხდება თავისი მარწმუნებლის ინტერესების წარმომადგენელი ორგანო, მათ შორის, აქციონერთა კრებაზეც და შეუძლია იქონიოს გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, გაატაროს მისი რეორგანიზაცია და ა.შ.

უფრო წვრილ მესაკუთრეებთან მიმართებაში ბანკისათვის მინდობილობით მართვაში კლიენტის ქონების გადაცემა ბანკს აძლევს უფლებას:

- განკარგოს საკუთრება;
- მოახდინოს სახსრების ინვესტირება ფასიან ქაღალდებში, აქციებზე ხმის უფლების მიღებით.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი ოპერაციები თავისი კლიენტების მინდობილობებით:

- კერძო პირებისათვის მინდობილობით ოპერაციების შესრულება, მათ შორის, ქონების მართვა აქციების ან სხვა საფონდო ღირებულებების სახით;
- კლიენტის დავალებით რწმუნებითი ფუნქციების შესრულება;
- კერძო პირებისათვის, ფირმებისათვის და სხვა ორგანიზაციებისათვის სააგენტო მომსახურების შესრულება.

მითითებული ოპერაციების შესრულების პროცესში კომერციულ ბანკს შეუძლია:

- გამოვიდეს აგენტის სახით მინდობილობით ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, ობლიგაციების შესყიდვებზე; ფასიანი ქაღალდების მფლობელების სახელით განახორციელოს შემოსავლის მიღება დივიდენდების ან პროცენტების სახით; გადაიხადოს მინდობილი სახსრებით გაყიდული ან ნაყიდ საკუთრებაზე გადასახადები და განახორციელოს სადაზღვევო შენატანები; გახსნას და აწარმოოს ტრასტ-ანგარიშები;
- განახორციელოს მემკვიდრეობის განკარგვა;
- დროებით მართოს კორპორაციის საქმეები მათი რეორგანიზაციის, გაკოტრების ან სხვა ვითარების დროს;
- წარმოადგინოს მარწმუნებლების ინტერესები აქციონერთა კრებებზე;
- გამოვიდეს ინსტიტუციონალური ინვესტორის - ფასიანი ქაღალდების შემსყიდველის სახით.

მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბანკების ტრასტ-განყოფილებების საქმიანობის პრაქტიკაში მიღებულია რწმუნებითი ოპერაციების დაყოფა ორ ჯგუფად:

1) რწმუნებითი ოპერაციები ფიზიკური პირებისათვის (მინდობილობით ან ანდერძით ფიზიკური პირების ქონების მართვა);
2) რწმუნებითი ოპერაციები იურიდიული პირებისათვის (ფირმებისათვის, ორგანიზაციებისათვის).

შესაძლებელია, აგრეთვე, გამოიყოს მინდობილობითი ოპერაციები საქველმოქმედო კომპანიებისათვის, სასწავლო-ორგანიზაციებისათვის, ფონდებისათვის ან სხვა.

სატრასტო ოპერაციები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის, იყოფა სამ ჯგუფად:

1. კლიენტის ანდერძის მიხედვით მისი ქონების განკარგვა;
2. კლიენტის ქონების მართვა სპეციალური ხელშეკრულებით;
3. სააგენტო მომსახურება (მათ შორის, ტრასტ-ანგარიშების გახსნა და წარმოება).

სატრასტო ოპერაციები ხორციელდება კლიენტთა ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული ვადით. პრაქტიკაში ქონების გადაცემა მინდობილობით მართვაში და სხვა ოპერაციები მიმდინარეობს სპეციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება მინდობილობის, ხელშეკრულების ან ანდერძის სახით.

ფიზიკური პირების ქონების მართვას, როგორც წესი, ბანკი ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი ოპერაციები ტარდება ბანკების ტრასტ-განყოფილებების მიერ მარწმუნებელთან სპეციალური ტრასტ-ხელშეკრულების - განსაკუთრებული მინდობილობის საფუძველზე. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მარწმუნებლის ქონება გადადის ნდობით აღჭურვილ პირთან, რომელიც ფლობს და განკარგავს ამ ქონებას მარწმუნებლის ან ბენეფიციარის სასარგებლოდ, რომელიც არის მესამე პირი.

ნდობით აღჭურვილი პირი ახორციელებს სხვადასხვა სახის მოძრავი და უძრავი ქონების მართვას, აბანდებს მარწმუნებლის სახსრებს შემოსავლიან აქტივებში (ტრასტ-შეთანხმებაში დაფიქსირებული უფლებამოსილების ფარგლებში), განკარგავს შემოსავალსა და სახსრების ძირითად თანხას შეთანხმების შესაბამისად. საკუთრების ამგვარი მართვა, აგრეთვე, შეიძლება გამოყენებული იყოს არასრულწლოვანებთან მიმართებაში. ამ ფუნქციების განხორციელების დროს ბანკი მოქმედებს თავისი სახელით.

მარწმუნებელს, ანდერძის მიხედვით, შეუძლია დაავალოს: ბანკის ტრასტ-განყოფილებას სხვა ბანკებში საბანკო ანგარიშების არსებობის დადგენა; ქონების გაყოფის განხორციელება; ბენეფიციართა შორის შემოსავლის განაწილება; გადასახადების გადახდა; მეანდერძის ოჯახის წევრებისათვის მომსახურების გაწევა. ბანკი მოქმედებს დადგენილი წესის შესაბამისად, ოფიციალური დოკუმენტის (ანდერძის), ნოტარიუსის მოწმობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფიზიკური პირებისათვის კომერციული ბანკების სატრასტო ოპერაციებში უმეტეს წილს შეადგენს სააგენტო მომსახურება. ასეთი

ოპერაციების განხორციელებისას ბანკები მოქმედებენ თავისი კლიენტის სახელით ან მინდობილობით, განსაზღვრული დროით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

სააგენტო (საშუამავლო) მომსახურების ფარგლებში კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ:

1. ტრასტ-განყოფილებების მიერ კლიენტების აქტივების შენახვა:

- ფასიანი ქაღალდების მიღება შესანახად;
- ფასიან ქაღალდებზე შემოსავლის მიღება;
- მარწმუნებელთა დროული შეტყობინება ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდებიდან შემოსული თანხების თაობაზე;
- ფასიანი ქაღალდების გაცვლა;
- ვადაგასული ობლიგაციების დაფარვა;
- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა აქტივების (საერთო თანხის და შემოსავლის) დაცვის უზრუნველყოფის მიზნით);
- კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების მიწოდება;
- სეიფების იჯარა.

2. კომერციული ბანკების ტრასტ-განყოფილებების მიერ კლიენტების აქტივების მართვა აგენტების ან წარმომადგენლების რანგში.

აქტივების მართვა გულისხმობს ფასიანი ქაღალდებით კომერციული ოპერაციების ჩატარებას ან ინვესტიციების განხორციელებას კლიენტის დავალებით. ყოველივე ეს ნიშნავს:

- ფასიანი ქაღალდების შესყიდვა-გაყიდვას;
- პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების კურსებზე დაკვირვებასა და ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამოყალიბებას;
- მარწმუნებლის ანგარიშების მომსახურებას;
- სადაზღვევო პოლისების გაფორმებას;
- კლიენტის დავალებით ყველა სახის შემოსავლის (ნებისმიერი წყაროდან) მიღებას.

კლიენტი ხელშეკრულებით (მინდობილობით) ანდობს კომერციულ ბანკს, თავისი სახელით განახორციელოს ოპერაციები იმ მასშტაბებში, რაც საჭიროა სააგენტო ფუნქციების შესასრულებლად. ამისათვის ბანკს, როგორც აგენტს (რწმუნებულს), მიენიჭება უფლებები:

- დადოს ხელშეკრულება კლიენტის სახელით;
- გადასცეს აქციები და ობლიგაციები;
- მიიღოს სესხები;
- გამოწეროს ჩეკები;
- ხელი მოაწეროს ჩეკებს, თამასუქებს და ა.შ.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, სააქციო საზოგადოებებს კომერციული ბანკების ტრასტ-განყოფილებებმა შეიძლება გაუწიონ ზემოთ განხილული სააგენტო მომსახურება, განახორციელონ აქტივების განკარგვა, აგრეთვე, დროებით მართონ იურიდიულ პირთა საქმეები მათი რეორგანიზაციის, გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში. ბანკების ტრასტ-განყოფილებებმა შეიძლება განახორციელონ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ოპერაციები, რომლებიც დამახასიათებელია საინვესტიციო კომპანიებისათვის.

ტრასტ-ოპერაციების ნასატარებლად საჭიროა არსებობდეს კონტრაქტი (ხელშეკრულება, შეთანხმება) ორგანიზაციასთან, რომელიც ბანკს ანდობს შემდეგი ფუნქციების განხორციელებას:

1. ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებათა გადაცემა;
2. მფლობელების, ემიტენტების და სხვა ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების ანგარიშების წარმართვა;
3. პროცენტების გადახდა, ვალების დაფარვა და ა.შ.;
4. ქონების განთავისუფლება გირაოსაგან;
5. კორპორაციათა ფონდების (საპენსიო და ა.შ.) რწმუნებითი მართვა;
6. ფასიანი ქაღალდების გაცვლის სააგენტო ფუნქციების განხორციელება: ერთი ტიპის ფასიანი ქაღალდების მიღება და სხვების გაცემა შეთანხმების შესაბამისად. ასეთი გაცვლა შეიძლება მოხდეს ფასიანი ქაღალდების კონვერსიის აუცილებლობის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებათა შერწყმის ან რეორგანიზაციის დროს.

ტრასტ-ანგარიშები. სააგენტო ფუნქციებს უკავშირდება ოპერაციათა ჯგუფი ტრასტ-ანგარიშების, ანუ რწმუნებითი ანგარიშების გახსნისა და წარმართვის კუთხით. ბანკებისათვის ეს ოპერაციები საკმაოდ გავრცელებულია და ხორციელდება ან ტრასტ-კანონმდებლობის ფარგლებში, ან ანგარიშების გახსნისა და წარმართვის საერთო წესების შესაბამისად.

ბანკის კლიენტი ტრასტ-ანგარიშის გახსნისას არის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მოქმედებს კონკრეტული ხელშეკრულების (მინდობილობის, რწმუნებით მართვაში ქონების გადაცემის შესახებ შეთანხმების) პირობების თანახმად. ბანკისათვის, როგორც წესი, აუცილებელი არ არის იცოდეს ამ შეთანხმებათა ყველა პირობა და ჩაერიოს ნდობით აღჭურვილი პირის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების საკითხებში. თუმცა ბანკმა უნდა დაიცვას რიგი პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს ნდობით აღჭურვილი პირისა და ბანკის ურთიერთობას.

შესაბამისი დოკუმენტების არსებობისას ნდობით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ გახსნან ანგარიში ბანკში მიღებული წესის შესაბამისად. ამასთან, პირად ანგარიშში აუცილებლად მითითებულია, რომ მისი მფლობელი არის ნდობით აღჭურვილი პირი.

პრაქტიკულად, ყველგან მოქმედებს ნდობით აღჭურვილი პირის განსაზღვრის ან დანიშვნის ერთიანი წესი. იგი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი, სრულწლოვანი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი. თუ ნდობით აღჭურვილი პირის სახით გამოდიან სახელმწიფო დაწესებულებები, ფირმები, სადაზღვეო საზოგადოებები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები, მათ ეწოდებათ ტრასტ-კორპორაციები.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით საჭიროა მინიმუმ ორი ფიზიკური პირის დანიშვნა ნდობით აღჭურვილ პირებად, მათი შეცვლა შეუძლია ერთ ტრასტ-კორპორაციას. არ არსებობს ნდობით აღჭურვილ პირთა რაოდენობის განსაზღვრის საერთო წესები, თუმცა, ძალიან ხშირად, ნდობით აღჭურვილ პირებად ინიშნება ან ერთი ტრასტ-კორპორაცია, ან ორიდან ოთხამდე ფიზიკური პირი.

ნდობით აღჭურვილი პირის გაკოტრება, ჩვეულებრივ, არ ათავისუფლებს მას თავისი მოვალეობების შესრულებისაგან ნდობით აღჭურვილი პირის სახით. მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელია კრედიტორთა მოთხოვნა მისი საქმეებიდან ჩამოცილების შესახებ. ბოლო ინსტანციაში ასეთი პირი შეიძლება ჩამოსცილდეს ნდობით აღჭურვილი პირის ფუნქციათა შესრულებას სასამართლოს განჩინებით.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ორი ან მეტი ნდობით აღჭურვილი პირის არსებობისას ბანკი მოითხოვს მათგან წერილობით დოკუმენტს, რომლითაც ნდობით აღჭურვილი პირები საკუთარ თავზე იღებენ სოლიდარულ და გამიჯნულ პასუხისმგებლობას ბანკის წინაშე ვალდებულებათა მიმართ. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში ჩვეულებრივ ფიქსირდება ნდობით აღჭურვილ პირთა უფლებები, მაგალითად, ჩეკების ხელმოწერაზე, ტრასტ-ანგარიშზე სხვა ოპერაციების ჩატარებაზე ან ბანკში შენახული დოკუმენტების მიღებაზე.

ჩვეულებრივ, კანონმდებლობა არ უშვებს ნდობით აღჭურვილი პირის მიერ უფლებამოსილების დელეგირებას: ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულებას იღებს პირადად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

უფლებამოსილების დელეგირება დაშვებულია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ ასეთი პირობა გათვალისწინებულია ტრასტ-შეთანხმებაში, სადაც შეიძლება დაფიქსირებული იყოს ნეკების ხელმოწერის უფლების მიცემა ნებისმიერი ორი ნდობით აღჭურვილი პირისათვის. ამ დროს ბანკს სავალდებულოა ჰქონდეს ტრასტის დაფუძნების შესახებ დოკუმენტის ასლი. გარდა ამისა, ბანკს უფლება აქვს, მოითხოვოს წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს ყველა ნდობით აღჭურვილი პირი, სადაც მოცემულია მითითება კონკრეტული პირებისათვის უფლებამოსილებათა დელეგირებაზე.
2. საქმეთა საწარმოებლად ნდობით აღჭურვილმა პირმა შეიძლება მიმართოს აგენტების (საბანკო მომსახურეთა, საბირჟო მაკლერთა, რწმუნებულთა და ა.შ.) სამსახურს.
3. ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია სრულად მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება მესამე პირისადმი შესაბამისად გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე ერთ წლამდე ვადით.

კანონმდებლობა, როგორც წესი, არ აძლევს ნდობით აღჭურვილ პირებს ბანკებში სესხების აღების უპირობო უფლებას. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში) ასეთი სესხები შეიძლება მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტში, რომლითაც დაფუძნებულია ტრასტი, ასეთი უფლება მიცემულია ნდობით აღჭურვილი პირისათვის. ამიტომ ბანკი სესხის მისაღებად მომართვისას მოითხოვს ტრასტ-ხელშეკრულებას. ნდობით აღჭურვილ პირებს ეკისრებათ ვალდებულება მკაცრად დაიცვან ტრასტ-ხელშეკრულების პირობები, ეკრძალებათ კლიენტის ქონებიდან შემოსავლების გამოყენება პირადი მიზნებისათვის და ფულის გადაყვანა ტრასტ-ანგარიშიდან ნდობით აღჭურვილი პირის პირად ანგარიშზე.

ყოველთა აღინიშნა, რომ კომერციული ბანკების პრაქტიკაში გარკვეული ადგილი უკავია ოპერაციებს ანდერძით ქონების მართვაზე. ნდობით აღჭურვილი პირები ამ შემთხვევაში განისაზღვრებიან ანდერძით ან ინიშნებიან სასამართლოს წესით (თუკი ანდერძი არ არსებობს ან ნდობით აღჭურვილმა პირებმა უარი თქვეს ამ ფუნქციების შესრულებაზე). თუ აღმასრულებელთა დანიშვნა ხორციელდება სასამართლოს განჩინებით, მაშინ სავალდებულოა აღმასრულებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (ქონების მართვის ნებართვის) მიღება.

ანდერძის მიხედვით ნების აღმასრულებლები არიან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები. მათ კონტროლქვეშ აქვთ ყვე-

ლა აქტიები, ახორციელებენ სედამხედველობას ქონების გაყიდვისას, აწარმოებენ ქონების წილების გადახდას, ვალების დაფარვას და ა.შ. ქონების მართვის კანონიერი უფლების საფუძველზე. თუკი ბენეფიციარი არის არასრულწლოვანი პირი, მისი კუთვნილი ქონების წილი შეინახება ტრასტის პირობების შესაბამისად.

ყველაზე ტიპიურია არა ერთი, არამედ ორი ან მეტი აღმასრულებლის ანუ „პირადი წარმომადგენლის" არსებობა, რომლებიც ახორციელებენ მხრუნველობას ქონებაზე. ხშირად ერთადერთ შემსრულებლად ინიშნება კორპორაციული ორგანო (ტრასტ-კორპორაცია).

ბანკი ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების მიღებისას, ჩვეულებრივ, „ყინავს" ამ ანგარიშს იმ მომენტამდე, ვიდრე პირადი წარმომადგენელი ან ანდერძის მიხედვით ნების აღმასრულებელი მიიღებს უფლებამოსილებას ბანკთან ოპერაციების განხორციელებაზე. საზღვარგარეთის პრაქტიკაში გავრცელებულია ანდერძის შენახვა ბანკში. ბანკს შეუძლია ანდერძის გადაცემა ხელწერილით გარდაცვლილის ოჯახის ან სხვა წარმომადგენლის მოთხოვნით ამ დოკუმენტის შინაარსის გასაცნობად. იმავდროულად, ბანკი მეანდერძის ნათესავებს აძლევს უფლებას, განახორციელონ ბანკის სედამხედველობის ქვეშ არსებული ქონების ინსპექცია ამ ქონების ზუსტი ღირებულების დასადგენად (მასზე უფლებების გადაცემის შესახებ მიმართვის შემთხვევაში).

როგორც წესი, ანდერძის მიხედვით ნების აღმასრულებლები ბანკში ხსნიან ტრასტ-ანგარიშს. მათ არა აქვთ აქტივებზე უფლება ქონებაზე საერთო უფლების გადაცემამდე, თუმცა აღმასრულებლებს გარკვეულ ფარგლებში შეუძლიათ გარდაცვლილის სახსრების მართვა: ფულისა და ფასიანი ქაღალდების ტარება-შენახვისათვის, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლის მიღება.

საყოველთაოდ მიღებული პროცედურაა გადასახადის გადახდა ანდერძის მიხედვით ქონების გადაქვანისას ახალი მფლობელის სახელზე. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი შეიძლება აღწევდეს გადასაცემი ქონების ღირებულების 75%-ს.

კაპიტალის გადაქვანის გადასახადი ქონების შეფასებითი ღირებულების მიხედვით გადაიხდება მანამ, ვიდრე წარმომადგენელს (აღმასრულებელს) გადაეცემა უფლებები ქონებაზე. გადასახადის გადახდა, ჩვეულებრივ, ხდება ერთჯერადად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია განვადებით გადახდა.

პირად წარმომადგენელს (აღმასრულებელს) უფლება არა აქვს, მიიღოს გადასახდელი სახსრები ნაანდერძევი ქონების ნაწილის (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების) გაყიდვის გზით ან გამოიყენოს სახსრები ანგარიშებზე ოფიციალური ნებართვის მიღებამდე. ამიტომ, როგორც წესი, წარმომადგენელი (აღმასრულებელი) მიმართავს ბანკს სესხისათვის გადასახადის გადასახდელად. ქონებაზე უფლებათა გადაცემის ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ შესაძლებელი ხდება ანგარიშზე არსებული სახსრების გამოყენება ან მეანდერძის ქონების ან წილის გაყიდვა სესხის გადასახდელად.

გადასახადის გადასახდელად სესხის გაცემისას ბანკი ახორციელებს ქონების შეფასებას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, არკვევს, არის თუ არა ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფასეულობათა ადვილად რეალიზებადი პაკეტები, რომლებიც შეიძლება იყოს სესხის დროულად დაბრუნების გარანტია. გარდა ამისა, ბანკი გაცემულ კრედიტზე განმცხადებლებისაგან მოითხოვს სოლიდარული ან გამოჯნული პასუხისმგებლობის აღებას, სესხის გამოყენებას მკაცრად, დანიშნულებისამებრ და მის დაბრუნებას მათ განკარგულებაში გადაცემული ქონებიდან შემოსავლების მიღების შემდეგ.

გარკვეული სპეციფიკა გააჩნია ვალაუვალ მოვალეთა ქონების მარიჟის სატრასტო ოპერაციებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასესხო ვალდებულებები არ სრულდება, მოვალე ექვემდებარება ქმედუნარიანობის შეზღუდვას საკანონმდებლო წესით. მოვალეს შეუძლია შესთავაზოს (გაკოტრების გამოცხადების ალტერნატივის სახით) თავისი ქონების გადაცემა მართვაში ნდობით აღჭურვილი პირისათვის (მათ შორის, ბანკის ტრასტგანყოფილებისათვის) კრედიტორის სასარგებლოდ.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში მოვალის ქონება სასამართლო ორგანოების მეშვეობით გადადის გაკოტრების ექსპერტთა კონტროლქვეშ ან ინიშნებიან ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც მოქმედებენ როგორც შუამავლები კრედიტორსა და მოვალეს შორის. პრაქტიკაში, უპირატესად, ზედამხედველობას მოვალის არსებულ სახსრებზე და მათ გამოყენებაზე ვალების დასაფარავად ახორციელებენ ნდობით აღჭურვილი პირები. ისინი შეიძლება იყვნენ კვალიფიციური ბუღალტერები ანდა გადახდისუუნარო პირებთან მუშაობის სხვა სპეციალისტები. ამგვარი ნდობით აღჭურვილი პირები ინიშნებიან კრედიტორთა კრების ან კომპეტენტური ორგანოების (შესაბამისი კომიტეტის ან დეპარტამენტის) მიერ, რომლებსაც ასევე

შეუძლიათ განსაკუთრებული ბანკი, სადაც ნდობით აღჭურვილი პირი გახსნის ტრასტ-ანგარიშს და უფლება აქვთ მისცენ ფულის სესხის ნებართვა.

ვალაუვალი მოვალის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ტრასტ-ანგარიშის გახსნისას ბანკი მოითხოვს დოკუმენტს ნდობით აღჭურვილი პირის დანიშვნის შესახებ და ტრასტ-ანგარიშის გახსნის ოფიციალურ ნებართვას.

თუ ნდობით აღჭურვილი პირი კოტრდება, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ამ ნდობით აღჭურვილი პირისათვის ქონების მართვის უფლებათა გადაცემის ნებართვა. თუმცა, თავისთავად, გაკოტრება არ წარმოადგენს საფუძველს ნდობით აღჭურვილი პირის ან ანდერძის მიხედვით ნების აღმსრულებლის ჩამოშორებისათვის თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

13.4. საქველმოქმედო ტრასტ-ფონდები

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქველმოქმედო ტრასტ-ფონდებს. ასეთი ტრასტ-ფონდები იქმნება მათი სახსრების გამოსაყენებლად საქველმოქმედო მიზნებისათვის, მაგალითად, განათლების, მედიცინის განვითარების ხელშეწყობისათვის, უქონელთათვის შემწეობების გაცემად.

საქველმოქმედო ტრასტ-ფონდი შეიძლება იმყოფებოდეს ნდობით აღჭურვილ პირთა ან კორპორაციული ორგანოს მართვაში. იმ ნდობით აღჭურვილი პირებისაგან განსხვავებით, რომლებიც ახორციელებენ ფიზიკურ პირთა ქონების მართვას, ტრასტ-ფონდების ნდობით აღჭურვილ პირებს აქვთ კანონიერი საფუძველი, მოახდინონ ფონდის ყველა წევრის სახელით ხელმოწერის უფლების დელეგირება სულ მცირე ორი ნდობით აღჭურვილი პირისადმი. ბანკები, ჩვეულებრივ, მოითხოვენ საქველმოქმედო ტრასტ-ფონდის ნდობით აღჭურვილი პირებისაგან დოკუმენტს, რომელიც ორ პირს ანიჭებს დოკუმენტების, მაგალითად, ტრასტ-ანგარიშზე გამოწერილი ჩეკების, ხელმოწერის უფლებას.

ბანკების ტრასტ-განყოფილებებს, საქველმოქმედო ფონდების ტრასტ-ანგარიშების წარმართვის გარდა, შეუძლიათ განახორციელონ მათი იმ ფულადი სახსრებისა და ქონების რწმუნებითი მართვა, რომლებიც მიღებულია ფონდებში შემომწირავებისაგან საქველმოქმედო მიზნებისათვის.

ბანკებმა ასევე შეიძლება განახორციელონ რწმუნებითი საპაიო ფონდებისა და საინვესტიციო კომპანიების სახსრების მართვა. საერთო (საპაიო) ფონდების ოპერაციები ანალოგიურია საინვესტიციო კომპანიების საქმიანობისა: ისინი თავს უყრიან ფულად სახსრებს და აბანდებენ მათ ფასიან ქაღალდებში.

13.5. სხვა მომსახურება

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის შენარჩუნება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გაწეული მომსახურების დიაპაზონის გაფართოვება, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავება.

დროის დანახარჯების შემცირებისა და ბანკის კლიენტის მომსახურების პროცედურის გამარტივების სურვილმა გამოიწვია საბანკო მომსახურების სფეროში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლგიების გამოყენება. ამჟამად შეუძლებელია ბიზნესის წარმოება მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში - ინტერნეტში შესვლის გარეშე.

ინტერნეტ-ბანკი საშუალებას იძლევა, განხორციელდეს კლიენტის ანგარიშის დისტანციური მართვა ინტერაქტიულ რეჟიმში. ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ნებისმიერ დროს შეიძლება ანგარიშის ან დეპოზიტის გახსნა, ფულის გადაყვანა საკუთარ ანგარიშებს შორის ან ანგარიშზე სხვა ბანკში, ინფორმაციის მიღება ანგარიშების, მათზე ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ. ფულის განკარგვა საკუთარ ანგარიშზე საზღვარგარეთ ყოფნისას.

იურიდიულ პირებს ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით გაეწევათ საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება. ეს სისტემა საშუალებას იძლევა, განხორციელდეს კლიენტის სხვადასხვა სახის საგადახდო დოკუმენტების გატარება, ნებისმიერი ფორმატის შეტყობინებების გაცვლა, ანგარიშებიდან ამონაწერებისა და სხვა ინფორმაციის გაცემა.

მიმდინარე ცვლილებები საბანკო კანონმდებლობაში განაპირობებს ბანკების კლიენტებისათვის იურიდიულ საკითხებში კონსულტაციის გაწევის აქტუალობას, აქტუალური და ამომწურავი ინფორმაციის მიღებას.

თუმცა, საკონსულტაციო მომსახურება ყოველთვის ვერ გამოისახება ფულადი შეფასების სახით, მათი როლი მაინც მნიშვნელოვანია. მაღალ პროფესიულ დონეზე კვალიფიციური, მრავალმხრივი კონსულტაციის მიღების შემდეგ, პოტენციური კლიენტი მომავალში შეიძლება გახდეს ბანკის კლიენტი. კომერციულმა ბანკებმა შეიძლება გასწიონ საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურება:

- ფასიან საფუძველზე, რაც გულისხმობს შემოსავლის მიღებას;
- უფასო საფუძველზე, ამ შემთხვევაში ბანკი ხრუნავს თავის იმიჯზე და დამატებითი რაოდენობითი კლიენტთა მოზიდვაზე.

საკონსულტაციო მომსახურება არ არის ტიპიურად საბანკო. მაგრამ ბანკის სპეციალისტებს, გააჩნიათ რა მაღალი პროფესიული მომზადება, შეუძლიათ კონსულტაციების ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით:

- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებაზე;
- დაფინანსების საკითხებში.

გარდა ამისა, ბანკები უწევენ კლიენტებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) ინდივიდუალურ სეიფებში (უჯრებში) ფასეულობათა შენახვის მომსახურებას. ისინი იჯარით გაიცემა დროებითი სარგებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია ხელშეკრულების საგანი, ვადა, სეიფის (უჯრის) შენახვისა და გახსნის წესები, იჯარის საფასურის გადახდის ოდენობა და წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა და რეკვიზიტები.

ბანკი კლიენტთა სურვილისამებრ მათ განკარგულებაში გადასცემს სპეციალურ საბანკო ტექნიკას ნაღდი ფულის გადასათვლელად და ნამდვილობის შესამოწმებლად.

თავი XIV. კომერციულ ბანკებში რისკების მართვა

14.1. რისკების მართვასთან დაკავშირებით ბანკის მენეჯმენტის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

ბანკს მოეთხოვება გააანალიზოს და შეიმუშაოს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები იმ არსებითი საფრთხეების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მას კონკრეტული მიზნების მიღწევაში. რისკების ეფექტიანი მართვა აუცილებლად გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბანკში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, შიდა აუდიტის, გარე აუდიტისა და თვით რისკების მართვის შიდა სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკების მართვასთან დაკავშირებული თითოეული დონის სამსახურისათვის ზუსტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.[12]

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას, სულ მცირე, შემდეგი საქმიანობა:

- რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და შეფასება, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად ნებისმიერი ისეთი ფაქტორის შეცვლის გამო, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ბიზნეს-საქმიანობაზე;
- ზემოაღნიშნული რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით გატარებული საქმიანობის შესახებ დირექტორატის ანგარიშის შეფასება, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ;
- იმ გადაწყვეტილებების განხილვა, რომლებიც აღემატება დირექტორატის უფლებამოსილებას და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მოითხოვს.

დირექტორატის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა

12 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 17 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული დებულება - „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“.

მოიცვას მინიმუმ შემდეგი ასპექტები:

- რისკების მართვის დეტალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა მოიცავდეს რისკების საერთო ლიმიტებს, რისკების კონკრეტული სახეობების ლიმიტებსა და ბანკის ცალკეული საქმიანობის მიხედვით რისკების ლიმიტებს, რისკების განმსაზღვრელ დირექტორატს დაქვემდებარებული კოლეგიალური ორგანოების და/ან ცალკეული პირის უფლებამოსილებას;
- რისკების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია უნდა გადაისინჯოს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, ნებისმიერი ისეთი ფაქტორის გამო, რომლის შეცვლამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის საქმიანობაზე;
- პასუხისმგებლობა რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელებისა და ბანკის წინაშე მდგარი ყველა რისკის გავლენისათვის, მათ შორის, რისკების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ანგარიშის საფუძველზე რისკების მართვის სტრატეგიის შეფასება, მითითებების მომზადება და კვარტალური ანგარიშგების წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსათვის;
- ბანკის დირექტორატის მიერ იმ ოპერაციების შეფასება და მათი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა შესრულება აღემატება დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, ან ისეთი ოპერაციების შესახებ, რომლებიც მოითხოვს დირექტორატის თანხმობას შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად;
- შიდა კონტროლის ეფექტიანობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რისკების მართვის კულტურის შემუშავება, რაც გულისხმობს ადეკვატურ კომუნიკაციას ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;
- რისკების მართვის განმახორციელებელ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უსრულყოფა, რაც გულისხმობს (და არა მხოლოდ) მუდმივი სწავლების ორგანიზებას და ტრენინგების პროგრამების შემუშავებას, განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა, რომლებიც ეხება რისკების მართვის პროცესებსა და სისტემებს;
- რისკების მართვის სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც, ასევე, გულისხმობს ფუნქციების გამიჯვნას რისკების მართვის სამსახურსა (რომელიც ახორციელებს რისკების განსაზღვრას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონ-

ტროლს) და იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს;

- განხილვის რეგულარულობა, რომლის სიხშირეც განისაზღვრება მოთხოვნების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ უსრუნველყოფილ იქნეს:
  - რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სისუსტე;
  - რისკების მართვის საინფორმაციო სისტემის ადეკვატური ფუნქციონირება;
  - რისკების პოლიტიკისა და პროცედურების სისწორე და რისკების ლიმიტების დადგენა.

ბანკმა რისკების მართვის განმახორციელებელი სტრუქტურის თითოეული დონისათვის უნდა დაადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მოთხოვნები;

წინდახედულობიდან გამომდინარე და რისკების მართვის პროცესების განხორციელების უსრუნველსაყოფად, ბანკმა ყურადღება უნდა მიაქციოს მისი თანამშრომლების, განსაკუთრებით კი, უშუალოდ საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი პირებისა და რისკის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის კომპეტენციას და პატიოსნებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: განათლება, კვალიფიკაცია, სტაჟი, უნარ-ჩვევები და რისკების მართვის ადეკვატური ცოდნა.

ბანკმა უნდა შეიმუშაოს როგორც თანამშრომელთა დაქირავების, განვითარებისა და სწავლების, ისე ანასღაურების ადეკვატური სისტემა იმისათვის, რომ რისკების მართვის სფეროში ჰყავდეს სათანადო ოდენობის კომპეტენტური პერსონალი.

საბანკო ოპერაციების, სახეობების, მოცულობისა და კომპლექსურობის შესაბამისად, რისკების მართვის სამსახურში სამუშაოდ ბანკმა უნდა დაიქირაოს კომპეტენტური თანამშრომლები.

რისკების მართვის სამსახურში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- უნდა ესმოდეს ბანკის თითოეული პროდუქტისათვის/საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკი;
- უნდა ესმოდეს შესაბამისი რისკ-ფაქტორები და საბაზრო პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბანკის პროდუქტებზე/საქმიანობაზე და შეეძლოს შეაფასოს ამ ფაქტორების შეცვლით გამოწვეული თითოეული შედეგის გავლენა ბანკის სიცოცხლისუნარიანობაზე;

- უნდა ჰქონდეს გამოცდილება და უნარი იმისა, რომ ბანკის წინაშე მდგარი რისკების შესახებ ინფორმაცია დროულად მიაწოდოს დირექტორატს და რისკების მართვის კომიტეტს.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა ისე უნდა აიგოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ოპერაციის განმახორციელებელი (შემდგომში რისკების ამღები) თითოეული სამსახურის დამოუკიდებლობა შიდა აუდიტისა და, ასევე, რისკების მართვის სამსახურებისაგან.

რისკების ეფექტიანად მართვის მიზნით თითოეულმა ბანკმა უნდა შექმნას ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბანკის მიზნებთან, ბიზნეს-პოლიტიკასთან, მოცულობასთან, კომპლექსურობასა და შესაძლებლობებთან. ეს სტრუქტურა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რისკების მართვის კომიტეტს და სტრუქტურულ ერთეულს (რისკების მართვის სამსახურს).

რისკის მართვის კომიტეტს შეიძლება ჰყავდეს მუდმივი და არამუდმივი წევრები და იგი უნდა შედგებოდეს დირექტორატის წევრთა, სულ ცოტა, უმრავლესობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან:

- თუ, მაგალითად, ბანკის დირექტორატში 3 წევრია, რისკების მართვის კომიტეტი შეიძლება დაკომპლექტდეს გენერალური დირექტორითა და დირექტორით, რომელიც კურირებს ბანკში რისკების მართვას;
- ბანკი ვალდებულია დანიშნოს შესაბამისი დირექტორი, როგორც რისკების მართვის კომიტეტის მუდმივი წევრი;
- რისკების მართვის კომიტეტის მიერ მომზადებულმა რეკომენდაციებმა უნდა ასახოს კომიტეტის წევრებს შორის მიღწეული შეთანხმება;
- შესაბამისი პასუხისმგებელი პირები არიან ის პირები, რომლებიც თანამდებობრივი იერარქიით ერთი საფეხურით ჩამორჩებიან დირექტორატის იმ წევრებს, რომლებიც ბანკში უშუალოდ კურირებენ საბანკო ოპერაციების განხორციელებასა და რისკების მართვას;
- რისკების მართვის კომიტეტში პასუხისმგებელი პირები შეიძლება იყვნენ რისკების მართვის კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა, მაგალითად, სახაზინო, საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობა, საბანკო ოპერაციები და ა.შ.

რისკების მართვის კომიტეტი უფლებამოსილი და პასუხისმგებელია მოამზადოს და მისცეს რეკომენდაციები ბანკის გენერალურ დირექტორს ქვემოთ მოცემულ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა:

- რისკების მართვის პოლიტიკის ფორმულირება და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, რისკების მართვის სტრატეგია და იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმა, რომლებიც გამოწვეულია გარე ანომალიური ფაქტორებით. ამგვარ ფორმულირებას ერთობლივად უზრუნველყოფენ ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და რისკების მართვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელები;
- რისკების მართვის რეგულარული გამოყენების გაუმჯობესებასა ან მიღწევებზე განპირობებული ბანკის გარე ან შიდა მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, ასევე, რისკის პროფილზე;
- ჩვეულებრივი პროცედურებისაგან განსხვავებულ (არატიპობრივ) ბიზნეს-გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, ბიზნესის მნიშვნელოვანი გაფართოება, რომელიც განსხვავდება ბანკის აღრე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმისგან, ანდა რისკის გაწევა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით. ამ გარემოებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები უნდა მომზადდეს ბანკის ბიზნესის აუცილებლობების და იმ კონკრეტულ ოპერაციასა თუ ოპერაციებთან დაკავშირებული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ბანკის მიერ დადგენილი პროცედურებიდან გადახვევას საჭიროებს.

რისკების მართვის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ოპერაციების მოცულობასა და კომპლექსურობას, ისევე როგორც ბანკისათვის დამახასიათებელ რისკებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ბანკს შეუძლია განსაზღვროს სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა საკუთარი მდგომარეობის, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების შესაბამისად.

მთლიანი აქტივების მიხედვით, შედარებით მსხვილი ბანკისათვის, რომელიც კომპლექსურ ბიზნეს-ოპერაციებს ახორციელებს, რისკების მართვის სამსახურის (ქვედანაყოფი) ორგანიზაციულმა სტრუქტურამ უნდა ასახოს ბანკის ბიზნეს-მახასიათებლები. მთლიანი აქტივების

მიხედვით, შეღარებით პატარა ბანკისათვის, რომელიც ნაკლებად კომპლექსურ ბიზნეს-ოპერაციებს ახორციელებს, ბანკმა შეიძლება დანიშნოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც რისკების მართვის სამსახურის ფუნქციას განახორციელებს.

ბანკის მოცულობიდან და ოპერაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, რისკების მართვის სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) უფროსის თანამდებობა შეიძლება იყოს საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი (რისკის ამღები) სამსახურის უფროსის თანამდებობის ტოლფასი ან მისგან განსხვავებული. ამასთან, რისკების მართვის სამსახურის უფროსი უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს გენერალურ დირექტორს ან შესაბამის დირექტორს.

რისკების მართვის სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულებისაგან, როგორიცაა: ხაზინის, ინვესტიციების, დაკრედიტების, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები.

რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას შემდეგი:

- მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის კომიტეტის მიერ რეკომენდებული და დირექტორატის მიერ დამტკიცებული რისკების მართვის სტრატეგიის განხორციელებას;
- საერთო პოზიციის/რისკების მონიტორინგი, აგრეთვე, მონიტორინგი ცალკეული რისკისა და ბიზნესის სახეობის მიხედვით;
- სტრეს-ტესტების გამოყენება, რათა დადგინდეს რისკების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების გავლენა თითოეული რისკის ამღები სტრუქტურული ერთეულის მუშაობაზე;
- ბანკის შიგნით შემუშავებულ ნებისმიერ ახალ საქმიანობასთან და/ან პროდუქტთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა. საკითხების შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, შეუძლია თუ არა ბანკს განახორციელოს ახალი საქმიანობა და/ან პროდუქტი, მათ შორის, გამოიყენოს ის სისტემა და პროცედურები, რომლებიც გავლენას იქონიებს ბანკის რისკების საერთო პროფილზე;
- რისკების პროფილის შესახებ ანგარიშის მომზადება და ბანკის გენერალური დირექტორისა და რისკების მართვის კომიტეტისათვის წარდგენა რეგულარულად ან, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ. საბანკო პირობების რაიმე მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში

ანგარიში უფრო ხშირი ინტერვალებით უნდა მომზადდეს. ნაკლები რისკის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად საკრედიტო რისკი, ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს, სულ ცოტა, ყოველ კვარტალში ერთხელ.

- რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულებისაგან მათი სამსახურებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიღება.

რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის მიზნით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი. იგი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ხედვას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას და უფრო მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელ რისკებზე.

რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის სტრატეგიათა გაერთიანება, რომელმაც, სხვა ასპექტებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს და მოიცვას შემდეგი:

- ბანკმა დაიცვას რისკის ლიმიტი, რომელიც შესაბამისი იქნება ბანკის პოლიტიკასა და შიდა პროცედურებთან, კანონებთან და შესაბამისი ნორმატიული აქტების დებულებებთან;
- ბანკი იმართებოდეს ისეთი ადამიანური რესურსების გამოყენებით, რომელთაც აქვთ რისკის მართვასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება, ბანკის კომპლექსურობისა და ბიზნეს-შესაძლებლობების შესაბამისად;
- ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციისათვის დამახასიათებელი რისკის ანალიზის საფუძველზე ბანკის ოპერაციებისა და საქმიანობის კომპლექსურობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს;
- ბანკის ეკონომიკური ნორმატივების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს რისკების შეფასების მეთოდის შემუშავება და რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა ბანკის თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციის, აგრეთვე, ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკის ზუსტი დაანგარიშების მიზნით, აგრეთვე, უნდა მომზადდეს რისკების თაობაზე მონაცემებისა და ინფორმაციის შესახებ ანგარიშები, რომლებიც გამოყენებულ იქნება მომგებიანი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მისაღებად;
- უნდა მოხდეს ლიმიტებისა და რისკების ზღვრების დადგენა, რომლებიც პოტენციური რისკების ლიმიტებს წარმოადგენს და რომ-

ლებიც შეიძლება ბანკის კაპიტალმა აიტანოს; აგრეთვე, უნდა შეიქმნას ბანკის რისკების მართვის მონიტორინგის ინსტრუმენტი;

- უნდა შეიქმნას შიდა კონტროლის სისტემა რისკების მართვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან (შესაბამისობის რისკი), მენეჯმენტისა და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოპერაციების ეფექტიანობა და ქმედითობა და რისკის კულტურის ეფექტიანობა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ქვედა დონეზე;
- უნდა მოხდეს რისკის რეიტინგის შეფასება, როგორც ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების ზოგიერთი ასპექტის მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელების საფუძველი;
- უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმის მომზადება ქვედაზე ცუდი სცენარების გათვალისწინებით (გარეშე და შიდა ფაქტორები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის გადარჩენა.

რისკების მართვის სტრატეგიის მიღებისას, ასევე, უნდა იქნეს გათვალისწინებული ბანკის ფინანსური მდგომარეობა, ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და ის რისკები, რომლებიც გარე და შიდა ფაქტორების ცვლილებით წარმოიქმნება.

პოლიტიკისა და პროცედურების ფორმულირებისა და რისკების ლიმიტების დადგენისას, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს რისკისადმი მიდრეკილება. ამ პროცედურებისა და ლიმიტების დადგენამ უნდა მოიცვას, სულ მცირე, შემდეგი:

- ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების გადაცემის ხესტი მასშტაბები;
- ლიმიტების და პროცედურების დადგენის შესახებ ადეკვატური დოკუმენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს განხილვასა და აუდიტს;
- დადგენილი პროცედურებისა და ლიმიტების რეგულარული განხილვა წელიწადში ერთხელ მაინც ან უფრო ხშირად, რომელიც ბანკის რისკის პროფილს, ტიპს, მოთხოვნებსა და განვითარებას შეესაბამება;
- როგორც საერთო ლიმიტების დაწესება, ასევე, ლიმიტები რისკის ცალკეული სახეობის და ბანკის სპეციფიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

რისკების მართვის პროცესი მოიცავს: რისკების დადგენას, რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს, რისკების მართვის საინფორმაციო სისტემებს, რისკების კონტროლს, აქტივების და ვალებულებების მართვას, რისკების შეფასების მოდელების სტრესტესტების გამოყენებას.

რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს. რისკის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების მხედველობაში მიღება:

- პროაქტიული (მოსალოდნელი) და არა რეაქტიული პოზიციის ქონა;
- ყველა სახეობის ოპერაციის მოცვა; გ) ინფორმაციის ნებისმიერი შესაძლო წყაროს გამოყენებით რისკების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი;
- რისკების ალბათობის ანალიზი და ამ რისკების შედეგები.

რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი. ამ მიდგომით შესაძლებელი უნდა გახდეს შემდეგი შეფასებების გაკეთება:

- პროდუქტის/საქმიანობის მგრძნობელობა ფაქტორების ცვლილებისადმი, რომლებიც ზემოქმედებს მასზე, როგორც ნორმალურ, ისე ანომალიურ მდგომარეობაში;
- სხვადასხვა ფაქტორის ცვლილებების დინამიკა წარსული ცვლილებებისა და მერყეობის საფუძველზე და კორელაცია;
- რისკების ფაქტორები ინდივიდუალურ საფუძველზე;
- აგრეგირებული რისკი, რისკის კორელაციის გათვალისწინებით;
- ყველა საბანკო ოპერაციისა და პროდუქტისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლებიც შეიძლება ინტეგრირებულ იქნენ ბანკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში.

რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდი. როგორც წესი, რისკების შეფასების ყველაზე მარტივი მიდგომა არის სტანდარტული მეთოდის გამოყენება, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, თუმცა, პრაქტიკოსები ეცდნობიან და გამოიყენებენ ალტერნატიულ მოდელს. ალტერნატიული მოდელის გამოყენება მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იყოს სხვადასხვა

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნა გამოყენებული მეთოდის სისუსტის უსრულესაყოფად.

ბანკს, რომელიც დიდი ოდენობით ოპერაციებს ახორციელებს და მაღალი კომპლექსურობა ახასიათებს, შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს შიდა მოდელი. ამასთან, შიდა მოდელის გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა მიზნებისთვის, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და ბანკის მომავალი პოლიტიკის გათვალისწინებით.

რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნეს-ოპერაციების სახეობას, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატის და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს, აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შესულეთა საბოლოო შედეგები.

რისკების შეფასების მეთოდი გასაგები უნდა იყოს ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ რისკებს, მათ შორისაა (და არა მხოლოდ): რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.

რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მინიმუმ შემდეგნაირად უნდა დადგინდეს: ა) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები; ბ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;

ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორატს.

ლიმიტების დადგენამ უნდა მოიცვას შემდეგი: ა) ლიმიტი ოპერაციებზე/პროდუქტზე; ბ) ლიმიტი უცხოურ ვალუტაზე; გ) ლიმიტი ბრუნვაზე; დ) ლიმიტი ღია სავალუტო პოზიციაზე; ე) ლიმიტი დასაშვები ზარალის (დანაკარგის); ვ) ღღიური ლიმიტი; ზ) ლიმიტი ინდივიდუალურ მსესხებელზე და ოპერაციის მონაწილე მეორე მხარეზე; თ) ლიმიტი დაკავშირებულ მხარეებზე; ი) ლიმიტი სამეურნეო და გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით.

ლიმიტების განსაზღვრას ახდენს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ამტკიცებს რისკების მართვის კომიტეტი ან სხვა კოლეგიალური ორგანო (აქტივ-პასივების მართვის კომიტე-

ტი, საკრედიტო კომიტეტი, დირექტორატი), მათი უფლებამოსილების შესაბამისად.

ლიმიტების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საქართველოს შესაბამისი კანონები და ნორმატიული აქტები, მათ შორის, დებულებები მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით, დაკრედიტების ლიმიტების, ღია სავალუტო პოზიციის შესახებ და ა. შ..

ლიმიტების ნებისმიერი სახით გადამეტების შემთხვევაში, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს კორექტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამან ზემოქმედება არ იქონიოს რისკის მიმართ დადგენილი და განსაზღვრული კაპიტალის მთლიან ოდენობაზე.

ლიმიტის ნებისმიერი გადამეტება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დადგენილი და გათვალისწინებული დირექტორატის მიერ, ხოლო ღონისძიებები ლიმიტების გადამეტებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს მხოლოდ დირექტორატის ან უფლებამოსილი პირის ნებართვით, ბანკის შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ბანკმა უნდა შეიმუშაოს სარეზერვო სისტემა და ეფექტიანი პროცედურები იმისათვის, რომ დაცული იყოს რისკის მონიტორინგის პროცესები და განახორციელოს სარეზერვო სისტემის რეგულარული შემოწმება და განხილვა.

რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია, რომელიც რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებლად უნდა შემუშავდეს. რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით ამ საინფორმაციო სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- სათანადო ინფორმაციის საფუძველზე აგრეგირებული/კომპოზიტიური რისკის შეფასება დროულად, როგორც ბანკის ბიზნეს-საქმიანობის, ისე საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკების მიხედვით;
- რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისობა და რისკების ლიმიტების დადგენა;
- რისკების მართვის შედეგები (პროგრესი), ბანკის მიერ რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად დადგენილ ორიენტირებთან შედარებით.

რისკების შესახებ ანგარიში, რომელიც რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, უნდა მომზად-

დეს რეგულარულად, რისკების მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ოპერაციებში ჩართული ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან. დირექტორატის და რისკების მართვის კომიტეტის შესაბამისი პირებისადმი ანგარიშგების სიხშირე უნდა გაიზარდოს ბაზრის პირობების ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში.

ანგარიშგება, რომელიც სცილდება დირექტორთა საბჭოს, დირექტორატის წევრებისა და რისკების მართვის მენეჯმენტის დონეს, შეიძლება წარდგენილ იქნეს ნაკლები სიხშირით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ადეკვატური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ამ მხარეებს, რათა მათ შეძლონ ბანკის რისკის პროფილში ცვლილებების შეფასება.

რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს რაოდენობრივ-ტექნიკურ ფორმატში შეფასებული რისკების ხარისხობრივ ფორმატში გადაყვანას, რომელიც ადვილად გასაგები იქნება დირექტორატისა და ბანკის სხვა პასუხისმგებელი პირებისათვის.

ნებისმიერი ახალი საინფორმაციო სისტემის, ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ახალი საინფორმაციო სისტემისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ არ გამოიწვიოს რაიმე შეფერხება.

თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და სისტემის განახლება დააკალოს მესამე მხარეს, მაშინ ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილება მესამე მხარის შერჩევასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს ობიექტურად და დამოუკიდებლად. მესამე მხარის ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს შენახვისა და განახლების პირობები და ვადები, აგრეთვე, წინასწარი ღონისძიებები, რომლებიც აღკვეთს ნებისმიერ დაბრკოლებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ოპერაციების განხორციელებისას.

მენეჯმენტის მიერ ახალი სისტემის გამოყენებამდე ბანკმა უნდა ჩაატაროს ტესტირება პროცესების ეფექტიანი განვითარების სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ბანკმა ასევე უნდა შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვისა და მენეჯმენტის ბიოგრაფიული მონაცემების სათანადო შეფასება ახალი სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის მიერ.

ბანკის მიერ ახალი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შე-

მუშაობისას მისი ფუნქციონირება ისეთი უნდა იყოს, რომ მან ეფექტიანად და ავტომატურად დააკმაყოფილოს კომპეტენტური ხელმძღვანელობის მხრიდან ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ბანკმა უნდა მართოს და განაახლოს სისტემური დოკუმენტაცია, აგრეთვე, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, პარამეტრები, პროცესების ეტაპები, მონაცემთა წყაროები და შედეგები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს კონტროლის განხორციელებას და აუდიტს.

ბანკმა უნდა დააწესოს რისკების კონტროლი, რათა მართოს კონკრეტული რისკი, რადგან მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი რისკი, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბანკის არსებობა.

ბანკს შეუძლია გააკონტროლოს რისკები ისეთი საზომების მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ ჰეჯირებას და რისკების შემცირების სხვა. მეთოდებს, როგორიცაა, მაგალითად: გარანტიების გაცემა, „სეკურიტიზაცია“ და საკრედიტო დერივატივები და გააძლიეროს ბანკის კაპიტალი პოტენციური რისკის გასანეიტრალებლად.

საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის ბანკებმა უნდა განახორციელონ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა (შემდგომში – აქმ). აქმ -ის ეფექტიანი გამოყენების ხელშესაწყობად ბანკმა უნდა შექმნას აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (კომიტეტი), რომლის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს აქმ-სთან დაკავშირებული ბანკის ოპერაციების მოცულობას და სირთულეს (კომპლექსურობას).

ბანკმა უნდა მოამზადოს და შეიმუშაოს წერილობითი პოლიტიკა, პროცედურები და განსაზღვროს ლიმიტები, რომლებიც გაელენას მოახდენენ ბანკის აქმ-ის მუშაობაზე. აქმ პოლიტიკა მკაფიოდ უნდა ასახავდეს შემდეგ პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებებს:

- ბანკის ოპერაციებისა და პროდუქტებიდან წარმოშობილი საპროცენტო რისკის დადგენას;
- საპროცენტო რისკების შეფასების სისტემის დამტკიცებას;
- პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვების პროცედურას და მისთვის პასუხისმგებელი პირისათვის უფლებამოსილების მიცემას.

კომიტეტის პოლიტიკამ უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები: ა) პასუხისმგებლობა, კომიტეტის შეხვედრის სიხშირე და კომიტეტის წევრობა; ბ) კომიტეტსა და დირექტორატს შორის ანგარიშ-ვალდებულებრივი ურთიერთობა; გ) ფონდების განთავსების სტრატეგია; დ)

ჰეჯირების სტრატეგია; ე) დაფინანსების სტრატეგია; ვ) ფასწარმოქმნის სტრატეგია; ზ) საპროცენტო რისკების მართვა, კერძოდ, ლიმიტების დაწესება სპეციალურ რისკებზე, ასევე, რისკების შეფასება გეპის ანალიზის, ხანგრძლივობის „დურაციის“ ანალიზის ან სიმულაციის მოდელის გამოყენებით.

კომიტეტის უფლებამოსილებამ უნდა მოიცვას:

- ალმ-ის სტრატეგიის შემუშავება, განხილვა და მოდიფიკაცია; ბ) ბანკის საპროცენტო რისკის პოზიციის შეფასება და ალმ-ის სტრატეგია, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ბანკის მიერ რისკის გაწევის პოზიცია შესაბამისობაში იყოს საპროცენტო რისკის მართვის ამოცანებთან;
- აქტივებისა და ვალდებულებების ფასწარმოქმნის სტრატეგიის განხილვა, რათა სახსრების განთავსებისას უზრუნველყოფილი იყოს, რომ ფასწარმოქმნამ მიაღწიოს ოპტიმალურ შედეგებს, მინიმუმამდე შეამციროს სახსრების ხარჯები და შეინარჩუნოს ბანკის საბალანსო უწყისის სტრუქტურა ბანკის ალმ-ის სტრატეგიის შესაბამისად;
- ბანკის ფაქტობრივ შედეგებს, ბიუჯეტის გეგმურ პარამეტრებსა და ბიზნეს-გეგმებს შორის გადახრების განხილვა;
- დირექტორატის ინფორმირება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ალმ-ის სტრატეგიასა და პოლიტიკაზე.

კომიტეტის შეხვედრა შეიძლება გაიმართოს თვეში ან კვარტალში ერთხელ, ეკონომიკაში განხორციელებული ცვლილებების, ბანკის მდგომარეობისა და საპროცენტო სავალუტო ლიკვიდობის რისკების პროფილის შესაბამისად.

კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებზე განხილულ უნდა იქნეს:

- გადაწყვეტილებები მოკლევადიან განთავსებებზე, ფასები და დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, ტენდენციები და ფაქტობრივი შედეგები ბიუჯეტის გეგმურ პარამეტრებთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, ალმ-ის სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს ბოლოდროინდელ მოვლენებს. კომიტეტმა, ასევე, უნდა შეიმუშაოს ჰეჯირების სტრატეგია და მხედველობიდან არ გამორჩეს თანამშრომლების მიერ ალმ-ის ყოველდღიური გადაწყვეტილებები;
- საპროცენტო რისკების გავლენა ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე;

- კომიტეტის შეხვედრები უნდა იქნეს დოკუმენტირებული და, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემული დირექტორატისათვის შემდგომი რეაგირების მიზნით.

კომიტეტის ყოველკვარტალურ შეხვედრებზე განხილულ უნდა იქნეს საპროცენტო, ლიკვიდობისა და სავალუტო რისკები და მათი ანალიზი, საპროცენტო რისკების მართვის სტრატეგიის კორექტირების საკითხი, აგრეთვე, სახსრების განთავსებასთან დაკავშირებით პოლიტიკა და დირექტივები.

დირექტორატისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი ფოკუსირებული და ადეკვატურად დოკუმენტირებული უნდა იყოს, რათა დირექტორატს გაუადვილდეს შეფასებების გაკეთება. კომიტეტის ანგარიშების მასშტაბმა, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება მოიცვას შემდეგი:

- კომიტეტის ოქმები, მათ შორის, წინა პერიოდის ოქმებიც, რომლებიც შეეხება განსახილველ საკითხებს;
- მოგება/ზარალის უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;
- საბალანსო უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;
- ბიუჯეტის გეგმური პარამეტრები;
- ახალი საკრედიტო ანგარიში;
- ანგარიში მარჟების ანალიზის შესახებ;
- ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამონათვალი, რომელსაც თან ერთვის ბანკის მიერ ბოლო თვესა და კვარტალში განხორციელებული ოპერაციები;
- ლიკვიდობის ანალიზის ანგარიში, კერძოდ, თანხების წარმოშობის წყაროებისა და მათი გამოყენების ანალიზი;
- ანგარიში ფასწარმოქმნის მონაცემების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება პროდუქტის ფასი ან ღირებულება;
- მოდელის სიმულაცია (თუ ბანკი იყენებს მოდელს) ან გეპის ანგარიში, რომელიც ასახავს საპროცენტო პროფილს;
- ჰეჯირების ანგარიში, თუ ბანკი იყენებს ჰეჯირების სტრატეგიას.

კომიტეტის პოლიტიკის და გადაწყვეტილებების სისტემა, სამოქმედო გეგმა და მისი საფუძვლები მუდმივ გადახედვას (განხილვას) უნდა ექვემდებარებოდეს, კერძოდ კი, უნდა ასახავდეს ისეთ ცვლილებებს, როგორებიცაა: მომქმედი კანონმდებლობების დებულებები, ბაზრის მდგომარეობა და მომხმარებელთა ქცევა.

ბანკის მიერ მთავარი რისკების, როგორებიცაა: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი და საოპერაციო რისკი, შეფასებისათვის გამოყენებული მოდელები, ბანკის მოთხოვნებს, მისი ოპერაციების მოცულობას, კომპლექსურობას და ბანკის მიერ მიღებულ სარგებელს უნდა შეესაბამებოდეს.

თუ ბანკს აქვს შიდა მოდელები (ბექ-ტესტები,), როგორიცაა მაგალითად, საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების ინსტრუმენტები, რისკის ღირებულება და ცვალებული რისკის სტრესტესტები, მაშინ ბანკმა უნდა გამოიყენოს საკუთარი ისტორიული მონაცემები/პარამეტრები და დაშვებები და/ან სებ-ის მიერ განსაზღვრული შეფასებები.

მოდელის გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების მიმართ მოთხოვნები ასევე უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისობას, რომელსაც ეროვნული ბანკი მოითხოვს. ბანკებმა, რომლებიც რისკების შესაფასებლად შიდა მოდელებს იყენებენ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, სულ ცოტა, შემდეგი საკითხები:

- სტატისტიკური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და მათი მომზადების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს;
- უნდა არსებობდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სისტემას, რომ დროულად აღადგინოს სათანადო და ზუსტი მონაცემები და ინფორმაცია;
- უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მოიპოვებს მონაცემებს რისკების შესახებ (კერძოდ, საბაზრო რისკის), ბანკის ყველა პოზიციისათვის;
- დოკუმენტაცია მონაცემთა გამოყენებული წყაროების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს რისკების შეფასების პროცესს;
- მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა შენახვის პროცესები უნდა შეადგენდეს სისტემის ნაწილს, რათა აღკვეთილ იქნეს სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება.

გარკვეული რისკების შეფასების მოდელების გამოყენებით გამოწვეული სისუსტეების აღსაკვეთად ბანკმა უნდა მოახდინოს მოდელის დადასტურება. დადასტურების პროცესი უნდა განხორციელდეს შიდა ან გარე მხარის მიერ, იმ ერთეულისგან დამოუკიდებლად, რომელიც ამ მოდელს იყენებს. საჭიროების შემთხვევაში, დადასტურება უნდა განხორციელდეს ან დახმარება გაეწიოს გარეშე მხარის მიერ, რომელსაც რისკების შეფასების მოდელებში ტექნიკური კომპეტენცია და გამოცდილება აქვს.

მოდელის დადასტურება წარმოადგენს შემდეგ პროცესს:

კონკრეტული მოდელის შიდა ლოგიკის შეფასება მათემატიკური სიზუსტის გამოყენებით; მოდელის პროგნოზების შედარება შესაბამის მოვლენებთან; ერთი მოდელის შედარება სხვა არსებულ მოდელთან, იქნება ეს შიდა, თუ გარე მოდელი (შესაძლებლობის შემთხვევაში).

დადასტურება, ასევე, უნდა განხორციელდეს ახალ მოდელებთან მიმართებაში, ადგილზე იქნება ისინი შემუშავებული თუ სხვისგან ნაყიდი. ადგილზე შემუშავებულმა მოდელებმა უფრო ინტენსიური შეფასება უნდა გაიაროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხდება ბაზრის მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

რისკების შეფასების პროცესმა მკაფიოდ უნდა დაადგინოს დადასტურების პროცესი, მისი სიხშირე, მოთხოვნები მონაცემებსა და ინფორმაციაზე, აგრეთვე, გამოყენებული დაშვებების შეფასება მანამ, სანამ ბანკი დაიწყებს მოდელის გამოყენებას.

სტრესტესტი მისნად ისახავს რისკების შეფასების შეცვლას ანომალიურ საბაზრო პირობებში, ბანკის პოტენციური ეკონომიკური ზარალის შეფასების მეშვეობით, რათა დადგინდეს ბანკის მგრძნობელობა რისკფაქტორების ცვლილებებისადმი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გაკვლევას ახდენს ბანკის პორტფელზე.

სტრესტესტის ჩატარებისას რისკების შეფასების სისტემა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რაც მრავალი სცენარის გამოყენების საშუალებას შექმნის. სტრესტესტის დროს გამოყენებული დაშვებები გულდასმით უნდა იქნეს შემუშავებული, რათა მოხდეს ბანკის პორტფელში არსებული ტენდენციების შემოწმება. ბანკმა უნდა ჩაატაროს სტრესტესტი წარსულში მიღებული უდიდესი ზარალის (დანაკარგის) საფუძველზე და წარსულში მომხდარი დიდი საბაზრო ცვლილებების გათვალისწინებით.

სტრესტესტის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს პოტენციური ზარალის დაანგარიშება, რის შედეგადაც ბანკს შესაძლებლობა მიეცემა შეაფასოს ყველა უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება ბანკის მოგებასა და კაპიტალში ცვლილებებით იყოს გამოწვეული. სტრესტესტის შედეგები, მათ შორის, რისკების მართვის სტრუქტურის მიერ გაკეთებული დაშვებები რეგულარულად უნდა მოხსენდეს ბანკის დირექტორატს.

დირექტორატმა ან შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა

მიიღონ გადაწყვეტილებები და გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ სტრესტესტის ყველა ცუდი სცენარის პროგნოზების გათვალისწინებით.

რისკების მართვის შიდა კონტროლი: რისკების მართვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის მახასიათებლები, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს:

- შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას ბანკის ბიზნეს-საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების დონესთან;
- პოლიტიკების, პროცედურებისა და ლიმიტების შესაბამისობის მონიტორინგისათვის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დადგენას;
- ანგარიშვალდებულებათა დადგენას და ფუნქციების მკაფიო განაწილებას რისკის წარმომქმნელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებს შორის;
- ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მკაფიოდ ასახავს ბანკის ბიზნეს-საქმიანობას;
- პროცედურების ადეკვატურობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის საქმიანობის შესაბამისობა კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან;
- ბანკის ოპერაციების შეფასების პროცედურების ეფექტიან, დამოუკიდებელ და ობიექტურ განხილვას;
- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატურ შემოწმებასა და განხილვას;
- აუდიტის შედეგების საფუძველზე ბანკის მენეჯმენტის მასშტაბების, საოპერაციო პროცედურების, აუდიტის შედეგებისა და პასუხების სრულყოფილ და ადეკვატურ დოკუმენტირებას;
- ბანკის საქმიანობის და ბანკის მენეჯმენტის ქმედებების რეგულარულად შემოწმებას, არსებითი ხასიათის სისუსტეების გამოვლენას და მათ განხილვას.

რისკების მართვის განხილვამ უნდა მოიცვას მინიმუმ შემდეგი:

- სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ რისკების მართვის რეგულარული მიმოხილვა რისკის მენეჯერის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, აგრეთვე, სათანადო შეფასებები რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულისა და შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტორების მიერ;
- ბანკის წინაშე მდგარი რისკის, საბაზრო ცვლილებებისა და რისკის შეფასებისა და მართვის მეთოდების შესაბამისად განხილვა

და შეფასება შეიძლება უფრო ინტენსიური გახდეს და მისი მაშტაბებიც გაფართოვდეს.;

- განხილვა ასევე უნდა განხორციელდეს გარე აუდიტორის ან სხვა კვალიფიციური მხარის მიერ, რომელსაც კარგად ესმის რისკების მართვის ტექნოლოგიები;
- რისკების შეფასებისა და განხილვისას განსაკუთრებით გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი საკითხები:

– რისკების შეფასებისა და რისკების ლიმიტების დასადგენად გამოყენებული მეთოდები, ვარაუდები (დაშვებები) და ცვლადები;
– შედარება სიმულაციების ან წინასწარი პროგნოზირების გამოყენებით რისკების შეფასების მეთოდებიდან მიღებულ შედეგებსა და ფაქტობრივ შედეგებს შორის;
– შედარება მოდელში გამოყენებულ დაშვებებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის;
– შედარება დადგენილ ლიმიტებსა და ფაქტობრივ რისკებს შორის;
– რისკების შეფასების შესაფერისობის დადგენა და რისკის ლიმიტები ბანკის წარსულ საქმიანობასა და მიმდინარე პოზიციასთან დაკავშირებით.

14.2. რისკების მართვა ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისათვის

ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების მართვის მისნით ბანკმა უნდა შეიმუშაოს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები.

ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისთვის რისკების მართვის პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა დააღგინოს მინიმუმ შემდეგი:

- სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და უფლებამოსილება ახალი პროდუქტების და საქმიანობის რისკების მართვასთან დაკავშირებით;
- ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი ყველა რისკის დადგენა;
- ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის რისკებისთვის დამახასიათებელი შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდების საგამოცდო პერიოდი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეთოდების ტესტირება საბანკო საქმიანობის წინდახედულობისა და სხვა

ასპექტების თვალსაზრისით;

- ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა, რომლშიც ასახული იქნება, მინიმუმ, ამ რისკის პროფილი და ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის მოგებისა და ზარალის დონე;
- ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის სამართლებრივი ანალიზი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაძლო სამართლებრივი რისკების შესაძლებლობა და ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შესაბამისობის ანალიზი უპირატეს კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში.

თუ ბანკი არის ბიზნეს-ჯგუფის წევრი და განსაკუთრებით იმ ფინანსური ჯგუფისა, რომელსაც რისკების მართვის ცენტრალიზებული პროცესი აქვს, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ რისკების შეფასების პროცესი რაც შეიძლება ზუსტად იყოს კონსოლიდირებული. რისკების კონსოლიდირებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესმა უნდა დაადგინოს მკაფიო ლიმიტები, რომელიც კონსოლიდაციის ყველა დონეზე იქნება დაკმაყოფილებული.

სრუქტურულ ქვედანაყოფებს და ფილიალებს შორის ოპერაციების შემთხვევაში, რომლის დროსაც გარკვეული რისკის პოზიცია წარმოიქმნება, ბანკმა უნდა:

- მკაფიოდ განსაზღვროს შიდა გარიგებები;
- შეადაროს შიდა გარიგებები ბუღალტრული აღრიცხვის პროცესში, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენას;
- უზრუნველყოს შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი რისკების პოზიციების შეფასება, მონიტორინგი და გაკონტროლება რისკების მართვის სტრუქტურის მიერ;
- უზრუნველყოს თანამიმდევრული ლიმიტების დადგენა.

ბანკმა რეგულარულად, სულ ცოტა, ყოველ თვე, უნდა შეადაროს ის ცვალებადობა, რომელიც მოგებისა და ზარალის უწყისსა და შიდა გარიგებებს შორის ჩნდება გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში არსებული განსხვავებების გამო და დაუყოვნებლივ მოახდინოს ამ განსხვავებების შემოწმება და გასწორება.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს-ჯგუფის შიგნით ორგანიზაციებს შორის ოპერაციები ხორციელდება, ბანკმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ოპერაციები სწორად იქნეს გატარებული, რათა ბიზნეს-ჯგუფის ანგარიშები ზუსტად იქნეს ასახული ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში.

14.3. საკრედიტო რისკის ცნება, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის პასუხისმგებლობა საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (დებიტორებთან) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორიცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ..

საკრედიტო რისკის სტრატეგიის და პოლიტიკის დამტკიცებასა და რეგულარულ (მინიმუმ, წელიწადში ერთხელ) განხილვისათვის პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. საკრედიტო რისკის სტრატეგიაში და პოლიტიკაში უნდა იყოს:

- ასახული ეკონომიკური ციკლის და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მიმართ ბანკის ამტანობა და მოსალოდნელი შემოსავლების მდგრადობის ალბათობა;
- გათვალისწინებული აღგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური ციკლები და ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო პორტფელის შემადგენლობასა და ხარისხზე;
- საკითხები შემუშავებული იყოს იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს გრძელვადიანი მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში, მასში სათანადო კორექტირებების გათვალისწინებით.

დირექტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისა და პროცედურების შემუშავებისათვის, რომელთა საფუძველზეც მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკამ და პროცედურებმა, თუ ისინი სწორად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.

ბანკმა უნდა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვასა და ამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიაროს, ამასთან, წინასწარ უნდა იქნეს მიღებული რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციები ან დირექტორატის თანხმობა.

ბანკს საკმარისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რათა გამოიყენოს იგი დებიტორთა რისკის პროფილის კომპლექსური შეფასებისათვის. ფაქტორები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები, სულ მცირე, უნდა იყოს:

- სესხის მიზნობრიობა და გადახდის წყარო;
- დებიტორის რისკის პროფილი და უზრუნველყოფა მიმდინარე თარიღისთვის და მგრძნობელობა საბაზრო პირობების ცვლილებებისადმი;
- წარსული და მომავალი გადახდისუნარიანობის ანალიზი ფინანსური მონაცემებისა და ფულადი ნაკადების პროგნოზის მიხედვით მოელენის სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში;
- დებიტორის ბიზნესის მოცულობა, სტაბილურობა და ეკონომიკური სექტორის/მსესხებლის ბიზნესის მდგომარეობა და მსესხებლის ადგილი კონკრეტულ სექტორში;
- კრედიტის პირობები, მათ შორის, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია დებიტორის მომავალ რისკთან.

რისკის მქონე საკრედიტო ოპერაციების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსავლიანობის დონე, რომელიც უნდა განხორციელდეს, მინიმუმ, იმის უზრუნველყოფით, რომ ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი ჩატარდეს კომპლექსურად და მოიცვას საოპერაციო ხარჯები, სახსრების მოზიდვის ხარჯები, დებიტორების დეფოლტთან დაკავშირებული ხარჯების შეფასება, სანამ არ მოხდება სრული დაფარვა და კაპიტალის მოთხოვნების დაანგარიშება;

კრედიტების შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს კონკრეტული ოპერაციის რისკის დონის დაანგარიშებასთან, კერძოდ, დებიტორის საერთო მდგომარეობასთან და გარანტიის სახით წარმოდგენილი გირაოს ხარისხსა და საბაზრო კონკურენტუნარიანობასთან;

სულ ცოტა კვარტალში ერთხელ დირექტორატმა უნდა მიიღოს დაკრედიტების ოპერაციების მომგებიანობის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში, საკრედიტო ოპერაციების შეფასება კორექტირებულ უნდა იქნეს და გატარდეს ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

სესხებისა და ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, როდესაც ეს ხდება უფლებამოსილების გადაცემის მეშვეობით, მკაფიოდ უნდა იქნეს გაფორმებული ბანკის ზუსტი მახასიათებლების (მოცულობა, ორგანიზაციული სტრუქ-

ტურა, საქმიანობის სახეები და ოპერაციების კომპლექსურობა) ჩვენებით, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ბანკში არსებულმა სისტემამ.

სესხების და/ან ვალდებულებების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ უფლებამოსილების გადაცემისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფუნქციების განაწილება კრედიტის დამტკიცებაში, ანალიზსა და ადმინისტრირებაში მონაწილეთა შორის.

ბანკში განხილვის პროცესი უნდა განხორციელდეს, მინიმუმ, კვარტალში ერთხელ და მოიცვას საკრედიტო რისკის კლასიფიცირება, გირაოს საბაზრო კონკურენტუნარიანობის შეფასება და საკომისიო მოსაკრებლების დადგენა. განხილვის შედეგები უნდა შეადგენდეს საკრედიტო ფაილის განუყოფელ ნაწილს.

საკრედიტო ადმინისტრირების სისტემის შემუშავებისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს:

- კრედიტების ადმინისტრირების ეფექტიანობა და ქმედითობა, მათ შორის: დოკუმენტაციის, სახელშეკრულებო პირობებისა და ვადების, სასესხო ხელშეკრულებების (იურიდიული ასპექტების) და გირაოს მონიტორინგი;
- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორე და დროულობა;
- მოვალეობების სწორი გადანაწილება;
- back office–თვის დადგენილი პროცედურების კონტროლი;
- შესაბამისობა შიდა წერილობით პოლიტიკასა და პროცედურებთან და მოქმედ კანონებთან.

ბანკმა უნდა განახორციელოს შეფასებისა და განხილვისთვის გამოყენებული ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციისა და მასალის ადმინისტრირება და დოკუმენტირება საკრედიტო ფაილში.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს საკრედიტო ფაილებში არსებული ჩანაწერების სრულყოფა, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ დავალიანების მქონე დებიტორებისთვის, რომლებიც გაცილებით დიდი რისკების წინაშე აყენებენ ბანკის საკრედიტო პორტფელს (დიდი რისკის და კრედიტების კონცენტრაცია).

საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესების შესახებ პროცედურებში ბანკმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ის ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესებაზე და იმ პროცესებზე, რომლებიც

დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან/საკრედიტო რისკის ლიმიტების დაწესებასთან.

ბანკმა უნდა დააწესოს ლიმიტები მსესხებლებისა და კონტრაგენტებისათვის მათთან ოპერაციების განხორციელებამდე რისკის მიმართ ბანკის ტოლერანტულობის დონის გათვალისწინებით;

საკრედიტო რისკის ლიმიტები წესდება იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნეს კონცენტრაციით გამოწვეული რისკები. დაწესებულმა ლიმიტებმა უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი:

- კლიენტის ან კონტრაგენტი პარტნიორის რისკი;
- ურთიერთდაკავშირებული მხარეების რისკი;
- გარკვეული ეკონომიკური სექტორის ან გეოგრაფიული კონცენტრაციის რისკი.

ერთი კლიენტისთვის ან კონტრაგენტი პარტნიორისთვის დაწესებული ლიმიტი შეიძლება ეფუძნებოდეს მათი ფინანსური უწყისებიდან რაოდენობრივი მონაცემების და მათთან გასაუბრებით მოპოვებული ხარისხობრივი ინფორმაციის ანალიზს.

საკრედიტო რისკის ლიმიტის დაწესება სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს გარე და შიდა აუდიტორების მიერ აუდიტის ჩატარებას.

ბანკს, გარდა იმისა, რომ მოეთხოვება ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულება, მან, აგრეთვე, უნდა დაიცვას ბანკის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და დაწესებული ლიმიტები.

14.4. საკრედიტო რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

ბანკმა უნდა დაადგინოს მისი ყველა პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკის ამგვარი დადგენა შეადგენს კონკრეტული საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მახასიათებლების შესწავლის შედეგს, როგორიცაა: კრედიტების გაცემა, სახსინო და საინვესტიციო საქმიანობა და მიზნობრივი დაფინანსება.

საკრედიტო ოპერაციებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დებიტორის ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ კი ის, თუ რამდენად სწრაფად დაფარვის უნარი აქვს მას, აგრეთვე, მის მიერ წარ-

მოლუქნილი გირაო და გარანტიები. დებიტორის რისკის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დებიტორის გარემოს ანალიზი, ბიზნეს-პარტნიორების მახასიათებლები, აქციონერთა და მენეჯმენტის ხარისხი, ბოლო ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა, ფულადი ნაკადების პროექტი, ბიზნეს-გეგმის ხარისხი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს დებიტორის მდგომარეობისა და კრედიტუნარიანობის კომპლექსური ანალიზის ჩასატარებლად.

სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობის საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, ჩატარებული ოპერაციების ტიპები, ბაზრის ლიკვიდობა და სხვა ფაქტორები, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე.

ბანკს უნდა ჰქონდეს რისკების შეფასების წერილობითი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს:

- მოახდინოს საბალანსო და გარესაბალანსო უწყისებში საკრედიტო რისკის მქონე დებიტორების ან დებიტორთა და/ან მხარეთა სპეციალური ჯგუფების ცენტრალიზება;
- საკრედიტო რისკის რეიტინგების განსხვავებული კატეგორიების შეფასება, როდესაც გამოყენებული იქნება ხარისხობრივი ასპექტებისა და რაოდენობრივი მონაცემების კომბინაცია და შერჩეული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები;
- რისკების შეფასების შედეგების შესახებ სრული ინფორმაციის გავრცელება შესაბამისი სტრუქტურების მიერ მონიტორინგის განხორციელების მიზნით.

საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მინიმუმ, შემდეგი ასპექტები:

- საკრედიტო რისკის შემცველი თითოეული ოპერაციის დახასიათება, დებიტორის/მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობა და სასესხო ხელშეკრულების ვადები და პირობები, როგორიცაა ვადა, სარგებელი და სხვ.;
- გეპის პროფილი ბაზრის პოტენციური ცვლილების ჭრილში;
- გირაო და/ან გარანტია;
- დეფოლტის შესაძლებლობა;
- ბანკის უნარი გაუძლოს პოტენციურ დეფოლტს. ბანკები, რომლებიც რისკის შიდა რეიტინგის მეშვეობით ახორციელებენ რისკების

შეფასებას, რეგულარულად უნდა ახლენდნენ მონაცემთა გადამოწმებას.

საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოყენებულმა პარამეტრებმა სხვა ასპექტებთან ერთად უნდა მოიცვას შემდეგი:

- უმოქმედო სესხები;
- კრედიტების კონცენტრირება მსესხებლებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით;
- გირაოს ადეკვატურობა;
- დაკრედიტების სრდა;
- უმოქმედო სახსინო და საინვესტიციო (არასაკრედიტო) პორტფელები;
- სახსინო და საინვესტიციო პორტფელების შემადგენლობა (ბანკთაშორისი ფასიანი ქაღალდები და კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა);
- რეზერვების ადეკვატურობა;
- მიზნობრივი დაფინანსების ოპერაციების დეფოლტი;
- მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაცემული კრედიტების კონცენტრაცია.

ბანკმა შეიძლება გამოიყენოს სისტემა და სტატისტიკური/ალბათობის მეთოდი, რათა შეაფასოს საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების კონკრეტული სახეობებისთვის დამახასიათებელი რისკი, როგორიცაა, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების ინსტრუმენტები „credit scoring tools".

ამ სისტემის გამოყენებისას ბანკმა უნდა:

- განახორციელოს დეფოლტის პროგნოზირებისას გამოყენებული მოდელისა და დაშვებების სიზუსტის განხილვა;
- განახორციელოს კორექტირებები დაშვებებში, შიდა და გარე პირობების ცვლილებების გათვალისწინებით; მსხვილი რისკის ან შედარებით კომპლექსური ოპერაციების შემთხვევაში საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა დაეფუძნოს არა მარტო ამ სისტემას, არამედ საკრედიტო რისკის შეფასების სხვა ინსტრუმენტებსაც. ბანკმა უნდა მოახდინოს ამგვარი საკრედიტო ინფორმაციის დოკუმენტირება, რადგან ამ სისტემაში გამოყენებული დაშვებები, მონაცემები და ინფორმაცია, მათ შორის, აქედან გამომდინარე ნებისმიერი ცვლილება, მუდმივად უნდა განახლდეს. სისტემა გამოყენების დროს უნდა:
- შეუწყოს ხელი გადაწყვეტილების მიღების პროცესს და უზრუნ-

ეკლეროს მისი შესაბამისობა უფლებამოსილების გადაცემის შესახებ დებულებებთან;
- გამოიყენოს სათანადო და ეფექტიანი უსაფრთხოების პროცედურები და იყოს დამოუკიდებელი;

საკრედიტო რისკის მონიტორინგის განხორციელების მიზნით:

- ◆ ბანკმა უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს საინფორმაციო სისტემა და პროცედურები, რათა მონიტორინგი გაუწიოს თითოეული დებიტორის ან მეორე მხარის მდგომარეობას ბანკის ერთიან საკრედიტო პორტფელში.
- ◆ საკრედიტო რისკის მონიტორინგის სისტემამ უნდა შეძლოს შეფასების განხორციელება შემდეგი მიზნით:
- უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის ინფორმირება დებიტორის ან მეორე მხარის ბოლო ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- მონიტორინგი გაეწიოს შესაბამისობას სასესხო ხელშეკრულების პირობებსა და ვადებთან ან საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების შესახებ ხელშეკრულებასთან;
- უნდა მოხდეს დებიტორის ან მეორე მხარის ვალდებულებებთან დაკავშირებული გირაოს ადეკვატურობის შეფასება;
- უნდა მოხდეს ნებისმიერი დაგვიანების დადგენა დაფარვასთან დაკავშირებით და პრობლემური სესხების დროული კლასიფიკაცია;
- უნდა მოხდეს სწრაფი ღონისძიებების გატარება პრობლემურ სესხებთან მიმართებაში.

- ◆ ბანკმა, ასევე, უნდა გაუწიოს მონიტორინგი საკრედიტო რისკის შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან, მათ შორის, დაფარვისუნარიანობასა და რისკის შიდა რეიტინგთან.
- ◆ საკრედიტო რისკის მონიტორინგი რეგულარულად და მუდმივად უნდა განხორციელდეს რისკის მართვის სტრუქტურის მიერ, რომლის დროსაც ფაქტობრივი საკრედიტო რისკი უნდა შედარდეს საკრედიტო რისკის მიმართ დაწესებულ ლიმიტებს.
- ◆ საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, რისკების მართვის სტრუქტურამ მუდმივად უნდა მოამზადოს ანგარიშები საკრედიტო რისკის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მათ შორის, მათი გამომწვევი ფაქტორების ჩათვლით, რომელიც უნდა მიეწოდოს რისკების მართვის კომიტეტს ან დირექტორატს.

რისკების შიდა რეიტინგის სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- რისკების შიდა რეიტინგის სისტემის გამოყენების პროცედურების შემუშავება და დოკუმენტირება;

- ადრეულ ეტაპზეც რისკების პროფილის ნებისმიერი ცვლილების დადგენა, რომელიც საკრედიტო რისკის პოტენციური ან ფაქტობრივი შემცირებით არის გამოწვეული.
- შიდა რისკის შეფასების სისტემის მუდმივად შეფასება იმ მხარის მიერ, რომელიც დამოუკიდებელია შიდა რისკის შეფასების მომხმარებელი სტრუქტურისაგან.

რისკების შიდა რეიტინგის შესახებ ანგარიშები საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის თაობაზე, რეგულარულად უნდა გადაეცეს დირექტორატს.

საკრედიტო რისკის შეფასების პროცესის ეფექტიანობასა და ქმედითობის გასაუმჯობესებლად ბანკს უნდა ჰქონდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი და დროული ანგარიშებისა და მონაცემების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას დირექტორატის ან სხვა შესაბამისი პირების მიერ.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემამ უნდა:

- შეიმუშაოს ანგარიშები და ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს აქტიური რისკის მონიტორინგს და მათ შედარებას დაწესებულ ლიმიტებთან, აგრეთვე, ამ ლიმიტებთან მიმართებაში ნებისმიერი გადაჭარბების შესახებ დირექტორატისათვის აუცილებლად ინფორმირებას;
- უზრუნველყოს ზუსტი და დროული მონაცემები თითოეული მსესხებლისა და მხარის მთლიანი საკრედიტო რისკის და საკრედიტო პორტფელის შესახებ და ანგარიში საკრედიტო რისკის ლიმიტებიდან გამონაკლისების შესახებ;
- მისცეს საშუალება დირექტორატს, დაადგინოს ნებისმიერი რისკის კონცენტრაცია საკრედიტო პორტფელში.

ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის პროცესის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. განხილვამ, სულ ცოტა, უნდა მოიცვას საკრედიტო ადმინისტრირების პროცესის შეფასება, შიდა რისკის რეიტინგის გამოყენების სიზუსტის შეფასება ან მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტების შეფასება და იმ სტრუქტურის ან ოფიცრების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ცალკეული კრედიტის ხარისხს.

განხილვა უნდა განხორციელდეს იმ სტრუქტურის ან პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საკრედიტო

რისკის ოპერაციების განმახორციელებელი სტრუქტურისაგან. განხილვის შედეგები სრულად უნდა მიეწოდოს უშუალოდ შიდა აუდიტის სტრუქტურას, შესაბამის დირექტორს, დირექტორატის სხვა შესაბამის წევრებს და სარევიზიო კომისიას.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ის სტრუქტურები, რომლებიც კურირებენ საკრედიტო ან საკრედიტო რისკის მატარებელ ოპერაციებს ადეკვატურად იმართებოდნენ, ხოლო საკრედიტო რისკი რეგულარულად იყოს დაცული შესაბამის ფარგლებში და დააკმაყოფილოს პრუდენციული სტანდარტები.

ბანკმა უნდა შექმნას და გამოიყენოს შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი გამონაკლისი პოლიტიკიდან, პროცედურებისა და ლიმიტებიდან დროულად იქნეს მიწოდებული დირექტორატსა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის, მათ მიერ მაკორექტირებელი ღონისძიებების გასატარებლად.

შიდა აუდიტის ჩატარებისას შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა შეამოწმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ სისტემის ქმედუნარიანობა, უსაფრთხოება და მისი შესაბამისობა მოქმედი კანონების დებულებებთან და პოლიტიკასთან, ინსტრუქციებთან და ბანკის შიდა პროცედურებთან. არაეფექტიანობისა ან უსუსტობის ნებისმიერი შემთხვევა, ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი მონაცემი ამ სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დირექტორატს და რისკის მართვის სამსახურს იმისათვის, რომ მათ დაუყოვნებლივ გაატარონ მაკორექტირებელი ღონისძიებები.

ბანკს უნდა ჰქონდეს პრობლემური სესხების მართვის პროცედურები, მათ შორის, წერილობითი სისტემა, რომელიც აღმოაჩენს და გამოავლენს პრობლემურ სესხებს და ეფექტიანად გამოიყენოს ეს პროცედურები. თუ ბანკს აქვს ამოსაღები მნიშვნელოვანი ოდენობის პრობლემური სესხები, მაშინ ბანკმა უნდა განაცალკევოს პრობლემური სესხების გადაჭრის ფუნქცია დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სამსახურის ფუნქციიდან. თითოეული სტრატეგია და პრობლემური სესხების გადაჭრის შედეგები ადმინისტრირებულ უნდა იქნეს მონაცემებში, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც მონაცემები, რომელსაც კრედიტების გაცემის ან რესტრუქტურიზაციის ფუნქციით გამოიყენებენ.

თავი XV. საბაზრო, საპროცენტო, ლიკვიდობის, სამართლებრივი, რეპუტაციის, სტრატეგიული და შესაბამისობის რისკები

15.1. საბაზრო და საპროცენტო რისკის ცნება

საბაზრო რისკი არის ბანკის ბალანსური და გარებალანსური პოზიციის მიხედვით საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი.

საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციების რისკებს. წინამდებარე დოკუმენტით მოცული იქნება საბაზრო რისკის მხოლოდ საპროცენტო და სავალუტო რისკების კომპონენტები.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმიანობისგან, როგორიცაა ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით, სესხების გაცემით, სავალო ინსტრუმენტების გამოცემით, ვაჭრობის დაფინანსებით და სხვ.

საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს საპროცენტო რისკის სახეებისა და დონის ადეკვატური აღქმა.

პოლიტიკისა და სტრატეგიის დამტკიცების პროცესში სამეთვალყურეო საბჭომ თავისი თანხმობა უნდა დაუკავშიროს ბანკის მიერ განხორციელებული ბიზნესის საერთო მიზნებს.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტრატეგია და უზრუნველყოს, რომ ბანკის დირექტორატმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები ამ რისკის მონიტორინგის და კონტროლის მიზნით.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული დირექტორატის მიერ პროცენტულ რისკთან დაკავშირებით, რომელიც მისი მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების ნაწილს წარმოადგენს.

ბანკის დირექტორატი პასუხისმგებელი უნდა იყოს, რომ ბანკს ჰქონდეს ადეკვატური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო რისკების სამართავად, განსაკუთრებით, საოპერაციო საქმიანობასთან მიმართებაში.

დირექტორატი, ასევე, პასუხისმგებელი უნდა იყოს იმისათვის, რომ დაცულ იქნეს:

- საპროცენტო რისკის ლიმიტები;
- საპროცენტო რისკის შეფასების სტანდარტები და სისტემები;
- პოზიციის შეფასების სტანდარტები და მოხდეს საპროცენტო რისკით გამოწვეული შედეგების შეფასება;
- საპროცენტო რისკის აღრიცხვა და განხილვა საპროცენტო რისკის მართვის მიზნით;
- შიდა კონტროლი საპროცენტო რისკის მართვის მიზნით.

ბანკს უნდა ჰქონდეს კომპლექსური წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო რისკის სამართავად.

პოლიტიკაში და პროცედურებში ჩამოყალიბებული და გადმოცემული უნდა იყოს პასუხისმგებლობა და ანგარშვალდებულება პროცენტული რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს გამოყენებული (ნებადართული) ინსტრუმენტები, ჰეჯირების სტრატეგია და პოზიციის წარმოქმნის შესაძლებლობები.

საპროცენტო რისკის შესახებ პოლიტიკამ ასევე უნდა განსაზღვროს რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც საპროცენტო რისკის შეფასებისას გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარეობს, როგორიცაა, მაგალითად: საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა, მოგება რისკებიდან, კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება, რათა წარმოდგენილ იქნეს ბანკის საპროცენტო რისკისადმი ამტანობის დონე.

საპროცენტო რისკის შესახებ არსებული პოლიტიკა და პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარულად უნდა იქნეს განხილული და გადასინჯული რისკის მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შიდა აუდიტის სამსახურის ან გარე აუდიტორის მიერ, რომელიც კომპეტენტურია საპროცენტო რისკის მართვის საკითხებში.

ბანკს მოეთხოვება სუსტად დააფიქსიროს საპროცენტო რისკი აქტივების, დერივატივებით ოპერაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, როგორც კონკრეტულ ბიზნესში, ისე ბანკის საქმიანობაში მთლიანად.

საპროცენტო რისკის შეფასების მიზნით, საბაზრო ფასით შეფასებული აქტივები, ვალდებულებები და გარე-საბალანსო ანგარიშები უნდა დაჯგუფდეს სავაჭრო ჟურნალში, ხოლო არასაბაზრო ფასით შეფასებული ოპერაციები და პოზიციები – საბანკო ჟურნალში. როგორც წესი, ამ საბანკო ჟურნალის პოზიციები, როგორიცაა ფასიანი ქაღალდები ან ობლიგაციები საინვესტიციო პორტფელში, არ არის გამიზნული მოკლევადიანი მოგების მისაღებად და მათ დაფარვამდე იქნება შენახული.

საბაზრო ფასით შეფასების პროცესი წარმოადგენს ერთ-ერთ ტექნოლოგიას, რომელიც ასახავს აქტივების, დერივატივებით განხორციელებული ოპერაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას, რაც, ასევე, წარმოადგენს ამ აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რისკის შეფასების შესაფერის მეთოდს.

საბაზრო ფასით შეფასების პროცესის ადეკვატურობა და სიზუსტე შემოწმებული უნდა იქნეს იმ მხარის მიერ, რომელიც დამოუკიდებელია საოპერაციო სტრუქტურისგან და აქვს შესაბამისი კომპეტენცია, როგორიცაა, მაგალითად, რისკების მართვის სტრუქტურა.

ბანკებს, რომლებიც ქმნიან შიდა მოდელებს, შეუძლიათ გამოიყენონ VAR მეთოდი, რათა შეაფასონ ნებისმიერი საბაზრო საპროცენტო განაკეთის მაჩვენებლების შეცვლის შედეგად კონკრეტული პოზიციით ან პორტფელით გამოწვეული მაქსიმალური ზარალი მოცემულ ინტერვალში. შეფასება VAR მეთოდის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სტატისტიკური ხერხის გამოყენებით, როგორიცაა დისპერსია/კოვარიაცია, ისტორიული სიმულაცია და მონტე კარლოს სიმულაცია.

შემოწმების განხორციელებისას სტატისტიკურ შედეგებსა და საპროცენტო განაკეთის გამოყენებაში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ბანკმა უნდა გამოიყენოს მისი საკუთარი მონაცემთა წყარო, ციფრები და შემუშავებული კრიტერიუმები, რომლებიც არ ეყრდნობა სხვა მხარეებიდან მიღებულ მონაცემებს.

სხვადასხვა საქმიანობისთვის დამახასიათებელი საპროცენტო რისკის შეფასებისას ბანკს უნდა შეეძლოს შეაფასოს, მინიმუმ, რამდენიმე პარამეტრი, მათ შორის:

ა) საპროცენტო განაკვეთის მერყეობით გამოწვეული პოტენციური ზარალი;

ბ) საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ვადების მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში, ბანკმა შეიძლება კორექტივები შეიტანოს ან გააუმჯობესოს შეფასების კრიტერიუმები და პროცესი იმ მიზნით, რომ უფრო სუსტად შეაფასოს საპროცენტო რისკი გამოყენებული საპროცენტო განაკვეთის სპრედის გაკორექტირებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ბანკმა უნდა შეაფასოს და განახორციელოს თითოეული ოპერაციის კომპლექსური დაანგარიშება, რათა უზრუნველყოს საერთო საპროცენტო რისკის მონიტორინგი რეალურ დროში.

ბანკმა თვეში ერთხელ უნდა განახორციელოს მონიტორინგი ლიმიტების შესაბამისობასთან დაკავშირებით, ხოლო ლიმიტების ნებისმიერი გადაჭარბება და შემდგომი ღონისძიება ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით ყოველ დღე უნდა მოხსენდეს დირექტორატს ან შესაბამის პასუხისმგებელ პირს, შინაგანაწესისა და უფლებამოსილებების შესაბამისად.

საპროცენტო რისკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს მონიტორინგი გაუწიოს საპროცენტო განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებას და ამ ცვლილებების გავლენას ბანკის მოგებასა და კაპიტალზე.

ბანკს, რომელიც აქტიურად აწარმოებს ოპერაციებს დერივატივებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, უნდა ჰქონდეს სისტემა, რომელსაც შეეძლება ყოველდღიური მონიტორინგი გაუწიოს საპროცენტო განაკვეთს (სავაჭრო ჟურნალი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას. მან იმ დონემდე უნდა განავითაროს ეს სისტემა, რომ შესაძლებელი იყოს ამ ცვლილებების მონიტორინგი რეალურ დროში.

რისკების მართვის სტრუქტურა პასუხისმგებელი უნდა იყოს დროული და სუსტი ანგარიშების მომზადებისა და გავრცელებისათვის:

- საბაზრო ფასით მოგებისა და ზარალის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც კლასიფიცირებულ იქნება პროდუქტების, ოპერაციებისა და რისკის სახეობების მიხედვით;
- რისკის მგრძნობელობასთან დაკავშირებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენის შედეგად მიღებული ზარალის მიმართ;

- პოტენციურ სარალთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება წამოიქმნას საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად.

რისკების მართვის სტრუქტურამ რეგულარულად უნდა შეისწავლოს საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის დინამიკა ან ბაზრის სეგავლენის შესაძლებლობა. ამ შესწავლის შედეგები უნდა მოხსენდეს რისკის მართვის სტრუქტურას და დირექტორატს, როგორც არსებული საპროცენტო განაკვეთის რისკისა და დაწესებული ლიმიტების განხილვის შესახებ ინფორმაცია.

რისკების კონტროლი და საოპერაციო განყოფილების მენეჯმენტის პასუხისმგებლობა დაფარვის ვადამდე არსებულ პოზიციებზე (საბალანსო მუხლები) გათვალისწინებული უნდა იყოს ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურაში, რომელიც სხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს:

- პოზიციების შედარებას, რომელიც იმართება და აღირიცხება მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში;
- მოგებისა და ზარალის სისუსტის კონტროლსა და შესაბამისობას მომქმედ ნორმატიულ აქტებთან და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან, კერძოდ, დისკონტის აღიარებასთან, პრემიების გატარებასთან და სხვ.;
- სათანადო რეზერვების კლასიფიკაციას და შექმნას მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კაპიტალის ბაზარზე გატანილი ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციებისთვის ბანკმა უნდა გამოიყენოს შიდა კონტროლი, რომელიც მიზნად ისახავს ამ ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების საკრედიტო სპრედის მონიტორინგს, შეადარებს რა ამ პორტფელების პოზიციებიდან მიღებულ მოგებას სახელმწიფო საეალო ვალდებულებებთან.

მიუხედავად დარეზერვების სამართლებრივი კრიტერიუმებისა, თუ ბანკს მიაჩნია, რომ საკრედიტო სპრედი ფართოვდება, ბანკმა უნდა განახორციელოს ფასიანი ქაღლდებისა და ობლიგაციების გამოშვების მდგომარეობისა და პერსპექტივის ანალიზი. თუ ანალიზის შედეგები მიანიშნებს დეფოლტის მზარდ შესაძლებლობაზე, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს ღობისძიებები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის მიზნით.

თუ დადგინდა დეფოლტის მზარდი შესაძლებლობა, ბანკმა უნდა დააწესოს მკაცრი მონიტორინგი ფასიან ქაღალდებსა და ობლიგაციებზე და გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დანაკარგების შესამცირებლად.

იმ ფასიან ქაღალდებთან და ობლიგაციებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იყიდება ან არ არის გატანილი ბაზარზე, ბანკმა რეგულარულად უნდა განიხილოს ემიტენტების მდგომარეობა, კრედიტუნარიანობა და გადახდისუნარიანობა. განხილვა უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგებების, ფულადი ნაკადების შესახებ პროგნოზებისა და ემიტენტებთან დაკავშირებული ყველა სხვა სათანადო დოკუმენტაციის შეგროვებითა და ანალიზით. ფასიანი ქაღლდებისა და ობლიგაციების რეგულარული განხილვა უნდა იყოს დოკუმენტირებული და იგი უნდა მოხდეს, სულ ცოტა, 6 თვეში ერთხელ.

თუ ოპერაციები ხორციელდება ჰეჯირების მიზნით, მაშინ ბანკმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებლობა და შიდა კონტროლი იმისათვის, რომ:

- უზრუნველყოს, რომ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებმა არ გამოიწვიოს შეცდომები შემოსავლების აღიარებაში;
- შეამოწმოს, რომ ოპერაციები ეფექტიანად განხორციელდეს აქტივ/ვალდებულებების კომიტეტის ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და რომ ოპერაციებმა შეამციროს საერთო საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- რეგულარულად შეაფასოს ჰეჯირების ეფექტიანობა, კერძოდ, ჰეჯირების კოეფიციენტის დაანგარიშებაში და დროგამოშვებით შეადაროს ეს კოეფიციენტი;
- უზრუნველყოს, რომ ოპერაციების შესახებ ხელშეკრულებები მართული იყოს დაფარვის ვადამდე;
- შეამოწმოს, რომ ბანკის შიდა ოპერაციებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვადები და პირობები სრულდებოდეს;
- ხელახლა შეაფასოს მეორე მხარის კრედიტუნარიანობა და აღკვეთოს განთავსების კონცენტრაცია იმ საფუძველზე, რომ დეფოლტის შემთხვევაში ჰეჯირების სტრატეგია არაეფექტიანი გახდეს.

15.2. ლიკვიდობის რისკები

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

- საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ სუს-

ტი საბანკო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბანკის შექმნილი პრობლემების გამო ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბანკო ფასებით;

- დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.

ლიკვიდობის რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორიცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ.

ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უნდა გააცნობიერონ ლიკვიდობის რისკი და აქტიურად იმუშაონ, რათა რეგულარულად დაამტკიცონ და შეაფასონ ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა და სტრატეგია.

ლიკვიდობის რისკის პოლიტიკამ და სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს რისკის ტოლერანტობა და მისი გავლენა კაპიტალზე, მხედველობაში იქნება რა მიღებული გარე და შიდა ცვლილებები.

დირექტორატმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა და სტრატეგია და გააცნოს იგი ყველა შესაბამის სტრუქტურას და შეაფასოს ამ პოლიტიკისა და სტრატეგიის გამოყენება.

დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მომზადება და მათი კომპეტენციის განვითარება სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

დირექტორატმა აქტიურად უნდა შეაფასოს ბანკის ლიკვიდობის პოზიცია არა მარტო მიმდინარე ადეკვატურობის საფუძველზე, არამედ შეაფასოს დაფინანსების სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ, არახელსაყრელი საბანკო პირობების საფუძველზე.

ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა უნდა შეიქმნას ბანკის მისიის, ბიზნეს-სტრატეგიის, კაპიტალის ადეკვატურობის, ადამიანური რესურსებისა და რისკისადმი მიდრეკილების შესაბამისად.

ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა პერიოდულად უნდა შეფასდეს, განახლდეს და ყოხდაფეხ მიჰყვეს ბანკის ლიკვიდობის

მდგომარეობის, დანიშნულების, ბიზნეს-სტრატეგიისა და მთლიანი კაპიტალის ცვლილებებს. ბანკს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა დაფინანსების, ანგარიშგებისა და ლიკვიდობის შეფასებისათვის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.

ლიკვიდობისა და დაფინანსების სტრატეგიის თანახმად, უფლებამოსილებები უნდა მიენიჭოს კონკრეტულ სტრუქტურას, რომ მან განსაზღვროს ბაზარი, ინსტრუმენტები და ოპერაციები შესაბამის მხარეებთან. პოლიტიკით ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრა, რომლის დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ლიკვიდობის რისკზე და იმ ფაქტზე, რომ ბანკი აღარ იყოს დამოკიდებული ერთ ან რამდენიმე ინსტრუმენტზე, მხარესა ან ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე.

დირექტორატის მიერ დამტკიცებული ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები უნდა გაეცნოს და სათანადოდ განიხორციელდეს იმ სტრუქტურების მიერ, რომლებიც ლიკვიდობის რისკის მატარებელ საქმიანობას კურირებენ.

ბანკის ლიკვიდობის და დაფინანსების პოლიტიკამ და მართვამ უნდა განსაზღვროს ლიმიტები, რომლებიც თანაიმდევრულად იქნება განხორციელებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდობის უკმარისობა, გეპის კონცენტრაცია და დამოკიდებულება რაიმე კონკრეტულ მხარეზე, ინსტრუმენტსა თუ საბაზრო სეგმენტზე.

დადგენილი ლიმიტები უნდა იყოს თანამიმდევრული და შეესაბამებოდეს გათვალისწინებული მოვლენების დაფინანსების გეგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ გეგმის ეფექტიანი გამოყენება. ბანკმა უნდა დააწესოს სპეციალური მოკლევადიანი დაფინანსების ლიმიტები, განსაკუთრებით, ბაზარზე წარმოქმნილი „ოვერნაითზ“ დაკრედიტებასთან დაკავშირებით.

ლიმიტების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მინიმუმ, შემდეგი ასპექტები:

- რეგულარული დაფინანსების აუცილებლობა ან ჭარბი ლიკვიდობა;
- შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციებთან;
- საერთო ლიკვიდობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა წარსული გამოცდილების საფუძველზე;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და ლიკვიდობის სელმისაწვდომობა.

- დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იქნეს საერთო საბანკო გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

ლიკვიდობის რისკის დადგენის პოლიტიკა, პროცედურები და პროცესი სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის განხორციელებას.

ბანკმა სისტემატურად უნდა განსაზღვროს და გააანალიზოს ლიკვიდობის რისკის მატარებელი საბანკო პროდუქტები, ოპერაციები და საქმიანობა;

ბანკმა უნდა გააანალიზოს ნებისმიერი ზეგავლენის შესაძლებლობა ლიკვიდობის პოზიციასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სცენარის გამოყენებით, რადგან ბანკის ლიკვიდობის პოზიცია დამოკიდებულია ფულად ნაკადებზე სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით;

ბანკმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სცენარი, რათა შეაფასოს:

- ფულადი ნაკადები და ბანკის ლიკვიდობის პოზიცია ნორმალურ პირობებში;
- ინდივიდუალური ბანკის მდგომარეობა კრიზისის დროს, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება მის მიერ ბანკის ვალდებულებების უმეტესობის გადახდის უუნარობაში;
- საბანკო სისტემის მდგომარეობა კრიზისის დროს, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება საბანკო სისტემის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ უმეტეს ან ყველა პრობლემაში;
- ამ სცენარების გამოყენებისას ბანკმა უნდა შეიმუშაოს დაშვებები ფულად ბაზარზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდობის მომავალ აუცილებლობასთან და ბანკის მიერ ფულად ბაზარზე ლიკვიდობის გაზრდის უნართან დაკავშირებით.

ლიკვიდობის რისკის შეფასების მასშტაბმა უნდა მოიცვას:

- დაფინანსების სტრუქტურა, კერძოდ, დეპოზიტების სტრუქტურის შეფასება სახეობის, ვადიანობის, ვალუტის, საპროცენტო განაკვეთის, თანხების მფლობელების, თანხების საკუთრების კონცენტრაციის მიხედვით;
- მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, კერძოდ, ფულადი ნაკადების ყველა შემოდინების და გადინების შეფასება, მათ შორის, დაფინანსების აუცილებლობა, რათა დაკმაყოფილდეს გარესაბალანსო მუხლების ვალდებულებები, მომავალში დაფინანსების ნაკლებობის ნებისმიერი შესაძლებლობის დასადგენად;

- ბაზარზე ხელმისაწვდომობა, კერძოდ, ბანკის უნარი გაზარდოს ლიკვიდობა ბაზარზე როგორც ნორმალურ, ისე ანომალიურ პირობებში;
- აქტივების გასაყიდობა (საბაზრო თვალსაზრისით), კერძოდ, იმ აქტივების შეფასება, რომლებიც შეიძლება ფულად გადაიქცნენ, განსაკუთრებით, ანომალიურ პირობებში (კრიზისის დროს), როდესაც ბანკს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება საკუთარი პოზიტიური ფულადი ნაკადებიდან და ფულად ბაზარზე ნასესხები სახსრებიდან.

ლიკვიდობა შეიძლება დაანგარიშდეს გეპის გამოყენებით ყველა სცენართან მიმართებაში, როდესაც ფულადი ნაკადები მომზადდება გეპის ან შეფასებების საფუძველზე, ბანკის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

თუ ფულადი ნაკადები მზადდება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მათი სიზუსტე რეგულარულ განხილვას უნდა დაექვემდებაროს. ამასთან, პროგნოზირების დროს გამოყენებული დაშვებები და ცვლადები განხილულ უნდა იქნეს საბაზრო პირობების ცვლილებების, ბანკთაშორისი კონკურენციისა და კლიენტურის ქცევის ცვლილების კუთხით.

ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიზნით, ბანკმა უნდა შეაფასოს დეპოზიტორების თანხების სტაბილურობა და დინამიკა და მოამზადოს ყველაზე ცუდი სცენარი დინამიკაზე დაკვირვების საფუძველზე, ამ დაკვირვების განმავლობაში თანხების გატანის ყველაზე მაღალი განაკვეთის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბანკმა წარსულში უკვე მიიღო თანხების სწრაფად გატანის გამოცდილება.

ბანკმა უნდა შეაგროვოს მონაცემები და რეგულარული (ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და სხვა ინტერვალებით) მონიტორინგი გაუწიოს ლიკვიდობის პოზიციას და იმ შესაძლო დანაკარგებს, რომელიც ბანკმა ლიკვიდობის რისკის შედეგად, მათ შორის, ლიკვიდობის პოზიციის გეპის მართვით შეიძლება მიიღოს.

ბანკმა უნდა განახორციელოს იმ ფაქტორების რეგულარული განხილვა, რომლებიც პასუხისმგებელია ლიკვიდობის რისკზე და ამ ფაქტორების კავშირი იმ დანაკარგებთან, რომლებიც შეიძლება ბანკმა განიცადოს.

ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიზნით რისკის მართვის სტრუქტურამ უნდა მოამზადოს ანგარიშები ლიკვიდობის რისკ-ფაქტორებით გამოწვეული დანაკარგების შესახებ და გადასცეს ისინი

რისკის მართვის კომიტეტსა და დირექტორთა საბჭოს.

ბანკმა უნდა გააანალიზოს წარმოდგენილი ანგარიშები და ანალიზის შედეგები რეგულარულად წარუდგინოს შესაბამის კოლეგიალურ ორგანოებს, შიდა აუდიტსა და ხაზინას, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგების სიხშირე შეიძლება გაიზარდოს, თუ ანალიზიდან გაირკვევა, რომ ბანკი შეიძლება დადგეს ლიკვიდობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე.

ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რათა აღმოფხვრას ავტომატურ პროცესში არსებული სუსტი მხარეები იმით, რომ ადეკვატური და დროული შიდა კონტაქტი იქონიოს სახაზინო სტრუქტურასთან, რათა იგი დროულად იქნეს ინფორმირებული თანხების დიდი ოდენობით და მოულოდნელი გადინების შესახებ.

საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებული ანგარიშები რეგულარულად უნდა იქნეს შემოწმებული მათი ეფექტიანობისა და საიმედოობის თვალსაზრისით, ლიკვიდობის გეპის ქვეშ ბოლო მდგომარეობის შესაბამისად, იქნება ეს გრძელი თუ მოკლე პოზიცია.

ბანკს უნდა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ლიკვიდობის ნებისმიერი შესაძლო დანაკლისი, რომელმაც შეიძლება ბანკის მიერ სხვა მხარეების ვალდებულებებთან დაკავშირებული დეფოლტი გამოიწვიოს.

გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმამ უნდა მოიცვას დაშვებები და სუსტი შეფასებები იმ საკითხების გათვალისწინებით, როგორებიცაა:

- სადეპოზიტო თანხების სტაბილურობის დადგენა და გამავალი თანხების მოძრაობა სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე;
- ფასიანი ქაღალდების ფასების ლოგიკური დონეები იმ შემთხვევებისათვის, თუ ფასიანი ქაღალდები გაიყიდება;
- ლიკვიდობის რეზერვები და აქტივები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოს სახით იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მოიზიდავს ნასესხებ თანხებს, როგორიცაა რეპო ოპერაციები და საგალუტო სვოპები;
- დეფოლტის შესაძლებლობა დებიტორების ან მსესხებლების (სხვა მხარეების) მხრიდან ვალდებულებების დროული დაკმაყოფილების თვალსაზრისით;
- თანხების გადინების შესაძლებლობა გარე-საბალანსო ოპერაციებთან მიმართებაში.

ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმის შემოწმება, რათა დაადგინოს თანხების ოდენობა, რომლებიც შეიძლება მოიზიდოს მუდმივი მსესხებლებისგან (მხარეებისგან) ან ბაზრის მეშვეობით, იმ სცენარის საფუძველზე, როდესაც არ არსებობს არანაირი გარანტია, სადღეღამისო სესხის შესაძლებლობა, ბაზარზე არ არის შემცირებული ბანკის საკრედიტო სპრედი.

ბანკმა უნდა განიხილოს კლიენტურასთან ურთიერთობის სტრატეგია, დეპოზიტების დივერსიფიკაცია და ბანკის მიერ ლიკვიდური აქტივების გაყიდვის უნარი. მან უნდა იცოდეს თანხების ოდენობა, რომლის მიღებასაც ივი ბაზრის მეშვეობით შეძლებს ნორმალურ ან ანომალიურ პირობებში.

15.3. საოპერაციო რისკები

საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი, არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარეფაქტორების შედეგად.

საოპერაციო რისკი განისაზღვრება როგორც დანაკარგის მიღების რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესებით, კადრებითა და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით.

საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დანაკარგები და მოგების მიღების შესაძლებლობის დაკარგვა.

საოპერაციო რისკი შეიძლება ახასიათებდეს ბანკის ნებისმიერ საქმიანობას, როგორიცაა, მაგალითად: კრედიტების გაცემა, სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა, მომსახურება, ვაჭრობის დაფინანსება, საკრედიტო და სავალო ინსტრუმენტები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და საინფორმაციო სისტემის მართვა, აგრეთვე, ადამიანური რესურსების მართვა. საოპერაციო რისკის პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მის გავლენას კაპიტალზე.

დირექტორატმა უნდა შეიმუშაოს და ყველა შესაბამის სტრუქტურას გააცნოს საოპერაციო რისკის პოლიტიკა და სტრატეგია და შეაფასოს ამ პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელება.

დირექტორატმა უნდა შეძლოს დროულად დაადგინოს და მართოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკი და უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ახალი პროდუქტის და საქმიანობის რისკმა გაიაროს სათანადო კონტროლი მათი დანერგვის ან გამოყენების წინ.

დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების ადეკვატური გამოყენება და მათი კომპეტენციის გაუმჯობესება ბანკის ყველა საქმიანობასთან მიმართებაში.

ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც შესაბამისი იქნება მისი მისიის, ბიზნეს-სტრატეგიის, კაპიტალის ადეკვატურობისა და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

ბანკმა უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს საოპერაციო რისკის შეფასების პროცედურები და განახორციელოს საოპერაციო რისკის რეგულარული მონიტორინგი.

ბანკმა უნდა შეაფასოს და განაახლოს საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საოპერაციო რისკის, რისკის პროფილისა და ბანკის რისკის კულტურის შესაბამისად.

ბანკმა უნდა დაადგინოს საოპერაციო რისკის ლიმიტები (რეზერვები), მხედველობაში მიიღებს რა რისკს და წარსულ გამოცდილებას, საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგების თვალსაზრისით. დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იქნეს საოპერაციო რისკის ჭრილში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში.

საოპერაციო რისკის ლიმიტების დადგენის პოლიტიკა, პროცედურები და პროცესი სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის განხორციელებას.

ბანკს უნდა ჰქონდეს საანგარიშსწორებო რისკის შეფასების პროცედურები, განსაკუთრებით მაშინ, თუ რისკი წარმოიქმნება სავალუტო ოპერაციებიდან და ვაჭრობის დაფინანსებიდან.

ბანკმა უნდა განახორციელოს ანგარიშსწორების ოპერაციების საფეხურების შეფასება, განსაკუთრებით, საგადასახადო დავალებების ვადებთან, მიღების ვადებთან და თანხების გადახდის გატარების ვადებთან დაკავშირებით.

ბანკს უნდა ჰქონდეს ახალი ოპერაციების ანგარიშსწორების ან გადაუხდელი ოპერაციების მონიტორინგის პროცედურა.

ბანკს უნდა ჰქონდეს ბანკის ლიკვიდობის გაუარესებით გამოწვეული ოპერაციების ანგარიშსწორების პროცედურა.

ბანკმა სწრაფად უნდა დაადასტუროს ოპერაციები, დადგენილი პროცედურების შესაბამისად და რეგულარული მონიტორინგი გაუწიოს ამ ოპერაციებს.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, რომლის დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე:

- რეგულარულად უნდა იქნეს განხილული ოპერაციების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდი;
- რეგულარულად უნდა იქნეს განხილული, შეესაბამება თუ არა გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი შესაბამის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებს;
- განხორციელდეს ოპერაციების შესახებ მონაცემების რეგულარული შედარება;
- დადგინდეს და გაანალიზდეს ნებისმიერი ანომალია ოპერაციაში;
- დაცულ იქნეს ყველა დოკუმენტი და ფაილი, რომელიც ეხება ანგარიშებს, ქვე-დავთრებს, მთავარ დავთრებს, აქტივების კლასიფიკაციას და დოკუმენტაციას სესხების შესაძლო დანაკარგების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს აუდიტის განხორციელებას.

ბანკმა უნდა შეინახოს ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ მონაცემები და დეტალები მესამე მხარის იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ არის.

ბანკმა უნდა მოიძიოს ადეკვატური ინფორმაცია აქტივების დაცვის/ზედამხედველობის ავთენტურობის შესახებ, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივების დაცვა არ შეფერხდეს რაიმე სამართლებრივი პრობლემების გამო.

ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს დაცული აქტივების შესახებ მონაცემების შემოწმება და მათი შედარება ამ აქტივების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებთან.

ბანკმა რეგულარულად უნდა გამოიყენოს პრინციპი – „იცნობდე შენს კლიენტს“ („იშკ“), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის საოპერაციო რისკს. „იშკ“ გამაგრებული უნდა იყოს სათანადო და ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემით და, განსაკუთრებით, ბანკის მიერ შიდა მაქინაციების წინააღმდეგ გატარებული პრევენციული ღონისძიებებით.

„იშკ“–ს გამოყენებისას ბანკის მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს „იცნობდე შენს კლიენტს“ პრინციპთან და-

კავშირებით.

ბანკს უნდა ჰქონდეს და გამოიყენოს პოლიტიკა პასუხისმგებლობის, უფლებამოსილებებისა და ოფიცრების/თანამშრომლების მიერ კონკრეტულ საინფორმაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ეს პოლიტიკა გამაგრებული უნდა იყოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის, ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის, რისკის მართვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და სადილინგო ოპერაციების განმახორციელებელ ოფისებსა და მონაცემთა დამუშავების ოფისებში უსაფრთხოების შესაბამისი პროცედურებით.

ბანკმა უნდა დაადგინოს და გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც იწვევს ყველა საქმიანობისთვის, პროდუქტის, პროცესისა და საინფორმაციო სისტემისათვის დამახასიათებელ საოპერაციო რისკს, იქნება ეს გამოწვეული გარე თუ შიდა ფაქტორებით, რომლებიც უარყოფით გაელენას ახდენს ბანკის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაზე.

ბანკს უნდა ჰქონდეს პროდუქტებისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკის შეფასების ადეკვატური სისტემა.

დადგენილი შედეგები შემდგომში უნდა გამოიყენოს ბანკმა საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგების შესახებ მონაცემთა ბაზის შესამუშავებლად.

ბანკის მიერ საოპერაციო რისკის დასადგენად გამოყენებულმა მეთოდებმა სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა მოიცვას:

- რისკის თვითშეფასება ჩეკ-ლისტების ფორმით, რათა დადგენილ იქნეს ბანკის საოპერაციო რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორიცაა: სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, საორგანიზაციო სტრუქტურა, ადამიანური რესურსები და ინფორმაციისა და კომუნიკაციების მოძრაობა ბანკში;
- რისკების კარტოგრაფია რისკის სახეობების მიხედვით, ბანკის საქმიანობის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და ოპერაციების მოძრაობასთან დაკავშირებით;
- მთავარი რისკების ინდიკატორები, სტატისტიკური მონაცემების ან მატრიცების ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებს ბანკის საოპერაციო რისკის მდგომარეობის შესახებ, როგორიცაა: ანულირებული ოპერაციების ჯამი, თანამშრომელთა ბრუნვა, შეცდომების სიხშირე და სხვ.;
- შეფასების ბარათები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასებების/

ხარისხობრივი კრიტერიუმების რაოდენობრივ მატრიცაში გადაყვანის მეთოდს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითოეული საქმიანობისთვის კაპიტალის გამოყოფისას.

მას შემდეგ, რაც ბანკი დაადგენს კონკრეტული საქმიანობისთვის დამახასიათებელ საოპერაციო რისკებს, მან უნდა შეაფასოს ის პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენს საოპერაციო რისკზე, მათ შორის, რაოდენობა და სიხშირე შემდეგთან დაკავშირებით:

- სისტემის კოლაფსი და შეცდომები;
- ადმინისტრირების სისტემა;
- დარღვეული ურთიერთობა კლიენტთან;
- ბუღალტრული შეცდომები;
- დაგვიანებები და შეცდომები ანგარიშსწორებაში;
- მაქინაციები;
- ფალსიფიცირებული ბუღალტრული აღრიცხვა;
- სტრატეგიული მარცხი.

საოპერაციო რისკის მართვის გამოყენებისას უპირველესი წყაროა დადასტურებული და შემოწმებული ისტორიული მონაცემები საოპერაციო რისკით გამოწვეული ბანკის დანაკარგების შესახებ.

საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგების შესახებ მონაცემები შეიცავს მაღალი სიხშირის, მაგრამ ბანკის მოგებისა და ზარალის პოზიციაზე ნაკლები ზეგავლენის მქონე, და დაბალი სიხშირის, მაგრამ ბანკის მოგებისა და ზარალის პოზიციაზე დიდი ზეგავლენის მქონე, მოვლენებს. ზარალის შესახებ არის ასეთი მონაცემები:

- მოსალოდნელი მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად, მაღალი სიხშირისა და ნაკლები ზეგავლენის მქონე მოვლენები;
- მოულოდნელი, ანუ დაბალი სიხშირისა და მაღალი ზეგავლენის მქონე მოვლენები.

ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის შეფასების სათანადო მეთოდოლოგია, კომპეტენტური ადამიანური რესურსები და საოპერაციო რისკის შესახებ მონაცემების დადგენისა და შეგროვების ადეკვატური სისტემური ინფრასტრუქტურა.

ბანკმა ყველა მოვლენა, მათ შორის, ამ მოვლენებით გამოწვეული ყველა პოტენციური ზარალის ოდენობა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ადმინისტრირების სისტემაში. მონაცემთა აღრიცხვასა და ადმინისტრირებას უნდა მიეცეს სტატისტიკური მონაცემების ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საქმიანობის პოტენციური ზარალის დასაგეგმად კონკრეტულ პერიოდთან და

საქმიანობასთან მიმართებაში.

ბანკმა მუდმივად უნდა განახორციელოს საოპერაციო რისკის მონიტორინგი ყველა იმ საოპერაციო რისკსა და დანაკარგებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება მთავარი საქმიანობის შედეგად გაჩნდეს, მათ შორის, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება იყოს შიდა კონტროლის სისტემის გამოყენება და საოპერაციო რისკით გამოწვეული სარალის შესახებ რეგულარული ანგარიშების უზრუნველყოფა.

ბანკმა მუდმივად უნდა განიხილოს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს საოპერაციო რისკს და ამ რისკებით გამოწვეული სარალის გაელენა.

რისკის მართვის სტრუქტურამ უნდა მოამზადოს ანგარიშები საოპერაციო რისკით გამოწვეულ სარალზე, ასევე შიდა აუდიტის შედეგების შესახებ და გადასცეს ეს ანგარიშები რისკის მართვის კომიტეტსა და დირექტორატს.

ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის მართვის ადეკვატური საინფორმაციო სისტემა და ტექნოლოგიები, რომელიც ოპერაციების მოცულობის შესაბამისი იქნება.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს:

- სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება, რომელიც რისკის მონიტორინგის თვალსაზრისით გამოიყენება, რაც მიზნად ისახავს შეცდომებისა და დარღვევების დროულ აღმოჩენასა და გამოსწორებას პოტენციური ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად;
- სრული და ზუსტი ანგარიშების დროულად წარდგენა საოპერაციო რისკის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დირექტორატს მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკის კონტროლის ან შემცირების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შესაბამისი იქნება ბანკის ოპერაციების კომპლექსურობასთან.

საოპერაციო რისკის კონტროლისას ბანკმა შეიძლება შეიმუშაოს საოპერაციო რისკის შესუსტების პროგრამა, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროცესების უსაფრთხოება, დაზღვევა და ზოგიერთი საბანკო ოპერაციის შესახებ მონაცემების ამოღება სისტემიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება, ბანკმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა

ელექტრონული დამუშავების უსაფრთხოების დონე.

საინფორმაციო სისტემის კონტროლმა უნდა უზრუნველყოს:

- საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების რეგულარული შეფასება, რომელსაც თან უნდა ახლდეს მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება, საჭიროების შემთხვევაში;
- სარეზერვო (დუბლირების) პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის მუდმივი მუშაობა და თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი შეფერხება;
- სარეზერვო (დუბლირების) პროცედურებისა და გაუთვალისწინებელ მოვლენათა დაფინანსების გეგმის არსებობა, რომელიც რეგულარულად იქნება ტესტირებული;
- ინფორმაციის რეგულარული მიწოდება დირექტორატისათვის;
- ანალიზის, პროგრამებისა და მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტების შენახვის შესაძლებლობა.

ბანკს უნდა ჰქონდეს დამხმარე სისტემები, რომლებიც უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შემდეგს:

- შეცდომების ადრეულ ეტაპზე დადგენას;
- ყველა ოპერაციის ეფექტიან, ზუსტ და დროულ დამუშავებას და ანგარიშსწორებას;
- ოპერაციების კონფიდენციალობას, სამართლიანობასა და უსაფრთხოებას.

ბანკმა უნდა გაატაროს მაკორექტირებელი ღონისძიებები შიდა და გარე აუდიტის დამთავრებისა და შედეგების მიღების შემდეგ.

შიდა აუდიტის სტრუქტურამ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს დირექტორატს აუდიტის შედეგების შესახებ, რომლებზეც არ მოხდა შემდგომი რეაგირება ან მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა მათი კორექტირება. თუ აუდიტის მიერ მოძიებული შედეგები მნიშვნელოვანია, დირექტორატმა უნდა განსაზღვროს მაკორექტირებელი ღობისძიებების გატარების ბოლო ვადა და დაავალოს შიდა აუდიტის სამსახურს გატარებული მაკორექტირებელი ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი.

ბანკმა რეგულარულად უნდა განიხილოს პროცედურები, დოკუმენტები და მონაცემთა დამუშავების სისტემა, გაუთვალისწინებელ მოვლენათა დაფინანსების გეგმა და სხვა ოპერატიული საკითხები, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული ისეთი შეცდომები, რომლებმაც შეიძლება საოპერაციო რისკის წინაშე დააყენონ ბანკი.

15.4. სამართლებრივი და რეპუტაციის რისკი

სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომელიც გამოწვეულია სამართლებრივი სისუსტეებით, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს სამართლებრივი მოქმედებები, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დამხმარე დებულებების უქონლობა ან სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნების სისუსტე, როგორიცაა, მაგალითად, შეუსაბამობა ხელშეკრულებების სამართლებრივ მოთხოვნებთან და სხვ.

სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიეროს საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტიურად იმუშაონ, პოლიტიკის შესაბამისად დაამტკიცონ და განახორციელონ სამართლებრივი რისკის კონტროლის შეფასება.

დირექტორატმა უნდა დაადგინოს და გააკონტროლოს ნებისმიერი ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რათა უზრუნველყოს, რომ ახალმა პროდუქტმა და საქმიანობამ გაიაროს რისკის მართვის პროცესი მის დანერგვამდე და კლიენტურისთვის შეთავაზებამდე.

დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკს ჰქონდეს სამართლებრივი რისკის მიერ ბანკის კაპიტალზე შესაძლო გავლენის დაანგარიშების პოლიტიკა.

დირექტორატმა მუდმივად უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელს გააგებინოს სამართლებრივი რისკის არსი, მასთან შესაბამისობის კულტურა და მის მიერ გამოწვეული პრობლემები, ორგანიზაციის ყველა დონეზე.

დირექტორატმა ბანკის თანამშრომლები უნდა ჩართოს ბანკის იურიდიულ დეპარტამენტთან ან სხვა შესაბამის სტრუქტურასთან სამართლებრივ რისკთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი რისკის დაუყოვნებელი აღკვეთა და გაკონტროლება.

ბანკს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი რისკის წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ბანკის ბიზნეს-სტრატეგიას უნდა შეესაბამებოდეს.

სამართლებრივი რისკის კონტროლის პროცედურები დამტკიცებული უნდა იქნას დირექტორატის მიერ და მის შესახებ ინფორმაცია

უნდა მიეწოდოს ორგანიზაციის ყველა დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ეს პროცედურები ეფექტურად განხორციელდეს.

ბანკს უნდა ჰქონდეს და განახორციელოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკის ანალიზის პროცედურები.

ბანკს უნდა ჰქონდეს ისეთი სტრუქტურა ან პყავდეს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთა ფუნქცია იქნება „სამართლებრივი ზედამხედველობის“ განხორციელება იმ პირების მიმართ, რომლებიც სამართლებრივ ანალიზსა და რჩევებს სთავაზობენ ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავეებს.

იურიდიულმა სტრუქტურამ/დეპარტამენტმა, რისკების მართვის სტრუქტურამ და რისკების მიმღებმა სტრუქტურებმა ერთობლივად უნდა შეაფასონ გარკვეულ სამართლებრივ დებულებებსა თუ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების გავლენა სამართლებრივ რისკზე.

ბანკს უნდა ჰქონდეს ეთიკის კოდექსი, რომელსაც ყველა თანამშრომელი გამოიყენებს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე, რათა გაუმჯობესდეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან და საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ბანკმა რეგულარულად უნდა დააკისროს სანქციები იმ პირებსა და თანამშრომლებს, რომელთა მხრიდან დადასტურდება შეცდომები, როგორც ბანკის მიერ დადგენილი პოლიტიკისა და პროცედურების, ინსტრუქციების, წესების, ისე საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების და ბანკის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა.

ბანკმა რეგულარულად უნდა შეაფასოს და განაახლოს სამართლებრივი რისკის კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები გარე და შიდა მოვლენების შესაბამისად, როგორიცაა ცვლილებების შეტანა შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებში.

ბანკმა უნდა დაადგინოს სამართლებრივი რისკები, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის: საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობას და მომსახურებას, ვაჭრობის დაფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას.

ბანკმა სამართლებრივ რისკთან დაკავშირებული ყველა მოვლენა,

მათ შორის, ამ მოვლენებით გამოწვეული ყველა პოტენციური ზარალის ოდენობა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ადმინისტრირების სისტემაში. მონაცემთა აღრიცხვასა და ადმინისტრირებას უნდა მიეცეს სტატისტიკური მონაცემების ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური ზარალის დასაგეგმად, კონკრეტულ პერიოდთან და საქმიანობასთან მიმართებაში.

სამართლებრივი რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.

ბანკმა რეგულარული მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამართლებრივ რისკზე, სამართლებრივი რისკით წარსულში მიღებული ზარალის გათვალისწინებით და ამ გამოცდილების შესაბამისად.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება სამართლებრივი რისკის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას.

იურიდიულმა დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს ბანკსა და სხვა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების რეგულარული განხილვა, მათ შორის, განხილულ უნდა იქნეს კანონებისა და ნორმატიული აქტების გატარების ეფექტიანობა, რათა შემოწმდეს, კვლავაც მოქმედებს თუ არა ამგვარი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გასცემს გარანტიებს, როგორიცაა ხელშეკრულება ვალდებულებებისა და მოთხოვნების ურთიერთსათვლის ან გირაოს შესახებ, ეს გარანტიები გამაგრებული უნდა იყოს მოქმედი იურიდიული დოკუმენტაციით.

ბანკმა უნდა გააუმჯობესოს სამართლებრივი რისკის კონტროლი, რათა უზრუნველყოს შემდეგი:

- ოპერაციების, ორგანიზაციისა და შიდა კონტროლის შესაბამისობა შესაბამის სამართლებრივ დებულებებთან, ნორმატიულ აქტებთან, ეთიკის კოდექსთან და ბიზნეს-სტრატეგიასთან;
- შესაბამისობა შიდა პროცედურებთან;
- ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი;
- რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა და ქმედითობა;
- კომუნიკაციების ეფექტიანი გამოყენება, რაც დაკავშირებულია სამართლებრივი რისკის გაელენასთან ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავე თანამშრომელზე.

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა.

სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებული რეპუტაციის რისკები, განსაკუთრებით ისეთი რისკი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გაელენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა აქტიურად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ დაამტკიცონ და შეაფასონ რეპუტაციის რისკის კონტროლის პოლიტიკა.

დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკს ჰქონდეს რეპუტაციის რისკის მხრიდან ბანკის კაპიტალზე გავლენის დაანგარიშების პოლიტიკა.

ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კომპლექსური ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტურას და სხვა დაინტერესებულ პირებს, რაც ბანკის მიერ რეპუტაციის რისკის კონტროლის შემადგენელი ნაწილი იქნება.

ბანკს უნდა ჰქონდეს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის პრინციპებს და კლიენტურისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნებს. რისკის მართვის პოლიტიკა ასევე უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებით.

ბანკს უნდა ჰქონდეს და განახორციელოს სათანადო საკომუნიკაციო პოლიტიკა, მედიაში უარყოფითი სტატიების, საჯარო პუბლიკაციების და ნეგატიური ინფორმაციის აღკვეთასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ნეგატიური ტენდენციების განვითარებას ბანკის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა მოიცვას ეფექტიანი მედიასტრატეგია, რაც ნეგატიურ მედიას დაუპირისპირდება.

ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული პროცედურები და თავიდან აიცილოს ამგვარი წარსული გამოცდილება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გაელენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბანკმა რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული თავისი პოლიტიკა და პროცედურები უნდა გააცნოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონის თანამშრომელს.

ბანკმა უნდა დაადგინოს რეპუტაციის რისკი, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ბიზნეს-საქმიანობას, მათ შორის, საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობას და მომსახურებას, მიზნობრივი დაფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას.

ბანკმა რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული ყველა მოვლენა, მათ შორის, ამ მოვლენებით გამოწვეული ყველა პოტენციური ზარალის ოდენობა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ადმინისტრირების სისტემაში. მონაცემთა აღრიცხვასა და ადმინისტრირებას უნდა მიეცეს სტატისტიკური მონაცემების ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საქმიანობის პოტენციური ზარალის დასაგეგმად, კონკრეტულ პერიოდთან და საქმიანობასთან მიმართებაში.

რეპუტაციის რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.

ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკის რეგულარული მონიტორინგი წარსულში მიღებული ზარალის გათვალისწინებით და ამ გამოცდილების შესაბამისად.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება რეპუტაციის რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორატს გადაწყვეტილებების მიღებაში.

ბანკმა უნდა გააუმჯობესოს შესაბამისობა მომქმედ კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, რაც რეპუტაციის რისკის კონტროლის ნაწილია.

ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებლივი ღონისძიებები, რათა გადაჭრას კლიენტურის ნებისმიერი პრობლემა და დავა, რამაც შეიძლება გაზარდოს ბანკის რეპუტაციის რისკი, მათ შორის, ბანკს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს კლიენტურასთან ან მხარეებთან (მსესხებლებთან) და უნდა აწარმოოს ორმხრივი მოლაპარაკებები კლიენტურასთან, რათა თავიდან აიცილოს ბრალდებები და სამართლებრივი სახის საჩივრები.

ბანკმა უნდა ითანამშრომლოს მესამე მხარესთან, რათა გააკონტროლოს რეპუტაციის რისკი.

15.5. სტრატეგიული და შესაბამისობის რისკები

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს-გადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებებზე.

სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეული საქმიანობისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი, განსაკუთრებით ის რისკები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გაელენა იქონიონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტიურად იმუშაონ, რათა მიიღონ და შეაფასონ სტრატეგიული რისკის კონტროლის პოლიტიკა.

სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ ერთობლივი გეგმა და ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით გათვალისწინებულ საკითხებს.

დირექტორატმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბანკის შიდა მდგომარეობას (ძლიერ და სუსტ მხარეებს) და იმ გარე ფაქტორებს/გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიონ ბანკის ბიზნეს-სტრატეგიაზე.

დირეტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკის ბიზნეს-ამოცანების მიღწევის მიზნით შემუშავებულმა სტრატეგიამ მხედველობაში მიიღოს სტრატეგიული რისკის გავლენა ბანკის კაპიტალზე.

ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს ბანკის სტრატეგიის, მათ შორის, ერთობლივი გეგმისა და ბიზნეს-გეგმის შემუშავებას და მისი განხორციელების მონიტორინგს.

ბანკს უნდა ჰქონდეს წერილობით შემუშავებული ერთობლივი გეგმა და ბიზნეს-გეგმა, რომლებშიც დადგენილი იქნება ამ პოლიტიკის განხორციელების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები.

ერთობლივი გეგმა და ბიზნეს-გეგმა უნდა მიიღოს დირექტორატმა და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ; ეს გეგმები გაეცნოს ბანკის ყველა თანამშრომელსა და პასუხისმგებელ პირს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე.

ერთობლივ გეგმასა და ბიზნეს-გეგმაში უნდა იყოს ალტერნატიული დაშვებები იმ შემთხვევებისთვის, თუ ბანკი გადაუხვევს

დასახულ ამოცანებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გარე და შიდა ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებით.

ბანკს უნდა ჰქონდეს პროცედურები, რომელიც თვალს მიადევნებს პროგრესს ბიუჯეტის შედეგებსა და მუშაობის გეგმასთან მიმართებაში.

ბანკმა უნდა დაადგინოს ბანკის ძირითადი საქმიანობისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკები, როგორიცაა: საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა და მომსახურება.

ბანკმა უნდა მოახდინოს მუშაობაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების აღრიცხვა და ადმინისტრირება, რომელიც გამოწვეულია დამტკიცებული ერთობლივი გეგმის ან ბიზნეს-გეგმის შუსრულებლობით, ან არაეფექტიანი შესრულებით, განსაკუთრებით ის ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გაველენა აქვს ბანკის კაპიტალზე.

სტრატეგიული რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.

ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მონიტორინგი, სტრატეგიული რისკის გამო წარსულში გამოწვეული დანაკარგების შესაბამისად.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს უზრუნველყოს სრულყოფილი, ზუსტი და დროული ანგარიშები სტრატეგიული რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში.

ბანკმა უნდა დააწესოს ფინანსური კონტროლი, რომლის მიზანი იქნება დასახული ამოცანების განხორციელების მონიტორინგი და უზრუნველყოფა იმისა, რომ გაწეული რისკები გონიერულ ჩარჩოებში იქნეს შენარჩუნებული.

ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა გააანალიზოს აქტუალური და მიზნობრივი ანგარიშები ბიზნეს-გეგმასთან დაკავშირებით და მოახსენოს ანალიზის შედეგები დირექტორატს.

ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ტესტირება და განხილვა.

შესაბამისობის რისკი არის საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის,

წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. როგორც წესი, კანონებთან, ნორმატიულ აქტებთან და საკანონმდებლო დებულებებთან მიმართებაში, შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების განუყოფელი ნაწილია, როგორიცაა, მაგალითად: კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა რისკები.

ბანკმა უნდა დაადგინოს და გააანალიზოს ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე, როგორიცაა:

- ბანკის ბიზნეს-საქმიანობა, კერძოდ, ბანკის ოპერაციების სახეობები და კომპლექსურობა, მათ შორის, ახალი პროდუქტები და საქმიანობა;
- ბანკის შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, ჯანსაღ ბიზნეს-საქმიანობასთან და ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობა და მნიშვნელობა;
- სასამართლო დავებისა და კლიენტების სარჩელების რაოდენობა და მნიშვნელობა. ბანკმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის რისკის ეფექტიანი მართვა სრულყოფილი პოლიტიკისა და მისი განხორციელების თაობაზე სათანადო პროცედურების, ასევე, კვალიფიციური ადამიანური რესურსების და გამართული კონტროლის სისტემის გამოყენებით, რომელიც მოიცავს:

– პოლიტიკასთან დაკავშირებით:

რისკის სათანადო ლიმიტების დადგენას; რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისობას ბანკის მიმართულებებსა და ბიზნეს-სტრატეგიასთან; პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების შესაბამისობას და რეგულირებას ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე; უარის თქმას დარღვევების შემთხვევაში; რეგულარული, პროცედურული შემოწმებების განხორციელებას.

– პროცედურებთან დაკავშირებით:

პოლიტიკის დროულ გაცნობას საორგანიზაციო სტრუქტურის ყვე-

ლა დონე'ზე მომუშავე თანამშრომლებისათვის; ახალი პროდუქტების შემუშავების ადეკვატურ კონტროლს; ანგარიშებისა და მონაცემთა სისტემების ადეკვატურობას; კონტროლის განხორციელებას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან.

ბანკის შიდა კონტროლის ადეკვატურობას, მათ შორის, ფუნქციების დანაწილებასა და ორმაგ კონტროლს; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის დროულ მუშაობასა და მოდერნიზების სათანადო დონეს; კონტროლის ეფექტიანობას მონაცემთა სიზუსტესთან, სრულყოფილებასთან და მიუკერძოებლობასთან (სამართლიანობასთან) დაკავშირებით; შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების ინტერპრეტირების ადეკვატურობას; ბანკის ვალდებულებას – უზრუნველყოს ბანკის რესურსების სწორი განაწილება თანამშრომელთა ტრენინგისათვის; შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობისა და მათი დარღვევების დროულ დადგენას და მათი აღმოფხვრისათვის მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას; შესაბამისობის ადეკვატურ ინტეგრირებას ბანკის კორპორაციული დაგეგმვის ნებისმიერ საფეხურზე.

– ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით:

ბანკის თანამშრომელთა სწორ საკომპენსაციო პროგრამას და მენეჯმენტს; სტრატეგიული თანამდებობების მქონე პირებისა და თანამშრომლების ბრუნვის (როტაციის) განაკვეთს (მაღალი რისკის მატარებელი სტრუქტურები);სასწავლო პროგრამის ადეკვატურობას; ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის კომპეტენციის ადეკვატურობას; ბანკის ბიზნეს-საქმიანობის ტოლერანტობას რისკის მიმართ.

– კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით:

აუდიტის სამსახურისა და რისკის მართვის სტრუქტურის ეფექტიანობას, ქმედუნარიანობასა და დამოუკიდებლობას; ანგარიშებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის სიზუსტეს, სრულყოფილებასა და სამართლიანობას; დარღვევების მონიტორინგის სისტემას, რომელსაც უნარი აქვს დაადგინოს და შეაფასოს რისკის სიხშირისა და მოცულობის ნებისმიერი მატება; ბანკის რეაგირებას შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევებზე; ბანკის რეაგირებას ბანკის შიდა კონტროლის სისტემაში არსებულ დარღვევებზე.

თავი XVI. საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობა

16.1. სისტემაში მონაწილე სუბიექტები, სტანდარტიზაცია, სისტემის წვდომა

საგადახდო სისტემა – ფულადი სახსრების გადარიცხვის სისტემა, ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა, კლირინგის სისტემა;

სისტემის ოპერატორი – იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა იურიდიულ პირებთან ერთად უფლებამოსილია და პასუხისმგებელია საგადახდო სისტემის ოპერირებაზე და სისტემის წესების შემუშავებაზე;

სისტემის მონაწილე – პირი, რომელიც უფლებამოსილია იყოს საგადახდო სისტემის მონაწილე;

ელექტრონული დოკუმენტი (ელექტრონული შეტყობინება) – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;

საგადახდო სისტემის მეშვეობით მომსახურების გაწევა სახელშეკრულებო პირობების და სისტემის წესების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები;

საგადახდო სისტემის მეშვეობით მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები – პროგრამულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც სისტემის ოპერატორს ან მონაწილეებს აძლევს მომსახურების გაწევის ან მიღების საშუალებას.[13]

საგადახდო სისტემების მონაწილე სუბიექტები არიან სისტემის

---

13 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის №145/01 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ“.

ოპერატორი და სისტემის მონაწილე.

საგადახდო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საფუძველია ერთიანი სტანდარტები (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვ.), რომლებმაც უნდა ასახოს გამოყენებული სისტემის თავისებურებები. აღნიშნულ სტანდარტებს განსაზღვრავს სისტემის ოპერატორი.

კონკრეტულ საგადახდო სისტემაში გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ექსპლუატაციის პროცედურებს და სტანდარტიზაციის შესაბამის მოთხოვნებს.

საგადახდო სისტემების ელექტრონული საქმიანობის უნიფიცირების მიზნით შემუშავებულ ეროვნულ (ან შიდაუწყებრივ) სტანდარტებთან ერთად შეიძლება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაც.

სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის ელექტრონული ინფორმაციის გაცვლისას გამოყენებული შეტყობინებები უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტებს (რეკვიზიტებს), რომლებიც მას ანიჭებს სამართლებრივ სტატუსს.

ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებისას საჭიროა შეტყობინების ელემენტები განთავსდეს კონკრეტულ ადგილზე, კონკრეტული სიგრძით და წარმოდგენილი იყოს ისეთი ფორმატით, რომ შეიძლებოდეს მათი დამუშავება კონკრეტულ საგადახდო სისტემაში.

საგადახდო სისტემაში შესაძლებელია არსებობდეს ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემის საშუალება თავისუფალი ფორმატითაც.

სისტემის წესდების ორგანიზებას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სისტემის ოპერატორი მის მიერვე დადგენილი პროცედურების, წესების და რეგლამენტის ფარგლებში.

სისტემის ფუნქციონირებისას გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული სისტემისათვის დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ელექტრონული ინფორმაციის დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს სისტემის ოპერატორი.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სისტემის, მასში არსებული ინფორმაციის დაცვა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სისტემის მონაწილესთან.

ელექტრონული ინფორმაციის შენახვა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. შეთანხმება სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის ელექტრონული მომსახურების შესახებ

სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის მომსახურების საფუძველია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და სხვა სამართლებრივი აქტები.

ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ერთი კონკრეტული საგადახდო სისტემის მიმართებაში.

ხელშეკრულება და/ან სისტემის წესები უნდა მოიცავდეს:

- მომსახურების სახეს (სახეებს);
- ოპერაციათა წარმოების წესს;
- დოკუმენტბრუნვის წესს და ელექტრონულ შეტყობინებებზე დასტურების აუცილებლობას;
- სახსრების გადარიცხვის დასრულებადობის საკითხს;
- მოთხოვნებს პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების მიმართ;
- მხარეთა მოვალეობებსა და ვალდებულებებს;
- პასუხისმგებლობას ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
- მონაწილისა და ოპერატორის იდენტიფიკაციის საშუალებებს (ელექტრონული/ციფრული ხელმოწერები, პაროლები, გასაღებები და სხვ.);
- მომსახურების დროს;
- მონაწილის მოთხოვნებისა და პრეტენზიების განხილვის წესს;
- ხელშეკრულების შეჩერების (შეწყვეტის) და მისი განახლების საფუძვლებს.

ხელშეკრულება და/ან სისტემის წესები შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით პირობებს.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

- სისტემის მონაწილეს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით და/ან სისტემის წესებით გათვალისწინებული პირობებით;
- შეასრულოს მხოლოდ სისტემის მონაწილის მიერ ინიცირებული ოპერაციები;
- არ დაუშვას ოპერაციების შესრულება შემოწმებისა და კონტრო-

ლის პროცედურების გარეშე;

- შესრულებული ოპერაციების შესახებ მონაწილეს წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით და წესით;
- ინფორმაცია შეინახოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით;
- უსრუნველყოს არაუფლებამოსილი პირის მიერ ოპერაციების შესრულების გამორიცხვა;
- სისტემაში ან მომსახურების პირობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში დროულად შეატყობინოს ეს მონაწილეს;
- მონაწილეს გაუწიოს კონსულტაციები და რეკომენდაციები, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია კონკრეტულ სისტემასთან დაკავშირებით (მათ შორის, სისტემაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში).

სისტემის ოპერატორი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (არასათანადოდ შესრულების) შემთხვევაში პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის ოპერატორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა (არასათანადოდ შესრულება) გამოწვეულია სისტემის მუშაობაში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა გამო, პასუხისმგებლობა ეკისრება სისტემის ოპერატორს, თუ იგი არ დაამტკიცებს, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა (არასათანადოდ შესრულება) გამოწვეული იყო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

ზარალი, რომელიც მიადგება სისტემის მონაწილეს სისტემის ოპერატორის არაუფლებამოსილი პირის გამო, დაეკისრება სისტემის ოპერატორს მისი ბრალეულობის შემთხვევაში, თუ ამას დაამტკიცებს მხარეთა მიერ შექმნილი კომისია ან სასამართლო.

სისტემის ოპერატორი პასუხს აგებს მონაწილისადმი მიყენებული იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიშვა დოკუმენტების გაცვლისას არსებული შეცდომებით იმის გამო, რომ მან ვერ უსრუნველყო ამ დებულებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ან გააგრძელა ელექტრონული მომსახურების გაწევა იმის მიუხედავად, რომ სისტემის მონაწილემ შეატყობინა არსებული შეცდომები.

ეროვნული ბანკის, როგორც სისტემის ოპერატორის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება მონაწილეებთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სისტემის წესების მიხედვით.

სისტემის მონაწილე ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით, სისტემის წესებით და შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის საკომისიო გადასახადები;
- ოპერაციების შესრულებისას აღმოჩენილი შეცდომები დაუყოვნებლივ აცნობოს სისტემის ოპერატორს.

პასუხისმგებლობა იმ სარალისათვის, რომელიც მომსახურებისას შეიძლება მიადგეს სისტემის ოპერატორს, დაეკისრება მონაწილეს მისი ბრალეულობის შემთხვევაში, თუ ამას დაამტკიცებს მხარეთა მიერ შექმნილი კომისია ან სასამართლო.

სისტემაში მონაცემების დამუშავების პირველი ეტაპი უნდა იყოს ელექტრონული შეტყობინების ნამდვილობისა და ანგარიშების მდგომარეობის შემოწმება, რის შემდეგაც სრულდება ჩარიცხვების ან ჩამოწერის ოპერაციები.

ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემებში ელექტრონული შეტყობინებების დამუშავების პრინციპები და პროცესი რეგულირდება შესაბამისი სისტემის წესების მიხედვით.

ნებისმიერ სისტემაში მონაწილეს უფლება აქვს უკან გაითხოვოს ან გააუქმოს თავისი შეტყობინება შესაბამისი სისტემის წესებით განსაზღვრულ მომენტამდე. ამ მომენტის შემდეგ შეტყობინება ხდება გამოუთხოვადი.

მომენტი, როდესაც ანგარიშსწორება არის საბოლოო ყოველი კონკრეტული საგადახდო სისტემისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად და აისახება სისტემის წესებში.

ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ქაღალდზე ამონაბეჭდის სახით. ელექტრონული ინფორმაციის ქაღალდზე ამონაბეჭდი უნდა გააფორმოს და დაამოწმოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა.

ელექტრონული შეტყობინებების გაცვლის დროს სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს ან მონაწილეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ მეორე მხარეს უნდა წარუდგინოს სათანადოდ გაფორმებული პრეტენზია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, პრე-

ტენსიის განსახილველად შეიძლება შეიქმნას საექსპერტო კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებით.

16.4. ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა და ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი

ელექტრონულ დოკუმენტს ქაღალდის დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს, თუ მისი შედგენა, გადაცემა, დამუშავება და შენახვა ხდება ამ დებულებით, სისტემის წესებით, სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, საგადახდო სისტემებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.[14]

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატს სისტემის მონაწილეებს აძლევს საქართველოს ეროვნული ბანკი (სისტემის ოპერატორი).

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა:

- სერტიფიკატის უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი;
- ციფრული ხელმოწერის მფლობელი;
- მონაცემები გამოყენებული კრიპტოგრაფიული ალგორითმისა და ციფრული ხელმოწერის საშუალებების შესახებ;
- ციფრული ხელმოწერის ღია გასაღები;
- სერტიფიკატის მოქმედების ვადა;
- სერტიფიკატის გაცემის თარიღი, დრო;
- სერტიფიკატის გამცემი.

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა ხდება ელექტრონული სახით, რომელიც დასტურდება სისტემის ოპერატორის ელექტრონული ხელმოწერით.

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი რეგისტრირდება რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სისტემის ოპერატორი.

ციფრული ხელმოწერის მფლობელი ვალდებულია:

ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღებები შეინახოს საიდუმლოდ;

---

14 დეტალურად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის №145/01 ბრძანებით დამტკიცებული დებულება – „საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ“.

ციფრული ხელმოწერისათვის არ ისარგებლოს დახურული გასაღებით, თუ მან იცის, რომ ეს გასაღები კომპრომეტირებულია;

დაუყოვნებლივ მოითხოვოს ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების საიდუმლოების დარღვევის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ციფრული ხელმოწერის მფლობელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს ციფრული გასაღებები, ინფორმაცია დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

ციფრული ხელმოწერის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს სისტემის ოპერატორს დახურული გასაღებების კომპრომეტირება და შეწყვიტოს მათი გამოყენება.

ამ მოთხოვნების დაუცველობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება ციფრული ხელმოწერის მფლობელს.

სისტემის ოპერატორი გასაღებების კომპრომეტირების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებულია შეაჩეროს მონაწილის შესაბამისი მომხმარებლის შემდგომი მომსახურება ეითარების გამოსწორებამდე.

გასაღებების კომპრომეტირების თაობაზე სისტემის ოპერატორის ინფორმირებამდე ელექტრონული დოკუმენტის დამუშავებით გამოწვეული ზარალი დაეკისრება სისტემის მონაწილეს.

ციფრული ხელმოწერის გასაღებების შექმნა ხორციელდება სისტემის ოპერატორის/მონაწილის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

მონაწილის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად დამზადებული გასაღებებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ეკისრება აღნიშნულ მონაწილეს.

პირს, რომელმაც უკანონოდ მოიპოვა სხვისი ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღები და ისარგებლა მისი ციფრული ხელმოწერით, ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ელექტრონული დოკუმენტი ან მისი მეშვეობით წარმოებული ოპერაციის შედეგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქაღალდზე ამონაბეჭდის სახით. ელექტრონული დოკუმენტის ქაღალდზე ამონაბეჭდი უნდა გააფორმოს და დაამოწმოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა.

ელექტრონული დოკუმენტის ქაღალდზე ამონაბეჭდი არის ოპერაციის შესრულების საფუძველი მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობის პირობებში.

შესრულებული ელექტრონული დოკუმენტების შენახვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

აუცილებელია სისტემისა და ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წვდომისაგან.

ელექტრონული დოკუმენტების შენახვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი:

დაცვა განსრახ ან დაუდევრობით გამოწვეული დამახინჯებისაგან, გაყალბებისა და არასანქცირებული განადგურებისაგან;

უცვლელობა და ხელმისაწვდომობა, გამოყენება ან ასლების შექმნა.

ტერმინთა განმარტება:

საბანკო ანგარიში (ანგარიში) – ბანკში პირის ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური საშუალება;

პირი – როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა);

რეზიდენტი – რეზიდენტი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე) და რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია);

არარეზიდენტი – იურიდიული პირი /ფილიალი/ წარმომადგენლობა/ მუდმივი დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და ფიზიკური პირი, რომლის არარეზიდენტობის საკითხს ბანკი ადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მოქალაქეობის მიხედვით;

ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში;

მულტისავალუტო საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის პირადობის დადასტურება, აგრეთვე, შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პირის შესაბამისი მონაცემებით (ინფორმაციით). პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პირს არ გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (მაგალითად, არასრულწლოვანი პირის სახელზე დეპოზიტის (ანაბრის) გახსნის შემთხვევაში);

მეწარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

არამეწარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, მათ შორის, გაღასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის მეწარმე ფიზიკური პირი;

საბიუჯეტო ორგანიზაცია – ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია,

რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისთვის, ასევე, ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად;

სსიპ – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაცია;

შიდასაბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელიც არ არის კლიენტის საბანკო ანგარიში;

სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები. ამ ინსტრუქციის შესაბამისად, დეპოზიტად არ მიიჩნევა შიდასაბანკო ანგარიშებზე ბანკის მიერ განთავსებული საბანკო გარანტიის და აკრედიტივის უსარგებლოფის თანხები, გაცემული გარანტიისა და გახსნილი აკრედიტივის ფარგლებში, ასევე, გაცემული სესხის უსარგებლოფის მიზნით დაჯავშნული თანხები, ათვისებული ოდენობის ფარგლებში;

დეპოზიტი (ანაბარი) – ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) და მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი).

ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მოთხოვნისთანავე;

მიმდინარე ანგარიში – საბანკო ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით. აღნიშნული ტიპის ანგარიში მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც და ბინათმესაკუთრეთა მიერ გახსნილ საანგარიშგებო ანგარიშებსაც;

საკორესპონდენტო ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ერთი ბანკი ხსნის მეორეში და რომელიც გამოიყენება ბანკებს შორის ანგარიშსწორებისათვის;

საკასო მომსახურების ანგარიში – ბანკის, ბანკის ფილიალის, განყოფილების (სერვის-ცენტრის) ანგარიში ეროვნულ ბანკში და/ან სხვა კომერციულ ბანკში (მის ფილიალში), რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციების, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციების, ასევე, ამ ანგარიშზე არსებული თანხების სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე გადარიცხვის მიზნებისათვის;

ნომინალური მფლობელობის ანგარიში – ნომინალური მფლობელობის ერთობლიობი ანგარიში ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში;

ნომინალური მფლობელობის ერთობლიობი ანგარიში – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლიობად აღსარიცხავად;

ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად;

„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია" (OECD) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პარიზის 1960 წლის 14 დეკემბრის კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია.

ანგარიშსწორება – საბანკო დაწესებულებების ან სხვა საშუალებებით გადამხდელის სახსრების მიმღებისათვის გადაცემის მიმდევრობით შესრულების პროცესი;

აქცეპტი – თანხმობა გადახდაზე, საგადახდო საბუთის განაღდებაზე გარანტიის მიცემა;

ბანკის აქცეპტი – ბანკის თანხმობა მიღებული საგადახდო საბუთების შესრულებაზე (მათი შესრულების გარანტიის ფორმა);

ბანკთაშორისი ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას ან საბანკო დაწესებულებებს შორის;

გადახდა – ფულადი ვალდებულებების დაფარვა ანგარიშსწორებით ან ურთიერთმიათვლით;

გადამხდელი (გადამხდელი პირი) – საგადახდო სისტემის მონაწილე პირი, რომელიც აწარმოებს გადახდებს;

გადასახადის გადამხდელი – საქართველოს საგადასახადო და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე პირი;

გადამხდელი ბანკი – ბანკი, რომელიც ასრულებს გადამხდელის საგადახდო ოპერაციებს; ახდენს გაღარიცხვას;

გადამხდელის ბანკი – ბანკი, რომელიც ემსახურება გადამხდელს;

გადარიცხვა – უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან მიმღების საბანკო ანგარიშე-

ბ'სე თანხების გადატანა წარმოების საბანკო ან სხვა საანგარიშსწორებო ტექნოლოგიების მეშვეობით;

დროის რეალური რეჟიმი – საანგარიშსწორებო პერიოდში ელექტრონული საგადახდო საბუთების შესრულების და გადაცემის პროცესის უწყვეტად და დაუყოვნებლივ განხორციელება;

ელექტრონული არქივი – საგადახდო სისტემის ან ბანკის საოპერაციო დღის პროგრამის მონაცემთა ისტორიული თარიღის ელექტრონული ასლი;

ელექტრონული საგადახდო საბუთი – კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს;

ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა – კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით დამუშავებული სპეციალური სისტემის (ორგანიზატორის მიერ ტირაჟირებული) კრიპტოგრაფიული ალგორითმით ელექტრონული საბუთის დამუშავების შედეგად მიღებული სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც ადასტურებს ელექტრონული საბუთის ნამდვილობას, მთლიანობას, ხელმომწერი პირის ვინაობას და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტითა და მხარეებს შორის ხელშეკრულებით;

ფაქსიმილია – კლიენტის მიერ თავისი პირადი ხელმოწერის ზუსტი შესრულება მექანიკური საშუალებების გამოყენებით;

ელექტრონული შეტყობინება – ელექტრონული საბუთი, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულებისას უზრუნველყოფს თავისუფალი ფორმატის ინფორმაციის გაცვლას (დასტური, ამონაწერი ანგარიშიდან, შეტყობინება დაწუნებული ელექტრონული საგადახდო საბუთის შესახებ და სხვ.);

იურიდიული პირის რწმუნებული პირი – იურიდიული პირის ოპერაციების წარმოებისათვის უფლებამოსილი კანონიერი წარმომადგენელი;

ვადაში გაუნაღდებელი საგადასახადო საბუთების კარტოთეკა – სახსრების უკმარისობის გამო განსაკუთრებულ აღრიცხვაზე მყოფი გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების ერთობლიობა;

„კლიენტ-ბანკის" სისტემა – პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებსა და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე დაფუძნებული ელექტრონულ-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო არხებით ელექტრონული ინფორმაციის მიღება/გადაცემას, მომზადებას, შექმნას, შემოწმებას, დაცვას, დამუშავებას;

მიმღები – საანგარიშსწორებო საბუთში ფულადი სახსრების მიმღებად მოხსენიებული პირი;

მიმღები ბანკი – ბანკი, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მიღებას;

მიმღების ბანკი – ბანკი, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მიმღების მომსახურებას;

რეესტრი – ობიექტების ჩამონათვალი, აღწერა, რეესტრული სია;

საანგარიშსწორებო პერიოდი – საოპერაციო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ხდება კლიენტურის საგადახდო საბუთების საფუძველზე ფულადი სახსრების გადარიცხვები მიმდინარე კალენდარული თარიღით;

საბანკო ანგარიში – ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური ანაღრიცხვო პოზიცია, რომელიც მოცემულ მომენტში პირის საკუთრებაა და გახსნილია საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე;

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მინიჭებული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი;

საბანკო კანონმდებლობა – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", საქართველოს კანონი - „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები;

საბანკო წესები – საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წესები;

საბუთის უნიკალური კოდი (რეფერენსი) – სპეციალური კოდი, რომელიც ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით ავტომატურად ენიჭება თითოეულ ელექტრონულ საგადახდო საბუთს ქაღალდის საგადახდო საბუთიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანისას;

საბანკო პლასტიკური ბარათი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც არის საანგარიშსწორებო საშუალება საქონელზე ან მიღებულ მომსახურებაზე გადახდის განსახორციელებლად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების საწარმოებლად;

საგადახდო დავალება – ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ;

საგადახდო საბუთი – ინფორმაციის მატერიალურ მატარებელზე (ელექტრონული მატარებელი, ქაღალდის ბლანკი ან სხვა) გაფორმებული საბუთი, რომელიც წარედგინება ბანკს ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

საგადახდო სისტემა – საგადახდო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციულ-ტექნიკური ფორმების, ფულადი სახსრების ანგარიშსწორების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობა;

საგადახდო საბუთის შესრულება – ვალდებულებების შესაბამისად, ფულადი სახსრების გადახდის განხორციელების პროცესი; ბანკის მიერ გადამხდელის დავალების რეალური „შესრულება;

ინდივიდუალურ რეჟიმში საგადახდო დავალების შესრულება – გადამხდელის ბანკის მიერ საგადახდო დავალების ეროვნული ბანკის დროის

რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემისათვის (უწყვეტ რეჟიმში) დაუყოვნებლივი ინდივიდუალური გადაცემა;

პაკეტურ რეჟიმში საგადახდო დავალების შესრულება – ბანკის მიერ ერთ პაკეტად ფორმირებული საგადახდო დავალებების გადაცემა ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემისათვის, რომლებიც შესაძლოა განკუთვნილი იყოს ერთი ან რამდენიმე მიმღებისათვის;

საგადახდო საბუთების შესრულების დაყოვნება (შეჩერება) – ბანკისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო ანგარიშსწორების პროცესის შეყვერხება-დაყოვნება;

საინკასო დავალება – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი მესამე მხარის (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოები – სააღსრულებო ბიუროები (შემდგომში – სააღსრულებო ბიუროები), კერძო აღმასრულებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სჯარო სამართლის იურიდიული პირი–შემოსავლების სამსახური) მიერ ბანკისთვის დადგენილი ფორმით მიცემული დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერაზე;

საკორესპონდენტო ურთიერთობა – სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შესაბამისად ბანკს უფლება აქვს გაუხსნას ანგარიში მეორე ბანკს და აწარმოოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაციები;

სანქცირებული გადახდა – გადახდა სანქცირებულია, თუ მას ახორციელებს სახსრების განმკარგველი პირი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით;

საოპერაციო დღე – სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახდენს კლიენტურის, ან „კლიენტ-ბანკის“ სისტემით ელექტრონული საგადახდო საბუთების მიღებას და ანგარიშსწორებას; საოპერაციო დღის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ბანკი და აისახება ბანკის შიდასაბანკო წესებში (ან ბანკსა და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში);

საქართველოს საბანკო სისტემა – ეროვნული ბანკის, ეროვნული ბანკის ფილიალების, კომერციული ბანკების, მათი ფილიალების, საანგარიშსწორებო ოპერაციების განმახორციელებელი არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების (საანგარიშსწორებო-საპროცესინგო კომპანია, ცენტრი, პალატა და სხვა იურიდიული პირი) ერთობლიობა;

უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება საგადახდო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე;

„უქაღალდო“ ანგარიშსწორება (უქაღალდო ტექნოლოგია) – უნაღდო ანგარიშსწორება ელექტრონული საბუთების საფუძველზე (ქაღალდის საგადახდო საბუთების გამოყენების გარეშე);

ფულადი გზავნილი (საბანკო გზავნილი) – ცალკეულ ფიზიკურ პირს შორის ბანკების საშუალებით ფულადი სახსრების, მათ შორის, უცხოური ვალუტის გადაგზავნის მეთოდი, რომელიც არ მოიცავს გარიგების (შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის საფასურის) თანხების ანალიზირებას;

ჩარიცხვა – მიმღების საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების გადატანა;

ჩამოწერა – გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ამოღება, ჩამოწერა;

საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN) – „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებით დადგენილი წესით და ISO 13616 სტანდარტის შესაბამისად გენერირებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც წარმოადგენს ლათინური სიმბოლოების და არაბული ციფრების 22 (ოცდაორი) ერთეულის კომბინაციას და რომელიც გამოიყენება საბანკო ანგარიშის აღნიშვნისათვის.

საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემა (GPSS) – საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც მოიცავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) და სახელშეკრულებო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემებს;

GPSS სისტემის წესები (სისტემის წესები) - RTGS სისტემის და CSD სისტემის წესები;

ელექტრონული დოკუმენტი (ელექტრონული შეტყობინება) – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;

ციფრული ხელმოწერის მფლობელი – პირი, რომელსაც აქვს ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი და ამ დებულების და სისტემის წესების მოთხოვნათა შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტს ციფრულად აწერს ხელს;

ციფრული ხელმოწერა – ელექტრონული ხელმოწერის ნაირსახეობა, რომელიც მიღებულია ელექტრონულ მონაცემთა კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად, ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით, ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დაკავშირებულია მხოლოდ ხელმომწერთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმომწერის ვინაობის დადგენა, იგი შექმნილია ხელმომწერის სრული კონტროლის ქვეშ მყოფი დახურული გასაღების მეშვეობით, ისეა დაკავშირებული მონაცემებთან, რომ იძლევა იმის აღმოჩენის საშუალებას, მოხდა თუ არა ცვლილება ამ მონაცემებში;

კრიპტოგრაფიული გარდაქმნა – ელექტრონულ მონაცემთა შიფრაცია და დეშიფრაცია მათემატიკური და ლოგიკური გარდაქმნების გამოყენებით;

გასაღების წყვილი – ასიმეტრიულ კრიპტოსისტემაში დახურული და მასთან მათემატიკურად დაკავშირებული ღია გასაღები. გასაღების წყვილი იქმნება ხელმომწერის მიერ ან/და მისი მოთხოვნის საფუძველზე ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემის მიერ;

დახურული გასაღები – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ცნობილია მხოლოდ ხელმომწერისათვის და გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად;

ღია გასაღები – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის და გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შესამოწმებლად;

ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების კომპრომეტირება – ნებისმიერი შემთხვევა ან/და ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს დახურული გასაღების არასანქცირებული გამოყენება;

არასანქცირებული წვდომა – ინფორმაციის ან სისტემაზე წვდომა იმ პირთა მიერ, რომელთაც არა აქვთ ამის უფლება.

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი – საქართველოს ეროვნული ბანკი;

ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი – ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც გაცემულია სერტიფიკატის გამცემის მიერ და შეიცავს ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს, იძლევა ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმებისა და ხელმომწერის ვინაობის დადგენის საშუალებას;

ციფრული ხელმოწერის საშუალებები – ელექტრონული (პროგრამული) საშუალებების და კრიპტოგრაფიული მეთოდების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გასაღების წყვილის ან/და ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად და ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შესამოწმებლად;

ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობა – ელექტრონული დოკუმენტი ნამდვილია, თუ მან წარმატებით გაიარა სისტემაში არსებული შემოწმების პროცედურები და მისი ციფრული ხელმოწერა ნამდვილია;

დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება – ჩუსტად დადგენა იმისა, რომ:

ციფრული ხელმოწერა შექმნილია ხელმომწერის სერტიფიკატში მოცემული ღია გასაღების შესაბამისი დახურული გასაღების გამოყენებით;

დოკუმენტი არ შეცვლილა მასზე ციფრული ხელმოწერის შექმნის შემდეგ.

ლიტერატურის სია:

1. ცაავა გ. – საბანკო საქმე: ლექციების კურსი. – თბილისი, გამომც. „აფხ. მეცნ. აკადემია", 2005. – 663 გვ.
   ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა გ. – რისკოლოგია – თბილისი, გამომც. „აფხ. მეცნ. აკადემია", 2007. – 567 გვ.
3. ინგოროყვა ა., ფიჩხაია ზ., ფიჩხაია ი. – საბანკო ოპერაციები: ლექციების კურსი. – თბილისი, 2009. – 470 გვ.
4. კოჭლანაძე ი. – საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე – თბილისი, თსუ-ის გამომც. – 2001. 424 გვ.
5. გოგოხია მ. – საბანკო საქმე (ლექციების კურსი). – თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია" – 2008. – 414 გვ.
6. ქისტაური ლ. ქისტაური შ. თეორიები და ანტითეორიები: ფულის, ფინანსების, კრედიტის, პროცენტის. – თბილისი, გამომც. „ინტელექტი" 2001. – 174 გვ.
7. ღუდუშაური ლ. – კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. – თბილისი, თსუ-ის გამომც. – 2007.
8. ქოქიაური ლ. – საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. I-II. – თბილისი, სტუ-ის გამომც. – 2010. 1047 გვ.
9. მოსიაშვილი ვ. – ფულის მიმოქცევა და კრედიტის თეორიები: ლექციების კურსი. – თბილისი, 2009. – 246 გვ.
10. კაკულია რ., ხელაია გ. – ფულის მიმოქცევა და კრედიტის ზოგადი თეორია. – თბილისი, 2004. – 245 გვ.
11. საქართველოს ეროვნული ბანკი: ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები – საქართველოს ეროვნული ბანკი - პირველი გამოცემა, 2008., 44 გვ.
12. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია – „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ".
13. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 იუნისის №166 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები".
14. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის №38/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საგადახდო ბარათების შესახებ".
15. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 29 იანვარის №7/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი".
16. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 17 მარტის

№71 ბრძანებით დამტკიცებული დებულება – „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“.
17. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის №145/01 ბრძანებით დამტკიცებული დებულება – „საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ“.
18. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 24 ნოემბრის №145/01 ბრძანებით დამტკიცებული დებულება – „საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ“.
19. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 20 ივლისის №201 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი.
20. K. Thomas Liaw –The Business of Investment Banking: A comprehensive overview,- third edition, published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey. 2011, p. 378.
21. Allen, F., Carletti. E., and Marquez, R., 2009, —Credit Market Competition and Capital Regulation, *Review of Financial Studies* 24.
22. Barth, J.R., Caprio, G., and Levine, R., 2001, —The regulation and supervision of banks around the world – a new database, World Bank Policy Research Working Paper no. 2588, available at www.econ.worldbank.org.
23. Berger, A., De Young, R., Flannery, M., Lee, D., and Öztekin, Ö., 2008, —How Do Large Banking Organizations Manage Their Capital Ratios?I *Journal of Financial Services Research*, Vol. 34.
24. Demirguc-Kunt, A., Kane, E., Karacaovali, B., and Laeven, L., 2008, —Deposit Insurance Around the World: A Comprehensive Database,I in *Deposit Insurance Around the World: Issues of Design and Implementation*, ed. by A. Demirguc-Kunt, E. Kane, and L. Laeven (Cambridge, MA: MIT Press).
25. Diamond. D. and Rajan, R., 2000. —A Theory of Bank Capital,I *Journal of Finance*, Vol. 55.
26. Ченг Ф. Ли, Джозеф И. Финнерти. Финансы корпораций: теория, методики практика. Университетский учебник. - Москва: "ИНФРА. М", 2000, с. 29.
27. Пимер С. Роуз. - Банковский менеджмент. Пер. с англ. - Москва: ~Дело», 1997. _ 768 с.
28. Навой А.В. _ Центральный банк в глобальном хозяйстве. _ Москва: ГОУ ВПО «РЭУ им. Г.В. Плеханова», 2010. - 528 с.
29. Лаврушин О.И. (под ред). - Банковское дело: учебник. - Москва: Кнорус, 2009. - 768 с.
30. Сенчагов В.К. и др. - Финансы, денежное обращение и кредит. - Москва: Из-во Проспект, 2008. - 720 с.
31. Бухвальд Б. - «Техника банковского дела». Пер. с нем. - Москва: Сирин, 2002. - 257 с.
32. Харковская Е.П., Арендс И.О. - Банковское дело: Курс лекций. - Москва: Омега - Л., 2003. - 399 с.
33. www.centralbanking.co.uk
34. www. imf.org
35. www. nbg.gov.ge
36. www. abg.org.ge

ავტორების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

გიორგი ხანთაძე – შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი. ასევე, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ავტორიზებულ და აკრედიტებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.
1995 წლიდან 2008 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტში. 2010 წელს იყო შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მ/შ, გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი ნაშრომი და სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატია რეფერირებად ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში.

გიორგი ცაავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ასევე, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ავტორიზებულ და აკრედიტებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.
გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები: 1) ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი (1999წ.); 2) მონოგრაფია ორ ტომად: ტომი I – საბანკო მენეჯმენტი: ანალიზი, პრობლემები, სრულყოფის გზები და ტომი II – ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი (2002წ.); 3) საბანკო საქმე – ლექციების კურსი (2005წ.); 4) ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსების თეორიული საფუძვლები, საწარმოს ფინანსების მართვა, ფინანსური დაგეგმვა-ანგარიშგება და ანალიზი, კორპორაციული ფინანსები (2006წ. თანაავტორებთან ერთად), რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი (დამხმარე სახელმძღვანელო, 2007 წ.), საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები (სახელმძღვანელო, 2009 წ.), ფინანსური მარკეტინგი (2009 წ.), მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა (დამხმარე სახელმძღვანელო, 2009 წ.), ფინანსური მენეჯმენტი USAID-ის (AID-G-2008-001-460-72) გრანტის ფარგლებში (2009 წ.), გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი და სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატია რეფერირებად ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში.